

114/3
1970

Handwritten signature
საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
სამსახური

ბავშვობა

10

1970

მნათობი

საქართველო
საბჭოთავი

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-საბჭოთავური
და საზოგადოებრივ-კულტურული შუროსი

ფელიქსი 46-მ

№ 10

ოქტომბერი, 1970 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა კ რ ს ი

თამარ ვილახე — მღვმწერალი. მოთხრობა	3
ანდრო თაყვაძე — ლექსები	44
აკაკი გიფაძე — უკვამლო ბუნება. მოთხრობა	46
შალვა ფორჩხიძე — ჩემი სიცოცხლის შუა მიწოდება. ლექსი	62
ვახტანგ ჯავახიძე — ლექსები	63
დავით კვიციანი — მშვიდობით, უსიძრო ტაძარში რომანი. მეორე ნაწილი. გაგრძელება	66
გიორგი ბესთაური — ლექსები. თარგმანა ქ. ჩარკვიანი ში	100
კლიმენტი გოგიაძე — ილიაობა. ბიოგრაფიული რომანი. დასასრული	103

არბიბა და კუბლიმბიტია

ბასილიონი ძიანტი — „სამშობლო ჩემო, შენთანა ჩემი ფინები“	131
მლაღიძე შავკალიძე — ამიკანის და ანთ კართული მითი ბალღმით იოზა	151
გიორგი ნიხინიანი — საბირა რეპორაჟისის სამსახურში	158
მთერ ანსაჯანოვილი — ალ. ყაზბეგის „ელგუჯას“ ხალღური წყაროები	165

წიგნების მიმოხილვა

ელიზბარ მისინაძე — „მეკიარბებთან“	175
მურაშ მორანაშვილი — ნაშრომი რომის ისტორიის პრინციპების ხანის შესახებ	178
მირან ხარბიანი — მსოფლო სურვილი რომ კაროდეს...	181
ხაპარია შველიძე — საქართველოში საზოგადოებრივ-კულტურული მოქარობის ისტორიიდან	187



საქართველოს კა ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა



მთავარი რედაქტორი ელგუჯა მალარაძე

საკრედიტო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამყარაშვილი, შ. ლეხანიძე, ბ. შლენგი, ა. სულაბაძე,
რი. ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (მ/შ, მღვანე), ს. შანშიაშვილი, დ. შინგაღია, ვ. წულუ-
კიძე, ო. ბილაძე, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

ტიპრედაქტორი რ. ნაკვიტაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი,
რუსთაველის პროსპექტი. № 12.

ბალანსები: რედაქტორის — 98-55-11-
მ/შ, მღვანის — 98-55-18, განყოფილებუ-
ბის — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

ვინაიდან ისაწყობად 15/IX-70 წ., ხელმოწერი-
ლი დასაბეჭდად 22/X-70 წ., ანწყობის ზომა
7¹/₄ X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108¹/₁₆,
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი
ნაბეჭდი ფურცელი 16,8.

უა 02193 ტირაჟი 11.500 შუკვ. № 2713.

საქ. კვ. ც.-ის გამოცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



მ ღ გ მ უ რ ე ბ ი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ომის დამთავრების შემდეგ, ბათუმის ზღვისპირა ბაღში ხშირად შეხვედებოდით შუახნის კაცს, რომელიც თითქმის ყოველდღე მოდიოდა და იმ ხეივანში სეირნობდა, სადაც ლაღად რტოგაშლილი მაგნოლიები იდგა. აგვისტოშიც კი გრილოდა ბაღში. ზღვის ხმა, შორიდან რომ მოისმოდა, სიგრილეს სახლივით მყუდროს ხდიდა.

კაცს ავადმყოფის იერი ედო. მისი ცისფერი თვალები, ჭაში ჩაცვენილ ვარსკვლავებივით, სიღრმიდან იცქირებოდნენ. გამხდარ პირისახეს ოდნავ შესამჩნევი სიწითლე დაჰკრავდა, ზაფხულის გულუხვი მზის წყალობით.

ის აქვე ცხოვრობდა. ქუჩას ფრთხილად და აუჩქარებლად გადმოსჭრიდა, ცალ ფეხს ითრევდა, თითქოს ფეხსაცმელზე ლანჩა აძრობია და სიარულს უშლისო. ხელში ყოველთვის გაზეთი ეჭირა, თუმცა ბაღში მის წაკითხვას ვერ ახერხებდა. ხის ძირას, მერხზე ჩამომჯდარი, ისე მოითენებოდა, არაფრის თავი აღარ ჰქონდა, გარდა ფიქრისა, ესეც ფიქრი იყო თუ სიზმარი, არ იცოდა, ისე გავდა ფიქრი სიზმარს.

მზე, ლენინისავით, ნელ-ნელა, მაგრამ ჯიუტად ათრობდა, თვითონაც არ უძალიანდებოდა. ჩრდილში თუმცა მზე ვერ აღწევდა, მაგრამ მისი სუნთქვა ხელებსა და ფეხებს უთუთქავდა.

კაცს მუხლებზე გაშლილი გაზეთი ედო. გამხდარი, გრძელი ხელის მტვანანი გაზეთისათვის დაეფარებინა, თითქოს გამვლელების ცნობისმოყვარე თვალს უმაღავსო. ხელისზურგზე ჭიანჭველა დააცოცავდა, კაცი ვერ გრძნობდა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს რაღაცას უსმენსო, შორეულსა და გაურკვეველს.

რაზე ფიქრობდა ნეტავ? ვერაფრით იხსენებდა გაწყვეტილ ფიქრსა თუ სიზმარს.

ჩაბნელებული სადგური ლტოლვილებით იყო სავსე...

არა!

მარტის მზიანი დღე იყო.
1. მარტი.

მარტის მზიანი დღე იყო. იოსა ზღვის პირას იჭდა. ახალჩაწყნარებულ ზღვას ტალახის ფერი გადაჰკროდა. სუსხიანი ქარი თითქოს ზღვაში შესვლას ვერ ბედავდა და გაკაპასებული ნაპირზე ტრიალებდა.

მარჯვნივ, შორს, მთები მოჩანდა, ზღვაში ჩაკეცილი კალთებით. მთების ძირას ყვითელი გემი მიყუქუქლიყო. გემის მილიდან კვამლი ამოდებოდა და, მთებს ოდნავ აცილებულა, ცაში შავ

ქოლგასავით გაშლილი ეკიდა. მოჩანდა ზღვაში ღრმად შეჭრილი ნავსადგურის ქვის ჯებირი, შეუქურას თეთრი კოშკით. უფრო შორს გაშლილ ზღვაში ტანკერი იდგა, მიტოვებულს გავდა. იმ ტანკერის იქით კი სამხედრო გემების მწყერი ირწყვოდა.

იონას მაღალი, ბეჭებში მოხრილი კაცი მოუახლოვდა, მიწაზე ცარიელ ტომარას მოათრევდა. შორი-ახლოს გაჩერდა. იონამ თავი ასწია და შეხედა.

— გამარჯობა, — უთხრა კაცმა.

— გაგიმარჯოს, — უპასუხა იონამ.

ეს კაცი მსახიობი იყო, იონას მეზობლად ცხოვრობდა.

იონა დააკვირდა: ლოყები ჩაცვივნიოდა, თვალები უსიამოვნოდ უბრწყინავდა, მთვრალივით და, რადგან იონამ იცოდა, მსახიობი ღვინოს არ სვამდა, ავად ხომ არ არისო, — გაიფიქრა.

— ჩემო იონა, — დაიწყო კაცმა, — მთელი ჩემი ცხოვრება ზღვის პირას გავატარე, დღემდე მაინც ვერ შევეჩვიე ამ დალოცვილს, ყოველთვის სიზმარში მგონია თავი. ასეა, ბატონო, მთელი ჩემი ცხოვრება. არ გაიცნო და გეტყვი, ბაბუაწვერასავით ვიფრინე და ბაბუაწვერას ცხოვრება ხომ იცი...

კაცი გაჩუმდა, თითქოს დაელოდა, იონა რამეს მეტყვისო, იონამაც არ დააყოვნა:

— რას ბრძანებთ, ბატონო სილოვან. როგორ გეკადრებათ! სახელგანთქმული კაცი ბრძანდებით, ბაბუაწვერა რამ გაგახსენათ, ბაბუაწვერას ცხოვრება ვინ თქვა?

— ხა-ხა-ხა, — გაიცინა სილოვანმა, — ბაბუაწვერა დაფრინავს, იონა, დაფრინავს.

„სიციხე აქვს ნამდვილად, კი, ავად არის!“

იონამ თქვა:

— გადაფრინდება და გათავდა.

სილოვანმა უპასუხა:

— ხო, გადაფრინდება და გათავდა, ეგ არა ვთქვი მე?

ცოტახანს გაჩუმდნენ. იონამ პაპიროსის კოლოფი ამოიღო ჯიბიდან:

— მიირთვით, ბატონო სილოვან!

სილოვანმა გახსნილ კოლოფს დახედა, ცოტახანს უყურა თვალმომთვინებლად, თითქოს პაპიროსს პირველად ხედავსო, მერე თქვა:

— „ტემპი“, „ტემპი“, კარგი პაპიროსი გქონია, იონა, — და ერთი ღერი აიღო, უყუნოსა, ხელი გასწია, შორიდან გახედა ორ თითს შორის მოქცეულ პაპიროსს. იონამ ასანთის გაცერა დააპირა, სილოვანმა შეაჩერა:

— მე თვითონ მოვუყიდებ, ქარია, შე კაცო, — მერე კვამლს ამოაყოლა, — კარგი პაპიროსი გიშოვნია, კარგი.

იონამ დაიმორცხვა:

— მდგმურის წყალობაა.

— კარგი მდგმური გყავს კარგი, — ახლა მდგმური შეუქო სილოვანმა.

იონას შესცივდა და წამოდგა.

— ბევრი მოგიგაროვებია, — უთხრა სილოვანმა და თვალთ ტომარაზე აჩვენა.

იონამ სავსე ტომარა ცალი ხელით მსუბუქად მოიგდო მხარზე:

— აბა, ნახვამდის, ბატონო სილოვან.

— კარგად იყავი, ჩემო იონა, მე დავრჩები ცოტახანს, სუფთა ჰაერს მაინც ჩავყლაპავ. რა ფერისაა ეს უბატრონო, — პაპიროსიანი ხელი ზღვისკენ გაიქნია, — რამ ამღვრია ასე? ამ ზღვამ უნდა დამღუპოს მე? ვერ მოვშორდი, ვერა, თორემ ჩემგან მართლაც კაცი დადგებოდა. ხომ გაგიგონია, აგორებულ ქვას ხავსი არ მოეკიდებო? — ხმა გამოეცვალა, თითქოს ლექსს კითხვლობსო, — ბაბუაწვერა ზღვაზე ვერ გადაფრინდება, ხომ იცი? ეშინია. შიშია, რომ კლავს კაცს, ოღონდ თვითონ არ იცის, რისი ეშინია.

„სუფთა ჰაერი კი არა, ის არ გინდა! ნაფოტის მოსაგროვებლად ხარ გამოსული, მაგრამ ამაყი ხარ და გრცხვენია თქმა. ეს ტომარა რალად გინდოდა, შიგ სუფთა ჰაერი უნდა ჩატენო?“ — გაიფიქრა იონამ, ხმააღლა კი თქვა:

— მართალი ბრძანდებით, მართალი, — და წამოვიდა.

ათი ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, რომ სილოვანის ხმა დაეწია:

— იონა, იონა!

იონა შეჩერდა, მოტრიალდა, სილოვანს შეხედა.

სილოვანმა უთხრა:

— კინლამ დამავეიწყა მეკითხა, ბიჭი არ იწერება?

უცებ იონას სილოვანი შეეცოდა ძალიან, ასე რომ რცხვენოდა ნაფოტის მოგროვება, ასეთი ამპარტავანი რომ იყო, ასეთი მარტოხელა.

— არა, არ იწერება, — ძლივს წარმოსთქვა ეს სიტყვები, იმიტომ რომ ყელი ჩაეხრინწა, გულზე რაღაცა დააწვა ლოდვივით.

— ნუ გეშინია!

იონა დაბრუნდა, ტომარა ჩამოიღო და მიწაზე დადო. სილოვანს უკვე ზურგი შეექცია მისთვის, იღვა მხრებში მოწურული. კისერზე ჩამოზრდილი ჭადრა პალტოს საყელოზე ეფინა და ასე საცოდავად ჩამოზრდილი თმის დაახვამაც იონას რატომღაც გული შეუკუმშა.

— სილოვან, ბატონო სილოვან, — დაიწყო მან გაუბედავად.

სილოვანი მოტრიალდა:

— ამ გაზაფხულსაც ხომ მოვესწარი, — თქვა მან.

— ერთი გზა გვაქვს, ერთად წავიდეთ, — უთხრა იონამ.

— ვიქნები ცოტახანს, — უპასუხა სილოვანმა, — რა მეჩქარება? — პაპიროსის ნაწივი წკიპურტით გადააგლო და გაიციან, — მელოდება ვინმე თუ რა?

— მოგეხმარები.

— რაში, კაცო?

— ეგ ტომარა გავავსოთ ბარემ.

— რატომ? — სილოვანმა თავის ტომარას ისე დახედა, თითქო ვილაცას შეეჩეჩებინოს ხელში.

— დაგჭირდება... ხომ იცი...

— წადი, ჩემო იონა, წადი, ნუ დაგმელოდები.

იონამ და სილოვანმა ტომარა მალე გაავსეს. თავისი რომ მოიკიდა, იონამ სილოვანის ტომარასაც წაატანა ხელი.

— შე კაცო, — სილოვანმა ხელები გაშალა, — კი არ მოგმკვდარვარ?

— რას ბრძანებ, ბატონო!

— თვითონ წამოვიღებ. ისე შენი ხათრი, ჩემო იონა, თორემ სულ არ ვფიქრობდი ამას.

— ბარემ ხელს გამოაყოლებ, დიდი ამბავი.

ბალი ერთიანად გადაეთხარათ. გზა მაგნოლიის ხმელი ფოთლებით მოფენილიყო. ჩამომხმარი ევკალიპტები თითქოს ცაში ეკიდა უხილავი თოკებით. საზაფხულო რესტორნის ხის შენობის წინ, პატარა მოედანზე, სადაც წინათ ცეკვები იმართებოდა, ორი აეროსტატი ესვენა. იქვე რამდენიმე მწვანე კარავი იდგა. რესტორნის გადაქანებულ ღობეზე ქარისგან გაშეშებული საცვლები გადაეფინათ. საველე სამზარეულოს ორთვალსთან თეთრწინსაფრიანი ჯარისკაცი შეშას ჩეხდა.

გზაზე ქალი შემოხვდათ. შავი პალტო ეცვა, ჯიბეებგამოხერილი. ხელში პაპიროსი ეჭირა.

უნებურად თვალი გააყოლეს.

— რას მიყურებთ? — დაუძახა ქალმა, — თქვენ გეკითხებით, რას მიყურებთ-მეთქი?

სილოვანმა და იონამ ერთმანეთს დაბნეულად გადახედეს.

„მთვრალია“. — გაიფიქრა იონამ.

— მომიფურთხებია! — ყვიროდა ქალი, — მომიფურთხებია, ბებრებო, თქვენთვის!

სილოვანმა და იონამ აღარ იცოდნენ, რა ექნათ, მერე სილოვანმა თქვა:

— საცოდავი!

სახლს რომ მიუახლოვდნენ, იონამ უთხრა სილოვანს:

— რატომ ჩემთან არ გამოვივლით, დავსხდებოდით, ვილაპარაკებდით, მარტოს რა გაძლებინებთ?

— იონა, — სილოვანმა საჩვენებელი თითი შემართა, — სიმარტოვე სასჯელია, რომელიც ბოლომდე უნდა მოვიხადო.

— კი მაგრამ, რა დააშავეთ ასეთი?

— არაფერი. — სილოვანი გაჩუმდა, ცოტახნის მერე დაუმატა, — მაგრამ არც არაფერი გამოიკეთებია.

იონამ ტომარა ძირს დადო, პაპიროსის კოლოფი ამოიღო და სილოვანს გაუწოდა:

— მიირთვი.

— გმადლობთ, ჩემო იონა, არ მინდა.

„არ გინდა კი არა, სული მიგდის“, — გაბრაზდა იონა, მაგრამ სილოვანს ისევ შესთავაზა პაპიროსი:

— ჩემი ხათრით აიღე.

— შენი ხათრით კი ავიღებ ერთ ცალს.

იონა ჭაფარიძის ქუჩაზე, პატარა ეზოში შემალულ სახლში ცხოვრობდა. კრამიტით გადახურული, სამთვალისანი სახლის წინ ხურმის ხე იდგა, უშნო, ჩამოქანცული ტოტები სახლის სახურავზე დაესვენებინა, ხელებივით. ნაწვიმარზე სხვანაირად გამოიხედავდა ხოლმე, ფოთლები აუპრიალდებოდა.

იონას მდგმური ეყენა, მეზღვაური ოფიცერი, დიმიტრი ერქვა. მდგმური ზოგჯერ მთელი კვირა არ გამოჩნდებოდა ხოლმე, როცა დაბრუნდებოდა, საწოლზე მიეგდებოდა და ეძინა.

მის ოთახში ბუხარი ენთო. ასეთი ბუხარი ყველა ძველ სახლს ჰქონდა ბათუმში. ნაფოტები და ფიცრის ნაკუწები იონას მოჰქონდა ტომრით. ბევრი დაფუსფუსებდა მასავით ზღვასთან, ბევრი აგროვებდა ნაფოტსა და კანგაცილილ ტოტებს, ზღვას რომ ძვლებივით გამოებრა და გაელოკა. ზღვის ნასუფრალი ბურბუშელასავით მსუბუქი იყო, ცეცხლიც წვალეებით ეკიდებოდა, არც სითბო ჰქონდა, აბა რა სითბოს გამოატანდა ზღვა, მაგრამ არარაობას მაინც ეს სჯობდა.

მდგმური ხშირად პაპიროსის გაუხსნელ კოლოფს უტოვებდა მაგიდაზე, შაქარსაც, ძეხვსაც. პირველად ხელი არ ახლო მდგმურის საჩუქარს, იუკადრისა, სამათხოვრო რა მჭირსო, მაგრამ მერე გატყდა, აიღო. სამაგიეროდ ბუხარს უნ-

თებდა, რაც სრულებით არ ევალეობოდა. როცა შეატყო, ბუხართან უცდომად სიამოვნებდა, მას მერე თითქმის ყოველდღე გამოდიოდა ზღვის პირას, ზოგჯერ დღეში ორჯერაც კი. თვითონ ბევრი საქმე არ ჰქონდა. რა საქმე უნდა ჰქონოდა ომის დროს სიმღერის მასწავლებელს? შეჰყრიდა ბუხარში ნაფოტს, მოასხამდა წყალ-წყალა ნავთს, თუ ნავთი არ ჰქონდა — ნავთი ნაფოტზე ძნელი საშოვნელი იყო — შეეუქავდა ფიცრებში ქაღალდს და ისე ანთებდა ცეცხლს.

დიმიტრის ყველაზე დიდი ოთახი ექირა. ოთახში ნიკელის საწოლი, წიგნების კარადა, მაგიდა და რამდენიმე სკამი იდგა. ერთ კედელზე რუსთაველის დიდი სურათი ეკიდა, ვილაც თვითნასწავლი მხატვრის დახატული. ეს სურათი იონამ დიდი ხნის წინათ ბაზარში იყიდა, მოეწონა — შოთას მხარზე მტრედი ეჯდა, მობუზული. მეორე კედელზე დიმიტრის რუკა გაეკრა. რუკაზე პაწაწინა დროშები იყო დარქობილი, რომლებიც ხშირად იცვლიდნენ ადგილს. რუკის გვერდით ნატო ვაჩნაძის ფოტოსურათი მოჩანდა.

იონა პატარა ოთახში ცხოვრობდა, სამზარეულოს გვერდით. ძველისძველ სახლს ნესტიანი კედლები ჰქონდა, ნესტისგან ლოგინიც სველდებოდა. იონას მუხლები ტეხდა. და არა მარტო ამ სახლს, მიწასაც და ცასაც ნესტი გასჯდომოდა, საშველი აღარ იყო.

იონამ მდგმურის ოთახში შეიხედა. დიმიტრის საწოლზე გაუხდელს ეძინა, ერთი ფეხი ჩამოვარდნოდა, მუნდირი გაეღელა და ხელი უბეში ჩაეყო. შფოთავდა. პაპიროსის ნაწვევებით სავსე საფერფლე იქვე საწოლთან, იატაკზე იდო. იონამ კარი ცოტათი მოღებული დატოვა, კვამლით დახუთული ჰაერის გასაწმენდად.

თავის ოთახში შევიდა. ამ ოთახში მხოლოდ საწოლი და კარადა იდგა და კიდევ ერთი ძველებური დიდი კილობანი. ტომარა კართან მიაყუდა, კილო-

ბანთან მივიდა, სახურავი ახადა, გუ-
გუნავას „თამარიანის“ დაფლეთილი
ტომი ამოიღო, საწოლზე ფრთხილად
დადო. ამ წიგნს თავისი მეუღლის, ელი-
საბედის სახსოვრად ინახავდა. ისევ კი-
დობანს მიუბრუნდა. ახლა იქიდან კო-
ვერკოტის ნაცრისფერი კოსტუმი ამო-
იღო, ნაფტალინით აქოთებულ. გარეთ
გაიტანა, დაფერთხა, მერე გულმოდგი-
ნედ დაკეცა. „ახალია მთლად“, — გაი-
ფიქრა. ეს კოსტუმი ქორწილის მერე
აღარ ჩაუცვამს. თუმცა არა, ერთხელ
კიდეც ეცვა, როცა მისი სკოლის გუნ-
დი ოლიმპიადაზე გამოვიდა. იმ გუნდში
მამინ ვახტანგიც მღეროდა, მისი შვილი.

იმ ღამეს ბავშვს სიცხე მისცა. არ
მინდა სიმღერა, არ მინდა, — იმეორებდა
და ხელებს ჰაერში ასავსებდა. სწო-
რედ მამინ იტირა იონამ პირველად ბავ-
შუობის მერე, მწარედ გულდათუთქულ-
მა. ისეთი გრძნობა ჰქონდა თითქოს ძა-
ლიან უსამართლოდ მოექცენ. მერე
ელისაბედი შემოვიდა ოთახში:

— რა გატირებს, გაგივიდი? გაციე-
ბულია, გაუვლის.

— ხო, — უპასუხა იონამ, — ხო. —
ცრემლი მოიწმინდა.

იმის გაფიქრებამაც არანაკლებ დას-
წყვიტა გული, რომ, ალბათ, მოწაფეები
მეც დამცინიანო. ამას როგორ წარმო-
იდგენდა!

„ვის რად უნდა სიმღერა და თანაც
სკოლაში“ — ფიქრობდა ის, — მე ხაზ-
ვის მასწავლებელიც კი მჯობია. ვახტან-
გი მხოლოდ იმიტომ იტანჯება, მამა რომ
ყავს სასაცილო. ნუთუ მართლა სასა-
ცილო ვარ? ხომ შეიძლება მართლა შე-
მიძულოს შვილმა? მერე, როცა ჭკუაში
ჩავარდება, უკვე გვიან იქნება“.

შვილი შეეცოდა, იმიტომ რომ ასეთი
სასაცილო მამა ყავდა. მძინარეს
დახედა, შეტად საბრალო და უმწეო
მოეჩვენა, გამხდარი, გაჩხინკული. კი-
სერგადაგდებულს ყელზე ადამის ვაშლი
ამობურთვოდა. ესეც მისი წყალობა
იყო, თვითონ იმოდენა ადამის ვაშლი
ჰქონდა, თითქოს სასწორის ქვა გადაუყ-

ლაპიო. იქვე სკამზე ვახტანგის სათვალე
იღო, აიღო, გაიკეთა, თავბრუსხვევა
„ღმერთო, მთლად ბრმა!“ დიდხანს იჯ-
და შვილის საწოლთან, მისი ხელი ეჭი-
რა და დასცქეროდა. ელისაბედი შემო-
ვიდა:

— რას უზიხარ?
— არაფერს.

— წადი, დაიძინე, ეგ ხვალ კარგად
იქნება.

— ხო, ხო...

მთელი ღამე თვალი არ მოუხუტავს,
იწვა და პაპიროსს ეწეოდა.

მეორე დღეს ვახტანგი მართლაც გა-
მოკეთდა. დედა სკოლაში არ უშვებდა,
წუხელ სიცხე გქონდა, არ შეგაბრუნო-
სო. არ დაუჯერა. „გათავდა, ეგ ჩვენ
აღარ დაგვიჯერებსო“, — ფიქრობდა
იონა და თან შვილს თვალს არ ამო-
რებდა. ვახტანგი ჩაის სევამდა, მამისკენ
ერთხელაც კი არ გამოუხედავს. „რო-
გორი გამხდარია, — ფიქრობდა იონა, —
ცუდადაც აცვია, უკვე კაცია, ტანსაც-
მელი ჰქირდება. რამოდენა თმა აქვს,
დალაქთან უნდა წავიყვანო“.

სკოლისაკენ რომ მიდიოდა, გზად
სასაუბრეში შევიდა და არაყი დალია.
არასოდეს გაუკეთებია ასეთი რამ. სას-
მელი უცებ მოეკიდა, რადგან შეჩვეული
არ იყო, მითუმეტეს, დილით, ქუჩაში
რომ გამოვიდა, ბანცალეზდა. აუჩქარებ-
ლად წავიდა სკოლისაკენ, ბოლო გაკ-
ვეთილი უნდა ჩაეტარებინა ვახტანგის
კლასში. სიმღერა ყოველთვის ბოლო
გაკვეთილი იყო. რა დავაშავე, — ამბობ-
და ხმამაღლა, რა დავაშავე? მერე სიმღე-
რა წამოიწყო, მაგრამ მამინვე გაჩუმდა,
ვახტანგის სახე გაახსენდა. კი მაგრამ რა-
ტომ? — გამოელაპარაკა ფიქრში
შვილს, — რატომ? ახლა გუშინდელზე
უკეთესად შეეძლო ელაპარაკა ვახტან-
გთან, მაგრამ ვახტანგი აქ არ იყო. კათო-
ლიკური ეკლესიის წინ, მათხოვრის
გვერდით კიბის საფეხურზე ჩამოჯდა.
სკოლაში მისვლა აღარ უნდოდა.

— კიდეც სწამს ღმერთი ხალხს? —
ჰკითხა მათხოვარს.

— მომშორდი, ლოთო, — შეუღრინა მათხოვარმა. მოხუცი კაცი იყო, გაბარჯგუნული წვერით. მწვანე, დაგლეჯილი მაზარა ეცვა. თეთრწინდებიანი ფეხები წინ გამოშვირა, კალოშები გვერდით ეწყო, ჯოხთან ერთად.

— შვილი გყავს? — ჰკითხა მათხოვარს იონამ.

— მყავდა.

— მერე?

— რა მერე?

— უყვარდი?

— ვუყვარდი.

— რატომ?

— რა რატომ?

— რატომ უყვარდი?

— იმიტომ რომ ჩემი შვილი იყო.

— მერე რა?

— როგორ თუ მერე რა?

— მაშინაც მათხოვრობდი?

— ხო, მე სულ ვმათხოვრობ.

— რა დაემართა შენს შვილს?

— მოკვდა.

— რატომ?

— მომშორდი, თორემ ამ ჯოხს ხომ ხედავ! — უთხრა მათხოვარმა.

იონა წამოდგა:

— რა მოგივიდა შე კაცო?

— დამანებე თავი!

— რისგან მოგიკვდა შვილი?

— წყალში ჩავარდა და გაცივდა.

— წყალში რა უნდოდა?

— არ მომშორდები?

— რამდენი წლისა იყო?

— რა გინდა ჩემგან რა?

უცებ მათხოვარმა ტირილი დაიწყო.

— რა გატირებს, მივდივარ, ხომ ხედავ, მივდივარ.

მათხოვარს უკვე კარგად გამოცილებული იყო, მისი ხმა რომ დაეწია:

— თორმეტისა იყო, მოდი აქ, სად მიდიხარ?

იონა დაბრუნდა.

— მოდი, დაჯექი, ადგილი ყველას ეყოფა.

— მე არ ვმათხოვრობ, — უთხრა იონამ.

— ცოტოტას ყველა ვმათხოვრობთ.

— არა.

— მაშ რას აკეთებ?

— ვმღერო.

— მღერო?

— ხო, — იონამ წაიღიღინა.

— მთვრალი ხარ, — უთხრა მათხოვარმა, — წადი შინ, დაიძინე. სახლი ხომ გაქვს?

— მაქვს.

— ბედნიერი კაცი ყოფილხარ.

სამასწავლებლოში ომანიანად შევიდა: „ბოლოსდაბოლოს, მე არავიზე ნაკლები არა ვარ!“ დიდი დასვენება იყო, სამასწავლებლოში უჩვეულო სიჩუმე იდგა. იონამ ქუდი მოიხადა და მაგიდაზე დააგდო:

— რა მოხდა, რა დაგემართათ?

— უსვენდისო! — ჩაისისინა ჭიმიის მასწავლებელმა ქსენიამ, — როგორ გამომტყვერალა!

ამ დროს სკამიდან ვიღაც უცნობი კაცი წამოდგა და იონას მიმართა:

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მე ამ სკოლის ბუღბული ვარ! — უბასუხა იონამ და ხმამაღლა გაიციანა.

— ეს სიმღერის მასწავლებელია, — ჩაიბურტყუნა სასწავლო ნაწილის გამგემ, — იონა ჭორიძე.

— რა აზრისა ხართ დირექტორზე? — ჰკითხა უცნობმა.

— დიდი მამაძალი ვინმეა, — თქვა სიცილით იონამ და იქ მყოფ მასწავლებლებს თვალი გადაავლო: მე მისი სრულებითაც არ მეშინია და რომ იცოდეთ, არავისი არ მეშინია ამ ქვეყნად.

— მამაძალი? — გაიმეორა უცნობმა.

— ისე ცუდი ბიჭი არაა, მაგრამ, — თქვა იონამ და ქსენიას თვალი ჩაუკრა. ქსენიამ თავი მიიბრუნა.

— მაგრამ რა? — ჰკითხა უცნობმა და ახლოს მივიდა.

იონას რატომღაც მათხოვართან საუბარი გაახსენდა:

— დამანებე, თუ მამა ხარ, თავი, — უთხრა უცნობს, — თორემ ვიტყვებ.

— რატომ იყო მინც მამაძალი?

— როგორ თუ იყო, მოკვდა თუ?

— ო, შენი კუბო ვნახე, — ჩაისისინა ქსენიამ.

— მაინც რას ავეთებდა თავი როგორ ეპირა, იქნებ ვინმესთან, — უცნობმა ქალებს გადახედა.

იონამ გაიცინა, პირზე ხელი აიფარა:

— რას ბრძანებთ, მაგის თავი ჰქონდა? — თან უეკირდა, ქსენიას გარდა რომ არავის მიუქცევია ყურადღება მისი სიმთვრალისთვის.

ახლა უკვე ყველაფერს ბურუსში ხედავდა. ამ დროს მეორე უცნობი გამოჩნდა:

— გაანებე თავი მაგ კაცს, — უთხრა პირველს, — რას გადაეკიდე?

— მართლა, რას გადამეკიდე, ძმაო? — მიმართა იონამ უცნობს. არა, ის თავს აღარავის დააჩაგვრინებდა. დე, ყველამ იცოდეს, რომ ის ძველი, მორჩილი იონა მოკვდა. კი, მაგრამ დირექტორს რაღა დეემართა, ისიც მოკვდა? გამოდის, რომ იონა და დირექტორი მოკვდნენ და აქ სამასწავლებლოში გლოვია. მაშ, თვითონ რაღა ალაპარაკებს, ან ეს უცნობი კაცები ვინ არიან? ალბათ, კუბო მოიტანეს, ორი კუბო. მალე სასულე ორკესტრიც მოვა და შოპენის მარშს დაუქრავს.

— ოოო, — თქვა იონამ და სკამზე ჩამოჯდა, მერე თავი ჩამოუვარდა და მაგიდის კიდეს ჩამოჰკრა, — ოოო, — გაინეროა მან და დაიძინა.

— ვილაცამ შეიწვდრია.

— ა?, — იონამ თვალი მოიფშვინია: — რა მოხდა?

— ადექი, შე გათახსირებულო, — ჩაუსისინა ყურში ქსენიამ, — შენი გაკვეთილია.

— გაკვეთილი?

— არა ხარ სკოლაში შემოსაშვები, მაგრამ პატრონი რომ არაა? — თქვა ქსენიამ. მას სახეზე ბევრი პულერი წაესვა და ნამტირალევი თვალები დასიებოდა.

— გამაგებინე, ადამიანო, რა მოხდა? — იკითხა იონამ.

ქსენიამ სამასწავლებლოს კარი გაიჯახუნა და იონა მარტო დარჩა. როდის

წაეიდნენ სხვები, ნუთუ ყველაფერი დაესიზმრა? რა უნდოდა სამასწავლებლოში მათხოვარს? არა, მათხოვარი სამასწავლებლოში არ ყოფილა. მაშინ თვითონაც არ ყოფილა აქ. საიდანაც მძინარე მოუყვანიათ და აქ დაუსვამთ. ვაი, სირცხვილო, სამასწავლებლოში ეძინა! ვახტანგი რომ გაიგებს, რას იტყვის? ესლა აკვდა!

კლასში რომ შევიდა, შვილისკენ არ გაუხედავს, თუმცა მთელი გაკვეთილის მანძილზე გრძნობდა მის დაძაბულ მზერას. თავჩაქინდრული იჭდა მაგიდასთან, ხმაამოუღებლად გაატარა მთელი გაკვეთილი. მოწაფეები, თუ თავდაპირველად ჩვეულებისამებრ ხმაურობდნენ, ნელ-ნელა მიუჩნდნენ და კლასში სიჩუმე ჩამოვარდა. უცებ იგრძნო, უნდოდა ვახტანგს მართლაც შესცოდებოდა. მაგრამ მამა რომ შესცოდებოდა, კიდევ უფრო არ დაიტანჯებოდა? როგორ შეიძლება მამის შეცოდება, მამით უნდა ამაყობდე. ამასაც ფიქრობდა, მაგრამ მაინც ძალიან უნდოდა, ვახტანგს შესცოდებოდა. ხო, საბრალო იყო, მეტი თავი არაფრისა ჰქონდა. ჩანჩურაკაცი უნდა შეგებრალოს, — ფიქრობდა, — თუ არც შეიბრალებს, მაშინ რაღა მისი ცხოვრება? სიძულვილს ისევე სინარალული ერჩია. ისეთი კაცის შეყვარება, როგორც თვითონ იყო, ახლა შეუძლებლად ეჩვენებოდა. ეს კი საშინელი ტყვილით უკოდავდა გულს და არავინ იყო ქვეყანაზე, რომ მისი გაეგო. ის მათხოვარი კი შვილს უყვარდა, მე რა დავაშვეე ასეთი. თურმე აქამდე ასე ვაწვალებდი და არ კი ვიცოდი. ამ ტანჯვის ნამდვილი სათავე კი კლასში იმალებოდა, მოწაფეებს შორის, გატრუნულები რომ ისხდნენ და უცოდველი სახით შესცქეროდნენ თავჩალუნულ მასწავლებელს. მერე რა, რომ სიმღერის მასწავლებელი იყო? მერე რა? საიდან ჰქონდათ ამ ბავშვებს ასეთი დაუნდობლობა, განა რამე დაუშავა? მას ხომ ყველანი უყვარდა. უყვარდა არა მარტო იმიტომ, რომ ვახტანგის ამხანაგები იყვნენ. მათ სიცელქეზე ყოველთვის

თვალს ხეუკავდა. რაც არ უნდა დაეშავებინათ, არავის გაუმხელდა, სხვა მასწავლებლებივით ღირქეპტორთან არ გარბოდა. სწორედ ამიტომ, — გაუელვა უცებ, სწორედ ამიტომ, რომ გულჩვილი ხარ, რომ გიყვარს. აბა არ გიყვარდეს, აბა სჯიდე, აბა ორიანებს უწერდე! თუმცა ვის რაში ჭირდება შენი ორიანი თუ ხუთიანი, საწყალო სიმღერის მასწავლებლო, ვის რაში ჭირდება შენი სიმღერა. ამ ბავშვებთან ერთად, ალბათ, მათი მშობლებიც დაგცინიან. კი მაგრამ ვახტანგი, ვახტანგი რატომ არ დაინდეს? ის ხომ მათი ამხანაგია. ის ხომ, მაღლობა ღმერთს, სიმღერის მასწავლებელი არ არის.

ახლა გაახსენდა ის, რასაც ადრე რატომღაც ყურადღებას არ აქცევდა: ვახტანგს არც ერთი ამხანაგი შინ არ აკითხავდა. ერთხელაც არ გამოუვლიათ მისთვის ან კინოში წასასვლელად, ან ფეხბურთის სათამაშოდ. ფეხბურთს ვახტანგი არ თამაშობდა. მართლა, რატომ არ თამაშობდა ფეხბურთს? იმიტომ რომ დედამისს არ უნდოდა? რომელ დედას უნდა მისმა შვილმა ფეხბურთი რომ ითამაშოს, მაგრამ ქუჩები საესეა მობურთავე ბიჭებით. განა მათი კლასის ფანჯარაც ბურთით არ ჩაღწეეს? იმიტომ არ თამაშობს, რომ სათვალე უკეთია და რცხენია, თუმცა აგერ მის ამხანაგსაც უკეთია სათვალე, მაგრამ პირველი ფეხბურთელია. არა, სუსტია, მამას ჰგავს, სირბილი არ შეუძლია...

ნუთუ ეს გოგოებიც დასციმიან მას, მედიკო, ლეილა, ცისანა, მზია... მას ხომ შეიძლება უყვარდეს რომელიმე? რომელი?

გაკვეთილი რომ დამთავრდა და მოწაფეები გარეთ გაცვიფდნენ, ვახტანგი მიუახლოვდა მამას:

— რა დაგემართა?

მძიმედ ასწია თავი და შეიღწა შეხედდა, ახლა თვითონ ეცოდებოდა შეილი, ასე მარტო რომ იყო, ასე უამხანაგოდ.

— ავად ხომ არა ხარ? — ჰკითხა ვახტანგმა.

— არა.

— წამოდი, არ მოდიხარ შინ?
— შენ წადი, ამხანაგებთან წავიქნები
წადი.

— ისინი უკვე წავიდნენ.
— რატომ?
— რა ვიცი, წავიდნენ.
— რატომ არ დაგიცადეს?
— რატომ უნდა დაეცადათ? შინისკენ რომ მიდიოდნენ, იონამ ჰკითხა ვახტანგს:

— შენ ვისთან ამხანაგობ?
— ყველასთან.
— მაინც, მაინც?
— ხომ გითხარი, ყველასთან-მეთქი.
— მეგობარი არა გყავს?
— როგორ არა.
— მაინც ვინ?
— ყველანი ჩემი მეგობრები არიან.
— მეგობარი კარგია, — თქვა იონამ.
— ხო, მე კარგი მეგობრები მყავს.

აი, განა ეს არ უნდოდა იონას: ვახტანგი ტყუოდა, იმიტომ რომ მამა დაემშვიდებინა. მაშასადამე ბავშვი გრძნობდა, რა საშინელება იყო უმეგობრობა. რა უნდა ექნა იონას? კარიდან კარზე ხომ არ ჩამოუვლიდა ვახტანგის ამხანაგებს, ჩემს შვილთან იმეგობრეთო. კიდევ უფრო სსასაცილო გახდებოდა. არა, მათთან ფრთხილად უნდა დაგვეჩირა თავი. რა დაუნდობლები ყოფილან!

— აი, მედიკო, — დაიწყო იონამ. — მედიკო სხირტლაძე... კარგი გოგოა, — და თვალი შვილისკენ გააპარა.

ვახტანგს წარბიც კი არ შეხრია, რაც იონას რატომღაც არ ესიამოვნა.

— ხო, — თქვა მან, — კარგი გოგოა.

აი სწორედ აქ დაუშვა კიდევ ერთი შეცდომა იონამ:

— კარგად მღერის, — თქვა და იმ წამსვე ენაზე იკბინა.

ვახტანგს არაფერი უთქვამს, ჩუმად მივიდნენ სახლამდე.

მეორე დღეს, სამზარეულოში რომ შევიდა, იონამ ჰკერზე ჩამოკიდებული ვახტანგი დაინახა, ფეხებს აფართხლებდა.

— შვილო! — შებლაღვა იონამ, წაქ-

ცულო სკამი წამოაყენა. შეხტა. შეილის სხელი მკერდში ჩაიკრა, მალა ასწია, ცალი ხელით ყელზე შემოჭერილი ყულფი ახსნა, მერე სკამიდან ფრთხილად ჩამოვიდა, შეილი საშინლად მძიმე მოეჩვენა, იატაკზე დაასვენა და გარეთ გამოვარდა:

— მიშველეთ, მიშველეთ, ხალხო!

ექიმმა თქვა:

— სულზე მიგისწრია, ერთი წამიც და აღარ იქნებოდაო.

— რატომ, რატომ? — შეპბლავლა ექიმს.

ექიმმა მხრები აიჩეჩა.

ვახტანგი ერთი კვირა იწვა. კისრის ძარღვები ტკიოდა, დასიებოდა. „იქნებ გაგიედა,— ფიქრობდა იონა,— ან იქნებ მართლაც ვიღაც უყვარს“. აბა სხვა რითი აეხსნა შეილის საქციელი. ელისაბედიც მისვენებული ეგდო. პირველად გული რომ წაუვიდა, მას მერე გოშზე ვერ ბოიყვანეს. იონა ოთახში დადიოდა და ხმადალა ლაპარაკობდა: რატომ, რატომ რა დაეაშავე ასეთი. ქვეწარმავალი ხომ არა ვარ, ასე რომ შემოძულოს შეილმა? დარწმუნებული იყო, რომ ვახტანგს ამიტომ უნდოდა თავის მოკვლა და არც შემცდარა. რამდენიმე დღის მერმე გაიგო, რომ ჭიმიის მასწავლებელს ქსენიას ვახტანგისათვის ეთქვა: მამაშენმა ღირეჭტორს ტყუილუბრალოდ ცილი დასწამაო, სკოლაში მთვრალი გამოცხადდა, იმიტომ რომ სინდისი არ ჰქონდა სუფთა და ჩვენთვის თვალში შეხედვა ფხიზელს მოერიდოო. მერე ვახტანგმა, აღბათ, ამ ამბავს ისიც დაუკავშირა, მამამისი მთელი გაკვეთილის განმავლობაში თავჩადუნული რომ იჯდა და ბავშვსაც მეტი არ უნდოდა. თანაც ეს ჭიმიის მასწავლებელმა საჯაროდ განაცხადა, მთელი კლასის გასაგონად.

იონა ადგა და ქსენიასთან წავიდა.

— რა მიყავი, ქსენია, ეს, რატომ მომიკალი შეილი? ან მე რატომ მომიკალი, რას მერჩოდო, რა დაგიშავე, ქალო? ასეთი ცილისწამება გამოვიდა?

— მაპატიე, ჩემო იონა,— უპასუხა ქსენიამ, — ხომ იცი, უბედურებამ თვა-

ლი დამიბნელა, რა არ ვიფიქრე, აბა რას ერჩოდნენ იმ ანგელოსიერებ წყლთა კაცს.

— ხომ არაფერი მოსვლია?

— არა. საჩივარი შეუტანია ვილაყას და იმიტომ მოვიდნენ შემოწმებაზე. ბოდოში ბატონო, შეცდომა მოხდაო, უთქვამთ და გამოუშვიათ. მაპატიე, თუ შეგიძლია.

— მე კი გაპატიებ, მაგრამ... ის ბიჭი კი დამედუბა და... მე ხომ დამედუბე და დამედუბე სამუდამოდ.

— შენს შეილს მე ჩავუვარდები ფეხებში, ყველაფერს ავუხსნი და მე ვეტყვი ნუ გეშინია. ისე ლეთისნიერი შეილი კი გყოლია, რომ იცოდე...

— კინალამ მომიყვდა და... სულ ტყუილ-უბრალოდ.

— მაპატიე, იონა, შენს საყვარელ შეილს გაფიცებ. ეგ ამბავი რომ გავიგე, კინალამ გაგვიყდი. როგორ ვიფიქრებდი, ბავშვი თუ ასე განიცდიდა.

— აღარ არიან ეგენი ბავშვები.

— მართალი ბრძანდები. მაპატიე შენი ჭირიმე. ერთი სულელი ქალი ვარ, შენც უნდა გამიგო, ისედაც არ მქონდა ჭკუა და მაშინ სულ დავკარგე.

— ეჰ, ჩემო ქსენია, მე კი გამაუბედურე და...

მეტი რაღა უნდა ეთქვა, გამობრუნდა. ქსენია ჭიშკრამდე გამოჰყვა, მაპატიე, მაპატიეს ძახილით, თითქოს ეს იონას უბედურებას რამეს უშველიდა.

ავადმყოფის სანახავად მედიკო მოვიდა, მედიკო სხირტლამე:

— შედი, შეილო, ნახე,— უთხრა იონამ,— ოღონდ არ დაილაპარაკოს, ხმა კი არა აქვს.

ცოტა ხანს იჯდა მედიკო ვახტანგის საწოლთან. იონამ შეიჭყიტა ოთახში: გოგონას ხელები მუხლებზე დაეწყო, წელგამართული დასცქეროდა ვახტანგს, ვახტანგიც უყურებდა თვალმოუშორებლად. რატომღაც ტირილი მოუნდა იონას. საკვირველი ის იყო, რომ სიხარულისგან უნდოდა ეტირა.

— ხომ ვამბობდი, ხომ ვამბობდი,— უთხრა მან ელისაბედს, რომელიც

წამომდგარიყო და დიდხინის ნაადამ-
ყოფარივით დაფარვატებდა, — ხომ
ვაშობდნი!

— რას ამბობდნი, რას? რას ამბობ-
დნი, ადამიანო?

— ხომ ვაშობდნი, — ამის მეტი ვე-
რაფერი თქვა იონამ.

იონამ მედიკო ჭიშკრამდე მიაცილა.

— ნახვამდის, პატივცემულო მასწავ-
ლებელო, — უთხრა მედიკომ.

— ნახვამდის, გენაცვალე, მოდი
ხოლმე.

— მოვალ უსათუოდ.

— ვახტანგს გაუხარდება.

— კი, ბატონო.

— ვახტანგი ცუდი ბიჭი არ არის,
ხომ იცი, მედიკო.

— ვახტანგი ძალიან კარგი ბიჭია.

— ხოდა, ზშირად გამოიარე. თუ გინ-
და, გაგაცილებ, ბნელო.

— არ მეშინია, პატივცემულო მა-
სწავლებელო.

იონა ცოტახანს იდგა ჭიშკართან, მი-
მავალ მედიკოს გასცქეროდა, მერე შინ
ღღარ შემობრუნებულა, თეატრისკენ
გასწია. თეატრი კომინტერნის ქუჩაზე,
ფოსტის გვერდით იყო, პატარა, ყვით-
ლად შეღებილ შენობაში.

იონა კულისებში შევიდა და მეხანძრე
ერმილეს გვერდით ხის ყუთზე ჩამოჯდა.

— არაფერი არაა კაცის ცხოვრება, —
უთხრა ერმილემ.

იონამ ვერ გაიგო, რატომ ეუბნებო-
და ამას ერმილე. ერმილეც მიხვდა, მის
ნათქვამს დაზუსტება რომ ჭირდებოდა,
ამიტომ ხელი სცენისკენ გაიქნია, სა-
დაც ამ დროს წარმოდგენა მიდიოდა.
იქიდან ქალის ტირილი ისმოდა, რო-
მელსაც ზოგჯერ კაცის ძღვრიალა, ნაწყ-
ვეტ-ნაწყვეტი ფრაზეები გაერეოდა. ეს
ბატონი სილოვანის ზმა იყო.

— არაფერი, — დაეთანხმა იონა
ერმილეს მხოლოდ იმიტომ, რომ არ უნ-
დოდა ეწყენინებინა.

ცოტახანს შემდეგ კულისებში ბატო-
ნი სილოვანი შემოვიდა, ხელმწიფის
ტანსაცმელში გამოწყობილი. გვირგვი-

ნი მოიხადა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამო-
იღო და შუბლზე ოფლი შეიწმინდა.

— იონას ვახლავარა?

— გამარჯობათ, ბატონო სილოვანი!

— ბიჭი როგორ არის?

— ახლა არა უშავს. თქვენთან მქონ-
და პატარა საქმე, — იონა გაჩუმდა,
ერმილე მაშინვე წამოდგა და გვერდზე
გავიდა.

— გისმენ, ჩემო იონა.

— რა ვქნა, ბატონო სილოვანი?

— რა იყო, კაცო?

— ახლა ყველას ხომ არ ჩამოეუფლი,
არ დამიბეზღებია-მეთქი ის კაცი, სკო-
ლაშიც ვერავის ვეუბნები.

— მე უკვე დამავიწყდა, შე კაცო.

— ბიჭი მეცოდება.

— ხომ გაიგო სიმართლე?

— კი.

— ხოდა, აბა რა გინდა მეტი.

— კინაღამ მომიკვდა...

— რა ბედნიერი ხარ, რომ იცოდე, —
თქვა სილოვანმა და ყუთზე ჩამოჯდა, —
დავიღალე.

იონა გაკვირვებული უცდიდა, როდის
გააგრძელებდა სილოვანი სიტყვას, რამ
გადარია ეს კაცი, რომელ ბედნიერება-
ზე მელაპარაკებო.

— ბედნიერი ხარ, — თქვა სილოვანმა,
თითქოს იონას გაკვირვება შეატყობო და
ამიტომ სასწრაფოდ დაუმტა, — შვილი
რომ გყავს, იმიტომ ხარ ბედნიერი.

— ახლა შვილი უნდა მოგვკლა ჩემი
ხელით, — თქვა მან სიცილით, მერე სა-
ხე შეეცვალა, იონას მხარზე ხელი და-
ადო და უთხრა, — ნუ გეშინია, ყველაფე-
რი კარგად იქნება.

— გამოგველოთ ერთი, დალაპარაკე-
ბოდით, თქვენ უყვარხართ.

— კი, მოვალ უსათუოდ, — დაბირ-
და სილოვანი, — ახლა შენ ნუ მოიკ-
ლავ თავს, შტერი ქალის ლაპარაკს
უგდებ ყურს?

იონამ მდგმურის ოთახში შეიხედა,
დიმიტრის ისევ ეძინა, ისევ შფოთავდა.
იფიქრა, გავალვიძებო, მაგრამ ვერ გა-
ბედა. ბუხარში ცეცხლი დაანთო —

სითბოზე ისედაც გაიღვიძებო — და ოთახიდან ფეხაკრფით გამოვიდა. კოსტუმი ვაზეთში გაახვია და ბაზრისკენ გაემართა.

ბაზრამდე რომ მისულიყავი, თითქმის მთელი ქალაქი უნდა გადაგეჭრა ფეხით, ავტობუსი იშვიათად გამოჩნდებოდა, თანაც ისეთი სავსე იყო, მაინც ვერ ახვიდოდე.

ქალაქს ნაცრისფერი ეღო. ნაცრისფერი იყო ქუჩები, სახლები, ხეები და ცაც. ზოგიერთი მალალი სახლი ყვითელ-მწვანედ აეჭურლებინათ. ეს მაინც არაფერს ცვლიდა, ნაცრისფერი ბატონობდა ქალაქში. თითქოს ვიღაცას ღრუბელივით უზარმაზარი ფუნჯი წაესვას ქალაქისათვის. შეიძლება ეს უსახური მარტის ბრალიც იყო, შეიძლება ვინმეს ასედაც ეფიქრა, მაგრამ ნამდვილად კი ეს ფერი ოჰმა მოიტანა.

აფიშები ქალაქის კედლებზე ბლომად იყო გაკრული: უამრავი გადმოხვეწილი თეატრის დასი თავს აფარებდა ქალაქს. აფიშებიდან უმთავრესად აღმოსავლურად შორთული ილუზიონისტები იჭირებოდნენ, ყველაზე მეტი მაყურებელი მათ ყავდათ.

ხალხი უმთავრესად პურისა და ნავთის რიგში იდგა. ზოგჯერ ხალხის ნაცვლად, მაღაზიებთან დანომრილი ქვები ეწყო.

ციოკის წინ ტროტუარზე გაშლილ კარვებში ბოშები ცხოვრობდნენ. ცირკში ყოველ საღამოს კიდაობა იმართებოდა, კიდაობდენ სახელგანთქმული, ბებერი მოჭიდავეები, კიდაობის შემდეგ ბოშები მღეროდნენ. ბოშებს დათვი ჰყავდათ, რომელიც უკანა თათებზე შემდგარი დადიოდა. ამ დათვის წყალობით, დღის წარმოდგენებზე ბავშვების ტყეა არ იყო. დათვს ბორისი ერქვა და მთელი ქალაქი იცნობდა.

გორკის ქუჩაზე, სადგურიდან „ინტურისტის“ ახალაგებულ შენობამდე რკინიგზის ტოტი მიდიოდა. „ინტურისტის“ შენობაში ჰოსპიტალი გაეხსნათ და ამ გზით მატარებელს დაჭრილები მოყავდა.

სადგური ლტოვილებს გაეცო. კარანტინის მერე, ისინი ადგილობრივ მკვიდრებს ეხიზნებოდნენ, მაგრამ ქალაქის ხელისუფლება მაინც იძულებული იყო, მათთვის სანახევროდ სკოლებიც კი დაეცალა.

ომი რომ დაიწყო, ვახტანგი სკოლას ამთავრებდა. მთელმა კლასმა მოხალისედ გადაწყვიტა წასვლა. კლასში ჩვიდმეტი ბიჭი იყო. იმ დღეს ვახტანგი გახარებული დაბრუნდა შინ.

— ომში მივდივარ, — უთხრა მამას, — მთელი კლასი მივდივართ!

ელისაბედმა შეიცხადა:

— რას ჰქვია, ომში მიდიხარ, რა დროის შენა ომია, ბავშვებს ომში რა უნდათ?

— მე ბავშვი აღარა ვარ, — უთხრა ვახტანგმა დედას, — ყველანი მიდიან!

— რა გინდა, ქალო, მაგ ბიჭისაგან, — უყვირა იონამ ელისაბედს, — გაანებე თავი!

— არა, დედა, შენ ომში რა გინდა, ყველა კი არ მიყავთ იქ, — უმწეოდ გაიღიმა ელისაბედმა.

— თავი გამანებე, — იყვირა ვახტანგმა, მაგრამ თითქოს საკუთარმა ხმამ შეაკრთო, დედას საზე აარიდა და ნაძალადევი ღიმილით თქვა:

— სათვალისი ჯარისკაცი არ გინახავს?

— არა! — იყვირა ახლა ელისაბედმა.

— ხო, იაპონელი ჯარისკაცები სულ სათვალისით არ არიან? — თქვა იონამ.

ელისაბედი სკამზე ჩამოჯდა, რაღაც საცოდავად მოიბუზა, დაატარავდა. წინსაფრის ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და პირზე აიფარა.

„იქნებ მართლა გონია ვახტანგს, რომ არ მიყვარს, — ფიქრობდა იონა, — კი მაგრამ, რატომ უნდა ეგონოს ასე? მართალია ელისაბედი, ვახტანგის ომში წასვლა როგორ შეიძლება, პირველსავე დღეს მოკლავენ და რაღად მინდა მერე სიცოცხლე...“

იმ დამეს ვახტანგი შინ არ მოსულა. იონას გულმა ვერ გაუძლო და საქებნე-

ლად წავიდა, მთელი ქალაქი მოიარა, ვერ იპოვა. უკვე ძალიან გვიანი იყო, როცა ზღვის პირას ბაღში გავიდა, ყველა კუნძული მოჩხრიკა, ვახტანგი კი არ ჩანდა.

მთვარიანი ღამე იყო. განაბული ზღვა მთვარის შუქს სარკესავით ირეკლავდა. იფიქრებდი, ზღვა კი არა, თვითონ სიჩუმე ბრწყინავსო. ბუნება ძილში, ბავშვივით, უჩუმრად და მშვიდად სუნთქავდა.

— ღმერთო, შენ უშველე ჩემს შვილს, ღმერთო, — ეს სიტყვები კი არ თქვა, ამოიგმინა.

სჯეროდა, რომ ომი მალე გათავდებოდა, უსათუოდ გავიმარჯვებდით, მაგრამ ეს მოკლე დროც საკმარისი იყო იმისთვის, რომ ვახტანგი ამ ქვეყნიდან გამქარაილყო.

ადამიანის ცხოვრებაში არის წუთი, როდესაც სწამს, რომ ვიღაცას თავისი თხოვნა მიაწვდინა, ღმერთი იქნება ეს თუ ბუნება, სულერთია, ვიღაცა დიადმა, რომელზედაც კაცის სიცოცხლეა დამოკიდებული, გაიგო მისი სიტყვა. იმ უამრავ საჩივარსა, ვედრებასა და ლოცვას შორის წიწილივით გამოიჩეკა სახელი ახალი ადამიანისა, რომლის გადარჩენასაც იხვეწებოდნენ, მაგრამ ახლა ბევრი იხვეწებოდა ქმრის, შვილის, შვილიშვილის თუ ძმის გადარჩენას. რომელი ერთი უნდა აერჩია ღმერთს, რომლისთვის უნდა დაეფარებინა თავზე ხელი. შეეძლო კი ვინმეს გადარჩენა, შეეძლო კი დაეხსნა ვინმე გააფთრებული კაცის ხელიდან? მაგრამ ბევრმა დაიძინა იმ ღამეს მშვიდად, დარწმუნებულმა, რომ მისიანი უსათუოდ გადარჩებოდა.

გზებზე, როგორც აღიდებული მდინარეები კალაპოტებში, ვეღარ ეტყვიან დაჭრილი ჭარისკაცებით, ქალებით, ბავშვებით, სახსე მატარებლები, მანქანები, ფორნები, ურბები. იწვის ქალაქები,

სოფლები, ყანები. ერთმანეთში არეულა მტვერი, სისხლი, ოფლი ფეხს ფეხკვლი მასა, როგორც ვულკანის გამოვრცხებული ლავა ეფინება მიწას და გზადაგზა ყველაფერს ანადგურებს.

ვახტანგი მიდის ტრიალ მინდორში და ვერაფერს ხედავს, რადგან სათვალე დაკარგვია. დედას ეძახის და კიდევ ერთი ტრიალი მინდორია აქვე. იმ მინდორის მთელ სივრცეზე თოკია გაქიმული, რომელზედაც ახლა ელისაბედი სარეცხს კიდებს. მე სადა ვარ, მე? — ფიქრობს იონა და მართლაც ის არსად არის, თუმცა ყველაფერს ხედავს და გრძნობს

ასე ეძინა მთელი ღამე ზღვის პირას ქვაზე ჩამოშდარს და როცა გაეღვიძა, უკვე თევზებოდა. მთვარე ჩასულიყო. ზღვას გამოხუნებულ ბინდიდან ხელები გამოეყო და ნაპირზე აფათურებდა, თითქოს რაღაცას ეძებო. აქლოშინებული გამოვარდა ბალიდან და სანამ ბაღში მორბოდა, სულ ეგონა, რომ ჭერ კიდევ სიზმარში იყო.

ვახტანგი სამხედრო კომისარიატიდან უარით გამოისტუმრეს. ისეთი დაბრუნდა შინ, დანა პირს არ უხსნიდა.

სადილობის მერე ელისაბედმა თეფშები სამზარეულოში გაიტანა, იონა და ვახტანგი მაგიდასთან დარჩნენ, იონა ცარიელ ჭიქას ატრიალებდა ხელში, ვახტანგი თავჩალუნული იჯდა.

უარმა იონა ჭერ გაახარა, მერე კი, ვახტანგის შემხედვარე, დაიბნა, აღარ იცოდა, გახარებოდა თუ წყენოდა. „არა, სხვანაირად ვერ მოიქცეოდნენ“ — ფიქრობდა იონა. ეს ფიქრი მის სიხარულს კანონიერს ხდიდა, რომელსაც ცოტადენი ღრუბელი მიინც ერია: ნუთუ მართლა ასეთი სუსტია? მაგრამ ეს ღრუბელი ადვილად იფანტებოდა, ოღონდ ვახტანგის ღუმელი უწრიალებდა გულს სიჩუმე ნელ-ნელა აუტანელი ხდებოდა, მაგიდაზე თითქოს მიცვალებული ესვენა.

— ვახტანგ, შეილო, — თქვა იონამ და შეკრთა, თითქოს სხვას ეთქვას ეს სიტყვები. თვითონ მართლაც არ აპირებდა ხმის ამოღებას, ან რა უნდა ეთქვა? ვახტანგმა თავი ასწია, თვალები ცრემლით გავსებოდა, ნიკაძი უცახცახებდა, — ყველა ხომ არ წავა ომში, აქაც არის საჭირო ხალხი...

გრძობდა, რომ იმ სიტყვებს არ ამბობდა, რასაც ვახტანგი მისგან ელოდა. ალბათ, ვახტანგმა მასზე უკეთესად იცოდა, რომ ყველა ვერ წავიდოდა ომში, ან მამამისიც ხომ შინ რჩებოდა?

„როგორ შეიძლება ჩვენი შედარება. — გაიფიქრა მაშინვე, — ამხანაგებში აქაც გამოირჩა, აქაც განზე დარჩა“.

გული გაებერა, ისე შეეცოდა შეილი. თითქოს დიდი უსამართლობის მსხვერპლი მჭდარიყო მის წინ და საშინალებას ის იყო, რომ ამ უსამართლობას ვერავის დასწამებდა, საკუთარი თავის გარდა: თვითონ იყო გონჯი და შეილიც მას დაემსგავსა, ამიტომაც შინ უნდა დარჩენილიყო მამამისივით.

ისინი ბეწვის ხილზე იდგნენ, ერთი წამიც და ხილი ჩაწყდებოდა, ისინი სამუდამო სიძულვილის მორევში ჩაიხრჩობოდნენ.

— მიშველე! — თქვა ვახტანგმა ჩუმად.

— მე რა შემიძლია? — ამოიკენესა იონამ.

ფიქრით კი უკვე აქეთ-იქით აწყდებოდა, სამხედრო კომისარს ფეხებში უვარდებოდა, ექიმებს კალთებს აგლეჯდა, ეხვეწებოდა: წაიყვანეთ, წაიყვანეთ. წაიყვანეთ ჩემი შეილი. არაფრად აგდებდა არც დამცინავ ლიპილს, არც გაკვირვებულ მზერას... ოღონდ... ნუ ტირი, ვახტანგ, ნუ ტირი, მამიკო, ნუ... ოღონდ მისი შეილი მართო არ დარჩენილიყო... მართო!

— შეგიძლია, — უთხრა ვახტანგმა, გადმოიხარა, ჭიქა გამოართვა. მკერდზე მიიკრა, მეორე ხელი ზედ დააფარა, თითქოს რაღაც ძვირფასი და ნაწატრი ნივთი იპოვაო და ამ უბრალო, უაზრო

მოძრაობამ იონას გული ამოუტრიალა, ისეთი საცოდავი იყო ვახტანგის მზერა.

იონა სილოვანთან გაეარდა, გავლენიანი კაცი ხარ, უნდა მომეხმარო!

— ძალით როგორ წავეყვანიო? — გაუეკვირდა სილოვანს.

— წაიყვანონ, შტაბში მაინც იმუშავენ, კარგი ხელი აქვს, რუსულიც იცის, — არ მოეშვა იონა.

— აქაც გამოუჩნდება რაიმე საქმე. — თქვა სილოვანმა, — ყველა რომ ომში წავიდეს, რა გამოვაო?

— მეც მაგას ვეუბნები, მაგრამ არ მიჯერებს, — უპასუხა იონამ, — ამბობს, ჩემი თავის პატივისცემას დავეკარგავო.

ვახტანგს ეს სიტყვები არ უთქვამს. მაგრამ იონა დარწმუნებული იყო, ნამდვილად ასე ფიქრობდაო.

— ისე, ჩემო იონა, სიმართლე რომ გითხრა, ძალიან მივიკირს, ასე რომ ხარ მონდომებული.

— ეხ, — ამის მეტი ვერაფერი უპასუხა სილოვანს.

სილოვანმა იონა ერთ ცნობილ ექიმთან წაიყვანა. ექიმი სამხედრო კომისარის ნათესავი იყო. პატარა, ორსართულიან სახლში ცხოვრობდა, დეკორატიული ქოთანით რომ ჩაედგათ ერთიანად ამწვანებულ და აყვავებულ ეზოში.

კიბის თავში თეთრი, პაწაწინა გოშია დასკუპებულიყო და გრძელი, წითელი ენა გადმოეგდო, თითქოს წაშლია შუშაზე რეცეპტი მიუწებებიათო. ექიმი და მისი მეუღლე უშვილოდ გადაგებულიყვნენ, ალბათ, ესეც იყო მიზეზი მათი თვალშისაცემი და გულისამაჩუყებელი მეგობრობისა. ისინი სიამის ტყუპებით ცხოვრობდნენ და არაფერს იკლებდნენ, რაც ნებადართული იყო საზოგადოებრივი აზრის მიერ.

ექიმი ადრეგარდაცვლილი ცნობილი პოეტის მშა გახლდათ, ზეჭებში ოდნავ მოხრილი, მაღალი, ღიბიანი კაცი იყო. ინტელიგენტური ცხოვრებისგან გულმოდგინედ დამახინჯებული და დამრგვალებული მისი სხეული გრძელ, წვრილსა

და მოგრებილ ფეხებზე იყო შემდგარი. სახით რომელიღაც ბრძენსა და გამუდმებით ჩაფიქრებულ ფრინველს წააგავდა. დიდი, მოკაუკებელი, სიფრთხანა ცხვირი მის სახეს ზვიად იერს აძლევდა, თუმცა ამ შთაბეჭდილებას მაშინვე აქარწყლებდა თეთრი, ხშირი წარბების ჩრდილში შემალული, სიცოცხლის დაუმტრალი წყურვილით აკიაფებული ბავშვური თვალები. გლობუსივით გამოზურთულ, დიდ, დანაოტებულ შუბლს სპეტაკი კლარა უსიამოვნოდ უნახებდა, წმინდანის დაკმუტვნილი და შელახული შარავანდედით, თუ კი, რასაკვირველია, დაკმუტვნილი და შელახული შარავანდედის წარმოდგენა შეიძლება.

— ჩემს ძმას ეგვიპტური პაპიროსები უყვარდა, — ამბობდა ის, — პაპიროსები ბრჭყვილა კოლოფში ეწყო. ის პაპიროსს ეწეოდა, მე კი კოლოფებს ვაგროვებდი.

ამბობდა, მემუარებს ვწერ და ამ მემუარების უმეტესი ნაწილი ძმისადმი იქნება მიძღვნილიო. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან თუმცა მას ძმაზე ორჯერ უფრო მეტ ხანს ეცოცხლა და კიდევ არაფერი იყო, რამდენ ხანს იცოცხლებდა, თუ კი ასე მოუვლიდა თავს და არც არავის ჰქონდა რაიმე საწინააღმდეგო, თუნდაც ეს წელიწადს ეცოცხლა, იმიტომ რომ სასიამოვნოდ უვნებელი კაცი იყო, მაინც ყველას რატომღაც სჯეროდა, რომ თავისი პირადი ცხოვრებიდან ისეთს ვერაფერს მოიგონებდა, წიგნის თუნდაც ათი გვერდი რომ შეეცო, ისეთი კაცი იყო, რომელიც ცხოვრებას, თავისი რკინისებური ჯანმრთელობისა და პიროვნული უმნიშვნელობის გამო, უვნებლად მიჰყვება ხოლმე გვერდით და შიგ ფეხის ჩაყოფისაც კი ეშინია, როგორც ყინულივით ციფ წყალში, და იმიტომ ცხოვრებისგან სურდოც კი არ შეიძლება რომ შეეყაროს. მთელი ერთი საათის განმავლობაში ისინი დახუთულ ოთახში ისხდნენ. აქ ფანჯრებს არ აღებდნენ, არც პაპიროსის მოწევის უფლება მისცეს იონასა და სილოვანს, არც ხმა ამოაღები-

ნეს, მარტო ცოლ-ქმარი ლაპარაკობდა და ის ერთი ბოთლი ღვინოს მძახის პატივსაცემად რომ გამოიტანეს, სხელუხლებელი დარჩა.

რამდენიმე ფოტოსურათი (კატატროფაში მოყოლილი კაცის საბუთივით ცოტა!) და პაწაწინა ბროშურა, რომელიც ოციან წლებში გამოეცა მის ძმას — ეს იყო და ეს, რაც თავისი სახელოვანი ძმის სამახსოვროდ დარჩენოდა. — ბავშვობაში ჩემს ძმას სურათების გადაღება არ უყვარდა, — თქვა ექიმმა, — ი, ეს კი ჩემი სურათებია!

და ჩემოდნიდან დიდი, ძვირფასი ალბომი ამოიღო. მართლაც, იმ ალბომში მხოლოდ მასპინძლის სურათები იყო ჩაკრული, ძველებურად მაგარ, გაყვითლებულ მუყაოზე დაბეჭდილი და ყველა სურათზე დიდთავა, ცოცხალთვალემა, თმახუტუტა ბიჭი ეხატა, ყელზე თეთრბაბთა შემამული.

ექიმი იონას საქმის გაკეთებას დაპირდა, თუმცა ისიც თქვა: ამგვარი რამ პირველად გავიგეო.

მერმე ცოლმა და ქმარმა ცოტახანს თეატრზე ისაუბრეს. ერთმანეთს ახსენებდნენ ვიღაც ოდესეღ მომღერალს, მასთან გატარებულ საღამოს და ათას ამგვარ ამბავსა და შემთხვევას.

გზაში სილოვანმა თქვა:

— კაცი ცხენზე ზის და მიდის. ეს ცხენი მისი ძმაა. შეიძლება ესეც მომხდარიყო, რომ თვითონ ყოფილიყო ცხენი, ძმა კი მხედარი. ორივე პოსეიდონის შვილია. მხედარს ქრიზაორე ჰქვია, ცხენი კი პეგასია.

იონამ ჰკითხა:

— ეგ რაღაა?

სილოვანმა უპასუხა:

— მითოლოგია!

იმ საღამოს იონა, ელისაბედი და ვახტანგი ომში მიმავალი ბიჭების გასაცილებლად სადგურში გავიდნენ. უამრავ ხალხს მოეყარა თავი. ორკესტრი გრგვინავდა. კედლები ტრანსპარანტებითა და პლაკატებით აუკრელებინათ. ბიჭები ვაგონის ფანჯრებში გადმოყუდე-

ბულოყენენ. ვაგონის კართან შეახნის ლეიტენანტი იდგა, ქუდი ხელში ეჭირა და ოფლს, სახეზე წურწურით რომ ჩამოსდიოდა, ცხვირსახოცით იწმენდდა. კედელთან გოგოები ატუზულიყვენენ მწკრივად. ზოგი ტიროდა.

ვახტანგი იონასა და ელისაბედს უკანაში ჩაეყენებინათ. ბიჭებმა რომ დაინახეს, ხელი დაუქნიეს და დაუძახეს:

— პა, ვახტანგ, არ მოდიხარ?

ვახტანგმა თავი ჩაღუნა.

ელისაბედმა ვახტანგს სათვალე მოგლიჯა და ბიჭებს დააპაზვა:

— როგორ წამოვიდეს, როგორ?

ბიჭებმა გაიცინეს. მათთვის უკვე ყველაფერი სულერთი იყო.

უცებ სიჩუმე ჩამოვარდა, რადგან უფრო იგრძნეს, ვიდრე დაინახეს, რომ მატარებელი დაიძრა. ლეიტენანტი კიბეზე შემხტარიყო.

ისევ ახმაურდა ხალხი, შეჭკუფდა, ატორტმანდა, მატარებელს მიჰყვა. ცოტახანს ისე ჩანდა, გეგონებოდა ხალხს ვაგონი მხრებით მიაქვსო. ორკესტრი ისევ გრგვინავდა. ვახტანგი თავჩაღუნული იდგა.

უკან ჩუმად ბრუნდებოდნენ.

ღამდებოდა.

ქალაქი თითქოს ერთიანად დაცარიელებულიყო.

პროექტორი მაკრატელივით კუწავდა ცას.

რამდენიმე დღის მერე ვახტანგიც წავიდა ჯარში. ელისაბედი ლოგინად ჩაეარდა. მთელი დღე თვალგაშტერებული იწვა, ან კედლისაკენ პირშექცეული ტიროდა. მარტო ჩვენ ზომ არ ვართ? — ეუბნებოდა იონა, — მარტო ჩვენ ზომ არა გვყავს შვილი, მთელი ქვეყანა ომობს. ერთი-ორჯერ ეჭიმი მოვიდა, სახელგანთქმული პოეტის ძმა. გასინჯა, მხრები აიჩეჩა და წავიდა ისე, რომ წამალი არ გამოუწერიდა. ამის წამალი არ არსებობს ჩემო ძვირფასო, — უთხრა იონას და მხარზე ხელი მოუთათუნა. იონამ სახლამდე მიაცილა ეჭიმი.

— საცოდავია ადამიანი! — თქვა ეჭიმი.


მა, — სხვათა შორის, ეს ჩემი ძმის სიტყვებია!

ელისაბედი იონას ხმას აღარ სცემდა. „ჩემი ყოველთვის სხვანაირად ესმითო“ — ფიქრობდა იონა. ამ აზრს უკვე შერიგებოდა, სწამდა, ასეც უნდა ყოფილიყო და მარტო თავისთავს ამტყუნებდა. ამხნის კაცი გახდა და ის ენა ვერ ისწავლა, ადამიანები ერთმანეთს გულისნადებს რომ აგებინებენ ზოლმე. ეს სულ სხვა ენა იყო, ეტყობოდა, ყველა ვერ ისწავლიდა და ვინც ვერ ისწავლიდა, ის იონასავით დაბნეული და გაკვირვებული უნდა ყოფილიყო მუდამ, თანაც ეს გაკვირვება გულში უნდა ჩაეკლა, ვერც ვერავინ აუხსნიდა, რატომ ხდებოდა ასე და არა სხვანაირად.

ელისაბედს, ალბათ, აჭამდისაც სძულდა ქმარი, მაგრამ ითმენდა, სანამ შვილი გვერდით ყავდა, ხმას არ იღებდა, საქმე ჰქონდა და იმ საქმეს აყოლებდა გულს. ახლა ვახტანგი შორს იყო, ელისაბედს აღარაფერი აკავებდა. იონა ამართლებდა — დედა იყო და შვილის ომში წასვლამ თავზარი დასცა, მაგრამ მან რა დააშავა? განა სწორედ არ მოიქცა? განა სხვა გზა ჰქონდა? ნუთუ მართლა ისეთი სიძულვილის ღირსი იყო, რომელიც ახლა ელისაბედის თვალებში ვეღარ ეტეოდა და მთელ ოთახს ომობას ქსელივით ედებოდა. ამ უხილავ ქსელში გახლართულს, სული ეხუთებოდა. ვერც ეს ეთქვა.

ზოგჯერ ცოცხს აიღებდა და იატაკს გვიდა. მტვრით გაივსო სახლი. საიდან ჩნდებოდა მაინც ამდენი მტვერი? საგნები თითქოს თვითონ გამოყოფდნენ მტვერს და ამ მტვერში მერე თვითონვე იმალებოდნენ. არაქათგამოცილილ, ცოცხს მოისეროდა, სკამზე ჩამოჯდებოდა და იტყოდა, რა დავაშავე ასეთით.

ვახტანგი ომში წასვლის წინ თითქმის შეურიგდა. ამიტომ უსაზღვროდ მადლობელი იყო შვილის, თუმცა იმასაც ფიქრობდა, რომ შვილი მაინც უსამართლოდ მოექცა, იმანაც ვერ გაიგო მისი ენა. მაგრამ მთავარი უბედურება



მინც ის იყო, რომ თვითონაც ვეღარ გაერკვია ახლა, მართალი იყო თუ არა.

ზოგჯერ ქსენია მოვიდოდა. იონას მისი მოსვლა არ სიამოვნებდა, ქსენია გულზე არ ეხატა, მაგრამ რას იზამდა, ხომ არ გაავადებდა? ქსენია კი იმ ამბის მერე მათი ოჯახის თავგამოდებული მეგობარი გახდა. ავადმყოფს უვლიდა. სადილს აკეთებდა, გვიდა და რეცხავდა.

ელისაბედი თანდათან შეეჩვია ქსენიას და მისი გამოჩენა უხაროდა კიდევ, რადგან უთქმელობით გასიებულ გულს მასთან გადმოშლიდა ხოლმე. იონას როცა ოთახში შევიდოდა, ორივენი განუმდებოდნენ, თითქოს უცხო ყოფილიყო. ქსენია ისევ გამოიცვალა, ისევ ამრეზით დაუწყუო ყურება იონას. რას ეუბნებოდა ასეთს ელისაბედი? იონა ბრაზობდა: რა უნდა ამ ქალს ჩემს ოჯახში, ვინ თხოვა, მოგვხედო? ჩვენ სატყვივარს ჩვენ თვითონ მოვუვლითო.

ერთხელ ქსენიამ უთხრა: ხომ ხედავ სახლში საკმელი არაფერია, ავადმყოფი კი სუსტადაა, იცი ახლა ამას როგორი კვება უნდა? გაინძერი ცოტა, კაცი არა ხარ? ჩვენი მასწავლებლები სამტრედიისში დადიან და იქიდან ჩამოაქვთ ყველი, სიმინდის ფქვილი, ლობიო და რა გინდა კიდევ რაო.

იონა ელისაბედთან შევიდა და ჰკითხა: რა წავიღო ფქვილზე გასაცვლელადო. ელისაბედმა ხმა არ გასცა, თავი მიიბრუნა. იონა გამოვიდა, კარადიდან თავისი პალტო და კრაველის ქუდი ჩამოიღო, ჩანთაში ჩადო და სამტრედიისში წავიდა. იქ მართლაც იშოვა ერთი ტომარა ფქვილი, ლობიოც და ყველიც. ყველაფერი ეს დიდი წვალეობით ჩამოიტანა, სიმწრის ოფელში იწურებოდა, სპეკულიანტი არ ვეგონო ვინმესო.

ქსენიამ ჭადი გამოაცხო, ლობიო ჩააყენა, ელისაბედის საწოლის წინ დაბალი მაგიდა დადგეს, ზედ სუფრა გადააფარეს და, როცა ქსენიამ ლობიოთი საცხე ქვაბი შემოიტანა, იონამ ხელები მოიფშვინტა: ოპო, პო, პო, რა ლობიოა,

ბიჭოო. ეს უფრო ელისაბედის გულის მოსაგებად თქვა, ვიდრე ქსენიას სიამებლად, საწოლზე ჩამოჯდა, თეფშზე დაუბიო გადმოიღო — პრასი მოუხდებდა ამასო — ჭადი მოიტეხა: დამწვა ხელიო და ის იყო, ლეკმა პირში უნდა ჩაედო, რომ ელისაბედის მზერას წააწყდა. ელისაბედის თვალეში იმოღენა რისხვა ჩამდგარიყო, იონას შეეშინდა, თვალეში ბუდიდან არ გადმოუოცვიდესო. აღგა და უჩუმარის პირით გამოვიდა ოთახიდან. ცოტა ხნის მერე ქსენიამ თეფშით ლობიო და ჭადის ნატეხი გამოუტანა.

— მაღლობელი ვარ, ქსენია, შენი მაღლობელი, — უთხრა იონამ და საწყულად გაიღიმა.

— გასაწყვეტლები ხართ კაცები, — უბასუბა ქსენიამ და ელისაბედთან შებრუნდა.

დიდხანს იდგა ასე იონა, ხელში თეფში ეჭირა და დასცქეროდა. მერე ის თეფში მაგიდაზე დადო და გარეთ გამოვიდა.


გაწვიმებულიყო. მეზობელმა აისორმა დაუბახა: სველდებიო! მაშინ გამოერკვა მხოლოდ, კიდევ გაიღიმა, ისევ ისე საწყულად, პირზე ხელი ჩამოსვა და წავიდა, ისე, უმიზნოდ წაბლავუნდა ქუჩაში.

ცირკთან, ღვინის დუქანში, ლიტრიანი ქილით მკავე ღვინო დალია და საზოლოდ გამოფხიზლდა. დუქანი საესე იყო. ერთი მეზღვაური იატაკზე იჯდა, მეორე მის წამოყენებას ცდილობდა, მაგრამ მთვრალი უძალიანდებოდა. იონა დუქნიდან გამოვიდა.

ქათურის ხეების მძაფრი სუნით გაბრუებული და გაწმენდილი პაერი სხეულს წონას უკარგავდა: „შეიძლება შენც აეროსტატივით ახვიდე ცაში და იქ დაეკილო, იქნები შენთვის, მარტო. განა ისედაც მარტო არა ვარ?“ — ფიქრობდა იონა.

შეჩერდა.

რატომ ხარ, კაცო, მარტო, შენი შეილის პატრონი ამას უნდა ამზობდე? დმერთო, ცუდი ყურით არ მოისმინო, — შეეშინდა იონას.



რამდენი კაცი კვდება ნეტა ერთ დღეს? არა, სანამ შენიათ არ მოგიკვდება, მანამდე ვერ იგრძნობ სიკვდილს. ამიტომ არ ვუყვარვარ სწორედ არავის, ასეთი უაზრო ლაპარაკი რომ ვიცი. დამაყენეთ, ბატონო, ჩემს თავს ველაპარაკები, თქვენ ხომ არ გაწუხებთ? საწყალი ელისაბედი,— შეეცოდა უცებ ცოლი. რაზე იკლავ, ქალო, თავს? აგერ ოცი წელია, ჩემი ცოლი ხარ, აქამდე ვერ გაიგე, რაცა ვარ? მართალია, ზოგჯერ ერთს ვფიქრობ და მეორეს ვამბობ, მაგრამ განა მინდა? რა ვქნა...

იონამ სილოვანთან შეუხვია. სილოვანს უკვე ევაზშმა. თეფშზე ჭადის ნატეხი იყო. სილოვანს ერთი პატარა ოთახი ეჭირა. უზარმაზარი სარკიანი კარადა, საწოლი, მაგიდა და ორი სკამი — სულ ეს იყო მისი ავეჯი. კარადის ერთ განყოფილებაში წიგნები ეწყო, მეორეში კი ჭურჭელი.

— სად იყავი, იონა, როგორ დასველებულხარ? — უთხრა სილოვანმა და სტუმარს სკამი მიაწოდა. იონა ჩამოჯდა, ფიქრობდა, აქ რა მინდოდა, რატომ მოვედიო. სილოვანი მოთმინებით უცდიდა, როდის დაიწყებდა იონა ლაპარაკს, საკმაოდ გვიან იყო, ამ დროს კაცი უშიზეზოდ არ მოვიდოდა. იონა კი დუმდა. მერე სილოვანმა ჰკითხა:

- რა ისმის ბიჭისგან?
- იონამ ამოიოხრა:
- არაფერი.
- რამდენი ხანია, რაც წავიდა?
- კია ექვსი თვე.
- ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.
- მერე სილოვანმა თქვა:
- გაიგე, იპოლიტე მომკვდარა.
- რომელი იპოლიტე?
- ჰკუასელი.
- დარჩა ვინმე საწყალს?
- არაფერია, — თქვა სილოვანმა და კარადის კარი გამოაღო, — რა მოგართვა ახლა შენ?
- ნუ წუხდები, სილოვან ბატონო, არაფერი არ მინდა.
- არაყს დაღევ?

— აჰ, აჰ, — გაუქნია ხელები იონამ.
 — აბა რა გიყო?
 — არაფერი, ბატონო. ვიქნებშიც...

ტახანს და წავალ.
 — როგორ გეკადრება, იონა, თუ გინდა, დილაზე იყავი, შე კაცო!
 სილოვანმა თუნუქის პატარა კოლოფი გადმოიღო კარადიდან, მაგიდაზე დადო, თავი ახადა და იონასკენ მიაჩოჩა: მოწიე! ყუთში თუთუნის ეყარა, თუთუნს ზემოთ ერთი შეკვრა პაპიროსის ქალაღი იყო.

თუთუნის გახვევამ კარგა ხანი დაიჭირა, რადგან არც ერთი არ ჩქარობდა. ამან ცოტათი გაუაწაბა ის უხერხულობა, რომელიც იონას უდროოდ მოსვლამ გამოიწვია. კარგი თუთუნია, — თქვა სილოვანმა. კი, — დღეთანხმა იონა და ანთებულ სიგარეტს დახედა, — კარგია, — ცოტახანს გაჩუმდა და მერე იკითხა, — რატოა კაცი ასე მოწყობილი?

— როგორ? — შეეხმიანა მაშინვე სილოვანი, რადგან იმედი მიეცა, ახლა მაინც ამოღერდავს სათქმელსო.
 — რა ვიცი, — თქვა იონამ.
 — ხო-ო, — სილოვანმა ვითომ რამე გაიგო.

— აი მაგალითად, — დაიწყო ისევ იონამ, თვალი მაგიდას მოავლო, საფერფლუს დაუწყო ძებნა.

— აგერ არის, ა, — უთხრა სილოვანმა და საფერფლე, რომელიც გრაფინის უკან იყო, იონას დაუღო წინ.

— აი, მაგალითად, იპოლიტე მოკვდა და ვითომც არაფერი. არა და ბავშვობიდან ვიცნობდი იმ კაცს, ყოველდღე მხედებოდა ქუჩაში.

— ფასი დაკარგა სიკვდილმა, იონა.
 — ფასი დაკარგა?
 — ხო, ახლა მილიონი აღამიანი კვდება და რაღაა სიკვდილი, ვის უკვირს. დათარეშობს ქვეყანაზე ფრთავაშლილი.

— კი, მაგრამ, ჩვენ რატომ არ გვიკვირს, ჩვენ ხომ ვართ ჯერ ცოცხლები, თუ იქნებ ჩვენც დავიხოცეთ და არ ვიცით?
 სილოვანმა გაიცინა:

— რას ამბობ, კაცო?
— არა, რატომღა მინც კაცი ასე მოწყობილი?

— არ მესმის, იონა რას ამბობ, — უთხრა სილოვანმა.

— რატოა, რომ ერთმანეთს ვჭამთ? — იკითხა იონამ.

— ომია, — უპასუხა სილოვანმა მოკლედ.

— არა, მაგას არ ვამბობ.

— აბა?

— რა ვიცი, რა ვიცი, — თქვა იონამ და გაჩუმდა.

სილოვანმა გაიღიმა:

— უცნაური კაცი იყო იპოლიტე. ამბობენ, ცოლი რომ შეირთო, საქორწილო მოგზაურობაში მარტო წავიდა, ნაკლები დამეხარჯებო.

— მერე რა, — უთხრა იონამ, — ადამიანი ხომ იყო?

— ვხუმრობ, ჩემო იონა.

— აბა, ერთი კაცი დამისახელე, ნაკლი რომ არ ქონდეს, დამისახელე, ბატონო სილოვან.

— უნაკლო არავინაა, — უპასუხა სილოვანმა.

— ხოდა, აბა რატომ ვჭამთ ერთმანეთს?

— შენი ლაპარაკი არ მესმის და რა ვქნა, — სილოვანმა ხელები გაშალა, — მითხარი, რა გაწუხებს, კაცო.

— აი მე რომ მოვკვდები, ჩემზე რას იტყვიან?

— რა დროს სიკვდილია, იონა, შალე ომი გათავდება, ბიჭი ჩამოვა, ყველაფერი კარგად იქნება, ნუ გეშინია.

— მე, მე როგორღა ვიქნები?

— შენც კარგად იქნები.

— ეის რაში აინტერესებს, ერთი კაცი კარგად იქნება, თუ ცუდად? მინც როგორ უნდა იცხოვროს კაცმა?

— მაგას ახლა კითხულობ? დავბერდით უკვე, — უპასუხა სილოვანმა და ისევ ვაახვია სიგარეტი, ქალაღს ენა გაუსვა, თან იონას თვალს არ აშორებდა, — რაღა დროს ეგ არი.

— თქვენ რა გიპირთ, — უთხრა იონამ, — მარტო ხართ.

— ღმერთს ნუ ცოდა! — შეუწყრა სილოვანი.

— იმიტომაც ხარბი ხარ, — თქვა იონამ და ჩუმად დაუმატა, — თუმცა მეც მარტო არა ვარ?

დიდხანს ისხდნენ ისე, რომ ხმა არ ამოუღიათ. მერე სილოვანმა თქვა: საწყალ იპოლიტეს ცოლი გარიგებით შეურთავს თურმე, დიდი, მსუქანი ქალი ყოფილა. იპოლიტეს რომ უნახავს, უკითხავს, ეს სულ მეო? — სილოვანმა გაიცინა.

— დაანებეთ, კაცო, ამ იპოლიტეს თავი, მოკვდა საწყალი! — გაცხარდა იონა. არა, იმიტომ კი არ გაცხარდა, რომ იპოლიტეზე იცინოდნენ. იპოლიტეზე ყველა იცინოდა. არის ხოლმე ქალაქში ერთი ასეთი კაცი, რომელზედაც ყველა იცინის. ეს კაცი როცა მოკვდება, მერე სხვა გამოჩნდება, მისავით იპოლიტე. იონა იმიტომ ბრაზობდა, რომ იპოლიტე ახლა მართლა არაფერ შუაში არ იყო, ხოლო სილოვანს თითქოს უსათუოდ უნდა სცოდნოდა იონას გასაჭირი, თითქოს ვალდებული იყო იონას გულში ჩაეხედა და გაეგო, რა ცეცხლი ტრიალებდა შიგ. საკვირველია, რატომ მოვიტხოვთ სხვისაგან იმას, რაც ჩვენ თვითონ არ შეგვიძლია?

იქნებ სილოვანი მართალი იყო, როცა ამბობდა, თვითეული ადამიანი ერთი, აღრე მთლიანი, ახლა კი დაქუცმაცებული სამყაროს ნაწილაკიანო, თვითეულ ამ ნაწილაკს, როგორც ეზოს, ეგო-იზმის ძალის დარაჯობს და შიგ არავინ უშვებსო. არა, ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ იონა აქ არ მოვიდოდა. ან იქნებ სილოვანის ეზოს ძალის იმიტომ არ უყუფს, რომ ვერც კი ამჩნევს მას?

მაღე ვახტანგის დაჭრის ამბავი მოუვიდათ. ბრიყვ მეზობელს პირდაპირ ელისაბედთან შეეყვანა მაცნე. იონა რომ ოთახში შევიდა, გულწასულ ელისაბედს აბრუნებდნენ. პირველი, რაც იონამ განიცადა, როცა ქალაღი წაიკითხა — სიხარული იყო: „აღბათ, როგო-

რი ბედნიერია!“ — გაიფიქრა მან, ხმა-
მალა კი თქვა:

— მადლობთ, ღმერთო!

ახალმოსულიერებულმა ელისაბედმა
ეს რომ გაიგონა, ისევ დაკარგა გონე-
ბა. მეზობლებსაც გაუქვირდათ, რატომ
უხდის იონა მადლობას ღმერთსო. აღ-
მაცერად დაუწყეს ცქერა.

იონამ კი იცოდა, რაც უხაროდა, მაგ-
რამ აბა როგორ აუხსნიდა მეზობლებს,
ან ელისაბედს როგორ გააგებინებდა.
ახსნა რომ დაეწყო, დაახლოებით ასე-
თი უაზრო რამ უნდა ეთქვა: მართლა
მხეცი კი არა ვარ, ის კი არ მიხარია,
ვახტანგი რომ დივირა, არამედ მიხარია,
რომ ვახტანგს უხარია, რადგან დივი-
რაო. ვინ გაიგებდა ამას? ან ვინ უნდა
გაემტყუებინა, რატომ არ გესმისო?
ქსენიამ ხომ ცეცხლზე ნავთი გადაასხა,
კვიფლი მორთო: ვინ არის ეს, ხალხო,
ვინო! იონამ მხრები აიჩიჩა.

ამ ამბავს ისიც დაერთო, რომ ერთი
კვირის მერე მედიკო მოვიდა და იო-
ნას უთხრა: პატივცემულო მასწავლე-
ბელო, ვთხოვდები, პატარა და-ძმა მყავს
გასაზრდელი, რა ვქნა, სხვა გზა არ
მაქვსო.

იონა შეცბა, მედიკოსგან ამას არ
ელოდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ
ამ ხნის განმავლობაში მედიკო ზეალით
არ უნახავს. მაგრამ, ყოველთვის, როცა
შვილზე ფიქრობდა, რატომღაც მედი-
კოც ახსენებოდა: ხსოვნა კი სიღალბე
აშენებულ სახლივითაა, არ იცი, რო-
დის ჩამოინგრევა.

იონას ენა ვერ მოუბრუნდა, ვახტან-
გის დაქორის ამბავი ვერ უთხრა.

— ვინ მიხედავს ჩემს და-ძმას, — ამ-
ბობდა მედიკო, — ჩემს მეტი პატრონი
არა ყავთ, მიჩინეთ რა ვქნაო.

— ვისაც მიყვები, თუ გიყვარსო? —
კითხა იონამ.

მედიკომ არ უპასუხა.

— შვილო, — უთხრა იონამ, — ქალი
უნდა გათხოვდეს, აბა რა!

— არა, ვერ გათხოვდები, არ შემოიძ-
ლია, — ახლა მედიკო გაჭიუტდა, — არ
შემოიძლია!

ბოლოს იონა შეეხვეწა: ერთი წელი
მედიკოსთან
— გათხოვდი, პატრონი
დაო!

მედიკო რომ წავიდა, იონა გაოგნე-
ბული დარჩა.

„უნდა ჩამქოლოს კაცმა, — ფიქრობ-
და ის, — ჩემი შვილის შეყვარებულს
ვებვეწები, გათხოვდიო, ადამიანი ვარ
ამის მერე? ვანა ელისაბედი ტყუის?
არა, ჩემთან არავინ ტყუის. მაგრამ იქ-
ნებ ვახტანგს არ უყვარს მედიკო, იქნებ
მე მოვიგონე ყველაფერი, მინდა რომ
ასე იყოს. იქნებ არც მედიკოს უყვარს,
რომ უყვარდეს, გათხოვდებოდა? იქნებ
მართლა ძალიან უჭირს? რა ვიცი, ვი-
კითხე მისი ამბავი თუ რა? ყველაფერს
ხომ არ მეტყვის, ან რომც მითხრას, რა
აზრი აქვს, ვუშველი?“

ეს ამბავი ასე არ დამთავრებულა.

რამდენიმე დღის მერე მედიკო ისევ
მოვიდა და იონა ქორწილში დაბატოვა:
არავინ არ იქნება, მაგრამ თქვენ მინ-
და, რომ იყოთ, მინდა გვერდით ვინმე
მახლობელი მყავდესო.

მედიკო მას მახლობლად თვლიდა!

იონაც დათანხმდა.

სუფრას მართლაც ცოტანი უსხდნენ:
მეფე-ღედოფალი, მეფის ორი ამბაბაგი,
ვიღაც ყაბალახიანი, მოხუცი კაცი და
მედიკოს მეგობარი ნინო ხუნდაძე.

იონა რომ მივიდა, წამოიშალნენ და
დიდის ამბით შეეგებნენ, მეფემ გვერ-
დით მოისვა. იონას ესამოვნა ასეთი
შეხვედრა.

— ნუ წუხდებით, ბატონო, — თქვა
მან.

ომის კვალობაზე, სუფრას არაფერი
აკლდა: საცივი, ქაღი, ლობიო, მწვანი-
ლო, შაშხი, ვინიგრეტი, ძეხვი და ტყე-
მალში ჩაწყობილი, მოხარშული ტა-
რანი.

თეფშებს შორის ამერიკული ხორ-
ცის კონსერვებიც ეწყო.

— ჩემი სოფლის ღვინოაო, — ტრაბა-
ხობდა მეფე.

მსუქანი, მაღალი კაცი იყო, ორ-
მოცს გადაცილებული. ხაქისფერი, გად-
მოშვებული, გულისჯიბეებიანი ხალათი

ეცვა, ლურჯი გალიფე და ხრომის ჩექმები. მისი ამხანაგებიც ზუსტად ისე იყვნენ გამოწყობილნი.

მეფეს თავი სამართებლით გადაეპარსა და ბილიარდის ბურთივით უპრიალებდა. კოწია ერქვა.

მედიკოს კრეპდეშინის ყვავილებიანი კაბა ჩაეცვა. იჭდა ჩუმად, თავდაბრილი, ჩანგალს აწვალებდა.

პატარა ოთახი ავეჯს გაეტენა. ძველებურ, დაგლეჯილ სავარტელში მედიკოს და-ძმა ანგელოსებივით ჩაესვათ და ხელში ხაჭაპური მიეცათ.

იონა სარკის პირდაპირ იჭდა. მესამე ყანწი რომ დალია, მაშინ გაიფიქრა, სხვა მასწავლებლები სად არიანო? გული სიამაყითაც კი ავესო, ეტყობა, მედიკოს განსაკუთრებულ პატივს მცემსო. სარკეში თავის გამოსახულებას თვალს არიდებდა, რადგან საშინლად მახინჯი მოჩანდა. სარკე ელაში იყო. მედიკოს გაბრწყინებული სახით შესცქეროდა. ამან კიდევ უფრო გაათამამა, სიმღერა დააპირა, მაგრამ ყელში რაღაც გაეჩხირა და უმწეოდ გაიღიმა, თითქოს სუფრას მოუბოდიშაო, როცა თამადამ მისი სადღეგრძელო დალია, ფეხზე წამოდგა. მეფემ ძალად დასვა, მაშინ ყველანი აედგებიანო. თამადა ბევრს ლაპარაკობდა, თუმცა აშკარად ეტყობოდა, რომ იონას სახელი პირველად აქ გაეგო. მერე მეფემაც აღდგებოდა: მადლობელი ვარ, მედიკოს ასე სამაგალითოდ რომ გაიზრდიანო.

იონამ თავისი მახინჯი გამოსახულება სარკეში ისევ დაინახა. გამოსახულება თვალბეზღამოკარკლული ზღვის ცხოველივით დაცურავდა სარკეში და რბილად ელამუნებოდა ბილიარდის უზარმაზარ ბურთს, რომელიც მის გვერდით ქანობდა. იონა შეკრთა და თვალები დახუჭა. ბატონო იონა, საცივი მიირთვიო, — შემოესმა მედიკოს ხმა.

იონამ თვალი გაახილა. ჯერ ვერაფერი დაინახა, ოთახში პაპროსის ბოლი დაგუბებულყო, მერე ბურუსიდან სახეები ისე ამოტივტივდნენ, თითქოს მოქეიფებმა წყლიდან ამოყვეს თავიო.

სული შეეხუთა და თქვა: ~~ფანჯარა~~ გა-
აღეთ, ფანჯარა! ვილაღამ ~~გაიღოთ~~ და ამ
სიცილიმა თუთუნის კვამლზე უფრო და-
ხუთა ოთახი. პა? — იკითხა იონამ, — რა
მოხდა? — წამოდგომა დააპირა, მაგრამ
მეფემ არ დაანება, ძალით დასვა:

— გაუფი, კაცო, იქნებ რა უჭირს, —
დაუძახა თამადამ მეფეს და ყველამ
ერთხმად გაიცინა.

იონა მთვრალი იყო და ამ სიმთვრალის შეეშინდა სწორედ ახლა, ნელ-ნელა სიბრაზე წაევიდა, ჯერ საკუთარ თავზე გაბრაზდა, მერე ყველაზე, ვინც აქ იყო, ყველაზე მეტად კი ამ ლორწოიანი ბილიარდის ბურთზე, — დამანებეთ თავი! — თქვა იონამ. ისევ გაიცინეს. აქ რამ მომიყვანა? — გაიფიქრა და მედიკოს შეხედა. მედიკომ გაუღიმა. კარგახანს უყურეს ერთმანეთს, მერე მედიკოს გაკვირვება დაეტყო სახეზე, კიდევ ერთხელ სცადა გაღიმება, მაგრამ ღიმილი მაშინვე შეაშრა ტუჩებზე, თავი ჩალუნა.

— მოდი, ომში წასული ეაკაცების
სადღეგრძელო დაელიოთ! — წამოიზ-
ლანა თამადა.

აქ კი გატყდა იონა, გული აუჩვილდა, მაგრამ წამით, რადგან მეფემ ყურში უჩურჩულა:

— თუ რამე გჭირდება, ნუ მომერი-
დები. გამოიარე ჩემთან, ერთ პურს ყო-
ველთვის გამოგატანო.

მერე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

იონა წამოდგა. მეფეს სახე შეეცვა-
ლა:

— რა გითხარი მსეთი, ბატონო?

— კარგი ერთი, იონა, — დაიძახა თა-
მადამ, — აბა სიმღერა! სიმღერა!

იონას ყველაზე მწარედ მინც ეს ჩარ-
ჩა გულში, რომ როცა მედიკოს დაუყ-
ვირა: უსვინდისო, შენ ზომ ვახტანგს
უყვარდიო, — ოთახში ისევ ხარხარი
ატყდა.

იმ ღამეს შინ არ მისულა, არც მი-
ესვლებოდა, თუმცა არავის წინაშე არ
გრძნობდა თავს დამანაშავედ. იმას კი
ხედებოდა, რომ კიდევ ერთხელ ისე არ

გამოვიდა, როგორც მას უნდოდა. ისევე სხვა ენაზე დაიწყო სტენა, ის ხომ ბუღბული იყო?

გამთენიისას მთავრობის სახლის წინ, პატარა ბაღში ჩაეძინა, სკამზე ჩამოშვდა. დაესიზმრა: გორკის ქუჩაზე საინტარული მატარებელი მიდიოდა და იმ მატარებლის ფანჯრიდან ვახტანგი იხედებოდა. თვითონ მატარებელს მისდევდა. ეძახდა: მაპატიე, ჩემი ბრალი არ არისო, მაგრამ ვახტანგს არ ესმოდა, სხვაგან იყურებოდა.

მერე გრძელი, ლამპიონებით განათებული ქუჩა დაინახა. ქუჩაში ვახტანგი და მედიკო მიდიოდნენ, ხელიხელ ჩაკიდებულნი. უკან ის მათხოვარი მიყვებოდა, კათოლიკურ ეკლესიასთან რომ ნახა დიდხინის წინათ. მათხოვარი თეთრი წინაღების ამარა მიიბიჯებდა...

გაიარა ერთმა კვირამ. ელისაბედი მთლად დაილია, სანთლისგან ჩამოქნილს დაემსგავსა. ახლა აღარც ქსენიას ელაპარაკებოდა. იწვა და ჭერს შესცქეროდა.

გაპირებებს ხალხი ბაზარში გამოუყვარა. ბევრი იოლი გამდიდრებისთვის მოსულიყო, მიზანსაც ადვილად აღწევდა, ხალხს უჭირდა, შიოდა.

იონა უხერხულად აწოწილი იდგა კედელთან, რბენოდა, თუმცა აქ პირველად არ იყო. კოსტუმში გაზეთში გახვეული ეჭირა, არ ხსნიდა.

ბოლოს შაინც გამოუჩნდა. მუშტარი, კოსტუმში შაქარზე გადაცვალა. შაქარი მიტკლის პარკში ეყარა. იონას ჭერ უნდოდა შეემოწმებინა, ნაფტალინი ხომ არ შემომამარესო, მაგრამ თვითონვე შერცხვა თავისი ეჭვისა. „ჩაიზე და პურზე მშვენივრად გადაივლის კაცი“, — ფიქრობდა იონა და წვლებით მიარღვევდა ხალხს. პარკი ორივე ხელით მკერდზე მიეკრა. ბაზრის კართან რომ მიადგინა, იგრძნო, რაღაც დაარტყეს მხარზე მსუბუქად. თავი ასწია: მის წინ ყავარჯნებზე ჩამოკონწილებული ჯარისკაცი იდგა. ტალახში ამოგანგლული ფარაჯა ეცვა, წვერგულპარსავი იყო,

ულიმოდა, იონამაც გაულიმა, [იფიქრა:] ხომ არ ვიციხობ ამ კაცსო, [დასვეჭრა] მან არა, პირველად ხედავდა.

— ეგ რა არის? — ჰკითხა ჯარისკაცი და ყავარჯნის წვერი პარკს მიადო, ზედ ტალახის კვალი დააჩნია, ლუქივით.

— შაქარია, — უპასუხა იონამ.

— მომეცი! — უთხრა ჯარისკაცი.

— მოგცე? — გაუეკირა იონას.

— ხო, მომეცი!

— რატომ? — შეეკითხა იონა გულუბრყვილოდ და პარკი კიდევ უფრო მაგრად მიიკრა მკერდზე.

— იმიტომ, რომ უნდა მომცე, — ჯარისკაცი ისევე იღიმებოდა.

შორიდან რომ შეგეხედათ, იფიქრებდით, ორი მახლობელი ადამიანი ტკბილად საუბრობსო.

— რატომ უნდა მოგცე, შე კაცი? — ჰკითხა იონამ ღიმილით, თუმცა მიხვდა, რომ შაქრის წართმევას ნამდვილად უპირებდნენ.

ბევრი რამ გაეგო იონას მძარცველებზე, მაგრამ ეს ყველაფერი მისგან შორს, თითქოს სხვა სამყაროში ხდებოდა. ამიტომ არ იცოდა, როგორ გამოიყურებოდნენ მძარცველები. რაც მთავარია, ჯარისკაცისგან არ ელოდა ამას იონა.

— იმიტომ უნდა მომცე, — უთხრა ჯარისკაცი მშვიდად, — რომ შენ სპექულიანტი ხარ.

— მე ვარ სპექულიანტი? — ცოტა გულზე მოეშვა, ვიდაცაში ვეშლებიო.

— სწორედ შენ! — ყავარჯნის წვერი ახლა მკერდზე მიადო, მიაწვა, ხტუნვა-ხტუნვით წამოვიდა.

იონამ უკან დაიხია, კედელს მიაწყდა:

— მომავსორე ეგ ყავარჯენი!

— შაქარი მომეცი და მოგავსორებ!

— რატომ უნდა მოგცე, კაცი, რატომ?

— იმიტომ, რომ მომცემ, შენც ხომ იცი, რომ უნდა მომცე, მოიტა!

— არ მოგცემ! — გაბრაზდა უცებ იონა, მაგრამ იმ წამსვე ხმას დაუწია და დააყოლა, — აი, რომ გეთხოვა, მოგცემდი. მეც შეილი ფრონტზე მყავს.

— ფრონტზე არა, ის არ გინდა, შენ შეილი ვინ მოგცა, მაიმუნო!— ჭარისკაცი აღარ იღიმიებოდა.

— კაცო, დამანებე თავი. თუ გინდა, მოგცემ ცოტას, თუკი ასე გინდა...

— ააა, შეგეშინდა? შეგეშინდა, ფეხსადგილის ვირთხავე? მოიტა ახლავე, თორემ ამ ჭოხით თავს გაგინებოქავ!

— აჰა, წაილე! — იონამ პარკი გაუწოდა. არა, კა არ შეშინებია, ამ კაცის უსვენდისობამ გული დაუტარებია.

— აი ასე! — თქვა ჭარისკაცმა და პარკი ჩამოართვა.

— რა ამბავია აქ! — შემოესმათ უცებ.

პატრული წამოსდგომოდით თავს: გამხდარი, დაბალი ლეიტენანტი და ორი ჭარისკაცი.

— არაფერი, — უთხრა ღიმილით ჭარისკაცმა, — ვლასპარაკობთ.

— შექარი რატომ წაართვი? — ლეიტენანტს, ეტყობოდა, ყველაფერი დაეწახა.

— რა შექარი, რის შექარი? — გაიკვირვა ჭარისკაცმა, თუმცა პარკი ხელში ეჭირა.

— მიეცი ახლავე!

— შენ ვინ გეკითხება? — უთხრა ჭარისკაცმა, — მომწყდი თავიდან, თუ მძახარ!

ლეიტენანტი სახეზე წამოენთო. ძალიან ახალგაზრდა იყო, ოცი წლის თუ იქნებოდა.

— მიეცი-მეთქი — შექარი! — უყვირა ჭარისკაცს.

— შენ რა, ამ სპეკულიანტის მხარეზე ხარ? — გაიკვირვა ჭარისკაცმა და ირგვლივ მიმოიხედა, თითქოს მშველელს ეძებნო.

— მე მასწავლებელი ვარ, — თქვა იონამ ჩუმად, — ჩემი შეილი ფრონტზეა.

— ტყუის, სპეკულიანტია! მე კი ფეხი მაგ ვირთხებს შევწირე!

ჭარისკაცმა უცებ სახე უცნაურად დაღმპუნა, პირზე დუქი მოადგა, ყავარჭენი ჰაერში გააქნია და ბლავილი მორთო:

— დამანებე თავი, დამანებე თავი, კანტუზია მაქვს, მოგკლავ!

და მართლაც მოუქნია გვერდზე ვაშხტარ ლეიტენანტს ყავარჭენი.

— შექარი მე მიეცი, — თქვა იონამ.

ჭარისკაცმა ამ სიტყვებს ყური მოკრა:

— მაგან მომცა, მაგან! რა გინდათ, რას მერჩით, კანტუზია მაქვს, მოგკლავთ!

— შენ მიეცი? — ლეიტენანტი იონას მიუბრუნდა, — შენ მიეცი?

— ხო, — უპასუხა იონამ და ლეიტენანტს თვალი აარიდა.

— შენც კარგი ვინმე ყოფილხარ, — ლეიტენანტმა ხელი ჩაიჭნია, — ეხ! — ხალხი მკლავებით გაარღვია და გაჩქარებული წავიდა, ჭარისკაცები გაეკიდნენ, ერთი-ორჯერ კი მოხედეს კანტუზიან ინვალიდს.

იონა და ფეხმოჭრილი ჭარისკაცი ერთმანეთს შერჩნენ.

— რა უნდოდათ, ბიძიკო, ჩემგან? — ჰკითხა ჭარისკაცმა ისე მშვიდად, თითქოს არაფერი გადახდენოდეს თავს.

იონამ არ უპასუხა, მხოლოდ მხრები აიჩჩია.

— მითხარი, დამანაშავე ვიყავი? — ჭარისკაცი თვალბეჭეში შეაქცერდა იონას, — ოღონდ გულწრფელად მითხარი.

— მე რა სპეკულიანტი მნახე, შე კაცო, — უთხრა საყვედურით იონამ, აღარც შექარი უნდოდა, აღარც არაფერი, ოღონდ აქაურობას ვასცლოდა.

— ხომ იცი, გაბოროტებული ვარ, — უთხრა ჭარისკაცმა, — იცი, მე რა ბიჭი ვიყავი? ახლა რა ვარ? კუნძი! აღარავის ვუწავივარ, არც ცოლს, არც შვილს.

იონას იმედი მიეცა:

— მოიტა ჩემი შექარი! — უთხრა ჭარისკაცს.

— შექარი? — ჭარისკაცი იონას ისე შეამტერდა, თითქოს ეს სიტყვა პირველად გაიგონაო, ცოტა ხნის მერე გაიმეორა: შექარი?

— ხო, ჩემი შექარი.

— კი, ბატონო, — ჭარისკაცმა პარკი გაუწოდა, — აქი მე მიეცი? შენ არა თქვი? დაგავიწყდა? არ გრცხვენია? აი-

ლე, აიღე, მე ძუნწი კი არა ვარ, გამომართვი!

იონამ პარკს ზიზღით დახედა, გატრი-
აღდა და წავიდა.

იონა სკოლის ეზოში თავშესაფარისათვის ორმოს თხრიდა, ის სკოლის საპა-
ერო თავდაცვის რაზმის უფროსად და-
ინიშნათ. მის რაზმში მარტო ქალები
იყვნენ, ამიტომ ორმოსაც მარტო თხრი-
და.

ორმოში მუხლამდე წყალი იღვა. იონას რეზინის ჩექმები ეცვა.

„არა უშავს — ფიქრობდა იონა, — ცემენტით რომ ამოვლესავთ, არაფერი უჭირს, მაგრამ ეს გაუძლებს ყუმბარას?“

მუშაობით გაართულ იონას გოგონა დასცქეროდა. ეს ბავშვი ლტოლვილი იყო, ბელორუსიიდან. დედამისი სკოლაში დამლაგებლად მოწყობილიყო.

— ეგ საფლავია? — ჰკითხა ბავშვმა.

— არა.

— მაშ რა არის?

— თავშესაფარი.

— ჩემი დე და ბებია საფლავში წვანან და სძინავთ. გაიღვიძებენ?

— გაიღვიძებენ.

— დედაც ასე ამბობს, მაგრამ განა მკვდრები იღვიძებენ?

„ელისაბედიც, ალბათ, წყალში წევს, — ფიქრობდა იონა, — საფლავი რომ გათხარეს, მაშინვე წყალი ჩადგა. წიგნს წყალში და თვალდაპყვეტილი საფლავის ჰერს შესცქერის. ფუი, დალაზეროს ეშმაკმა, რა აზრები მომდის თავში“.

ელისაბედი სიკვდილის წინაც არ შერიგებია. დაუძახა და უთხრა: იცოდე, მე ამ სახლის მდგმური ვიყავიო. საკვირველი ის იყო, რომ სილოვანმაც, რომელმაც ელისაბედის საფლავთან სიტყვა წარმოთქვა, იგივე გაიმეორა: ელისაბედი ამ საფლავის მდგმური იყო და თავის მარადიულ სახლს დაუბრუნდაო. იონა იხსენებდა კიდევ რა უთხრა ელისაბედმა სიკვდილის წინ: იცოდე, ღამით სიზმარში გამოვეცხადები და

მოსვენებას არ მოვცემო. „რა დავეუფლები მინც ასეთი, — ფიქრობდა იონა, — ორმოს თხრიდა, ნიჩაბი წყლიდან ძლივძლივობით ამოქონდა, — განამკვდრები იღვიძებენ?“

მას მერე ყოველ ღამე შიშით იძინებდა, მაგრამ სიზმარი აღარ უნახავს. ოღონდ ეს იყო, შუა ძილში რაღაც შეაკრთობდა, გამოეღვიძებოდა, ლოგინში წამოვლებოდა და, რეტდასხმული, რატომღაც მაშინვე ამას გაიფიქრებდა: რა დავაშავე ასეთი? ამიტომ გოგონას ნათქვამი მეტად ეუცნაურა. დალილობისგან ყურებს ბავა-ბუგი გაჰქონდა, იმ ბავა-ბუგს ბავშვის ხმა გაერია: განამკვდრები იღვიძებენ? განამკვდრები იღვიძებენ? იონამ ნიჩაბი ორმოს კიდუზე დაავდო:

— უკ, დავიდალე!

— ამოდი, — უთხრა გოგონამ.

იონა ორმოდან ამოვიდა, სამასწავლებლოსკენ წავიდა მხარზე ნიჩაბადებული. პალტო, წინდები და ფეხსაცმელი იქ გაეხადა.

გოგონა უკან გაჰყვა, იონამ კიბესთან ჩექმები წაიძრო, წყალი გადმოდგარა და სამასწავლებლოში ფეხშიშველა შევიდა. კართან დაფენილ ტილოზე ფეხები გაიწმინდა: „გავეცივდები და მოვცვდები“. მერე კარადის უკრიდან შალის ნაქერი ამოიღო, ახლა იმით შეიმშრალა ფეხები. წინდები და ფეხსაცმელი ჩაიცვა, პაპიროსს მოუკიდა. ამას ყველაფერს დინჯად აკეთებდა, აუჩქარებლად. გოგონა იღვა და შესცქეროდა.

— ვინ არის მამაშენი? — ჰკითხა იონამ.

— მამა მფრინავია.

— გიყვარს?

— ძალიან.

— დედა უფრო გიყვარს თუ მამა?

— ორივე.

— მაინც?

— ორივე!

იონამ თითი ნერწყვით დაისველა და პაპიროსი ჩააჭრო, ნამწევი სათუთუნეში ჩადო, სხვა ხელუხლებელი პაპიროსების გვერდით. დიმიტრის ნახუქარი

პაპიროსის კოლოფი შინ დატოვა, ეს ხელით გაკეთებული პაპიროსები იყო, მისი მეზობელი აისორები ყიდდნენ.

— ერთი ფეხი მოკლე გაქვს? — ჰკითხა გოგონამ.

— ხო.

— რატომ?

— რა ვიცი.

— მეც შემძლია ცალ ფეხზე ხტომა, — უთხრა გოგონამ და იონას ასკინკილით შემოურბინა.

— კარგი, კარგი, წავიდეთ!

იონა ქუჩაში მიდიოდა და ფიქრობდა: „რა მომივიდა ეს დღეს, როგორ წამართვა იმ კაცმა შაქარი, რომ ეთხოვა, ღმერთმანი, ჩემით მივეცემდი, არ დამწყდებოდა გული. რაღა მე ამომარჩია ამ ოზურმა, სპეკულანტების მეტი რა იყო ბაზარში. თუ მართლა სახეზე მაწერია, ყველას რომ შეუძლია თავში ჩამართვას? ახლა რომ გულს ვასკდები, იქ სად ვიყავი, ხმა რატომ არ ამოვიღე? პირიქით, მე მივეცი-მეთქი. არა, ასეთი სინდისგარეცხილი კაცი მართლა არ მინახავს ჩემს ცხოვრებაში. ლეიტენანტი კი კარგი ბიჭი იყო, მაგრამ მოვატყუე, როგორ ეწყინა! აბა რა მექნა, დაიჭერდა იმ უბედურს. მაგრამ უნამუსო კაცის შეცოდება შეიძლება ვითომ? მე რა ვიციოდი უნამუსო თუ იყო? ეგ მერე გავიგე. შაქარი რომ წაგართვა ეგ არაფერი? მაგას კიდევ არაუშავს. არც ცოლს ვუნდივარ, არც შვილსო. ეგეც ხომ მერე გავიგე? რა ვქნა, შეშეცოდა, მომკალი ახლა! თუ ძმა ხარ, ნუ დამიწყებ ახლა ქრისტესაგეთ ლაპარაკს, შენ მაინც ვერ გაასწორებ ამ ქვეყანას. თუმცა, კაცი თუ არ შეგეცოდა, რა გამოვა? ასე ყველასთან მე როგორ ვტყუი მაინც? ნუთუ მართალია ელისაბედი, ვახტანგი, ნუთუ ის უნამუსო ინვალიდიც მართალია? და მართო მე ვარ მტყუანი?“

ბნელოდა. იონას ძალიან მოშივდა. ახლა გაასხენდა, რომ მთელი დღე ლუქმა არ ჩაეღო პირში, დილით ერთი ჭიქა ჩაი დალია და ის იყო. პურის მღალახიში შევიდა და წიფნაკით თავისი

ულუფა აიღო. პური იქვე შექმნა, მერე რომელიღაც ეზოში შევიდა და კანკანიდან წყალი დალია.

„რა უნდა კაცს მეტი, ერთი ციციქნა პურს გადაყლავს, დაღვეს ერთ წვეთ წყალს, ჩიტვიით, ღმერთს შეხედავს და კმაყოფილია. უკაცრავად, არ მოტყუედე, ჩიტი ალბათ მართლა ხედავს ღმერთს, კაცი კი ვერა. ჩიტი ფრთას გაშლის და გაფრინდება, კაცი კი დაბმულივით ერთ ადგილას ტრიალებს. იცოცხლე, მეც კი მინდა სადმე გაფრინდე, მაგრამ სად, როგორ? წვეს ახლა ელისაბედი წყალში, ვერც ის გაფრინდა საწყალი. რა ნახა ჩემს ხელში? ერთი ლუქმა პური და ერთი წვეთი წყალი. და კიდევ ერთი ხელის დაღება სახურავი, არ აწვიმდა და არ ათოვდა, ეგ იყო და ეგ, მაგრამ რამდენია ასე რომ ცხოვრობს, არიან მშვენიერად, სიამტებილობით.“

ამ ქვეყანაზე ყველას თავისიანი უყვარს, კაცსაც, ჩიტსაც და, თუ გინდა, ლოკოცინასაც. ამ პატარ-პატარა სოფელშიც ეს ქვეყანა ბუდესავით მოქსოვილი. მე კი ამ ბუდიდან გადმოვარდნილი ბარტყივითა ვარ და ვპყლობინებ ჩემთვის.“

უკვე სახლთან მისული იყო, უცებ მოტრიალდა და აჩქარებული ნაბიჯით უკან, სკოლისკენ გაემართა. სკოლის ეზო გადაჭრა და საცუქნაოს მიაშურა, სადაც ბელორუსიელი ლტოლველები ცხოვრობდნენ, დედა და იონას მეგობარი, პატარა გოგონა. ეს საცუქნაო იონამ თავისი ხელით გამოასუფთავა, გამოხვეტა, კედლები შეღება, იატაკი შეაყეთა, ფანჯრებში მინები ჩასვა და მართლაც საცხოვრებელ ბინას დაამსგავსა.

კარზე ფრთხილად დააკაენა. ცოტა ხნის მერე კარი გოგონას დედამ გაუღო. ახალგაზრდა ქალი იყო, მსუქანი, ცისფერთვალემა. ოთახიდან მოყვითალო, სუსტმა შუქმა გამოიხედა, ეტყობოდა, მართო ნათქურა ერთოთ. ქალმა იონა რომ დაინახა, გაუღიმა და შინ შეიპატრია:

— შემოდით, იონა.

- ანას ხომ არ სძინავს?
- ახლა ვაწვევდი სწორედ.
- ერთი წუთით გამოვიდეს.
- შემოდით შინ.
- არა, აქ დავუდო.

ქალს კიდევ რაღაცა უნდოდა ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა, ოთახში შებრუნდა. კარი ღრიჭოდ დატოვა. იონას უკვე გაქცევა უნდოდა აქედან, თითქოს გონება გაუნათდა და მიხვდა, რისთვისაც მოვიდა, სისულელე იყო. ამ დროს ანა გამოჩნდა ზღურბლზე, კარის სახელების ხელი ჩაავლო და იონას შეაჩერდა.

იონამ უთხრა:

— იძინებ, ანიკო?

ბავშვმა თავი დაუქნია.

— დაიძინე, გენაცვალე, დაიძინე.

და ჩქარი ნაბიჯით გამობრუნდა. დიდხანს გრძობდა ბავშვის გაკვირვებულ მხერგს, მაშინაც კი, როცა უკვე კარგად დიდი მანძილით იყო დაშორებული სკოლას.

მთლად გაგვიყვია, კინაღამ ვკითხე, რატომ გიყვარს მამა-მეთქი, შეიძლება ან ამის კითხვა? ამიტომ მივარდი აქლომინებული? ან დედამისი რას იტყვის? სირცხვილია.

სადგურთან რომ მივიდა, შენობაში შესვლა გადაწყვიტა. შეიძლება იმატომ, რომ იქ უფრო კარგად დაემალებოდა ბავშვის გათყვობის თვალებს და თავის თავსაც.

სადგურის მოხატული დარბაზი ხალხით იყო გაშვდილი. ისტინენ ან იწვენენ სკამებზე, კიბეებზე, იატაკზე. დარბაზში მხოლოდ ერთი ნათურა ბეჭეტავდა და ძნელი იყო ადამიანების სახეების გარჩევა, თითქოს ეს უზარმაზარი სადგომი უსახო, გარინდებული ჩრდილებით ყოფილიყოს საესე, დახუთული, მყარალი ჰაერი და ყრუ, გაურკვეველი, დავუბებული ხმაური ერთმანეთში გათქვეფილიყო და თითქოს ხმააც ოფლის, პაპირისის კვამლისა და ქუქუქის სუნის ასლიოდა.

ეს ხალხი ომს აეყარა დედაბუდის ანად და აქ, შორეულ ქალაქში გადმო-

ებეჭა. ახლა უცდიდნენ, რაღაცა ანაწილებდნენ ბინებში, უჩენდნენ ყუთებს, მისცემდნენ პურს, რათა ახალი ცხოვრება დაეწყათ. მათი ტანისამოსი უკვე ორთქლში გაეტარებინათ, ამიტომ იდგა დარბაზში აბანოს სუნიც.

ერთი შეხედვით, ეს ხალხი მიტოვებულს გავდა, ნამდვილად კი მათი მიმღები და დამბინავებელი კომისია ხელუბდაკაბიწებული შრომობდა: არიგებდა პურს, ცხელ წყალს, შაქარს, იძახებდა ჩვეულების ხელმძღვანელებს, აქლევდა მისამართებს, აყოლებდა მეგზურს და დარბაზს შეუმჩნეველად, მაგრამ მაინც აკლდებოდა ხალხი. ლტოლვილებით ისედაც გატენილ ქალაქში არც ისე ადვილი იყო ახალჩამოსულებისთვის ბინის გამოძებნა.

აქვე ტრიალებდა ქალაქკომის მდივანი პლატონ ნიკარაძეც. ჩია, გამხდარი კაცი, რომელსაც იონა კარგად იცნობდა. ახლა პლატონი კართან, ყველაზე უფრო განათებულ ადგილას იდგამასთან წამდაუწუმ მოარბოდნენ კომისიის წევრები და რაღაცას გაცხარებით ელაპარაკებოდნენ. პლატონს ტუჩები მაგრად მოეკუმა, თავს იჭნევდა.

პლატონმა იონა დაინახა და თითოთი მიიხმო.

— წაიყვანე ვინმე გაპირვებული, ხომ გაქვს სამყოფი ბინა? — უთხრა იონას.

— მე ხომ მდგმური მიყენია?

— ვინ არის?

— მეზღვაური ოფიცერი.

— ხო-ო, — თქვა პლატონმა. ამ დროს ვიღაც ბავშვიანი ქალი მივიდა მასთან და პლატონმა იონას ზურგი შეაკცია. იონას გული აუწრიაოდა, ხომ მაქვს კიდევ ერთი ოთახი, რატომ დავუშვალე? პლატონმა ხომ იცის, რას იფიქრებს? არა, იმ ოთახში მე თვითონ არ შევდივარ, ის ხომ ვახტანგისია. ესეც იცის, ალბათ, პლატონმა და ამიტომ არაფერი მითხრა, თუმცა შეიძლება არც კი იცოდეს, მივალ მაინც, ვეტყვი. მართლაც გაემურა პლატონისკენ,

მაგრამ მასთან ვერაფრით მიადწია, პლატონს უამრავი ხალხი ეხვია გარს. იონამ დაინახა, პლატონს ხელში ჩეილი ბავშვი ეჭირა და საცოდავად იღიმებოდა.

უცებ კართან ჩემოდანზე ჩამომჯდარ ქალს მოჰკრა თვალი. ქალს მუხლებზე დაეწყო ხელები და წველგამართული იჯდა, თითქოს როიალთან ზის და საცა დაუკრავსო. უფრო ამ პოზამ მიიქცია იონას ყურადღება, ვიდრე თვითონ ქალმა. ქალს დააკვირდა, სადღაც ენახა. ცოტა ხნის მერე იცნო, ეს ის ქალი იყო ზღვის პირას რომ შემოხვდა მას და სილოვანს ამ დილით. იონა დაფრთხა, ისევე ცხადად ჩამოესმა ყურში ქალის უხეში ხმა, დილით ასე რომ დააბნია, შეაშინა კიდევ. ერთი პირობა დამალვა დააპირა, მაგრამ ქალს ახლა დამშვიდებული სახე ჰქონდა, თვალეშში ფიჭვი ჩადგომოდა, თითქოს ვერც ვერაფერს ხედავს და არც არაფერი ესმისო.

იონა ახლოს მივიდა და უთხრა:

— გამარჯობათ!

ქალმა ამოხედა, სახე არ შეცვლია, ცოტახანს უყურა და მერე ისევე გვერდზე გაიხედა.

— ვერ მიცანიით? — ჰკითხა იონამ.

თვითონვე უკვირდა თავისი სითამამე, პირველად ელაპარაკებოდა უცნობ ქალს ასე.

ქალს მისთვის აღარ შეუხედავს, ისე უპასუხა:

— ვერა.

— აი ამ დილით ბაღში, რომ შეგხვდით! — უთხრა იონამ ისეთი ხმით თითქოს რამეს ეხვეწებოდა.

— არ მახსოვს.

სინუემე ჩამოვარდა, იონამ აღარ იცოდა რა ეთქვა.

ცოტახანის მერე ქალმა უთხრა:

— პაპიროსი თუ გაქვთ?

— კი.

— მომეცით.

იონამ სათუთუნე გახსნა, იქიდან ნამწვავი ამოიღო ჩუმად, ჰიბეში ჩაიღო,

სათუთუნეში ორი ღერე მოთვლილი პაპიროსი იყო. გაუწოდა: *გიგლიოთეჟა* — მიირთვით.

ქალმა პაპიროსი ამოიღო, იონამ ასანთი აუნთო. ანთებულნი ასანთი დიდხანს ეჭირა ორი თითით. ქალი თუმცა ხედავდა, მინც არ განძრეულა, თითქოს ფიჭვის დაფრთხობისა ეშინიაო. იონას თითები დაეწვა. ასანთი გადაავლო.

— გამადლობთ, — გამოერკვა ქალი, — ჭერ არ მინდა.

ისევე სინუემე ჩამოვარდა.

იონას დასცხა, პირიც გაუშრა, წასვლა დააპირა, მაგრამ ფეხი ვერ გადადგა. კიდევ კარგი ამ დროს პლატონმა დაუძახა:

— იონა, მოდი აქ!

იონა სასწრაფოდ მივიდა.

— აი ეს ბავშვიანი ქალი, — უთხრა პლატონმა, — მეორე სართულზე აიყვანე, იქ მაგათთვის ცალკე ოთახია, ქეთო რუხაძეს ჩააბარე, უთხარი, პლატონმა გამოგზავნათო.

— კი, ბატონო.

იონამ ბავშვიანი ქალი რუხაძეს ჩააბარა.

რომ დაბრუნდა, ის ქალი ისევე იქ იჯდა.

იონა თამამად მიუახლოვდა და უთხრა:

— თქვენ შეგიძლიათ ჩემთან წამობრძანდეთ.

ქალმა თავი ასწია:

— სად?

— ჩემთან, სახლში.

— რატომ?

— თავისუფალი ოთახი მაქვს, შეგიძლიათ იქ იცხოვროთ.

ქალი დიდხანს შესცქეროდა და ამ ზანში იონამ ერთი სიცოცხლე გაათავა: რამე არ იფიქროს ცუდიო. ამ ჭირის ოფლში იწურებოდა, როცა თავისივე ხმა შემოესმა:

— დამერწმუნეთ, ჩვენც შევწუხდით, რა თქმა უნდა, ცუდად გამოვიდა, რას მიყურებთ, ბებრებო, — მართალი ბრძანეთ, ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, უზრდელობაა და მეტი არაფე-

რი. თქვენ თქვენთვის მიდიოდით, თქვენ საქმეზე, ან იქნებ უსაქმოდაც. იქნებ ზღვა გინდოდათ დაგენახათ. ჩვენ კი, ბებრები, შეგამტყრდით, თქვენ თქვენს საქმეზე მიდიოდით...

ქალმა გაიღიმა. იონამ სული მოიტქვა.

— რა არის ზღვა, ღმერთო! — თქვა ქალმა.

— ზღვა კარგია, — უპასუხა იონამ.

მერე ჩაბნელებულ ქუჩაში მიდიოდნენ, იონას ქალის მძიმე ჩემოდანი მიჰქონდა.

2. ლელვანი

ქალი ლენინგრადიდან იყო, ქართველი, ევა ერქვა. მშობლები ადრე გარდაცვლდა, პროფესიით ქიმიკოსს, ახლა ბათუმის ჩაის ფაბრიკის ლაბორატორიაში უნდა ემუშავა, მიმართვა უკვე მაქვსო. სანამ ბათუმში ჩამოვიდოდა, ბევრი ქალაქი მოეარა, ომი ფეხდაფეხ მომდევნაო. როსტოვთან ეშელონი, რომლითაც ის სხვა ლტოლვილებთან ერთად მოდიოდა, მტრის თვითმფრინავებს დაებოშბათ. სამი დღე უგონოდ ვეგდე, იმის მერე ცოტას ვაფრენო, — თქვა ქალმა და იონას გაუღიმა, — თითქოს დღევანდელი უცნაური საქციელი-სათვის ბოდიშს იხდისო. არა, ის ამ დღით ბალში შეხვედრილ ქალს არ ჰგავდა. დინჯად, აუჩქარებლად ლაპარაკობდა. სკამი მაგიდიდან ცოტათი უკან გაეჩოჩებინა, ფეხი ფეხზე გადაედო. ერთი ხელი მუხლისათავე უსვენა, მეორე, საჩვენებელი თითით, მაგიდის კიდეზე დაკიდებულიყო, თითქოს ქალი მორზეს აპარატთან იჯდა და რასაც ყვებოდა, სადღაც შორს გადასცემდა. საუბრის დროს იღიმებოდა. ღიმილი ჭერ შის თათლისფერ თვალეში ისახებოდა და მერე მთელ სახეს ეფინებოდა.

— როდის გათავდება ეს სამინელება? — თქვა მან ბოლოს და ამოიხზრა.

ღიმილი უცებ გაუქრა, ტუჩის კუთხეებში წყალივით ჩაიწრიტა, ჩაიკარგა. ქალის ხელი პაპიროსის კოლოფს წაე-

პოტინა, ღიმიტრიმ დაასწრო, მიაწოდა, ქალმა მაღლობის ნიშნად თავი დაუქნია.
— მალე, — უპასუხა ღიმიტრიმ ქალს დალიან მალე.

— მალე? — იკითხა ქალმა და თავი გვერდზე მიიბრუნა, თითქოს ამათ კი არა, სხვას ეკითხებო. მართლაც ახლა სხვაგან იყო, რაღაცას ისეთს ფიქრობდა, რაც აქაურობას აშორებდა.

— რა უნდა ვქნა აქ, ამ უცხო ქალაქში, — თქვა მან ცოტახნის დუმილის შემდეგ.

— ნუ გეშინიათ, — უპასუხა ღიმიტრიმ, — აქაც ხალხი ცხოვრობს.

— რა თქმა უნდა, — თქვა ქალმა, — თანაც ძალიან კეთილი ხალხი, — და იონას შეხედა.

— ოოო, — ღიმიტრიმ გაიღიმა, — ჩვენი იონა ძალიან კარგი კაცია!

იონამ თავი ჩაღუნა.

მერე ღიმიტრიმ არყის ბოთლი დადგა მაგიდაზე. როცა ჭიქებში ასხამდა, ქალმა თავის ჭიქას ხელი დააფარა, ვერ დავლევო. ცოტა, — უთხრა ღიმიტრიმ, — ერთი წვეთი, აი ამოდენა, — და ცერტი და საჩვენებელი თითი ერთმანეთს მიაწება.

— არა, ვმადლობთ, — უპასუხა ქალმა, — დავიღალე.

კაცები წამოდგნენ, ვერ მივხვდით, რომ დასვენება გჭირდებოთ. თქვენ ზომ ნამგზავრი ხართო!

— ნამგზავრი, — ქალმა გაიღიმა, — ეს სიტყვა სრულებით არ უხდება ჩემს წაწმალს. რა კარგი დრო იყო, როცა ვმგზავრობდით!

თვითონაც წამოდგა, სკამი მაგიდას მიადგა:

— ახლა უნდა სუფრა ავაღაგო.

— ჩვენ თვითონ მოვუვლით ამას, — უთხრა ღიმიტრიმ, — მე და იონა დავტრიალდებით.

კაცები მიეხმარნენ, ჭურჭელი სამზარეულოში გაიტანეს. ქალმა ჭიქები და თეფშები დარეცხა, გაამშრალა, თაროზე დააწყო. ცოტახნის შემდეგ გამოემწვიდობა მათ და თავის ოთახში შევიდა დასაძინებლად.

— მოდი, ჩვენ მაინც დავლიოთ, — უთხრა დიმიტრიმ იონას. — არ მეძინება.

ის ბოთლი გამოსცალეს, ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, თითქოს ეშინოდათ, ქალს არ გაღვიძებოდა.

— რა ხნის იქნება, იონა, ჩვენი ახალი მდგმური? — იკითხა დიმიტრიმ.

— ოცდაათს ყოფილა, — უპასუხა იონამ.

იონა საწოლში წამოჯდა. ძილისგან უცებ ვერ გამოერყვა. მოეჩვენა, ვიღაცა იყო მის ახლოს, ბნელში და ამიტომ გამოეღვიძა. არა, აქვე არა, კედელს ოქით, ფრხილებით ფხაჭინდა ქვევს, შემოსვლა უნდოდა. ვინა ხარ! — იყვირა იონამ. ნამდვილად კი ხმა არ ამოუვიდა ყელიდან. ამ დროს ბნელს თანჯარა გამოეყო, თითქოს ცამ ოთახში ცალი თვალთ შემოიხედაო. დამშვიდდა. წამოდგა და შეუქი ანთო. სამხარეულოში გავიდა. ონკანს პირი შეუშვირა და წყალი დალია. ოთახში შემობრუნდა, კარადის უკრა გამოაღო და იქიდან ძველებური, მრგვალი, სახელურიანი სარკე ამოიღო, ხელისუბრი გადაუსვა და ჩაიხედა. იქიდან თმაგაჩეჩილმა, ლოყებჩაგარდნილმა და წვეწამოშეხებულმა კაცმა შემოხედა დაზიებული თვალებით. დიდხანს უყურბ თავის გამოსახულებას, ხელი თმაზე გადაისვა, გაისწორა. მერე სარკე ისევ შეინახა. ლოგინზე ჩამოჯდა და პაპიროსს მოუკიდა.

— ორმოცდაექვსი წლისა ვარ, — თქვა ხმამაღლა. ტირილი მოუუნდა, მაგრამ ცრემლს არ აცალა, წამოდგა, ტანთ ჩაიცვა და გარეთ გამოვიდა. პიენის მოაჭირზე ჩამოჯდა. „რა მომეჩვენება, რა იყო? ალბათ, ვახტანგს თუ ვავახსენდი. შეიძლება ძალიან გაუჭირდა და იმიტომ. რამდენი ხანია წერილი არ მოუწერია, თითქოს ამ ქვეყანაზე არც ვიყო. მადლობელი ვარ, შეილო, მადლობელი ვარ ასეთი ყურადღებისათვის. ზომ არ დაიჭრა ისევ? აბა რაში გაახსენდა ამ შუადამისს მამა?“

შეილი შეეცოდა, იმიტომ რომ მამა

არ უყვარდა, როგორ უნდა ეცხოვრა ასე? მერე ისიც კი გაიფიქრა, იქნებ ვეცდები და ძალიანაც ვუყვარვარო. ძალიან ვუყვარვარ და ვეცოდები და რადგან ვეცოდები, ვძულვარო, ეს იონასთვის უცხო ფიქრი იყო, უცნაური, მისი გაგება არ შეეძლო.

„კი მაგრამ, რატომ უნდა ვეცოდებოდე, მილიონობით ადამიანი ცხოვრობს ჩემსავით, ყველა ხომ გამოჩენილი არ იქნება? რა თქმა უნდა, სხვებივით მდიდრულად ვერ ვაცხოვრებდი, მაგრამ ვინა ეს არის ყველაფერი?“

თვალი უკვე სიბნელეს შეეჩვიო, ახლა კედელზე ჰერთან მიუხეუდ მერცხლის ბუდეს უყურებდა. რამდენიმე დღეც და მერცხალიც მოფრინდებოდა. ბატონი სილოვანი ამ მერცხალსაც იონას მდგმურს ეძახდა. მერცხალი ცოტახანს დარჩებოდა მასთან, მერე ისევ გაფრინდებოდა.

როგორ სწრაფად გაიარა მისმა ცხოვრებამ, როგორ დაბერდა? თუმცა ჯერ მხოლოდ ორმოცდაექვსი წლისაა. არასოდეს უფიქრია ამაზე. არც ის ახსოვდა, ბავშვი როდის იყო, ჰაბუკი. მისთვის ყოველთვის ერთნაირად მიდიოდა ცხოვრება, მღორე მდინარესავით. ახლარა დაემართა, რატომ აწრიალდა ასე? ყველაზე უფრო იმაზე ტკიოდა გული, რომ თურმე ტყუუდებოდა, თავი ბებური ეგონა, ჯერ კი მხოლოდ ორმოცდაექვსი წლისა ყოფილა! რა იმედი ჩაგესახა, შე უბედურო, — შეეხშიანა საკუთარ თავს, — რა მოვივიდა?

ვაითუ არც ტყუუდებოდა და თვითონ იბერებდა თავს. სიბერე ზოგისთვის მყუდრო თავშესაფარია. ეს კიდევ უფრო საშინელი იყო.

ოთახში დაბრუნდა, გაიხადა და ლოგინში ჩაწვა.

ევა ხელმარჯვე ქალი აღმოჩნდა. ბინა ყოველთვის დალაგებული და დაკრძალული ჰქონდა. იონას შინ მიუხაროდა. შეატყო, თვითონაც გამოიცვალა, პირს ახლა ყოველდღე იპარსავდა. რამდენი რამე ჰქონია სათქმელი,

თორმე გამკონეს ელოდებოდა. ქალი ყურადღებით უსმენდა, ზოგჯერ ისეთ რამეს ჩაერთავდა, იონა რწმუნდებოდა, ჩემი ნამდვილად ესმისო. სამსახურიდან დაბრუნებული ევა სულ შინ იჭდა. იონასა და დიმიტრის ტანსაცმელს ურეცხავდა, აუთოვებდა. კაცებმა ჯერ არ დაანებეს, მაგრამ ქალმა იძალა და ისინიც დაფარული სიამოვნებით დამორჩილდნენ. ბატონი სილოვანიც შემოეჩვიათ, ხშირად მოდიოდა.

იმ დღეს, როცა დიმიტრის ფრონტზე აცილებდნენ, ბატონა წვეულება გამართეს. ბატონმა სილოვანმა მოიღონა, ლინოც დალია, სადღეგრძელოებიც თქვა. მონოლოგიც წაიკითხა, იონასთან ერთად იმღერა კიდევ. რამდენი ხანია, იონას აღარ უმღერია!

— ხომ ხედავთ, რა დღეში არიან ბებრები! — უთხრა დიმიტრიმ ევას, — ეს ყველაფერი თქვენი წყალობაა!

ევა მივიდა და სილოვანს შეუბღუე აკოცა:

— ვმადლობთ!

ევას წითელი კაბა ეცვა, ხელში ღვინით სავსე ჭიქა ეჭირა და იღიმებოდა.

— რა ლამაზია, — ფიქრობდა იონა, — აღბათ სილამაზე ამას ჰქვია“.

ერთ კვირა დილას მედიკო ესტუმრა. ევას ეზოში სარეცხი ჰქონდა, იონა თავის ოთახში იჭდა.

აპრილი იწურებოდა, თბილოდა. მედიკომ მოღებულ კარზე დააკაკუნა, იონამ თავი ასწია და მედიკო დაინახა.

— მობრძანდი, — უთხრა და სათვალე მოიხსნა.

იმ ამბის მერე მედიკო არსად შეხვედრია, არც უნდოდა მისი ნახვა.

— დაჯექი, — უთხრა მედიკოს იონამ და სკამზე მიუთითა.

მედიკო სკამის კიდეზე ჩამოჯდა.

— გისმენ, — უთხრა იონამ.

მედიკო თავჩაღუნული იჭდა, ხმას არ იღებდა. იონა წამოდგა. ოთახში გაიჭრა-გამოიჭრა, ფანჯარასთან გაჩერდა: ევა თოკზე სარეცხს ფენდა. თავი მარჯვნივ ნაპირით წაეკრა, უსახელო ჩი-

თის კაბა ეცვა, კაბაზე ელისაბედის წინსაფარი მოერგო, შიშველი ფეხებით იონას ძველისძველ, ქუსლებზე დაფარულ ფეხსაცმელში წაეყო. ქალის ყოველი მოძრაობა სიმშვილით იყო სავსე, თითქოს შინ იყო, თითქოს აქედან არსად აპირებდა წასვლას.

ამას წინათ ქსენია მოვიდა და იონას უთხრა:

— ვერ ატყობ, ამ ქალის გაჩერება აქ რომ აღარ შეიძლება?

— რატომ? — ჰკითხა იონამ, — რატომ არ შეიძლება?

— დიმიტრი სანამ იყო, კიდევ ხო, — თქვა ქსენიამ და ევას ოთახში შეიხედა, — შინ არ არის?

— არა.

— როგორ კობხად მოუწყვია, ვერ უყურებ? — ოთახში შევიდა, მაგიდიდან პუდრის ყუთი აიღო, თავი ახადდა, თითქოს შიგ საიდუმლოდ შენახული რამე ეგულებოდა, პუდრის ყუთი ისევ თავის ადგილას დადო და გააგრძელა:

— იმას გეუბნებოდი, მისი გაჩერება აქ აღარ შეიძლება. ყველგან მისცემენ აწი მაგას კუთხეს, ინჟინერია, ქიმიკოსი.

— კი მაგრამ რატომ, აქ ცუდად არი? — ჰკითხა იონამ.

ქსენიამ წარბები მაღლა აზიდა, — მეც მაგას გეუბნები სწორედ!

— აბა რას ერჩი?

— იმას ვერჩი, რომ სირცხვილია, — თქვა ქსენიამ.

ახლა ევას პომიდა ეჭირა ხელში და ატრიალებდა:

— კობხა ქალია, კობხა.

— რატომ არის სირცხვილი? — იონა უკვე ხვდებოდა, რისი თქმაც უნდოდა ქსენიას. თვითონ არასოდეს მოსვლია ეს თავში, ვერც იფიქრებდა, ვერც წარმოიდგენდა, რომ ამისთანა რამ შეიძლებოდა ეთქვათ. ცოდვა გამოტეხილი ჯობია, პირველად ესიამოვნა კიდევ ქსენიას ასეთი ლაპარაკი, მაგრამ წამით, მერე გაბრაზდა, თავი კი ისე დაიკვირა, თითქოს ვერ ხვდებოდა, რას

ეუბნებოდნენ. იმის გაფიქრებამ, რომ სხვას დასაშვებად მიაჩნდა ის, რასაც თავის თავსაც კი ვერ უტყუდებოდა, კი არ გაახარა, შეაერთო. თითქოს გულის გულში დამალულ ფიქრს მარწუხი მოსდეს და ძალით გამოათრეს გარეთ. ეს ფიქრი, ახალდაბადებულ ბავშვივით, ღორწიანი და საზიზღარი შესახედი იყო, მისი ჰყავილი უკვე მთელ ქვეყანას ესმოდა და იონას უცებ მოეჩვენა, რომ მის გარშემო ხალხი მოგროვდა, უამრავი ხალხი, ცნობისმოყვარეობისგან თვალბგადმოყრილი, პირზე ღიმილდაბნეული, სუნთქვაშეკრული, განაბული და კმაყოფილი.

— ქსენია, — დაიწყო მან მშვიდად, — იცოდე, მეორეჯერ თუ ეგ გითქვამს, სამუდამოდ დამეკარგავ!

— იონა, — უბასუხა ქსენიამ, — შენ იცი, შენი ოჯახი ჩემსაში არ გამოიძირჩევი. საცოდავი ელისაბედი დასავით მიყვარდა, — ცრემლი მოიწმინდა, — შენც ბავშვი აღარა ხარ და...

— რის თქმა გინდა, ქალო, ვამაგებინე!

— არ გესმის?

— არა.

— აბა თუ არ გესმის, რა ვქნა მე, — უთხრა მკაცრად ქსენიამ, თითქოს გაებუტა, ეწყინა იონა რომ ასეთ მიუხვედრელი იყო. :

მას მერე ქსენია აღარ მოსულა, მაგრამ გულიდან მზეზე გამოტანილი ფიქრი კი დღითიდღე იზრდებოდა. არა, არა! — ამბობდა იონა, — ცილისწამებია! ფიქრი კი უკვე სინამდვილედ იქცა, სინამდვილეს კი თვალს მოხუტვა არ უწყვარს. სანამ ფიქრივით მარტო გულში ზის, კიდევ შეგიძლია დამელო მას, ყურადღება არ მიაქციაო, მაგრამ, როგორც კი კარზე მოგდებული ბავშვივით, ცხადი შეიქმნება, ველარსად გავქცევი. არა, აბა, — ამბობდა იონა, — მე ამას როგორ ვაგებდავ? ვაგებდავ?

ამ სიტყვამ მის თვალთმაქცობას ფარდა ჩამოგლიჯა, გააშინველა. ოღონდ ვერ მხოლოდ საკუთარ თავს ატყუებ-

და, ხვალ კი უკვე სხვებიც შეაჩერდებოდნენ თვალბგადში. კი მაგრამ, როგორ, როდის მოხდა ეს? შეტყუვდა, უცხად. კი მაგრამ, რატომ, განა ტანჯვა არ მყოფნიდა? კიდევ ცდილობდა თავის მოტყუებას, ჯერ კიდევ იბრძოდა. თუმცა ისიც იცოდა, რომ მისი ბრძოლა ამო იყო. სივრცე და ღრო, აქამდე ერთად შეკრული და შედუღებული, დაიშალა, ერთიმეორეს დაშორდა, მოწყდა. თუ სივრცე ისევ წინ ეწეოდა არსებობის გზაზე, ღრო უკან ექანებოდა, ოცი, ოცდახუთი წლის უკან, სიჭაბუკეში, რომელიც მას ისე გაველო, რომ ვერც კი შეეძინია. მისი სული ღელვას იწყებდა, ისეთ ღელვას, როგორც არასოდეს განეცადა. იონა იბრძოდა, წვალობდა, ჯერ კიდევ გაურკვეველი, ჩამოუყალიბებელი გრძნობის ჩახშობა უნდოდა. წინ საიმედოს ვერაფერს ხედავდა. იმასაც გრძნობდა, რომ მართლაც დაიტანჯებოდა, მაგრამ იქითკენ ლტოლვაც კი, საითაც ახლა გული ეწეოდა, თავბრუს ახვევდა. ისიც იცოდა, რომ ამას ვერასოდეს გაამხელდა, მაგრამ ყველაფერი ეს ერთად თავმოყრილი უფრო სინათლე იყო, ვიდრე სიბნელე. თუკი თვალი ამეხილა, რატომ ვერაფერს ვხედავო? — ფიქრობდა და იმასაც ფიქრობდა, — ნუთუ აღამიანი რომ იყო, უნდა იტანჯო.

— გისმენ, — გაიმეორა იონამ, ისე რომ მედიკოსკენ არ მიტრიალებულა.

— გეზიზღებით, ალბათ, — თქვა მედიკოსმა ჩუმად.

იონამ შეხედა:

— გეზიზღებით?

— ხო, ღირსი ვარ, უნდა გეზიზღებოდე.

— არა, — უთხრა იონამ, პაპიროსი ამოიღო და მოუკიდა, — არ გეზიზღები, ან რატომ უნდა გეზიზღებოდე? მე უკვე ყველაფერი დამეიწყედა.

— ამის დაეიწყება არ შეიძლება, — თქვა მედიკოსმა სლუკუნით.

ცოტახანს ჩუმად იყვნენ, მერე მედიკოსმა ცხვირსახოცით თვალეზი მოიწმინდა და ჰკითხა:

— წერილს თუ იწერება?

იონამ წერწყვი ძლივს გადაუღაპა:

— არა.

— რატომ?

— რა ვიცი მე.

— იქნებ...

— არა, — უპასუხა საჩქაროდ იონამ, თითქოს მედიკოს პირზე ხელი დააფარაო, — გავიგებდი.

— რომ იცოდეთ, როგორი უბედური ვარ.

— ახლა ყველა ასეა.

— არა, ყველა არ არის ასე, — მედიკო ატირდა, — მე ვახტანგს ვუყვარდი...

— რა თქვი? — შეკრთა იონა.

— ვახტანგს ვუყვარდი...

— აჰ, — დაიწყო იონამ, მაგრამ სათქმელი ვერ დაამთავრა, რადგან მედიკო პირში ეცა:

— ზო, ვუყვარდი, ნამდვილად ვუყვარდი!

„რა ამბავია ჩემს თავს, — გაიფიქრა იონამ, — ეს აზრი ხომ მე ჩავაწვეთ ამ საცოდავს?“

— შენი ქმარი სად არის? — ჰკითხა.

— ციხეშია. მაშინვე დაიპირეს[†]ერთი თვის მერე.

— რატომ?

— არა, ჩემი პატიება არ შეიძლება, — მედიკო ცოტახანს გაჩუმდა, მერე თვალეში შეხედა და უთხრა, — ბოლოსდაბოლოს, მე ვახტანგის ცოლი ხომ არ ვიყავი, რა გინდათ ჩემგან? ცოლები უთხოვდებიან ქმრებს...

— ნუ შეილო, შენ მაგახე ნუ ფიქრობ, — უთხრა იონამ.

— ხომ ხდება ასეთი რამ, მითხარიო, ხომ ხდება?

— როგორ არა... როგორ არა, — უცებ იგრძნო, რომ მედიკო ნამდვილად უბედური იყო, — შეილი თუ გყავს? — ჰკითხა.

— კი, ვახტანგი დავარქვი. კაწიამ ციხიდან შემომითვალა, რომ გამოვალ, მოგვლავო. მომკლას, არ მეშინია, ნეტავი მართლა ვინმე მომკლავდეს...

არა, მედიკო ასე გაწამდებოდა, ვერ იცხოვრებდა. სჯობდა, ეს აზრი ახლავე ამოვღოთ თავიდან.

— შენ რომ ვახტანგს ყვარებოდი, ასე არ მოიქცეოდი, — თქვა იონამ და თვითონვე გაუკვირდა, თითქოს სხვამ დაიძახა ეს სიტყვები, უფრო მკაცრმა, თუ უფრო გამოცდილმა, — არა, ვახტანგს არ ყვარებხარ, შეილო, მე ხომ ვიცი... მამა ვარ, მეტყოდა, ოჯახი გყავს, შეილო... იმას მიხედე.

— მე კი მეგონა, — თქვა მედიკომ და წამოდგა, — მე კი მეგონა...

— რა გეგონა? — ჰკითხა იონამ.

— თქვენ არ მითხარით უყვარდიო?

— მედიკო კარისკენ გაემართა, — თუმცა... კარგად იყავით... მშვიდობით.

რა უნდა ამ ხალხს იონასაგან, რატომ არ დაინებებენ თავს? რა ქნას, მედიკო და მისი შეილი შინ მოიყვანოს? არა, აღარ არის იონა ასეთი სულელი, გათავდა, ის იონა მოკვდა!

იმდენად უცხო იყო მისთვის ასეთი ფიქრი, რომ გული ამოუჭდა. ის იონა მოკვდა, მე კი ცხოვრება მინდა, გესმით? მეც ხომ ადამიანი ვარ? ადამიანს შებრალება არ ჰქირდება, ის ან უნდა გატლდეს, ან კიდევ გიყვარდეს. რასაკვირველია, სიყვარული ჯობია სიძულვილს, სიძულვილისთვის იონას ძალა არ ეყოფოდა, მაგრამ განა სიყვარულისთვის კი ეყოფოდა ძალა? რა მეშველება, რა მეშველება, — გაიფიქრა მან.

ქუდი დაიხურა და ქუჩაში გამოვიდა, ქალაქკომისაყენ გასწია. იქ კარგახანს დაქირდა ლოჯინი, სანამ პლატონთან შევიდოდა. პლატონს აბეგლებდა, ეტყობოდა სიცხე ჰქონდა, იონამ უთხრა: გამომიგზავნე ვინმე, ოთახი ცარიელი მაქვსო.

— მაშინ რომ გითხარი, რატომ არ წაიყვანე? — ჰკითხა პლატონმა.

— წაიყვანე ერთი, — მიუღო იონამ.

— თუ იცი, მედალზე რომ ხარ წარდგენილი?

— რისთვის? — გაუკვირდა იონას, თუმცა გაუხარდა კი.

პლატონმა ვერ უპასუხა, რადგან ხე-
ლა აუტყდა.

დრო გადიოდა. თუმცა საგანგა-
შო სირენები ჯერ კიდევ კიოდნენ, მაგ-
რამ ყველაფერზე ეტყობოდა, რომ
მტერი გაბტყდარიყო.

დიმიტრის ოთახში იონას უკვე ახა-
ლი მდგმური ეყენა, ჩემი, უწყინარი
მოხუცი ქალი.

— ახლა, ამ წუთას, — ამბობდა ევა,
— რომ მკითხონ, ყველაზე უფრო რა
გინდაო, დაუფიქრებლად ვუპასუხებ-
დი, მინდა ვიყო ჩემს სახლში, ჩემს
ტახტზე ვიწვე და რომელიმე სულე-
ლურ წიგნს ვკითხულობდე-მეთქი,
შეიძლება ჩემი სახლი დანგრეულიც კი
იყოს. მე მეშვიდე სართულზე ვცხოვ-
რობდი, სახურავის ქვეშ, მერცხლის ბუ-
დესავით პაწაწინა ოთახში. ფანჯრის
რაფაზე ყვავილების ქოთნები მეწყო...

— განა ძნელი არ არის მარტო ცხო-
ვრება? — ეკითხებოდა იონა.

— ალბათ, — პასუხობდა ევა, —
თუმცა მე შევეჩვიე და არ ვიცი, ზოგი
ვერ ეჩვევა.

— მართალია, ზოგი ვერ ეჩვევა...

— ზოგს სიმარტოვე კლავს...

ევა ვერაფერს ხედებოდა, არც შეი-
ძლებოდა მიმხედარიყო. იონამ თავის
გულს ცხრა ბოჭლოში დაადო. ისიც
უნდა ითქვას, რომ მისი ყრძნობა თით-
ქმის უმიზნო იყო, ჰაერში ფაოკიდე-
ბული. მისი ერთი ბოლო ყელზე ჰქონ-
და შემოხვეული, მეორე კი მიწაზე
ეთრეოდა, არავინ წაადგებდა ხელს,
რომ არ შეეხსნა, ანდა დაეხრჩო. მაგ-
რამ ეს უხიათო, მშვიდი სიგოიის მსგავ-
სი გრძნობა მაინც სიყვარული იყო,
რომლისთვისაც ღირსეული და უდი-
დესი არ არსებობს. განა ამ ორ ცნებას
შორის მტკიცე საზღვრის გავლება ვინ-
მეს შეუძლია? იონა, რა თქმა უნდა,
თავის თავს უღირსად თვლიდა. შეი-
ძლება ბევრი დათანხმდებოდა მას, მისი
ამბავი რომ გაეგო, ბევრი კი — არა. იონას
ერთი ხმა განუწყვეტლივ ჩასჩიჩინებდა,

ცლებიო, მაგრამ ამ ხმას ის სატანის ხმას
ეძახდა, მთელ მის არსებობაზე მარტო
რომ რეკდა და სიხარულისა და ტანჯვის
მომგვრელი იყო ერთდროულად. მთა-
ვარი საბუთი, რომლითაც ამ ხმას
ებრძოდა იყო ის, რომ მას უფლება არ
ჰქონდა. თუ ამ საბუთს კარგად გამო-
ვჩხრეკთ, მივხვდებით რასაც გულის-
ხმობდა იონა: ბედნიერების უფლება
არა მაქვსო!

ბინდებოდა. ისინი ზღვის პირას
იდგნენ.

ქალს იონა ძალიან მოწონდა, შეე-
ჩივა კიდევ, მაგრამ ეს სხვა იყო. ქა-
ლის ეს გრძნობა იმ მშვიდსა და უძრავ
ტბას ჰგავდა, რომელშიაც დაბრუნება
არ შეიძლება.

— თქვენც ხომ მარტო ხართ? —
ჰკითხა ევამ, — თქვენ არ გიჭირთ?

— მე შვილი მყავს, — უპასუხა
იონამ, უნდოდა კი ეთქვა, ძალიან მი-
ჭირსო.

— ნუ გეშინიათ, — უთხრა ქალმა,
— თქვენი შვილი უვნებელი დაბრუ-
ნდება.

იონამ ამოიხრა.

საკმაოდ ჩამობნეულა, თუმცა ჰო-
რიზონტზე ერთი ნამცეცი სინათლე
მაინც დარჩენოდა მზეს, სანთელივით.
ცოტახნის მერე ისიც გაქრა. მერე ზღვის
ხმა გაიგონეს, რომელიც, ალბათ, აქამ-
დისაც ისმოდა, მაგრამ ახლა შეამჩნიეს,
თითქოს ზღვა დაბნელებას უცდიდა,
რომ ალაპარაკებულყო.

ვარსკვლავებმა თვალეები დააჭყი-
ტეს, ზღვიდან გრილმა ნიავმა დაუბე-
რა, ბაღმაც გაიშრიალა, თითქოს ზღვას
გაეპასუხა.

— თუ ნებას მომცემთ, ვიბანავებ,
— უთხრა ქალმა იონას.

ეს მეტად მოულოდნელი იყო, რად-
გან სრულებით არ შეესაბამებოდა მათ
საუბარს.

— კი, ბატონო, — უთხრა იონამ.

ქალმა გაიცინა:

— დიდიხანია მინდოდა, მაგრამ ვერ
ვბედავდი, დღისით აქ ხალხი არ და-

დის, რამდენჯერ მოვედი, არავინ იყო, სალამოს კი მარტოს მეშინია.

— ახლა აღარ ბანაობენ.

— მე კი ვგვიდები ისე მინდა, თქვენ აქ ხართ და არ მეშინია.

— შეიძლება პატრულმა ჩამოიაროს, — უთხრა იონამ, — ღამით ზღვასთან მისვლა არ შეიძლება.

— ჩავლ და მაშინვე ამოვალ, კარგი?

— კი, ბატონო.

ქალი უკვე თავდაღმართში მიდიოდა, პოტრიალდა და დაუძახა:

— არ მოიწყინო!

იონა ზღვისკენ ზურგშექცეული იდგა, მაინც ყველაფერს ხედავდა: როგორ გაიხადა კაბა ქალმა, როგორ მივიდა წყალთან, ჯერ ცალი ფეხი ჩაყყო:

— აჰ! — წყალი ცივი იყო, დაიხარა, ხელები დაიხველა და მხრებზე მოისვა. მერე ნელ-ნელა, აღჩქარებლად შევიდა წყალში.

ღმერთმა იონა მასხრად აივლო, სხვისი გული ჩაუღო მკერდში, ახლა მალდიდან დასცქეროდა და დასცინოდა, რადგან იცოდა, ვერაფრით ვეღარ ამოიგლეჯდა გულს, რომელსაც კარგად მორგებოდა ეს დამპალი და დაჩენილი ბადე, იონა რომ ერქვა სახელად.

ამ დროს ხმაური მოესმა, ქალი ბრუნდებოდა. ფეხქვეშ ქვიშა ხრამუნებდა. იონა არ მობრუნებულა, ასე ზურგშექცევით იდგა და იცდიდა.

— უკაცრავად, — მოესმა ქალის ხმა, — გლოოდინეთ.

იონამ მოხედა, ქალს ერთი ხელით კეთასთან თმა მოებლუჯა, მეორეთი კი წურავდა, — მთლად სველი ვარ.

იონამ თვალი ააჩიდა.

— ყურში წყალი ჩამივიდა, — თქვა ქალმა, ახლა ყურზე მიიღო ხელი და ბავშვებით დაიწყო ხტუნვა ცალ ფეხზე.

იონა გატრიალდა და წავიდა, ქალი უკან გაჰყვა, ფეხსაცმელი ხელით მოჰქონდა.

— რა ცოტა უნდა ადამიანს კარგ გუნებაზე რომ დადგეს, — ამბობდა ქალი, — თუმცა განა ეს ცოტაა? რომ

იცოდეთ, რა კარგი იყო. მე დავჯავშნული ვიყავი, აქაურები არ ბანაობენ, ზღვასთან დიღით მქონდეს, რა გამაჩერებს.

— ახლა ამისთვის არავის სცალია, — თქვა იონამ და შეჩერდა, რადგან ბალის კიდესთან მისულიყვნენ, ქალი ფეხშიშველა ხომ არ გავიდოდა ქვიშაში?

ქალიც შეჩერდა, მაგრამ ლაპარაკი არ შეუწყვეტია:

— მართალია, ახლა არავის ამისთვის არ სცალია. ზღვაში რომ ვიყავი იცით რაზე ვფიქრობდი? მალე ოცდათორამეტი წლისა გავხდები და ჩემთვის უკვე ყველაფერი გათავდა-მეთქი. სისულულეა. თვრამეტი წლისა რომ ვიყავი, ოცდაათი წლის ქალი ბებერი მეგონა, ვამბობდი, ოცდაათის რომ გავხდები, თავს მოვიკლავ მეთქი, იმიტომ რომ არ მინდოდა, ბებერი ვყოფილიყავი. არაფერი კი არ შეცვლილა. აი თქვენ, თქვენ როგორ გგონიათ?

— მე ბებერი ვარ, — თქვა ჩუმად იონამ.

— რას ამბობთ, რა დროს სიბერეა!

— ფეხსაცმელი ჩაიცვით, — უთხრა იონამ და მაშინვე დაუშატა, — ვაცივდებით.

ქალმა ფეხსაცმელი ჩაიცვა. ჩაცმის დროს იონას მხარზე დაეყრდნო ხელით. ქალის სველი თმა იონას ლოყაზე მოედო, გააყრიალა, ქალს გამოეცალა, გვერდზე გადავა, ქალი წაბარბაცდა.

— რა იყო? — ჰკითხა გაკვირვებულმა ქალმა.

— არაფერი, — უბასუხა იონამ. — წავიდეთ.

რა იყო, გესმის, იონა? შენ კი რა ბრიყვი ხარ, ბებერი ბრიყვი. ვირის ტუჩის ხომ არ გაქამეს. შე უბედურო, რამ გამოგაშტერა ამ ხნის კაცი. თუ რამ სათქმელი გაქვს, თქვი, შე კაი კაცი, თორემ გათავდა ცხოვრება და ახია შენზე.

— წელს წელი ემატება, მაგრამ არითმეტიკამ როგორ უნდა აქოზოს ადამიანს, — ამბობდა ქალი, — მთავარი გული იყოს მუდამ თვრამეტი წლისა...

3. ავადმყოფობა

იონა ავად გახდა. დიდი სიცხე მისცა. ევა თავს დასტრიალებდა. უვლიდა. სილოვანიც მოდიოდა ხშირად, ექიმიც — ცნობილი პოეტის ძმა, ახალი მღვდელმწიველი შემოდიოდა, სკამზე ჩამოჯდებოდა. იჯდა ხმამაღლა ცოტახანს, მერე ადგებოდა და წაედიოდა.

იონა ყველაფერს ბურუსში ხედავდა. ამ ბურუსიდან გამოკონილი ხმები უცნაურად ჩაესმოდა.

მერე კრიკინას ხმაც გაიგონა...

— რძე მიეცით, — თქვა ექიმმა, — ხილიც კარგია, ფხალეულობაც. თბილი წყლით ხშირად მობანეთ პირი, ხელები...

გზაზე მტერის კორიანტელი ღვას და იონას ოფლი წურწურით ჩამოსდის. პატარა ჩრდილიც კი არსად მოჩანს, რომ შეეფაროს. ხედავს: ტრიალ მინდორში წითელ-ყვითლად შეღებილი შენობა ღვას, ცირკივით. იქითკენ მიუშურება, იქნებ როგორმე გაერიდოს ამ ცოფიან მზეს. შენობას ხის კიბე აქვს გარედან მიდგმული. კიბეზე აღმს და შენობაში იხედება: შენობა შიგნიდან სრულიად ცარიელია, თონესავით, ოღონდ შუაში ბოშების დათვი ბორისი შემდგარა უკანა თათებზე და კაცივით ღმუის: მიშველე, მიშველე, ამომიყვანე აქედან! იონა კიბეზე ნელა ჩამოდის: ნუჭრუ დათემა არ იცის, რომ მას შველა არ შეუძლია? რამ გამოგასულელა, დათეს როგორ ელაპარაკები, კაცო? — ესმის ელისაბედის ხმა.

— სველ ტილოს მოვიტან, — ამბობს ევა.

— არ არის საჭირო, — პასუხობს ექიმი.

— მერვე დღეა, ასეა...

— ჩემთან გრილა, — ამბობს ელისაბედი, — გრილა.. მე ხომ წყალში ვწვევარ.

— წყალი, — ჩურჩულებს იონა, — წყალი...

სასაფლაო წყალშია ჩაძირული და წყლიდან მხოლოდ საფლავის ჭკრები მოჩანს. ელისაბედს კი ვერ ხედავს, სამაგიეროდ, მედიკო ზის ხის ძირას და კალთაში ბავშვი უხის, ეს ბავშვი ვახტანგია. გინდა, ცირკში წაგიყვან? — ეკითხება იონა ვახტანგს და ისინი ცირკში სხედან. ბორისი უკანა თათებზე შემდგარი დაღის და ბოშები მღერაინ. არა, ეს ცირკი არ არის და აღარც ვახტანგი ჩანს. იონა საკლასო ოთახში, დაფასთან დგას და მღერის. ბავშვები გაქვავებული სახეებით შესცქერიან და იონას სიმღერა არ ესმით.

— ჩემგან კარგი მოწყალეების და დადგებოდა, — ამბობს ევა.

— ყველა ქალი მოწყალეების დაა, — ღმილით პასუხობს ექიმი.

ახალი მღვდელი ზის და ყვინთავს.


იონა ეზოში ღვას მძიმე ჩემოდნით ხელში. ფეხები მოყინვია, თითქოს სახრით მოამტკრიეს, როგორც სხვის ეზოში გადასულ ქათამს. არც ერთ ფანჯარაში შუტი არ ანთია და, რომც ენთოს, იონა მაინც ვერ გაბუდავს დაკაუნებას, რადგან იცის, რომ ამ უზარმაზარ, ჩაბნელებულ სახლებში მისი ნაცნობი არავინ ცხოვრობს. მაგრამ ის კიდეც უფრო შემზარავია, რომ დააკაუნო და აღმოჩნდეს, რომ ამ სახლებში საერთოდ არავინ ცხოვრობს და სანამ დანამდვილებით არ იცი, ცხოვრობს თუ არა ვინმე ამ სახლებში, იმედის ნაპერწკალი ჭერ კიდეც კიაფობს.

ცოტახნის მერმე გაბედა და პირველივე კარი შეაღო. ელისაბედი ფანჯარასთან იჯდა.

— ვახტანგი რაღა იქნა? — ჰკითხა ელისაბედმა ისე, რომ არც მოუხედავს.

— შაქარი მე მაქვს, — თქვა ახალმა მღვდელმწიველმა.

— გამაღობთ, — უთხრა ევამ.



— გათენებულია, — ეს სილოვანის ხმა იყო.

მერე იონამ დაინახა, ბაბუაწვერა მიფრინავდა ზღვაზე...

— ყინული, ყინული მომეციო, — თქვა იონამ, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს პირი ცხელი თიხით გავსებოდა.

— როგორ ხარ, იონა? — ჰკითხა სილოვანმა.

იონამ თვალი გააღო, მაგრამ კერაფერი დაინახა.

— ლამეა? — იკითხა ჩურჩულით.

— ხო, ლამეა, როგორ ხარ?

იონამ ისევ დახუჭა თვალი. გაიგო, რასაც ეკითხებოდნენ, მაგრამ არ იცოდა, რა უნდა უპასუხა. სწორედ იმ წუთას, როცა ყინული მოითხოვა, ისევ ტრიალ მინდორში იყო, პაპანაჭება სიცხეში, ახლა კი მის თავზე მშვენიერი ხე გაიფოთლა. იონას უცვირდა საიდან გაჩნდა ეს ხე ამ უდაბნოში. მერე იცნო — შენ ის არა ხარ, ჩემი სახლის წინ რომ იდგეო?

— თქვენ რა იცით, რა ბედნიერებაა მზე, — ამბობდა ევა. — შე უნდა უდაბნოში ვცხოვრობდე, ბედუინის გოგოსავით, ჩემთვის ზედმეტი ფუფუნებაა ეს მაგნოლიები, კვიპაროსები, ნაკალობტები, აერთადერთი მცენარე, რომელიც ნამდვილად მიყვარს, კაქტუსია.

— მიკვირს, რატომ უნდა იყოთ თქვენ მარტო, — უთხრა სილოვანმა, — ახალგაზრდა ხართ, ლამაზი...

მერე ის ხე, იონას თავზე გაშლილ ქოლგასავით რომ აღდა, ვახში. იონას ძალიან შეეცოდა. რა დავემართაო? — ჰკითხა ხემ.

— მეცოდებიო, — უპასუხა იონამ. — შე უსვინდისო, — უთხრა ხემ, — ქვეყანა რა დღეშია, შენ კი ერთი ქეციანი ხის გულსთვის ტირიო?..

— რკინის ჯანი გქონია, რქუთხარა ექიმმა იონას.

იონა აივანზე იჯდა, ფეხებზე საბანი ჰქონდა შემოხვეული.

— მაგრამ ევა რომ არ ყოფილიყო, შენი ბურტყაც არ იქნებოდა.

ექიმს სამხედრო ფორმა ჩაეცვა. მაღალსა და ღონღლო კაცს ფორმა სასაცილო იერს აძლევდა. ექიმი კი, ეტყობოდა, ამყობდა. თუმცა შესამჩნევად გამხდარიყო, მაინც ახლა უფრო მხნედ გამოიყურებოდა, ვიდრე მაშინ, როცა ხალვათად ჩაცმული, ქუჩაში უზრუნველად დასეირნობდა.

— ამ დღესაც მოვესწარი, — უთხრა მან იონას, — მტერი გარბის!

იონამ თავი დაუქნია და გაიღმა, ლაპარაკის თავი არ ჰქონდა.

გაიარა ერთმა კვირამ, იონამ გამოიხედა. ფეხზე წამოდგა, ქუჩაში გამოვიდა, ოღონდ ხოსა და არას მეტს მისგან ვერათერს გაიგონებდით. ექიმმა ურჩია, ყოველდღე ნახევარი საათით მაინც ზღვის პირას გადი, სუფთა ჰაერი ისუნთქეო.

სისუსტეს აღარ გრძნობდა, ოღონდ ზოგჯერ მთელი ტანი ისე მოუღუნებოდა, რომ ხელის განძრევაც კი არ შეეძლო. ამ დროს ის უაზრო, მაგრამ ძალზე მკაფიო ჩვენებები უზრუნდებოდნენ, მის გონებას ავადმყოფობის დროს რომ ჯიჟნიდნენ. მერე რატომღაც ვახტანგის სახე დაუდგებოდა თვალწინ. შიში შეიპყრობდა, ჩემი შეუფერებელი საქციელისა და ფიქრის გამო რამე არ დაემართოსო. ხალხი ომობს, მე კი ერთი ქეციანი ხის ვახშობას ვტირო, — ამბობდა იონა. მაგრამ ის ხეც რომ საცოდავი იყო?

ზღვის პირას ზოგჯერ ევაც წამოყვებოდა ხოლმე. ქალი წყალში აღარ ჩადიოდა, ნაპირ-ნაპირ დადიოდა ფეხშიშველი და ქრულ კენჭებს აგროვებდა. ზღვის პირი ცარიელი იყო, ზოგჯერ ჯარისკაცი თუ ჩამოვიდოდა ხალაის გასარეცხად, ეს იყო და ეს, სხვა არაფერი ჰქაჩანებდა.

4. „მოვედ და იხილე“

ერთ დღეს, როცა იონა სკოლაში იყო, მეზობლის ბავშვმა მოიხიბინა და უთხრა, ვახტანგი ჩამოვიდაო.

ვახტანგი აივანზე იჯდა და მისკენ მომავალ მამას უყურებდა. იონა ახლოს რომ მივიდა, წამოდგა. ხელი გაუწოდა, მაგრამ იონამ ორივე ხელი მოხვია და მკერდში ჩაეკრა.

„როგორ გაზრდილა?“ — გაიფიქრა და ცრემლი წასკდა.

— კარგი, კარგი. — უთხრა ვახტანგმა. — გეყოფა ახლა!

მამას ზურგზე ხელი მოუთათუნა, დამშვიდდით.

— შეილო, შეილო, — იონა ვახტანგის მკერდზე თავმიდებული ტიროდა, — ჩამოხვედი, ბიჭო, ჩამოხვედი?

— ვერ ხედავ, რომ ჩამოვედი? კარგი, გეყოფა!

— დედა აღარ გყავს, შეილო, ვერ დაგახვედრე დედაშენი ცოცხალი, — კიდევ უფრო ატირდა, რადგან ელისაბედი შეეცოდა, შინდაბრუნებულ ვახტანგს რომ ვერ ხედავდა.

— დაბერებულხარ, მამაჩემო, — უთხრა ვახტანგმა.

— ხო, დაბერდი, — იონამ ვახტანგს ხელი გაუშვა, გვერდით გადგა და ცრემლი მოიწმინდა, — არ არის დრო?

ვახტანგმა სათვალე მოიხსნა, ცხვირსახოცით მინები გაწმინდა და ისევ გაიკეთა.

ოფიცრის მუნღირი უხდებოდა, მკერდზე წათელი ვარსკვლავის ორდენი უბრწყინავდა.

— როგორა ხარ, როგორ ცხოვრობ? — ჰკითხა მამას.

სკამზე ჩამოჯდა, გიბიდან პაპიროსის კოლოფი ამოიღო, გახსნა, მამას მიაწოდა:

— მოწიე!

იონამ ამოიღო პაპიროსი, გააბოლეს.

— როგორ გამოცვლილხარ, — უთხრა იონამ შეილს.

— ვითომ?

— გაზრდილხარ, დაეუყვებულხარ.

ერეკლესული

იონა, როცა შეილს მკერდზე სტრატოდა, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ქვისაგან გამოთლილი ვახტანგის ქანდაკებას ეხვეოდა, ახლა კი, პირველმა სიხარულმა რომ გაიარა და შორიდან შეხედა, მის წინ ისევ მტკივნეულად ახლობელი, ცოცხალი ვახტანგი, მისი სისხლი და ხორცი იდგა. მაგრამ ეს მხოლოდ წუთიერი მოჩვენება იყო. იონა ისევ თავის თავში დარწმუნებულ, ღონიერ ჰაბუტს შესცქეროდა, რომელსაც ფოლადის ჩარჩოიანი სათვალეც კი ზვიადსა და მკაცრ იერს აძლევდა. ეს სათვალე მისი მზით დამწვარი, ბრინჯაოსგან ჩამოსხმული სახის ნაწილად ქცეულიყო, თითქოს დედის მუცლიდან დაპყლოდა, როგორც ცხვირი ან ყური.

— რატომ არ იწერებოდი? — ჰკითხა შეილს.

— ეჰ, მაგისტვის ვის ეცალა.

— ერთი სიტყვის გაქაღბნას რა უნდოდა?

ვახტანგმა გაიღიმა. ყველაზე უფრო უცხო ეს ღიმილი იყო. ნაძალადევად გამოწურული, ცივი.

— შევიდეთ შინ, აქ რატომ ვდგავართ, — თქვა იონამ.

— მდგმურები გყოლია! — უთხრა ვახტანგმა.

— ხო.

იონა ვახტანგის ჩანთას დასწვდა, მაგრამ ვახტანგმა დაასწრო, ჩანთა აიღო.

— მე სამი დღით ჩამოვედი. დედა რითი მოკვდა?

რა უნდა ეპასუხა, რითი მოკვდაო?

იონა კარებში შეჩერდა, შეილი წინ გაუშვა, ვახტანგი ოთახში შევიდა, მიინებდ-მოიხებდა:

— მე სად უნდა დავწვი?

— შენ...

— იატაკზე დავწვივები!

ვახტანგი საწოლზე ჩამოჯდა. ჩანთას პირი მოხსნა, კონსერვი, პური, ძეხვი

და პაპროსი ამოალავა, იონას მიაწო-
და. იონამ მავიდაზე დააწყო.

— წავალ, ლეინოს მოვიტან, —
თქვა ვახტანგმა.

— ლეინო რად გინდა?

— ჩემი ჩამოსვლა აღენიშნათ. თუ-
მცა არა, — წამოდგა ვახტანგი, —
ჭერ სასაფლაოზე წავიდეთ.

საფლაოზე ბალახი ამოსულიყო, ლო-
დი აღორ ჩანდა. ვახტანგი შორი-ახლოს
ჩამოჯდა, ბალახის ღერი მოგლიჯა,
კბილუბით გაძიძგნა. სასაფლაოზე სიჩუ-
მე იდგა, მხოლოდ რტოებში შემალუ-
ლი ჩიტი უსტვენდა. თავდამართში
ეკიპაროსების მწკრივი მოჩანდა. იონამ
ვახტანგს მალულად გახედა, ხომ არ
ტირისო, მაგრამ ვახტანგის სათვალე
მზეზე ბრწყინავდა და ვერ გააჩნია,
ტიროდა თუ არა. ამ დროს ვახტანგი
წამოდგა:

— საფლავი უნდა გავწმინდოთ, —
თქვა მან, — ნიჩაბს ვერ ვიშოვიო?

— კი, მესაფლავებს ექნება.

— სად არის მესაფლავე?

— ქვევით ცხოვრობს.

— ჩავალ, ამოვიტან.

— მე თვითონ ამოვიტან, მესაფლა-
ვეს ვიცნობ.

იონამ ნიჩაბი ამოიტანა. ვახტანგს
ხალათი გავხადა, ბალახს ხელით გლე-
ჯდა და ერთ ადგილას აქუჩებდა. იონა
ნელა მიუაწლოვდა, თვალი მოსტაცა
შვილის დაკუნთულმა სხეულმა, ოფლი-
სგან რომ უბზინავდა.

— აი ნიჩაბი, — უთხრა იონამ.

— მომეცი, — ვახტანგმა თითქმის
ძალით გამოსტაცა ხელიდან, საფლავის
ლოდს ირგვლივ მიწა მოუსტუთავა,
მარჯვედ შრომობდა. ეტყობოდა, გა-
წვრთნილი ხელი ჰქონდა. კარგახანს
იმუშავა. იონა იდგა და უყურებდა,
ხელს თუ შეუშლიდა, თორემ ისე ვე-
რაფრით მიეხმარებოდა, თანაც გრძნო-
ბდა, რომ ვახტანგს არ უნდოდა მისი
მიხმარება, იონა გარეშესავით იდგა აქ
და ეს გრძნობა უსიამოვნო იყო.

მერე ვახტანგმა ბალახს ცეცხლი მო-

უქიდა, ჩამოჯდა და ცეცხლს დაუწყო
ყურება. ხმელი ბალახი ტყვეუნით
იწვოდა.

სასაფლაოდან რომ გამოდიოდნენ,
ვახტანგმა თქვა:

— მარტო დამტოვა დედანქმმა!

მარტო? — უნდოდა ეკითხა იონას,
მაგრამ გაჩუმდა.

ერთი თბილი სიტყვა ვერ გამოიმეტა
შვილმა შენთვის, ერთი ნუთუ არ მოე-
ნატრე? მონატრება კი არა, ამდენხანს
წვეთ-წვეთობით ზღვა გაჩნდებოდა.
ნუთუ მხოლოდ იმიტომ ჩამოვიდა, რომ
დედის საფლავი ენახა? ელისაბედ,
ელისაბედ, აი როგორ გადამიხადე სამა-
გიერო“.

— მე წავალ, კომენდატურაში შევი-
ვლი და მალე დავბრუნდები, — უთხრა
ვახტანგმა.

— კარგი, — უპასუხა იონამ და ში-
ნისკენ წამოვიდა.

„ღმერთო, ოღონდ ვახტანგი მიმყოფე
კარგად, მე თუ გინდა მიწით ავიე-
სებ პირს, დავმუნჯდები, თვალუბს დაეი-
თხრი, ოღონდ უგ მიმყოფე კარგად...“

სალამოს სილოვანი მოვიდა. სუფრა
ახალი მღვმურის ოთახში გაშალეს, თა-
მადად სილოვანი დააყენეს.

ვახტანგი უცებ დათურა. ჭერ ევა ამ-
ოიჩნემა, რატომ ტრიალუბს ასე შინაუ-
რითითო, ეკითხებოდა მამას. მერე
სავსე საფერფლეს ხელი გაჰკრა, ია-
ტაკზე გადმოავლო. თავისთვის მღე-
როდა, იცინოდა, არავის ლაპარაკს არ
აცლიდა. როცა ევამ უთხრა:

— იცით თუ არა, რომ მამათქვენი
მედლით დააჭილდოვესო, — ძალიან
გაიკვირვა, მამას მიუბრუნდა და ჰკით-
ხა:

— მაინც რაში მოგცეს მედალი, სი-
მღერაში?

ვახტანგი ძლივს გაიყვანა იონამ თა-
ვის ოთახში, დააწვინა. ვახტანგს მაშინ-
ვე ჩაეძინა. იონა სუფრასთან დაბრუნ-
და. სიჩუმე სილოვანმა დაარღვია:

— რა ვუყოთ მერე, რამდენი რამე გა-
დაიტანა ალბათ.

ევა გაჩუმებული იჯდა, ტუჩები მაგრად მოკეცმა, ეტყობოდა, ძალიან გაბრაზებული იყო.

— ჯერ ბავშვია, — თქვა ახალმა მღვდელმა.

იმ ღამეს იონას დიდხანს არ დაეძინა. აივანზე იჯდა, ოთახში შესვლა არ უნდოდა. უკვე თენდებოდა, ოთახში რომ შევიდა. ვახტანგს იატაკზე ეძინა, საბანი გადახდოდა, შფოთავდა. იონა დაიხარა და საბანი გაუსწორა.

— პა, პა, — ვახტანგმა თვალეები დააკეცია, წამოჯდა, — რა მოხდა?

— არაფერი, დაიძინე, დაიძინე.

იონამ გამობრუნება დააპირა, მაგრამ ვახტანგმა ხელი დაუჭირა:

— მამა, — უთხრა, — მამიკო!

იონას მუხლები მოკეცვა, იატაკზე ჩაჯდა. ვახტანგი კისერზე მოეხვია და უცებ გულამოსყენილი ტირილი ამოუშვა:

— მამიკო, მამიკო, საწყალი დედა... არ წახვიდე, მამა, არ წახვიდე, აქ იყავი ჩემთან...

— ხო, შვილო, ხო, — იონაც ტიროდა, — არსად არ წავალ, კარგი, ნუ ტირი, კარგი. — თან თმაზე ეფერებოდა. ეს ისევე მისი ვახტანგი იყო. უმწეო ბავშვი, ისევე მამას რომ დაუბრუნდა.

მეორე დილას ვახტანგი აღრე ადგა და წავიდა, ქალაქში გავივლიო. საღამოს ის და ევა ერთად დაბრუნდნენ, ვახტანგს ქალი ქუჩაში შეხვედროდა. მზიარული ლაპარაკით შემოვიდნენ შინ. იონას ესიამოვნა ევა ვახტანგზე რომ აღარ ბრაუბოდა.

მერე ვახტანგმა და იონამ ქადრაკი ითამაშეს. იონამ მოიგო. ევა უყურებდა და იცინოდა, რადგან ვახტანგი წაგებას ძალიან ვანიცილიდა.

— ახლა თქვენ მეთამაშეთ, — უთხრა ვახტანგმა ქალს.

— მე თამაში არ ვიცი.

— მაშინ ნუ იცინით.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ცოტახნის მერე ევა წამოვდა:

— თავი მტკივა, წავალ დავიძინებ,

— და თავის ოთახში შევიდნა.

— ასე როგორ შეიძლება, — უთხრა იონამ ვახტანგს, — ქალთან ასეთი ლაპარაკი გამიგონია?

ვახტანგმა პაპიროსს მოუკიდა:

— თუ გინდა, შევალ, ბოდიშს მოვიხლი.

— მაგიტომ კი არ გეუბნები... ისე არ ვაწყენდა...

ცოტახნის მერე ევა ისევ გამოვიდა ოთახიდან:

— არ შეძინება.

— რა დროს ძილია, — უთხრა იონამ, — ჯერ ცხრა საათიც არ არის.

— თავი მტკივა.

— გინდათ, ცოტა გავიაროთ? — უთხრა ვახტანგმა.

ევამ იონას შეხედა, ვახტანგმაც მოხედა მამას, მერე მზერა ისევ ქალზე გადაიტანა

— წადით, წადით, — სასწრაფოდ თქვა იონამ — შინ რა უნდა გააქეთოთ?

— წამოდი, ევა, — უთხრა ვახტანგმა ქალს.

— არა.

— რატომ?

— ჯერ ერთი იმიტომ, რომ არ მინდა, მეორეც, ჩვენ მგონი, შენობით არ ვლაპარაკობდით...

— უკაცრავად, — ვახტანგმა გაიცინა, — აი თქვენ როგორი ყოფილხართ!

— როგორი? — ჰკითხა ქალმა მკაცრად.

— ძალიან კარგი. წამოდი, წამოდი, ეს ერთი მაპატიეთ, აპატიეთ ჯარისკაცს, რომელსაც ქალთან ლაპარაკი დაავიწყდა.

კი მაგრამ, როდის იცოდი? — უნდოდა ეკითხა იონას, ვახტანგის თანხედური ტონი არ მოეწონა, მაგრამ თავი შეიკავა.

— თუ გინდათ, ნუ წამოხვალთ, — თქვა ვახტანგმა ღიმილით, — ჩემთვის სულერთია... მე მაინც უნდა გავიარო, თქვენ, როგორც გენებოთ, თუ ჩემთან

ერთად სეირნობა არ გინდათ, ძალას არ გატანთ.

იონამ ყურს არ დაუჭერა, როცა ქალის ძალიან მშვიდი ხმა მოესმა:

— კარგი, წავიდეთ.

ისინი წავიდნენ თუ არა, მედიკო მოვიდა.

მედიკო სკამზე მხრებში მოხრილი და თავჩაღუნული იჯდა.

— ქუჩაში დაინახე, — თქვა მან, — როგორ შეცვლილა.

— აი ახლახან წავიდა.

— ვიცი. აქ როგორ შემოვიდოდი, ის რომ შინ ყოფილიყო. ერთი საათია, გარეთ ვდგავარ, რამ მომიყვანა არ ვიცი.

„რა უხეშად ელაპარაკებოდა ევას!“ — ფიქრობდა იონა.

— დილით პურზე მივიდოდი, უცებ ეხედავ, ვახტანგი მოდის. კედელს ავეკარი, ისე ჩამიარა, ვერ დამინახა...

„საერთოდ ყველას ისე გველაპარაკება, თითქოს ჩვენზე უფროსი იყოს. მე ჯანდაბას, სხვების მრცხვენია“.

— ჩემი ამბავი უთხარი?

— ვუთხარი.

— რაო?

— არაფერი. გაპატია.

— რა? — მედიკო წამოდგა, — ეგ არ მითხრათ, არ მითხრათ...

— ასეთი რა ვითხარი, გაპატია-მეთქი.. ასე არ სჯობია?

— არა, მატყუებთ.

— ღმერთმანი. შენ, ჩემო შეილო, ერთხელაც ვითხარი, ოჯახს მოუარე.

— ვახტანგი არ მპატიებდა, იმან რომ მპატიოს, მოგვედები. ერთადერთი ნუგეში ისლა დამჩა, რომ მე ის არასოდეს მპატიებს, ერთადერთი ნუგეში, გესმით?

ქალი აცახცახებულნი ხმით ლაპარაკობდა. თითებში ერთმანეთზე გადახლართული ხელები მკერდზე მიეკრა:

— ვახტანგს კი არა, თქვენ არ გიყვარვართ მე, თქვენ! — იყვირა უცებ მან და გარეთ გავარდა.

სახტად დარჩენილი იონა დიდხანს ვერ გამოერკვა.

ამ საცოდავ ქალს ტყუილი უცევ მუგეშად გადაქცეოდა, მთელმხსნეტყ ხლე ეს ტყუილი გულით უნდა ეტარებინა.

იონა, იონა, რატომ გადარიე ის გოგო, რას ერჩოდო?

ევა მარტო დაბრუნდა, კარი შემოუღო. ჯერ რალაციის თქმა უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა, მაშინვე გაიხურა კარი. ცოტახნის მერე ისევ შემოპყო თავი. მაინც არაფერი უთქვამს. ვაბრუნდა. იონამ გაიგონა, როგორ გადაექტო თავისი ოთახის კარი, რაც აქამდე არასოდეს გაუყეტებია. იონა წამოვარდა: „რა ჩაიღინა ნეტავ ვახტანგმა ამისთანა?“ ამ დროს ვახტანგიც შემოვიდა. ხალათი ვახიხადა, ეზოში გავიდა, სათვალე მოიხსნა. იქვე ღობეზე მიკედელთაროზე დადო, ონკანი მოუშვა და ხელპირის დაბანას შეუდგა.

იონა გამოჰყვა, შორი-ახლოს გაჩერდა. ვახტანგი სახეზე პეშვით წყალს ისხამდა და სიამოვნებისგან ფრუტუნებდა. იონამ ველარაფერი კითხა, იმდენად შეეშინდა პასუხის. ოთახში შებრუნდა, პირსახოცი აიღო და ვახტანგს გაუტანა. ვახტანგმა ხელ-პირი შეიმშრალა, სათვალე გაიყეთა და მამას უთხრა:

— სამოთხეა აქ.

— ეხ, — უპასუხა იონამ, — რაღა სამოთხეა.

— მაინც სამოთხეა, — თქვა ვახტანგმა.

ღამით იონამ რამდენჯერმე გახედა შეილს. ვახტანგს ხელები თავქვეშ ამოვლო და ქერს შესცქეროდა.

მეორე დღეს იონა დილაადრიან წავიდა სკოლაში. მერე პედსაბჭოს სხდომა გაიმართა, სასწავლო წლის დამთავრებამთან დაკავშირებით. სხდომის მერე ქსენია მივიდა იონასთან და უთხრა:

— გავიგე, ვახტანგი ჩამოსულა.

— ზო, ჩამოვიდა.

— როგორ არის?

— კარგად.

— რატომ არ გამოიარა, თუ აღარ ვახსოვართ?

— უნდოდა ძალიან, მაგრამ ხომ იცი, სულ ორი დღითაა ჩამოსული, ხვალ მიდის, — იონამ პირი მობანა შეიღს.

— სასაფლაოზე თუ იყო?

— კი, ერთად ვიყავით.

— როგორ მოგივიდა?

შინ დაბრუნებულს, ევა და ვახტანგი აივანზე დახვდნენ. ქალს გულზე ხელი მიედო, თავი უკან გადაეწია და კისკისებდა. ეტყობოდა, ვახტანგი სასაცილო ამბავს უყვებოდა. იონა ღიმილით შეაქცერდა, მისკენ არც კი გამოუხედავთ, თითქოს არც კი მდგარიყოს იქ.

— ოხ, ოხ, — თქვა ქალმა, — აღარ შემიძლია, — და ისევ სიცილი წასკდა.

— შენმა მასწავლებლებმა საყვედური შემოგითვალეს, — დაიწყო იონამ, ნამდვილად კი უნდოდა, ქალისთვის ეყვირა, გაჩუმდით. მისმა სიცილმა თავბრუ დაახვია. მისი ნათქვამისთვის არც ერთს არ მიუქცევია ყურადღება. ვახტანგი ქალს სერიოზული სახით შესცქეროდა, სწორედ ისე, როგორც ნამდვილმა ოხუნჯებმა იციან, სასაცილო ამბავს ისე მოყვებიან, რომ სახეზე ერთი ნაევთიცი კი არ შეუტოვდებათ.

სწორედ მაშინ, როცა იონა დარწმუნდა, ვახტანგს ჩემი სიტყვები არ გაუგონიაო. შვილი მისკენ მოტრიალდა და ჰკითხა:

— რატომ?

— სკოლაში რომ არ მიხვედი.

— ძლივს დავამთავრე ეგ სკოლა, — თქვა ვახტანგმა და ისევ ევას მიუბრუნდა, — წარმოგიდგენია, კიდევ სკოლაში რომ ესწავლობდე?

ქალმა გაიცინა. ახლა ის ყველაფერზე გაიცინებდა, რაც არ უნდა ეთქვა ვახტანგს.

მოულოდნელად გაჩუმდა, სახე შეეცვალა:

— რა იყო, — ჰკითხა მან იონას, —

რატომ მიუყურებ ასე?

სალამოს, როცა მამა-შვილები შორტო დარჩნენ, იონამ უთხრა ვახტანგს:

— რატომ არაფერს არ მიყვები?

— რა უნდა მოგიყვე?

— როგორა ხარ... რას აკეთებ... რა ვიცი, რამდენი რამეა მოსაყოლი.

— აუცილებელია? — ჰკითხა ვახტანგმა.

— რა ვიცი.

— ეომობ, ეგ არის და ეგ.

— ნაჭრილობევი როგორა გაქვს? რატომ არ მაჩვენე?

— ეხ, იმის მერე კიდევ დავიჭერი.

— რატომ არ მოიწერე?

— რა?

— აი კიდევ რომ დავიჭერი.

— რას მიშველიდი? შენ კი გული გაგისკდებოდა.

ვახტანგმა შარვალი გაიხზა:

— აი ნახე!

ბარძაყზე გრძელი, წითელი, უხეშად გაყერილი ჭრილობა აჩვენა. ვახტანგმა ახლა ხალათი გაიხზადა, მარჯვენა ხელი ასწია, ილიაში პატარა, ნაოქებად ჩაღრმავებული ფოსო მოუჩანდა, კიპივით:

— აი, მეორეც!

— ხომ არ გტკივა? — იონამ ჭრილობაზე ფრთხილად დაადო თითი.

ვახტანგმა გაიცინა:

— რაღა დროს ტკივილია!

— შე არც კი ვიცოდი.

— რომც გცოდნოდა, ვითომ რა იქნებოდა?

— არაფერი.

— ხოდა, მეც მაგას ვამბობ.

— იცი ვახტანგ, გულში მელიკო იყო აქ.

— რა უნდოდა?

— ისე მოვიდა.

— ისე?

— ხო... შენი ამბავი იკითხა.

— ყოჩაღ.

— შემეცოდა...

— შესაცოდი რა ჭირს? რაო, რა მინდაო?

— ხომ ვითხარი, ისე მოვიდა-მეთქი.

ვახტანგი ტანზე იცვამდა, ცოტა-ზნის მერე თქვა:

— კარგი უქნია.

აივანზე გამოვიდნენ, ევა იქ დახედა.

— ხომ არ გაგვევლო ცოტა, — უთხრა ვახტანგმა ქალს, — კარგი საღამოა.

— გმადლობთ, — უპასუხა ქალმა, — არ მინდა.

ვახტანგი მარტო წავიდა.

იონას გული ჩაწყდა: მე რატომ არ მიუხრა, გავიაროთო, ჩემთან ერთად ქუჩაში გავლა არ უნდა, არც ჩემთან ლაპარაკი ეხალისება.

— პაპიროსი გაქვთ? — ჰკითხა ევამ.

— კი, ახლავე გამოვიტან.

რაც ვახტანგი ჩამოვიდა, იონას ევაზე არ უფიქრია, ვახტანგმა მთლიანად დაისაკუთრა მისი გული. ნამდვილად კი თვითონ ამოეფარა ვახტანგს ზურგს უკან, ქალს დაემალა, თუ საკუთარ თავს?

— ბედნიერი ხართ, — უთხრა ევამ, როცა იონამ პაპიროსი გამოუტანა, — შეილი გყავთ.


იმ დამეს იზრნამ უცნაურო სიზმარი ნახა: ვითომ ჭოტოგრაფთან იყვნენ, თვითონ, ელისაბედი და ვახტანგი. იონა და ელისაბედი სკამებზე ისხდნენ, ვახტანგი მშობლებს თავზე დასდგომოდა, მათ მხრებზე ხელები დაეწყო. იონას სწორედ ის კოვერკოტის კოსტუმი ეცვა, ბაზარში რომ შაქარზე გადაცვალა. მერე უკვე მარტო იჭდა აპარატის წინ, ვახტანგი და ელისაბედი სასაფლაოს აღმართზე მიდიოდნენ ხელჩაკიდებულები. იონასაც მათთან ერთად უნდოდა წასე-

ლა, მაგრამ ადგილიდან ვერ იძროდა. მის ახლოს აღარავინ აღარ იყო, ფეხტომა გრაფიკ წასულყო. უნდოდა დაეფიქრა, დამიკადეო, მაგრამ ხმას ვერ იღებდა.

გამოეღვიძა. დიდხანს ვერ გამოურჯვა, სიზმრიდან გამოყოლილი შიში დიდხანს ვერ მოიშორა. მერე ვახტანგს გახედა, ვახტანგის ლოგინი ცარიელი იყო, ალბათ, ეზოში გაეიდაო, გაიფიქრა იონამ. გვერდზე გადაბრუნდა, თითქმის მაშინვე ჩაეძინა, მერე თითქოს ვილაკამ შენაქლრია, თავი წამოყო, გათენებულყო, მას კი ეგონა, ერთი წუთით ჩამეძინაო. ვახტანგის საწოლი ისევ ცარიელი იყო. სად უნდა წასულყო ამდენ ხანს? — იონა წამოდგა. შარვალი ჩაიცვა, ფეხი ფლოსტებში წაჰყო, ეზოში გაეიდა, ვახტანგი არსად ჩანდა. ვახტანგ! ვახტანგ! — დაიძახა კიდევ ხმადაბლა. მერე აივანზე გამოვიდა, არც იქ იყო. უცებ საშინელმა ეჭვმა გაუელვა იონას გულში, ამ ეჭვმა ჭერ ერთ ადგილზე გააქვავა, მერე ხელი ჩაჰკიდა და ნელ-ნელა წამოიყვანა. იონა უძალიანდებოდა, არ მიჰყევებოდა, მაგრამ ძალა არ ჰყოფნიდა წინააღმდეგობის გასაწევად.

ევას ოთახის კარი ფრთხილად შეაღო და ზღურბლზე გამეშდა: დილის ბინდ-ბუნდში მკაფიოდ დაინახა, ვახტანგს ევას გვერდით ეძინა, ბალიშზე კისერგადადგებულს. ქალმა თავი წამოჰყო, იონა რომ დაინახა, ტუჩზე თითი მიიღო და ჩუუო, — უთხრა.

იონა აივანზე გამოვიდა. აივნის ბოძს ორივე ხელი შემოხვია და ზედ მიეკრა, რადგან ეგონა, რომ ქვეყანა ტრიალებდა.



ანდრო თაყაიძე

ქ ყ ვ ი შ ი

აბა ტყვიში რა არი? წყალს მიკრული კუნძული,
ერთი თითის დადება, უსახო და უფერო;
ბევრი ბედს იწყევლიდა მისი ნესტით უძღური,
მის უბრალო ბუნებას როგორ უნდა ვუმღერო?!

ჩემში ეჭვი დაბუდდა, გულში ბოღმა აზღვავდა.
და მოვითხოვე მე პასუხს, ღმერთი ხარ თუ სატანა,
ჭაობიან სოფელმა ბუმბერაზი გაზარდა,
მე კი მთიდან მოსული რად ვარ ასე პატარა?!

იგი ბევრჯერ დაჟვარა ადიდებულ რიონმა,
გადასილულ ტალღებში ეგდო ღმერთის ანაბრად,
მაგრამ მისმა ნაშობმა, დიდმა გალაკტიონმა
ეს უჩინო სოფელი ჩარტალს გაუთანაბრა.

შენ პატარა სოფელო, დიდი ლექსის მფლობელო,
გრძნობის დამატრობელო, გულის აღმა აღმტკორცნო,
როგორ ძლიერ მომწყურდა შენი გზები მომველო,
რომ სადმე ჩაეიმუხლო და შენს მიწას ვაკოცო!..

• • •

ბარათაშვილის გენია ისეთი აღმაფრენია,
რომ მისი ჩანგის სიმთ ჟღერას ხმა მზისთვის მიუწევდენია,
მისმა ნუგეშმა დაატკბო ჩვენი კაცობის დღენია,
მის მერანს ფრთები ლაქვარდში ღრუბლებად გაუფენია.

თუმცა ღრუბლები სად არი, ზეცა სამოთხის ფერია,
გზად შემომხედარი სიკვდილი ფლოქვებით გაუთქვრია;
იმისი ოჭროს ფაფარი კლდიდან ნასხლეტი ჩქერია,
აბა, ყორანო, გზა მივც, მისი გაფრენის ჯერია!

გადაიქუბა, გადიჭრა, სამყაროს გადაერია,
სიცოცხლის საზღვარს გადასცდა, სიბნელე მოიგერია,
და მისთა ფრთათა შრიალზე ცად ვარსკვლავები მღერიან,
რომ პოეზიის სიკვდილი ჯერ არვის დაუწერია!..

* * *

როგორც ავგაროზს, მე შენს ბარათს ისე ვინახავ,
მითხარ, ვინა ხარ, ჩემს სულში რომ ასე ბინადრობ?
უნდა ვინატრო სიჭაბუკე გაჩნდეს ხელახლა,
დილა შენა ხარ, სხივთა შენთა გული მივანდო.

გადამიარა თავზე ბევრმა ქვამ წისქვილისამ
და გზა წინსვლისა გადამიჭრა ბევრჯერ გრიგალმა,
ხან ცეცხლის აღმა დამანავლა, მტვერში. მიმსრისა,
ცა გამიცრიცა, მზეს კინალამ გამომასალმა.

მაგრამ ჩემს ბედად შენ გაბრწყინდი ოცნების ცაზე,
ვით მწვანე ვაზებს, მომეფინა შუქი დილისა,
გზა სიკვდილისა სიყვარულის მზით გადავხაზე
და ვდგავარ მთაზე, ვით არწივი ჟამს ყივილისა.

გავყურებ ირგვლივ ჩემს გარშემო მთათა მწვერვალებს,
ცა მოელვარე რომ დაუდგამთ თავზე გვირგვინად,
ვარსკვლავთა ბრწყინვამ, განთიადის შუქში მთვლემარემ
გულზე მგზნებარე სიხარულად გადამიბინა.

და გამიბრწყინა კვლავ სიცოცხლე მოუწყინარი,
როგორც მყინვარი ცად აჭრილი, კლდეებფრიალო,
სულის ზიარო, საოცნებო გზები წინ არი,
რომ ჩემი ქნარით შენ გიმღერო და გეტრფიალო!..

* * *

შენი ღიმილის სითბო სიცოცხლე არის ჩემი,
კვლავ სიხარულით ვლალბ, როგორც ჭაბუკი მრწემი,
აღმართული ვარ მთაზე, ვით ძველისძველი გრემი,
კვლავ წინ მივცურავ, როგორც ოკეანეში გემი.

არა და არა, მზეო, ღრუბელს რა უნდა შენთან?
ჩვენ სიყვარულის ძალამ ერთ ჰანგად შეგვაერთა!
იმ სიყვარულის ძალით შეფიცული ვართ ღმერთთან.
არ გაახარო გული ავად მოშურნე მტერთა.

მე კვლავ იმ ხმაზე ვმღერი, რაც არის მგოსნის ჯერი.
რასაც მისმენდა მარად ჩემი მშობელი ერი.
ისევ მომესმის ზარად ხმა მისი გულის ძვერის,
— არ დაივიწყო, არა, სიმღერა ძველისძველი!..

აკაკი ბენაძე

უკანალო ბუნებაი

მ ო თ ხ რ ბ ა

ეკას ძილში ჩაესმა, ვილაც შორიდან ეძახდა, უმაღვე გაახილა თვალი და კიშკრის მხარეს მიაყურა. სამარისებური სიჩუმე იყო. ფანჯარაში რძისფერი შუქი იღვრებოდა.

ლოგინიდან წამოიწია და გაიხედა.

რიკულებიანი აიენის მიღმა უსაზღვროებაში მიმავალი სითეთრე ჩანდა. ეს სითეთრე თანდათან იისფერდებოდა და ბოლოს ლურჯ ბურუსად ტიეტევიებდა.

„გათენებულა. ალბათ ღორმა დაიქყვირა. ამ ბოლო ხანს სულ გადაირია. ცოტა თუ შეუგვიანდა სალაფავის მიცემა, იჭაურობას იკლებს, საღორეში ყოფნა აღარ უნდა, გარეთ მოიწევს... თუ გამოვარდა... ველარ შეაგდებ შინ... მგლად იქცა... მტრისას გამგელებული ღორი...“

ახლა უკანა ეზოს მიუვდო ყური სდუმდა იჭაურობაც.

„ეტყობა, მთელ ღამეს თოვდა და ახლახან მოისვენა ცამ, თორემ ღამითაც რომ მოწმენდილი ყოფილიყო, ეციებოდა. ავდგე ვითომ?“

აგერ ერთი თვეა, ეკა მარტოდ მარტოა სამთვლიან სახლში და დილით ლოგინიდან გამოძრომა ერთობ ეზარება ხოლმე. ადრე წევება და გვიან დგება. წევება და ლოგინში შამფურივით ტრიალებს, თვალზე რული არ ეკარება, თა-

ში ათასი ფიჭვი უბორიალებს. გვიანჩაძინებულს კარგა ხნის გათენებულზე ეღვიძება და არც მაშინ უნდა აღგომა. ეკას სულაც არ უყვარს ძილი და თბილ ლოგინში ნებიერობა, ქმარი რომ შინ ჰყავდეს, იცოცხლე, უთენია წამოვარდება, ცეცხლს დაუნთებს, საკმელს გაუცხებლებს, ახლა კი მხოლოდ თავისი თავი აბარია და მარტოხელას ამხელა ბუხრის დანთება აინუნში არ მოსდის, ზოგჯერ დღე ისე გავა, ერთხელაც არ გაახალბეს.

ოჯახში ცხრა სული მიმოდის თუ კაკლად ერთი დაფარფატობს, ცეცხლის დანთება ერთნაირად სჭირდება, ეს ძველებური უშველებელი ბუხარი კი იმდენ შეშასა სწევას... ჰოდა, ერთისთვის დანათოს? ისევე ლოგინში გორაობას ამჯობინებს — სამოა საკეთარი სხეულითა და სუნთქვით გამთბარი ლეიბსაბანი. ქათმები, ძროხა და ღორი რომ არა ჰყავდეს მოსაყლეელი, თავის სმაჰმას დაივიწყებს და ლოგინიდან ორსამ დღეს არ ამოძვრება.

გალმანუნელმა ლადიმერამ ჰქუა იხმარა, დიდ პალატს ქვეითკრის პატარა ოთახი მიუშენა და იმ ოთახში სულ სხვანაირი ლუმელი გაიკეთა. შეშა რომ დაიწვება, მერე ბუხრის ყელს ჩაყეტავს, გარედან სცივე ველარ შემოდის



და შინიდან სითბო ველარ მიიპარება. შეშას ცოტას სწევას, სითბოს კი დღე-დაღამ ინარჩუნებს. ჩვენებურ ბუხარს კი მუდამ ღია აქვს ყელი — ერთ გირვანქა სითბოს შინ ტოვებს და ცხრა ფუტს გარეთ მიარბენინებს. ამბობენ, იმ გადამთიელურ ღუმელიან სახლში ჰაერი გუბდება და არ ვარგაო, მაგრამ ზამთარში ჰაერის უმოძრაობასა და ნაკლებობას ვინ ჩივის? აბა, ის სჯობია, ერთი ადამიანის გასათბობად ყოველ დღე ნახევარი ურემი შეშა მიახარჯო? ვინღაა ამ შეშის მომტანი და დამჩხხავი, თორემ კაი შენ. უყაირათო ჩეხვით არც ტყეებს ადგას კარგი დღე, სულ განანავდა.

ეკა რომ მოიყვანეს აქ, ჯალაბი ხალხ-მრავალი იყო. ერთი ბუხარი ყველას არც ჰყოფნიდა, ზამთარში რიგრიგობით თბებოდნენ. ოჯახში ყმაწვილებიც ბლომად იყვნენ, დიდებიც. ახლა ამ უშველებელ სამთვლიან ოდა-სახლში ეკას მეტი არავინ არის.

„გაუტუბა ქალაქი ჩემ კაცს, თუ... ნეტრი თვითონ იქნებოდეს კარგად და აღარაფერს დავეძებ... იქნებ ბიჭიც დახვდა უქეიფოდ და...“

ბერიკაცი თავგადაკვლით ეხვეწებოდა ეკას, ქალაქში ერთად წავიდეთ, შეილები მოვიწახულოთ, მე კარგ ექიმს გავვსინჯები, ზამთარი ქალაქში გავატაროთ და შინ ადრე განაფხულზე დავბრუნდეთო. ეკამ ქვა აავდო და თავი შეუშვირა. ქმარსაც ასე არასოდეს დაუყინებია რაჟე, თითქოს უცდლოდ მარტო წასვლა აშინებსო.

— ქალო, შენ ასეთი არ იყავი, რამ გაგაფუტა? სიბერეში ზნე იცვალე?

— ორივე რომ წავიდეთ, აქაურობა ვის დავეუტოვოთ, კაცო?

— ნუ გეშინია, არავინ მოიპარავს, ხელუხლებლად დაგვხვდება.

— ძროხას, ღორსა და ქათმებს მოვლა არ უნდა?

— ღორი დავკლათ, ქათმებიც მივაყოლოთ, ძროხა შენს ძმასთან გადავიყვანოთ დროებით, ჩალა აქვს, თივას მე გადავუტან.

— ეერა. შამშე ხშირად ავადმყოფობს, თავსაც ველარ უფლისკაცად ვუწოდებ.

— ღორი მაინც ხომ უნდა დავკლათ?

— სამიოდე კვირაზე მეტხანს ხომ არ დარჩები იქ, საახალწლოდ ჩამოდი და ღორიც მაშინ დავკლათ.

— ამ ჩვენს უბანში კაციშვილი აღარ დარჩა, მარტო ვინდა დაეყუდო დარაჯად? გამოყრუვდები, შე საცოდაო.

— შამშესთან გადავირბენ ხოლმე.

ეკამ ხურჯინაკიდებული კაცი მარტო გაუშვა. სახლ-კარის უპატრონოდ მიტოვება არ უნდოდა, მაგრამ ეს მაინც უფრო სიტყვის ბარაქად დაიხვია ხელზე. მთავარი მიზეზი კი ქმარსაც არ გაუშხილა. ეკა ვინდა რძალთან მიიყვანე კიდევ და ვინდა ქირთან შეჰყარე, მისი გახსენებაც აღარ უნდა. ქალაქში გათხოვილ ეკას ქალიშვილ ელიკოს კი ისე პატარა ოთახი აქვს, ღამით ერთ ბავშვს მაგიდაზე აწევინენ, მეორეს მაგიდისქვეშ უშლიან ლოჯინს. რძალი, იცოცხლე, დიდრონ ოთახებშია გამოკეცილი, მაგრამ... ეკა ხეზე თავდაყირა რომ ჩამოკიდო, ერთ თვეს გაძლებს, რძალთან კი ერთ დღესაც ველარ მოათევს.

ომიდან დაბრუნებისთანავე იონას ბიჭმა შალიკომ ქალაქში წასვლა აიჩივია. ჩამუხლეთში გული აღარ გაუჩერდა. მხოლოდ ხუთიოდე წლის შემდეგ ეწვია სოფელს. კარგად ჩაემულ-დახურულმა, თავმოწონედ და მზიარულად გაიარ-გამოიარა ორლობებში. დედამას ახლადმოყვანილი ქალი გააცნო — მერი. ეკა თავლად დაიღვარა, იქნებ რძალს აქაურობა მოეწონო და ჩემ ბიჭს სოფელში ცხოვრება ურჩიოსო. თავისი ვარაუდი არც დაუმალავს. რძალმა ტუჩი აიბზუა.

— სოფელში ცხოვრებას გვაძალე?

— კი არ გაძალებთ, ისე... იქნებ ამჯობინოთ-მეთქი.

მერის ჩამუხლეთში მესამე დღესვე მოეწყინა, ამ გამოყრუვებულ მთებში ადამიანს რა აძლებინებსო და უშალევე წასვლა დაიჩინა.

— შვილო, გეწყინა რამე? ასე ჯობდარტყმულივით სად გარბიხარ? სო-

ფელ-ქვეყანა რას იტყვის? წყალი კარგი გვაქვს და ჰაერი, ეგერ, ჩრდილში დაისვენეთ ორიოდ კვირას და წადით მერე. ის თქვენი ქალაქი არსად გაგეჭყევათ.

— ზოგ სოფელს ფრჩხილებში მეტი კუჭყი აქვს, ვიდრე თავში ჭკუა! მოურიდებლად წამოისროლა მერიმ და დედამთილს დამკინავად გადახედა, შენ რა გაგეგება, სხვის საქმეში უტარო კოვზით რომ ეჩრებო.

ეკა ამ საუბრისას ბოსტანში ხახვს იღებდა და ხელებგათხვირის ფრჩხილებქვეშ კუჭყი კი არა, მიწა ჰქონდა. მიწა სხვა არის, კუჭყი სხვა. კუჭყიანი ხელი მართლაც სამარცხვინოა, მაგრამ მიწაში მოფუთფუთე — სულაც არა. ეს გაიფიქრა მამინ ეკამ და თქმაც დააპირა, მაგრამ ახალმოყვანილ რძალს პირველტუმრობისთანვე არ შეეკამათა, შვილის ხათრიც დაიჭირა და უსამართლო შეურაცხყოფა ნაძალადევი ღიმილით ჩაყლაბა.

— კაი, შვილო, რავარც თქვენი საგუნებო იყოს, ისე მოიქეცი... ეს სახლ-კარიც თქვენია და ისიც... სადაც მოგებასიაათო, იქ იცხოვრეთ.

ასე ტყბილად დაუყვავა, მაგრამ რძლის უხიავი სიტყვა იმ დღეს გულში შხამიან ეკლად ჩაესო და აქამდე ვერ მოიშორა.

იმის შემდეგ რძალს ჩამუხლეთისაკენ პირი აღარ უქნია. სოფელში შალიკონ უცოლშვილოდ ჩამოდიოდა ხოლმე, დედ-მამას დახედავდა და უმალვე გარბოდა. ერთხელ ქალაქში დაც წაიყვანა, ელიკო, და მშობლების დაუკითხავად გაათხოვა კიდევ. მერე ეკაც წავიდა ქალაქში შვილების სანახავად. სადგურის მოედანზე, მანქანას რომ ელოდებოდა, მოსაკითხით გატენილი ჩემოდანი მოპარეს. ეშმაკმა იცის, ასე თვალსა და ხელ შუა ვინ ააცალა. ირგვლივ იმდენი ხალხი ირეოდა. პოდა, ეკამ იმ წუთში ყველა ქურდად წარმოიდგინა. რის ვაივავალხით მივიდა შალიკოსთან და გა-

საკირი შესჩივლა. რძალმა, ეტყობა, ეს ამბავი არ დაიჭერა, აფერხსტავლა ჩაილაპარაკა. ეკამ კარგად იცის, აფერხსტავისაც ეძახიან. რძალმა იგი თაღლითად მონათლა, მატყუარად მიიჩნია.

„მე და ტყუილი?! ღმერთო, მომკალი! ეს რა მაკადრა?! შვილს მოვატყუებდი? იქნებ ისიც ჰგონია, რომ მოსაკითხი ქალიშვილს მივეტანე და ვაეი-შვილს არა? ამისთანას ვერც დააჭერებ. რომ ქალიშვილთან ჯერ არც მივსულვარ. რა უსამართლოა ზოგი!“ — ესეც თავის გულში გაივლო ეკამ. ორიოდ დღეს შვილიშვილს მიესიყვარულა და ქალიშვილს მიაკითხა. ელიკო უზადარუკ პატარა ოთახში ცხოვრობდა, როგორც იტყვიან, თავი შიგ კულს ვერ მოიქნედა. ეკა უმალვე სოფლის გზას გაუყვია. სამიოდე წლის შემდეგ, შემოდგომაზე ისევ გაამზადა მოსაკითხი, არაფერი აკლიათ, მაგრამ სოფლიდან ჩატანილი მინც ესიამოვნებათო და კვლავ ქალაქისაკენ გასწია. ასი თვალი და ასი ყური გამოისხა. მთელი ბარგი-ბარხანა მატარებლიდან თვითონ ჩაიტანა, ეტონდაკონწიალებულ მეკურტნესაც კი არ ენდო, არც იმის რიგში ჩადგა, ტაქსია თუ რალაცა ჯანდაბა, ტრამვაითი ამკობინა წასვლა, მით უმეტეს, რომ შალიკო ზედ ტრამვაის გაჩერებასთან ცხოვრობდა. ტრამვაიშიც თვითონ შეათრია ყველაფერი: მხარზე ხურჯინგადაკიდებული არც ტომრისათვის გაუშვია ხელი, არც ბოცასთვის და არც მძიმე ჩემოდნისათვის. ვიდაცამ ხელი შეაშველა და შეუბღვირა — ამოდ მეტმანსები, ჭკუა ნასწავლი მაქვს, ველარაფერს მომპარავო. ბარგი ტრამვაის უკანა ბაქნის კუთხეში მიკუნჭა და ყველაფერს აეფარა, ხურჯინზე დადებულ ტომარას ხელი მაგრად ჩაავლო, ჩემოდანს კი ფეხი მიადო. წამდაუწუმ იქით-აქეთ იყურებოდა, ყველას უთვალთვალებდა, რაიმეს ხელიდან გამოსაგლეჯად ჩემკენ ხომ არავინ მოიწევსო.

„უნდა ვიფხიზლო, აბა, რა ვქნა? ჩემ რძალს კიდევ ხელცარიელი რომ მივიდ-

გე, ცხვირზე წამონაცვამს: ა, ხომ ვთქვი, რომ მატყუარააო. ვინ იცის, ამ ხალხში რამდენი ქურდი ურევია. უცებ გამოხტება ვილაც, დაავლებს ამ ბარგს ხელს, გაქანებული ტრამვაიდან ჩახტება და მერე სდივ ქარს მინდორში. ვერც ქურდს გაეკიდები, ვერც დანარჩენ ბარგს მიატოვებ. თუ დაიბენი, ყველაფერი ერთბაშად დაგეკარგება. თვალი არ დაახამხამო, ეკა, თორემ!..“

ტრამვაიში ამოსული ყველა ქალი და კაცი ქურდი, მამაძალი და წამგლეჯი ჰგონია. ხან ბარგს გადახედავს, ხან ხალხს. თუ ვინმეს საეჭვოდ მიიჩნევს, თვალს არ აშორებს.

— დედილო, ნუ გეშინია, მაგ შენს ხარა-ხურას არაფერ მოგტაცებს, — ჩაულაპარაკა ერთმა მსუქანმა კაცმა, — რა დამფრთხალი თავივით ატეცებ თვალს?

ეკამ წაუყრუა.

ტრამვაიდან ბარგი ძირს ისევ სხვის დაუხმარებლად ჩაიტანა. ძღვენი თუ მოსაკითხი შვილის ოჯახში მშვიდობით შეათრია. იქ მხოლოდ რძალი და შვილიშვილი ედიკო დახვდნენ. მერის წარბი არ გაუხსნია, მძიმე ბარგიც კი არ ჩამოართვა კარში. ეკამ შვილიშვილს რომ აკოცა, მერიმ ბიჭს უმაღვე პირი დააბანინა. რძალმა დედამთილს გულცივად ჰკითხა, ხომ მშვიდობააო, ეს იყო და ეს. მერე უბრებივით ისხდნენ.

ზარი ამორიდებულად დაირგვა. ედიკომ ზარის ხმა იცნო, მამა მოვიდაო. მერი გაეგება ქმარს და ეკამ გარკვევით გაიგონა რძლის ნათქვამი: გიხაროდეს, ბებერი კუდიანი ჩამოგივიდაო, პო, ზუსტად ასე უთხრა და თან რაღაცნაირად ჩაიქირქილა.

რატომ, რა დაუშავა? მაშინ რომ შეჰკადრა, სოფელში იცხოვრეთო? ხომ არ დაუძალებია, თავისი სურვილი მორიდებულად გაუმხილა. ამისთვის მოიძულა?

„იქნებ ეგონა, ქმარს წავართმევდი და ჩაკვით დავაბამდი სოფელში?“

შვილს ჩამუხლეთური ყველაფერი

ესიამოვნა: ლორი, ლობიოჩართული პურები, კამკამა ღვინო, ხილი, ჩურჩხელები... რძალმა კი დედამთილს ნამზამაღი არც გასინჯა, ბიჭსაც არ დააკარებინა პირი. შალიკომ ცოლს ჩუმად უსაყვედურა, როგორ იქცევიო.

მერიმ ანჩხლად წამოიძახა:

— არ მინდა და მამალე? ვოტ ტებე ი ნა!

— გასინჯე, რა გემრიელია!

— იმ ხელებით გაკეთებულს რა შემაქმევს, დახედე, რას უგავს! რომ ვუყურებ, გული მერევა.

ესეც აშკარად გაიგონა ეკამ, რძალი დედამთილს არ მოერიდა.

რატომღაც მერიმ თავიდანვე ეკას ხელები შეიძულა, ის ხელები, რომელმაც საქმრო გაუზარდა ამ წუნია და მეტიჩარა ქალს. ისე უჭირავს თავი, თითქოს თვითონ თავადიშვილი ბრძანდებოდეს.

„ნეტავი დედამისს როგორი ხელები აქვს? ჩემნაირი, რა თქმა უნდა, არ ექნება, მუდამ ქალაქში ცხოვრობს... ეკ, შე უმადურო, რა დაგიშავა ამ ხელებმა? სულ ჩემისთანა ხელებიანი ხალხი არ გზავნის ქალაქში სარჩო-საბადებელს? რატომ ჰკამთ? რაკი იმ წუთში ვერ ხედავთ იმ ხელებს? ასფალტსა და ქვით მოკირწყლულ გზაზე არაფერი არ მოდის, არაფერი! ეეჰ! რა გელაპარაკო!

— ეს წყენაც გულში ჩაიმაარხა ეკამ. — ასე კანდამსკდარი, დაღარული და დაშარული ხელები კი არ მქონდა წინათ. ამ ხელებმა იმდენი რამ გააკეთა... ომი იყო თუ არ იყო, მოსვენება არ ღირსეზბიათ... ჰოდა, დაბერდნენ ხელები, ნაოტები გაუჩნდათ. ქალაქში, ეტყობა, მხოლოდ ხელების მოვლაზე ფიქრობენ. დილა-სიღამოს რაღაცით იზელენ. ჩვენ სხვა საფიქრალი გვაქვს. ეს ხელები არჩენენ ქვეყნიერებას, თქვენ კი ალმაცერად უყურებთ... ქვეყნიერების მარჩენალი ხელების დანახვაც არ გინდათ. ეეჰ!“

ეკა ლოგინში შეიშმუშნა.

„ეეჰ! ადექი, ჩემო თავო, თორემ...“

ძილში არ ახსოვს, ფხიზელს კი მარტოობის ეშინია.

„მძინარეს სული რომ გამეპაროს, ვერაფერს გაიგებს. ავად გახდომის უფლებაც არა მაქვს. სიცხემ ლოგინში რომ ჩამაწვინოს, გათავდა!.. მთელი კლდისუბანი დაცლილია, გაღმა უბანშიც რამდენიმე დედაბერი და შვიდიოდე ბერიკაციღა დარჩა, ერთიც კუჟაფერაკი ეზუკია. მეტსახელად დრუნჩას რომ ეძახიან. ნამდვილად კამეჩის ტუჩები აქვს იმ უბედურს, სულ მზეთუნახავის როყვანაზე კი ოცნებობს. ამ ნატვრას არც მალავს. მოგამაგირედ მოიყვანეს ჩამუხლეთში და ეგლა შემორჩა სოფელს, მიწაზე ჩანთანად მუშაობა რომ შეუძლია. გზა არ იცის, თორემ ეზუკიაც ქალაქში გაიქცეოდა... ძნელია. კიდევ კარგი, პატარა ჩანი მომდევს და არ ვცივდები... დალოცვილია აქაური თოვლი, ზამთარში უფრო ნაკლებად ცივდება ადამიანი... ჩანსალი ჰაერია ჩვენში... ვიღას უნდა, თორემ...“

საშინელია მარტოობა. ზოგჯერ ქათმები რომ არ კრიახობდნენ, ძროხა რომ არ ზეუოდდეს... აი, ის ოხერი ღორიც რომ არ ჰყიოდეს, უსაშველო სიჩუმე და უბანში გამეფებული სამარისებური დუმილი მოკლავდა ეკას. ხმისგამცემი რომ არაფერი ჰყავს, ფავის თავს ებაახება ხოლმე, ზოგჯერაც ნივთებს გაუბამს მასლათს, ეშინია, ლაპარაკი არ დამავიწყდესო.

„ეკ, აღეკი, ჩემო-თავო, თორემ...“

სწრაფად წამოდგა და თბილად ჩაიცვა.

გუშინ მარტოდენ თავისთვის საკმლის გაკეთებაც კი დაეზარა, ერთი ჭიქა თბილი რძე დალია და დაწვა. არც ახლა გრძნობს შიმშილს, მაგრამ იცის, თავს ძალა უნდა დაატანოს და წაიხემსოს, თორემ არაქათი მალე გამოელევა და დაეარდება.

ცეცხლი დაანთო და ორი კვერცხი მოხარშა. კარადიდან ქადის პატარა ნატვები გამოიღო. მეტი აღარც ჰქონდა. პირველი ლუქმა რომ ჩაიღო პირში, მა-

შინლა იგრძნო, ძალიან შეიბოძა. ულუფა არ ეყო, მაგრამ ჭერ ქადის გამთხარებობად არ ეცალა. მალე ღორი ხეყვირდება და...

„კარგი იყო საახალწლოდ დაგვეკლა...“


საღორედ დაფქველი ქაჭაგარეული სიმინდი უკვე გამოელია ეკას. ყველაფერი მოინელა იმ გამგელებულმა. ახლა რა აქამოს? გაღმიდან გამოიყვანდა ვინმეს და დააკვლევინებდა, მაგრამ ღორს მარტოდენ დაკვლა ხომ არ უნდა, მერე უფრო სჭირდება მოვლა, ეს დამართლებო, ეს გობში ჩამწნაო, ეს შუაცეცხლის კვამლი გამოიყვანაო. უქმროდ ამას ეკა ვერ გააყეთებს.

იონა კი წავიდა ქალაქში და დაიკარგა. ეკა დეკემბრის მიწურულისათვის მოუთმენლად ელოდა ქმრის დაბრუნებას. არც თვითონ გამონჩდა, არც ბარათი გამოგზავნა. ეკა მარტოობამ ახლა უფრო შეაწუხა, სული აუფორიაქდა, ველარ ისვენებს.

„ნეტავი ბიჭი არ გახდეს ცუდად, რაღაცას უჩიოდა... წნევა მაქვსო, ხმაური მწყენსო... სიმყუდროვე ისეთი უნდა, სოფელში რომ არის, ჩამოვიდეს და იცხოვროს... ეკ, ვინ გამოუშვებს, თორემ... ახლა კაციც დამეკარგა... ძველთაც გავიდა ახალი წელიწადი, იონა კი არა ჩანს და არა... გზისკენ ყურებით დამაწყდა თვალები...“

ეკას ღორის ჰყვირილი მოესმა.

„ამანაც გამიშრო სისხლი... ამ დილით კი გავაჩუმებ, მაგრამ ხვალ რაღა ვაქამო? დღესვე წავიღებ ქაჭაშერეულ სიმინდს წისქვილში. იმასაც გამოვფქვა. ძმასაც ვინახულებ და ფოსტაშიც შევივლი, იქნებ მოვიდა რამე ამბავი... კიდევ რომ იყოს მოსული, ვინ გაგაგებინებს, შენ თუ არ მიაკითხე! ფოსტაში ერთი დაფხვილი გოგო მუშაობს, ფოსტალიონიც კი აღარა ჰყავს. სოფელი ხეივანში ჩაბირქვავებულ ტომარასავით დაიცალა და ცარიელ სოფელს ფოსტალიონი რაღად უნდა? მე თვითონ შევივლი ფოსტაში. იმ გამგელებულ



ღორს ვაჭმევ, ძროხას გამოვწველი და წავალ... თუმცა, ძროხას მერე გამოვწველი, წისქვილიდან რომ მოვალ... რა ბევრს ეგ იწველის... წინა დღეს რაც მოიწველა, იმასაც წიხლი ჰკრა და დამიქცია... ძალიან გაუზნედა, ძალიან, ჭიქანზე ხელის მიკარება აღარ უნდა..."

ეკა აივანზე გავიდა და გაიხედ-გამოიხედა. ქვეყნიერება თითქოს სულარაში გაუხვევიათო. ფაფუკი თოვლით დაბუნდულ-დატვირთულ ხეხილს ტოტები მძიმედ დაუხრია. ნაბილიკარის არსებობას იმითლა მიხედვით, რომ იქ ოდნავ ჩაღრმავებულა ფეხუბლებელი თოვლი. მთლიანად თეთრია მთა-ბარი, აღარც გზა ჩანს სადმე, აღარც ტყე, აღარც კლდე. მხოლოდ სადღაც ქვევით, მთის ფერხით, მდინარე მიიკლავნება შავად. ჰო, ამ გაუთავებელ სითეთრეში მდინარე შორიდან შავად ჩანს.

„დიდი თოვლი ცის წყალობაა, კარგი მოსავალი იცისო, ასე ამბობდნენ ძველები სოფელში. ეპ, კირნახული კი მოვა ხეაერეღად, სოფელმა მიწის მოვლა თუ შეძლო... მოიყვან მოსავალს და მერე... ღმერთმა იცის, ვინ მიირთმევს... ქალაქელებს ჰგონიათ, ყველაფერი ციდან მზამზარეულად ცვივა ამ თოვლივით... თოვლიც მხოლოდ სათამაშოდ და სასრილოდ უყვართ...“

იმ ერთმა უხიაგმა ქალმა ეკას მთელი ქალაქი შეაშულა და სამტროდ გადაჰკიდა. ბოლოხანს ყველაფერს უწუნებს ქალაქელებს, ასე ვფქვათ, ჭიბრში უდგას: სოფლელების ფეხის ფრჩხილადაც არა ღირხართ და რა დიდად მოგაქვთ თავიო. განაწყენებული ქალი საქვეყნოდ არ ყვირის, თავის გულში კი დღენიადაც ედავება ვილაცას... ალბათ, იმ ქალაქელების მფარველ ღმერთსა თუ ანგელოზს...

ეზოში კომშის ხე დგას. შემოდგომაზე, როცა ხე ფოთლებისაგან გასცალა ქარმა, ზედა ტოტს ერთი მსხვილი კომში შერჩა. იგი ზამთრის მზესავით ჩანდა ხოლმე. ახლაც ჩანს, მხოლოდ იმ

კომშის მზეს თოვლის ფაფაბი ახურავს კონკოროხზე.

ქვეყნიერება გარინდებულა. ეკა შეაძრწუნა თეთრმა სიჩუმემ. აივნიდან სამშრალაში ჩავიდა. სახლის სახურავქვეშ მოქცეული სამზადის კართან პირგაქონილი ნიჩაბია მიყუდებული. დაავლო ხელი და საქათმემდე განიჩაბა ბილიკი, მერე ბელელს შემოუბრუნდა და ჯამით ხორბალი გამოიტანა. თითქმის ორი კვირაა, არცერთი ქათამი არა დებს კვერცხს, ამიტომ ეკამ არც შეიხედა საქათმეში, ხორბალი ღრიკოდ შეღებულ კარში შეყარა. აქოთქოთდნენ ქათამები, მერე აკრიახდნენ. ეკას ესიამოვნა ქათამების აკრიახება, უფრო კი ის, სულიერის ხმამ ირგვლივ ჩამოწოლილი დღემილი რომ დაარღვია. მარტოდ დარჩენილ ქალს ბოლოხანს განსაკუთრებით აშინებს გაუტეხელი სიჩუმე. სიწყნარეა შინ, სიწყნარეა სოფელში, სდუმს გზა და ბილიკი... თითქოს მთელი ქვეყნიერება სასაფლაოდ იქცაო. თავმომაბეზრებელია ეს დუმილი, ამ გაუბზარავი სიჩუმისათვის ყურის გდება ეკას სასტიკად მოსწყინდა, ჭრიამული ენატრება, ისეთი ჭრიამული, მისი პატარძლობისას რომ ისმოდა ამ ოჯახში და საერთოდ მთელ სოფელში.

„ყველაზე საშინელი მარტობა ყოფილა, როცა სულიერის ჰქანება გამწყდარია ყველგან“.

საქათმის ღრიკოდ შეღებულ კარში ხელი ღრმად შეაძვრინა, ერთი დედალი დაიჭირა, გარეთ გამოაფართხუნა, ერთხანს აკრიახა და ისეე საქათმეში შეაგდო. ბილიკი ბოსლამდე განიჩაბა, მერე ბელლიდან გამოიტანა ტომარა, რომელშიც ცოტაოდენი საღორებო ფქვილი იყო დარჩენილი, შინ შევიდა, ჯაჭვზე ჩამოკიდებულ წყლიან კარდალაში თითი ჩაყო, გასინჯა, ზომ თბილიაო, კარდალა ყვერფზე გადმოდგა, ტომარა შიგ ჩააპირქვავა, ჩოვან-ჯოხით მოურია და კარდლიანად ბოსლისაკენ გასწია.

წინათ, ვიდრე ოჯახს ნახირი ბლომად ჰყავდა, საღორე ბოსელზე იყო

მიშენებული, მერე, როცა ერთი ძროხა დაუტოვეს, საღორე ბოსელში გადაიტანეს, ორი შრამელი ერთ სახურავ-ქვეშ მოაქციეს. ეს გამგელებული ღორი საღორის კარს ამტვრევს ხოლმე, ამიტომ ეკა ბოსლის კარს მაგრად ეტყვის: ამას როგორღა გამოექცევაო.

წინა პარასკევს ეკამ ძროხის გამოდენა დააპირა დასარწყულებლად, ბოსლის კარი რომ გააღო, ღორი ფეხებში ეტაკა, ქალი მოცელილივით დააგდო ძირს და მოაქურცხლა. ეკამ თითქმის შეადღემდე სდია და ძლივს შეაგდო გრძელნიჩვიანი მგელი თავის ბუნაგში. კიდევ კარგი, ფალანგა-ქიშკარი დაკეტილი იყო, თორემ ღორი გზაზე გაეარდებოდა და მერე ჰერი! ტყეს მისცემდა თავს და ვინღა დაეწეოდა.

ღორსაც მოსწყინდა ბოსელში ყოფნა.

იმდღევანდელი ამბით დაშინებულმა ეკამ ახლა ფრთხილად გააღო ბოსლის კარი და შეიხედა. ძროხა მშვიდად წევს, საღორის კარი დაკეტილია, ღორი შიგ ღრუხუნებს. ქალს უსიამოვნო სუნია ეცა.

ღორი კარის კრიალის გაგონებაზე ამორგდა, ბუნავს დაუწყო ნიჩვით ჩხუბი. ეკამ ბოსლის კარი უმაღლე შეიგნიდან ჩაეკტა. მერე საღორის დაბალი კარი თამამად გააღო და ღორი გამოუშვა. ღორმა კარდალას ნიჩვი აპკრა. ეკამ გვერდზე გაწევა მოასწრო, ღორს ბრაზიანად წიხლი ჰკრა და კარდალა საღორეში დადგმულ გაზუზნულ გობზე დააპირქნა. ბოსლის სუნს ნელთბილი ოხ-შიგარი მიემატა. ღორი ბუნაგში თავისით შებრუნდა და ორთქლადენილ შავ ფაფას გამგელებით დაუწყო სვლეპა. ეკამ კარდალა ბაგაში ჩაღო, საღორის კარს ურდული გაუყარა და შვებით ამოისუნთქა.

— გაგისკდეს მუცელი, შე წუპაკო. ჰამე და იყავი შენთვის!

ძროხა წამოდგა და პატრონს მუდარით მიაჩერდა.

— ნოთია, მოგშივდა, შე საცოდავო?

ერთგან ჰერს ორი ფიცარი აქვს გამოცლილი. ეკამ იქიდან ნაღის კონა დაითრია, ქამარივით შემორტყმული წნელი გახსნა და ჩალა გაშლილად მიმოაბნია ბაგაში. ხელი კანდრივზე მოუხვდა და ეტკინა.

კანდრივები ბაგას რატომღაც წინანდებურად აქვს შებმული — წვრილი ჯაჭვებით. ამ კანდრივ-საკისურებით ბაგაზე პირუტყვს აბამდენენ, ერთმანეთისათვის რომ არ ერჩოლათ. ახლა ბოსელში ერთი ძროხაღა დარჩენილი, თავის თავს ხომ არ ურქენს, ამიტომ აღარც აბამენ, კანდრივები კი ბაგას ძველებურად შემორჩა.

„მოვხსნი, რა კირად უნდა, აქამდეც უნდა მოგვეხსნა, თუმცა... ეს რა ჩემი საქმეა, ჩამოვა ქალაქიდან ი კაცი და...“

ძროხამ ჩალა ააშრილა და პატრონს გამოხედა.

— შენ ახლა ალბათ წყალი უფრო გწყურია, არა, ნოთია? მოგიტან, ჰო, მოგიტან, აბა, სარწყულებლად შენი წაყვანა სად შემძლია? შენთვის წყარომდე გზას ვერ გაკვავალე. მოგიტან, ნოთია, ოღონდ დაჰკვიანდე, წიხლებს ნუ ისვრი ხოლმე... წინა დღეს რომ რძე დამიქციე, გეყოფა, გაიგე, ნოთია? სულელი კაცი არავის უნდა და ძროხა ვის სჭირდება?

პირუტყვი ბოსელშიც დაარწყულა, მერე ბელელში შევიდა, კოლიდან ჰაქა-შერეული სიმინდი ტომარაში გადაყარა, ტომარა ხურჭინით ორად გაყო. ასე უფრო მარჯვედ გადავიკიდებ მხარზე და იოლად წავიღებო, ბელლის წინ დავლო და დაფიქრდა, ხომ არაფერი მავიწყდებო.

„ბელლისა და სახლის კარი ხომ არ დაეკეტო? არა, რა საჭიროა. აქამდე არ დამიკეტია და რაღა ახლა გაჩნდება ქურდი? ქალაქელებს ხომ არ უნდა დავემგვანო, დღენიადავ გაქურდვის რომ ეშინიათ? გარეთ თუ გადიან, უმაღლე მოსაბრუნებელნიც რომ იყვნენ, რკინით აჭედო კარს ცხრაკლიტულით ეტაკენ, შინ ყოფნისას კი დღისით-მზისით

ჯაკვით აბამენ. რა აქვთ იმდენი სიმდი-
დრე და განძეული, ასე რომ უფრთხი-
ლდებიან, უცებ ქურდ-ყაჩაღი არ შე-
მოგვიხტისო? ო, რა უნდობლობაა, მე-
ზობელს მეზობლის იმედი არა აქვს...
თუმცა იქ მართლაც არ არის სანდო,
მგონი, ყველა ქურდი და მამაძაღლია,
ყველა რაღაცას იპარავს, ყველა ვიღა-
ცას ატყუებს... აბა, იმდენ ქონებას მარ-
ტო პატროსანი შრომით იძენენ, ჩვენზე
მეტს მუშაობენ ვითომ? იქნებ იმათი
ერთი ხელის განძრევა მეტი ღირს, ვიდ-
რე ჩვენი დღედაღამე ჯათა? რა ვიცი,
რა ვიცი..."

არა, სახლსა და ბეღელს ბოქლომს არ
დაადებს ეკა, ცეცხლს კი ვერ დატო-
ვებს ბუხარში... ამის ძალიან ეშინია
ეკას, განსაკუთრებით რაც მთელ უბან-
ში მარტო დარჩა. ხშირად ელანდება,
რომ მის კარმიდამოს ცეცხლი უკიდია.
ახალწლის დამღეგს მოეჩვენა და მერე
ეს შინში ვეღარ ამოიგდო გულიდან.

ერთი ნაპერწყალიც რომ გამოვარ-
დეს ბუხრიდან, ობოლი ნაპერწყალი,
მეტოც არ უნდა, გადაიბუგება ყველა-
ფერი — სახლი, სამზადი, მარანი, ბე-
ღელი, საქათმე, მერე ბოსელ-საბძე-
ლიც... ღორიან-ძროხიანად დაიწყება.
მე შენ გეტყვი, უცებ მოგეშველება ვი-
ნმე! ვინღაა პატრონი! მტრისას ახლა
ხანძარი!"

შინ შევიდა. ღიოფა ნაკვერცხლები
და თავმოშწვარი მუგუზალი დადარში
შეახვია, კეცები მიაფარა და გამობრუნ-
და. ტომარა ხურჩინივით გადაიკიდა, ხე-
ლში შინდის მაგარი ჯოხი დაიჭირა,
თოვლში გასტოპა და მსხვილი ლატანე-
ბით გაკეთებულ ფალანგა-ჭიშკარს მია-
დგა. ჭიშკარის კიდური ძელი და ღობის
ნაპირა მარგილი ერთმანეთზეა მიტყუ-
პებული და ზედ წნელის რგოლია გა-
დაცმული. ეკამ რგოლი ააძრო და ჭიშ-
კარი გამოსწია. ღრიჭოდ გაიღო, მეტზე
თოვლმა არ გამოუშვა.

„გზამდე მაინც უნდა გამენიჩბა ბი-
ლიკი, თუმცა, რა უშავს, მე აგერ გადა-
ვალ, ღობეზე, ჭიშკარი კი იყოს დაკე-

ტილი. იმ გამგელბულმა რომ მოახერ-
ხოს ბოსლიდან გამოქცევა, აქ მაინც ვერა
გავა“.

ჭიშკარის ძელი და ღობის მარგილი
ისევ დააწყვილა და ზედ წნელის მაგა-
რი რგოლი გადააცვა.

ეს თავის ღორს დაუკეტა ჭიშკარი,
თორემ ეზოში ახლა ვინ შევა, სულ მო-
პელიატებულიც რომ იყოს? ეკას გა-
მოდმა უბანში არც კაცი ეგულემა, არც
პირუტყვი. სახლი ღია დატოვა, უბრა-
ლოდ გადარაზული, ჭიშკარი კი დაკე-
ტა, ჭიშკარი, რომლის დიდზე გაღებაც
თოვლმა არ დაანება.

იქვე, ღობესთან ურმის ნახევარი ღე-
რძია ჩასობილი, ღერძს თვალი ჩვეუ-
ლებრივად უკეთია — ფეხის დასადგ-
მელად. ღობის გადაღმაც ასევეა მოწ-
ყობილი ფეხის დასადგმელი. როცა ფა-
ლანგა-ჭიშკარის გაღება არ უნდათ, ამ
საბიჯობელაზე გადადიან.

ეკამ ჯერ თათმანიანი ხელით თოვლით
გადაყარა ღობიდან და ურმისთვლიდან,
მერე ტომარა ღობეზე გადაჰკიდა, სარს
მოქვიდა, ღობეზე გადააბიჯა, ტომარა
კვლავ გადაიკიდა მხარზე და მუხლებამ-
დე თოვლში ჩაფლულმა გაუკვალავ
გზას შეუტია.

მიტოპავს თოვლს და ნაფხურები
ძაბრა ორმოგბად მიჰყვება უკან.

ერთხანს თოვლის შექმა თვალში
აუტრელა, მერე მზე თხელ ღრუბლებში
გაეხვია და თოვლმა თვალისმომჭრელი
ათინათი დაკარგა.

ბოსლის კარს მსხვილი ურდული გა-
უგდო, დევი თუ მოანგრევს, დადარში
გახვეულ ცეცხლს კეცები მიაფარა,
მაინც დარდად და შიშად მოჰყვება
ორივე: ვაითუ ღორმა კარი გამოტეხოს
და გაიქცეს, ვაითუ კეცებს ნაპერწყა-
ლიც გამოქციეს და ყველა შრამელი
სარჩო-საბადებელიანად გადამებუგო-
სო.

აღბათ ამიტომ უგანგაშებს ეკას გუ-
ლი, აბა, სხვა რა აწუხებს? რაღაცის
ყოველთიის ეშინოდა, მაგრამ ასე ძა-

ლიან — არასოდეს. მაჭლაჭუნასავით პირდაპირ გულზე აწვება რაღაც.

უკვლევ თოვლში მძიმე ტვირთით სიარული ეკასთვის უჩვეულო არ არის, ამას არ შეუწუხებია, არა, რაღაც სხვა ამბავია.

რამდენჯერმე უკან მიხედა, მოელანდა, რომ ის გამგელებული ღორი ჭყვირილით მოსდევდა უკან...

გაზაფხულზე სწორედ ამ ღორმა სამი წიწილა შეუქამა ეკას, სამი ყვითელი წიწილა. იცოცხლე, მაშინ კეტი სდრუხა ღორს, მაგრამ უმწეო წიწილებს ხომ ველარ გააცოცხლებდა? იმდღევანდელი ამბავი ეკას ცუდად ენიშნა: ღორმა თუ ერთხელაც ხორცის გემო გაიგო, მიეჩვენე, მალე წიწილებს აღარ დასჯარდება და ქათმებსაც შემიჭამსო. ქმარს უთხრა: ეგ ოხერი თავიდან მოვიშოროთ, ან დავკლათ, ან გავყიდოთო. იონამ იუარა: გაზაფხულზე ღორს ვინ კლავსო?!

„უპ, გაუშრეს სისხლი! რაც უფრო კარგად ვაქმევ, უფრო მეჩხუბება, სულ გადაირია და გამიშრო სისხლი! გაწყიდეს ღორის სახსენებელი! ცოტასაც ვაცლი და მერე ან ეგ იქნება, ან მე...“

მარტო ეს ერთი რა არის, ყველა ღორი შესძულდა ეკას. სხვებს არ უმხელს, თორემ ამასაც თავისი საიდუმლო მიზეზი აქვს.

მეორედ ყოფნისას სულ ერთ კვირას დარჩა ეკა ქალაქში, მაგრამ იმ შვიდიოდე დღემ აქამდე მოუღუშებელი დამლადაამჩნია გულზე. შვილის ოჯახში გულდრძო რძლის გადამკიდემ შინაც და გარეთაც ყველაფერს ამრეზილად დაუწყო ყურება და შემდეგაც ასევე დარჩა მის თვალში.

ჭინჭველას ბუდეს ფეხს რომ დაადგამ და აფუთფუთდება, ისე გამოიშლება ხალხი დილაადრიან და ივსება ქუჩა. ამ დროს გამხდარი ადამიანები სჭარბობენ, ისინი ფეთიანებივით გარბი-გამორბიან, არის ერთი აურზაური, ხელისკვრა და შეგობრი, ვინ შეასწრებს ტრამვაიში, ზოგი პირდაპირ ფანჯარაზე ეკონწიალება ტრამვაის. დილის ალიაქოთი

რომ მიწყნარდება, მერე ქუჩა უფრო სხვანაირი ხალხით ივსება, აქ უკვე მსუქნები სჭარბობენ. პოპქალაქში ხალხის უმრავლესობა მძიმე-მძიმედ დაიზლაზნება, როგორც დასაკლავად გამზადებული მსუქანი ღორი. დაიზლაზნებიან კაცები, დაიზლაზნებიან ქალები. ბავშვი ხომ ბავშვს აღარა ჰგავს, სიმახინჯეა საშინელი და გულსიამრევი.

„ეპ, ვინ არჩენს ამდენ ხალხს, ღმერთო ჩემო! მე შენ გეტყვი და, ცოტას სჯერდება...“ ქალაქელი დიასახლისები იატაკის წმენდას, სადილის კეთებასა და ქამა-სმას უნდებიან, სულ იმას კი ჩივიან, დავიღალეთო. მარტო ეს რომ ქალსა ღლიდეს, სოფლელებს რაღა გვეშველება! მე ვიცი, იმათ რაც ღლით...“

ეკას შვილიშვილი ედიკოც ტახივითაა გასუქებული, ტანს ძლივს დაათრევს. უკანალი ქალივითა აქვს ჩასქელებული, მერი კი მაინც ატენის პირში საჭმელს. ეს რამდენჯერმე თავისი თვალთ ნახა ეკამ. მერიმ შვილი ძალით დასვა სუფრასთან, თეფშზე უშველებელი მსუქანი ხორცი დაუდო და ჯოხმოღერებულ თავზე დაადგა: ვიდრე არ გაათავებ, აქედან ფეხს არ მოვიცვლიო. ბავშვი ლუკმას პირში ისე ჩაიდებდა, თითქოს საწამლავი მისცესო, კარგა ხანს დექავდა, აგერ როცა გადაყლაპავდა და წამოდგომას დააპირებდა. დედა კვლავ ემუქრებოდა და ბავშვი ტირილს იწყებდა.

— არ მინდა ხორცი, არა!

— ჭამე, თორემ! — მერი ბიჭის თავზე მოღერებულ ჯოხს ასავსავებდა. — ამას ხომ ხედავ!

ბიჭი ვიება-წამებით გადაყლაპავდა კიდევ რამდენიმე ნაჭერ ხორცს, ყველა ლუკმას ცრემლს შეატანდა და შემდეგ მარტოებშილი ყველას და ყველაფერს უღრენდა.

შვილიშვილის საცოდაობით გულდამწვარმა ეკამ, ბოლოსდაბოლოს, შებედა რძალს:

— რას შევბი, ქალო! მოშივედება და ქამს, ჯოხით ქამა შეიძლება?

— ვინ არის შენი ქალი? უყურე ამას?! შენ ბევრი იცი... აქ ქალაქია, ის ხომ არა გგონია შენ... ბავშვს მაღა აქვს დაკარგული, ამის ნება-სურვილს რომ ავეყვე, შიმშილით მოიკლავს თავს.

— ორიოდ დღეს ნურაფერს მიაძალე და ნახავთ თუ არ შექამს... ძველი პურის ნატეხს დაუწყებებს ძებნას.

— თქვენში რომ ერთი ეზეკიაა, ეგ სიბრძნე იმისგან ისწავლე? შენ აქ ვინ რას გეკითხება, კეკას რომ მარიგებ? ბავშვს შიმშილით ფილტვები დაუვაღამყოფო? მერე შენ მიშველი?

მეორე დილითაც იმნაირი ამბავი გამეორდა. მერემ ბავშვს ლამბაქზე მუშაკაის ხელისსიფართე კარაქი დაუდო: გინდა თუ არა, ჩემ თვალწინ ერთბაშად გადაყლაპეო. ბავშვს კარაქით ახრჩობდა მეტიჩარა ქალაქელი ქალი.

ეკას ისევ დაეთუთქა გული ბავშვის საცოდაობით და კვლავ გამოქომაგება სცადა. მერი გაანჩხლდა და გადაიროია: ვილაც უგუხურები ჩემ საქმეში რომ ერევიან, ეს იმის ბრალიაო.

— რძალო, დაწყნარდი, რაზე იშლი ძარღვებს? ბავშვიც შეიბრალებ და შენი თავიც. ამისთანა ამბავი გგონილა? ბავშვს უხმოზე ამოდენა კარაქს რა გადაყლაპებს? თუ მაინცდამაინც შესნას არ დაიშლი, მერე წვნიან საქმელში ჩაუდე და შეაყოლებს.

— მაშინ წახდა ჩემი საქმე, როცა სოფელში ჩიჩარამ დამიწყო სწავლება, ბავშვს როგორ ვასვა და ვაჭამო. დურაქი ხარ და მეტი არაფერი.

დღემთილი რძალს გაუჩუმდა, მაგრამ დემილი ყოველთვის თანხმობას როდი ნიშნავს.

„ქალაქელ დედათა უმრავლესობას ალბათ მერისავით ჰგონია, ჩემ შვილს მაღა არა აქვს, თავის ნებაზე რომ მიუშვა, ჩიტის ულუფას დასჯერდებაო და ჭოხით ატენის პირში ნაირნაირ საქმელს, ღორივით ასუქებს. მერე საწყალი ბავშვი წესიერად ვერ იძინებს, ვერ სუნთქავს, ვეღარ დადის, ათასი რალაც აწუხებს... სირბილს ვინლა ჩივის, განძ-

რევა ეზარება და სამუდამოდ ეკარგება ბავშვობა. ედიკო კიბეზე რომ ამოდის, ორთქლმავალივით ქშინავს წილმე. ბავშვობისას რომ ამ დღეშია, დიდობისას რაღა მოუვა? მერე ქალაქელებს შვილები ავარაკებზე მიჰყავთ, სიმსუქნე აწუხებს და ზორცი უნდა დაეყარევი-ნოო... ჩემი ბრალი არ არის, არაფერს ქამს და მაინც სუქდებაო... ძილში რომ აქამონ, ისიც უნდათ და მაინც ჰგონიათ, არაფერს ქამენო... ბავშვს ზოგჯერ კიდევ რომ მოშივდეს, რა უშავს... სხვა თუ არაფერი, იმას მაინც გაიგებს, შიმშილი რა არის? არა, ეს მარტო ჩემი აზრი არ არის, ბოლო დროს თურმე გახეობებშიც წერენ სიმსუქნე არ ვარგა, უამრავ ავადმყოფობას აჩენსო, მაგრამ ვინ უგდებს ყურს. ჩემი რძლისთანა ხალხს შენ დააჯერებ რამეს? კი, ბატონო, ნუ დაგვიჯერებთ, ვნახოთ, ვინ ინანებს ბოლოს!“

ერთხელ, ქუჩაში მიმავალ ეკას უცებ მოელანდა, რომ ღორმა კბენა დაუბირა. შემცბარი განზე გახტა. მერე შებრუნდა და რა დაინახა?! შუშის დიდ კედელთან, ქალაქელები ვიტრინას რომ ეძახიან, გრძელნიჩვიანი ღორის დიდრონი თავი იყო გამოკიდებული. შუშის კედელში სხვა არაფერი ჩანდა და ეს გარემოება მას საოცრად მრისხანე და საშინელ იერს აძლევდა. გაფუჭულ ღორის თავი უწამწამო თვალებით იყურებოდა, გველივით უწამწამო თვალებით, და წინ ეშვებგადმოყრილი ყველა გამვლელ-გამომვლელს უბღვერდა, თითქოს უხმოდ ემუქრებოდა ხალხს: რას მომშტერებინახოთ, თქვენ მე ვერაფერს დამაკლებთ, მე თვითონ შეგკამთ ყველასო.

იმ ქუჩაზე ეკას ორიოდეჯერ მერეც მოუხდა გავლა. შუშის კედელს რომ მიუახლოვდა, უცებ შეტრიალდა და ქუჩის მეორე მხარეს მიაშურა, ალბათ გრძელდინგიანი ღორის თავი კვლავაც იქნება გამოკიდებულიო.

ეკას ბევრი რამ დაავიწყდა, მაგრამ ახლაც ღორს რომ დაინახავს, ან მის

ჭყვირილს გაიგონებს, უმაღლეს ის ღორისთავი ელანდება და ტანში აურეთლებს ზოლმე.

ეკამ კვლავ უკან მიიხედა. ისევ მოეჩვენა, რომ ის გამგელებული ტახი ჭყვირილით ნოსდევს უკან. ირგვლივ თოვლის. მეტი არაფერია.

„ამ მგელს დავკლავ და მეტს აღარც ვიყოლიებ... აღარა მაქვს ღორის დევნის თავი. ეჰ, ამას კი მოვიშორებ როგორმე, მაგრამ... ჩემი რძალი ვითომ ნაკლები ღორია? ან სხვები?“

მერიმ დედამთილი სამზარეულოში დააწვინა. ეს არაფერია, ეკას ყველგან შეუძლია ძილი. ასეთ უპატრიცემლობას გაუძლებს როგორმე. ზი, მერის ჩურჩულმა კი გაუსივა გული.

— საპირფარეოდან რომ მოვიდა, ხელი დაიბანა? კირი არაფერი შემომოთრიოს. დაიბანა? მერე საპონი რატომ არის შშრალი? საპნით დაიბანოს, საპნით.

— კართან ტილო ტყუილად მიდევს? რატომ არ გაიწმინდა ფეხი? გაიწმინდაო? შენ დაინახე და მე ვერა? ბრმები შენს გვარში მოიკითხე. მაგის გულისთვის დილიდან საღამომდე იატაკი ზომ არ უნდა ეწმინდო?

ვითომ ჩურჩულებს მერი, ეკას კი ყველაფერი ესმის. ურთხელ ისიც გაიგონა: გაუტკბა მუქთა ლუკმა, აღარ მიეთრევაო?

შალიკო უბღმუჭმუხვნილი უსმენს ცოლს, მერე სადღაც გარბის და შინ გვიან ბრუნდება, ფეხი ეშლებს, ნასვამია.

— ახლა ლოთობაც დაიწყე, ეგლა აკლდა შენს სიგლახეს. ამ გზით თუ იარე, აგიშენდება ოჯახი. თუ აგრე ძალიან შეგტკივა გული, დაკარი ფეხი და წაყვი დედაშენს, ისევ გლეხუჭა გახდი. თუ იყოჩაღებ, კოლექტივის თავმჯდომარედ დაგაყენებენ. მოხუცების, დედაბრების და ეზუციასთანა სულელების უფროსი იქნები... იქაური ღორი გიყვარს და ყველაფერი.

— მომეშვი ახლა, ქალო, თორემ..

ეკას ჩირი დაუვარდა ძირს, აილო, სული შეუბერა და შექცა. გადაირია რძალი, ჩემმა შეიღმა რომ ეს დაინახოს, მეტი ჰქუა კი არა აქვს, ისიც ასე მოიქცევა და დაეიღუბებო.

— შე ქალო, ძირს დაგდებული ჩირი რამდენჯერ შემიჭამია, მაგრამ, ღვთის მადლით, არაფერი მომსვლია.

— სოფელს აღარებ ქალაქს? აქ ათასი ბაცილაა.

— თუ ასეა, რაღა ამ მოწამლულ ქვეყანაში ცხოვრობთ? — შეეკამათა რძალს დედამთილი.

— დედა, დედა, ამ უვიცსა და გაგრიას ვის გადაეკიდე? მიშველეთ! — მერი საეარძელზე გადაესვენა, აქაოდა, გულის ფრიალი დამემართათ. — მომკლავს მე ეს ქალი, ცოცხლად შემქამს! იატაკზე დაგდებულ ჩირს პირში იღებს და კიდევ აქეთ მედავება. ღმერთო, რატომ მსჯი ასე, რა დაგიშავე!

— მე სოფელში ვარ დაბადებულ-გაზრდილი, იქ ყველა ასე იქცევა... მაგრამ შენსავით არც ღვიძლი გეტკივა და არც სხვა რამე...

— ერთი ამას უყურეთ, თავის ჯანმრთელობასაც რომ მახარებებს. იმის მაგივრად, რომ ჰქუა ისწავლოს...

— მე სიბერეში ზნეს ქალაქურად ვერ შევიცვლი, არც მჭირდება.

— ჩემ შეილს რაღას ერჩი? შენს სიგლახეს უყუროს და ისწავლოს? პოდა, შენს ზნეს რომ ვეღარ შევიცვლი, წადი იქ, სადაც ეგ სიგლახედ არ შიანით, პატიოსან ოჯახს ნუ მიმღვრე შენი უზნეობით. შენ რომ სინდის-ნამუსი გქონდეს, აქამდეც მიხედებოდი და მომშორდებოდი, მაგრამ რეგვენი ხარ და ვინ რას გაგაგებინებს!

ყველაფერს მოითმენს ეკა და ამას—ვერა.

„უსინდისოც რომ მიწოდა? რატომ არ დაიწვება, ღმერთო, შენი სამართალი?! მე რომ სინდისი მაქვს, მთელ ქალაქს ეყოფა. ეს როგორ გამიბედა ამ ენამყრალმა უნამუსომ?“

დაპკრა ფეხი და ქუჩაში გაიქცა. თავი

ვი ვაჯობებთში ჰგონია. სუნთქვა უჭირს. ეჩვენება, რომ ქალაქის ჰაერი შხამით არის გატენილი... ეს ჰაერი კი არა, შხამიანი კვამლი და მტვერია... ყველაფერი თითქოს ქონიანი მტვერით არის ვალესილი, ასფალტიც კი... ამიტომ უცურავს ეკას ფეხი. აი, ისინი კი ისევ დაიზღაზნებია... მოწამლული ქონით დამძიმებულნი.

ჰო, იმ ერთმა ქალმა მთელი ქალაქი შეაძულა ეკას. მერის გამოისობით არცერთი ქალაქელი აღარ მოსწონს, აღარც მათი სიარული, აღარც მათებური სიტყვა-პასუხი, აღარც საქციელი...

იმ საღამოსვე სოფლისკენ გამოეშურა. აი, მაშინ დაიფიცა ეკამ: თუ ქალაქში კიდევ ჩავიდე, ფეხი მომტყდესო.

„ეისაც უნდა გამამტყუნოს, არ მიყვარს მე ქალაქი, არა... შეილი წამართვა, ღვიძლი შეილი... და განა მართო შეილი?... იქაურმა ჰაერმა სიცოცხლე მომიწამლა... ნეტავი არ გამეშვა ჩემი კაცი, დამეხრჩობა იმ შხამიან ჰაერში... შეილი ზომ დამიავადმყოფა, არც ბერიკაცს დაყარის ხეირს... თუ მართლა სტივია რამე, ქალაქი იმ სატიკვარს გაუზრავლებს. სოფლის ჰაერსა და ქვეყრის ღვინოზე უკეთეს წამალს იონა იქვე იშოვის, ვერა, ტყუილად გავუშვი...“

ამ ფიქრმა თუ უკვლევმა თოვლმა დაქანცა ეკა. ძველებურად როდი მოსდევს ჯან-ღონე.

თოვლში ვერ დაისვენებ. სახურავიან ქიშკარს მიადგა, ტვირთი ზღურბლთან, მშრალ ქვაზე ჩამოდგა და მიმოიხედა.

კლდისუბანში სახლები არ ჩანს. თერთი სახურავებიდან ამოჩრილი რუხი ბუხრებით თუ მიხვდებით, რომ აქაურობა დასახლებულია. ბუხრებს თოვლის წოწოლა ქუდები ახურავთ.

„ჩემ ბუხარში ზოგჯერ მაინც ამოდის კვამლი. აქ კი ახლა ერთი კერაც არ ითება. დიდი ხნით ჩამქრალ კერაზე აღბათ ბუხრიდან ჩაყრილი თოვლი ღვეს. აგერ, თოვლს ბუხრის საკვამლე ყელიც კი ამოუქოლავს.“

„ვინც ორიოდეჯერ ასფალტზე გვიარა, მიწას აღარ დაუბრუნდა დეკლარაციი იქნება?“

ეკამ იცის, ასე უცეცხლ-უკვამლოდ იქნება ბუხრები გაზაფხულამდე. მერე მზე თოვლის ქუდს მოხდის ყველა ბუხარს... მაგრამ ბუხარში ჩაცვნილი და კერაზე ყინულად დამცხვარი თოვლი მანამდე არ გადნება, ვიდრე მზე ბუხრის ფეხამდე ჩახედვას არ მოახერხებს. ეს კი ძალიან გვიან მოხდება, როცა ქედებზეც დადნება თოვლი და მიწიდან ბალახი ამოიწვერება. მაშინ დაბრუნდებიან ქალაქში შვილებთან ვაკრეფილი ბერიკაცები და დედაბრები, კარდალურსმნულ სახლებს გააღებენ და პატრონდაბრუნებული ბუხრებიც უმაღვე გაიღვიძებენ. მერე მოვა ზაფხული და ორიოდე თვით ახმურდება სოფელი. გამოცოცხდება თემშარა. აქაურობას მოავარაკე ქალაქელები ეწვევიან. ზოგი ჩამუზღუთელი საავარაკოდაც აღარ მოდის სოფელში, ზღვას ამჯობინებს, მაგრამ რას იზამ. აგერ, ათიოდე წელიწადია, ზოგი სახლის კარი ერთხელაც არ გაღებულა, ბოქლომს ყანგი ჰამს. ეზო შამბმა დაფარა და ეკალ-ბარდით გაიბურძღლა.

„სანამ დედ-მამა ცოცხალი ეგულება, შალიკო ზოგჯერ მაინც დაგვხედავს. მერე, მტერსა და ავს, მე და ჩემი კაცი რომ აღარ ვიქნებით, სულ აღარ იზამს აქეთ პირს და იონას სახლ-კარიც ჩვენი მეზობლების კარმიდამოსავით გავერანდება. ბოლოს, თუ არაფერი შეიკვალა, მთელი სოფელი შამბნართა და ეკალ-ბარდით დაიფარება... რაკი შალიკოს აღარ უნდა სოფელში ცხოვრება, ელიკო მაინც ჩამოვიდეს თავისი ქმარ-შვილით! რას იხრჩობიან იმ მოცუტუნულ სარდაფში? სახლი იმხელა უნდა, მე რომ მაქვს. ღვთის მადლით, აქაური ჰაერიც კარგია და მზეც, თუ ხელის განძრევა არ დაეზარებათ, არც საკმელსასმელი მოაკლდებათ. ოღონდ კერას ნუ გააციებენ და მუქთად დაგუთმობ ყველაფერს. განა არ ვუთხარი, ყურიც

არ გააპარტყუნეს. ეჰ, სოფლის დოვლათს ყველა გემრიელად მიირთმევს, სოფელში ცხოვრება კი აღარავის უნდა... საით მიდის ეს წუთისოფელი?”

ეკამ ხელი ჩაიჭნია და ტომარას დასწვდა.

— გეყოფა დასვენება, წადი, ჩემო თავო, თორემ შუადღემდე გაღმაუბანში ვერც ვახვალ და უკან გამობრუნება აღარ გინდა?”

ეკა კლდისუბანს გასცდა და საცალფეხო ბოგირს მიაღგა. აქედან სხვა დროს პირდაღრენილი შავი ხევი ჩანს და ყველა მგზავრი ფრთხილად გადის ბოგირზე. ახლა მთელი ხევი თეთრია — თოვლს ღელევს კი გადაუხურავს. ბოგირზე ფეხი რომ დაგიცდეს, გაზაფხულამდე ვედარავინ გიპოვის. იქნებ ვედარც მერე. რაც სოფელი დაყრუვდა, ნადირი ამ ხევეში თავისუფლად დაძრწის.

ეკა მშვიდობით გავიდა ბოგირზე.

კლდისუბნის პირველივე სახლი გავერანებულა. თოვლში არ ჩანს, მაგრამ ეკამ იცის, რომ სახლის დამპალი სახურავი ორიოდ წლის წინათ ჩაიხლიწა მთლიანად და მერე საპატრონოდ აღარავის მოუკითხავს.

— ღმერთო შენითა! — პირჯვარი გადაიწერა ტომარააკიდებულმა ქალმა.

შვილი ადრევე წავიდა ქალაქში. მარტოდ დარჩენილი მოხუცები ერთმანეთს ძლივს აყენებდნენ. მერე ერთ დღეს გაასვენეს ორივე. ერთხანს გაზაფხულობითა შვილი მოდიოდა ვენახის დასამუშავებლად, მაგრამ ჩამოართვეს ვენახი: თუ გინდა, მოდი და კოლექტივში იმუშავე, თორემ სოფელში მიწა არ გეკუთვინისო. ეზოც კი ჩამოაქრეს, მხოლოდ სახლთან მისასვლელი ბილიკი დაუტოვეს.

ეკამ კლდისუბანიც ისე გაიარა, წინ არავინ შემოხვედრია. ორიოდ კაცის ნაკვალევი კი აჩნდა გზას.

„ეჰ, აქაც რამდენი ბუხარია უკვამლო?“

წინათ მეწისქვილედ ეკას ძმა მუშაობდა, შამშე. ავადმყოფობამ რომ დარია ხელი, თავი დაანება. მერე მეწისქვილეობა ედუკიამ ითავა.

ეკას წისქვილი ღია დახვდა. მეწისქვილე არსად ჩანდა, მაგრამ არც უძებნია. ედუკიამ ყველა გააფრთხილა, წისქვილი სულ ღია იქნება და ვინც უფრო ადრე მოიტანს საფქვეს, იმან მიურიგოსო. მთელი კვირა ისე გაივლიდა ხოლმე, წისქვილში ორი ადამიანი თუ მოვიდოდა და დღედაღამ აქ ხომ არ იყურებოდა ხანშიშესული ქალი. წისქვილი ხალხის ნამუსს ჩააბარა.

ეკამ ტომარა ხვიშირაში პირქვე ჩაპკიდა, წისქვილი აუშვა, ხუთიოდე წუთს ყური მიუგდო, ხომ კარგად ფქვეავსო და ძმისკენ გასწია. სკოლის ეზოს გაუარა. აქ ერთი ფეხის ნაკვალევიც არ ჩანდა. ფოსტაში შევიდა და იქიდან შუბლშეკმუხვნილი გამოვიდა.

„ნეტავი რა მოუვიდათ? ვაითუ შალიკო ავად და მიმალავენ? აბა, რას ნიშნავს ამდენი უამბობა? ვითომ ძნელია ერთი წერილის გამოგზავნა?“

ძმის ეზოში კვალი დახვდა. იმ კვალს შეჰყვა ივანზე. სახლიდან გაბმული ხველება მოესმა.

— შინა ხარ, ბიჭო? — თამამად შეალო კარი.

მიბეჭუტულ ცეცხლთან მიმჯდარი პალტომოხურული შამშე, თითქოს უცებ გააღვიძესო, შეშინებულივით წამოხტა.

— შენა ხარ, გოგო? მოდი, აგერ დაქექი! — ბუხართან სამფეხა სკამი დაუდგა. — ამ ნამბულ თოვლში რამ გამოგატოპვია, ხომ მშვიდობაა?

— რა ვიცი... არც კაი ამბავი ჩანს. არც ავი... ფოსტაში შევიარე, არაფერია.

— ნუ გეშინია, — შამშემ ცეცხლს საკეცური შეუჩუჩებურა, — ერთობ ხშირად თოვს, გზები მარტო ჩვენში კი არ იქნება შეკრული, ასე ადვილად ვერ მოგაწვდენენ ხმას. ზამთარში ყოველთვის იგვიანებს წერილი. აგერ, თვეზე მეტია, არც მე მიმიღია.

— ღმერთმა იმედი ნუ მოგიშალს! მშვიდობა იქნებოდეს და...

— იქნება, იქნება!

— ეს რა არის?

— ეს? — შამშემ ბუხრისფეხთან მიდგმულ, ფუჩჩით თავდაცობილ ტუჩჩინისკარტა დოქს წაავლო ხელი. — ღვინოს ვაბობ და თავის შესაყოლიებლად ცოტოტას ვწრუბავ. აჰა, რა ვქნა? ჭიქას მოგიტან, დალოე შენც.

— აჰ, არ მინდა.

— თოვლიდან ხარ შემოსული, მოვიხებდა.

— რომ მინდოდეს, ბიჭო, კი არ მერიდება. რავე ხარ?

— მგონი, მოვმჯობინდა. როცა ღვინოს სმა შემიძლია, კარგად ვარ. შეშასაც ვჩეხავ და წყალიც მომაქვს. მადლიანია ეს დალოცვილი, — შამშემ დოქს წაუთათუნა ხელი, — ამითლა მიდგას სული.

— მისატანებელი ლუქმა გაქვს? ახერხებ რამეს?

— კი, ვაფუშლუქებ ხან რას და ხან რას. გუშინ წითელი ლობიო მოვხარშე, ხომ არ ვინდა. ჭადიცი მაქვს, ამ დილით გამოვაცხვე.

— აჰ, არაფერი არ მინდა... შენ ლუქმა გაგეყოფა? იმას ვდარბობ, ახლოს რომ არა ვარ და ვერაფერს გიკეთებ. ცოდვა ხარ მარტო... კაცს კი არა, აგერ ქალი ვარ და მე მიჭირს.

— ეჰ, რას იზამ, შეილებს თავისი გზა აქვთ, მიგვატოვეს, უპატრონოდ გვატოვეს. ეს ბებრუცუნა ზამთარი თუ გადავაგორე, სხვას აღარაფერს დაეძებ. ბიჭმა კიდევ შემომითვალა, მიატოვე მანდაურობა და ჩამოდიო, სავარძელში ჩავსვამ და ციე ნიავს არ მოგაკარებო. არ მინდა, ეკა, არა. სადაც მთელი სიცოცხლე დავხარჯე, სიკვდილიც აქ მიჩვენია. იმ ქალაქში რა დამკარგვია? ღმერთი სამოთხეს მიმზადებს უკვე, მოვიდა ჩემი დრო... ზამთარში მაინც არ მოგვკვდებოდე, სოფელში საფლავის გამთხრელი და კუბოს ამწევი კაცი აღარ დარჩა, ქალის გათხრილი საფლავი გაგიგონია? დედაკაცის მხარზე შედგმული კუბო გინახავს? გაზაფხულამდე უნდა მივათრიო სული როგორმე, მივათრევე კიდევ... ამ ზამთარს ღვინოსა და ამ დალოცვილი ღვინოს მადლით გადავათრევე და მერე მე ვიცი... ვილაცხვების ჭინაზე ას წელიწადს მაინც უნდა ვიცოცხლო... რამდენჯერ დამიპირა მიქელ-გაბრიელმა წაყვანა, მარა, დავაყუდებინე ჩიბუხი. კიდევ დავაყუდებინებ, ძალი ვარ.

— იცოცხლე, ჩემო ძმაო, იცოცხლე, ვის რას ვუშავებთ.

— კარგია, რომ გამომიარე, ხმის გამცემი მენატრება. ჩემი ხმა დამაფიწყდა, სულელივით მარტო ჩემთვის ხომ არ ვილაპარაკებ? გამოვერუედი, ეკა, გამოვერუედი. ხომ გახსოვს, წინათ ეკლესიის ზარსა რეკავდნენ, რაც არ უნდა კენტად ყოფილიყავი, იმ ზარის ხმას რომ გაიგონებდი, მარტოობას აღარ გრძნობდი. ეკლესია რომ დაანგრის, ის ზარი სკოლაში დაჰკიდეს, დღეში თორმეტჯერ რეკავდნენ ხოლმე. მიხაროდა, მამის სული ნუ წამიწყდება, ძველებურად მიხაროდა. ახლა სკოლაშიც აღარ რეკავენ ზარს, დამრეკი აღარაინააო. ჰოდა, მეც გამოვერუედი და სოფელიც... სულ მარტო დავრჩი.

ეკამ სახლი დაულაგა ძმას და ერთი

ქალიც გამოუცხო ღადარში, მერე ცოტა ხანს კიდევ გაესაუბრა და ბოდისის მოხდასავით უთხრა:

— წავალ ახლა.

— რა გეჩქარება, გოგო, დარჩი ამაღამ.

— სახლი უპატრონოდ მივატოვე.

— მთელი სოფელი უპატრონოდ არის მიტოვებული, შენს სახლს რა მოუვია?

— ის სხვა არის. ბუხარში ცეცხლი დამრჩა, კეცები მივფარე, მაინც საშიშია. ძროხა დილით არ გამოიძვევლია, ახლაც თუ არ მივხედვ, გაუშრება ჯიქანი. დღისულს უნდა მივიდვ. ღორს რომ მოშივდება, იქაურობას ანგრევს, რაზა ველარ აკავებს. ესეც რომ არ იყოს, საღორებო წამოვიდვ ჩამოსაფუკავად, ეღუკიამ არც იცის, ისე მივურიგვ, სადაცა იყვირებს წისქვილი.

ეკა ძმას დაემშვიდობა. სამჯერ ჩამოართვა ხელი, სახლის კართან, კიბესთან და ქიშკართან.

— ბარემ წყარომღვ წამოგყვები, — უთხრა შამშემ, — წყალს მოვიტან.

შინ შებრუნდა და კოკა გამოიტანა. წყაროსთან მეოთხედ დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

ეკამ ბეწვზე მიუსწრო წისქვილს. ზვიმირა დაცლილი დახვდა. დოღაბის პირში ლაკვარადან სიმინდის უკანასკნელი მარცვლები ცვიოდა.

წისქვილი გააჩერა და შუა გარწყული ტომარა მხარზე გადაიკიდა.

ცას რუხი ღრუბელი ეფარა. მზე არ ჩანდა, მაგრამ იგრძნობოდა, რომ სადღაც იყო.

ბოგირი ახლა მეტი სიფრთხილით გადაიარა და თავის ნაფეხურებს გაკყვა. ისევ მოესმა ღორის ჭყვირილი და ნაბიჯს მოუჩქარა. ღობეზე რომ შედგა, ჩამავალმა მზემ გამოხედა. შინ შესულმა პალტო გაიხადა და უშალვე ცეცხლი გააღვიძა. კეცებშიფარებულ ღადარს ნაკვერცხალი შემოენახა.

ეკამ ძროხის ჯიქნის გამოსაბანად კარდალათი წყალი გაათბო, მერე ცეცხ-

ლი არ შეუხვევია, მაგრამ ზედ კეცები კი მიაფარა, ეშმაკს თვალი არ უჩანს, უცებ ნაპერწყალი არ ისროლოსო. ნელთბილი წყლით სავსე კარდალა ხელში დაიჭირა და დაფიქრდა.

„თითქოს რაღაც მრჩება. ღორს მერე ვაქმევ, ძროხას რომ ჩამოვწველი. იმ მგელმა შეიძლება გამსვაროს და... ძროხის ჩამოწველა სუფთა ხელებით სჯობია“.

ეკას უცებ მოაგონდა, ბოსელში ხომ სინათლე მხოლოდ ნებვის გადასაყრელი პატარა სარკმლიდან შემოდის, ახლა იქ ბინდ-ბუნდი იქნებაო.

„ქრაქი წავიღო ვითომ?“

უშალვე გადაიფიქრა:

„ბოსლის ჭერში თივისა და ჩალის ღეროები ნაირნაირად არის ჩამოკონწილებული, ჭრაქის ენა ერთს რომ მისწვდეს, ცეცხლი ღეროებს შეუმჩნეველად აპყვება საბძელში და გადავიწვები. ესეც რომ არ იყოს, ჭრაქი ჩრდილებს ათამაშებს, ჩრდილების ბორიალმა კი ვაითუ მოწველისას ძროხა დამიფრთხოს, კარდალაზე წიხლი მიკრას და მაშინდელივით დამიქციოს რძე“.

ბოსლის კარი ფრთხილად შეაღო. ძროხა თითქოს ელოდაო, მაშინვე წამოდგა. ღორი აღრუჩუნდა. მერე რომ იგრძნო, ჯერ ჩემთვის არა სცალიაო, გულისგამაწვრილებელი ჭყვირილი მოართო. საღორის კარს დინგს ურტყამდა გამწარებით.

— მაცალე, შე წუბაკო, რა უხიაგი ხარ ზოგიერთივით! მოვწველი ნოთიას და მერე შენც მოგხედავ. გაჩუმდი, შენი სისხლი კი გაშრეს!

ეკამ ბოსლის კარი ურდულით ჩაკეტა შიგნიდან, ძროხის უკანა ფეხებთან ჩაიყუნცა, ჯიქანი ნელთბილი წყლით გამობანა და წველას შეუდგა.

შხრ! შხრ! შხრ! შხრ!

ბოსლის სუნს თბილი რძის სუნი შეერია

აქეთ რძე შხრიალებს, იქით ღორი თავგადაკვლით ჭყვირის და კარს დინგით ებრძვის.

ჩაუხუცილმა ეკამ წამოდგომა დააპირა. უცებ ძროხა რალაცამ დააფრთხო, განზე გახტა და წიხლი გაიჭნია.

ეკამ ამის დანახვალა მოასწრო. წამში გაქრა ჭერ ძროხა, მერე ბოსელი და ბოლოს ღორის შემზარავი ჭყვირილიც.

ხურჩინაკიდებულ იონას ფალანგა-კიშკრის გაღება დაეზარა და საბიჯობე-ლაზე გადავიდა.

„ეზოში მაინც რატომ არის გაუქვალავი ბილიკი? ორ კვირაზე მეტია აქეთ აღარ უთოვიაო და... ამ ორ კვირაში წყალი მაინც არ შეიტანა შინ?“

კიბეზე ფეხდაუდგმელი თოვლი დევს, ახალი კი არა, ძველი თოვლი, პირგადაყინული. აივანზე ნამჭერი ყრია სახლის ღია კარს ქარი ნელა აჭრიალებს.

„ვაი!“ — ხურჩინი აივანზევე დაადგო ცივად, შინ შევიდა და ლოგინს შიშით გახედა. ეკა ლოგინში არა წევს არც ავადმყოფი, არც მკვდარი. მუგუზალზე კეცებია მიფარებული, კმაცებზე თოვლი დევს.

სხვა ოთახებშიც შეიხედა. არც იქ არის ვინმე; დაძახება დააპირა და ვერ გაბედა, ცოლის სახელით დაყვირება ვერ გაბედა.

„ღმერთო, მიშველე! სად წავიდა? იქნებ ამბავი რომ ვერ გაიგო, თხენ ვა-ლირა და ქალაქში გამოიქცა? მერე კარს ასე ღიად დატოვებდა? თუმცა, იქნებ დარჩა? ჩვენში წინათ სულ არ კეტავდნენ კარს.“

ბელლისკენ გაიხედა. კართან ორად-გარწყული ტომარა დევს. ბელლის კარი ღიაა. შეიხედა, გაქურდულს არა ჰგავს.

„თუ ქალაქში წამოვიდა, ძმას დაუბარებდა რამეს. იქნებ მარტო ველარ გასძლო და ძმასთან გადავიდა? წაიყვანდა ღორს, ძროხას და წავიდოდა. აბა, ერთი ბოსელშიც შევიხედო.“

ბოსლისკენ მიმავალი თოვლიანი ბილიკიც გაუქვალავია. კარს გარედან ურდული არა აქვს გაყრილი. მიაწვა, არ გაიღო.

„შიგნიდან არის დაკეტილი? რატომ?“
ბოსელს უკანიდან შემოუარა, პატარა სარკმელში ჩაიხედა და...

ერთხანს ქანდაკებასავით გახევედა, ენაწართმეული, მერე ერთბაშად ამოიბლავლა:

— მიშველეთ! მიშველეთ!

მხოლოდ კლდემ გამოსცა ეჭო, სხვას არავის გაუგონია.



შალვა შორაშიძე

ჩემი სიხოსხოს შუა მიწოკები

როგორც ამაყი მოყმე დიდგორის,
სისხლნაწვიმარი და ნათოვარი,
ჩემი სიცოცხლის შუა მინდორში
ვდგავარ, ვისვენებ მე ნაომარი.

შენ მადიდგულე და მბაბატონე
და ამიშვევე სული — ღრუბელი,
რალაც ახალ სხივს დამაპატრონე
და გამიმჩატდა მძიმე უღელი.

მათრობდა სუნი მუხის ნახარშის
(შე ყველას ასე ვემახსოვრებდი),
ღვთის ნაფეხურებს მწვანე ბალახში
მეგონა შენი მადლით ვბოვებდი.

არ მითხრა ახლა, რამდენი დამრჩა
ლურჯ ბილიკებზე საფრენ-სარბენი,
განა მინდვრებში ყაყაჩოდ არ ჩანს
სისხლი გულიდან გამომონადენი.

ემის სიმოკლე მე არ მადარდებს,
თავს დამეფივიან მინდვრის ჩიტები,
ვწირავ ზორცსა და სულს შენ გაბარებ,
რითჟო დაჭრილი მკლავეზე გიკვდები.


წვიმს ჩემი სისხლი შენს თეთრ ხელებზე
და ბალახებით მიხვევ იარებს,
თითქო ვიწვოდე საკურთხეველზე,
მანთებ კოცონად და მაბრიალებ.

და კივის ჩემი სულის სამრველო,
არ ცხრება ჩემი გული — ებანი,
თუ განწირული ვიყავ სამსხვერპლოდ,
ნეტავი ისევ შენ მოგეკალი.

დრო ზარებიან მარხილით მირბის
და ვიცი, რასაც ვკარგავ და ვიძენ,
სად მიმაქანებ სინათლით მინდვრის
სიკვდილისა და სიცოცხლის ხიდზე.

სულში შენს ნაშენ ფერებს ვინ მოშლის,
მზე წვეთავს ჩემი ვენახის ყურძენს,
მე კი სიცოცხლის შუა მინდორში
ვდგავარ და საყდრის ჩიტყვით ვუსტვენ.

სხვა მალამებდა, შენ მათენებდი,
წაიღე სული ამის სანაცვლოდ,
მე შენს უსახო ხატს ვალმერთებდი
და ღმერთის ხილვა უნდა მაცალო!..



* * *

არა იმიტომ,
რომ აშენებს მაღალ შენობას,
და არც იმიტომ,
რომ შენობას ლამაზად ხურავს,

არამედ მისთვის,
რომ განიერ კარებს შეაბამს
და ფართო კარებს ჩამოაკიდებს, —
ვადიდებ ხუროს.

* * *

ვაგზალში ერთი უცნობი დადის,
ყოველდღე მარტო დადის,
თავისთვის,
აწუხებს რაღაც ფიქრი თუ დარდი,
რაღაცას სხვებზე მეტად განიცდის.
მიდიან სხვები,
ფიქრობენ სხვებზე,
მიდიან სხვაგან,
მიდიან სხვებთან,
შემოკლებიან შეღებილ მესერს,
დგანან,
ხუმრობენ,
ღაღადნი,
სხედან.

იგი კი
მარტო ფიქრობს და დადის,
ყოველთვის მარტო დადის,
თავისთვის,
სხვებზე მეტი აქვს ფიქრი და დარდი,
ყველაფერს სხვებზე მეტად განიცდის.
უკან ბრუნდება ისევ ისეთი,
უხმოდ მიჰყვება ვიწრო კორიდორს,
მაგრამ
ხანგრძლივი დუმილისათვის
მაინც
გარკვეულ პასუხს მოითხოვს.

* * *

გული თანდათან
ერევა ასაკს,
გული თანდათან
ერევა ტკივილს,
ანთია ღია
ჭრილობის მსგავსად
და შეუმჩნეველად
იწვის და ღვივის.

ნელა ერევა
ფიქრებს ვკვიანს,
ნელა ერევა
დარდსა და ლოდინს...
მაგრამ ვერასგზით
ვერ შეეწვია
სიკვდილს: სიკვდილი
უცერად მოდის.



საქართველოს
წიგლიწიგლიწიგლი
დაგვიანებით,

ძალიან ჰგავდა მამამისს ბავშვი,
როგორც შუაზე გაჭრილი ვაშლი,
ძალიან ჰგავდა ბიჭი მამამისს,
ისიც მკვირცბლი და ისიც თამამი.

ბუნება ზუსტად იმეორებდა
ხანში შესული კაცის ცხოვრებას.
სიყრმის შეცდომებს,
მაცთურ ზმანებებს,
წარსულის
არა-სასურველ ნაწილს,

ოცი წლის შემდეგ, ზიზღით
დაგვიანებით,

ებრძოდა
აზრზე მოსული კაცი.
ბავშვი კი
მაცნე ჰგავდა მამამისს,
მაცნე ცელქი და მაცნე თამამი.
ჰგავდა და
იყო ბავშვი მამაზე —
მხოლოდ ბავშვობის გამო —

ლაშაზი.

ტრიალებდა

ტრიალებდა,

ტრიალებდა კარუსელი,

ქარს მიჰქონდა ხეების და ხეივნების
ნამუსრევი,
ბელურები ეშვებოდნენ კოპიტების
კენწეროდან...

იღვა ძალღი

და გოგონას გაკვირვებით შესცქეროდა,
გოგონა კი

ჩამყდარიყო თავის სათამაშოებთან,
მაგრამ

კი არ თამაშობდა,

მამას თვალს არ ამორებდა,

მამაც იჭვე,

სადაც დიდი ჩრდილი ეგდო

კოპიტების,

ვიდაც

უცნობ მანდილოსანს

უყურებდა მორიდებით,

ის უცნობი ძალღს უმზერდა

(ძალღი იღვა ბელურებთან),

ძალღი-გოგოს,

გოგო-მამას,

მამა-უცნობს

შეჰყურებდა.

ამ მზერაში იყო რაღაც უთქმელი და

აუხსნელი

ტრიალებდა,

ტრიალებდა,

ტრიალებდა კარუსელი.

სულზე მოუსწრო

წვიმამ აგარაკს,

ისევე აგორდა

ჭორის გორგალი,

ზოგან ფარულად,

ზოგან აშკარად

ჩამოარიგა

ეჭვი ორგვარი.

უცებ ყველანი

იქცნენ ყურებად,

უცებ ყველანი

დაპატარავდნენ,

მაგრამ ამინდის

დამსახურება

აღარ ახსოვდათ

სახლის კარამდეც,

რადგან გათენდა

დილა ისეთი

და მზემ ჩრდილები

ისე არია,

უკვე არავინ

აღარ უსმენდა

ცნობილი ჭორის

ახალ ვარიანტს.

მე ვიხსენებდი წუხანდელ სიზმარს.
 როდესაც ოდნავ შეირბა ლელი;
 როგორც კი ლელი შეირბა ოდნავ,
 მაშინვე თოფი ავწიე მალა;
 როგორც კი მალა ავწიე თოფი,
 ძაღლი მაშინვე დააკედა მიწას;
 როგორც კი მიწას დააკედა ძაღლი,
 წამომიფრინდა მაშინვე მწყერი;
 როგორც კი მწყერი წამომიფრინდა,
 დაიგრილა მაშინვე თოფმა,
 როგორც კი თოფმა დაიგრილა,
 მწყერმა მაშინვე დაკეცა ფრთები;
 როგორც კი ფრთები დაკეცა მწყერმა,
 მაშინვე მოსწყდა მწვეარი ადგილს;
 როგორც კი ადგილს მოსწყდა მწვეარი,
 დაბლა დაეუშვი მაშინვე თოფი;
 როგორც კი თოფი დაეუშვი დაბლა,
 მაშინვე გული დამწყდა რატომღაც
 და გამახსენდა ჩემი სიზმარი,
 როგორც კი გული დამწყდა,
 მაშინვე.



გაზეთი „საბჭოთა საქართველო“

გზავილოვით, უსიყარო ტყეაბო!

კ რ მ ა ნ ი

გეორგი ნაწილი

კოლია ბორიჩი ვიტებსკელია, აქაურ ადგილებს კარგად იცნობს და მეგზურობაც ერთხმად მას დაეკისრეთ. საშუალო ტანის ბიჭია კოლია, თმა ბუნებრივად სულერთიანად თეთრი აქვს. რაზედაც მიშა ეხუმრა. შენ, კოლია, შეგიძლია ქუდი არ დაიხურო, ზეწრის თავზე ჩამოცმაც არ დაგჭირდებაო. ბორიჩი მეტად კეთილი გულის ბიჭია და არც ვაქცაცობით ჩამოუვარდება ჩვენს მზვერავებს. კოლია ჩემი შერჩეულია, მზვერავთა ოცეულში მე ვადმოვიყვანე. პირველსავე გასვლაზე მოიგო ჩვენი ბიჭების გული. უცებ გაუშინაურდა მათ და ოცეულში თავისი ადგილი დაიკავა. მთელი ვიტებსკის ოლქი ფეხდაფეხ აქვს შემოვლილი ბორიჩის და ასეთი მზვერავის შემომატება ვის არ გაახარებდა!

ერთხანს პირდაპირ ორშა-ვიტებსკის გზატკეცილით გვატარა კოლიამ. გზატკეცილზე იშვიათად, მაგრამ მაინც გაირიხინებდა გერმანელთა მანქანა. მანქანის ხმაურზე გზიდან ტყეში გადავდიოდით.

ბოგუშევსკის რომ დავეუახლოვდით, ტყეში შევედით და ნაძვის ძირას შევიხვედით. მინდოდა ერთხელ კიდევ დამეხედა ლეონ ცურანის მიერ გამოგზავნილ გეგმა-ნახაზზე. თავზე ზეწრის ნახევი გადავიხურე და ის-ის იყო ასანთი უნდა

გამეკრა, რომ კოლიამ ხელი მორიდებით დამიჭირა. არ გინდათ, ეგ ქალაქი. ისედაც მოკლე გზით მიგიყვანთ საწყობამდე, ამ გზით მხოლოდ ერთი საგუშაგო შეგვხვდება და გუშაგის „მოხსნაც“ ჩემზე იყოსო. ტრაბახა და დიდად მოლაპარაკე ბიჭი რომ იყოს, არ დავუჭერებდი, მაგრამ კოლიას უნდა ვენდო.

გერმანელთა საგუშაგოსთან სულ რაღაც ოციოდე მეტრ მანძილზე მივხიზდი. წინასწარ მოლაპარაკებით ჩვენ ადგილზე უნდა დავრჩენილიყავით, კოლია კი გუშაგს მიეპარებოდა.

საგუშაგო თითქმის ტრიალ მინდორზე მოეწყოთ. გუშაგს საშუალება ჰქონდა ნახევარ კილომეტრზე მაინც შეენიშნა მოახლოებული საფრთხე, მაგრამ იმ უბედურს აღარაფრის თავი აღარ ჰქონდა. ტყვიამფრქვევის ირგვლივ, რომელიც შავად აჩნდა თრვლს, ფეხების ბაკუნით დარბოდა, პილოტური თავზე ჩამოეფხატა და მგონი სულაც არ ფიქრობდა მოვალეობაზე. გუშაგის ფეხების ბაკუნი გარკვევით გვესმოდა. გვეგონა ერთი გუშაგი იყო, მაგრამ მალე შევნიშნეთ მეორეც. რომელიც ნელა წამოიღგა და ისიც ფეხების ბაკუნს მოჰყვა. მათი „მოხსნა“ ძნელი არ იყო, მაგრამ გამოცდილებით ვიცოდით, რომ დაუფიქრებლად გუშაგების „აყვანა“ არ შეიძლებოდა. იქნებ უკვე ორი საათია, რაც

დგანან. გუშაგებს ხომ ყოველ ორ საათში სცვლიან. იქნებ სწორედ ახლათ მათი შეცვლის დრო და, მაშინ...

სჯობს დაველოდოთ ცვლას. ამაზეც წინასწარ ვიყავით შეთანხმებული და სორიჩი არ ჩქარობდა.

თითქმის ნახევარი საათი ვიწვეით თოვლში. უსაშველოდ ჰყინავდა და სიცივე ძვალსა და რბილში ატანდა. ვუცქერდი გერმანელ გუშაგებს და მათი ბედლი მშურდა: მათ ფეხების ბაჯენი და ხელების ფშვინება მაინც შეეძლოთ.

და აი, საგუშაგოსკენ მომავალი სამი ფაშისტი დაეინახეთ. ალბათ ორი გუშაგაა, ერთიც — ყარაულის უფროსი.

სიჩუმეში მჯახედ გაისმა გუშაგის ხმა. ალბათ ჰკითხა, ვინ მოდისო. პასუხიც მიიღო და მერე ყველაფერი ჩვეულებრივ წარიმართა — გუშაგები შეცვალეს, მიიხედ-მოიხედეს და წავიდნენ.

ახალი გუშაგები ერთხანს ფეხზე იდგნენ, მერე ერთი მათგანი ჩაწვა, ეტყობა ტყვიამფრქვევი მოსინჯა.

მეორე ტყვიამფრქვევს ირგვლივ უვლიდა და ჯერჯერობით ფეხებს არ აბაკუნებდა. ცოტა ხნის შემდეგ ისიც ჩაწვა.

კოლიამ მიმოიხედა, მე ხელი ავწიე. ვანიშნე დაძრულიყო. კოლია გახობხობდა, ჩვენც მიყვებით. ბორიჩს ხელში უშველებელი დანა უჭირავს, მეც ამოვიღე ნაღია მანქნევას ნაჩუქარი დანა, მაგრამ მიხტი გამოყენება აღარ დამქირვებია.

ერთერთ გუშაგს კოლია თავზე დაახტა და იმ წამსვე მოუღო ბოლო. მეორეს ალიოშა ტარანენკო სწვდა ყელში და გაგუდა.

გზა თავისუფალია, ჩვენს განკარგულებაში საათნახევარზე მეტია და ეს დრო უნდა ვიკმაროთ. აჩქარდით. თოვლზე ნაკვალევი აჩნდა, ჩვენც ნაკვალევს ვაყვებით.

ნაშუალამევი, ბოგუშევსკში სიჩუმეა, სახლის საბურავებზე თოვლი დევს და საერთოდ ყველაფერი თოვლშია ვახვეული.

ბორიჩი გვაჩქარებს, წელში მოხრილი გარბის, ჩვენც მივძენძელვებთ.

კოლიამ ჯერ ერთი ქუჩა გადაჭრა, მე-

რე მეორე და თითქოს ათჯერ ყოფილყო ნამყოფი, პირდაპირ იმ საწყობთან მიგვიყვანა.

მაშინვე კარებს ვეცით. საწყობის დარბაზივით კარებზე უშველებელი ბოქლომი ეკიდა. ლიზუნოვმა ბოქლომს ხელი ჩაავლო და დაქაჩა, იქნებ ყასიდად ჰკიდიო. საწყობი საგულდაგულოდ იყო დაკეტილი.

ნახაზის მიხედვით საწყობის წინ პოლიციელი უნდა ცხოვრობდეს. მივიხედე, სახლი მართლაც დგას, დაბალი, ორფანჯრიანი სახლია. ბიჭებს ვუჩურჩულე, მომყვებით-მეთქი და ფანჯარასთან მივედი. ჯიბიდან ხელყუმბარა ამოვიღე და მარცხენა ხელში დავიჭირე. მარჯვენით ფანჯარაზე დავაკაყუნე. ჩემი დაკაყუნება სახლში ვილაცამ გაიგონა, ეს აშკარა იყო, მაგრამ კაყუნზე არავინ გამომხედა და იძულებული ვიყავი მეორედ უფრო ძლიერ დამეკაყუნებინა. ფარდა გადაიწია, ფანჯარას ვილაც მოადგა.

— გააღე. — შევეტახე მკაცრად.

იმ წამსვე დაეშვა ფარდა და მე უცებ ფანჯრის ჩალეწვა განვიზრახე, მაგრამ ის ვილაც ისევ გამოჩნდა.

— ვინა ხარ?

— პარტიზანები!

დაბარბაცდა და მგონი გაქცევა დააპირა მაგრამ ყუმბარა დავანახე და შევეუყვირე:

— არ გაინძრე, თორემ შემოვადგებ. გააღე კარი, შენ არაფერს გერჩით, სწრაფად!

კარი გაიღო.

— გამოდი!

ხელბაწეული პოლიციელი გამოვიდა, რალაცას ლულულებდა. ეს ზვინივით კაცი ისე კანკალედა, მეგონა საცაა წაიქცევა-მეთქი.

— გააღე საწყობი, ჩქარა!

გონს მოვეგო, შინ შებრუნება დააპირა, მაგრამ მიშა მივარდა და ჯიბეებზე გადმოუბრუნა. პიჯაკის ჯიბიდან რევოლვერი და გასაღებების აცმა ამოიღო, მერე წიხლიც უთავაზა და საწყობთან მიათრია. პოლიციელმა ხელის

კანკალით გახსნა ბოქლომი, კარები გა-
ალო და საწყობში შეგვიძღვა. კარებთან
ბორიჩი დაეტოვა.

ალიოშა ტარანენკომ წინასწარ ნაგუ-
ლევი სანთელი აანთო და ერთ კუთხე-
ში ბოძზე დაამაგრა.

უზარმაზარი საწყობი იყო, შიგ ათას-
გვარი ხარახურა ეწყო, მაგრამ ამის გა-
რჩევის თავი ვის ჰქონდა.

— საღ აწყვია, თუთუნი?

— ა! — გაოცებისაგან პირი დაალო
პოლიციელმა.

— თუთუნი გვინდა, გესმის, მხოლოდ
თუთუნი!

— თუთუნი? თუთუნი კი, თუთუნი
ბევრია, აქეთ მობრძანდით, ა, აგერ
აწყვია, წაიღეთ რამდენიც გნებავთ,
რამდენსაც შეძლებთ, ვინ მამაძალი
დაგიშლით.

ერთ კუთხეში მართლაც ელაგა ჰი-
ლოფის ტომრები. ჰილოფი გავგლიჯე,
შიგ თუთუნი აღმოჩნდა. ტომარას და-
ეწვდი, აეწიე, — კაცს მისი წაღება შე-
უძლია! მაშინვე ვბრძანე თვითველმა
თითო ტომარა აიკიდეთ და საწყობიდან
გაღით-მეთქი. ბიჭები დაფაცურდნენ,
ტომრები აიკიდეს და საწყობიდან გავი-
დნენ. მე პოლიციელთან მივედი.

— საწყობს გარედან დავკეტავ, ერთი
საათის შემდეგ შეგიძლია განგაში ას-
ტეხო და სთქვა, რომ თავს პარტიზანთა
რაზმი დაგესხა, იარაღით გაიძულეს სა-
წყობის გაღება. ურთი სიტყვით, რო-
გორც მოახერხო ისე გადაირჩინე თავი,
მანამდე ხმა კრინტი, თორემ მეორე-
დაც მოვალთ!

გამოვედი, საწყობს ბოქლომი დავა-
დე, გასაღებების აცმა მოვიჩნიე და
მადლაც თოვლში ჩავკარგე, ბიჭებს და-
ვეწიე.

საგუშავოს რომ ჩაუვარეთ ტყვიამ-
ფრქვევი ავიღე და მხარზე გავიდე.

ბანაკში გამთენიისას შემოვედი.
ივანე კრეზოვისკის გარდა ყველას
ეძინა. იგი მიწურთან დაგვხვდა. ამდენი
თუთუნის დანახვაზე კინალამ გაგიჟდა.
სათითოოდ ჩავკოცნა და მიწურში ჩაგ-
ვიძღვა.

ჰილოფის ტომრები მიწურის ერთ
კუთხეში დავაწყეთ.

მე ერთი შეკერა გრატანის მთელი
ამოვიღე, მეთაურს მივაწოდე და ეუ-
თხარი:

— ივანე ივანიჩ, ეს თუთუნი ბოგუშე-
ვსკის კომენდანტმა გაუპტმანმა ფონ
ულბრიხმა მოგართვათ, ინებეთ!

კრეზოვისკიმ გადაიხარხარა. ბიჭებ-
მაც გაიღიმეს. მალე მიწურში ყველა
აბოლუბდა. თვით ალიოშა ტარანენკო-
მაც კი შეახვია თუთუნი, მოუკიდა და
როგორც კი მოქაჩა, ხველა აუეარდა
და შეიგინა. გროდნოს თუთუნი მარ-
თლაც მაგარია და გვარიანი სიმყრა-
ლაც დაჰკრავს.

მეორე დღით ორი ტომარა თუთუ-
ნი გრომოვის რაზმს მივეცი, ორიც
ჩვენთვის დავიტოვეთ. ერთი ტომარა
კრეზოვისკიმ გადაამალა, ბოიკოსთვი-
საც კი არ გაუმხელია.

ვასილ ბოიკომ ოპერაციაზე უნებარე
თვოდ წასვლისათვის საყვედური არ
უთქვამს, პირიქით სიტყვიერი მადლო-
ბაც კი გამოგვიცხადა, რადგან მეორე
დღესვე ბოგუშევისკიდან ცნობა
მივიღეთ, რომ კომენდანტს ყარაულის
უფროსი, გუშავთა მთელი შემადგენ-
ლობა და ექვსი პოლიციელი დაეხ-
რიტა. ესეც საქმეა.

...ექვტორ გრომოვის რაზმი სოფიე-
ვის ტყეებში გადავიდა. იქ რემოს რაზ-
მი იდგა და ადამ სტელმახიც მასთან
იყო.

გრომოვი დიდხანს ეხეწა ბოიკოს,
მაგრამ გადასვლაზე მაინც ვერ დაითა-
ნახმა. ბოიკომ ურჩია ადგილზე დარჩი,
ახლა რაზმის გადაყვანა ძნელია, რაიმე
ხიფათს გადაეყრებო და სჯობს გაზა-
ფხულამდე დაიცადო; გაზაფხულზე
ყველანი სოფიევის ტყეებში შევიყ-
რებითო. გრომოვი თავისაზე იდგა.
რატომღაც გაჯიუტდა და საკმაოდ უდ-
იერადაც კი ელაპარაკა ბოიკოს. მერე
რაზმი მოაწყო და წავიდა. მე ვუსმენდი
მათს საუბარს და მივივრდა. ყველაფე-
რი-ყველაფერი, მაგრამ, თუ გრომოვი
უფროსთან შელაპარაკებას გაბედავდა,
არ მეგონა. იგი ხომ სანიმუშო, წესიერ

მეთურად ითვლებოდა, უფროსის თუ ხელმძღვანელის ყოველ სიტყვაზე სიმით გაიჭიმებოდა და სიტყვის შებრუნებას კი არა, შეკითხვის მიცემასაც ვერ ბედავდა.

რა მოხდა?

გუშინ კრეზიენსკი და გრომოვი წაინკლავდნენ. აქამდე ერთმანეთს დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ, თქვენაბით მიმართავდნენ, ლუკმას ინაწილებდნენ. ხანდახან ბიჭები თვითნაბად არაყს რომ გააჩენდნენ, პირველად მეთაურს მიართმევდნენ და ისიც აუცილებლად გრომოვს დაპატივებდა, ან გაუგზავნიდა. ვასილ ბოიკო არაყს არ სვამდა, არც საქმლისათვის იკლავდა თავს. კარტოფილს რომ მოხარშავდნენ, ორად-ორ ცალს აიღებდა, აუცილებლად გაფუკენიდა, მარლის მოაყრიდა და შეექცეოდა. ოღონდ თუთუნს არ შემოკლებოდა და, უჭმელი ალბათ მთელი კვირა გაძლებდა!

ბოგუშევსკიდან მოტანილი თუთუნის ბოიკოს თვითონ კრეზიენსკიმ მიართვა. ისე გახარებოდა თუთუნის დანახვა, სამჭერ გადაეკონა ჩვენი მეთაური. მეც განსაკუთრებულად მადლობა მოთხრა.

გუშინ ბუდაში ვიყავი, თან ვალოდია კორაბუშევი და ალიოშა ტარანეკო მასლდნენ. ძია გრიგორი უნდა მენახა.

ბუდაში რომ შევედი, კარგახნის დაღამებული იყო. ძია გრიგორის სახლამდე ძე ხორციელი არავინ შეგვხვდრია. სახლებზე და ბოძებზე თეთრად ქათქათებდა თოვლი. ქუჩაში ფეხის ნაკვალევიც არ ჩანდა, იფიქრებდით ამ სოფელში დიდი ხანია კაციშვილს არ გაუვლიაო.

მიედოოდით, მივარდევდით თოვლს და თვალწინ ხან პავლე შორაბის სახე მედგა, ხან ვერა კონსტანტინეს ასულისა. ერმაკი, სახლთან შევჩერდით. წე ფანჯარასთან მივედი, ყური მივუვლე, იქნებ წერამ აიტანა და ერმაკი შემთხვევით შინ არის მეთქი. ფანჯარაზეც დავაკაუნე. არავითარი ბაიბური. რა თქმა უნდა, ერმაკი ამ სახლში და-

მეს არ გაათევს, სასაკლაოზე თავის ფეხით არ მოვა.

ვიდექი იმ სახლთან, სადაც ნეკო რამ ვისწავლე, სადაც ვედრო შხამი წვეთ-წვეთად შემასვეს. ვიდექი და ანას მყივანა ხმა მესმოდა

„ალარ მახსოვს როგორ ამიხვია თვლები, როგორ მომხიზლა, როგორ დამაბრმავე ამ ცრუბენტელა ერმაკმა. როგორ დამაჯერა, რომ აქ სამოთხე დამხედებოდა და სიკვდილამდე ხელის გულზე მატარებდა. მაშინ გამოუცდელ გოგოს რუსეთში წამოსვლა რომანტიკულადაც მიმაჩნდა. გრძელი გზა გამოვიარე, ჩემოველი და ფუფუნებაში ნაცხოვრებს სამოთხის ნაცვლად აქ სახვადაგე დამხვდა. ხელები რად გიკანკალებს? ფერი რად დაკარგე? რატომ მიყურებ შესაქმელად? განა შენთვის სულ ერთი არ არის, რუსს ემსახურებო თუ გერმანელს? რა თვალებით მიცქერი, ლამის მეცე და ნაკუწ-ნაკუწ ამქნა?“

ხელები ახლაც მიკანკალებს, მცივა და ადგილიდან ვერ დავძრულვარ. ფიქრში სწრაფად გაირბინა ბუდაში გატარებულმა დღეებმა.

ძია გრიგორის სახლისკენ წავედით. ბიჭებმა ძია გრიგორისა და საერთოდ ამ სოფელში ჩემი ყოფნის შესახებ თითქმის ყველაფერი იცოდნენ და ახლა აღარაფერს მეკითხებოდნენ.

ძია გრიგორის სახლს მივადექით.

ნეტა რასა იქს, როგორ არის ეს კეთილი კაცი? ამას წინათ ლეონ ცურანს ვკითხე მისი ამბავი, ცოტას ავადმყოფობსო, მითხრა, ვაი თუ დავარდა ბერიკაცი და წყლის მიმწოდებელიც არავინ ჰყავს!

კარებზე დავაკაუნე, ერთხელ, ორჯერ. ხმა არავინ გამცა და შემეშინდა. ბიჭებმა იარალი იშიშვლეს, ეგონათ კარების შემტვრევას ვაპირებდი. — არ გინდათ, ამ სახლში ჩვენიანი, ყველაზე უფრო სანდო და უკეთილშობილესი კაცი ცხოვრობს მეთქი, ვუთხარი. ისევ დავაკაუნე, კარები ისე სწრაფად გაიღო, რომ ჩემდა უნებურად გვერდზე გავხტი.

პარნალზე რევოლუციონომარჩვებული სტიოპა სენკევიჩი იდგა.

— სტიოპა, ჩემო ბიჭო. — ვიყვარე. სტიოპას სიხარულისაგან რევოლუციონი ხელიდან კინალამ გაუვარდა, ისკუბა და პირდაპირ ყელზე შემომხეხია.

ერთმანეთი ღვიძლი ძმებივით ჩაკოცნეთ. სტიოპა კარგახანია არ მენახა და ახლა ისე გავიხარე, ძია გრიგორიც კი დამავიწყდა. — როგორა ხარ, ჩემო სტიოპა. ეს არის შენი დაპირება? ასე უნდა დაივიწყოს მეკავშირემ შეფი? შინ შევედით.

სტიოპამ ლამფას გამურული შუშა მოაძრო, ასანთს გაჰკრა და აანთო. მე ოთახი მოვათვალეირე. ღუმელზე ვილაყ ყრუდ კენესოდა. მივედი, სკამზე შევედქი.

— გამარჯობა, ძია გრიგორ, მე ვარ, საშა.

მოხუცი შეინძრა, თითქოს წამოწყევაც სცადა, უნდა იდაყვებს დაყრდნობოდა, მაგრამ რალაც ამოიხრიალა, დავარდა და ჩაჩუმდა.

— სტიოპა, ლამფა, ჩქარა!

ლამფა ალიოშამ მომაწოდა. ღუმელზე ავხობდი, ლამფა იქვე შემოვდგი და მოხუცს შუბლზე ხელი გადავუსვი.

— დიდი ხანია რაც ამ ღლეშია ეს უბედური?

სტიოპამ არ მიპასუხა. იგი გულამოსკენილი ტიროდა.

— ნუ სტირი, სტიოპა, — ვაყვაცი არა ხარ?

— მეორე დღეა რაც გრძნობა დავარგა. — სლუკუნით მითხრა სტიოპამ.

— მე იანოვოდან ჩამოვედი, არ ვიცოდი თუ ასე ავად იყო, საქმისათვის მოვაკითხე და წაქცეული დამხვდა. აღარ მოვშორებვიარ. წყალი რომ მივაწოდე, მიცნო. ღმერთი გადაგარჩენს და გაგზრდისო. გუშინს აქეთ ხრიალებს, არც კარტოფილი მიიკარა, არც წყალი. თქვენ მაინც უშველეთ.

— წყალი მომაწოდე, სტიოპა.

ბიჭმა ჰიქა წყალი მომიტანა, მოხუცს თავი ავუწიე, ვეცადე ცოტა მაინც მოესხვა, ვერაფერს გავხდი. მერე ცხვირსახოცი დავესველე და შუბლზე დავა-

ფინე. ეჰ, ასე რომ მცოდნოდა, ზვეს საყვარელ ექიმს — პეტრე ტახონოვს ვთხოვდი და წამომყვებოდა.

კორპუსევი მიმიხვდა და თქვა:

— გაექცევი, ჩვენს ექიმს მოვიყვან.

— ვალოდია, ახლა თერთმეტი საათია, შენ მისვლა-მოსვლას რამდენხანს მოუნდები?

კორპუსევი წამით დაფიქრდა.

— ორ საათში აქ გაეჩნდები. — თქვა და ოთახიდან გავარდა.

მოხუცი ხრიალებდა, მისი გადარჩენა ღმერთსაც კი არ შეეძლო, მაგრამ რას ეუბნები გულს, სინდისს. ამ კაცმა ორი ვაყვაცი ფრონტზე გაგზავნა, სამშობლოს და საკუთარი ნამუსის წინაშე ცამდე მართალია. შეეძლო ღუმელზე მშვიდად ენებიერა და შვილების დაბრუნებას დალოდებოდა. სამოცდაათექვსმეტი წლის მოხუცს ვერაინ შებედავდა ხელში იარაღი აიღე და მტერს ებრძოლეო. უმოქმედობას ვერაინ დაზრახავდა, მაგრამ არ მოისვენა პატიოსანმა გლეხკაცმა. მისი ხნისათვის შესაფერი საქმე გამოიხანა. სოფლიდან-სოფელში დაათრევდა უძღურ სხეჯლს, საჭირო ცნობებს აგროვებდა, ერთერთ ყველაზე საიმედო მოკავშირედ ითვლებოდა.

და აი, დაეცა. სამოცდაათექვსმეტმა წელმა თავისი გაიტანა. გატყდა, დაუძღურდა და სიკვდილი უკვე ყელში სწვდა.

ისევ დავასველე ცხვირსახოცი და მოხუცს შუბლი და ტუჩები მოვწმინდე.

ალიოშა ღუმელთან იდგა და თვალს არ მავორებდა.

სტიოპამ მთელი ვედრო წყალი მოიტანა, პირსახოცი დაასველა, მომაწოდა და მითხრა, გულზე დააფინეთო, გუშინ მთელი დღე სველ პირსახოცს გულზე ვაფენდი და ესიამოვნებოდაო. მეც ერთხელ ავად ვიყავი, დიდი სიცხე მქონდა, დედა ასე იქცეოდა და მოვრჩიო.

მოვრჩიო.

ეპ, ჩემო სტიოპა, სად შენ და სად სამოცდაათექვსმეტი წლის კაცი!

— გუშინ, სანამ გრძნობას დაჰკარგავდა, ხელს სულ იმ სკივრისაკენ იშვერდა, რაღაცას მანიშნებდა.

— სკივრი არ გავიხსნია?
— არა.

— მიდი, ახლა გახსენი, შენც მიეშველე, ალიოშა. ორივენი სკივრთან მივიდნენ. ალიოშამ სკივრს თავი ახადა.

— აქ ხელუშმბარაა და ფული. — თქვა მან.

— ფული? — გამიყვირდა.

— ჰო, ფულია და წერილიც.

— აქ მომიტანე.

ალიოშამ წერილი მომაწოდა, ლამფისაკენ მივიწიე და რვეულის ფურცელს დავხედე. მოხუცის დაწერილი იყო.

„აქ ექვსი ათასი მანეთია. იცოდეს ღმერთმა, ამ ფულში არმად ნაშოვნი კაპიკოც არ ურევია. ჩემს ხანგრძლივ სიცოცხლეში ეს თანხა სიმწრით შევაგროვე. ეს ჩემი დასამარხი ფულია. ჩემო ბიჭებო, თუ ღმერთმა ინება და დაბრუნდით, ეს ფული მოიხმარეთ. მე არაფერი არ მინდა, ვინმე ღვთიან-მადლიანი საფლავზე ხის ჭვარს დაწისობს. გავა დრო, ის ჭვარცი დალუბება და მეც გაქვრები. ასეა სოფელი, ასე უნდა, ასე უყვარს მიწას.

ჩემო არკადი, ჩემო სტანისლაე!

თქვენს თავს ვფიცავ. დედათქვენის სულს ვფიცავ, რომ თქვენს მამას ამ ქირიანოზის ეაშს თავი არ შეურცხვენია. სოფლიდან სოფელში დაათრევდა ბებერ ძვლებს და რასაც ავალუბდნენ, ასრულებდა.

სკივრში ფულთან ერთად ბომბია, მე იმისი არაფერი გამეგება, მაინც ვინახავდი, ადვილი მოსახმარი ყოფილა, თუ ღმერთი გაწყრებოდა, მტერს ხელში ცოცხლად არ ჩავუვარდებოდი.

ერთსა ვთხოვთ, ჩემს საფლავზე არყისხე დარგეთ.

არყის ხე მიყვარდა. დედათქვენსაც, ჩვენი სოფლის ბოლოზე არყის ხე რომ დგას, იმის ძირას ვთხოვე ცოლობა.

პატიოსნად იცხოვრეთ, შვილებო.

პატიოსნებაზე უკეთესი ღმერთს არაფერი დაუწესებია — გრიგორი მობზოვი რიკო. 1941 წ.“

ალიოშა ტარანენკო ოთახიდან გავიდა და ერთხანს არ გამოჩენილა.

ვალოდია კორპუსევი და ექიმი პეტრე ტიხონოვი რომ შემოვიდნენ, ძია გრიგორი უკვე გარდაცვლილი იყო. ექიმმა მაინც დახედა, მაჯაც გაუსინჯა და აღარაფერი უთქვამს.

სტიოპა ხან ერთს შესცქერის თვალუბში, ხან მეორეს, უფრო ექიმს მისჩერებია.

ღუმელიდან ჩამოვედი, ექიმის წინაშე ბოდიში მოვიხადე, ამოდენა გზა ტყუილად ვატარეთ, შეგაწუხეთ-მეთქი. მზარზე ხელი მომხვია. კარადსთან მივედი, ფული ავიღე. ექვსი შეკვრა, სულ მანეთიანები და ხუთმანეთიანები იყო. ფულს გრიგორის წერილი შემოვახვიე, უნაკვე ჩავდე. ხელუშმბარა სტიოპას ვაღავეცი და სკივრი ჩავკეტე.

უკვე ღამის ორი საათი სრულდებოდა. მოხუცის დამარხვისათვის უნდა გვეზრუნა. ახლა, ამ ზამთარში მიწის გაჭრა ძნელი იყო და ავჩქარდით. სტიოპას დახმარებით საბძელში ფიცრები ვიპოვეთ, რაღაც წინის მაგვარი შევკმედე. ცხდარი ზედ დავასვენეთ, სახლი გამოვკვეტეთ და სასაფლაოსკენ გავწიეთ. სტიოპა გავვიძღვა. ბიქს თან სახნისივით თავწაწერილებული ბარი და წერაქვი მოჰქონდა.

ძია გრიგორს რომ მივასვენებდით, ხუტორი, ჩვენი „ლაზარეთი“ და ვიტალი ზახარჩუკის დაკრძალვის დღე გამახსენდა. სასაფლეოზე სტიოპა ერთ ადგილას შედგა და თქვა:

— აქ ბაბუა გრიგორის მეუღლე მარხია.

— შენ რა იცი?

— ამას წინათ ბაბუა გრიგორს ვეძებდი, შინ არ დამხვდა, მეზობლის ქალმა მიიხრა სასაფლაოზეაო. წამოვედი და სწორედ აქ იჯდა.

მაშინვე შევუდექით სამარის გათხრას. დიდხანს ვიწვალეთ, როგორც იქნა მეტრამდე ვავთხარეთ გაყინული

მიწა.

ჯინი დავშალეთ, ფიცრები სამარეში ჩავაწყეთ, მოხუცი ფრთხილად ჩავსვენეთ სამარეში და მიწა მივაყარეთ.

— გვაპატიე, კეთილო მოხუცო, გვაპატიე, და შეგვიღდე.

სასათლაოდან რომ გამოვედით, სტიობა მკლავში ჩამაფრინდა, ალბათ იფიქრა ვეტყვოდი, აქ ბუღაში დარჩი, ან იანოვოში წადი-მეთქი.

— შენ ჩვენთან წამოხვალ, სტიობა, ამიერიდან მზვერავთა ოცეულში გრიცხავ.

ბიჭი კიდევ უფრო მომეკრა.

— იცო, სტიობა, მე შენ რაღაც უნდა გაჩვენო.

— რა? — უცებ დაინტერესდა:

ჯიბიდან ნადია მაზნევეს ნაჩუქარი დანა ამოვიღე.

— აი, ნახე!

სტიობამ დანა ჩამომართვა, დახედა, რა თქმა უნდა, მოეწონა, მაგრამ არაფერი უთქვამს, უკანვე მომაწოდა.

— შენი საჩუქარი იყოს. ოღონდ გახსოვდეს, ეს დანა ყველაზე საძულველ მტერს უნდა დაჰკრა.

ბანაკში რომ დავბრუნდით, სტიობა გვერდში მივიწვინე. იგი თივაში ჩაემხო და მალე ჩაეძინა. მე კი დიდხანს, ძალიან დიდხანს ვიწრიალე. თითქმის გამთენიისას დამეხუტა თვალები და, რომ გამომეღვიძა, უკვე დღის პირველი საათი იყო.

უნის წიგნაკში ჩავწერე: „წუხელ გარდაიცვალა გრიგორი ბობოროიო, სამოცდათექვსმეტი წლის მოხუცი. სოფელ ბუღაში მე, ვალოდია კობულაშვილი, ალიოშა ტარანენკომ, სტიობა სენკევიჩმა და ექიმმა პეტრე ტიხონოვმა მეუღლის გვერდით დავმარხეთ ჩვენი ერთგული მეკავშირე. სტიობა სენკევიჩს ნადია მაზნევის მოცემული დანა ვაჩუქე.“

როგორც კი გამოზაფხულდება, ძია გრიგორის საფლავზე არყის ხე უნდა დავრგო.

...გაზაფხულდა. რა ბევრისმთქმელია ეს სიტყვა. გაზაფხულდა, იტყვი და

უცებ თვალწინ აქოჩრილი ტყე, ამწვანებული ველ-მინდვრებზე, მწვანეებულ მდინარეები და ათასი ხევა რომ დაგიდგება, მაგრამ ყოველივე ეს უციოდ ამათი მოგონილია, ვისაც გაზაფხულდება არ უნახავს თვით ტყეში. ვისაც ხის ძირას თუ მიწურში არ გაუტარებია დიდი და ცივი ზამთარი და საკუთარი თვალთ არ უხილავს გაზაფხულის თანდათან შემობრძანება.

არა, გაზაფხული ერთბაშად არ მოდის.

გაზაფხული მხოლოდ მზე არ არის, საღდაც ნაძვის კენწეროდან რომ ჩამოიხედავს მოკრძალებულად.

გაზაფხული არც თოვლის დნობა და არც მდინარეთა ხმაური.

გაზაფხული არც მინდორში იწყება და არც სოფელში, ბუხრისა თუ ლემლის ახლოს.

გაზაფხული ტყეში იწყება.

იგი ნელა, ფეხაკრეფით, შეუმჩნევლად შემოიპარება, ტყეს ზემოდან დახედავს, მაღალი ნაძვის გაჩაჩხულ ტოტებში შემოიჭვრეტს და მიანიც ნაძვები, ეს გოლიათები ყველაზე გვიან გრძნობენ გაზაფხულს.

ნელ-ნელა დნება თოვლი. ჯერ ბილიკები და საურმე გზები დააჩნდება მიწას, მერე არყის ხეები შეარხევენ ნაზამთრ, დამზრალ ტოტებს, თითქოს ახლა მიხვდნენ, რომ მთელი ზამთარი ასე ტიტვლად გაატარეს. არყის ტოტები ჯერ სულ პაწაწინა ბუსუსებივით დაიყრიან კვირტებს ტანზე და მერე ეს კვირტები თვალსა და ხელს შუა იზრდებიან, სუქდებიან და სკდებიან.

ამას უცქერი შენ, ეს ყოველივე შენს თვალწინ, შენი მონაწილეობით ხდება. უცქერი და გესმის კვირტების სკდომა, ფოთოლთა ფეთქვა და ამ კვირტების და ფოთლების სურნელი ერთბაშად კი არა, თანდათან ედება ტყეს და სულს ჯერ არნახული, ჯერ შეუცნობი სიამით ვივსება.

არყის ხეები შეიფოთლებიან თუ არა, მაშინვე რაღაც გამომწვევად ატკრცი-ალებიან, ესაო და შევიმოსეთო, აწი აღარავისი გვრცხევიანო.

ნიჭზე ჯერ კიდევ დევს თოვლი, მაგრამ შენ ისე დააბიჯებ უკვე გალახულ თოვლზე, თითქოს ხნულში მიდიოდნენაქვის კენჭრობებს კი დიდხანს, ძალიან დიდხანს შერჩებათ მიყინული თოვლი და, ქვევიდან რომ ახედავთ გვეგონებათ ნაძვებს თეთრი ყვავილები გამოუსხამთო.

ალბათ ასეა მუდამ, ასე იყო და ასე იქნება, მაგრამ ჩემს სულსა და გონებას შემორჩა ეს დღეები, 1942 წლის გაზაფხულის შემოსვლა ბელორუსიის უსიერ ტყეებში.

უხალისოდ, თითქმის უმოქმედოდ გავიდა პირველი დიდი და ძნელი ზამთარი ოკუპირებულ ბელორუსიაში.

უმოქმედოდ-მეთქი ვამბობ, რადგან ამ დროს ბოგუშევსკის რაიონის ირგვლივ ტყეებში სამი საკმაოდ ძლიერი პარტიზანული რაზმი იდგა და მკაცრი ზამთრის პირობებში გერმანელთა და პოლიციელთა გარნიზონებზე თავდასხმა ჭირდა.

რაზმების საბრძოლო ოპერაციები მხოლოდ მცირე მასშტაბის ჩასატრეხით და ამფეთქებელთა ჭკუფების მოქმედებით განისაზღვრებოდა.

გაზაფხულის მოლოდინში ვიყავით ყველანი. დიდი ხნის ნანატრი დღეებიც წამოგვეპარა და საქმე გავვიჩინა.

მარტის ბოლოს ჩვენი რაზმის ოცეულები რიგრიგობით გადიოდნენ რაპერაციებზე. იყო წარმატებები, იყო დასანანი მსხვერპლიც.

ერთწელ საბრძოლო ოპერაციიდან დაბრუნებულმა ანტონ სუხოლოლსკიმ თან გერმანელი ტყვეები მოიყვანა. ჩვენ ჯერ კიდევ მიწურში ვათევდით ღამეს და, როგორც კი ეს ამბავი შევიტყვეთ, მიწურებიდან ამოვცივდით. მე ტყვეებზე უფრო ანტონისა და სტიოპა სენკევიჩის ნახვა მაინტერესებდა. როცა ოპერაციაზე მიდიოდა, ანტონმა მთხოვა, თახ სტიოპას გავიყოლებო. სოფელ ლენგევიჩს, სადაც ანტონის ოცეულს პოლიციელთა ერთერთ გარნიზონზე უნდა მიეტანა იერიში, სტიოპა კარგად იცნობდა.

მიწურიდან რომ ამოვედი, კარგა

გათენებული იყო. ცოლდა, ანტონის გვერდით სტიოპა დავინახე რამდენიმე გულზე მომეშვა.

მე და ანტონი კრეზიჩინსკის მიწურში ჩავედით.

— აბა, სად არიან შენი გერმანელი ტყვეები? — ჩასვლის უმალ ჰკითხა მეთაურმა ანტონს და ხელი მაგრად ჩამოართვა. სუხოლოლსკის გაეცინა, ფოლადის კბილები გამოაჩინა და მეთაურს მოკლედ მოახსენა საბრძოლო დავალების შესრულება.

...ანტონ სუხოლოლსკის ოცეული იმ ღამით სოფელ ლენგევიჩის მახლობლად ტყეში განლაგდა. ამ სოფელში ომამდე ანტონსაც ბევრჯერ უცეკვია „ბელორუსული პოლკა“ ლენგევიჩელ ქალიშვილებთან. დაზვერვაზე სტიოპა გაგზავნა. სტიოპა სოფელში შეუმჩნევლად შეიპარა, პოლიციელთა სახლი მოათვალღერა, საგულშაგოების განლაგება დაიხსომა და უკანვე დაბრუნდა.

ანტონმა ბიჭებს დავალება დაუზუსტა, ოპერაციის შემდეგ თავშეყრის ადგილი დანიშნა და ოცეულს სოფლისაკენ გაუძღვა. სტიოპა გვერდით მიაბიჯებდა.

ტანკსაწინააღმდეგო თხრილზე რომ გადავიდნენ, სტიოპამ ანტონი შეაჩერა და საგულშაგო დაინახვა. ანტონმა საგულშაგოსკენ ორი მებრძოლი გაგზავნა. მათ მალე ნიშანი მისცეს. გზა თავისუფალი იყო. სახლს, რომელშიც პოლიციელები იდგნენ, ერთბაშად ორივე მხრიდან შეუტყეს. ანტონი დარწმუნებული იყო, რომ პოლიციელები პირველივე იერიშის შემდეგ იარაღს დაპყრიდნენ ან თავს უშველიდნენ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

სროლა რომ ატყდა, პოლიციელები უცებ მოვიდნენ გონს და სროლას სროლითვე უპასუხეს. ვიღაც დაიჭრა, ვიღაც აკვნესდა და ანტონი იძულებული გახდა უკან დაეხია. „შავი სახლის“ (ბიჭები პოლიციელთა სადგომს ეძახდნენ) აღება სხვა გზით უნდა ეცადათ.

„შავი სახლის“ ეზოში დიდი ნაძვის ხე იდგა. თუ რომელიმე პარტიზანი ნაძვზე ასვლას მოახერხებდა, შეეძლო

ყუმბარა ზევიდან ესროლა და სახლი აფეთქებინა, მაგრამ ეს მეტად საჩინკო იყო და ანტონმა სასიკვდილოდ ვერცერთი მებრძოლი ვერ გაიმეტა. ამ ყოყმანში სუბოდოლსკის წინ სტიოპა სენკევიჩი გაიგვიმა და სთხოვა ნება და მრთე ვიმოქმედო. დრო კი მიდიოდა და საქმე უფრო და უფრო რთულდებოდა.

ლენინევიჩიდან 4-5 კილომეტრის მანძილზე გერმანელთა გარნიზონი იდგა. შესაძლო იყო პოლიციელებს გერმანელებიც მიშველებოდნენ და მაშინ ანტონს გაქცევა თუ უშველიდა. ისეთი ამაყი, ჯიუტი და თავმომწონე გულის პატრონი როგორც ანტონი იყო, ტყეში ხელმოცარული ვერ დაბრუნდებოდა.

სტიოპას ხელი მოჰხვია, ორი ხელყუმბარა მისცა, თან აუხსნა, მათული როგორ ამოედრო, მაგრამ ბიჭმა სხარტად უბასუხა, ვიცო, და წასასვლელად გაიწია.

— ავტომატსაც ხმარობ?

— დიახ.

ანტონმა თავისი ავტომატი ბიქს კისერზე დაჰკიდა და ოდნავ უბიძგა. სტიოპა სენკევიჩი სიბნელეში გაუჩინარდა. ახლა სუბოდოლსკიმ სამი მებრძოლი „შავი სახლის“ მეორე მხარეს გაგზავნა და უბრძანა, სროლა მანამ არ შეწყვიტოთ, სანამ ყუმბარის აფეთქების ხმას არ გაიგონებთო. ყოველნაირად უნდა ეცადათ, პოლიციელთა ყურადღება მიექციათ.

სტიოპამ შორი გზით მოვლა ამჯობინა. მინდორ-მინდორ იარა და „შავი სახლის“ ბოსტანში ჩაძვრა. ხისკენ გახიზდა. ერთი ყუმბარა ხელში ეჭირა, მეორე ჯიბეში ედო. ავტომატით ხოხვა უჭირდა და ძლივსძლივობით მიბობლავდა. მისი გონება სწრაფად და დაძაბულად მუშაობდა. ხესთან როგორმე მიაღწევს, მაგრამ ხეზე ასე დატვირთული ასეა აშინებდა.

ავტომატიც, ახლა ფიქრისა და განსჯის დრო აღარ არის. ყუმბარა ჯიბეში ჩაიღო და ხეს ორივე ხელებით მიებლაუბ. ორიოდ მეტრზე მსხვილი ტო-

ტი ჩანდა, იქამდე თუ მივალვით, კლარაფერი უჭირს, სულს მოთქვამს, ფხვს მოიკიდებს და უფრო მაღლა ავა.

მიცოცავს, ხელებსა და ფეხებს იშველიებს. ფრჩხილებიდან სისხლი სდის, მაგრამ მაინც მაღლა, სულ მაღლა მიიწევს.

ტოტს მარცხენა ხელით რომ წაეტანა, ოდნავ მოეშვა და კინაღამ დაცურდა, რაღაც სასწაულად შეიკავა თავი, ტანი აზიდა და ტოტზე ბელურასავით შემოჯდა. სულ ოფლად იყო გაღვრილი, სუნთქვაც უჭირდა, მაგრამ შეყოვნების უფლება არა ჰქონდა და ახლა უფრო ადვილად ავიდა მაღლა. ორ გაჩაჩხულ ტოტზე მოეწყო. ყუმბარები ამოიღო, ერთი გაამზადა, სახლს გახედა. მათული სწრაფად ააგლიჯა და გაისროლა, მეორეც მიაყოლა და ავტომატის ჯერიც მიუშვა.

„შავი სახლი“ დადუმდა.

სუბოდოლსკი სახლში შეიჭრა. სამოთახიანი სახლი იყო. ერთ-ერთ ოთახში დახოცილი პოლიციელები ეყარნენ. ბიჭებმა იარაღი შეაგროვეს და ანტონის ბრძანებით სახლიდან გავიდნენ. ამ დროს ანტონთან სტიოპა მიიჭრა.

— შეხედეთ, იმ ოთახში ვილაც არის.

— ანტონი სულ ბოლო ოთახისკენ შებრუნდა. ერთი მებრძოლი კარებს აწვებოდა, მის შემტვრევას ცდილობდა. ანტონმა შეაჩერა.

— გააღეთ, სიცოცხლეს შეგინარჩუნებთ. — ბრძანა მან.

არავითარი ხმა, არავითარი ხმაური.

— სახლს ალყა შემოარტყით, არავინ წაგვიდეთ. — დაიყვირა ანტონმა და კარს მხარი ატაკა. კარი გაიღო. ანტონი გვერდზე გადაგა. ოთახში ლამფა ბეუტავდა. საწოლზე ვილაც მოხუცი გაუხდელად იწვა.

— ადექით!

მოხუცი შეინძრა, მაგრამ არ ადგა. მშვენიერი კოსტუმი ეცვა, სამი ღილით შებნეული ფილტვიც უჩანდა და ანტონი მიხვდა, რომ საქმე უბრალო პირთან არ ჰქონდა. მოხუცს წვერი ქალაქის ყაიდაზე, მოკლედ შეეკრიჭა,



ესეც მის სადაურობაზე მეტყველებდა.

— ადექით, სწრაფად! — შეუყვარა ანტონმა.

მოხუცი წამოდგა, ეილეტის ჯიბიდან პენსნე ამოიღო, აჯანკალებული ხელებით თვალბზე გაიკეთა და ანტონს წვრილი, ეშმაკური თვალებით შეხედა.

— გაჩხრიკეთ!

მოხუცს პიჯაკის ჯიბიდან რევოლვერი ამოუღეს.

— ვინა ხართ, აქ საიდან გაჩნდით?

— ჰკითხა ანტონმა.

მოხუცმა არ უპასუხა.

სტიოპა დაიხარა, საწოლქვეშ შეიხედა.

— აქ ვიღაც არის, აბა, გამოდი, გამოდი!

საწოლქვეშ ახალგაზრდა კაცი გატრუნულიყო. გამოათრეის და გაჩხრიკეს, იარაღი მასაც აღმოაჩნდა. იარაღს გარდა ორთავეს, მოხუცსაც და ახალგაზრდასაც პოლონურ და რუსულ ენებზე შეესებულები საბუთები ჰქონდათ.

მემამულე თევდორე ევსტაფის ძე კრუპენსკი და მისი ვაჟი იგორ თევდორესძე კრუპენსკი იდგნენ სუზოდოლსკის წინ.

...ხელებშეკრული ტყვეები ხის ძირას იწვნენ. მათ სტეფანე სენკევიჩი ყარაულობდა ავტომატით, თან ოხუნჯობდა.

— ჰეი, პან, რა ეშმაკი მოგათრევდათ აქერ? იანოვოს სპირტი მოგინდათ? სპირტი კარგი რამეა, არც ჩვენს ბიჭებს აწყენდათ, მაგრამ სადღაა, ფაშისტებმა ჩასანსლეს. — დაგვინახა თუ არა, სტიოპა მხედრულად გაიჭიმა და მეთაურს უპატაკა:

— ამხანაგო მეთაურო, პან მემამულეებს არც ყურში ესმით და არც ლაპარაკი იციან.

— წაღი, ამხანაგო სენკევიჩ, დაისვენე. — გაუცინა სტიოპას კრეზიენსკიმ.

სუზოდოლსკიმ ტყვეებს ხელები გაუხსნა.

— გვარი? — ჰკითხა პოხუცს.

მოხუცი დუმდა.

— გვარი? — ხმას აუწია ივან ივანიჩმა.

— კრუპენსკი, თევდორე ევსტაფის ძე კრუპენსკი. — წვრილი, ჭალური ხმით დაიგნავლა მოხუცმა.

— ვინა ხართ, აქ საიდან გაჩნდით?

მოხუცმა შეილს გადახედა, თითქოს ეკითხებოდა, ყველაფერი ვთქვა თუ არაო, მაგრამ ეტყობა შვილის სახეზე ვერაფერი ამოიკითხა და დაიწყო:

— ეს სოფლები ჩემია. ლედნევიჩი, ზამესტეჩიე, იანოვო მე მეკუთვნოდა, რევოლუციის დროს დამატოვებინეს.

— ეს ადგილები შენი არასოდეს ყოფილა, ბებერო. იგი ხალხს, ბელორუს ხალხს ეკუთვნოდა მუდამ. — კრეზიენსკის სიბრაზისაგან ტუჩები უცახცახებდა. ასე აშლილი და თავშეუჯავებელი მეთაური ჯერ არავის ენახა. ხელები ისე უკანკალებდა, თუთუნი ძლივს შეახვია. იმ წუთში მომეწონა და შემეცოდა კიდეც ივან ივანიჩი. ასანთს გავკარი, მივაწოდე. მოუციდა, ღრმად ჩაისუნთქა თუთუნის კვამლი და ისევე მოხუცს მიუბრუნდა.

— ეს შენი შვილია?

— ჩემი შვილია, აქ დაიბადა, ვარშავაში იზრდებოდა, იგი არაფერ შუაშია, მან არაფერი არ იცის.

— რატომ ჩამოხვედით?

— გერმანელებმა გვიბრძანეს, წადით, თქვენი იდგილ-მამულეები ჩაიბარეთო.

კრეზიენსკიმ ანტონს უბრძანა, ტყვეებს მიხედეთო, ტყვეები ანტონის ბიჭებმა წაიყვანეს.

— ერთი რამ მოვიფიქრეთ, — წამოიწყო გზაში კრეზიენსკიმ— მაგრამ ადამ კონსტანტინეს ძის ნებადაურთველად ვერ გავბედავ... მე მგონია ურიგო არ იქნება თუ გარეწრებს ხალხის წინაშე გავასამართლებთ. დაე, ამ ეგრეთწოდებულ „მემამულეებს“ თვით ხალხმა გამოუტანოს განაჩენი. მეთაურის აზრი მოგვეწონა, მაგრამ ჩვენს თანხმობას, რა მნიშვნელობა ჰქონდა. ამხანაგ სტე-

ლმასს იმ დღეს მოველოდით, მას უნდა გადაეწყვიტა, ღირდა თუ არა, „მემამულეთა“ გასამართლება.

ადამ სტელმახი ნაშუადღევს გამოჩნდა. იგი თითქმის ორი კვირაა არ გვენახა და მივეგებეთ. სამეთაურო მიწურში სტელმახმა ჩემთან ერთად ფედია ტაჩენკოც იხმო. იცოდა, რომ ფედია წოდებით საბელმწიფო უშიშროების ლეიტენანტი იყო და სასამართლოს პროცედურა ჩვენზე უკეთ უნდა სცოდნოდა.

მიწურში სტელმახმა პირდაპირ უთხრა ფედიას:

— ამხანაგო ტაჩენკო, ერთი საინტერესო პროცესი უნდა მოამზადო.

— ბრძანეთ. — წამოიმართა ფედია, მაგრამ სტელმახმა ანიშნა დაჯექით. თავად ფეხზე იდგა, მიწურში დაალაგებდა.

— საქმე ეხება ორ ტიპს (ეს სიტყვა განსაკუთრებით უყვარდა) — „მემამულეებს“, როგორც თურმე ისინი უწოდებენ თავიანთ თავს. რევოლუციის დროს კულამოძებულნი გაქცეულან აქედან, ახლა აღძვრით სურვილი კვლავ დაიბრუნონ ადგილ-მამულები. მივართმევთ. სუბლოლსკის უმარჯვნივ, ორივე მამა-შვილი დაუტყვევებია. მიდი ნახე, დაკითხე, თუ რაიმე დაგვირდეს, ივან ივანიჩს მოეთათბირე. ალბათ სოფელშიც მოგიწევს ჩასვლა — საშაიც შენთან იქნება ნუ დაყოვნებთ. ნურც გააზვიადებთ. ორ-სამ დღეში უნდა შედგეს პროცესი და აბა თქვენ იცით.

— გასაგებია, ნება მომეცით წავიდე. — ფედია მადლობდებოდა.

— წადით.

მე და ფედია მიწურიდან ამოვედით. მე მას ვუამბე ანტონის მონაყოლი და ჩემი აზრიც გამოვთქვი.

მესამე დღეს ტაჩენკომ და მე სტელმახსა და კრუზიჩინკის დავალების შესრულება მოვახსენეთ. ფედიას გადაწყვეტილი ჰქონდა სასამართლო სოფელ ზამესტეჩიეში მოეწყო. ეს სოფელი ზედ ტყის პირას იყო გაშენებული და პარტიზანთა შიშით სოფელში

პოლიციელები არ იდგნენ. ჩვენი სოფელში მოსვლაც ადვილი იყო და პროცესის დროს რაიმე ვართულების შემთხვევაში გაცლა არ გავვიძინებდებოდა.

„მემამულეთა“ გასამართლება აპრილის ერთ მზიან დღეს დაინიშნა. გასამართლებაში მთელი ჩვენი რაზმი იღებდა მონაწილეობას.

ბანაქიდან ნაშუალამევს გავედით და ზამესტეჩიეს მახლობლად ტყეში განვლაგდით. ტყვეები შიშით შესცქეროდნენ ერთმანეთს, პოლონურ ენაზე პუტუნებდნენ. ვერასვლით ვერ მიმხვდარიყვნენ თუ რას ვუპირებდით. მოხუცი ცოტა მოტყუა და ფედიას შეკითხვებზე ამომწურავად და რაღაც მლიქვნელურად უპასუხებდა, მაგრამ შეილს სიტყვა ვერ დავაცდენინეთ, მას თავი ახლაც გამომწვევად ექირა.

ფედიას გასაოცარი სიზუსტით ჰქონდა გეგმა შედგენილი და ჩვენი ყველანი ამ გეგმის მიხედვით ვმოქმედებდით.

პროცესში მონაწილეობა მხოლოდ მხვერავთა ოცეულს უნდა მიეღო. დანარჩენი ორი ოცეული სოფელს დაიცავდა.

ზამესტეჩიეს ერთი მხრიდან პატარა მდინარე ჩაუდიოდა. მდინარის ნაპირას კარგა მოზრდილი მინდორი იყო. მინდროში ერთადერთი არყის ხე იდგა. სწორედ ამ ხის ძირში შედგა სასამართლო.

ვილაცას დანჯღრეული მაგიდა და სამი ტაბურეტი მოეტანა. მაგიდაზე უკვე მთლად გათხუზული წითელი ქსოვილი გადაეფარებინათ. ზედ სამენუნე, კალმისტარი და რვეული იდო.

არყის ხესთან მთელი სოფელი მოვიდა. ასამდე კაცი და ქალი იქნებოდა, მეტწილად — მოხუცები და ქალები. ბავშვები პირდაპირ ახლად წამოზრდილ ბალახზე მოკალათებულებიყვნენ, ორი ბიჭი არყის ხეზეც ამძვრალიყო.

— სასამართლო მოდის! — დაიძახა ტარანენკომ.

ხალხი შეინძრა, ბავშვებს თავებში წაუთაქეს, ფეხზე წამოაგდეს. ფედია

ტკაჩენკო, სტელმახისა და კრეზიენსკის თანხლებით, მაგიდას მიუახლოვდა, დასხდნენ.

— შემოიყვანეთ ტყეები! — ბრძანა „მოსამართლემ“. სანამ ტყეებს მოიყვანდნენ, ხალხში ჩოჩქოლი ატყდა. ადამ სტელმახის დანახვა ისე გაუზარდათ, თავს ველარ იკავებდნენ, მაგიდასთან მიდიოდნენ, ხელს ართმევდნენ. ადამ კონსტანტინეს ძე ყველას გულთბილად ესალმებოდა, მოიკითხავდა.

კრუტენსკები ვალოდია კორპუშევმა და მიშა ლიზუნოვმა შემოიყვანეს და აქეთ-იქიდან ამოუდგნენ.

— ამხანაგებო! — მიმართა ხალხს ფედიამ, — ჩვენი პარტიზანული რაზმი დღეს აქ, ამ თქვენს მშვენიერ სოფელ ზამესტეჩიეში აწყობს ორი დამნაშაის გასამართლებას. ამ ვაჟბატონებს თუ დაუფურცებთ, თქვენი და კიდევ ირგვლივ მდებარე სხვა სოფლები მათი ყოფილა. გერმანელებს უბრძანებიათ, წადით თქვენი სიმდიდრე ჩაიბარეთო. იფარფაშეთ და ხალხს სისხლი სწოვეთო. და აი, ჩამოვიდნენ...

— ერთი წუთით, — გაისმა ამ დროს ხალხში. ფედია გაჩუმდა, დაელოდა. ხალხს ჯოხზე დაბჯენილი დრმა მოხუცი გამოეყო, მაგიდასთან მივიდა, ჯერ ადამ სტელმახს დაუკრა თავი, მერე ტკაჩენკოსა და კრეზიენსკის და მხოლოდ ამის შემდეგ მიუხლოვდა მამაშვილს. ერთხანს უცქირა მათ და ისევ სტელმახს მიუბრუნდა.

— მე ვიცნობ ამათ, ადრეც ვიცნობდი, ვიცი რა ძალდატანებრივ არიან. ერთი კვირის წინათ გერმანელების თანხლებით მოვიდნენ და გამოგვიცხადეს, აიყარეთ და სხვაგან გადასახლდითო. ხომ სწორედ ვამბობ, ხალხო?

— სწორია, სწორია! — გაისმა ხალხში.

— ხმა ავიმალეთ. — განაგრძო მოხუცმა. — ბატონებს დიდხანია გადავეჩვიეთ და ჩვენი სიტყვა ვაკადრეთ

— არსადაც არ წავალთ. ამან, — ჯოხი ახალგაზრდა კრუტენსკისკენ გაიშვირა, — ზურგი მათრახით აგვიჭრელა. სისხლის მწოველი და მათრახის მცემელი

გვაკლია? — ახლა თქვენ იცოდეთ და ამათ. — ისევ დაუკრა თავი სტელმახს და ჯოხის კაკუნით ხალხს შეგროვებდა.

ტკაჩენკო ტყეებს მიუბრუნდა. უნდოდა რაღაც ეკითხა, ისე, როგორც ხდება, როგორც წესია. როგორც თავისივე შედგენილი გეგმა უკარნახებდა, მაგრამ ხალხმა სიტყვის თქმა აღარ აცალა.

იგორ კრუტენსკის თვალები დაექაჩა, კისრის ძარღვები დაბეროდა, მთელ სახეზე ცეცხლი ეკიდა. იგი ზიზლით, დაუფარავი ზიზლით უცქერდა ხალხს, „მოსამართლებს“. უცებ მთელი მით დაიღრიალა:

— თქვენ ყველანი დაიხვრიტებით. გერმანიის უძლეველი არმია ჩვენს სისხლს არ შეგარჩენთ, მიმიფურთხებია თქვენთვის.

ხალხი შეიშალა: ჯოხებით, ქვებით, მუშტებით მოიწევდნენ წინ, უნდოდათ იქვე ჩაეჭოლათ მამა-შვილი. ფედიამ ველარაფერი გააწყო.

განაჩენი თავისთავად იქნა გამოტანილი.

...ლენდევინელ პოლიციელთა „შავს სახლის“ განადგურებამ და ზამესტეჩიეში ყოფილი მემამულეების გასამართლებამ თავზარი დასცა სხვა სოფლებში მოკალათებულ პოლიციელებს, თვით გერმანელებსაც. ბოგუშევსკიდან გვაცნობეს, კომენდანტმა ვიტბესკიდან დამსჯელი რაზმი გამოითხოვა და ფრთხილად იყავითო. ესესელთა ასეული მართლაც გამოჩნდა, მაგრამ ისინი ტყეს ახლოსაც არ გაჰკარებიათ, ზოგიერთ სოფელში შევიდნენ, ვილაც საეჭვონი დახვრიტეს, იმათ რამდენიმე პოლიციელიც მიაყოლეს და უკანვე გაბრუნდნენ.

ჩვენ ზამესტეჩიეში მცხოვრებნი გავფრთხილეთ, გვეგონა ესესელები, პირველ ყოვლისა, ამ სოფელს შეესეოდნენ. როგორც ვთქვით, ზამესტეჩიე ზედ ტყის პირას იყო გაშენებული და გერმანელებმა შიგ შესვლა ვერ გაბედეს, შორიდან აუტყებეს სროლა სოფელს.

პოლიციელები ერთხანს სულ მიიმა-

ლენს, ხალხმა შევებით ამოისუნთქა, ახლა ეს ვაეზატონები ჩვეული თავაშვებულობით ველარ აწიოკებდნენ ხალხს. პოლიციამ გერმანელთა თვალშიც დაჰქარგა ფასი. თუმცა გერმანელებს პოლიციელთა მარცხი და უმწეობა, რა თქმა უნდა, ხელს არ აძლევდათ. ფაშისტები ვალდებულნი იყვნენ მათთვის მხარი დაეჭირათ, გაემაგრებინათ, ხალხის დასანახავად წახალისებინათ, მათი ავტორიტეტი აეწიათ. ეს არც ისე ადვილი იყო, რადგან წარმატებებით შეგულიანებული პარტიზანები დაუნდობლად ელტდნენ ამ ნაძირალებს, პირდაპირ დღისით-მზისით ესხმოდნენ თავს პოლიციელთა მცირე გარნიზონებს, ან ხვრეტდნენ ან თავიანთი სახლების ბოძებზე ჰკიდებდნენ.

ჩვენი ავტორიტეტი კი გაიზარდა, ამალდა. ხალხს მფარველი და იმედი გაუჩნდა. დაიწყო ხალხის მასობრივი დენა პარტიზანულ რაზმებისაკენ. მოდიოდნენ ახალგაზრდები, ხანშიშესულები, მოხუცებიც კი. ზოგს შაშხანა მოჰქონდა, ზოგს რევოლვერი, ზოგს სადღაც ტყვიამფრქვევი ეშოვნა და თან მოათრევდა. უმეტესობა მაინც უიარაღოდ მოდიოდა.

აღამ სტელმახი ხან ჩვენს რაზმში იყო, ხან სოფიევკოს ტყეებში დაბანაკებულ რაზმებთან. მოვიდოდა, შეგვეკრებდა, ჯერ ფრონტის ამბებს გაგვცნობდა, ერთგვარად დაგვიამბებდა და მერე ჩვენს შინაურ საქმეებში ჩაიხედავდა.

ხალხის ყოველი მოძალეებით აღამ სტელმახი დიდად ვახარებული იყო, მაგრამ მაინც ფრთხილობდა და ჩვენც გვაფრთხილებდა, რაზმში ახლად მოსულთა მთელი სიმკაცრით შემოწმებას მოითხოვდა.

სანდახან, როცა ჩვენთან იყო, დაკითხვაში პირადად იღებდა მონაწილეობას.

როცა აღამ სტელმახი სოფიევკოს ტყეებისაკენ გასწევდა, ახალმოსულთა მიღებას ვასილ ბოიკო ხელმძღვანელობდა.

პირველ ხანებში ყოველ ახალს მხო-

ლოდ თვითონ ამოწმებდა, მერე და მერე გაუჭირდა და ჯერ კარგხანისკი მოიშველია, მერე მე და ტყვიანებს ბოლოს ოცეულის მეთაურებს ანტონ სულხოდოლსკის, ენია დრონინსა და ეორა გრებელნიკოვსაც დართო ნება კითხვარები თვითონ შეადგინა და გვაიძულა დაგვეზებირებინა. პირველ დღეებში ზუსტად ამ კითხვარების მიხედვით ვახდენდით დაკითხვას, მაგრამ მერე ეს კითხვები მიგვაფიწყდა და საკუთარი ჰკუთითა და გამჭირიანობით ვარჩევდით ახალ მებრძოლებს რაზმისათვის.

ბანაკიდან ორიოდ კილომეტრში კარვები დავდგით. ჩვენს ბიჭებს ამ საქმეში გვარიანი გამოცდილება ჰქონდათ და როცა ბოიკომ და კრეზიენსკიმ ახლადდადგმული კარვები დაათვალიერეს, გაოცებულნი დარჩნენ. მე არ ვამკვირვებია, რომ ყველაზე დიდი მოწონება ალიოშა ტარანეკოსა და ვასოს მიერ დადგმულ კარავს ხვდა წილად. იმ საღამოს ვასილ ბოიკომ დაწვრილებით მაამბობინა ჩემი პირველი რაზმის ამბავი, სათითაოდ დამახასიათებინა ჩემი მეგობრები და მეტად კმაყოფილი დარჩა. ალბათ შენ პარტიზანულ მოძრაობაში ერთ-ერთი პირველი მერცხალი ხარო, მითხრა.

ტყის პირას ჩვენი პირველი საგუშაგო ისე მოხერხებულად იყო მოწყობილი, რომ ზოგჯერ ჩვენ თვითონ გვიჭირდა მისი აღმოჩენა. გუშაგი ერთმანეთზე გადახლართული ორი დიდი ნაძვიტოტებზე იჭდა. ნაძვები ტყუბად შეზრდილიყო. ერთი ნაძვიდან მეორეზე გადასვლა ძნელი არ იყო.

ცოტა მოშორებით მეორე საგუშაგო იყო; ეს საგუშაგო დაბალ ბუჩქნარში მოვწყვეთ. აქ კი ტყვიამფრქვევი იდგა და გუშაგიც კონტროლს კარგა მოზრდილ ტერიტორიას უწევდა. თუ მტერი, ორივე საგუშაგოს გასცდებოდა, გრძელსანგარს წააწყდებოდა. აქ პარტიზანთა ათეული დღე-ღამის განმავლობაში იორიგებოდა.

მართალია, ჯერჯერობით მტერი არა

ჩანდა, ბანაკზე აკედასხმა აქამდე არავის გაუბედავს, მაგრამ სიფრთხილეს წინ რა ედგა? ადვილად შესაძლებელი იყო ახალმოსულთა შორის გამკეში და არაკეცი აღმოჩენილიყო, რაზმის რაოდენობა, საკუთვითა განლაგება და შეიარაღება დაეხსომებინა და მტრისათვის გადაეცა. ხალხის ასეთი დენადობის დროს რაზმიდან გაპარვა მოღალატეს არ გაუქირდებოდა, ამიტომაც ასე სავანგებოდ ვამოწმებდით ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომელთა რიცხვი დღითიდღე მატულობდა.

რომელიმე ახალგაზრდას ან ხანშიშესულს წინ დავისგამდი და რატომღაც ჭერ თვალბში ჩაეხედავდი. ისე შევეჩვიე ამ შემოწმებას, ისე მჯეროდა საკუთარი გრძნობისა, პირველი საუბრისა და შთაბეჭდილებისა, რომ ჩემ მიერ შემოწმებული რაზმეულის კაიკაცობაში ექვის ნატამალიც კი არ შეპარებოდა.

პირველ კითხვას მივცემდი, პასუხს მოვისმენდი, თვალსა და გულში ჩაეხედავდი, მხარზე ხელს დაკვრავდი და უცებ ვავიწინაურებდი.

ყველაზე მეტი „საექვონი“ ფედია ტაჩენკომ „აღმოაჩინა“. იგი პროფესიული სიზუსტით ახდენდა „დაკითხვას“. გაშიწურება კი არა და, ლომილსაც არ გაიმეტებდა მათთვის, აუცილებლად რაღაც საექვოს შენიშნავდა და უმალ ბოიკოს ან კრეზიენისკის აცნობებდა. ფედიას ექვების გაფანტვა-გაქარწყლება მეთაურებს უხდებოდათ. ამ დღეებში ლეონ ცუბრანიც ჩვენთან იყო და გვეწვებოდა. ლეონი თითქმის ყოველ ახალმოსულს იცნობდა, მაგრამ, ტაჩენკოს აზრით ახლა ოდესღაც ნაცნობობა და კაი სალაში არ კმაროდა.

ოთხა, ოკუპაციამ, სისხლმა და შიშინობამ არაერთს აურია გონება ხან აქეთ მიაწყდა, ხან იქა და, ვინ იცის, საით გადასძლია გულმა.

ასე იყო თუ ისე, რაზმი ახალი მებრძოლებით ივსებოდა. ოცეულები ოცეულებს დაემსგავსა. ანტონ სოხუდოლსკის ოცეულში უკვე ორმოცდახუთი პარტიზანი ირიცხებოდა. ანტონი სულ

წარბშეკრული დადიოდა, სულ საქმით იყო გართული. ახალ მებრძოლებს ვერა რჩეზებდა, ზოგს სროლასა და იარაღის ხმარებასთან ერთად მწყობრში დგომას და მეთაურისათვის პატაკის მიცემასაც ასწავლიდა. ზოგიერთს, ეს ძალიან მოსწონდა. ზოგნი კი უკვე ბულუნებდნენ და აშკარად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას. ამ ამბავმა ბოიკომდე მიადღწია. ბოიკომ მეგობრული რჩევა-დარიგება მისცა ანტონს, რის შემდეგაც სუხოლოლსკი ახალმოსულთა მიმართ ცოტა უფრო ლმობიერი გახდა.

ერთხელ, ჩვეულებრივ, ვიჭეკი ნაძვის ძირას და ალიოშა ტარანეკოს ველოდი. მას ჩემთან „დაკითხვზე“ ახალმოსულთა ჯგუფი უნდა მოეყვანა. ალიოშა ვაფრთხილებული მყავდა, ჩემთვის შედარებით უფრო ახალგაზრდები შეერჩია. მეც ვაპირებდი მზვერავთა ოცეულის შევსებას და კოლია ბორჩის დახმარებით მიწოდდა ხუთი-ექვსი საიმედო ახალგაზრდა შემემატებინა. ილიოშამ ორი ახალგაზრდა წარმოამიდგინა, ორივე მაღალი, წარმოსადეგი ბიჭები იყვნენ. ერთი განზე გადგა, მეორე ჩემს წინ დაესო და ხელი ამოიღო. გამეცინა, უქულოდ ხელის აღება არ შეიძლება-მეთქი, ვუთხარი. ყმაწვილს რამდენიმე შეკითხვა მივეცი და ალიოშასთან ერთად ჩვენს ოცეულში გავისტუმრე. ერთი სული მქონდა, სანამ იმ მეორე ახალგაზრდას დაველაპარაკებოდი. როგორც კი დავინახე, ვიცანი, ყოველ შემთხვევაში, მე იგი სადღაც მყავდა ნახულა.

— აბა, აქეთ მოიწი!

მოვიდა, ხელი გამომიწოდა, ჩამოვართვი.

— მეცნობი, მაგრამ საიდან — არ ვიცი. ვერ მოვიგონე.

— ბუღაში გნახე, ერმაკის ეზოში.

— ოო, მახსოვს, გვარი კი დამავიწყდა.

— ფედია კომლევი ვარ.

— შენი მაღლობელი ვარ, ფედია, მაშინ რომ გამაფრთხილე, კურეიშინოს პოლიცია „აყვანას“ გიბირებსო, მერე ჩემი საქმე ისე წავიდა, პოლიცია

თვითონ მიცავდა, მაგრამ, თუ ძმა ხარ. მითხარი, შენ საიდან გაიგე მე ვინ რას მიპირებდა?

— იგნატ სუხოლოლსკიმ მითხრა, ხომ იცნობ?

— იგნატ პლატონის როგორ არ ვიცნობ, ჩემი მეგობრის მამაა, მისგან დავალეხულიყ ვარ.

— იმან გამაფრთხილა, არ ვიცი საიდან გაიგო, თუ რას გიპირებდათ პოლიცია. ერთ საღამოს დამიძახა და მითხრა. ბუდაში ჩადი, იქ ერთი კავკასიელი ცხოვრობს და გადაეცი პოლიციას ერიდოსო.

— შერე, რატომ მაშინვე არ მიხსენე იგნატ პლატონიჩი?

ფედიამ მხრები აიჩეჩა.

— ჯარში იყავი?

— კი, უმცროსი მეთაური ვარ, ათეული მებარა.

— იბრძოლე?

— თუ ამას ბრძოლა ჰქვია!

— ომის დაწყებისას სად იდგა თქვენი ნაწილი?

— ბარანოვიჩში.

— ბიჭოს, მეც იქ ახლო ვიყავი!

დაინტერესდა, თუ შეიძლება ჩამოეჭდებოდა, მითხრა, პასუხს არ დაელოდა, ნაძვის მსხვილ ძირზე დაჯდა.

— მეც დასავლეთ ბელორუსიიდან დავიწყე და აგერ აქამდე მოვალწიე.

— გაიმბო რა გადამხდა?

— არ გინდა, ისედაც ვიცი. შენ, ჩემო ფედია თუ არ იუკადრისებ, ჩემს ოცეულში — მზეერავთა ოცეულში ჩაგრიცხავ, ერთჯერ ვიბრძოლებო და ვიშეგობრებო.

— თქვენი ნებაა.

— იქნებ ანტონ სუხოლოლსკის ოცეულში გირჩევნია.

— სულერთია. რაკი ითქვა, მზეერავი ვიქნები. ცოტაოდენი გამოცდილებაც მაქვს. — ჯიბიდან პატარა კოლოფი ამოიღო. თუთუნი გაზეთის ნახევზე დაყარა და მეც მომაწოდა. შინ მოყვანილი თუთუნიაო, ცოტა მაგარია და დაგახველებსო. ამაზე უარესიც მინახავს-მეთქი.

სიაშოვნებით გაეაბოლე.

ფედია კომლევო უცებ შეიყვარეს ბიჭებმა. მართლაც კარგად ჩაქვდა. უსაშველოდ ღონიერად დაუწყებდა თიხიურად ძლიერ ადამიანებს სჩვევით, — თვინიერი.

ადამ სტელმახი რაზმიდან-რაზმში გადადიოდა, ხან ლეონ ცურანი ახლდა, ხან სტოპა სენკევიჩის წაიყვანდა. ერთხელ შევხვდი:

— ადამ კონსტანტინოვიჩ, ასე დაუცველად ნუ დადიხართ, ახლა ხომ საკმოდ ბევრნი ვართ, როცა ტყიდან-ტყეში მობრძანდებით, შეგიძლიათ მთელი ათეული იახლოთ. ჩემი სწავლება თქვენ არ გქირდებათ, მაგრამ არც ასე ვათამამება ვარგა. თქვენ ძალიან გვექირდებით, ძალიან. გაიღიმა და მითხრა:

— ჩვენი ხალხი სანდოა და კეთილი. ბრძოლაც შეუძლიათ და მტრისა და მოყვრის გარჩევაც. შენ ჯერ კიდევ კარგად არ იცნობ ამ ხალხს, მალე ჩემს სიტყვას შენ თვითონ დამიდასტურებ.

იმ საღამოს მარტო წავიდა სოფიევკოს ტყეში და დიდხანს აღარ გამოჩენილა.

გუშინ ადამ სტელმახი კვლავ გვეწვია ლეონ ცურანთან ერთად.

სამეთაურო კარავში რომ შემოვიდნენ, კრეზიენისკის გარდა, იქ მე, ანტონი და ენეი დრონიჩი ვიყავით.

ადამ კონსტანტინეს ძეს თვალება უბრწყინავდა, რაღაც განსაკუთრებული ილტაცებით ჩამოგვართვა ხელი. სხვებიც მოიკითხა და ჩამოჯდა.

მე ჩვენი ხელმძღვანელი ხუთი თითივით მყავდა შესწავლილი. შემეძლო ერთი შეხედვით ამომეცნო მისი განწყობილება. უშუალო და პირდაპირი კაცი იყო და. როგორც საერთოდ ასეთ ადამიანებს სჩვევით, ცუდსა თუ კარგს სწორედ თვალებით ამჟღავნებდა. ლეონიც იღიმებოდა, მაგრამ თქმით არცერთი არაფერს არ ამბობდა.

შინაური ამბები კრეზიენისკიმ მოახსენა და მხოლოდ ამის შემდეგ გადმოგვცა ფრონტზე შექმნილი მდგომარეობა.

ალექსეი ველიკანოვიც სოფიევკოს

ტყეებში ყოფილა. ძალიან დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც მას შეგვხვდა და ახლა მისი გვარის ხსენებამ პატარა ბიჭვით გამახარა.

იმის შემდეგ, რაც ფაშისტები მოსკოვიდან ასობით კილომეტრზე განდევნეს, ფრონტი უფრო სტაბილური გახდა. ჩვენც ვული საგულეს ჩაგვიდგარა. მოსკოვს საფრთხე აღარ ემუქრებოდა, გვეგონა ფრონტის საქმე სულ წარმატებით წავიდოდა, მაგრამ ასე ჩვენს სურვილზე არც ფაშისტები მოქმედებდნენ და არც ჩვენები.

ფრონტის ამბების შესახებ ჩვენ-ჩვენი მოსაზრებები გამოვთქვით. ადამ სტელმახმა დასკვნები გამოიტანა და ბოლოს რაღაც ზარზეიმურად თქვა:

— ხვალ დილით რაზმი ფიცს მიიღებს. ფიცის მიღება საზეიმოდ, სამაზსოვროდ უნდა მოხდეს. ივან ივანიჩ! — მიუბრუნდა კრუჩიენსკის. — ზომ არ შეგიძლიათ ხვალისათვის ცოტა უკეთესი სადღი მოუმზადოთ ბიჭებს?

— რატომაც არა, შეიძლება. ცოტათი ზორცი გვაქვს, კარტოფილიც და სხვა რამესაც გავაჩენთ.

— ურიგო არ იქნება, თუ სახვალოდ ბიჭები ცოტ-ცოტა გადახუხავენ. ვაჭვთ რაზე?

— ეჭიმს უნდა ვთხოვოთ, ამას წინათ დორონინის ბიჭებმა საიდანღაც ათ-ლიტრიანი ბალონით სპირტი მოიტანეს. სპირტი მაშინვე „მიითვისა“ ტიხონოვმა. წვეთი არავის გაასინჯა, ვერც შეეღვები.

— დაუძახეთ ეჭიმს.

კარვიდან გავედი, ეჭიმი მოვიძიე და ვუთხარი, ამხანაგი სტელმახი ვთხოვთ-მეთქი.

პეტრე ტიხონოვს სტელმახი და ცუ-რანი განსაკუთრებული მოწიწებით ესალმებოდნენ. სტელმახმა მას საქმის ვითარება გააცნო და სთხოვა რამდენიმე ლიტრა სპირტი ამ ზეიმისათვის დაეთმო. ეჭიმმა ცივი უარი უთხრა. სპირტს, ღმერთმა უწყის, როდისღა ვიშოვითო, დაქრილების სამკურნალოდ ამ სპირტის იმედი მაქვსო.

— ცოტა მაინც უნდა გაიმეტოთ, პიოტრ ივანიჩ, ეს საჭიროა, უფრო მეტიც, აუცილებელია. ასე რომ ვთხოვთ, არ შეგაწყუბებდით. ეჭიმი აშკარად უკმაყოფილო იყო. დიდხანს იჯიუტა, მაგრამ ბოლოს თითი მოღუნა. სამი ლიტრა სპირტის გაცემაზე დაითანხმეს. მისი აზრით, სამი ლიტრა სპირტი მთელ რაზმს დაათრობდა.

— მაშ ასე. — წამოდგა სტელმახი. — ხვალ ფიცის მიღების დღეა. ეს დღე საერთო ზეიმად უნდა ვაქციოთ. აქ ბევრი სამხედრო პირია და იცით რა ხდება მებრძოლებში ფიცის მიღების შემდეგ. მით უმეტეს ჩვენთან, ტყეში ეს აუცილებელია და ვთხოვთ მთელის გულისყურით მოემზადოთ თქვენც და თქვენა მებრძოლებიც. წვერი გაიპარსონ, ტანსაცმელი წესრიგში მოიყვანონ. ერთი სიტყვით, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ რაც არის საჭირო.

სტელმახის სიტყვის შემდეგ საუბარი უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ გავბედე და სიტყვა ვთხოვე. ყველამ რაღაცნაირი ინტერესით შემომხედა.

ავდექი.

— ჩვენი ოცეული ერთ დიდ ოპერაციას ამზადებს. აქ შეიძლება ლაპარაკი და თავს ნებას ვაძლევ გაუწყოთ. თქვენ იცით რაც ხდება სოფელ დობრინოში. იქ პოლიციელთა ყველაზე დიდი გარნიზონია, მათთან ერთად გერმანელებიც არიან. დობრინოში ჩვენი მზვერავი შეეგზავნე. ამხანაგი ლეონის დახმარებით იგი იქ ჩვენს მეგობარს დაუკავშირდა. პირველი ცნობა უკვე მივიღეთ... ჩვენი შეგზავნილი კაცი უკვე პოლიციაში ჩარიცხეს და იარაღიც ანდეს. სხვა ცნობასაც დღე-დღეზე მოველოთ.

— რა გაინტერესებთ? — შემაწყვეტინა სტელმახმა.

— გვირავი, სოფელში გვირავი აქვთ გაყვანილი. თავდასხმის შემთხვევაში ამ გვირავით შეუძლიათ გავიდნენ სოფლიდან, ხელიდან გაგვისხლტნენ. გვირავი სოფელში იწყება და სადღაც სოფლის გარეთ, ნაპურალში თუ გზის პირას ამოდის. ამის გამორკვევაა აუცილებელი.

ლი, გვირაბის გეგმა გვინდა და ბევრი სხვა რამეც.

— მერე?

— სწორედ ფიცის მიღების დღეს შევუტევთ დობრინოს. დარწმუნებული ვარ, წარმატებებით დაეამთავრებთ ოპერაციას. თვითონ განსაჯეთ, ფიცის მიღება და იმავე საღამოს პოლიციელთა გარნიზონზე იერიში... თან პირველი მაისიც ახლოვდება.

სტელმასმა მხარზე ხელი მომითათუნა, იმ ფრაუსთან ურთიერთობას უკვალოდ არ ჩაუვლიაო, უკვე ნამდვილი მწვერავი ხარო, ოღონდ ეცადე საქმეს ნუ გააჰინაურებო, პირველ მაისამდე ჭერ დიდი დროა და ამდენს ვერ მოვიცდითო, საპირველმაისოდ სხვა რამ გვაქვს ჩაფიქრებულიო.

ვეცდები, რაც შეიძლება დავაჩქარო-მეთქი, მივუგე. მერე ამხანაგებს დაწვრილებით გავაცანი დობრინოზე თავდასხმის გეგმა, თუმცა ყოველ წვრილმანზე ლაპარაკი ჭერ კიდევ არ შეგვეძლო. გვირაბის შესახებ არაფერი ვიცოდით.

იმ ხანებში სოფელ დობრინოში გერმანელებმა თავი შეუყარეს პოლიციელთა პატარ-პატარა ჭგუფებს და ერთი ძლიერი გარნიზონი შექმნეს. სოფელი საგანგებოდ გაამაგრეს. პოლიციელებთან ერთად იქ გერმანელთა ოცეულიც ჩააყენეს. დროგამოშვებით პოლიციელთა ჭგუფი დობრინოდან გამოდიოდა, სხვა სოფლებს იკლებდა, ხალხს აწიოკებდა და ისევ უკან ბრუნდებოდა.

პოლიციის უფროსად ივანე სუშინისკი დაენიშნათ, ის სუშინისკი, ლეონ ცურანის ოჯახი რომ დაარბია.

დობრინოში ფედია კომლევი მყავდა შეგზავნილი. ამისათვის იგი საგანგებოდ მოვაშხადეთ მე და ტაჩენკომ.

კომლევს ასეთი დავალება მივეციოთ, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, დობრინოში უნდა შეეღწია, ყოველნაირად ეცადა დაერწმუნებინა სუშინისკი, რომ პოლიციაში თავისი სურვილით მივიდებოდა და ვართუთ „გაემხილა“ ჩვენი ადგილ-სამყოფელი, ყოველი ღონე ესმა-

რა მათი ნდობა მოეპოვებინა. პოლიციაში ჩარიცხულიყო და უზრუნველ გვირაბისა და საერთოდ სოფლის გეგმა როგორმე ხელში ჩაეგდო და ჩვენთვის გამოეგზავნა. ეს ადვილი საქმე არ იყო. ტაჩენკომ ცალკე „დაამუშავა“ კომლევით, ისე გააწერა საწყალი ბიჭი, სულ ოფლი ადინა. მერე მითხრა, ვამჭრიანთ ყმაწვილიაო. ფედია ტაჩენკო, ფედია კომლევით კმაყოფილი კი დარჩა, მაგრამ ფედია კომლევზე ამას ვერ ვიტყოდი. ტაჩენკოსაგან თავი რომ დაიხსნა, ჩემთან მოვიდა და მითხრა:

— ეს ჩემი სეზნია ნამეტანი ნუ იქაჩება, კაბინეტში ნუ ჰგონია თავიო. აქ ტყეა, აქ სხვა ამბავია, მოვუსმინე, თავიც ვუქნიე, მაგრამ იცოდეთ მე მისი გეგმით ვერ ვივლი, თავი მეც მამიაო.

— არც არავინ გვაალებს სტეისი ჰუკითა და გეგმით იარო და ნურც ბრაზობ. ამხანაგი ტაჩენკო სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტია, ჩემზე და შენზე ცოტა მეტი იცის. მან გირჩია, ცოტა რამეში გაგარკვია, დაგარიგა. შენც აიღე და, მისი რჩევა-დარიგებიდან თუ რაიმე დაგიკდეს ჰუკაში, დაიხსომე, იქნებ გამოვიადგეს. თუ ღმერთმა ჰქნა და დობრინოში შეაღწიე, მაშინ შენს გონებასა და მოხერხებაზე იქნები დამოკიდებული. იქ არც მე გეყოლები გვერდით და არც ტაჩენკო.

— ძალიან კარგი.

— ახლა ლეონ ფედოროვიჩი ენახოთ. ერთ ყველაზე საიმედო დასაყრდენს პოლიციელთა გარნიზონში ლეონი გავაცნობს.

დაღლილი ხაროვით გამომყვა.

ლეონის დავალებით დობრინოში ვილაც ექთანის მუშაობდა და როგორც კი მოახერხებდა, ცურანს პოლიციელთა მრჩემედების ცნობებს აწვდიდა.

ლეონმა ფედია კომლევს პაროლი გაანდო, ორჯერ-სამჯერ გაამეორებინა და განუმარტა, ამ პაროლის გარეშე იქ ჩემი მეკავშირე ახლოსაც არ გაგიკარებსო.

ღამით კომლევმა ჩვენი ბანაკი დატოვა.

...კომლევს წასვლიდან ერთი კვირა

გავიდა, მაგრამ მისგან არავითარი ცნობა არ ჩანდა. ერთდღერთი, რის შეტყობაც შეეძლოთ, ის იყო, რომ კომლევს დობრინოში შეედგია.

ფედია მეცხრე დღეს, შეღამებულში მოვიდა. ბანაკში მისი შემოსვლა არავის გაუგია და როცა ჩემთან გამოცხადდა, ცოტა წაიტრაბახა კიდევ, რაზმის დაცვას ცხვირის წინ გავუარეო.

ფედიასთან საუბარი, მისი თავგადასავლის მოსმენა ძალზე მაინტერესებდა. ისედაც დავაგვიანეთ ოპერაცია და სტელმახისა მერიდებოდა, მაგრამ კრეზიჩინსკის დაუსწრებლად ფედიასთან ლაპარაკი მაინც უნებრული იყო. კომლევს მეთაურის კარავში წავეყვანე და ტაჩენკოსაც ვთხოვე იქ მოსულიყო.

კომლევს კრეზიჩინსკი გულთბილად შეხვდა, გადაეხვია და მხარზე თავის ბლადუნა ხელებიც მიუთათუნა. მისი დანახვა ტაჩენკოსაც გაუხარდა. თუმცა არ შეიშინია. ხელი ჩამოართვა და თვალის ერთი შევლებით თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა.

კომლევმა თუთუნი შეახვია. მოუკიდა, გააბოლა და დაჯდომის ნებართვა ითხოვა. დაჯდა და თქვა:

— გრძელი ამბავია, ყველაფერს მოვყვი?

— მოყვი, თუ გინდა დილამდე ილაპარაკე, ოღონდ არაფერი გამოგჩჩეს, ყოველი წერილმანი გვიანტერებს. — უთხრა მეთაურმა.

ფედიამ ჯაიწყოს

დობრინოში. გზის გაკვლევა არ გამჭირვებია. ამ სოფელში ადრეც ვარ ნამყოფი. სოფელს გამთენიისას მივაღდექა ვაცოდი, პოლიციელებს გაძლიერებული ყარაული რომ იტყვდა გარნიზონს და სოფელში შეპარვა არც მიცდია. ყარაული მუდამ იმ ადგილებში უფრო ფხიზლობს, საიდანაც მტერს ელის, სადაც გამრომა შეიძლება. მე ავდექი და პირდაპირ შარავხას დავადექი. ჩემი პატარა ქუთით ვფიქრობდი, შარავხით ალბათ ჩემისთანა კაიკაცს არ მოელიან-მეთქი. პოლიციელთა საგულშაგო შორდნავე შევინიშნე, ნაბიჯს ვუკელი.

თუ შემამჩნევდნენ, არ გავიქეცოდი, მათთან სასაუბროდ მეც ჩემი გეგმა შევხატე და. — ჯერ ტაჩენკოს გადახედე, შემდეგ მე და განაგრძო: — ორი პოლიციელი იწვა ტყვიამფრქვევის ორმოში, ორივეს არხეინად ექინა. მივეპარე, ტყვიამფრქვევი ავაცანცლუ, მხარზე გავიდევი და სოფელში შევალაჯე.

გზაში ვილაც-ვილაცები შემხვდნენ, მაგრამ ჩემთვის ყურადღება არ მოუქცევიათ. ალბათ იფიქრეს სადმე ვიყავი გაგზავნილი და ებრუნდებოდი. თავდაჯერებით მივდიოდი. ხან ვლიღინებდი. ხან უდარდელად ვუსტვენდი. ასე მივაღდექი სუშინისკის სადგომს. პოლიციის უფროსი გაუხდელად იწვა, იქვე, მეორე საწოლზე ვილაც ხვრინავდა. მაგიდაზე არყის ცარიელი ბოთლები და კონსერვების ქილები ეწყო. ისეთი აყროლებული სუნი იდგა, რომ სული შემეხუთა.

ერთი-ორი წუთი ვიდექი და დავცქეროდი იმ ძაღლიშვილებს. სიამოვნებით მივცხებდი ტყვიას ორივეს, მაგრამ მე ხომ ჯარისკაცი ვარ...

— ეი, თქვენ, ვაჟაკებო! — დავიძახე.

პირველად სუშინისკი წამოვარდა ფეხზე, რევოლვერი მომიღერა და იყვირა:

— ეინა ხარ?

— მოყვარე, დაუშვი ეგ სათამაშო, ხომ ხედავ რამოდენა მორი მიჭირავს ხელში... — ვუპასუხე მშვიდად და ტყვიამფრქვევი კელზე მივაყუდე. ყვირილზე მეორე პოლიციელიც წამოდგა. ორივე ფრთხილად მომიახლოვდა. მე სუშინისკის ვიცნობდი, მაგრამ ახლა თავი ისე მოვანჯვე, თითქოს პირველად ვხედავდი. მან რევოლვერის ლულაზედ ცხვირზე მომაჭირა.

— აქ საიდან გაჩნდი?

— სტუმრად მოვედი, თუთუნი არა გაქვით?

— არაყსაც ხომ არ ინებებ?

— კითხვა ავადმყოფს უნდა — ხამოვჯექი. — სიამოვნებით გადაეხუხავდი ერთ ჩაის ჭიქას. სად არის მერე? სულ

გამოგებრეპიათ. არა უშავს, ჩემი გამასპინძლება შემდგომშიც შეიძლება. თქვენ ეს მითხარით, უფროსს სად ვნახავ?

სუშინსკიმ რევოლვერი ბუდეში ჩადო, ფეხი სკამზე შემოდგა და გამომწვევად მითხრა:

— მე გახლავარ.

— სახუმროდ არა მცალია, მთელი ღამე გზაში ვარ. თვალები მეხუტება, საცაა წაფიქცევი. მოახსენეთ უფროსს, გადაუდებელი საქმე მაქვს.

— ადექი. — დაიღრიალა მან.

მაშინვე არ წამოვმხტარვარ, ცალი თვალი მოვუტუტე და ისე გავხედე, ვაგრძნობინე, შენი ყვირილისა სულაც არ მესწინია და არც შენი ბრძანების შესრულებას ვაპირებ-მეთქი. სუშინსკი გაცოფდა, ხელი რევოლვერისკენ წაიღო, მაგრამ იარაღი აღარ ამოუღია, მეორე პოლიციელს მიუხტა და დაუღრინა.

— გაჩხრიკე.

პოლიციელი მომვარდა, მე ავდექი, დავემორჩილე, ხელები ავწიე. პოლიციელმა გულდაგულ გამჩხრიკა.

სუშინსკი დაჯდა, ფეხი-ფეხზე გადაიღო და ახლა უფრო მშვიდად მკითხა:

— ვინ გამოგზავნა?

— მე უფროსის ნახვა მინდა, მას უნდა მოვახსენო.

— ვინ გამოგზავნა?

— აქ რა, ყველა უფროსია?

— თქვი შენი..! — შემაგინა.

— შენ მე ნუ მაგინებ, გინება მეც შემიძლია, შენზე უკეთესად ვიგინები, მაგრამ ახლა გინების დრო არ არის. ნურც მიყვირი. მე სერიოზული საქმე მაქვს და მას მხოლოდ უფროსს ვეტყვი.

— მე ვარ უფროსი და სანამ კედელზე ტვინი არ მიგასხმევინე, ხმა ამოიღე! — ამჯერად რევოლვერი ხელში დაიჭირა.

— ეგ მე უფრო აღრე შემეძლო მომემოქმედნა, ორივეს მკვდრებივით ვეძინათ.

— ვინ გამოგზავნა?

— ფედია კომლევმა.

პოლიციელებმა ერთმანეთს გადახედეს.

— რა, იცნობთ კომლევს?

— არ მაქვს პატივი...

— კომლევი მე თვითონ გახლავართ.

— პოლიციელმა გაიცინა, სუშინსკიც მაც გაიღრიალა.

— რა გინდა, რატომ მოხვედი?

— მართლა შენა ხარ უფროსი?

— გასწორდი! — მიყვირა მეორე პოლიციელმა, შენ თვით სუშინსკის წინ დგახარ.

გავსწორდი, თითქოს შეეკრთი, თითქოს დაეიბენი, ყასიდად ავლულულული, რაც მას მოეწონა.

— მთელს რაიონში ამ თქვენს განიზონზე ლაპარაკობენ, შეუვალი ციხესიმაგრეაო. სოფელში ბუზიც ვერ შეფრინდებაო. აქეთ ბევრ ჩემისთანას უჭირავს თვალი, მაგრამ ეშინიათ. პარტიზანები სოფლებს ავიწროებენ, აშინებენ. ხალხი საშველს ეძებს. უნდათ შემოგიერთდნენ, მაგრამ დობრინოს ახლო ვერ ეკარებიან. თქვენზე ათასგვარ ზღაპრებს ყვებიან, მკაცრიაო, მშა რომ მშაა, ის რომ მივიდეს, არ დაინდობს, დახვრეტსო. ცოდვია ხალხი. აი, მე კი გავბედე და გეახელი.

— აქამდე როგორ მოაღწიე?

— რა ვიცი, ნებართვა არავისთვის ვითხოვია. სოფელს მივადექი, თქვენს ყარაულებს ეძინათ, ტყვიამფრქვევი ავართქი და წამოვედი.

სუშინსკი ადგა, ოთახში გაიარ-გამოიარა, მერე ფანჯარასთან მოვიდა, ვილაც მოიხმო და უბრძანა, ის ყარაულები დაეპატიმრებინათ, შეეკრათ და მასთან მოეთრიათ. ის მეორე პოლიციელიც სადღაც გაგზავნა. ოთახში მე და სუშინსკი დავრჩით. იგი შორი-ახლო დაჯდა, გერმანული სიგარეტი ამოიღო, გააბოლა.

— რატომ მოხვედი?

— ბატონო სუშინსკი, მოვედი, რათა თქვენს გვერდით ვიყო და გემსახუროთ.

— არმიაში თუ იყავი?

— ვიყავი.

— მერე?

— დეზერტირი ვარ. როგორც კი საშუალება მომეცა, ნაწილი მივატოვე, გამოვიბარე, სოფლისკენ მოვეუბრებო.

— რომელი სოფლიდან ხარ?

— ნოვოსელსკიდან.

— შშობლები გყავს?

— არა.

— და-ძმა?

— და მყავდა, შინ არ დამხვდა. არ ვიცი, სად არის, რა მოუვიდა.

— ვის მგზობლად ცხოვრობდი ნოვოსელსკში?

მე დავესახელე ჩემი მგზობლების გეგმები. იგი თავს იქნევდა, ეტყობა ჩემი პასუხით კმაყოფილი იყო. ერთხანს დუმილი ჩამოვარდა, მერე ისევ მკითხა:

— რატომ პარტიზანებთან არ წახვედი?

— სიძარტლეს გეტყვი და ნუ გეწყინება. ერთი ფიქრით, ტყეში წასვლა მინდოდა, კინალამ გადაამცდინეს, მაგრამ ერთმა ჭკვიანმა კაცმა, ააშენა ღმერთმა მისი ოჯახი, დამარიგა: სასაფლაოზე შენი ფეხით ნუ მიდიხარო. როგორც კი გაიგებენ, რომ წითელი არმიის დეზერტირი ხარ, ყველაზე მაღალ ნაძვზე ჩამოგადებენო. მით უმეტეს, რომ მეთაური ყოფილხარო.

— რა მეთაური?

— ოცუელის მეთაურის თანამეგობრე ვიყავი. იმ კაცთან საუბრის შემდეგ ტყეზე აღარ მიფიქრია, შემეშინდა და, ისედაც, მოსკოვი უკვე აულიათ გერმანელებს და ამხელა ქვეყანას მე რალს ვუშველო?

— თავის გადარჩენას ცდილობ?

— ვცდილობ. ახალგაზრდა ვარ და სიცოცხლე მინდა. თუ დამიჯერებთ, ჩემს ერთგულებაში სულ მალე დარწმუნდებით. ყოველი სახის იარაღი ვიცი. არტილერიაშიც მიმსახურია. ურიგოდაც არ ვისვრი და შემძლია ენასაც დავაჭირო კბილი. არც შშიშარა ვარ. ერთი კვირის წინათ ტყეშიც ვიყავი...

— მაინც იყავი?

— თქვენთან ხელცარიელი მოსვლა

ვერ გავხედე. რაზმის განლაგების ადგილი დავაზუსტე, როდენობა...

— რომელი რაზმისა? ბიზნისი

— კრეზიენსკია იქ მეთაურად. ეს რაზმი სოფელ ბუდიდან სულ რაღაც ექვს-შვიდ კილომეტრზე დგას. ჯერ-ჯერობით ორასამდე არიან, მაგრამ ყოველდღე ემატებათ ხალხი. მალე, ვისაც ხელში იარაღის დაჭერა შეუძლია, პარტიზანებს შეუერთდება და მერე გვიან იქნება.

— იმ რაზმში ვის იცნობ?

— ახლოს არაეის, მაგრამ გუშინწინ იქ ცურანი ვნახე. სუშინსკის სახე დავლრიჭა, ადგა, გაიარ-გამოიარა, ფანჯარასთან მივიდა, სოფელს გახედა.

— თქვენ, ბატონო სუშინსკი, ნუ გეწყინებათ და თქვენზე უფრო ხალხი პარტიზანებს ენდობა, ბევრ ჩემს ტოლს ტყისკენ გაუბრუნებდა.

— მერე და რატომ? — თვალეები დაეკუსა.

— თქვენ... თქვენ თითქმის არაფერს აკეთებთ. ისინი კი მოქმედებენ. ღამე არ გაივლის. სოფლებში არ გავიდნენ. ხალხს აგიტაციას უწევენ, ჩვენი ხალხიც... ხომ იცით როგორია... თანაც თქვენები სოფლებში რომ გამოჩნდებიან, ცოტა არ იყოს, თავხედობენ, ნუ გაბრაზდებით და ისინი უფრო ჭკვიანურად იქცევიან. თქვენთან კაცის მოსვლა თურმე სიკვდილს უდრის. მათთან მთლიანად ასე არ ყოფილა. მეც რომ მღომებოდა, დავრჩებოდი, ალბათ დეზერტირობასაც მპატიებდნენ. ერთმა ოცმეთაურმა იქ მითხრა, ეგ დეზერტირობა სულაც არ არისო. შენზე უფრო დიდი ჩინის მეთაურები დაიბნენ და ნაწილები დაშალესო.

სუშინსკი მგონი აღარ მისმენდა, რადგან ოთახში გაბაწრული ყარაულეები შემოათრეეს და მის წინ დაყარეს.

— ძილი მოგინდათ, ღორიშვილებო. სამუდამოდ დაგაძინებთ. წაიყვანეთ და დახვრიტეთ.—ისე თქვა, თითქოს საუზმეზე გზავნიდა იმ უბედურებს.

ყარაულები აღრიალდნენ, სუშინსკის პატიება სთხოვეს, მაგრამ მას წარ-

ბიც კი არ შეუხრია. ყველანი გარეთ გაყარა და კარები მიხურა.

— მოლაღატეებს ასე ვუსწორდები. საგუშავოზე ძილი ყველაზე დიდი ღალატია, ღალატისთვის კი დახვრეტაა. შენს გამო ორი მებრძოლი დაგვაკლდება, გესმის ეს?

— მესმის. ბატონო, იქნებ აპატიოთ იმ საწყლებს. ასე რომ მცოდნოდა, ღმერთმანი, სხვანაირად მოვიქცეოდი.

სადღაც მოშორებით ტყვია გავარდა, ერთხელ-ორჯერ. მერე ისევ განმეორდა გასროლა და მაშინვე ოთახში გერმანელი ოფიცერი შემოვიდა, ჩემკენ არც კი გამოუხედავს. სუშინისკი მის წინ არ გაკიმულა.

— რა მოხდა, სუშინისკი? — რუსულად იკითხა ოფიცერმა.

— პოლიციელებს საგუშავოზე ეძინათ. აჰან, — ჩემსკენ თითი გამოიშვირა. — მათ ტყვიამფრქვევი აართვა და თავზე დამადგა.

— მერე?

— ეუბრძანე და დახვრიტეს.

— ეს ვინ არის?

— ჯერ არ ვიცი!

— ვინა ხარ? — მომიბრუნდა.

— კომლუევი, ფედია კომლუევი. — გავიჯიგმე.

ოფიცერმა ჯერ მე მიყურა, მერე სუშინისკის, ეს რაებს ბოდავსო, აშკარად ამოვიკითხე მის გაყვითლებულ სახეზე. არც ისე ახალგაზრდა კაცი იყო. თვალებზე პენსე ეკეთა, რომელსაც ყოველ წუთში იხსნიდა, ორთქლავდა, ცხვირსახოციო სწმენდდა და ისევ იკეთებდა.

— წითელი არმიის დეპუტატია, ოცმეტაურის თანაშემწე. ჩვენთან მოვიდა, ამბობს გერმანიას უნდა ვემსახურო და პოლიციაში მიმიღეთო.

— ო, ო, მართლა? მართლა გინდა გემსახურო? — ჩაიციინა გერმანელმა.

— დიახ.

მომიახლოვდა. მთელი ხუთი წუთი მიცქირა თვალებში. გავუძელი, თვალი არ დამიპარპალებია. მერე ხელიც კი შემახო, ცოტა შემანჯღრია და სუშინისკის უთხრა:

— ჩემთან მოიყვანე, სუშინისკი.

— კი, ბატონო, გაახლებენ უნდა!

— მანამდე უბრძანე სუშინისკი, — ციცი დააღვიძრონ. ეტყობა მაგარი ბიჭია და არაყი მოუხდება. — კობტალ შებრუნდა და გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ოფიცერს სუშინისკიც გააკუცა. მე მიბრძანა ოთახიდან ფეხი არ გადგა, ჩემს კაცს დაელოდო, როგორც კი სუშინისკი თვალს მიეფარა, ფანჯარასთან მივედი, ფარდა გავწიე და სოფელს გავხედე. გზის პირას, ნაძვის ახლო ორი კაცი იდგა, რალაკაზე ცხარედ კამათობდნენ, მაგრამ მათი ხმა ჩემამდე არ აღწევდა. მოშორებით ვიღაც ცხენს კაზმავდა. უფრო შორს დიდი სახლი დავინახე. კიბეზე ორი გერმანელი გაშეშებულიყო. ოთახს ფანჯარა მეორე მხრიდანაც ჰქონდა დატანებული და ახლა იმ ფანჯარას მივადექი. გრძელი, საბძლისმაგარი შენობა ჩანდა. ამ შენობაში ვიღაცები შედი-გადიოვდნენ. იქვე პოლიციელთა ჯგუფი ყაყანებდა. მეტი საგულისხმო ვერაფერი დავინახე.

ფეხის ხმა რომ გავიგონე, უცებ ჩემს ადგილს დაუბრუნდი, სკამზე ჩამოვჯექი და სტვენა დავიწყე. ოთახში ძალზე ტანდაბალი პოლიციელი შემოვიდა. ქონდრის კაცს ჰკავდა.

— შენა ხარ კომლუევი?

— მე ვარ.

— წამოდი.

— სად?


— ნუ ლაყბობ, ადექი.

— მე არ ვლაყბობ, გეკითხები. სად წამოვიდე?

— თვალზე გეტყობა რა სულისაც ხარ. ოფიცერს თუ გადაურჩი, ჩვენ ჩაგაძალღებთ. ღამით ჩუმად მიგასრჩობთ. ჩვენი მეგობრების დახვრეტისთვის მაგ მყრალ ენას გადმოგავდებინებთ, ადექი!

— არსად არ წამოვალ!

მან ჯიბისკენ წაიღო ხელი. ვეცი, ხელი გადავუვგრები, რევოლვერი ავართვი და აკენის ბავშვივით დავაწვინე მაგიდაზე. ერთხანს აფართხალა ფეხები, საკბუნადაც კი იწევდა, მაგრამ ერთი-ორი წა-



ვუთაქე და დავაწყნარე. მიხვდა, ცუდად იყო მისი საქმე, იარაღის დაკარგვისთვის შეიძლება მასაც მისი ამხანაგების ბედი გაეზიარებინა და ხევწნა დამიწყო. არ დამლუპო, გამიშვიო, მეც დამხვრეტნო. ოღონდ იარაღი დამიბრუნე და პატიოსან სიტყვას გაძღვე, შენი პირველი ქომაგი და დამცველი ვიქნებიო. რევოლვერიდან ვაზნები გამოვყარე, ჭიბეში ჩავიწყე, ჩახშახი შევყაყენე, სასხლეტს თითი გამოვყარი. სასხლეტმა გაიჩნაკუნა. პოლიციელს ხელი გავეშვი, რევოლვერიც დავუბრუნე. ვაზნებს სხვა დროს მოგცემ-მეთქი.

ფეხზე რომ დადგა, ცოტა გული მიეცა. მაგრამ მაინც მელიასავით მომილაქტუცა და მთხოვა გავყოლოდი. მის გვერდით ისე მივაბიჯებდი, თითქოს იმას კი არ მივყავდი, მე მიმყავდა ის. იმ წაგრძელებულ შენობაში შევედი. საბჭელში ასევე გრძელი მაგიდა იდგა. მაგიდას ოცამდე პოლიციელი უჭდა. შესვლის უმალ მოვათვალიერე ყველანი და ყველაფერი. ვერავინ ვიცანი. მაინც ვასაოცარი, საიდან შოათრიეს, სად მოხვეტეს ამდენი ნაძირალა. მე ამ რაიონში დავიბადე და გავიზარდე, ყველას და განსაკუთრებით ჩემს ტოლსწორებს ვიცნობდი. ყოველ შაბათ-კვირას ახლომასლო სოფლებში ჩავდიოდით ბიჭები და გოგონები ჭკუფად და ვცეკვავდით. პოლიციელებს თვალი რომ შევავლუქ, სიმართლე გითხრათ, უცებ გამიხარდა კიდევ, რომ ამდენ ოხერში ჩვენიანი არ ერია. კარებშივე ვთქვი სალაში, მაგრამ მათ სალაში არ მიპასუხეს და ისეთი თვლებით დამიწყეს ცქერა, ადვილი მისახვედრი იყო, თუ აქ დავრჩებოდი, კარგი დღე არ დამადგებოდა. მაგიდასთან თავისუფალი ადგილი ვნახე და დავჯექი. ახალგაზრდა გაწირბულმა და სულერთიანად წითლად შეთხუპნულმა გოგამ საქმელი მომიტანა და ჩემს წინ ისე დადგა, ღორს რომ სალაფავს დაუდგამენ ხოლმე. ნახევარი ჭიქა არაყიც დაასხა და იმ წამსვე გამშორდა. საქმელი ცოტა წაყირკნე, არაყისათვის ხელი არ მიხლია. თუთუნის ნაწიწავი ჭი-

ბეში მედო, მოვუკიდე და საბჭელიდან გამოვედი. ის ტანდაბალი პოლიციელი კარებში შემხვდა.

— არაყი არ დალიე?

— შენთვის დამითმია.

გვერდი ამიარა, საბჭელში შევიდა. მე უკან არ მიმიხვდავს, მაგრამ მისი სიტყვები გავიგონე და მივხვდი, ჩემთვის განკუთვნილი ჭიქა ეჭირა ხელში. — იმ ბიჭების შესანდობარი იყოსო, მერე ცოტა ხმას დაუწია და დაუმატა: — ამისიცო. მაშინ კი მივიხვდე და თვალებით გავხვრიტე, თან ჭიბიდან მისი რევოლვერის ვაზნები ამოვიღე და ხელში შევათამაშე.

სუშინსკი გამოჩნდა, ტანდაბალმა პოლიციელმა სამი თითი ყელში იტაცა, არ დამლუპო, უფროსს ვაზნებზე არაფერი უთხრაო. გავიღიმე და ვაზნები ჭიბეში ჩავიყარე.

სუშინსკი შორი-ახლო შედგა, თითი დამიქნია, მიმიხშო. მივედი, რომ მივეუახლოვდი, შებრუნდა და იმ სახლისკენ გაემართა, რომელსაც გერმანელები იცავდნენ. მეც უკან გავყვი.

კიბეზე ავედით, ყარაულებს არ შევუჩერებდით. სუშინსკიმ ერთ ტყავ-გადაკრულ კარებზე მანიშნა, იქ შედიო, თავად გზა გრძელ ღერეფანში განაგრძო.

კარები ფრთხილად შევალე. დიდ საწერ მაგიდას ის ოფიცერი უჭდა, სუშინსკის ოთახში რომ შემოვიდა. პენსნე მოეხსნა და საუზმეს მიირთმევდა. თან კონიაკს წრუპავდა.

— ნება მომეცით შემოვიდე! — ვუბქე.

— შემოდი. — პენსნე დაორთქლა, გაწმინდა და გაიკეთა.

შვედი და იქვე კარებთან ავიტუხე. ოფიცერი მიცქერდა და ოდნავ შესამჩნევად იღიმოდა. მინდოდა ეს უშველებელი ოთახი მომეთვალთვალებინა. მაგრამ იგი თვალს არ მაშორებდა და ვერ გავებდე.

ოთახის დათვალთვალების საშუალება არ მქონდა. სამაგიეროდ, ოფიცერს თვალს არ ვაშორებდი, ყოველ მის მოძ-

რაობას ვუყვირდებოდი. აი, მან ხელი მაგიდის უჯრისკენ წაიღო, ოღონდ ქვევით და მე მივხვდი, რომ ზარი დარეკა. მართლაც იმავე წამს ოთახში ორი ზეინივით კაცი შემოვიდა. ოფიცერმა ერთ-ერთს ანიშნა, საუხზე დაემათავრეთ. მან მაგიდა აალაგა, მხოლოდ კონიაკი და შოკოლადი დატოვა.

— მაშ, ძალიან გინდა ემსახურო გერმანიას? — მკითხა ოფიცერმა და სიგარეტის კვამლი ჩემკენ გამოაბოლა.

— მე სიცოცხლე მინდა.

ჩაივინა, სიგარეტი ძვირფას საფერფლეზე ჩააქრო, ადგა და სულ ახლო მოვიდა. ჯერ პენსნეთი მიცქირა, მერე პენსნე მოიძრო და ისე მიყურა თავისი წვრილი დაღლილი თუ ავადმყოფური თვალებით. ისევ გაიკეთა პენსნე და უცებ ორივე ხელბით ყელში მწვდა. ეს ისე მოულოდნელი იყო ჩემთვის, რომ ჩემდაუნებურად მეც ხელებში ვეცი და მაშინ თვალში რაღაც მომხვდა, გონება დაეკარგე.

თვალი რომ გავახილე, ისეთ პაწაწკინტელა ოთახში ვეგდე, თავი კუდს ვერ მოიჭნევდა. თავი მისკდებოდა. წამოწევა ვცადე, ვერ შევძელი. ერთხანს მივყურდი, ძალა მოგიკრებე, ცნობიერება დამიბრუნდა და ვეცადე გამეხსენებინა თუ რა მოხდა ოფიცერის ოთახში. მერე კედელი მოვიშველიე, წამოვფოფხდი და კარებს მივაწევი. კარები გაიღო. იქ ერთ-ერთი იმ „ზეინთაგანი“ იდგა, ხელში შავად შეღებილი ტუპი ეჭირა. მეგონა მაშინვე მითაქებდა, უკან დავიწეე და საკუჭნაოს კედელს მივაწყდი.

ზეინი კარებში ვერ შემოეცია და გარედან მანიშნა გამომყევით. მეტი რა ჯანი მქონდა, გავყვი. ისევ იმ ოფიცერთან მოვხვდი. ამჯერად ოფიცერი შუა ოთახში იდგა, ზეინმა ხელი მკრა, წავიფორხილე, მაგრამ არ წავეტეულვარ.

ოფიცერი ჩემსკენ სხარტად შემობრუნდა და დამიღრიალა:

— ვინ შემოგზავნა?

მე მხრები ავიჩეხე.

— ვინ? — კიდევ უფრო აუწია ხმას.

— ბატონო ოფიცერო, — წამოვილულულე და ვიგარქენი, — მამ ზეინმა ჩემს უკან ტუპი შემარჩინა. თვსუკი ხელები დავიფარე, გვერდზე გავდექი და ზეინს ვანიშნე არ დამარტყა-მეთქი.

— ხუთი წუთი მომიცია. ხუთი წუთი დიდი დროა, მოიფიქრე და მიპასუხე, მერე დაგხვრეტ. — თქვა ოფიცერმა და ოთახიდან წააბა-წყუპით გავიდა.

მე ჯარისკაცისკენ შევბრუნდი, თან ოთახიც მოვათვალიერე. ოფიცერის კაბინეტს ოთხი კარი ჰქონდა: ერთიდან დერეფნისაკენ გახვიდოდი, ორი მარჯვნივ და მარცხნივ იყო, ერთიც იქით, უკან. სადაც ოფიცერი გავიდა.

იქვე სავარძელი იდგა. მე ჯარისკაცისთვის ნებართვა არ მითხოვია, იმ სავარძელში მოვიკალათე და თვალები დავხუჭე. მარტო თავი კი არა, მთელი სხეული მტკიოდა, არავითარი ფიქრი მე არ შემეძლო. ასე გავყურდი და ალბათ მთელი წუთი ვიყავი გასუსული. მერე ნელა გავახილე თვალი და დერეფნიდან ამ ოთახში შემოსასვლელ კარებს გავხედე. კარებში სწორედ იმ ჯარისკაცის სიმაღლე ჯალათი იდგა, ვინც ტუპი დამკრა. მეგონა მომეჩვენა-მეთქი და ახლა მარცხნივ მოვაბრუნე ჩემი გატეხილი თავი. მარცხნივაც სწორედ კარებში მალალი და ცოტა უფრო ტანსქელი ჯალათი ატუხულიყო. უცებ ავდექი და მარჯვნივ შევბრუნდი და კინალამ იატაკზე გავიშხლართე. იქაც ტუპშემართული ჯალათი გაგვიმულიყო. სავარძელში ჩავესვი. თავში თითქოს ვიღაც ჩაქუჩს თუ იმ შავად შეღებილ ტუპს მცემს. ტაქ-ტუქ, მესმის ჩაქუჩის კაკუნი და გული მერევა.

რა ვქნა, რა ვუპასუხო ოფიცერს, როგორ დავიძვრინო თავი? ნუთუ გზა ხსნისა არ არსებობს?

პირდაპირ კედელზე, კარებს ზევით დიდი საათი ჰქვია. ძლივს გავარჩიე საათის ისრები. ათს ორი წუთი აკლია. ალბათ მაშინ, როცა ოფიცერმა დრო დაინიშნა, ათს ხუთი წუთი აკლდა.

ტაქ-ტუქ, ტაქ-ტუქ. — წინ მიიწევა დიდი ისარი. ტაქ-ტუქ, ტაქ-ტუქ — ასევე



ნელა ვილაც თავში ჩაქუნს თუ ტუქს მირტყამს. კიდეც წუთიც... ათჯერ დარეკავს საათი და შეწყდება ეს ტაკატუკიც.

ზუსტად ათ საათზე ჩემს უკან კარებშია გაიჭრიალა. იქით არც გამიხედავს. ისედაც ვიცოდი, ოფიცერი შემოვიდა, ძლივს წამოვდექი, გავსწორდი.

— აბა, მოიფიქრე?

— დიას.

— ო, ეს კარგია, ძალიან კარგი. ასე არა სჯობს? ავი სთქვი სიცოცხლე მინდაო. ჩანს მიხვდი, რომ სიცოცხლის შენარჩუნება მხოლოდ ამ გზით, მხოლოდ გულწრფელი აღიარებით შეიძლება. — დაჯდა, სიგარეტს მოუვიდა.

— დაჯექი.

სანამ დავჯდებოდი, მოვასწარი, ოთახს თვალი ისევ მოვაველე. ჭალათები გამჭრალიყვნენ.

ოფიცერმა სიგარეტი მომწოდა, მადლობა მოვასხენე, გამოვართვი და მოვუკიდე.

— აბა დაიწყე. — პენსნე მოიხსნა და ისევ გაიკეთა, მაგრამ ამჯერად არ დაუორთქლავს და არც ცხვირსახოცი ამოუღია.

წამოვიწიე. მან ხელით შანიშნა, არ აღგეო, ისე მომასხენო.

— ვინ გამოგზავნა და რა დავალება მოგცეს. მხოლოდ და მხოლოდ ეს მიინტერესებს, მეტყვი და იცოცხლებ!

— ბატონო ოფიცერო. მე სიმართლეს გეტყვით, გეტყვით, რასაც ვგრძნობ ახლა აქ. თქვენთან, არაფერს არ დავფარავ და მერე თქვენ იცოდეთ. თქვენ შეგიძლიათ არ დამიჯეროთ და დამხვრიტოთ. თავს ზევით ძალა არა მაქვს. არაფრით არ შემიძლია წინ აღუდგე თქვენს გადაწყვეტილებას, მაგრამ იცოდეთ, ჩემისთანა პირში მთქმელი კაცი აქ არ მოვა, საერთოდ აწი თქვენთან არავინ არ მოვა. სოფლებში ბევრი ახალგაზრდაა, სიცოცხლის შენარჩუნებისათვის მათ ახლა მხოლოდ ორი გზა დარჩათ. ორად ორი, ერთი თქვენკენ, მეორე...

— მეორე საით?

— ტყისკენ, პარტიზანებისკენ.

სახე მოქუფრა, ადგა.

— ტყეში ჭვუფ-ჭვუფად მინდინა აქეთ კი...

— მერე და რატომ? რატომ?.. — მომიახლოვდა.

— რატომ? — კითხვას კითხვითვე ვუპასუხე. თავზე ხელი მოვისვი და ოფიცერს ჩემი სისხლიანი ხელი ვუჩვენე.

— მეც დიდხანს ვფიქრობდი და ვწვალობდი, მეც ვეძებდი და ვარჩევდი თუ რომელი გზაა უფრო სწორი და საიმედო. ვერ გადავეწყვიტე, საით მექნა პირი. მე წითელი არმიის ოცეულის მეთაურის თანაშემწე და ამჟამად დეზერტირი ვარ. შემეშინდა, შემაშინეს, რომ პარტიზანებში ვინმე ნაცნობს შევხვდებოდი, ჩემი ვინაობა გამჟღავნებოდა და დამხვრიტდნენ. შიშმა მაძულა და მიზიძგა თქვენთან მოვსულიყავი, ამ მეორე გზას დავდგომოდი და ახლა ვნანობ, ძალიან ვნანობ. სიკვდილი სიკვდილია, თქვენ დამხვრეტთ თუ ისინი, ამას ჩემთვის აღარავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ვნანობ, მათკენ უნდა წავსულიყავი. ჩემს ასეთ გულწრფელ აღიარებას ისინი უფრო დამიჯერებდნენ, მოტყუვდი, ახლა უბრძანეთ დამხვრიტონ, გენბავთ ტუეების ცემით ამომხადონ სული. რაც ვთქვი ეს არის.

ოფიცერი დიდხანს დუმდა. მე ვიდექი და ველოდი, კარის ქრიალი გავიგონე. მაგრამ ხომ ვერ მივიხედავდი.

ფეხის ხმაზე ვგრძნობდი, ვილაც მიახლოვდებოდა. მთელ ტანში შიშის ქრუანტელმა დამიარა, ვაი თუ რომელიმე ჭალათია და თავში ტუეი დამკრას-მეთქი.

— სუშინსკი! — დაუძახა ოფიცერმა.

აბა, პოლიციის უფროსი ყოფილა.

— გისმენთ.

— წაიყვანეთ და მიხედეთ.

ახლა მოვიხედე. სუშინსკიმ მანიშნა ოთახიდან გადიო. მე თავი ისევ მოვიკატუნე, თითქოს ვიგრძენი, დასახვრეტად მივყავდი. ოფიცერს მწყრალად მივა-

ჩერდი, თავი გადაეაქნიე და ოთახიდან გავედი.

ღერეფანში ორი პოლიციელი დამხვდა. ხელები ჩამკიდეს და, გამოგიტყდებით, მაშინ შემეშინდა, მართლა არ მხვრეტდნენ-მეთქი.

სუშინისკი რომ გამოვიდა, თითქოს გამიღიმა, თითქოს რაღაც მანიშნა და ცოტა სული მოვიბრუნე, თვალებში სინათლე მომემატა.

სუშინისკიმ პოლიციელებს უბრძანა ჩემთვის მოეგლოთ და ეპატრონათ. არავინ არაფერი გაუბედოს, თორემ თავებს წაგაცლიათ. მე ბატონ პოლიციის უფროსს მადლობა მოვახსენე. პოლიციელებმა ხელი გამიშვეს. აქეთ-იქიდან ამომიდგნენ და წამოყვანეს.

შუა სოფელში ერთ პატარა სახლში ამბულატორიის მსგავსი რაღაც მოეწყობა. იქ მიმიყვანეს. მაშინვე ცურანი და მის მიერ მოცემული პაროლი გამახსენდა. პაროლი გავიმეორე, რა ვიცი, იქნებ საშუალება მომეცეს და ექთანს ახლავე გადაეცე-მეთქი, გავიფიქრე. ექთანთან მარტო შევედი. პოლიციელები კიბესთან დარჩნენ. ექთანმა სისხლი მომწმინდა, თავზე იოდი წამისვა და შემიხვია. დახმარებისთვის მადლობა ვუთხარი, კეთილად გამიღიმა.

— ახალი ხარ?

— დიახ, დღეს მოვედი.

ნაღვლიანი თვალებით შემომხედა, თავი გადაიქნია. „ვინ შენს პატრონს, კი ადგილისთვის კი მიგივნიათ.“ — ამის ამოკითხვა მის სახეზე მე არ გამჭირვებია.

— ტკივილებმა თუ შეგაწუხოს, შემოიარე. — მითხრა. მე დეალი ფანჯრისკენ გავაპარე. ფანჯარა ღია იყო, ერთ-ერთ პოლიციელს კისერი წაეგრძელებინა, გვიცქერდა და ალბათ გვისმენდა კიდევ. ამჯერად ექთნისათვის პაროლის გადაცემა არ მოხერხდა.

საბჭულში, სადაც პოლიციელებს ეძინათ, თბილოდა. მე ის ღამე თეთრად გავათენე. დასაწოლი ადგილი სულ კუთხეში მომიჩინეს, ჩემს გვერდით ის ტანდაბალი პოლიციელი იწვა, დილით სა-

სადილოში რომ მომიყვანა. ისიც ჩემსავით მთელი ღამე წრიალებდა, ჩანს მითვალთვალებდა. როგორც კი დავიკვნი-სებდი, გაილურსებოდა. ალბათ ფიქრობდა, ახლა ბოღვას დაიწყებს და იქნებ რაიმე წამოროშოსო. დილით საუზმეზეც ჩემს გვერდით დაჯდა. ნასაუზმევს ამბულატორიისკენ წავედი. ის ტანდაბალი პოლიციელიც წამოიყვია. ნუ სწუხდები, უკვე ვიცი საით უნდა წავიდე-მეთქი, თავს ვალდებულად ვრაცხვითარებაში გაგარკვიო, გაიჭლანა. შენი ნებაა-მეთქი. გზაში მკითხა:

— იმ ვაზნების დაბრუნებას თუ აპირებო.

მაშინვე ამოვიღე და მივეცი.

— მე აქ საორდლისოდ არ მოვსულვარ, შენთან მტრობას მოყვრობა და მეგობრობა მირჩევნია, წაიღე, რა ოხრად მინდა, ოღონდ შენი სახელი მითხარი.

— სტეფანე ბუღისი ვარ. შენ რა გჭიქია?

— მე ფედია ვარ, კომლევი. — ვუპასუხე და გავიფიქრე, ცოლვა არ არის ამასაც სტეფანე ერქვას და იმ პატარა ბიჭსაც, აქ რომ გავიცანი-მეთქი. სტომაა სენკევიჩზე ვამბობ.

— ჩვენი სიცოცხლე სულ ბეწვზე ჰკიღია. — მითხრა მან. — აქ ისეთი წესრიგია, ოღნავ რომ რაიმე შეგცდეს, არავინ დაგინდობს, იმ წამსვე ტყვიას მიგარპობენ. ზომ დაინახე. რა უქნეს იმ ყარაულებს. კარგი ბიჭები კი იყვნენ.

— ენანობ, ჩემო სტეფანე, ძალიან ენანობ. სული დამძიმებული მაქვს, მათი ცოლვა ჩემს კისერზეა. ღმერთმანო, არ ვიციოდი თუ დახერხდნენ, თორემ როგორ გამიწყრებოდა ღმერთი და ტყვიამფრქვევს მოვპარავდი.

— მაინც ფრთხილად იყავი, ბიჭები გემუჭრებიან, ღამე მივახრჩოთო. აქ ზოგიერთი ისეთი ოხერი და თავზეხელაღებულია, ყველაფერს იკადრებს. გულს ყველას ნუ გადაუშლი, „შპიკები“ არიან, ოღონდ სუშინისკის ერთი გაღიშება დამისახურონ და ცოცხლად შეგკამენ. მე შენ ძალიან მომეწონე, თუ შენდობა, არ გიმტყუნებ. გეტყობა კი ბიჭი ხარ

და იქნებ შენთან ერთად მეც მეშველოს, ერთი ჩემიანებში გავლა სიცოცხლეს მირჩევნია. მეშინია, თორემ ამაღამვე გავიპარებოდი.

მხარზე ხელს ისე დაეკარი, ჩაიჩოქა:

— ეგ საკენკი სხვებს დაუყარე, ბუდის. მე კი ვაფრთხილებ, თუ კიდევ დაგცდენია ჩემთან ასეთი რამ. არ დაგინდობ, სუშინისკის მოვასხენებ და მე შენ იცოდე და მან! — ფეხს ავუჩქარე.

ამბულატორიას რომ დაეუახლოვდი, ღია ფანჯარაში ის ექთანის დავინახე, მივესალა და ვთხოვე, ტკივილი ისე მაწუხებს, მთელი ღამე არ მიძინია და თუ შეიძლება შემისხვიეთ-მეთქი.

კბებს ავეყვი. პოლიციელი ეზოში გრძელ სკამზე ჩამოჯდა. აქ დაგელოდებო.

ექთანმა ტაბურეტზე დამსვა, სახვევი შემომხსნა, ჭრილობა გაწმინდა და ზედ მალამო წამისვა. ამას იგი ძალზე ნელა აკეთებდა, ვატყობდი ჩემთან საუბარი უნდოდა. ასე ოცდაათი წლის ქალი იქნებოდა. გამხდარი და ძალზე ფერმკრთალი.

ჭრილობას რომ მიხვევდა, ყინულის კივი ხელში უკანკალებდა და სულ ფანჯარაში იტკირებოდა. მე უკვე გადაწყვეტილი მქონდა პაროლი შემეპარებინა. ამაზე უფრო ხელსაყრელ დროს როდისღა ვიშოვიდი. თანაც, ვინ იცის საღამომდე რა მელიოდა, მაგრამ ვერ იქნა და ხმა ვერ ამოვიღე. ექთანი თვალზე მოწიწებდა, აშკარად ჩანდა, ისე იყო თავმოქმედებული, მე თუ არა. პირველი ის დაიწყებდა ლაპარაკს. ასეც მოხდა.

— მაგ ბუდისს არ ენდო, არაფერი დაგტყუოს, სუშინისკის ძალღია. — მიჩურჩულა.

— რა გქვიათ, ექთანო?

— სოფია.

— მერე, სოფია, თქვენ მე რატომ შენდეთ?

— არ ვიცი... არ ვიცი. ნუთუ ყველანი ერთნაირები ხართ. — ხელი გამიშვა და ჩამოჯდა.

— ნდობისათვის მადლობელი ვარ, სოფია. ყველანი ერთნაირები ვართ... ყველანი ერთნაირები ვართ. შეიძლება ვიყოთ. მადლობთ. უცებ ჩემსკენ შემობრუნდა. თვალები ფართოდ გაეხილა, სახეზე წამოწითლებულიყო და ისე ცაბცახებდა, ცოტა არ იყოს, შევკრთი კიდევ, არაფერი წამოიყვიროს-მეთქი. ისეთ ხასიათზე დავდექი, გეფიცებით, პაროლიც რომ არ მცოდნოდა, ამ ქალს მაინც ვენდობოდი. იგი მუდარით მომჩერებოდა, ისე იყო დაძაბული, მეტის ცდა აღარ შეიძლებოდა.

— დღე-ღამე მორიგეობთ?

სახე გაუნათდა, შევებით ამოისუნთქა და კინაღამ ტირილი წასკდა, მაგრამ გულს მალე მოერიდა. შევატყუე საწყალს დიდხანია თავისიანის ხმა აღარ გავგონა.

— დიან, დღე-ღამე ვმორიგეობ, შემცვლელი არა მყავს. — მიპასუხა ხმის კანკალით.

— და ალბათ ძალიან გიჭირთ?

— ახლა ვის არ უჭირს.

— რას იზამთ, უნდა გავუძლოთ. — ავდექი, დახმარებისათვის მადლობა გადავუხადე და წამოვედი. კარებამდე მომაცილა. ოთახიდან რომ გამოვდიოდი, წამჩურჩულა, გენადი გორბი გაიცანი და ენდეთ.

...გენადი გორბი ვახშობისას გავიცანი. აქამდე იმ დაბალი პოლიციელის გარდა არავისთან მისაუბრია. ჭირიანივით გამირბოდნენ, ახლოს არავინ მიკარებდა და გვერდით რომ ჩამივლიდნენ, ჩამგესლავდნენ. იმ ბიჭების სისხლი არ შეგჩრებაო. სტეფან ბუდისი კი თითქოს მომეწევა, სულ ჩემთან იყო, ნაბიჯითაც არ მშორდებოდა და თუთუნით მამარაგებდა.

ახლაც თუთუნზე ჩამოვარდა ლაპარაკი. გენადის ვიღაცამ თუთუნი სთხოვა. ამ სახელის გაგონებაზე გულმა რეჩხი მიყო, გენადის შევხედე. მალალი, მხარბეჭიანი ვაუკაცია, ქერა, ხვეული თმა აქვს, ჭრელი, ნაღვლიანი თვალები.

თვალი გამისწორა, თითქოს რაღაც მანიშნა, მაგრამ მე ვერ მივუხვდი.

ნავახშმევს სულ უბრალოზე ამიტება ჩხუბი. მე თუთუნის ნამწვავი იატაკზე ფეხით დავასრისე. გენადი მოვიდა და მკვახედ მითხრა:

— აილე!

— აქ ყველა მბრძანებელია?

— აილე.

— შენ თვითონ გაისარჯე.

უცებ დამარტყა, ისე ძლიერად, ისე მოწყვეტილად მითქვა, კედელს მივე-ნარცხე, დავეცი და სისხლი წამსკდა.

პოლიციელებმა გადაიხარხარეს. ერთ-ბაშად მისდამი ისეთი ზიზლი ვიგრძენი, მზად ვიყავი მომეკლა, საკუთარი ხელუ-ბით მომეხრჩო. მე სისხლი მდიოდა, ის კი იღგა და დამცინავად ილიმებოდა.

თვალი თვალში გავუყარე. პოლიციე-ლები გაიხუსნენ. მე ცხვირიდან სისხლი ჩამოვიწმინდე, თითქოს მოვეშვი, თით-ქოს შევეგუე ვალახვას, ისიც ცოტა მო-დუნდა და მაშინ ადგილიდან მოვწყდი. დავეტაკე, ავწიე და გრძელ მაგიდაზე გადავაწვინე. მომჩვენა თითქოს წინა-აღმდეგობას არ მიწევდა. ჩავსცხე და ჩავსცხე სახეში, ნამეტანი რომ გავხელ-დი, დანას წავეტანე. ავწიე და, ვითომ უნდა დამეკრა, პოლიციელებმა შეჰყვი-რეს. გენადიმაც იკადრა ხელის გამოღე-ბა, წამოიწია, დანაზე ხელი მიტაცა და ამ კიწაჲ-კიწაჲში თითები გადიბასრა. ჩვენი ჩხუბი იმით დამთავრდა, რომ ორივე ექთანთან აღმოჩნდით.

ჩვენთან ერთად სოფიასთან ორი პო-ლიციელიც შემოვიდა. რა თქმა უნდა, ერთი მთავანი სტეფანე ბუღდისი ვახლ-დათ.

— ეს რაღაა, უკვე ერთმანეთს ხო-ცავთ? მართლა სისხლისმსქელები ხართ, კილყვავებივით იკორტნებით, თქვენ დაწყადით ერთ დღეს. მერე იმ ორ პო-ლიციელს დაუცაცხანა:

— აბა, მოუსვით აქედან, ისედაც სუ-ლი მეხუთება, თორემ ყველაფერს სუშ-ჩინსკის ვეტყვი, იცოდეთ. თქვენ არა ხართ ღირსი, რომ კაცმა ნამუსი შეგინა-ხოთ. თუ მართლა ვაჟკაცები ხართ და სისხლი გაწუხებთ, რატომ ტყეში არ წაბრძანდებით, პარტიზანებს მაინც შეა-

კალით თქვენი ოხერი თავები. მაგრამ იქით რას გაიხედავთ. პარტიზანების ხსენებაზე შიშით სული გვერებათ. გა-ლით ახლა აქედან, მაცალეთ მუშაობა.

პოლიციელები გავიდნენ, ეზოში სკამ-ზე დასხდნენ. მე დავინახე სტეფანე ბუღდისი ფეხი-ფეხზე შემოედო და იპურ-ტყებოდა.

სოფია დატრიალდა, ახლა იგი ნამ-დვილ ექთანს, უფრო მეტიც, ექიმს ჰგავდა. კრილობას მიხვევდა, თან მეცი-თხებოდა:

— ვინ გამოგზავნა და რა დავალება გაქვს? — ახლა მის ხმაში არც შეკრთო-მა იგრძნობოდა და არც შიში.

— რაზმის მეთაურმა და ცურანმა.

— რა აინტერესებთ?

— გვირახის გეგმა; სად იწყება და სად მთავრდება გვირახი, საგუშაგოები, პოლიციელთა და გერმანელთა რაოდე-ნობა.

— გენადი, შეძლებ?

— შევძლებ.

— მე უნდა ვიჩქარო. როგორც კი გეგმას ხელში ჩავიგდებ, გავიპარები.

— ხვალ კრილობის შესახვევად მო-ვალ. — უთხრა გენადიმ სოფიას. მე მე-გობრულად გამეკრა მხარი და გავიდა.

მეორე დღეს გენადიმ სოფიას ყველა საჭირო ცნობა და გვირახის ზუსტი გეგ-მა მიუტანა, მაგრამ მე დობრინოდან გა-მოპარვა აღარ დამჭირებია.

სალამოს სუშჩინსკიმ გამომიძახა, თა-ვის სამუშაო ოთახში მიმიღო. ჩემს შე-სვლაზე თავიც არ აუწყვია, რაღაცას წერდა.

— თქვენი ბრძანებით გამოვეცხადდი, — მოვახსენე.

კრილა თვალეები მომამტერა და მა-ნიშნა დაჯექიო.

— მაშ, გინდა გვემსახურო, არა?

— მინდა, მაგრამ როგორ? ჯერ გერ-მანელებმა მცემეს, მერე თქვენებმა. ამ-დენის ატანა ვის შეუძლია.

— პოლიციელებმაც გცემეს?

— ვილაც გენადი გორბი ყოფილა, ჩხუბი ამიტება და კინალამ ერთმანეთი დაეხოცეთ.



— დავსჯი.

— რატომ? მეც გვარიანად ვუთაქე. მერე შევრიგდით კიდეც. სხვები მგლეპივით მიყურებენ, ჩემთან ლაპარაკსაც კი არ კადრულობენ. ჭირიანი კი არა ვარ.

— ჯერ შენ არაფერი გაგიკეთებია, კომლევო, შენი გამოცდა აწი იწყება.

— მიბრძანეთ, დამავალეთ.

— პარტიზანებში რატომ არ წახვედი?

— ამაზე უკვე მოგახსენეთ, მე ხომ წითელი არმიის დეზერტირი ვარ.

— ნუ გაამხელ.

— ამას რატომ მეუბნებით. მათთან რომ მდომებოდა დარჩენა, იქნებ სიცრუე გამსვლოდა, იქნებ რაიმე მართლა მომეფიქრებინა, მაგრამ მე თქვენთან ვარჩიე.

აღვა, ოთახში გაიარ-გამოიარა.

— შენ გეძლევა საშუალება დაგკამტიციო ერთგულება. ჩვენ ერთგულებს ვაფასებთ, კომლევო. შენ შეგიძლია თავი გამოიჩინო და წინ წახვიდე. შენ წახვალ რაზმში.

— რაზმში? — პირი დავაღე, ვეცადე რაც შეიძლება მკვეთრად გამოამხატა ვაოცება და შიში. — არამც და არამც! მირჩევნია თქვენ დამხვრიტოთ, იქ გამოვებენ... იქ არ მინდა...

— წახვალ, შენისთანა დეზერტირები ახლა პარტიზანულ რაზმებში ოცეულებს მეთაურობენ. შენც ხომ ოცეულის მეთაურის თანამეგწე ხარ. რა შენი ბრალაა თუ წითელი არმია დაიშალა და განადგურდა. შენც სხვებევით უშველე თავს, ჯარისკაცის სიცოცხლე გადაარჩინე და ახლა გინდა კვლე მწყობრში ჩადგე, სამშობლოს შეეწირო და სხვა მისთანანი, აი, რა შეგიძლია უთხრა იმათ.

— ბატონო სუშინსკი, ნუ გამიმეტებთ, მე ტყეში ვერ წავალ. მე ასეთი რამ არ შემიძლია. გერმანელები რომ მცემდნენ, მათ წინაშე არ დამიჩოქია, თქვენთან კი აი, ვიჩოქებ. — მუხლებზე დავვარდი. — ვიჩოქებ და ვთხოვთ, გეშუღარებით, დამტოვეთ თქვენთან, თქვენს გვერდით, თქვენი პირადი მცველი ვიქნებ. არაფერს ვითაკილებ,

ოღონდ იქ ნუ გამგზავნით.

— აღქე, კომლევო.

წელი ძლივს ავიტანე.

— და მაინც წახვალ რაზმში. წახვალ და ეცდები მათი ნდობა მოიპოვო. მერე მე ვიცოდე და შენ. ხმას მოგაწყვდენ. იქ ჩვენი კაცია, ჯერ თვალყურს გადავენებს, მერე დაგიკავშირდება და საქმეც გაგიადვილებს.

— რომელ რაზმშია ის კაცი?

ჭროლა თვალებით გამხვრიტა.

— რემოს რაზმშია, შენც მასთან მიდი.

— ეგ არ შეიძლება. თუ გავწირე თავი, ისევ კრეზიენსკის რაზმში მისვლა მირჩევნია.

— რატომ?

— იქ ერთხელ უკვე ვიყავი. არ ჩამტყვიან, მაგრამ მაინც შემეშინდა, რალაც მოვიმიზეზე და გამოვიბარე.

— შენ ეგ ჩემთვის არ გითქვამს.

— მოგახსენეთ, რაზმის განლაგების ადგილიც ვითხარით.

— იყავი და გაიბარე?

— გავიბარე, მაგრამ რაკი მიბრძანებთ, რაკი ეს აუცილებელია, ისევ დავბრუნდები უკან, ოღონდ მარტო არ მივალ, ვინმეს გამოვინახავ და თან მივიყვან. ვიტყვარ, სოფელში იმიტომ წავედი, ჩემი ტოლებსთვის აგიტაცა გამეწია-მეთქი, თან ჩემი სოფლის ბოლოს ტყვიამფრქვევი მაქვს დამარბული, წავედებ. სუშინსკი მისმენდა, თვალებს ასირსიმალებდა და უცებ მიხვდები, რომ გადავაჭარბე, მაშინვე ვეცადე ეპვი გამეფანტა.

— მე მინდა თქვენთან არ შევრცხვე, რაკი რალაცას მავალეებთ, ჩანს შენდობით და მეც ვეცდები ვავამართლო თქვენი ნდობა. ისე სხვა ვინმე, უფრო გამოცდილი რომ შეგერჩიათ, აჭობებდა. მე საშუალოც არ დამიმთავრებია, აქ, თქვენს ახლოს იქნებ მეტი სარგებლობა მომეტანა. — რაც ენაზე მომადგა, ყველაფერი ვთქვი, მაგრამ სუშინსკი მე აღარ მისმენდა, გამტერებული იდგა და ფიქრობდა, მერე უცებ მომიბრუნდა.

— წახვალ, კომლევო, სწორედ კრე-
ზიტინსკის რაზმში დაბრუნდები, მე შენ
გენდობი და გპირდები კიდევ, რომ მუ-
დამ შენი მფარველი ვიქნები. ოღონდ
დავალბა შეასრულე, ჩვენი კაციც და-
გეხმარება.

— მე როგორღა ვიცნო იგი?

— თვითონ მოგნახავს, ახლა აქ დამი-
ცადე, მალე მოვალ. სწრაფად გავიდა
და მართლაც მალე დაბრუნდა. ამჯერად
თან გერმანელი ოფიცერი ახლდა. ოფი-
ცერმა გაძლიძა, სიგარეტი მომაწოდა
და ცეცხლიც თვითონ მომიკიდა.

— მამ ტყეში, პარტიზანებში მიდი-
ხარ, კომლევო?

— ბატონო ოფიცერო, ბატონ სუშ-
ჩინსკის ბევრი ვებეწე, ვემუდარე, არ
გამგზავნოთ-მეთქი, მე ერთი უბრალო
ბიჭი ვარ, ასეთ დიდ საქმეს უფრო გა-
მოცდილი და განათლებული კაცი უნ-
და-მეთქი. თქვენც გემუდარებით, დამ-
ტოვეთ აქ, რაც გნებავთ დამავალეთ,
გამომცადეთ.

— მშიშარა ხარ? რას კანკალებ? კაც-
მა რომ შეგხედოს, ვაქაცს გეგზარ.
მძორი ყოფილხარ. ჩვენ კი, — სუშჩინ-
სკის გადახედა, სათვალე მოიხსნა, და-
ორთქლა, ცხვირსანოცით გაწმინდა და
ისევ გაიკეთა. — მამაცები გეპირდება,
მხოლოდ მამაცები და გაბედულები. აქ
უსაქმოდ უშენოდაც ბევრი ყრია. საჭ-
მელს თქვეფენ და მერე საქონლებივით,
იკონებებიან.

— მე მშიშარა არა ვარ, ბატონო ოფი-
ცერო. — წითომ ვიუჯადრისე მისი სი-
ტყვა. — ამაში მალე დაგარწმუნებთ,
ოღონდ იქ არა.

— შენ რას იტყვი, სუშჩინსკი?

— ასეთები წინსვლაზე უნდა ოცნე-
ბობდნენ. ასეთი მომენტი ხელიდან არ
უნდა გაუშვას. ისე მაგარი ბიჭი ჩანს,
გონებაამხვილიც, შეძლებს.

— დავალბა დაუზუსტეთ და გაუ-
შვით. — აბა, კომლევო, წარმატებას
გისურვებ!

მინდოდა კიდევ მეთქვა რაღაც, მაგ-
რამ ხელი ასწია:

— ყბედობას თავი დაანებე, გასწი

და დავალბა შეასრულე. თუ ითხლი-
თებ, მიწიდან ამოვიღებ შენს სტელს
კი... რა სოფელია? — მიუხერხებლად სუ-
შჩინსკის.

— ნოვოსელსკი. — მიუგო მან.

— პო, ნოვოსელსკი, გადავწვავ, ცო-
ცხალს არავის დაეტოვებ, გასწი.

სუშჩინსკი იქვე სახლთან დამშორდა.
კარგად დაისვენე და ყველაფერი მოი-
ფიქრეო. ალბათ ხვალ ან ზეგ წახვალო.
მე ამბულატორიისკენ გავწიე. სოფია
მელოდა. ისევ ტაბურეტზე დამსვა და
ჭრიალობა. რომ გამიხსნა მაშინ ერთმა
აზრმა გამიელვა:

— სოფია, გენადის მოტანილი ქა-
ლალდი თავზე დამაფინე, თავი მაგრად
შემიხვიე, ისე რომ სისხლმა ქალალდი
არ დასვაროს. ალბათ ხვალ დამით წა-
ვალ.

— ფრთხილად, აქედან გაპარვა ადვი-
ლი ნუ გგონია.

— გაპარვა არც მჭირდება, ტყეში,
პარტიზანებთან თვითონ მგზავნიან.

— როგორ?

— სუშჩინსკიმ დამავალა, ახლა გერ-
მანელი ოფიცერიც იქ იყო ჯამუშად
მგზავნიან.

— მით უკეთესი.

— თქვენ ხომ არაფერს დამაბარებთ?

— ცურანი ნახე და მომიკითხე, უთ-
ხარი მთლად ნუ დამივიწყებს, ცოდვა
ვარ.

სოფიას გულთბილად გამოვეთხოვე,
ხვალ ალბათ ვეღარ შემოვივლი-მეთქი
და წამოვედი.

მეორე დღეს საღამოს სუშჩინსკიმ
ისევ დამიბარა და ძალზე მეგობრულად
მესაუბრა. არაფერც კი გადაამაკერეინა.
მერე გავიდა და, ისე, როგორც მაშინ,
მითხრა, აქ მომიცადეთ.

ათი წუთი გავიდა, არავინ გამოჩენი-
ლა და კარის ჭრიალი რომ გავიგონე,
სუშჩინსკი მეგონა. მოვიხედე, თავზე
ოთხი კაცი დამაღვა. სამი პოლიციელი
იყო, ერთი გერმანელი. ხელი მტაცეს და
გამჩხრიკეს. ჯიბეები გადმომიბრუნეს,
მერე ჩექმების გახდაც მიბრძანეს. გავი-
ხალე, ჩექმებში სტეფანე ბუღისმა ხე-

ლები აფათურა, მაგრამ რას იპოვნოდა, ახლა შარვლისა და ხალათის გახდაც მიაძულეს.

ნიფთავ-პერანგის ამარა ვიდექი მათ წინაშე. დიდხანს მატრიალეს აქეთ-იქით, მაგრამ საეჭვო ვერაფერი ნახეს. გერმანელმა მხარზე ხელი დამკრა და გერმანულად თქვა: ვუტ!

ტანსაცმელი ჩავიცვი და დაეჭექი. გერმანელი და პოლიციელები გავიდნენ თუ არა, სუშინისკიც მაშინვე გამოჩნდა. ხელში ეანგმოკიდებული გერმანული ავტომატი და სათუთუნე ეჭირა. თითქოს აქ არაფერი მომხდარიყოს, მოვიდა ავტომატი და სათუთუნე დიდი ამბით გადმოშვა.

— ავტომატი სრულ წესრიგშია. მათთან რომ მიხვალ, შეგიძლია დაიტრაბახო, გერმანელი მოვკალი და ავართვიო. ეს სათუთუნეც გამოგადგება. აბა, მოიტა ხელი და შენ იცოდე!

— თქვენი დიდი მადლობელი ვარ, ბატონო სუშინისკი. თქვენი ყურადღება სულ მესხომება, ოღონდ ნუ დამიფიქსებთ, იმათ ხელში ნუ ჩამტოვებთ, დანარჩენი ჩემზე იყოს. რაკი მდულარეში ვტუცე თავი, ვეცდები თმაც შემარჩეს და გოგრაყ. იცოდეთ, იმ თქვენ კაცთან შეხედრას, დაველოდები. — თავი დავეუკარი და გამოვედი.

კომლევმა ამბის მოყოლა დაასრულა, ჭრილობა ფრთხილად გაიხსნა და ასევე ფრთხილად ამოიღო რვეულის ფურცელი, რომელზეც გვირავის გეგმა და სხვა ცნობები იყო აღნიშნული, ცოტა სისხლით დასვრილიყო, მაგრამ ნაწერის გარჩევა არ გაგვიჭირებია.

კომლევს თავი შეუუხვეე, მინდოდა მეთქვა, წადი ბიჭები ნახე და დაისვენემეთქი, მაგრამ ტკაჩენკომ შემაჩერა.

— იმ კაცზე, ვინც რემოს რაზმში ჰყავთ შეგზავნილი, სხვა არაფერი უთქვამთ? — ჰკითხა კომლევს.

— არაფერი. მალე დაგიკავშირდებო. — ტკაჩენკო ჩაფიჭრდა.

— წადი, ფედია, დაისვენე, ხვალ ვისაუბროთ. ამიერიდან უფრო ცნობის-მოყვარე გახდი, ენა დამოკლუე და ყუ-

რები დაეცვი. ოდნავ საეჭვოც რომ შენიშნო, მაშინვე გვაცნობე. უსიკო ტყეობა რი. ფედია გამოგვეთხოვა და გავიღვივებოდა ცოტა ხნის შემდეგ მას მეორე ფედია გაჰყვა და, რომ დაბრუნდა, გვითხრა, სიფრთხილეს თავი არ სტიკავო, ვინ იცის ეგ შენი კომლევები იქ როგორ დაამუშავესო. სიმართლე გითხრათ. მისი ნათქვამი გამიკვირდა და მეწყინა კიდევ.

— არ შეიძლება ყველას ეჭვით ვუყუროთ. რომ შეგამჩნიოს, ბიჭს გული გაუტყდება, თქვა ჩემს მაგიერ კრეზი-ეინსკიმ.

— მაგრამ რემოს რაზმში მაინც ჰყოლიათ ჯაშუში. — თავი იმართლა ტკაჩენკომ — ისინი კი აინუნშიაც არ არიან, ხვალვე უნდა ვაცნობოთ რემოს, ან ამხანაგ სტელმასს ეს ამბავი. შენც — მომიბრუნდა ტკაჩენკო, — ნამეტანი ნუ ენდობი ყველას.

ეს კი მეტისმეტი იყო და ცოტა უდიერი სიტყვებიც ვაკადრე ფედიას. ბოლოს და ბოლოს, იგი ჩემი უფროსი არ იყო და ასეთი ტონით ჩემთან არ უნდა ელაპარაკა, მას არც ჩემს და არც ჩემი მშვერავების შემოწმებას ავალბდა ვინმე. რა უფლებით, რა საბაბით უნდა შემეტანა ეჭვი ჩემს ბიჭებში, რას ვერჩოდი მეგობრებს, რომლებთანაც ერთად ათასი ჭირი და ვარამი გადამეტანა და ვინ იცის რამდენი უბედურება შელოდა კიდევ.

თვალწინ დამიდგნენ ჩემი ოცეულის ბიჭები: კორპუშევი, ლიზუნოვი, ტარანენკო, ვასო, ბორიჩი... არცერთს მამა არ გამოვარჩევდი. მერე ასლავ შემომატებულნიც გადავჩხრიკე გონებით და დაემშვიდდი. არა, ჩემო ფედია, ჩემს ოცეულში ჯაშუში და არაკაცი არ აღმოჩნდება, სხვაგან ეძიეთ. და მაინც გაიფაჩუნა ეჭვის ჭიამ, საიდანღაც შემოძვრა, ხედ გულთან მომიხაჭუნა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან მშვიდი ძილი და მოსვენება აღარ მეწერა. იქნებ ჩემთან არა, მაგრამ ანტონის ოცეულშია ვინმე. იქნებ დორონინის ბიჭების გვერდით წევს და ხვრინავს ახლა არხეინადის გარეწარი. კრეზიეინსკი დუმს, ეტყო-

ბა მასაც გაუჩნდა საფიქრალი. მე რა-
ღაც უნდა ვთქვა, ეს დაძაბულობა ცოტა
მაინც უნდა გავანელო.

— კომლევნი სანდო ბიჭია, კომლევნი-
თანა ვაჟკაცს სიცრუე და ორპირობა არ
შეუძლია.

— ნუ აჩქარდები.

— კომლევს მე დიდიხანია ვიცნობ.

— საიდან? — დინტერესდა მეთაუ-
რი.

— ერთხელ სოფელში ყოფნისას მო-
მავითხა და საგულისხმო ცნობაც მომი-
ტანა.

— მო და რაღას ერჩი? — სული მოი-
თქვა ივან ივანიჩმა. იგი ხომ მეტად
გულკეთილი კაცი იყო: თვითიული მე-
ბრძოლი მხოლოდ თავდადებულ მე-
გობრად მიიჩნდა და ახლა შექმნილ ვი-
თარებას ძლიერ განიცდიდა, ვერ მოე-
ნელებინა, რომ რემოს რაზმში გამცემი
შეპარულიყო, რომ შესაძლებელია თვი-
თონაც არ ყოფილიყო დაზღვეული ასე-
თი შემთხვევისაგან.

ასე იყო თუ ისე, არც იმ დამეს გვეწე-
რა ძილი და მოსვენება. მე სხვების დასა-
ნახავად მივწეკი და ვცადე თვალის მო-
ტყუება, თუმცა წინასწარ ვიცოდი, ვერ
დავიძინებდი, ბნელ კარავში თივაზე შე-
საწვავი გოჭივით ვტრიალებდი. ოდნავი
გაფანტებაც ნერვებს მაწყვეტდა. უფ-
რო გულალმა ვძლებდი, ვიწეკი და ვფი-
ქრობდი. სულ მეჩვენებოდა, რომ კა-
რავში ვიღაც მოღვრებოდა და ჩემი და-
კვლა უნდოდა.

მთელი ორი საათი ვიწვრიალე. მერე
ავდეკი და შეუმჩნევლად გავიპარე კა-
რავიდან.

ტყეში გვარიანად ციოდა და იძულებ-
ბული გავხდი ჯერ ადგილზე მეტუნა,
მერე ხელებისა და ფეხების ქნევას მოე-
ყოლოდი, რაღაც ვარჯიშის მაგვარს ვა-
კეთებდი, მაგრამ ვერა და ვერ გავითბე
ძვალი, რადგან მე შიგნით, სხეულის
შიგნით მციოდა, თვითონ სული გამთო-
შოდა და სულს ხელებისა და ფეხების
ქნევით გაათბობ?

ნაძვის ძირას ჩაეჯეკი, თავზე ხელები
შემოვიწყე. უცებ ნურავინ განმსჯის,

ნურც გამამტყუნებს და, მაშინ ასეთი
რამ ვინატრე:

თუ ჩვენს რაზმშიც არის მარშატი და
მოლაღატი, ღმერთო, ჩემს ოცეულში
ნუ იქნება და თუ გინდა ჩემი ყველაზე
ახლობელი, ჩვენი პირველი რაზმის კო-
მისრის ანტონ სუხოლოდსკის გვერდით
აღმოჩნდეს-მეთქი. არ ვიცი რა დამე-
მართებოდა, რომ მზევერავთა შორის
ვინმე გამცემი კი არა, საეჭვოც აღმო-
ჩენილიყო. ჯერ ერთი, ფედია ტაჩენ-
კოს დამცინავ ღიმილს, რა აიტანდა და
მერე სტელმახს ან ცურანს როგორ გა-
ვეუსწორებდი თვალს.

ვიჯეკი და ვფიქრობდი, ისევ და ისევ
ვიწეებდი ბიჭების „შემოწმებას“. ისევ
და ისევ ცალ-ცალკე ვესაუბრებოდი
მათ. ათასგვარ შეკითხვებს ვაძლევდი,
ამხანაგებთან თუ უფროსებთან ყოვე-
ლი მათგანის დამოკიდებულებას ვიგო-
ნებდი, გულს სასწორზე ვღებდი და თა-
ნდათან ვმშვიდდებოდი.

არა, ეს არ მოხდება, ეს არ შეიძლება,
მოხდეს. ჩემი მეგობრები ამ ექვის ღირ-
სნი არ არიან, უსინდისობა იქნებოდა
რომელიმესთვის მრუდე თვალით შემე-
ხედა.

ასეთ ცოდვას ვერ დავიდებ, ასეთი
რამ დანაშაულია.

კი, მაგრამ, ვთქვით და, მზევერავთა
ოცეულში სულ წმინდანები არიან, სულ
ღარჩეული, სულითა და ხორციით ძლი-
ერი ვაჟკაცები, — მეუბნება მეორე გუ-
ლი. — შენც თავი ქულში გაქვს და არა-
ფერს ნადვლობ? იქნებ დაიტრაბახო კი-
დეც, ესაო და მზევერავთა შერჩევის
დროს მიყურეთ რა სიფხიზლე გამოვი-
ჩინეო. ეს გაკამყოფილებს? ეს საკამა-
რისია?

შენ ხომ მზევერავთა ოცეულს მეთაუ-
რობ, შენ ხომ რაზმის ყოველი წევრის
შემოწმება გვეალება. თუ ღმერთი გა-
წყრა და რაზმში მოლაღატეა, სწორედ
შენ იქნები დამნაშავე, ჯერ შენ და მე-
რე სხვა.

დამნაშავეო. რა ადვილი სათქმელია!
მერე და რატომ? რატომ მაინცა და
მაინც მე უნდა მომიტყოს ჩირაქი? აქ

ბოიკოა, — ბრიგადის მეთაური, აქ კრეზიტინსკია და კვირაში ერთხელ სტელმახიც მოდის, რაღა მე უნდა მეცენ უელში?

ასე ყოფილა, კაცი საკუთარ გულთან იღავეს, იჩხუბებს და ბოლოს იმ მოკამათე მეორე გულს იმით დაამშვიდებს, რომ ხეალ ყველაფერი რიგზე იქნება, ყველაფერი თავის გზით წავა. თუ რემოს ვილაც ოხერი შეეპარა რაზმში, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, ეს შესაძლოა ერთ-ერთი შემთხვევაა, გამონაკლისია და წინასწარ თვალების დათხრა სისულულაა.

სიცივემ ამიტანა, წამოვდექი და ის ის იყო კარავში შესვლას ვაპირებდი, რომ ფეხის ხმა მომესმა. ნაძვს ავეკარი და, ცოტა არ იყოს, შიშაც შემეპარა. რატომღაც ვიფიქრე, რომ ახლა გამცემს შევხვდებოდი. აბა, ამ შუალაშით. ასე ქურდულად ვის შეეძლო მოსვლა. დავიძაბე, ყურები დავცკვიტე და თვალეზივად გავიღმე. მაგრამ ვერც ვერაფერს ვხედავ და არც არაფერი მესმის. ფეხის ხმა მიწყდა. ნიავეც არ იძვროდა, თორემ ვიფიქრებდი ფოთლების შრიალი იყო-მეთქი. ნაძვს მაინც არ მოვშორებოვარ, კიდეც უფრო ავეწებე და გავილურსე. აღარ მცია. მცია კი არა, დამცხა და ოფლმაც დამსახა. ასე ვიყავი გატრუნული კარგა ხანს, მერე სულ ახლო ვილაცამ ჩაახველა. მების გავარდნასავით მომესმა ეს ჩახველება. მალე ისიც გამოჩნდა, რომ მომიახლოვდა ანტონ სუხოლოლსკი ვიცანი, დავუძახე, მოვიდა და იქვე ჩემს ფეხებთან ჩაქდა, მეც ჩაეჭეტი.

— თუთუნი მომაწვევინე. — მითხრა. მე წინასწარ გამზადებული ქაღალდი ამოვიღე, ზედ თუთუნი დავყარე და მივივი.

- რატომ არ გძინავს? — ვკითხე.
- შენ? შენ რაღას აკეთებ აქ?
- მე? მე შენი ოცეულის, მთელი რაზმის მაგიერ ვფხიზლობ.
- აბა, გასაგებია.
- რა არის გასაგები?
- კვი ერთი, გაჩუმდი. შენ გეხუმრებ-

ბა და მე ჩემს გულს ვასკედები, ვერ არის კარგად ჩვენი საქმე — ამოიფრქვა ნულოვანი — ისეთი რა მოხდა, შეგაცნობი რა მოხდა, გამცემი და მოლაღაც ომს თან ახლავს. ეს არ გაგიკვირდეს. რაო, კრეზიტინსკიმ ხომ არაფერი გითხრა?

— გამაფრთხილა, ყოველ მებრძოლზე პასუხს აგებო.

— უყურე შენ, მერე მაგას დარდობ? ნუ გეშინია, ათას ხატზე დაეფიციებ, რომ ჩვენს რაზმში ასეთი რამ არ მოხდება. კიდეც რომ მოხდეს, ნურავინ გაიოცებს. ისე, სიმართლე რომ თქვას კაცმა, ეს შემთხვევა უკუის სასწავლებელი კია, აწი უფრო გამოვიჩხრეკეთ ყურებს.

— ნამეტანი ბევრი და ჭრელი ხალხი შემოყარეს რაზმში, ეშმაკმა უწყის ვინ არიან, ან აქამდე სად იყვნენ, რას აკეთებდნენ?

— ხალხი უნდა მოვიდეს, ანტონ, უამისობა არ შეიძლება, თურმე ტაჩინკო მართალი ყოფილა, ხომ გახსოვს როგორ წურავდა ახალმოსულებს, ჩვენ კი გულში გვეციენებოდა.

ანტონმა კბილები დააღრჭიალა, მე გამეცინა.

— რა გაციენებს? მე გაგიყებას აღარაფერი მიკლია და შენ იცინი? — ადგომა დააპირა, ხელი მოგვიდევ და ისევ თავის ადგილას დავსკვი.

— ნუ იღრინები, ანტონ, მე შენზე მეციენება.

— რა მინახე მე სასაცილო?

— კი არ დაგცინი, მეციენება და ვაცკენი, რომ ტყუილების გულა ხარ.

— შეიშალე?

— არც ვაპირებ. შენ კი ტყუილი არ უნდა გეთქვა. ხომ გახსოვს, ერთხელ რომ მითხარი, კბილები ყინულზე სრილის ღროს ჩავიმტვრიეო. განა ეს მოგონილი არ არის? დამაცადე და აგისხნი. შენ აღბათ ოდესღაც ვინმემ გაწყენინა, შეიძლება გვარიანადაც გითაქა, შენც კბილები დაახრჭიალე და ჩაგველწა.

ანტონმა არაფერი თქვა, ამით მაგრძნობინა, ნუ ლაყბობო.

— ჩემს ოცეულში გამცემი რომ აღ-

მოჩნდეს, თავს მოვიკლავ — მითხრა მან.

— ყოჩაღ, ვაჟაკური გადაწყვეტილებაა, მაშინვე ძეგლს დაგიდგამენ.

— მე ორნაირად განვიცილი ამ ამბავს. თქვა და შემომხედა კიდეც. — შენ ვიცი გამიგებ, უნდა გამიგო, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ. მითხარი, რა უნდა ვქნა, გამეცი და მოლაღატე ჩემს გვერდით რომ აღმოჩნდეს? მე არ ვხუმრობ, საშა, მოვკლავ და თავსაც მოვიკლავ, ეს ერთი, ნორე — თუთუნი ნელა შეახვია, მოუკიდა. — მეორე... არ მინდა, რომ ის ქალათი ბელორუსი იყოს, არ მინდა.

— მესმის, ანტონ. მესმის შენი გულსტიკივილი, მაგრამ ახლა ყველაფერს უნდა შეეგუო. ვანა პოლიციაში ცოტა ბელორუსია? ეს ნუ შეგაშფოთებს. „თითო მახინჯი ყველა ოჯახშია“.

— მირჩევნია ის მახინჯი პოლიციაში ეგდოს, თოფით ხელში წამოვიდეს ჩემს წინააღმდეგ, საკუთარი მშობლების წინააღმდეგ, მაგრამ ქვემორმობა, რაზმში შემოპარვა და აგენტობა?

— ეს ერთი და იგივეა. ომმა გაიძვერებიც წარმოშვა და გმირებიც. ეს მაღალფარდოვანი სიტყვები არ მიყვარს, მაგრამ ახლა დარწმუნებით გეტყვი, გაიძვერები და მახინჯები ერთეულები არიან, გმირები კი — ათასები. ეს უნდა გახარებდეს და გაამაყებდეს. ანტონმა თუთუნის ნამწვევი მოისროლა.

— ხვალ მართლა მოვლით სტელმახს?

— არ ვიცი, ჩემთვის არავის უთქვამს.

— სულ მარტო დანდის ეს კაცი, არაფერს ეჭიდება, ვინმე რომ გამოჰყვეს და ზურგში ესროლოს?

— ბევრჯერ ვაგაფრთხილეთ, ჩემო ანტონ, მაგრამ ყურიც, კი არ გაუპარტყუნებია. სხვა ჩვენ რა შეგვიძლია, უფროსი და ხელმძღვანელი ის არის.

— წავიდეთ, დავიძინოთ.

— წავიდეთ. ძილი ნებისა, ანტონ.

— ძილი ნებისა!

...დღილით სტელმახი და ცურანი მართლა მოვიდნენ. ამჯერად კრუზიჩინსკის კარავში არ დაგვიძახეს, ტყეში, მოფარებულ ადგილას შეგვკრიბეს. კომლე-

ვის ამბავი გულდასმით მოისმენა კლამა და კმაყოფილიც დარჩა. მერტვისიც ვუთხარით, რემოს რაზმშიც გამეციებოთ. შეწუხდა, მთელი ხუთი წუთი იარაზურგზე ხელუბდაწყობილი დალაჩებდა ნაძვიდან-ნაძვამდე.

— ნუ გაახვიანდებთ, — თქვა ბოლოს. — ნურავის ეტყვიოთ. ამ ამბის გახმაურებას სჯობს თვალი უფრო გაახილოთ და ყურიც გამოიჩინოთ. ჭკუის სასწავლებელი შემთხვევაა. ფიცის მიღება კი, — გადმომხედა — საპირველმართოდ უნდა მოეაწყოთ. დობრინოს პოლიციელთა გარნიზონზე თავდასხმას ალბათ უახლოეს დღეებში ვეღარ მოვახერხებთ. კომლევე გააფრთხილეთ, სიტყვა არავისთან წამოსცდეს. თუმცა მას მე თვითონ მოველაპარაკები. ფიცის მიღება აუცილებელია და ნულარ გადავდებთ.

სიტყვა არავის უთქვამს, შეკრება ამით დამთავრდა. თვითონ სტელმახს სხვა არაფერი უკითხავს და არც ჩვენ ვიყავით ლაპარაკის ხასიათზე.

მე ლეონ ცურანი გავიხმე და სოფია ექთანის დანაბარები გადავეცი.

... გათენდა პირველი მაისი. 1942 წლის პირველი მაისი.

დიდებული დილაა, ჩახჩახა მზე, ათქვირებული ბალახისა და უკვე დაფოთილი კვირტების სურნელი და ნიავი. საოცარია, სადღაც მინდორში იქნებ ბალახის ღეროც კი არ ირჩევა აქ, ტყეში კი მულამ ჰქრის სიო და მე მგონია, რომ ტყე თავისი განსაკუთრებული ცხოვრებით ცხოვრობს. აქ სულ სხვა სამყაროა, თავისებური, ტყისებური.

მიწას გაზაფხულის ოსშივარი ასდის, ყველაფერს საზეიმო ელფერი დაჰკარავს, მაგრამ ყველაზე მეტად დღევანდელი დღით თვით პარტიზანები არიან გახარებულნი. პირი გაუპარსავთ, ტანსაცმელი წესრიგში მოუყვანიათ, დახეული ფეხსაცმელი შეუკეთებიათ და ზოგიერთს გიმნასტურაზე თეთრი საყელოც გაუკეთებია.

ბიჭები უფროსების ბრძანების მოლოდინში ჩგუფ-ჩგუფად ისხდნენ, თუ-

თუნს ამოღებდნენ და ღიღინებდნენ. სამაისო სიხარულს მაინც ახლდა შხამი. წუხელ დორონინის ოცეული საბრძოლო დავალებით იყო წამოსული, ბოგუშევსკის მახლობლად ჩასაფრებულან. ორი სატივითო მანქანა აუფეთქებიათ. ნადვლიც საკმაოდ მოიტანეს, მაგრამ ორი მებრძოლი, ორი ლიონია, პეტროვი და კამუშკინი მოუკლავთ.

დორონინს მხვერავი — კოლია ბორჩი ახლდა, ისიც დაჭრილია. კოლიასთვის პირველი დახმარება იქვე აღმოუჩენიათ. ბანაკში ექიმმა ტიხონოვმა გასინჯა, მკერდის არეში ჰქონდა ტყვია მოხვედრილი.

ექიმმა ჭრილობა ხელმეორედ შეუხვია და უბრძანა დაწეკო, მაგრამ კოლია ახლა დახოცილი ბიჭების ახლო იჯდა და თუთუნს ეწეოდა, არ იმჩნევდა. თორემ ჭრილობა ძალიან აწუხებდა. ბორჩის ჩვენი ბიჭები შემოეხვეივნენ, წუხანდელი ბრძოლის ამბავი აინტერე-

სებთ. კოლიას სიმწრის ოფლი სდის, მაგრამ ბიჭებისთვის პასუხისმგებელი მაინც ეზარება.

ორი ლიონია ძმებივით იწვნენ ბალახზე, გეგონებოდათ სძინავთო.

გუშინწინ ღამით სტიოპა, ვასო, ვალოდია და ალიოშა ძია გრიგორის საფლავეზე მახლდნენ. მინდოდა არყისხის ნერგი აქვე შემერჩია და თან წამელო, ბიჭებმა დამიშალეს. არყისხეს იქვე, ახლო ვიშოვითო, ამ სიშორიდან რატომ უნდა ვათრიოთო.

მართლაც, სასაფლაოსთან მისვლამდე, ტყეში, ასე, ჩემ სიმაღლე არყისხის ნერგი ვნახეთ, წინასწარ ნაგულვები ბარით ფრთხილად ამოვგლიჯეთ და წავიღეთ მე შიში გამოვთქვი ვაითუ არ გაიხაროს მეთქი. ვალოდიამ დაგვარწმუნა, არყისხე სიცოცხლისუნარიანიაო, აუცილებლად იცოცხლებსო. არყისხე გრიგორი ბობორიკოს საფლავეზე დავრგეთ. სტიოპამ საფლავი გაწმინდა.

(გაგრძელება იქნება)

გიორგი გუსთათი

მ ქ ზ მ ბ ე რ მ

უზესთავსო, შენს დიდებას მიუძღვენ ღექსი,
ამოფრენილი გულიდან და არა ყელიდან,
ძალა, გონება, მსურველება, რაც კია ჩემში,
ანთებულა სიყვარულით და სიმღერითა.

რაწამს გვეწვევი, შენ ნათელი ვითარ ღიმილი.
იმ წამს მშორდება მკმუნვარება და სიმძიმეილი.

შემოდგომის ჭამს,
ჯამს კედომისა და ჯამს წასვლისა,
ფერი ყვითელი ქვითინებდა სიმღერას გედის,
მაგრამ შენ განნდი,
მწუხარების ფესვი გასრისე
და შეანგრიე სიკვდილის მკერდი.

სწორედ იმ დღიდან, შენ ნათელი, როგორც ღიმილი,
დადიხარ ჩვენში და შორდება გულს სიმძიმეილი.

სწორედ იმ დღიდან შენმა დროსამ თოვლი გაკვალა,
მწამს მომავალში მთვარეს შენი ხელი მისწვდება,
სწორედ იმ დღიდან გვეცხადები ბედის ვარსკვლავად
და პირველი დღეც გაზაფხულის შენით იწყება.

რაწამს გვეწვევი შენ ნათელი ვითა ღიმილი,
იღვრები ჩემში და შორდება გულს სიმძიმეილი.

გიორგი გუსთათი, დიდებულად მოქართულე ოსმა პოეტმა, თავს იღო მძიმე და საპატრიოტური, თარგმნა ვენიალური რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და კოსტა ზეთაგურაძის ხალხის ლიტერატურა დაამწვენა მსოფლიო შედეგით.

ნიშნად დიდი მადლობისა, მე ვთარგმნე ახალგაზრდა პოეტის გიორგი გუსთათის ღექსები და მორიდებით ვთავაზობ ქართველ მკითხველს.

ჩამქრალი ვარსკვლავები

შენი თვალები,
სევდიანი ორი მერცხალი,
გაფრენილი და ფრთაგაშლილი ორი მერცხალი,
მოწყენილნი და მოქანცულნი სხედან ყინულზე,
სპილოს ძვლისფერ და ელამ ყინულზე.

შენი თვალები,
ვით ჩამქრალი ორი ვარსკვლავი,
მათ ფსკერზე სძინავს
საუკუნის ორ წყვილად ღამეს.

შენი თვალები,
სევდიანი ორი მერცხალი,
გაზაფხული რომ გადაეჭრათ
უმკაცრეს ზამთრად.

შენი თვალები,
ვით ჩამქრალი ორი ვარსკვლავი,
რომელ ცაზედაც ამოერთო სხივამოფრქვევით —
ახლა იმ ცაზე ღრუბელია, სხვა არაფერი.

შემძლოს ნეტა,
შემძლოს თუნდაც სიცოცხლის ფასად,
სევდიან მერცხლებს კვლავ გაზაფხულს დაეუბრუნებდი!

შემძლოს ნეტა,
შემძლოს თუნდაც ყველაფრის ფასად,
ორ ჩამქრალ ვარსკვლავს,
მწუხრის ღრუბელს მოვამორებდი.

ს ი ნ ა თ ე ე

გაირინდა და დამუნჯდა ღამე
დაგანებულა ფრთებქვეშ წყვილიადი...
ცაო, ნუგეშად მითხარი რამე
და ჩამახსივე კვლავ განთიადი.

ჯგერზე გაკრული ვუყურებ წყვილიადს.
ვაც სიცოცხლეო,
ნუთუ გამწირე,
თუ სულში შენი იმედი ბრწყინავს,
შენი უკედავი ხმა მომაწვიდინე!

ვერაფერს ვხედავ, არარა მესმის,
ვერძნობ ვერაფერს და არ მაქვს გაგება,

დაგუბებული ფილტვებით ვკენესი
და ცრემლები მყავს ამხანაგებად,

ჩუმად,
გამოჩნდა სიცოცხლის სხივი,
ღამე გაფრინდა ავსიზმრიანი,
როგორც მამალი ცისკარი ყივის
და მთებში დილა არის მზიანი.

ჩემს სხეულშიაც სინათლე ზეცის
მოდის დგაფუნით და შადრევნებით,
ეუყურებ ჩემს ხალხს,
მაღალს და შეცვლილს,
მზის კურთხევით და შაქარმტვენებით.

მაგრამ თუ ძაძა აცვია ვისმეს —
იმ უკუნ ღამეს დარჩა ბუმბული...
ქორწილი ცისკრის სიმღერას ისმენს
და სიყვარულზე გალობს ბუღბუღი.

სიხარულს ვუკმევ სამოთხის წამებებს...
ისევ ვანთივართ, ზიზღილით...
ისევ ვჯანმრთელობთ,
ჯანდაბას იქეთ უკუნი ღამე,
შენ გაგიმარჯოს დღეო ნათელი.

ჩაიხ არ იცი ნუ წამოგცდება

ჩაიხ არ იცი ნუ წამოგცდება,
მე წუთისოფლის ბრუნვამ დაშლალა,
იოლად ნუ სთვლი ფიქრს და ოცნებას,
ადრე გამიჩინდა თმაში ჭალარა.

ადრე გამიჩინდა თმაში ჭალარა.
და წლებით შუბლიც გადახსულია,
მე გაზაფხულზე უმალ მახარეს,
რომ ამა ქვეყნად
არამარტო გაზაფხულია.

შენ ამბობ: ნაპირს გაველ მხარულით,
რომ შენ იტყვი და თოვლი გადნება,
შენ ამბობ: გული ძვერს სიხარულით,
ძვერს, მაგრამ განა სულ უდარდელია?

ვთქვით, რომ შენ მთაზეც ახველ
მშვიდობით

და ერთხელაც არ დაგიცდა ფეხი,
მაშ გაზაფხულზე, ეამს ყვავილობის,
რალა დიდ მუხას ეცემა მესი?

საოცარია, რომ დღეს ცხოვრობდე
და ვერ გაზომო კაცის სიმაღლე,
ისე არაა სულის ცხოვნება —
თუ გაჭირვებაც არ დაინახე

ჩქარ მდინარეზე გადის ჩვენი გზა
და ფონის ძებნა არის ხირცხვილი,

ზოგის წისქვილი მხოლოდ მღერის და
ოქროს ფქვავს ძმაო ზოგის წისქვილი.

თუ შენი სული იქნება პრიზმა
ნათელთა, ბნელთა, შუქთა საწური,
შენი სიმღერაც მოხვდება მიზანს,
იქნება ქველი და ვაგაკური.

მაშინ დასცინებ გულხარბ მეფეებს,
დასცინებ შურს და უკაცურობას.
ვინც შეგხვდა ყალბად და მოგუფერა —
ნისცემ მდინარეს როგორც ხუმრობას.

ერთ დღეს იხილავ, მაღალს, კაცურ კაცს,
გაიხარებ და ზეცას ეწვი...
ნახავ ნაპირზე ვინც ვერ გასცურა.
ვისი გზაც იყო სულ მთლად ეწერი.

ვილაცას შრომა დაუფასდება,
მისი მზის სითბო შენც წაგეწვევა,
უცბო სოფელში ნაღმი გასკდება
და სხვისი გული შენ დაგეწვევა.

მაშ ასე, ძმაო, ნუ წამოგცდება —
წუთისოფელმა რომ ვერ დაგდალა...
იოლად ნუ სთვლი ფიქრს და ოცნებას —
მან გამიჩინა თმაში ჭალარა.

ი ლ ი ა მ ბ ა

გიომკაჟიანი რომანი

უცხოეთში

საგურამოში ილია თათრულ ქედს იხერავდა. ქული მუქიშინდისფერისა იყო.

ოღლა უშლიდა, არ გიბდებო, მაგრამ მაინც არ ელვოდა, ზანა შნოსთვის, სითბოსთვის, უბარიაო. მზისაგანაც იცავდა.

აი, წიწამურის ხევში ილია ლოდზე ზის და მარჯვედ მომუშავე გლეხებს უყურებს. წიწამურში ძველთაგანვე ხმა დადიოდა, ამა და ამ ალავას განძია ჩამარხულიო, ილია დაინტერესა ამ ამბავმა და ხშირად ფიქრობდა, ვინ იცის, ჩვენი მეფეთა რა ნაწერი და რა ნიჭი აღმოჩნდესო. იმ დღეს იწათა თუ არა, შეგდა ცხენზე და, გლეხების მისვლამდე, წიწამურში გაჩნდა. ადგილმდებარეობა შეათვლიერ-შემოათვლიერა, ტყვილად კი არ უსწავლია უნივერსიტეტში მიწათმოქმედება, ვასინჯა როგორი მიწა იყო და რა ქანებისაგან შესდგებოდა. შემდეგ ვარაუდით მოხაზა სათბრელი ადგილი. ამასობაში ილო, ჩალაურმა ხეთი კაცი მოიყვანა ბარ-წერაქვევბიძა.

გლეხებმა მიწას ჩაბა-ჩუბა აუყუენს. ვაჩაღდა მუშაობა. ილიამ ცხენი ბალახზე მიუშვა, თათრულა შებლზე ჩამოიწია და ლოდზე ჩამოყდა, მაგრამ ასე დიდხანს ვერ გაჩერდა, წერაქვი აიღო და ჩალაურს გვერდში ამოუდგა.

ურთხანს მარჯვედ იმუშავა, მალე სენთქვა შეეყრა, ასთმა სწრაფი მოძრაობის საშუალებას როდი აძლევდა. ჩალაურმა წერაქვი გამოართვა.

— ეს ოხერი, თქვენთვის კი არ არის ვაჩენი-

ლი, ეს ჩვენი იარაღია, ჩემითანა კაცს უნდა ეკიროს ხელში და არა შენითანას.

— თვალი დაუდგეს ავადმყოფობას, თორემ გიბვენებდი ამ წერაქვის ნაბერწყლებს! — უთხრა ილიამ და ცხვირსაბოცი ამოიღო ოფლის მოსაწმენდად.

მზემ დააცხუნა, სიცხეში ილიამ ჩასთვლია.

— ბატონო! ჩვენა ვმუშაობთ და თქვენ რაღად სწუხდებით, მიზრძანდით ემანდ, ახლო, კარგი მწეანეა და იქ დაისვენეთ! — უთხრა ჩალაურმა.

— არ მინდა რო დავიძინო, ბიჭო, იქნებ რამე გამოჩნდეს მა მიწაში! — მიუგო ილიამ.

— თუ კი რამე გამოჩნდება, ღმერთი იყოს თავდები, რომ ჩვენი არას დაგმალავთ.

— არა, ბიჭო, მე იმას კი არ ვაპბობ, რომ თქვენ დამალავთ. მე ის მინდა, რაც გამოჩნდება, გამოჩენისთანავე ჩემის თვალთ დაეინახოს.

იმ დღეს მაგრად იმუშავეს, არც მეორე დღეს დაუსვენიათ, მაგრამ მესამე დღეს ილიამ თვითონ აიყარა გული, ფიქალო ქვებას მერტი არაფერი არ გამოჩნდა. ილიამ ხელი ჩაიქნია, იქ არავითარი განძი არ ყოფილაო და ბრძანა შეეწევიტათ მუშაობა... ის ორიოდე ფიქალო ქვა კი მოეწონა, ეზოში ამოატანინა და დაბურთულ კაყლის ხის ქვეშ მავიდებლად გაამართვინა.

— ხომ კარგია, რას იტყვი, მარტი? — ჰკითხა ილიამ ახლობელ გლეხს.

— კარგი რომელია, ბატონო, წელუბა დავიწვევიტეთ განძის ძებნაში, ეს ლოდები რიში მატნისია?

— გწყინს რომ არ დაეჭვებო?
— განას მიწაში უსახელო ზედ ეფაფრება, ადამიანს ვინ აჩვენებს.

— აქი პოლომენ და ამოაქეთ?

— რა ეცი, ბატონო, ჩემი სიცოცხლე მიწას ერჩინე, მავრამ ზებერებებს მეტი არაფერი მას-სოვს მისჯან.

— მართალი არა ხარ, მავრამ ამის ეხლა თვით დავანებოთ, ამოდო ჩემთან აბაზანა ვამთბარია, რიგინად ვიბანათო!

— გამაღობო, თქვენ ისამოვნეთ.

— რატომ მე? აბაზანა შენც გვეუთვნის. შენ თუ არა, ის მე არ შექნებოდა.

ილია ყოველთვის ყურადღებითა და გულს-ყურით ეკიდებოდა გლეხის სატყვესა და მოსა-ზრბებს... სავერამოში სახლი რომ აშენა, მესამე სართულად ერთი ოთახი გაამართინა, ეს ჩემი სამუშაო კაბინეტი იქნებოდა. შემდეგ ამ ოთახს კიდევ მოაშენა პატარა სადგომი. აქ აბა-ზანა უნდა ყოფილიყო, მიღები და მოწყობი-ლობა მოიტანა, თბილისიდან სპეციალისტებიც ამოიყვანა, რომლებმაც რაღაც წერეს, ზომეს, ინაგარიშეს და მერმე მოახსენეს:

— ვერაფერს გავხდებით, წყალი ამ სიმაღ-ლეზე არ ამოვა.

ილიამ ეს სპეციალისტები გაისტუმრა და და-ღონებულმა მარტიას უთხრა:

— საქმეს არაფერი ეშველება, ე მიღებს მია-ნე ნუ გავაფრქვებთ, სარდაფში ჩაიტანე.

მარტია საზრიანი შეურნე იყო და, როგორც არტემ ახნაზაროვი წერს, ილიას უთხრა:

— ბატონო, ე მაგათი ნურა გჯერა რა, ე ქა-ღალღზე დაბღაჯით როგორ გავიგეს წყალი ავა-თუ არ ავა მიღა, თუ ამ მიიღვან ამ სიშო-რებზე დაქანებული ჩამოდის, შენი ჭირიმე, ამ პატარა მანძილზე რატომ აღარ უნდა ავიღებ-დამიჭერეთ, ბატონო, მიღები დავუწყეთ და ნახე თუ არ ავა.

ილიამ დაუფერა, უბრალოდ მუშებს მიღები გა-ეყვანათ და წყალი მოეშვათ. როდესაც მუშებმა ეს ბრძანება აასრულეს, წყალი შესამე სართუ-ლში მშვენივრად ავიდა.

— ახლა კი, ბატონო, ძალიანა ვთხოვთ, ი სპეციალისტები გე მოიყვანო და ერთი რიგია-ნად იბანათ.

— კარგი, ჩემო მარტია, თხოვნას ავასრუ-ლები!

მეორე კვირას ილიამ ის სპეციალისტები ჩა-მოიყვანა, დიდად ეიცათ, გამართული აბაზანა, ისევე მიუხსნდნენ მაგიდას, ისევე წერეს და ინა-გარიშეს, და ბოლოს დარცხვენილუბმა, განა-ცხადეს, გამაანგარიშებამში შეცდომა შეგემა-რეთაო.

— წიშო, ჩემო მარტია წიშო! — ილიამ ზე-ლი ვაღახვია მარტიას და აბაზანისავე წი-ყვანა.

ილიას ძალიან მოსწონდა ახალი სახლი და თავისუფალ დროს იმოყვანა თუ არა, მაშინვე

სავერამოს მიამუშავებდა. აქ, ამ შოთსა და პა-რის ბუნების წილში ლანდჷ (სავერამოს) არ-ტურ ლანტი ასე ვაღმარებდა: „მე ვამბავს: „ყმაწვილური აღტაცებით... მოთხრა: ისე მოხა-რული ვარ ამ საქმის კეთილი დავერგვიწინებია, ამ მშვენიერი სახლისა, თითქოს ჩემს სიცოც-ხლში ამის მეტი არა გამეყვებინა რა.“

— დაად, ეს სახლი ერთ კარგ ლექსად ღირს, მეტად არა! — მივეუბ მე.

— მეტად არა? — დამოღობ მეოთხა ილიამ.

— რასაკვირველია ბირიჭით, მე მეოთხა, თქვენი „მშენებრი აღაზნის ველზე“ უფრო მე-ტად ღირს. როცა ამ სახლის ქვეც კი აღარ დარჩება, ეს მშვენიერი ლექსი, მაშინაც მოხი-ბლავს როგორც ქართულს, ისე უცხოელს მეთქი“ (იველისსმება ალბათ, „აკო ყაჩაღის“ შესავალი, კ. გ.).

და ამ სახლი 1900 წელს ილია დასასვენებ-ლად ჩამოვიდა. იენისმა ფეხი შემოღდა და სი-ცხებიც დაიწყო, გრილოდა მხოლოდ ზედა სართულის აივანზე, ქვევით, კაქლოს ხის ქვეშაც, პაერი ამიერადა, მავრამ ილია სულის მოსათ-ქვამ ადგილს ვეღარ პოულობდა. ავადმყოფო-ბამ იმძლეავრა, ყელში რაღაცამ წიქვითა და სუნთქვა შეეკრა. ასე ხშირად ემართებოდა, მა-გრამ სატყვეას თავს არ უღებდა. იმ ღამეს ფეხებიც დაუსოგდა და გულც ქვესავით ჩამო-ეკიდა. ახლა კი ეუღად არის ჩემი საქმეო. გა-იფიქრა, წვეულები დალია და ღია ფანჯარასთან ტახტზე წამოვიდა.

ოღლა შინ არ იყო, დის ავადმყოფობის ამ-ბავი მოუვიდა და ბაჭოში წვიდა, ახლა დეპე-შის გაგზავნა და გამოხმობა ეუბერებულა ილიას და ისევე მეგობრის შექმნება ამქობინა... ნიყო ცხვედაქეს მისწერა. ეუღად ვარ და ექიმი მო-მამეველიო. შემდეგ მსახური ვაღვინა და უბ-რძანა, ახლავე მეტრლე მომიყვანეთ.

გამოძლინებული მეტრლე თეაღების ფშენე-ტით შემოვიდა.

— შვილო, ცხენები შეაბი და თბილისში გა-ფრინდი, ეს წერილი ნიყო ცხვედაქეს ვადაეცი და შემდეგ ის ვეტყვის რა უნდა ვაყვეთო. აბა, ჩქარა, გზაში არსად დაყოფნდე.

ჭერ ისევე ბნელოდა, ეტლი რომ ჭიშკარში რახრახით ვაიდა.

დიდაზას არ გათენდა, ილია ფანჯარასთან იწ-ვა და უუფრებდა თუ როგორ ეპარებოდა შუქს სიბნელეს, როგორ იცრაცებოდა ღამე.

შალე ვაიღვინა სოფელში. ილიას კარმიდამო-ში კი ისევე ებნათ, მხოლოდ დაბიელ მასლოვი ამდგარიყო და ენოში ლანდვით დადიოდა.

ილიამ მინაზე დააყენა, მასლოვა რომ ახედდა, ზელი დაუქნია, ამოდო.

— დილა მშვიდობია, ბატონო! — მისალმა მასლოვი.

— რაღა მშვიდობა, ჩემო დანიელ, ავადა ვარ! — ეუბ თქვენი მტერი იყო.

— არა, დანიელ, მტერი კარგად უნდა იყოს,

რამ კარგადაც მებრძოლს, გამამწაროს, ვა-
პაოცხლოს.

— რა ვიცი, ბატონო, თქვენი საქმე თქვენ
უკეთ მოგეხსენებათ. რამეს ხომ არ მიბ-
ჩანებთ?

— ჩემთან იყავი, მარტოობამ სული ამოხადა.

— მარტოობა ადამიანის მტერია, — მიუგო

მასლოვმა — ცუდ ღროს წაბრძანდა კენიანი.

— რა ექნა, იქაც უჭირთ.

მასლოვმა საფერფლეს რომ დახედა, ჰკითხა:

— წუბუნის გემინათ?

— არა!

— რა დავაძინებდათ, ამდენი პაპირისი მო-
ვიწყეთ!

— შეჩვეული ვარ, ძალიან მინდა და ვეწევი!

მზე ამოვიდა. აივანი სხივებით გაივსო. ილიას
უვარდა მზე და ფანჯარაში თავი გამოჰყო.
შემდეგ ძველ დალია წვეთები, გული გაიმხარა
და წიგნი გადაშალა.

მასლოვი ფეხის ცერებზე შემდგარი გავიდა.

ილიამ ეს წიგნი, რაც საჩუქრად მიიღო მის
შემდეგ ვერ მოიკალა, რომ ვაღაფერტლა
მანდი. ან ეინზე მოფრანგულ მოყვენა და წა-
კეთხებინა. აინტერესებდა მისმა მეგობარმა
იუსტეფ დე ბაიმ რა დასწერა საქართველოზე.
ფრანგი შწერალი და სასოვადო მოღვაწე დე
ბაი ხშირად მოგზაურობდა სხვადასხვა ქვეყა-
ნაში, საქართველოშიც ბევრჯერ იყო, ილიას
მასობელ კაცად მიანდა. უყვარდა მასთან
საუბარი, შარშან ნოემბერში ჩამოვიდა თბი-
ლისში, მაშინვე ილიას ესტუმრა და აჩუქა თა-
ვისი ახალი წიგნი „კავკასიონის ქედის სამ-
ხრეთით“. ამ საინტერესო წიგნს დე ბაიმ წაა-
წერა: ილია ქვევამაძეს „პოეტს“, პეტრიტს,
ისეთი მშვენიერი ქვეყნის შვილს, სადაც მზე
მუდამ ეაწყაშებს. თბილისი, 1899 წლის 12
ნოემბერი. ხოსიეთ დე ბაი“.

გოზეფი ქართულად იოსებს ნიშნავს, ხოლო
საალერსოდ ჩვენში იოსებს სოსოს — სოსიას
ესმინა. როგორც წინა, დე ბაი იმ ახლო ქო-
ფილა ილიას და სხვა ქართველ მოღვაწეებთან,
რომ მისთვის სოსიეთ შეურყმევიათ.

დე ბაი თავის წიგნში სოციალური ამუქებს
ილიას ცხოვრებასა და შემოქმედებას. აგი წერს:
„ქართველთა ისტორიული ცხოვრება გამუდმე-
ბული ბრძოლის ისტორიაა. სადაც ბრწყინდად
მათი ვაჟაყობა, თავდადება. ამის ქართველ
ვეტერანთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, იმ-
დენად ბევრია ისინი. დიდებას შარავანდედით
მოსილი მათი სახელები ოქროსა და სისხლიანი
ასოებით ჩაწერილია რუსეთისა და აღმოსავ-
ლეთის ომების ისტორიაში. ამ ხანდაზმულ ქა-
რთულ გმირებს ხშირად შეხვდებით თბილისის
ქუჩებში. მათ შორის მხოლოდ მეორეები კი
არ არიან, არამედ სახელგანთქმული პოეტებიც.
ერთი მათგანი თბილისში ცხოვრობს, მისი პი-

როვნება, მისი ფრანგულიერა გრანობა შე-
ბას მამლევზე გაგაქნათ ის. ეს საინტერესო
პირთვება და პოეტი ილია ქვევამაძე, უჩუ-
ნული და სახალხო შწერალი...“

ილია რომ მეგობრის წიგნს ფერტლავდა,
სწორედ იმ ღროს შემფთავებელი ნიყო ცხვე-
დაზე საფერფრინო ექიმ ტიტე ქიქოძეს ეუბ-
ნებოდა:

— ცუდად არის, ბატონო, საქმე, ილია სავე-
რამოში ავად ვახდა, ექიმი ვერ მიმოყენა რომ
წავიყვანო.

შეწუხდა ტიტე ქიქოძე. თვითონ წასვლა არ
შეეძლო და მასთან სტუმრად მყოფ ახალგაზ-
რლას მიმართა:

— ვთხოვთ სასწრაფოდ წაყვეთ საფერამოში.
სანამ არ მოიკეთებს არ მოშორდეთ ავადმყოფს,
მეც მალე ჩამოვიყვანებთ.

ეს ახალგაზრდა იყო ექიმი ნიკოლოზ ჯან-
დიერი.

„სამამონებით დაეთანხმა, — წერს ჯანდიე-
რი, — ჩვედით საფერამოში, ილიასთვის გუ-
ლის ავადმყოფობის შეტყუას უკვე გავცდო და
შედავებით უკეთ იყო. ჩვენ რომ მივედით, იმ
იყვნენ ველიჩიო თავისი მეუღლით, არტ. ლი-
ნიტე. ველიჩო ბუერს ლაპარაკობდა და, რო-
გორც შევამჩყვე ილიას აწუხებდა. დამახასიათე-
ბელია ერთი დეტალი. ველიჩომ რაღაცის გამო
დაცინებით მოიხსენია ვანო მანაბელი. თვალ-
დაბრუნულად მწილიარე ილიამ ქართულად მი-
თხრა: მავს ჰგონია, მავთ მსიაამონენებს, თუ
ღმერთი გწამს, მოამაშორე როგორმეო. მე
უუთხარი იქ მყოფთ, რომ ავადმყოფისათვის სა-
ჭიროთა დაუვენება და ყველანი გავიდნენ. ღმე-
რთმა ვიშველს, ახლა კი გამსინჯეო, მითხრა
ილიამ.

დაუწყვე გულმოდგინედ სინჯვა. მას ჰგონ-
და ევრეთწოდებული გულის ასთმა და სკლე-
როზი. ილია დინჯად მავკარდებოდა და მით-
ხრა:

— ნუ მერყეი კატეგორიულად, ასე მოიქეც-
ნიე მოიქეც, ამიხსენი დაწერილებით, თუ რად
არის საჭირო ესა თუ ის რევიმი, ხოლო მაშინ
შემიძლია დაგიფერო და დაგემორჩილო, თუ
მეც კარგა მექნება გაგებული მავ რევიმის აუ-
ცილებლობათ. მე მაშინ 4 დღეს დავრჩი საფე-
რამოს, სხვათა შორის ილიას ჰყავდა იქ ოთა-
ხის ძალი, რომელიც ძალიან ახალისებდა.

ვასტრა ნიკოლოზ ჯანდიერის მკურნალობამ,
ილიამ უკეთ იგრძნო თავი, მავრამ სამკურნა-
ლოდ გერმანიაში წასვლა მიიწე აუცილებელი
იყო და გამგზავრების თადარიგს შეუდგა.

გერმანიაში მას საიმედო მეგობარი პრიოფე-
სორი კარლ ლემან ჰუბტი ჰყავდა, დავთი სარა-
ჩიშვილი იქ ევრებოდა. დავითის მეუღლემ
ეკატერინე ფორაქიშვილ-სარაჩიშვილისამ წი-
ნასწარ გაუგზავნა ბერლინიში ექიმ ლიოდენ
წერილი, რომელშიც სთხოვდა გულმოდგინედ

ემქურნალა ილიასათვის: ამავე დროს, გამოჩენილ მეურნელთან არტურ ლაისტის სარეკომენდაციო ბარათებიც ჯიბეში ედო.

ასე რომ, საკმაოდ შეიარაღებული მიემგზავრებოდა უცხოეთს.

იენისის ბოლომდე ოქახის საქმეები მიაღებოდალავ, მერმე თავისი პირში „ივერიკა“ საიმედო კაცს — სულხანიშვილს დროებით გადასცა და „შეინფარვით დიდ გოეტის“ სამშობლოში გაემგზავრა.

ამ მგზავრობაში ილია მარტო თავის ავადმყოფობაზე როდღე ფიქრობდა. მას პირველად უნდა უნდა ადედა ვეროპის მიწაზე. პირველად უნდა ეხილა საეთარი თვალით საოცარი გოეთეს მიწა-წყალი. გოეთეს ილია ადრე გაეცნო. უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტმა, იმ ხანებში „ეკარლის შთებს“ რომ დაწერა, თარგმნა გოეთეს „ზედა მჭადაგებელიც“. შემდეგ უფრო დაუწავდა გოეთეს სიბრძნეს.

არტურ ლაისტმა ამ ორა დიდი მწერლის ხასიათებს შორის მსგავსებაც აღმოაჩინა.

„ილია მშვიდი და თითქმის აუღელვებელი იყო, იგი სხვების მიმართ არ ამედაგებდა თავის ძლიერ გრძნობებს, თავდაპირვლი იყო როგორც სიამოვნებაში, ისე მწუხარებაში. ხასიათის ამ თვისებებით ილია გოეთეს მოგვეგონებს, რომლის პოეზიაც მას ძლიერ მოსწონდა და უყვარდა“.

ილიას თან ახლდა სიცოცხლის მეგობარი ოლა, რომელსაც თავისი გასაჭირი ადგა, სიყრდელ აწუხებდა და ერთი სული ჰქონდა, სანამ ბერლინში მავან ექიმს მიაღებოდა, იქნებ მოგვრე და მეშველოსო.

ილიას იმედი კი ვაწვევტილი ჰქონდა, ავადმყოფობას ხნოვანებამ ახრალბდა: სიბერის წამალი ჯერ არავის ჰამოუგონიაო.

მისი გეჳი და უიმედობა გამართლდა. სამი კვირის მკურნალობის შემდეგ უკეთობა არ დაეტყო. ეს სამწუხარო ამბავი მან 14 ივლისს ნიკო ცხვედაძეს შეატყობინა.

„ამაო ნიკო აღსრულდა შენი მეგობრული სურვილი და ეს თითქმის შესაძ კვირია, რაც ბერლინში ვარ ლეიდენთან. მე რომ აქ ბერლინში მრევედი, დათიყო საზაჯოვი აქ არ იყო, სამს თუ ოთხ დღეს შემდეგ მოვიდა. ლეიდენის კლინიკის მომზადებული ოთახები დამზდა და პირველ დღესვე იმ კლინიკაში დავმინავდიო. კატარინე ივანოვნას მადლობას ვუძღვნი, რომ მისი მეოხებით აქ ვველანი დიდის პატრივისცემით დავგვდენენ, თვითონ ლეიდენი დიდის ყურადღებით გვაქცევა ლეიდენს ჩემს სწულულებს მიზეზი აიცილეს. არავითარი ზიანი არ გაქვსო, გული და მენა საღის და განმრთელი კაცისა გაქვსო და რისგან მოგდის“ ევ სულის ხეთვა და სულის შეგებება ვერ გამოვაო. ამიტომ პირველ დღიდანვე დღეს აქამოდვე გულის ყურს მადვენებს, რომ მიზეზი შეიტყოსო. მე, როგორც უკანასკნელ ხანებში ვიყავი

მანდ, თითქმის ისევე ისე ვარ. უბეჭების სიძლიერემ არ მიკლო. ღონეზედაც არ მგებოდა. ვევერა ვარ. სხვანი კი მარწმუნებენ, რომ სხვისაგან განობით ძალიან მოკეთილიო. მგონი ამ ერთი კვირის შემდეგ, ესე იგი, 25-ს ამ თვეს, იქნება კარლსბადში გამისტუმროს ლეიდენმა. მარწმუნებს, ასე იქნება თუ ისე, სასლამად გაგისტუმრებ შენაო. ღმერთმა ჰქნას! სიარულს მიზნის, დღეში ერთი საათის შეტს ნუ ივლო, ისიც ორჯობით, ნახევარ-ნახევარ საათით. გუშინ— კი მითხრა, დღეში ორჯერ ქვევით ვტყვიდან მეოთხე ეტაში ადი ბოლმე, ერთი დღით, ერთი საღამოთი. არასშეტს წამალს არ მასმებს ლიონის წვეთს შეტს, დღეში სამ სტაქმს მასმევს. რძე ამიკრძალა. მეც ესეამ ამ ლიონის წვეთს და ქვევიდან ზემო ეტაეებში დაედღიარ. მარტო ამისა ვწუხვარ, რომ ბევრი დრო არ შეძლევა, — ერთი კარგად მომეხზვიანა აქაურობა. ჯერ მარტო ეს წარმოიდგინე, რომ ღმერთს ხუთჯერ ვეაქვევენ და თვითღვეუ ქამაზე უნდა უსათუოდ დაესწრო, თორემ სწყინთ და ქავრობენ. ჭამიდან ჭამამდე იმდენი დრო არ არის, რომ წახვიდე სადმე. ბერლინი ისეთი დღია, რომ მინამ წახვიდე და მოხვალ. ჭამის დროც მოვიდს და ნახვალა და მომხრეკისათვის დრო აღარ პრჩება. მაგრამ რაც აქამომდე ვნახე, ისიც საკმაოა, რომ ქართულმა კაცმა თავისი თავი ღვთისაგან დაწვევლილად ჩისტვალა, სად ესენა და სად ზვენი უბედური ერთი! ლეიდენს მკურნალობის წარუმატებლობამ გუელი გაუტეხა, ავადმყოფს ურჩია კარლსბადში წასულიყო, იქ გამოჩენილი კოლეგა მყავს, წერილს მიგიწერ და თუ გიმველოს ის გიმველოსო.

ოლა ცნობილ ექიმს, ვჩვენა, ბევრი დარგება და წამალი მიიღო, იმედი გაუთრყვედა, ავუსტროს დასაწყისის ისინი კარლსბადში ჩავიდნენ.

19 აგვისტოს კარლსბადიდან ილიამ ნიკო ცხვედაძეს ბარათი მოსწერა, ისევე ავადმყოფობას უჩიოდა.

„მე ამ უკანასკნელ ხანებში, ძალიან ცუდად შევიქმენი და ჩემმა ისეთმა მღვდლოპრობამ კარგა ჩამაფიქრია. ამიტუდა სამიწელი ქშენი, ხელისა და ფეხის განმჩევაზე ისე მიგუბდებოდა სული, რომ არ ვიცოდი რა შექნა. ერთა ორი ნახივი რომ გადამედაც, სუნთქვა ისე შემეკრებოდა, რომ ვეღარ ვლამარჯობდი, რადგანაც სულს ვერ ვიბრუნებდი. შევიწველე ჩემი ასეთი წახდენა ჩემს მკურნალს, რომელიც თვითონ ლეიდენმა ამიჩრია. შემიწუხდა თვითონ მკურნალიც და ბოლოს მითხრა მიზეზი არ შესმისო.“

„მიზეზი არ შესმის“, ამ გულწრფელი აღიარების შემდეგ არ გაუვლია რამდენიმე საათს, ექიმი ისევე შევიდა ილიას ოთახში, თამბაქოს კამლი იღვავა, საფერფლე ნამწვავებით სავსე იყო. ექიმი ილიას პირდაპირ სკამზე ჩამოყდა,

ერთხანს უყურა, უყურა. ავადმყოფს ვაუჯერდა, რას მომჩერებოდა ეს კაციო და ჰკითხა:

— რას მატყობ, ექიმო ვეფლები?!

— თუ თამბაქოს არ დაანებებთ თავი, მოყვლებით, აბა, რა მოვივათ. წამლობა რას ვარაგებს, როცა შხამით იესებ სხეულს. თუ პაპი-რისზე ხელს აიღებთ, ხომ კარგი, თუ არა და ასე ეს სჯობია წამლობას თავი დაანებოთ, ტყელი ხარც და მოცდენაო! — წერს თვითონ ილია.

ილიამ პაპიროსები დამლაგებელ ქალს ვაატანა, საფერფლევ მაგიდიდან მოაშორა. პირველ დღეს ვაუჯერდა ილიას, მაგრამ პიტნის კანფეტმა უშველა.

ილია ეძალეობდა წამლებს. ზოგს უფროსი ეწეოდა, ზოგს სეამდა, ამბობდა, ძალიანაც მრგებსო, მაგრამ ილია რომ ვერ გამოკეთდა, ეს ველს უკლავდა, თვლიერებლიანი შეჭურვებდა ქმარს, რომელიც ტაბტზე იქდა და კანფეტა წუწუნდა. გამოიყვალა ილია. პაპიროსს რომ ეწყოდა, მაშინ უფრო ვაეკავებოდა იერი ჰქონდა...

ექიმი სამ დღეს არ შემოსულა. ილია ღიმონის წვეწმა და წამლებს სვამდა, მადა არ ჰქონდა და ცოტას სვამდა. შეითხე დღეს ექიმი რომ შემოვიდა, მისმა დეკირვებულმა თვალმა მაშინვე შეატყო უკეთესობა. ამის თაობაზე აფიონი ილია წერს ნიყო ცხვედაძისადმი ვაგზავნილ ბარათში.

„ღაზათიანად მოვგობინდი და ეხლა ისე კარგად ვარ როგორც დასწრეულმაღდ ვიყავი, თუ არ უკეთესად. დღეს 19 აგვისტოს (ჩვენებურად) კურნალმა სიხარულით მანუგემა: თუ ესე კარგად წავიდა შენი საქმეო, ორ (ჩვენებურად) სეტყმბურს კარლსბადიდან ვაგისტრმბრებ საღმალმათადო“.

რაც თამბაქო მიატოვა, მერე წამლებმა და კარლსბადის წყლებმა მალე გამოაყანსადა. სეტყმბრის ერთ მშვენიერ დღეს ექიმმა გუდდამით ვასინჯა და უთხრა:

— მტურნალობა და წამლები გეყოფა. ახლა პაერი და დასვენება ჰქირაღებთ. აქედან საით აპირებთ?

ილია საფრანგეთზე ოცნებობდა, ვეროპიდან პარიზის უნაწავად როგორ წავიდეთო, და უთხრა:

— პარიეს მოგინახულებ და იქიდან შინ წავალ!

— არამც და არამც პარიზში არ წახვიდეთ. უარესს საწამლაეს თქვენი მოსიხმბრეტერიც ვერ ავირჩევთ. უნდა წახვიდეთ საღმე მუუღრო სოფელში. ერთი-ორი თვე უღარაღელად იცხოვროთ, კარგად შეისვენოთ, მოღონიერდეთ, მერე შევილიათ ქალაქში ჩახვიდეთ და თქვენს საქმეს მოკიდოთ ხელი. თუ გინდათ რომ ჯანსაღად იყოთ და სწეულუბა აღარ დავიბრუნდეთ, ასე უნდა მოიქცეთ.

„მეტე რა ვხაა, — წერს ილია, — პარიზეზე ხელი ავიღე. წარმოიდგინეთ, პარიეი თითქმის

ცხვირ წინ არის და მე კი მისი უნახავე უნდა წამოვიდე. დარღუნალიც ამას ჰქვია. მაგრამ რას იხამ? ანდნი ვაივაგლაბი და წამლობა გამოვიარე, ძლიეს გამოვკეთდი და; ყველა ეს პარიეს ნახვას როგორ ვანაცავლო“.

ილია ერთხანს ევენაში შეჩერდა. აქ შტრაუსის მუსიკად პეტერბურგი და სტრუტუნტობა მოაგონა. შტრაუსი მაშინ პეტერბურგში იყო, პავლოვსკის პარკში მის ვალსებს ხალის ადრეტებაში მოჰყავდა... „ხო, როგორ ეკვიავდა სოფლო, ნეტავი ეხლა სად არის, როგორ არის? გაიფიჭრა ილიამ და ოღლაას შეჭედა, რომელიც დეიანზე ვადწოლილიყო და მოსუქებულ სახეს მართათი ინიავებდა.

ნიეუმბრის დასაწყისში ილია და ოღლა თბილისში ჩამოვიდნენ.

„უცხოეთიდან დაბრუნებული ილია, — წერს არტურ ლისტი, — როცა თფილისს მიუახლოვდა, ისე მოხიბლული იყო საყვარელი ქალაქის ხილვით, რომ თვალზებე ცრემლი მოსდგა. ამას ვანსვენებული ილია სრულიად მოუბრუნებლად მიამბობდა ხოლმე და თანაც დამძინდა; ყმწეილობაშიც გამომიცვია ნაღველი სამშობლოს მოშორებისა, მაგრამ არა ისე ძლიერ როგორც ახლა. მოხუცებულობის დროსაო“.

ილია „ივირამა“ ისე ჩაუდგა სათავეში, ისე გაიქცა მისმა პოლემიკურმა წერალებმა. არჩილ ჯორჯაძისა და ივანე გომართელის წინააღმდეგ... მაგრამ ავადმყოფობამ ისეე წამოხუო თავი, ვაუჯერდა „ივირამის“ რედაქტორობა და ეს ნაამაგარი ვაზეთი აღუქსანდრე საარაქიშელის ვადსცა.

„მერტინიდან ილია გამოჰამრთელებულა დაბრუნდა, — წერს არტურ ლისტი, — მაგრამ არ ასარულებდა იმ რევიმს, რომელიც პროფესორ ლეუდენმა დაუნიშნა, ორა-სამი წლის შემდეგ მისი ჯანმრთელობა ვაუარესდა; სიხერისაგან ვაჩერებდა: „ლასა შეუძლებლად მიანდა, ზშირად იპურებდა შოთა რუსთაველის სიტყვებს: „სიბერე მჭირს, ჰირთა უფრო ძნელიაო“. საროგადოდ, ილია ზოშიერად ცხოვრობდა, მაგრამ დიეტას არ იცავდა, ეს კა ვაეღუნას ახდენდა მია ორგანიზმზე. საფერამოში ყოფნა ილიას უყოღოტის ძალას მატებდა. უქანსკელ ზანე-მში, უფრო მას შემდეგ, რაც ბანკის საქმეებს თავი დაანება, ცდლობა ვა უფრო მომეტებულად თავის საყვარელ სოფელში ეცხოვრა“.

1905

1860 წელი. ზაფხული. ილია პავლოვსკშია. პეტერბურგის სიხებისა და ბუღის შემდეგ აქ სული მოიოქვა... ჯერ კიდევ თბილისში, აქეთ რომ მოდიოდა, იმ დღეს ბაზრის მოედანზე შეჭედა რაჰველ მუშმა, რომელსაც უშველებლო სიყალბო მოვედო ეურტინან ზერტზე. კარგი ღონიერი კაცი ჩანდა, მაგრამ მძიმე ტვირთის

ზიდვა მანც უკირდა, ძლივს მიმავალს, საიდან-
 ლაც გამოქცეული ვერი დაეჭაბა. აი, მანცინ
 ამ მუშის საყოფადვობის ცქერაში ახალგაზრდა
 პოეტის გულში დაიბადა შემდეგი სიტყვები:
 „აქ სად მოსულხარ?... რაც დაჰქარგე და რაც
 დასტოვე, მის მაგიერ თბილისში ამა რა
 პოეტი?...“

ეს სიტყვები მან უბის წიგნაკში ჩაიწერა.
 და ახლა აქ, პავლეცკში ივლისის გრილ საღა-
 მოს, თბილისის ვახსენებზე, ესეც მოაგონდა.
 საბრალო მუშა, მისი შეწუხებული და უმწიკო
 სახე ისევე თვალწინ წარმოუდგა და დიდი ხნის
 ნათქვამ-ნაზრახს აღსაწერად კალამი აიღო.

ილია პავლეცკში იყო და თბილისს ხედავ-
 და, ხედავდა მუშას ტვირთქვეშ მოზარდს და
 იმ დღეს, თორმეტ ივლისს, მან უმღერა იმ
 გამწარებულ ადამიანს, უმღერა მის ვარამს.

და ამ პირველ ლექსს მუშაზე შექმნილს,
 ქვეშ მიაწერა: „12 ივლისი, 1860 წელი, პავ-
 ლეცკი“.

ილია პირველი ქართველი. მწერალი იყო,
 რომელმაც მხატვრულ ფორმებში ჩამოაყალიბა
 მისი საეკუნის სამოციანი წლების მუშის გან-
 ზოგადებული სახე. მან ვეროვანი ყურადღება
 მიიქცია სოფლიდან დაიბნა დენას ქალაქებში
 ლექს-პურის საშოვნელად. სოფელი დედინა-
 ცეული ვახდა გლენისათვის. იქ ბატონი შვინი-
 ვარებდა და მისი მათრახი აუტანელი იყო.
 პოეტი მიმართავს მუშას:

ვინა ხარ შენა, ჩემო მშაო? სიდან მოსულხარ?
 ბატონის მათრახს ვერ ვიძულე, გამოქცეულხარ,
 მოშორებობარ ქალაქობას, შენა სახლ-ჯარსა.

ასეთი გამოქცეული გლეხები ავსებდნენ ქა-
 ლაქების ქუჩებს, ეტანებოდნენ ახალგზად-
 ვებულ მრჩველობას. სოფელში სუფთა-პაერი
 მანც ჰქონდათ, ფაბრიკა-ქარხნებში კი ესეც
 სანატრელი გუხვდათ.

„მუშა“ დაწერიდან სამი წლის შემდეგ,
 1863 წელს გამოქვეყნდა „საქართველოს შოამ-
 ბის“ პირველი ნომერიში. შემდეგ სახელმძღვანე-
 ლოშიც შეიტანეს ლი. ახლა არ არის ისეთი
 ქართველი რომელიც ეს ლექსი ზეპირად არ
 ესწავლოს. ვიორგი ჯიბლაძე თავის გამოკვლე-
 ვაში სწორედ მანზე წერს: „და როცა მოსწავ-
 ლის მერხზე ამ ლექსს ესწავლობდით, ჩვენ
 ხომ მან ვაგვიძღერა ხაერტლთაფში სიბრა-
 ლულთან ერთად სიყვარული, რომელიც შემ-
 დეგ აღარ მოგვსორებია“.

დაწერიდან ჩვიდმეტი წლის შემდეგ, უკვე
 მოხუცებული გრიგოლ ორბელიანი ამ ლექსმა
 ჩააფიქრა და შეაქმნევინა — „მუშა ბოქმლა-
 ძე“ მაგრამ უადვილო არ იქნება იქვე აღვნიშ-
 ნოთ, რომ იონა მუენარგვამ, თავის დროზე,
 ეს ლექსი რომ იყო დაბეჭდილი, იმ ქალადის
 კიდევს მიაწერა: „ბოქმლაძე ვინ იყო? მე
 მტკს მოველოდი, შეადარეთ ილია ჰავეციანის
 „მუშას“.

ილია მუშის მოსარჩლე და ქომავი იყო. მის

პუბლიცისტურ წერილებში ზეურავის არის მე-
 შა-ხელოსნის დუბლირ ბეჭდვით დაბეჭდული.

ილიამ იცოდა შრომის ფასი. შრომა — მასწავ-
 რმოდგენილი ჰქონდა ადამიანის კეთილდღეო-
 ბის დაუმრეტელ წყაროდ. სოფრომ მგალობ-
 ლიშვილთან საუბარში შრომის რაობაზე თავი-
 სი აზრი ასე გამოთქვა.

— შრომითა საქონს, შრომა პატოსანი! უნ-
 და ჩავაწევით სივრს ხალხს, უველის ვანერ-
 ჩველად წოდებისა, აშრომონ, რომ ეკონომი-
 ურად მოლონაერდნენ. დღემდე ჩვენი გლეხობა
 ვალეწილი იყო ბატონეობისაგან, დღეს მან
 თავი დაიხსნა, მაგრამ, მარტო ვერ ვასწავს
 ვანისა, მის უტრის ვღება უნდა, გზის ჩვე-
 ნებას“.

ამ აზრსვე ატარებდა მწერალი თავის პუბ-
 ლიცისტურ წერილებსა და პოეტურ ნაწარმოე-
 ბებში.

როცა კამბალიზმა საქართველოში ფეხს
 შემოდგა და ვანიფიკაცია იწყო, მწერალმა
 „ქარხნის ჩარხის“, ტრიალი, ე. ი. ამ ახალი
 სამრეწველო ყოფის მნიშვნელობა კარვად გა-
 იგო, შრომისა და ვარჯის უმღერა. სტატიაში
 „რა ვითხრათ, რით ვაგვარათ?“ იგი წერს,

„წავიდა მის დრო: დაწუნდა ხმალი, ვაქმ-
 და ვეკაცობა. ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევ-
 დეთა, აღარაფრის მაქნისია. ეხლა ან ადლი
 უნდა გვეკაროს ხელში, ან ვუთანი, ან ჩარხი
 ქარხნისა, ან ვათულები მანქანისა. ეხლა ვა-
 ცაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლა-
 პლერიდეს, ვეკაცობა უნდა შრომისა, რომ
 ოფლი ჰღვაროს, კიდევ ვიტყვი, ქვეყანა ეხლა
 მისია, ვინც ირგება და ვინც იცის ვწესა და ხე-
 რხი ვარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშ-
 რომს, ვინც იზოვავს ნაღვას“.

ილიას ბევრი ნაწარმოები მუშებისათვის ხელ-
 მისაწვდომი იყო, ვატავებოთ კითხულობდნენ
 და სწავლობდნენ მის მოთხრობებსა და ლექს-
 სებს. კაცო ყინალი თითქმის უველამ ზეპირად
 იცოდა. მუშებს უყვარდათ ილია, სწეროდათ
 მისი და ამ სიყვარულმა ბევრგან იჩინა თავი.

ვიორგი ოლსიშვილი კამბორიდან ახალი წა-
 მისულნი იყო. იჭურვი ქარ-ყინვის მიერ მოტე-
 ხილი შინ ისვენებდა, როცა მის კარზე მიხა
 ჩოდრიშვილმა დააკვირა. მასამინქელს გუხარ-
 და ამ მუშა-ხელოსნის სტუმრობა და შტ
 შეიწვია. ლამაზივე უფრო დაუბლოდდნენ ვრ-
 თმანისის, ლასიშვილის აინტერესებდა თბლი-
 სელი მუშების ცხოვრება და ჰკითხა:

— სხვა, მიხა, როგორ აიბან მუშები.

— როგორ ვიქნებით, მუშა კაცის ცხოვრება
 რა საკითხავია.

— გული ვაბტობია.
 — არა, ვერ მტერს უნდა ვიბტუდეს თავი,
 — ცოტა ვეკარად მიფიკო მიხამ და მერე შეს-
 ჩივლა. — ესეც დღეს ვართ მუშა-ხელოსნები,
 ცალ-ცალკე დაქსაქსულები და მტერი ადვილად
 გვერევი. ვადავწყვიტეთ შევაღვიწოთ ჩვენი სა-

ზოგადობა, პირი შეეკრათ და საერთო ძალით გაძლიერებულს ეერას დაგვაყლებენ.

ეს განზრახვა მოეწონა ნაციონარალ ლასხი-შვილს.

— მაშინ დამეხმარე და წესდება შემადგენინე, მე მომანდეს ეს საქმე, რა ხანია ვფიქრობ და უნდასაღვლო თავიდან არაფერა გამოდის.

— კარგი საამოვნებით!

იმ საღამოსვე შეადგინეს წესდება, შემდეგ ლასხიშვილმა თბილისის მუშა-ხელოსნების შეკრება-შეერთებაზე „ივერიამში“ წერიალიც მოა-დგინა, ჩოღრიშვილმა მელანშეუშრობელი წეს-დება წინასწარ ამხანაგებს წაუკითხა, მაგრამ ვეღვამ შორს დაიჭირა თავი და უთხრეს:

— ჯერ ილია ქაეჭავაძეს წააკითხე, თუ მოე-წონა მერე ჩვენი მოვიწონებთ!

— „მუშის“ დამწერმა ჩვენი ავანჩაენი ყვე-ღაზე უკეთესად იცის!

— იმ დღის ჩოღრიშვილი ისევე მოვიდა ლას-ხიშვილთან, წესდება უბიდან ამოიღო, ეტყობა ზეერს წააკითხა იგი, ხელიდან ხელში გადას-ვლით ფურცლები დასერილი იყო. ლასხიშვილ-მა ეს რომ ნახა მაშინვე იკითხა:

— არ მოგეწონათ?

— როგორ არა, მაგრამ მეშეხმა დამავალეს ილია ქაეჭავაძეს გავაცნოთ წესდება და ჩვენი საქმეცო. ილიას ხომ იცნობ? მოდი ჰქენი სი-კეთე. წამყვიდი ილიასთან.

ზაფხული იყო, ცხელა და ცხარე დღეებში ილიამ თავი შეაფარა საფერამოს. იქ შის კარ-ბიდაშის ზედახენი ნიავს უგზავნიდა და გრი-ლოდა. იმ დღეს ილია და ოღლა ყვავილნარ-ში იყვნენ. დანიელ მასლოვმა საიდან არ ჩა-მოიტანა წითელი, ყვითელი და თეთრი ვარ-დების წერტილები, წითელი ვარდი დილის მზებზე ბრდღვალედა, ნიავი არზევდა კელებში ჩარი-გებულ გვირილებს, შრომანებს, ღიღილაებს, მახაცებს.

ილია სტუმრებს ეზოში შეეგება, ლასხი-შვილი ციშბირიდან მშვიდობით დაბრუნება მიულოცა, ჩოღრიშვილს ხელი ახლობელივით ჩამოართა და შინ შეიწვია.

ლასხიშვილი თავის მეძუარში ილიასთან ამ შეხვედრას ასე აღწერს:

„წაუკიდნხეთ ილიას წესდება, და გავაცანით ბიული საქმე. ილია თანაგრძობით მიეგება ხელოსანთა საზოგადოების დაარსების იდეას, მიუბრუნდა მიხას და უთხრა:

— მშვენიერი აზრია. დროა, კაცო, მოვაშო-როთა ჩარჩება მუშა-ხელოსნებს და მომხმარე-ბელსაც. მხოლოდ ერთი რამ არ მომიწონა თქვენს წესდებაში: აქ სულ ხელოსანთა უფ-ლებაზეა ლაპარაკი, მოვალეობაზე კი არაფერი. სადაც უფლებაა, იქ მოვალეობაც უნდა იყოსო“.

ილიამ ერთხელ კიდევ გადაავლო თვლი წეს-დებს, შემდეგ მავიდაზე მიუთითა, კანიონეტის კუთხეში რომ იდგა.

— აი, ამ მავიდას შემოუსხედით, ეს საქმე გადასადები არ არის, ჩამოსწერეთ თქვენი მო-ვალეობანი!

თვითონ გავიდა. სასადილო ოთახში ოღლა სუფრა გააშლევინა... სტუმრები წესდების შე-წორებას მორჩნენ, ილიამ წააკითხა და მოი-წონა.

— ეხლა კარგია. ამას მაღარიში უნდა, წა-შობობანდით!

სტუმრები სასადილოში შეიწვია. მიხა ჩოღ-რიშვილს რცხვენოდა, ილიამ ეს შეატყო, მკლაფზე მოვიდა ხელი და გვერდით მოისვა. მიხას სადღეგრძელოში ილიამ გაიძიორა ის, რაც ახლობლებში ბევრჯერ უთქვამს.

„ჩვენი დიდკაცობა, ჩვენი წარჩინებული მო-ხელენი გადაგვარების გზაზე არიან დამდგარნი, იმათ ქართულიც და ქართველობაც — ორივე ფეხებზე ჰკიდიათ! ამათთვის წინა ტყუილი შრომა, წყლის ნაყვა იქნებოდა... მაშ ვინდა და-ვერჩა? ის, ვინც საქართველოს პირველი ქვა-კეთხედი იყო, ვინც ისტორიულ ქარტეხილს, წვა-დაცვის გაფქო და ქვეყანა გააშენა. ეს ის მაგარი მკვიდრი მუხაა, რომელიც ქარციეზლს უძლებს და არ ეცემა. ეს არის ჩვენი გლეხო-ბა, ეს არის ჩვენი მუშა-ხალხი... ესენი არიან ჩვენი მუხის — საქართველოს ფესვები, ესენი ამხადებენ იმ საყვებზე წვესს, რომლითაც საზ-რდო და ღონე ეძლევა მუხის მოელ ტანს. ამათი მეოხებით იმოსება ზე ფოთლებით, ყვა-ვილებით, და მოაქვს ნაყოფი, დევა, კენწერო-ბი გაუხმეს ხეს, ფოთლები შემოკვივდეს, ყვა-ვილები შემოაქცენს, — არაუშავს რა, ოღონდ ძალა და ღონე არ გამოეღოს ფესვებს; — ხე ხელახლა შემოსება ფოთლით და ყვავილით და უხეად ემორილებს ნაყოფს. ხე არ ეცდება, თუ ფესვი მაგარი, ღონიერი აქვს!“

ილიამ კიდევ ცოტა ილაპარაკა და შემდეგ მიხას პიქის პიქა მოუტახუნა.


იღწეიან, აშენებენ, ხაზობენ და ფიქრობენ ადამიანები — ჩვენი უცდავი წინამძღვრები, ჩვენი სახელოვანი თანამედროვენი პოეტები და მხატვრები, ინჟინრები და მასწავლებლები, გუდაამარული მწყვეტები, კოსმოსურ სივრცეებში გაპარული მფრინავები, მხეწელ-მთესველები, ბერძენები, მედიკოსები და მექანიკოსები, შოგრები და მალაროვლები — რა ჩანვს, რა ასაკისა, პროფესიის, რა მდგომარეობის და ვარგისობის ადამიანებს არ შეგვხვდით და გაცნობით კარგო კალაქის პოეტურ სამყაროში. და ყოველი მათგანი წარუშლელად აღიბეჭდება ჩვენს მესხიერებაში იმიტომ, რომ მისი დაბატული აზრის კოლორიტულად, შიგნიდან განათებული, თავიანთი სულიერი ცხოვრებისა და გამოშვებული განუმეორებელი თავისებურებით.

რომელ ქართველ პოეტს არ უმდგრია თბილისისათვის, რომელ მათგანს არ გამოუტაცავს დედა-შვილური სიყვარულისა და წრფელი აღტაცების გრძობები ჩვენი ძველსძველი და მარად ახალი დედაქალაქისადმი, მისი რაღაც უნიკალური, რაღაც საიდუმლო სიღამაზისა და მომზიბელებლობისადმი. თითქმის ათასწერიანდობა და გადამღერებელია ეს თემა ქართველი და არა მარტო ქართველი პოეტების შემოქმედებაში. და აი, კარგო კალაქის პოეტური ხედვით განათებული, მისი მეტყველი კალმით წარმოსახული იგივე სამყარო უკვე სრულიად ახლებურს, თითქმის პირველად ხილულსა და პირველად განცდილის შთაბეჭდილებას წარმოიშობს. პოეტს რაღაც ახალი რაქურისით, ახალი ენობით გაანათებს საგნებს, ერთბაშად ქმნის სრულიად განსხვავებულ განცდებსა და განწყობილებებს. აბა, რომელი სხვა პოეტის თვალს შეეძლო ამგვარად დაენახა, რომელი სხვა პოეტის ცნობიერებაში შეიძლება ამგვარად აღბეჭდილიყო და ასეთი პანგიით ამღერებელიყო ეს სერათი:

ოცნებით ცამდე ამაღლებული არის მოაწმინდა დღამებისას: გაჩაღებული მის წინ კრებული ცნება და მიწის ვარსკვლავებისა. მოაწმინდის მაღალ კვარცხლბეჭე მდგარი როცა დასკეპრი ანთებულ თბილისს, დაბლა, ზნაღივით ელვარე მტკვარი ძვეს როგორც ხსოვნა ომგადახდის!

რამ არის ეს „რაღაც თავისებური რაქურისი“, საკუთარი პოეტური ხედვა და განუმეორებელი, მხოლოდ ამ ხელოვნანათვის ორიგინალიზმი, პანგი, ლექსის მუსიკალური სტრუქტურა? ეს არის ის „საიდუმლო მღერისა“, პოეტური ხელოვნების ის მართლაც და „ყადოქროლი“ ძალა, რომელიც არ ექვემდებარება ახსნას და განმარტებას, ლოლიკურ ენაზე „გადათარგმნას“ და მოდელირებას. ასე რომ არ იყოს, პოე-

ტური ხელოვნების ყველა საიდუმლოების ბოლოზე ჩაწვდომა და სრული სიუხადით, მათემატიკური სიზუსტით ახსნა რომ შეიძლება ბოდეს, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა პოეტური სტანდარტების შექმნა და მათი მხარხარეული მოვლუბის დაუსრულებლად შექმნიერად განმეორება. აქი გეგვებუბა ხოლმე ჩვენს პოეზიაში და, სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად ასეთი სტანდარტიზაციისა და განმეორებათა შემთხვევები, მაგრამ აქი სწორედ აქ მთავრდება პოეზია, კვდება პოეტური შთაგონება, ლექსის ნამდვილი მავია.

არც ერთ ქართულ პოეტს ის მდიდრად, მრავალმხრივად და მრავალფეროვნად არ წარმოუხსავს ჩვენი ზღვისპირეთი, ჩვენი აჭარისა და აფხაზეთის წარმტაცი ლანდშაფტები, ამ უმდიდრესი და უმშვენიერესი ბუნების წიაღში ცხოვრების აღორძინებისა და განახლების ღრმა ღრამატოზით აღსაყვ ეპოპეა, ის სპეციფიკური ელფერი და ნარისახება, რომლითაც აღბეჭდილია ამ ვარკვოცევაში ახალი ყოფისა და აღამიანის ახალი ხასიათის, ახალი ფსიქიკური წყობის პროცესები. კითხულობთ ლექსების ამ ციკლებს და თქვენ თითქმის გესმით ზღვის ტალღების დაუსრულებელი მომოქვეყის ხმაური, აღქვამთ უცნაურ ფერთა მონაცვლეობის სიმფონიას, თვითონ ითქვიფებით ბუნების იღვმალ სტიქიაში. მაგრამ პოეტს არაბოდეს ხელიდან არ უხსლებუბა მოვლენათა ვახზების სოციალური ასპექტი, აღამიანის, ხაღლის სასიცოცხლო ინტერკვებით ნაყარნახევი ათვალსახრისა. რასაც არ უნდა მოიკავდეს მისი შთაგონება — იმერეთის პეიზაჟებს თუ ფიჭვის ვუროის ეზოებსა და ხაღებს, რვეოლუციური რომანტიკის უტარობ შარავანდედით, მისილი წინადადეგა — უნებს თუ ბალტიისპირეთის მდამოვებს, შირვორილისა და ზეოვკის მხარეს თუ უცხოეთის შორეულ სივრცეებს, უპოქის დიდ სოციალურ ქარტახილებს თუ აღამიანის უღრესად ინტიმურ ვანდეებს და გრძობებს, უველაფერი კარლო კალაძის პოეზიაში განათებულია თანამედროვეობის მოწინავე აღამიანის მაღალი იღვალბის შექვით. ეს იდერტი / ასწევი განუყოფლად და განმსაზღვრულად თან ახლავს პოეტის თვალთახედვს, კარლო კალაძის არაფერი დაუწერია თვითმხიზნერი ლექსთამთხვეულობისათვის, თავისათვადი ესთეტიკური ტემპისა და ვანცხრომისათვის ნაყარუდები. მოვლენათა ინდფერენტული პერეტა ნეიტრალური, გულგრილი მხატვრობა უცხოა მისი პოეტური ბუნებისათვის. მის ერთი სტრიქონიც არ დაუწერია ისეთი, რიხელეკი საზოგადოებრივ აზრსა და ფენქციას, სოციალურ მისამართს იყოს მოვლუბები. პოეტი დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, სეღცანაბული ყურს უგდებს მშობული ქვეყნის შეყისცემს და კემშირტი პატრიოტული მგზნეშარებით ეხმარება მისი ცხოვრების ყოველ

მოვლენას მშვიდობიანი შემოქმედებისა თუ ამის მრისხანე წლებში. სამაშველმწინის მკერიოდის ქართული და მთელსაქართველო საბჭოთა პოეზიის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს მიეკუთვნება კარლო კალაძის ის ლექსები, რომლებშიც კავკასიონის მისაღვამებთან გაჩადებულ უმავალათ სისხლმღვრელ ბრძოლებში საბჭოთა მეომრების სწორუპოვარი ვპირობის სურათებია აღბეჭდილი. გავიხსენით თუნდაც ლექვა „საარტილერიო დევი“, რომელშიც სასიკვდილო საფრთხის წინაშე გოლიათური ძალღონითა და ქედუხრელობით აღმართული ქართველი ვაქაყის სახე ვამოკვეთილი:

მაგრამ სიკვდილზე უფრო მკაცრია
კაცი სიკვდილის პირისპირ მდგარი:
კვამლის ღრუბლები მკლავით ვასწია
და ცად ავარდნილ ნამსხრეტება ქარსი.
...ქვეშებით ესმოდათ მისი ქართული,
იყოღწენ, ამის ქირშიაც უღბისმ,
იღვა ღრუბლებში, ზელამართული
უხსლებუბდა ქეხილით ქეხილს!

თავის პოეტური ბიოგრაფიის პირველსავე საფეხებზე კარლო კალაძემ გამოიჩინა მიდრეკილება ლირიკული პოეზიის ფარგლების ვაფართოებისა, მის შესაძლებლობათა ვამღიდრებისა, მასში ეპიკური საწყისების — აღწერლობითი და თხრობითი ფაქტორების დანერგვისა. ახლავარდა პოეტის ასეთი ტენდენცია — მისწრაფება ახროვნების ეპიკური ფარგებისაკენ მკაფიოდ გამოვლინდა ჟერ კიდევ პირველ ლირიკულ პოემაში „მახილი აღმონავლეს“, რომელაც 1926 წელს არის დაწერილი. შემდეგ ეს ტენდენცია აღმრავდა მომდევნო ციკლებში „მთების ეპოსი“ და „ხერავკიოს განთიადები“, ხოლო უფრო ცხადად და მკაფიოდ მცირე მოცულობის პოემაში „ამბავი აჰარულ ამანავებისა“, სადაც უვე სიუვეტი გარყვეულ ფაველურ კომპოზიციაში მოქვედვრი და სადაც მთავრი სოციალური და ყოვეცხოვრებითი კონფლიქტები ვითარდება და ერთმანეთს უპირისპირდებათ ცოცხლად ვამოხატული აღამიანური ხასიათები. ახლავარდა პოეტის ამ ციკებს დიდი მნიშვნელობა ქონდა ქართული საბჭოთა პოეტური კულტურის ფორმირების პირველი პერიოდისათვის. როგორც ცნობილია, სოციალისტური რვეოლუციის წინა პერიოდში ჩვენში ვავრცელებულმა ანტირევოლუციონისტურმა დეკადენტურმა პოეტურმა სკოლებმა პირინეპულად უარყვეს და უუეავდეს აკაცი წიროლისა და ვეავ-ფმაველს დიდი სიუვეტი ტრადიციის, მათ შეგებულად და თანმიმდევრულად ზურგა შეაქციეს ცხოვრებისეულ ცოცხალ მისაღს და შთავონების ძირითად წყაროდ რეალური სინამდვილისაგან მოწვევბილი, ფანტასტიკური სფეროები მიიზ-

ნის. ოციანი წლების დამდეგს ქართულ პოეზიაში მიმდინარე ღრმა იდეური ძვრები ჯერ კიდევ არ იყო განაყოფიერებული და დამკვიდრებული პოეტის სფეროში ასეთივე განმარტებული მიღწევებით, ლექსში ცოცხალი სინამდვილის კონკრეტული მასლის ფართოდ შეტანით. პროლეტარული პოეზიის უფროსი თამაში შემოქმედება კი, რომელიც ე. წ. „კომსოლის თემატიკით“ განისაზღვრებოდა ამ მხრივ, რასაკვირველია, არაფერს მოასწავებდა ახალსა და პრინციპულად მნიშვნელოვანს. ცხოვრებაში კი, სოციალურ სინამდვილეში ჰუმანიტად ეპოქალური მნიშვნელობის უღრმესი ძვრები მიმდინარეობდა და ეს მძაფრნი, მღელვარე ცხოვრებისეული მასალა დღევანებით მოითხოვდა პოეტურ გააზრებას, მხატვრულ განზოგადებას და წარმოსახვას. ასე იზადებოდა მოთხოვნილება ჩვენი პოეზიის ლირიკულ ფორმებით ცალმხრივი შეზღუდულობის გადალახვისა, სინამდვილის პოეტური ხილვის ფარგლები გაუფართოებისა, პოეზიაში ეპიურა აზროვნებისა და მეტყველების საშუალებათა აღორძინებისა.

კარლო კალამის მახვილშა პოეტურმა აღიზომითი იმპატიენტრად იგრძნო დროების ეს მოთხოვნა. მისი ნამდვილი წარმატება და უმკველი მიღწევა ამ მხრივ იყო პოემა „უჩიარდიონი“, რომელიც ოცდაათიანი წლების დამდეგს დაიწერა და უარესად ნოვატორულ მოვლენას, პირველ ნამდვილ ეპიურ ტილოს წარმოადგენდა ქართულ საბჭოთა პოეზიაში. „უჩიარდიონი“ თითქმის კლასიკური პოემის ტრადიციული კანონების მიხედვით არის დაწერილი, მაგრამ „ღაღი გარდატეხის“ პერიოდის ჩვენი სოციალური სინამდვილის უჩვეულოდ დანამიერი ცხოვრებისეული მასალა, ჯადღერესობამდე დამახტული საზოგადოებრივი კოლიზიები სრულიად ახლებურ ეფერადობას აძლევს ამ ნაწარმოებს და განსაზღვრულ ზეგავლენას ახდენს არა მარტო მის იდეურ-თემატურ შინაარსზე, არამედ მის პოეტიკაზე. ამ პოემაში და მის მომდევნო ლირიკულ ციკლებში საბოლოოდ ჩამოყალიბდა პოეტის მხატვრული ინდივიდუალობა, დადგინდა მისი ნიჭიერების სპეციფიკური თავისებურებანი. ეს სპეციფიკა, პირველ ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ კარლო კალამე უპირატესად ხატავს და მოკავთობრობს. პოეტური აღწერილობანი, სიტუეტური კომპოზიციები შეადგენენ მისი მხატვრული გამოხსახველობის ძირითად ფორმებს არა მარტო პოემებსა და ბალადებში, არამედ ლირიკულ ლექსებშიც. ბუნებისა და სოციალური ყოფიერების ფერწერით სურათებში თუ ფაბულურ კომპოზიციებში განსახიერებს პოეტი თავის ნათელ ესთეტიკურ და მოქალაქეობრივ იდეალებს, ეპოქის მოწინავე იდეომაინის აზრებსა და გრძნობებს, მის მისწრაფებათა საშყაროს. რასაკვირველია, პოეტი ჩაწყ-

ვედელი როდია რაიმე ერთი მხატვრული ნონსოპოეტების ფარგლებში. მისი ლექსები მათა შორისაც კი გვხვდება სრულად განვითარებული, გვიხვდება წრფელი ამღვრების, ზოგჯერ აზრის უშუალოდ, ზოგჯერ პუბლიცისტური მანერით გამოთქვის შემთხვევები. მაგრამ ჩვენ ზემოთ ლაპარაკი გვეწონდა კარლო კალამის პოეტური ინდივიდუალობის მთავარ დამახასიათებელ ნიშანთვისებათა შესახებ, რომლებიც პოეზიის ლირიკულ და ეპიურ საწყისთა დაახლოებისა და ურთიერთშერწყმის ტენდენციას მოასწავებს. პოეტი გაუზრის ლექსის განზრახ განაზებულს მელოდურობას და თვითმხნურ კეთილმზოგანებას, გაუზრის ლექსის მამოძრავებელ აზრის წამოტიტივიებას მხატვრული ქსოვილის ზედაპირზე, იგი პოეტური ქვეტექსტების ენას ანიჭებს უპირატესობას. თუ მისი მთელი შემოქმედებითი ცხოვრების სულსა და გულს, საფრთველთა საფრთველს პატრიოტიზმის მაღალი და ნათელი გრძნობა შეადგენს, მისი უფრო შთამაგონებელი და გულის სიღრმემდე ჩაწვდომი გამოთქმისათვის პოეტი ენგურისაღში მიმართული ასეთი მომწოდებელი სიტყვებით გვეხმირება.

იმღერე, სანამ არაა გვიან,
სანამ მოთბიდან ვასული არ ხარ,
იმღერე, სანამ ენგური გქვიან
და არა უკვე შავი ზღვის ტალღა...

და მკითხველს სრულიადი არ უძნელდება გაიგოს და ცხოველყოფილად განიცადოს ამ პოეტური ქარავმის მსუბუქ საბურველში ვახვეული მაღალი პატრიოტული აზრი და მისწრაფება.

კარლო კალამის კალამს ეკუთვნის რამდენიმე პიესა, რომლებიც თავის დროზე სხვადასხვაგვარი წარმატებით იღგმებოდა მარქანიშვილის სახელობისა და რუსთაველის სახელობის თეატრებში. ამ პიესებზე მუშაობისას შექმნილი ოსტატობა, გონებამახვილური მოფიჭრებელი, მძაფრ კოლოზიებზე აღმოცენებულ სიტუეტის ჩამოყალიბებისა პოეტმა გამოიყენა პოემებში „მზე ცეცხლის კეპლში ამოდიოდა“ და „შედიანდი“.

ახლა საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს ზღერბლზე კარლო კალამის პოეტური შემოქმედების ერთობლოვი ვაცნობისას ჩვენს თვალწინ წარმოადგება:

ორმოცდაათი წელიწადი, წუთი, საათი
და ამა, მთელი საუკუნის ორმოცდაათი,
ზარაზოგებში მოქცეული, როგორც პოემა —
საყა კიდევ სახეიმოდ აღამს ცად
ასწევს,
რომ მთიდან მთავრ ამომავალ მსუებს
გადასცეს
სიახლე, რაც კი საქართველოს
შეოკავება.

თი ამ სახალის მგზნებარე მეხოტბე, მხატვარი და მადიდებელია კარლო კალაძე. მხოლოდ ვრცელსა და გულმოდგინე გამოკვლევანია შესაძლებელი სრული და ყოველმხრივი შეფასება და ვაზომვა იმ დიდი წვლალისა, რომელიც პოეტს შეაქვს ხაბჭოთა ეპოქის ქართული პოეტური კულტურის განვითარებაში. ამ წერილის ფარგლებში ჩვენ ასეთ ამოცანას არ ვისახავთ. ამყარად ჩვენ გვინდა ვესაუბროთ მკითხველს იმ ორი ლირიკული პოემის შესახებ, რომლებიც პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ახლანდელს პერიოდშია დაწერილი და რომლებშიც ყველაზე მკაფიოდ და ხელახლებად არის გამოვლენილი მისი მხატვრული ინდივიდუალობის უმთავრესი თავისებურებანი.

ლირიკული პოემები „მამა“ და „ფიქრები“ პრინციპული მნიშვნელობის მოვლენებია თანამედროვე ქართულ პოეზიაში. ორივე ამ ნაწარმოებში თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების უღარესად მწვევე და აქტუალური საკითხებია აღბრული და მხატვრულად გადაწყვეტილი და სწორედ ამით ენათესავება და უხალისოდება ისინი ქართული კლასიკური ლირიკული პოემის ისეთ ნიმუშებს, როგორიცაა ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ და ილია ჭავჭავაძის „ანრდილი“.

ქართული ხალხის ისტორიული ცხოვრების ღრმა გარდატეხისა და განახლების პერიოდში, მე-19 საუკუნის ოცდაათიანი და ორმოციანი წლების მიჯნაზე, როდესაც მოწინავე საქართველოს გონებასა და გულს უპირველეს ყოვლისა ქვეყნის მომავალი ბედიღბლას, სახელმწიფოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხები ერგვედ შეიჭრა მიერ გადადგმული ნაბიჯის შედეგები იღვრებოდა, იმდროინდელი საქართველოს უდიდესმა პოეტმა თავის ერთადერთ პოემაში სწორედ ამ საკითხებს გასცა პასუხი, რითაც ახალი გზები და ახლებური პერსპექტივები დაუსახა ქართული საზოგადოებრივი აზრისა და ეროვნული კულტურული შემოქმედების განვითარებაში. სამოციანი წლების გარემოებებში, ქართველი ხალხის ეროვნულ — გამათავისუფლებელი რევოლუციური მოძრაობის მძლავრი აღმადგობის დასაწყისში, ამ მოძრაობის ბელადმა და მეღრმემ ილია ჭავჭავაძემ სწორედ ლირიკული პოემაში „ანრდილი“ განსახიერა სოციალური პროგრესისა და ეროვნული თავისუფლების ეპოქალური მნიშვნელობის იდეალები, მომავლინივლად ამხილა იმდროინდელი სოციალური სინამდვილის სიმამრეცნი და მანკიერებანი და ბრძოლისა და მოქმედების პროგრამა მისცა მთელს ეპოქას. ასეთი იყო ლირიკული პოემის თანარის ტრადიცია გასული საუკუნის ქართულ მწერლობაში. სამწუხაროდ ჩვენს თანამედროვე ლიტერატურაში ხშირად იგიწყებენ და უგვლდებულყოფენ ამ

ტრადიციას. ლიტერატურულ პრეზანში სისტემატურად ქვეყნდება და ცალკე წიგნებადაც გამოდის „ლირიკული პოემები“, რომელთა უმრავლესობა პოეტის ნათქვამ-ნაგრძობის თემატიკისა, მისი განცდებთა და განწყობილებების ზოგჯერ ნიჭიერს, მაგრამ იმდენად ქოტურსა და მოუწესრიგებელ გაღმოცემას წარმოადგენს, იმდენად დაცლილს რაიმე საზოგადოებრივი მიზანდასახულობისა და დანიშნულებისაგან, რომ შეუძლებელი ხდება იმის გამოჩვენება, თუ რა უნდა ეთქვა ავტორს ამ ნაწარმოებში, რისთვის, რა იდეალისადმი სამსახურისათვის, რისი დამკვიდრების, ან რისი ურყეობისა და აღმოფხვრისათვის წერდა პოეტი ამ პოემაში.

კარლო კალაძის პოემები „მამა“ და „ფიქრები“ გამოწვევი შემართებით უპირისპირდება და ებრძვის ყალბი ნოვატორობის პრეტენზიებით გაგრძელებულ ამ მდლარ ლიტერატურულ მოდელს და პრინციპული თანამიმდევრულით აღადგენს თანამედროვე პოეზიაში ეფარის იმ კეთილშობილურ ტრადიციას, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

პოემას „მამა“ საფუძვლად უძევს ორი, ჩვენი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის თანახმად აქტუალური და მნიშვნელოვანი პრობლემა — ერთთა პრობლემა ადამიანის თავგანწირული, უანგარო და ურყევი ერთგულებისა ჩვენი ეპოქის ნათელი იდეალისადმი, სამჭოთა ხალხის მდლარი საბრძოლო მრწამსისადმი და მგორავ პრობლემა თაობათა ურთიერთობისა სამჭოთა საზოგადოებაში, სამჭოთა ხალხის ყველა თაობის ადამიანთა განუყოფელი იდეური და სოციალური ერთიანობის იდეა.

სამჭოთა საზოგადოების სამი თაობა ცხოვრებს და მოქმედებს ამ პოემაში. ისინი პერსონიფიკირებულნი არიან თავიანთ ტიპურ წარმომადგენელთა მხატვრულ სახეებში. მოხუცი მამა, ჭარბავი შვილი და ჭაბუკი შვილი — შვილი არიან ამ პოემის პერსონაჟები. მამა — ეს ძველი რევოლუციონერია, ქართველ ბოლშევიკთა პირველი თაობის, საქართველოში პროლეტარული რევოლუციური მოძრაობის მესვეურთა პირველი სახელოვანი კომპარტის წარმომადგენელი, რომელსაც თავგანწირულად და შეუდრეკელად უბრძოლია ცარისტისა და ბერყუაზიულ-მემამულური წყობილების დასამხობად, ვაჟსებრად გადურტანია ამ ბრძოლის მრავალი სიძველე და განსაცდელი, მოსწრება კიდევ ახალ ცხოვრების ამობრწყინებას, უშრომია მისი დამკვიდრებისა და განმტკიცებისათვის და ბოლის მხებრპლი გამხდარა იმ უსამართლო, გაუპარტულებელი და უანგარო სიმკაცრისა, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენში სამჭოთა საზოგადოების განვითარებას გარკვეულ ისტორიულ პერიოდში. შვილი — სამჭოთა ადამიანების იმ თაობის წარმომადგენელია,

რომელმაც სიბუნებრივად განიცადა ცხოვრების რეკლამაციურად გარდაქმნისა და განახლების სისარტული, მთელი არსებით შეიყვარა და შეისახლბოტოცა ახალი ცხოვრების დიდი სიმართლე და სიყვით, თავდადებულად იბრძოლა და იბრძომა საბჭოთა საშრობლომ დიდებისა და ძლიერებისათვის და ერთვულად აგრძელებს ამ ბრძოლას დღესაც. იგი პოეტია, ჩვენი სინამდვილის კეთილი საწყისებით შთაგონებულნი, მაღალი რწმენით აღტურვილი — შემოქმედი და მოაზროვნე. შეილიშვილი კი საბჭოთა ეპოქის დვიძლი შეილია, ახალი სამყაროს მშენებლობის ატმოსფეროში დაბადებულნი და აღზრდილი ხელოვანი — ფუნქსია და საქრთველის რსატტი, ტიპური ინაღვარდა საბჭოთა პატრიოტი. ერთი ოჯახის სამი თაობის აღამინათა ურთიერთობაში პოეტი განასახიერებს საბჭოთა საზოგადოების ყველა თაობის განუყოფელი ერთიანობის იდეას, რაც მთელი ჩვენი ხალხის საბრძოლო და მასულღებულუბელი მიზნების ერთიანობას ეყვარება, რომელმაც განაბირობა ჩვენი ყველა წარმატება მშვიდობიან მშენებლობაშიც და უმავალითოდ სასტიკ ბრძოლაშიც.

პოემის ეს სამი პერსონაჟი — თვითონ პოეტის ოჯახი: თვით პოეტი, მისი მამა და მისი შეილი. ამ ოჯახის რეალური თავდადსავალი, მისი ცხოვრების რეალური ისტორია წარმოადგენს პოემაში წარმოსახულ და მოთხრობილი სიტუაციის საფუძველს. აქედან წარმოდგება ის დიდი უშუალობა, სიწრფელი და ადამიანური სითბო, რომლითაც ასე ღრმად არის გამსჭვალული ეს ნაწარმოები და რომელიც ამ პოეტური ქმნილების ემოციურ ძალას, მომზიბველულობას და მიმზიბველობას განაბირბებს. ეს შემთხვევა კიდევ ურთი დადასტურებაა იმ უშუალობისა, რომ პოემაში, როგორც სავითროდ ყოველგვარი მხატვრული შემოქმედებაში ნამდვილი წარმატების წარმოშობა წყაროს ცხოვრებისეული სიმართლე წარმოადგენს, როცა მხატვრული ფანტაზია, პოეტის შემოქმედებათი ჩანაფიქრი უშუალოდ ნაგრძნობსა და განცდილს ემყარება და რაც უფრო მნიშვნელოვანია და განსაუთრებელი ეს ცხოვრებისეული სიმართლე, რაც უწერო მძაფრია და მწვავე ხელოვანის მიერ ნაგრძნობი და განცდილი სინამდვილის მივლენა, მით უფრო ღრმა დრამატიზმით არის აღსავსე მხატვრული ქმნილება, იმ კეთილშობილური დრამატიზმით, რომელიც ბადებს ემოციური შემოქმედების ძალას ხელოვნებაში.

დედქალაქის მშფოთვარე ცხოვრების ორომბრიალში გატარებული მთელი დღის შემდეგ შინ დაბრუნებულ პოეტს (თუ ლირიკულ გმირს ამ პოემისა) გვიან დამით დიდი ხნის წინათ დაღუპული მამის აზრდილი გამოეცხადება:

უცებ გაწვდა წამი... და შემაერთო წამმა,
 სინებლუში მშვიდად შემოვიდა წამმა,
 შემოვიდა ისევ ისე, შეზღვემზღვროლი,
 გაზაფხულით თუთრად გაბარდნილი
 თითქოს,
 მოიციტა სახლი,
 შეილი, შეილიშვილი,
 გულს მომხვდება, ვიცი, რაც არ უნდა
 მკითხოს.

ჩვენ ვიცით გარდაცვლილი მამის აზრდილის გამოცხადების შემთხვევა მსოფლიო კლასიკური ზრამატურების გენიალურ ქმნილებაში. და მით უფრო დიდ შემოქმედებითს განმდებლობას მოითხოვდა და დიდ რისკთანაც იყო დაყავინი რებელი ამ მხატვრული ხურობის განმეორება თანამედროვე პოეზიაში. კარლო კლავის უეყველ შემოქმედებით მდღწევად უნდა მივიჩნიოთ, რომ ეს თითქოს ზერეაღერი, თითქოს მსტეკური სასიათის ეპიზოდი მის იმეორად დაუმშემავებია, რომ არაფრ თუ მდღამარეოების ჩაიხე ხელოვნრობა და სიყალბე არ იგრძნობა, არამედ იქმნება რაღაც ინტეგრირი სითბოთი აღბეჭდილი ცოცხალი ურთიერთობის შთაბეჭდილება ამის მისაღწევად პოეტი საოკოად სადა წრფელი და ბუნებრივი სიტუეებით ალაპარაკებს „წაილიდან მძიმედ წამომდგარ მამას“:

„რაო ჩემო კარგო, რაო ჩემო უველაე?“
 მეფერება მამა ისე, როგორც ერთ კრის,
 არაფერია არ სერს
 მე რომ დამაყვედროს,
 გაყუზღებები, ვესმენ და მით უფრო
 ვღელავ“.

ასე ერთბაშად მყარდება ინტიმური კონტაქტი მამა-შვილს შორის. მოხუცი აგრძელებს შეილისადმი და მისი სახით ახალი ცხოვრების მშენებელ მთელი ხალხის, ჩვენი ნათელი სინამდვილისადმი მშობლიური „სიყვარულის გრძნობით გამსჭვალულ საუბარს:

„ველაეც შენ ხარ ჩემი მოზრიალე ტოტი,
 ნამეხარი შეხა
 არ გეგონოს გახმა,
 მიწაშიაც მე ამ მოლოდინით ვთრთოდი,
 ამ სისხარულს, ვფიქრობ, აიტაცებ აღმა“

მოხუცი მამის ამ სიტუეეებში საბჭოთა ხალხის ეს უტეხი ნებისყოფაა გამოთქმული, მისი ცხოვრების ის ნათელი ოპტიმისტური სული, რომელსაც ვერ ჩაახშობს ვერავითარი პირადი განსაცდელი და ბედის უცდომართობა, რადგან უშუალოდ საბჭოთა პატრიოტის მაღალი მოქალაქობრივი რწმენა და საბრძოლო იდეა მადლა ღვას ყოველგვარი პირადი კეთილდღეობის კრიტიკირებუბზე. რა მძიმე და მკაცრიც არ უნდა

ყოფილიყო პირადი ხევიანი, იგი ვერ გააბო-
როტებდა დიდი კლასობრივი ბრძოლების ქარ-
ცხელში გამობრძედილი ლენინელის გულსა
და სულს:

არ გეგონოს, დადილ გულს აღმოხდეს
გმინვა,
ავიაციით, მძინვარ დრო-ყამს დაესდო
ბრალი, —
ან ისეთი რა მძელს,
ან ისეთი ვინ ვარ —
რომ დაეტოვო ქვეყნად მძელეარების
კვალი!

ლენინური წრთობის მებრძოლთა ამ განუ-
ხრებლობას ჩვენი ეპოქის ნათელი იდეალები-
სადმი რწმენისა და ერთგულებაში უმღერის
ეს პოემა. ეს პოეტური ქმნილება სწორედ ამ
შებენდალავი ერთგულების პიშინი და საგალო-
ბელია.

ჩამდენი ავკაცი ცხოვრობს თანამედროვე
რეპეციულ სამყაროში, რომლებიც თავგამოდე-
ბით ცდილობენ ვერაგულად გამოიყენონ საბ-
ჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყოველი ნაე-
ლოვანება, ხარვეზი, ჩრდილოვანი მზარე, დარ-
ღვევა და უკანონობა იმისათვის, რომ ჩრდილი
მიაციენონ და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის
თვალში სახელი გაუტეხონ ჩვენს საზოგადოე-
ბრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებას, ჩვენს
იდეოლოგიას, საბჭოთა ცხოვრების წესს. ჩვენს
ლტერატურაშიც კი იყო მისი ცალკეული ცდე-
ბი, რომ ჩვენი სამშობლოს მოღალატე ვარეწა-
რთა მიერ ჩადენილი ბოროტი დანაშაულებანი
გადაებარალებინათ ჩვენი ხალხისათვის, ჩვენი
წყობილებისათვის. ყოველი ჯერის ასეთი ბო-
როტი ცილისმწამებლობის წინააღმდეგ მებრძე-
ლებს რწმენითა და კანონიერი სიამაყის გრძ-
ნობით აღსაქვ სიტყვები მოხუცი მამისა:

აღისფერი ცაზე წარმშლელი რჩება,
ის დასტოვა ბრძოლამ და სიცოცხლემ
ჩემში!
ჯერ არც ერთი ღმერთის
და ხელმწიფის კაცი
არ ყოფილა ჩემზე მედგარი და მკაცრი.
ჩამდენჯერაც სცადეს და ეანდარმის
მეილით
გადამაგდეს უცხო მთა-გორების იქით —
იზღვწერამ ბოროტს გამოესტაცე ძვალნი
და ცაშიბრის ქარბუქს აფრეიე კვალი.

ასე უღრეცი, ამაყი და პირნათელი დგას თა-
ნამედროვეობისა და ისტორიის წინაშე, მომა-
ვალ თაობათა სამსჯეროს წინაშე მოხუცი მამის
სახეში წარმოდგენილი თაობა რეჟოლუ-
ციის იმ კეთილშობილი რაინდებისა, რომელთაც
პირველი ვაბედელი იერაში მიიტანეს მონო-
პისა და ძალმომრობის უკუღმართ სამყარო-

ზე და უთვალავი განსაცდელისა და მსხვერპ-
ლის საფასურით იხსნეს ჩვენი ქვეყნის სუვე-
რეობრივი სოციალური დამოუკიდებლობის
საგან. არავის დღემდე ქართულ პოეზიაში არ
შეუმოსაქვ ასეთი შარავანდელოთ ჩვენი მებრძო-
ლი წინამორბედების ეს პლევა, როგორც ეს
კარლო კალამზე შესძლო თავის ამ მკიცრე მო-
ციულობის ლრიყულ პოემაში. დიახ, ამ პოე-
მის გვირის, ძველი რევოლუციონერი-ლენინ-
ნელის სიტყვებით მთელ ეს ათასგვარ ქიტსა
და განსაცდელში უღრეკად გამოვლილი თაობა
მიმართავს თანამედროვეობას და ჩვენს მომა-
ვალსაც:

ვიღვამ მტოციედ, მქონდა მისწრაფება
წრფელი.
განთიადი იყო ჩემი დროშის ფერი!
და ვინც ფერბით დასცა ხელმწიფე და
ღმერთი,
იცი კარგად, მეც ვარ იმ ათასში ერთი!
...ნერც ქაღილად ჩათვი, ნერც მოხუცის
კვეხნად.
თუ მგონია: ხელთ მაქვს ძველი
ნატურისთვლი,
თუ იმდით ვცოცხლობ,
სანამ თქვენ ხართ ქვეყნად,
სანამ წვდება მერმის იმ დროშების აღი...
და ხალხი, თანამედროვე თაობა განუზომელი
სოცეარტლისა და მადლიერების გრძნობებით
უპასუხებს ამ ღეაწლმოსილ წინამორბედს:
რა კარგი, ხარ, მამე, შენსას რომ არ
იშლი,
ეკოცნი მე შენს თვალებს,
რა მებრძვლად სდემანს
რომ გაბედოს ვინმემ და მოგვიგოს
ნიშნა,
შეთქმულივით ვიცი, შეაქვენებ უმაღ!

მამა-შვილის მთელი ეს დიალოგი, მიუხედა-
ვად მათი ხანგრძლივი დაშორების და ხელახა-
ლი შეხვედრის სიტუაციის უკიდურესად მამა-
ფრი დრამატული ხასიათისა, განათებულია
დიდი სახარტლის განცდით, წრფელი აღტაცე-
ბით და განუზომელი სოცეარტლით იმ მარადი-
ული გაზახუტლისადმი, იმ განუყოფელი ნათე-
ლისადმი, რომელიც დამკვიდრებელია ჩვენს
ქვეყანაში ხალხის საუკეთესო შვილთა ხანგრძ-
ლივი, უმაგალითოდ გმირული და თავგანწი-
რული ბრძოლების შედეგად:

რა დილა, რა მზე, რა სიმღერა, დახე —
რა ოცნებით სტრეჟავს გაზახუტლი ჩვენი,
აჰ, მოხუცი მამის
სახელი და სახე,
რა სტრათი ვინდა უფრო უკვეელი?



არა, ჩვენი ქვეყნის ეს დიდი გაზაფხული ადამიანთა მარტო ერთ რომელიმე თაობას როდი ეკუთვნის. ჩვენი სამშობლოს ისტორიის ყოველ ახალ საფეხურზე ადამიანთა ახალი და ახალი თაობები თავისებურ პირობებსა და ვითარებაში აგრძელებენ, განავითარებენ და განამტკიცებენ წინამორბედი თაობის მონაწილარს. ამიტომაც მაშის შეკითხვაზე: „იმ უღებლო დღიდან დღემდე პასუხს ველო: რას შესწირე, შეილო, ოცდამეოთხე წელი?“ შეილა სრული უფლებით პასუხობს:

ზემიდა დილის, სიმღერაა თუ მზე,
მეც ამ სურათს ვხატავ, მეც ამ სურათს ვეშვები!

ყველა საოცრება
და ოცნება ყველა
ზეთა ფოთოლთშლა თუ ხეთა

ფოთოლთცვენა,
თესვაა თუ კანჯა, თიზვაა თუ რთველი,
ფერად-ფერად მთების კალთა, მინდორ-ველი,

სულ ამ სურათზეა,
სულ ამ ცის ქვეშ, მამა,
წარსული და აწმყო, ახალი და ძველი!

როცა ქვეყანა ფაშისმის სისხლიან ურდოებს იგერიებდა, პოეტი საბრძოლოდ აღმავსებზე-ლი ღვწილ ტრიანლებდა ომის ქარცეცხლში: ღვწის თუ ვწერდი მაშინ, როცა გესპობდა ომი —

სხვა რა იყო მფეთქვე გულთან მისაწვდომი?

არ მღეროდა ვინა
იმ ღვწის ყველა წყვილი? —
ჯარისკაცის დედა, ჯარისკაცის შვილი...

ხანგრძლივად ერთმანეთთან დამორბედულს სხვადასხვა თაობის ამ ორ ადამიანს მთავარსა და არსებით საყოფებში ერთნაირი თვალსაზრისი აღმოაჩნდება. თუ შეილა სრული უფლებით მიიჩნევს თავს წარსულსა და აწმყოს, ახალსა და ძველის შემკვიდრულ და ბატონბატრონად, სამაგიეროდ მან იცის, რომ მისი ასეთი მდგომარეობა მიღწეულია მოხუც შამასთან და ქაბუც შეილთან განუყოფელი სულიერი თანაზიარობით:

და სამღერის პირველ სიტყვად რომ არ მწამდე,
მამა, ხელი როგორ მიმიწვდება ცამდე?
ღრო და ვამი ნაქლულ გულს ვით ამიესებდა,
მზარს არ მიღვეს მამა, მზარს: არ მიღვეს შეილო...
ღმილივით საღდაც ღვივის ჩემი
წვლილიც.

თუმც ღმილითან ერთად მეც მაქვს ჩემი სუღდა.

ხოლო პოემის მესამე პერსონაჟს — ახალგაზრდა მოქანდაკეს თავისი ნამუშევრებით აუფ-

სია დარბაზი, ახლა ის გამხდარა ოჯახის ბერძენი, ცხოვრების უპირველესი გმირი, რომელიც ასევე უყვარს ქვეყნად სიმართლეს და კეთილსათვის ბრძოლა, როგორც მის მამას და პაპას უყვარდათ:

ქვის ხანა ნეტავ, თუ ბრინჯაოს ხანა? —
ჩვენს დარბაზში ახლა ქვის კაცება დგანან,
სადაცა მოვა

ამ ოჯახის ბერძენი,
აქ ბატონობს მისი საპრისი და ფუნჯი!
სადაცა კიდევ დროა შეთანამდენენ
ევ წარბები შეზღის ზღერბლზე განაბულა,
მასაც უყვარს ბრძოლა,

ვით მე და შენ, რაჟღერ,
და სიმართლევ უყვარს თეაღწერულად
თქმულა.

ღვწის კონტექსტში ასე ბუნებრივად ჩამოვლი მაშის სახელი — რაჟღერ — უკვე საუკუნით რეალურსა და კონკრეტულ ბიოგრაფიულ ხასიათს აძლევს პოემაში გამოხატულ სიტუაციას და კიდევ მეტად აღრმავებს ნაწარმოების ცოცხალ ინტიმურ ატმოსფეროს. სიმართლესა და იმ თეაღდაბებულ ერთგულებას აერთიანებს საბჭოთა საზოგადოების ყველა თაობას, რაღვან სიმართლევ და სამართლიანობა არის უპირველესი საფუძველი იმ ახალ წყობილებისა, რომლის დედაშიწაზე განუყოფელი დამკვიდრებისათვის იბრძოდნენ და დღესაც იბრძვიან ხალხის საუკეთესო შეილთა თაობები. სწორედ ამ სიმართლემ იხსნა და დაცვა უსამართლოდ შეზღაღული ღირსება და სახელი მოხუცი მამისა, ამ სიმართლემ აღადგინა და წამოაყენა იგი სამართლად:

სიმართლეა სიკვდილ-სიციცებლზე
მძალერი,
და მან დასღო შენს მველელს საბოლოო
მსჯეარს!

მე კი მიზდა, მივწვდე
კვლავ იმ ღმილის, იმ ხელს —
გამართლების შემდეგ სიყვარულს რომ მიმხელს.

ეს მოაღერს ღმილი და კეთილი ხელიც იმ დიდი სიმართლის სიმბოლიერი გამოხატულება, რომელიც თავის სრულ გამარჯვებას ზეიმობს ჩვენს ქვეყანაში და რომელიც ასეთი სისწულეობიდი ძალით ეტრნავს და აწმყებს ცხოვრების ბოროტი ძაღების მიერ კეთილშობილი გულისათვის მიყენებულ ყველა წყლულსა და ტკივილს.

მამა-შეილის ამ დიალოგს, ეპოქის ყველაზე მთავარი და არსებითი აზრის გატრეშვი დატრიალებულ მათს საუბარს შემოესწრო კარგვა შეილიშვილი. ღრმა სიმბოლიერი მნიშვნელიზა აქვს იმ დეტალსაც, რომ კაბუციის შემოსელის-

თანვე ერთბაშად განათდა ღარბაზი და ამ სინათლის ღოგისში ბუნებრივად მოექცა პოემის სამივე გმირი:

და ღარბაზიც ისე განათა ქაღმა
განვირა სარკის გამოღმა და ვაღმა,
რომ ერთბაშად მოუხვლით
ერთ ჩარჩოში ახლა
ერთ ჩარჩოში ბუნჩას და კარადის
მღლა!

ო, სინათლის ერთ რკალში ამ სამი თაობის ერთობლივი შემოკრების, ერთი ნათელი გაწაღებულ ჩარჩოში მათი შედღეღმის იდეა შეადგენს ამ ნაწარმოების მთავარ პათოსს. მის შორალს, მის ფილოსოფიას. ავი სოციალიზმის შეთრეხებელი მტრები საერთაშორისო რევოლუციის ბანაკიდან თავის ანგარიშს იმ უბადრულ და უსაფუძვლო იმედზე აშუაბებენ, რომ შეიძლება რაიმე ბზარი გაუნდეს საბჭოთა საზოგადოების მთლიანობას და მონოლითრობას, შეიძლება ერთმანეთს გაეთიშონ და დაუპირისპირდნენ საბჭოთა ხალხის სხვადასხვა თაობები, სამწუხაროდ ჩვენშიც, ზოგიერთი განუხამოუწყობივებელი ლიტერატორი არც თუ ისე დიდ ხნის წინათ ქადაგებდა ჩვენს ქვეყანაში თაობათა გათიშვისა და განცალკევების უსუსურ „თორიებს“, წინა თაობათა მიერ მიღწეულია და მოპოვებულს ნილიოსტერ უარყოფლობას. ზოგი მათგანი კერიოზულობამდე სასაცილო ზარზეიმით გაყვიროდა ჩვენი ცხოვრებისა და ლიტერატურის სარბიელზე რაღაც განსაკუთრებული მისიით მოვლენილი ახალი „სამოციანელებს“ შესახებ; ამგვარ „მოზართელებს“ ვერ ვაეყოთ ის ნათელი კუშმარბიება, რომ ჩვენს სინამდვილეში შეუძლებელია „მამათა და შვილთა“ იმჯგირი ბრძოლების განმეორება, რაც დამახასიათებელი იყო გასული საუკუნის სამოციანი წლების რუსეთისა და აგრეთვე საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. ის მწვავე კონფლიქტები და წინააღმდეგობანი, რომლებიც წარსულში „მამათა და შვილთა“ ბრძოლების სახელით იყო ცნობილი, ახსებთადა სხვადასხვა კლასების, სხვადასხვა სოციალური ფენების კონფლიქტის ანაზავად, ურთიერთმონივინადღვევა დიეოლოგიურ მიმართულებათა შეჯახებას წარმოადგენდა. ცხადია, ასეთი ანტიგონისტური კონფლიქტები შეუძლებელია აღმოკენდეს ამოფლმხადველობრივი, მორალური და პოლიტიკური მთლიანობით შედღედაბუბულს საბჭოთა საზოგადოებაში.

კარლო კლამის პოემა „მამა“ ჩვენი ხალხის ამ განუყოფელი მთლიანობის იდეას ასახავს და უმღერის. პოემაში მომქმედი სამი თაობის ადამიანთა მშობლიურ ერთიანობის აზრი ამოტრავებს, და ასულდგმულებს ამ ნაწარმოებს:

მზე სამთავეს ერთად გვინათებდეს მინდა
ისე, როგორც გარეინეკტრასანან წყლებს,
სართულ-სართულ ქაზმედელ გერმანებს
ამაღლებს
სიღამაზეც არის სიმამაცე შეიღთა!
ყველა ყველა, ყველა! პატარა თუ დიდი,
პირველი დღის სწრაფვა,
მეორე დღის ზიდი,
ყველა წამი იწვის ერთ განუყრელ წამად,
საუკუნე ჩვენი არ იყოფა სამადა!

ო, ლოღეუტრა დასკვნა პოემაში განეითარებული ადამიანური ურთიერთობებისა. ჩვენი საბჭოთა საუკუნე, მისი შემოქმედი და მამოძრავებელი ხალხი მთლიანია და განუყოფელი. ამ აზრის მხატვრულ დასაბუთებას მიუძღვნა კარლო კლამემ თავისი იშვიათად გონებასხვილურად მოფიქრებული საუკუნის ნაიდაველი ავებელი პოემა. ჩვენი ხალხი არის ერთაჯერითი დირსეტული მეწყვიდრე ყველაფრისა, რაც საუკეთესო შეუქმნია ცაცობრიობას მისა ისტორიული ცხოვრებამ საუკუნეთა მანძილზე. იგია ერთადერთი ბატონ-პატრონი ყველაფრისა, რაც თანამედროვეობის მშვეენებას და სიამავეს შეადგენს. იგია შემოქმედი და განმეუღე დედამამაზე სრულყოფილად ნათელი და პარმონიული ხვალისნდელი დღისა:

ის რაც იყო, არის, და ის რასაც ველი,
ჩვენი იყო, არის და იქნება ჩვენი!
შწამს მეჩამის ერთი,
ისე, როგორც შწამდა
ისე, როგორც დიდი ერთაუტლება ხამთა!

თითქმის გარკვეული პოლემიკური ეინით და გატაცებით კიდევ და კიდევ, ახალი და ახალი მხატვრული ძალით, შთამბეჭდავად და შთამაგონებლად იმეორებს პოეტი ამ „სამათა დიდი ერთეულების“ იდეას, რომელიც ლეიტმოტივის წარმოადგენს ამ პოემისა — ხვენი დღეების ქართული პოეზიის ამ ერთაერთი საუკეთესო ძილწევისა და მონაპოვარის.

„ქარად და ყველან, საქართველოც, მე ვარ შენთანა...“ ილია ქვეციავაძის ეს დიდებული სიტყვები, რომლებსაც „ანარდილის“ ლირიკული გმირი წარმოსთქვამს, კარლო კლამემ ენიგრაფად წაუძმღვარა პოემის „ფიქრებაში“. და მართლაც სამშობლოსთან განუყრელი თანაზიარობის, მშობელი ქვეყნის ბედიბაბლთან, მის სასიცოცხლო ინტერესებთან სისხლზორცეული ერთიანობის განცედა და გრძნობა შეადგენს ამ ნაწარმოების ძირითად პათოსს. მის იღუტრ საფუძველს, თურქეთის გრძელ გზებზე მოგზაურობისას, ამ ქვეყნის თანამედროვე ცხოვრებას დამახასიათებელი მოვლენების, თუ ისტორიული ძეგლების გაცნობისას, ამ ქვეყანაში მცხოვრებ ქართველობასთან შეხვედრება-

სას, ყოველთვის და ყველგან პოეტის ცნობიერებას სამშობლოს სახე ეფუძვლება:

სამშობლო ჩემო, შენთანა ჩემი
 ფიქრები —
 სადმე ყვავილის მოსაწყვეტად, როცა
 ვიხარებ,
 შენს გარდა შენს იმ შთამომავალ ბედს
 ვინ არგუნებს?
 არა და არა! თავს არ თვლიან მაინც
 ხიზნებად, —
 განწირებულთა ბედნიერი დღე
 ვინიხრებათ,
 ზღვის იქით, ახლაც ღამეებში
 გადგაყრულებს!

ზღვის იქით, უცხო სამყაროში, სოციალური და ეროვნული ტირანის წყევლიაღში გადგაყრუებულ თანამომავალ ბედს დასტრიალებს თავს პოეტის მღვლეაჯ ფიქრები, მათდამი სიყვარული და თანაგრძობობა, მათს მომავალზე ზრუნვით, მათთან მძვინვარეობის შინაწარაფებით არის შთაგონებული და გამოთხარო ამ პოემის ყოველი სტრიქონი.

საუკუნეთა განმავლობაში ისტორიული ბედის უკუღმართობის გამო დედა-სამშობლოსაგან მოწყვეტილი ქართველები სხედამსხვა რაოდენობით ცხოვრობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. სისხლიან დამპყრობელთა მიერ ტყვედ წაყვანილნი თუ მტრების მიერ შიტაცებულ ქართულ მიწაყვალზე დარჩენილნი, ისინი მოკლებულნი არიან დედა-სამშობლოსთან, მშობელ ხალხთან კავშირ-ურთიერთობის ბედნიერებას. დიდძალი ქართველობა ცხოვრობს იზანში, კერძოდ ფერეიდანში — სპარსეთის მჭვინეაჯ შახის — აბას I-ის მიერ მე-17 საუკუნის დამდევს კახეთთან ძალდატანებით გარკვეულ ქართველობის შთამომავლებს, ხოლო ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი ქართველობა იმყოფება თურქეთში, არა მარტო შავი ზღვის სანაპირო რაიონებში — ლაზისტანში, არამედ თვით სტამბოლშიც, ქალაქების ბურსა და იზმირის მიდამოებში, თურქეთის სხვა რაიონებში.


რამდენი ქართველი ცხოვრობს თურქეთში? ამ საკითხზე გარკვეულ და ნამდვილ პასუხს, რასაც ვერც ვერც ამოვიკითხავთ რაიმე ოფიციალურ სტატისტიკურ წყაროებში. თურქეთში მშობრული წრეების ნებისყოფით თურქეთში მცხოვრები უოველი იდამიანი თურქად ითვლება. ამიტომ მოსახლეობის აღწერისას ამ სახელმწიფოში ეროვნული კუთვნილობის კრატერიუმში საყვებით უგულვებელყოფილი და გამორიცხულია. პირადი გამოკითხვების, იქაურ ქართველებთან ვასაუბრების და ცოცხალ შთაბეჭდილებათა შედეგად შემუშავებული ჩვენი ვარაუდით თურქეთში მოსახლე ქართველობის რიცხვა საგრძნობია. ამასთანავე აღსანიშნავია

ესა ის გარემოება, რომ თურქეთის ქართველობა იშვიათი სისწრაფით მრავლდება. ზედმეტად ლაბარაყი იმის შესახებ, თუ ჩვენი თანამოქალაქები რეგიონალური ეროვნების რაოდენ დიდი მნიშვნელობა უნდა ქონდეს უცხოეთში მცხოვრებ ამ ქართველობასთან კონტაქტების, დედა-სამშობლოსთან მათი კავშირ-ურთიერთობის საკითხს. ბუნებრივია, რომ ამ პრობლემა განსაკუთრებული აქტუალობაც და პრაქტიკული მნიშვნელობაც მხოლოდ ჩვენს საბჭოთა ეპოქაში მოიპოვა, როცა წარმოიშვა რეალური შესაძლებლობანი წარსულის ყველა ისტორიულ უსამართლობათა და უკუღმართობათა გამოსწორებისა, ყველა იმ წყლულისა და ტკივილისა განუტრუნებისა, რაც წარსულის სისხლიან საუკუნეებს მიუყენებია ამა თუ იმ ხალხისათვის. ცხადია, აქ ლაბარაყია არა ვისთანმე რაიმე ტერიტორიული პრეტენზიების შესახებ, ან სამშობლოს გარეშე მცხოვრები ქართველობის აუცილებლად საქართველოში დაბრუნების შესახებ, არამედ იმ ელემენტარულ სურვილისა და მისწრაფების შესახებ, რომ ყოველ პატიოსან, მშობრულ ქართველ კაცს, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი, თუ ვულწრფელად სურს დედა-სამშობლოსთან კავშირ-ურთიერთობა, ქართული ენისა და ქართული კულტურის ყველა სიმდიდრითა და სიყვითთ საჩვენებლობა — ქონდეს ამის უფლება და საშუალება.

თანამედროვე ქართველ პოეტთა შორის კარლო კალამე პირველმა გამოიჩინა შემოქმედებითი ინტერესი ამ დიდი ეროვნული და სახელმწიფოებრივი პრობლემისადმი. ჭერ კიდევ თავისი პოეტური სიჭაბუკის ხანაში დასწერა მან პოემა „ძახილი აღმოსავლეთს“, რომელმაც ცხოველი გამოხმაურება პოემა ოციანი წლების ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში და საზოგადოებრივობის ფართო წრეებშიც. მართალია იმდროინდელი „რაპტული“ კრიტიკის ზოგიერთმა ნაფიცმა მესვეურმა იმ ნაწარმოებისათვის პოეტს პატრიოტიზმის და ეროვნული გრძნობებისაკენ „გადახრა“ უსაყვედურა, მაგრამ პირუთენელი მკითხველისათვის მაშინაც ნათელი იყო და დღეს მით უმეტეს უკველია და უდავო ახალგაზრდა პოეტის ამ შემოქმედებითი შემართების დადებითი მნიშვნელობა ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში.

პოემის პირველსავე სტრიქონებში ნათლად იგრძნობა ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტის მებრძოლი გატაცება იმ დამძულ სოციალური კონფლიქტების ვითარებაში, რაც დამახასიათებელი იყო საბჭოთა საქართველოს ისტორიის პირველი ამწულულისათვის:

კრულ იყოს ორგულ ვეკაცის მკლავი,
 თავისი მშაფრი დროის მგომბელი, —
 ვინც მტრობის გამო არ შეივაროს



მზით ანთებული წუთისოფელი
უფრო მწყურვალე ვსაგომ სატყუნს,
ეპი კი ზღვაა დაუწრობელი...
და ახლად ვაგებთ ჩვენს საქართველოს,
ჩვენს გულის ვეფხვარს ჩვენი მშობელი.

როცა აშენებს მთელი თაობა,
მტრულად თუ ვინმე შემოგვეტყუას,
უნდა აქ ერთად ავბაროთ მტერს ჩვენს
და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე
შევგრანს გმირული გამბედაობა!

ასე ორგანიზულად გაერთიანდა ახალგაზრდა პოეტის ცნობიერებაში მშობელი ქვეყნისადმი სიყვარული და ახალი სამყაროს მშენებლობის მაღალი რწმენა. სწორედ ამ რწმენამ უკანახა მას დანიტერესებელიყო სამშობლოდან გადსხვეწილ თანამოქმეთა ბედით. პოეტი ეძიებს ფერეიდანულ ქართველობას:

სადა ხარ ახლა, უცხო ქვეყნებში
დაჯახრობთ სევდა გულს ნამღლევი,
ვინ შემოპირიბოს ვარსკვლავებით
მშობლიურ ცის ქვეშ თქვენი თვალები?

პოეტს თითქოს მოესმის ცხრა მთასა და ცხრა მინდორს იქით გადაკარგული ძმების კენესა, მათი გოდება დაკარგული სამშობლოს გამო, მათი ლტოლვა მშობელი ქვეყნისადმი და მღელვარედ ვხმაურება მათს გულისტყუილად:

თითქოს მოგვესმა კენესა მრავალჭერ,
ერთმანეთი კი ვერ გვიპოვინა,
ცხრა მინდორის და ცხრა მთის გაღაღამა
გვინდა გაღამწოდეს გზა ფერეიდანს...

და ნუ შევევრგოს მშობელის ძებთ,
ოღესლაც ერთად რომ გვიწოვია, —
შევიდრი ძმა ძალით ვადხვეწილი
თუ ევლარ ეამოთ ამიერიდან!

უკვე მაშინ თავისი ქვეყნის მომავალს, მის ყოველგვარ სიკეთესა და ბედნიერებას პოეტი ხალხთა ძმობის კეთილშობილურ გრძნობასთან აკავშირებდა და მთელი გულით უმღეროდა ხალხთა ურდევით მეგობრობის კეთილშობილურ იდეას:

ამიერიდან ჩვენი იმედი
ერთა ძმობაა, ერთა ერთობა! —
სიყოცხლისათვის სხვა გზა არ არის:
ჩვენი სამშობლო ამ გზას ენდობა!

პოეტის ოცნება ის არის, რომ ქვეყნად ამო-მტყდარი დაადი რევოლუციური ქარტახილენის ეპოქაში აღმოსაელეთის ჩაგრული ხალხები და მათთან ერთად ფერეიდანის ქართველობაც კაცობრიობის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში იდგნენ:

მაინც ვეძახი შე აღმოსაელეთს,
სურვილი მაინც ერთაა, ერთი —
გმირული შრომის დიდ საბრძანებელს

ეგებს არც იყოს აუცილებელი იქის განმარტება, რომ 18-19 წლის ახალგაზრდა პოეტის ჭერ კიდევ უწრთობი კალმით დაწერილ ამ სტიქიონებს ავლთა მხატვრული სიღრმე, პოეტური ხილვისა და გამოსახულების მაღალი ხელოვნება. აქ ავტორი უფრო დეტალური ვინთ მეტყველებს, ვიდრე სახეობრივი აზროვნების ისეთი საშუალებებით. რომლებიც ღრმად წუდება ადამიანის გულს და წარუშლელად აღბეჭდება მის სულიერ სამყაროში.

ამ პოემის დაწერიდან ოთხ ათეულ წელიწადზე მეტმა დრომ განკლდა და იმ თავისი შთაგონების სრული მომწიფების ასაკში, პოეტური ინტუიციის რთულ საიდუმლოებას დაუფლებული, მდიდარ: შემოქმედებითი გამოცდლებით აღჭურვილი და მოვლენათა სიღრმეში წვდომის უნარით შეიარაღებული იგი კვლავ უბრუნდება უცხოეთში გაღაგაწვილ თანამოქმეთა თემს, მაგრამ ამჯერად უკვე სულ სხვა ისტორიულ ვითარებაში, სულ სხვაგვარ ცხოვრებასეულ მასალაზე აშქვებს მას. თუ აღრინდულ თავის პოემაში პოეტი უბირატუნად განყენებულ კატეგორიებით ემყოფილდა ბოლშევიკებს, ახლგან მას მხოლოდ მათთვის წარმოდგენა ქონდა ფერეიდანში მცხოვრებ ქართველობაზე, ახლა მისი შთაგონების წყაროს უკვე პირადად ნახული, უშუალოდ განცდილი და ნაგრძნობი სინამდვილე შეადგენს. ცხადია, ეს გარემოება კონკრეტულ რეალობას, სიყოცხლეს, ადამიანურ სითბოს ანიჭებს ახალ პოემაში დახატულ სურათებსაც და სახეებსაც, პოეტის მსჯელობებსაც და განზოგადებებს.

„ფიქრებში“ პოეტი თურქეთის ქართველობის თემს განცალკევებულად და ახლიერებულად კი არ ამეშავებს, არამედ შთაბეჭდილებათა, განცდათა და განწყობილებათა იმ რთულ კომპლექსთან დაკავშირებულად, — რომელსაც წარმოშობის თანამედროვე კაცობრივ-სტერი სამყაროს ამ ერთ-ერთ უღრმესად თავისებურ ქვეყანასთან პირველი შეხვედრა და გაცნობა. ამ განცდებს და შთაბეჭდილებებს ამბატრებს და აბთულებს ფერეიდანის თანამედროვე მმართველი წრეების დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ — პოლიტიკურ წყობილებასთან, ჩვენს იდეოლოგიასთან და აგრეთვე მის რთულ ისტორიული ურთიერთობის, რომლითაც ეს ქვეყანა სურეწეთამანჭილზე იყო დაკავშირებული საქართველოსთან.

უცხოეთის სახელმწიფოთა შორის თურქეთი ერთ-ერთი ისეთი სახელმწიფოთა, სადაც ყველაზე ნაკლებად არის განვითარებული კონტაქ-



ტები საბჭოთა ქვეყანასთან, იშვიათობას წარმოადგენს დედუკაციათა ურთიერთ გაცვლა. ტერორტული მოგზაურობანი, არ არსებობს საბჭოთა კავშირთან შეგობრობისა და კულტურული კავშირის საზოგადოება, უკიდურესად შეზღუდულია საბჭოთა პრესისა და ჩვენი ლიტერატურის შეღწევა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული ყოველგვარი ასეთი კეთილშეზობლივი ღონისძიების განხორციელება, რომელიც განხილავს წუობილებათა სიხელმწიფოების თანაარსებობის საბჭოთა პოლიტიკას შეესაბამება. ასეთი ერთგობისაგან წარმოდგება დამატული სულიერი მდგომარეობა და მდღევარება, რომელსაც მოვლავს საბჭოთა პარტი თურქეთში გამგზავრებისას და რომელიც თითქმის ღანინერის ფრთებსაც კი გადისლებია:

ღანინერს თითქმის უკრთის ფრთები და აუნთო ჩვენი სულიცყეთებით, უკვე სარკმელთა ჩარჩოებიდან სურათებივით ჩვენ ვიხედებით. ...ერთი საათი, ორი, მესამე, ცა და ღრუბელი: ზღვა და ხმელეთი, ჩვეს ვით გარენის პირველ დღესაც ანიათას მზის სარკმელები. ერთი საათი, ორი, ქარსავით საათ, მაშ ასე ვაშლილი ფრთებით? საით ფიქრებო, საით? არსათო! სტამბოლი, მიწა ზღვისპირად, ვსხდებით.

ამ ლაკონიურ ფრაგმენტოვანში, ექსპრესიულ რიტმში, თითქმის მოუწყობრივებულ ქაორტერ, ალოვიერ ფსიქოლოგიურ აღქმათა ცვალებადობაში გადმოცემულია შინაგანი მდღევარება პოეტის ღირიფული გმირისა, რომელიც პირველად შედის მისთვის ამ იშვიათად უცხო და უჩვეულო სამყაროში — სტამბოლში, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ზღურბლზე გადაშლილ ერთ-ერთ უდიდეს ქალაქში. აქ ერთბაშად თვალწინ გადაგვჩნდება უცნაური კონტრასტებით აღბეჭდილი სურათი, სადაც ერთმანეთს გვერდით თანაარსებობენ უკიდურესი სიმდიდრე და სიღატაკე, სიღამაზე და სიმახენე, უღბრა მოღერწული ცივილიზაცია და წარმოუდგენელი ანაქრონიზმი, პირველყოფილი პრაქტიკულობა, ჩამორჩენილობა:

ჭელი სტამბოლი, ძველი სტამბოლი, პოლაზი ანაქმაწვიდო გეშებით! შორი თაედაზრა, შორი აშბორი, აღმოსავლური შეყოფებით... ...ძველი მადლობაე დარჩა მადლობად და ძველ მეტოქედ არის ცნობილი: წმინდა სოფიოს ტაძრის მახლობლად მეჩეთი ღურჩა ქვათ აწყობილი. დრომ არც მსახური არ გამოცვალა და არც ნაბიფ ბატონ-კაცურა:

მისღვეს ფორთოხლით სავსე ორთქალი და ზის ქოშების ტყაუენ-ტყაუენი

„ფიქრები“ მოგზაურობის მხატვრულ რებორტაჟს როლი წარმოადგენს. მასში ნახელი და განცდილი წარმოსახულია არა თანმიმდევრულად განლაგებული, ვრცელი და ნატურალურად „ამოწურავი“ ჩანახატების შეშველით, არამედ თავისებური სიმბოლური მნიშვნელობის შტრიხებით, პირობითი კონტრეტებით, ზოგჯერ შორეული ასოციაციებით, რომლებშიც ხელსახებად არის გადმოცემული მოვლენათა არა, მათი არა იმდენად გარეგანი გამოსახელება, რამდენადაც ნამდვილი შინაგანი ბუნება და ხასიათი:

თვალს მჭრიდა კრელი ჭაღის ნაყადა, შავრამ სხეულით გზის გამთიშველი — აქვე შენობებს ზემოდ ნახატა თუთო ღრუბელივით იწვა შიშველი! შუქით ლეილას იწერდა ქუჩა, ქრებოდა, ენთო, ისეე ქრებოდა! ნეტავი თვალი არ დამეხუჭა — მოსაგონებლად არ მექნებოდა... ძველი სტამბოლი, ძველი სტამბოლი, შიკობ-შოკიბულ სახლების იქით... სადაც თეთრენის ბოლით გაბოილი, თაღებ ქვეშ ყავა უტრეიწორი კქით!

და ამას მისღვეს ნახევრად ცანრული, ნახევრად გროტესკული პორტრეტი ყუიხანის მჭლობელი ალი ეფენდისა, რომელიც „უმზეოლ და უზემოდ“ ფეხმორთხმული ზის თითქმის სამეზუმეოდ გაწყობილს თავის შუშაბანღში, სადაც

ზნელში ზარბაცი ალიც ანთია, და ამ დიდ ხეფქემშ, ამ დიდ შუშაში — შენი უსიტყვო ღანღი — ნარღია, შენი ტტი-კბილის შუქი — დუშაში!

ასე წარმოუდგება პოეტს უფერული და უშინაარსო, უსიტყვო და ღანღური ცხოვრება სიმდიდრის მონად ქვეული აღმიაინისა, რომლის სახეშიც მახელი სოციალური გააზრებით არის გამოხატული სრულიადც არასახარბიელო ბედი ფაქტიურად დასავლეთის კაბიტალიზტური საბუღმწიფოების შიერ კოლონიზირებოლი თურქეთის თანამედროვე გაბატონებული კლასებისა.

ვერსად, მსოფლიოს ვერც ერთ სხვა კუთხეში, ვერც ერთ სხვა ქალაქში ვერ იგრძნობთ ორი კონტრენტის — ვერსობისა და აზიის ისეთ უშუალო შეხვედრას, როგორც სტამბოლში. აქ ყოფნისას თითქმის ერთდროულად ცხოვრობ დასავლეთისა და აღმოსავლეთში, სადაც იმავე ქრეხეში, რომლებზეც დამით თვალის-მოშკრული კომერციული ელემტრო-რეკლამე-



ბი გაბრძვებდათ, დილით წყლისა და თევზის გამოყენებით ბიჭების შემპარხენი კვილი გაისმის. ყველგან ფეხის ყოველ გადადგამზე ერთობლივად წინ გვხვდება ევროპა და აზია. ამ წყნარად მიმდინარე უცნაურობაა, მაგრამ არის ბევრი თავსებური სილამაზეუ და მომხიბველობა:

ეს მართლაც ქვეყნის სილამაზაა და არა ზღვათა დაუღვერობა: მიწის ერთ ნაპირს ჰქვიან აზია, მიწის მეორე ნაპირს — ევროპა! ბოსფორმა დღევით გააეღო ზღვარი, სადაღაც კი ძველი ცეცხლი ანთია — ცად ოქროს მთვარე და ოქროს ქვარი სტამბოლს ერთბაშად აღმართია!

თურქეთში მოგზაურობისას სულიერად გაზღვირებთ და გზიბლავთ თურქების მიერ დამხობილი ბიზანტიის — ოდესღაც მთელი ქრისტიანული მსოფლიოს ყველაზე მოწინავე და განათლებული ქვეყნის ცივილიზაციის ძველთა ნაშთები და კიდევ უფრო ძველი ანტიკური სამყაროს მეტაფიზიკური კულტურის ნანგრევები — სახელგანთქმული პერგამი და ეფესი, იპოდრომები და თეატრონები, აბანოები და ბიბლიოთეკები, აკროპოლები და საეურთხეულები, ოლიმპის ღმერთთა ქანდაკებანი და იოანე ნათლმცემლის საფლავი, სახლი, სადაც ვადმოცემით ღვთისმშობელი გარდაცვილია: ნატარალები, სასახლეებისა და ციხე-დარბაზების ნანგრევები, მუზეუმები. ყოველგვ ეს, ოდესღაც დამპყრობელთა მახვილით დანგრეული და გამარტახებული, მიწამოყრილი და დამარტახებული, მხოლოდ ახლა ამოდის მიწის წიაღიდან. მხოლოდ უკანასკნელ დროს დინტერესებულან თურქეთის მმართველი წრეები მთელი ამ იშვიათი საზღვირით და ისტყ, კომერციული ანგარიშინაზობით, უცხოელი ტურისტების მისამზიდავად.

აიასოფია — მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქრისტიანული ტაძარი, ძველი ქრისტიანული ხელოვნების ერთ-ერთი უმშვენიერესი კმწახლეა დიდ ხანს მუქითად ქონიათ თურქებს გადაცემებული და მხოლოდ ქმეალ ათათურქს — თურქეთის ცხოვრების ამ სახელოვან განმანალებელს და რეფორმატორს — უქცივია იგი მუზეუმად, რომელაღც აუარებელი უცხოელი დამთვალეობეზელი ეტანება ცხოველი უტრადლებით და ინტერესით.

ქმეალ ათათურქის სახელი, რომელთადაც დაავშირებულთა თურქეთში ფეოდალური-მონარქიული ტირანიის ლიკვიდაციისათვის ბრძოლის პროცესი, დიდი პოპულარობით და სახალხო აღიარებით სარგებლობს. ყველგან და ყოველ ნაბიჯზე გვხვდება მისი ძეგლები, ბიუსტები, პორტრეტები, მაგრამ ამასთანავე თურქეთის თანამედროვე მმართველი წრეები გულ-

მოდვიან თანმიმდევრობით სპობენ ქმეალის პროგრესული პოლიტიკის ყველა წყნარ-წყნარ-ანგარის ერთ-ერთ თეატრში უცხოელთა თურქი მწერლის ხოლდენ ტანეთის პიესა, რომლის მთავარი გმირი — თურქეთის მინისტრი ტრამახოსი, რომ მას შეუძლია ათათურქის ბრინჯაოს ძეგლზე დასავლეთისკენ გაწვევრილი ხელი უყუღმა შემობარბნოს...

თავისი შემოქმედებითი ნიჭი და ენერჯია თურქებს მეჩეთებისა და სულთანთა სასახლეების მშენებლობაში ჩაუტსოვთა. ახლა ეს სასახლეები მუზეუმებად არის ქცეული და მათი დათვალეობისას ცხდად თვალწინ წარმოვიდგებათ ამ ქვეყნის ისტორიის დამახასიათებელი რეალიები, მასი მრისხანე მბრძანებლები, მათ მიერ გადახდილი დამპყრობითი ომები, ნადავლი სიმდიდრე, ყველაფერი ეს, მრავალ რბევათა და აწიოყებათ, ტანჯვა-წამების, ცრემლთა და სისხლის ნიაღვრების, ვანებათა ღვევის მომასწავებელი, ახლა დამცხრალი, უსიციოცხოო დემილით და ცივი გარინდებით არის მოცული:

აქა დგას სვეტი კვლავ საქურისივით დგას, მაგრამ ცივი ქვა თვალს არ გვაღვიწვებს და თითქმის კერცხალი სცივიათ სიცივით დაბლა თმებამოშლილ ბაღის შადრევნებს.


ასეთია პოეტის უნარი სიტყვიერი მხატვრობისა, მეტაფორულ სურათში მოვლენათა არსის კონდენსირებულად გამოხატვისა.

თურქეთის მრისხანე სულთანთა სასახლეების დათვალეობისას, აქ გამოიფინელი მრავალფეროვანი ექსპონატების გაცნობისას მრავალი მწვევე მოგონება აღეძვრის ქართულ კაცს, ღვენი მყაცი და სუსხიანი ისტორიის მრავალი ბედულდმართობის ვანცდა ცოცხლდება მის ცნობიერებაში.

შორით რა შვეატყო სულთანის გულს მე, ინდა ბნელ ვნებათა ღვევისა და ხალისს...
 იმ საუკუნეებს, როცა კი ვესმენ
 კენესალა მომესმის ქართული ქალის!
 კენესა და მომესმის... ო, ასეთ კენესას,
 რა გული უძლებდა, რა დრო, რა რყინა!
 ვგრძნობ: სადაღც გაბზარა წარსული დღესაც
 და მამაკაცობა ჩემი გაკვილა!

ეს გულისმომკველი კენესა სულთანის პარამხანაში ჩამწვედელი ტყვედ ან ძველად წამოყვანილი, ან მონათა ბაზრებზე გაყიდული ქართველი ქალისა, კენესა რომელშიაც პოეტი ჩვენი ხალხის თავზე საუკუნეთა წყვედაღში დატრიალებულ ყოველგვარ სატანჯველს განასახიერებს.

სამკოთა პატრიოტის თვალი და გული ამ უცხო სამყაროში ყველაფერს თავისი საშწონ-



ლს სასიცოცხლო ინტერესების, მისი ნათელი თანამედროვე სოციალური იდეალებისა თუ ისტორიული გამოცდილების თვალსაზრისით ხედავს და განიცდის. „ფიქრების“ ავტორს ყოველთვის და განუყრელად თვალწინ უდგას თავისი ქვეყანა, მისი დღევანდელი ცხოვრება და საუკუნეთა სიღრმეებში მომავალი ისტორიული ყოფიერება, აი, სტამბოლის ბაზრის მაჩთაღაც და ფანტასტიკური სანახაობით განცვიფრებულ პოეტს ჩვენი წართველი კულტურის როგორი შორეული ენოლებიდან მომდინარე ანალოგია აღუქვარს:

მე გამახსენდა მელღაზნანარი,
უზარმაზარი კარიბჭე ზღვათა, —
დიდი ქარავსალი, დიდი ბაზარი
და სალაფო სხვათა და სხვათა!
მე გამახსენდა: ვახლი ავთანდილს
და გვიამბობდა ფატმან-ხათუნი,
რომ გულანშაროც დარჩა აქამდის
ზღვის ფსკერზე ასე გადახატული.

პოეტური აღწერილობის ნაწილობით ოსტატობით წარმოსახავს პოეტი სტამბოლის ბაზრის ეკზოტიკურ სურათს, რომელშიც სანახაობათა ეანრული კოლორიტული წანახატები განყოფიერებულია მოვლენათა სოციალური არსისა და მნიშვნელობის ნათელი გააზრებით

მე ვნახე ფერად შუშაბანდების
და გუმბათების ზღუდე მალალი,
ჩოჩქოლი ახალ-ახალ ვარდების,
ვარდების ჩუში აყალ-მაყალი!
ვნახე შუა-დღე და შუა-ბაზრის
ყაფანი უკვე ყზადღებულა,
მაცდური სიტყვის, მაცდური აზრის
კოკონი ღიმილ-გაჩაღებულა.

პოეტი ავეიწერს აღმოსავლეთისა და დასავლეთის თვალუწვდენი საეპირო გზებით მსოფლიოს ამ ერთ-ერთ თვლივარ ბაზარზე შემოზიდულ სიმდიდრესა და სიუხვეს: ფარჩეულისა და ოქროულის, ხილუელისა და ძვირფასი თვლების, ქსოვილებისა და ტყავულის თასა. გვარა ნივთეულობის დახვეწებულ გორებს:

საქ იყო მაინც ამდენი დამნა,
სათოფისწამლე და სატეყარი —
რამდენი წვეთი სისხლი დააშრა,
ჰყავდა რამდენი ღამის მოთვარი!..
...ახლა: სევადი, ახლა: ზარანიში,
ახლა წყრილა ხმა საჭრეულების, —
არც არჩევათი, არც ანდვარიში..
მზიზღავდა ხელი ოქროშეუღებულის!

სტამბოლის ბაზრის ესოდენ ცხოვლად და ფერადოვნად დახატული სურათის დამამთავრებელი.

ბელ სტრუქონებში პოეტის ფანტაზია კიდევ ერთხელ შორეული ასოციაციებით უკვე მთელს ამ უარესად სპეციფიკურ ქართულ ქართულ ხალხის პოეტური გენიის მიერ შემნილ წარმოდგენებთან:

ამიტომ იყო, სტამბოლის ბაზარს
როცა შეველე თვალი პირველად —
ვახლი ავთანდილს, და მელღაზნანარს
სტამბოლიც ჰგავდა გასაყვარებულად!

და ასე ყველგან და ყველადღეს: „სამშობლოე ჩემო, შენთანაა ჩემი ფიქრები!“ განუყრელად სამშობლოსთანაა პოეტის ფიქრები, სამშობლოს სახება განუყრელად თან ახლავს პოეტის აზრთა და გრძობათა მოძრაობას. ამ უცხო სამყაროში მოგზაურობისას მის ყოველი სანახაობა და შთაბეჭდილება თავის მშობლიურ თბილისისა და ბათუმს გაახსენებს.

ვწერ მოგზაურო და ამიტომაც
თბილისის ფანტებებრელი ფერდობი
სტამბოლშიც ფიქრობს ცად გადმოდგომას,—
ჩემს აზრებულ თვალს თუ ვენდობი!
ვწერ მოგზაურო და განსხვავება
ვერ გამიგია ცისა და მიწის —
ღამით აესეს ზღვა ვარსკვლავებმა,
ისევე, როგორც ბათუმმა იცის...

პოეტი მოგზაურობს თურქეთის მიწა-წყლის სიერტეებზე და მის თვალწინ ვადიშლება უცნაურა სურათები ეამთასვლით დამბობილი ქრისტიანობის წინა ეპოქების წარმართული ცივილიზაციის ნაშთებისა და ბიზანტიის ქრისტიანული კულტურის მატერიალური ძეგლებისა:

აბა, წარმართთა ცააწვდილ ტაძრის
დიდება ნაცარტუტად ქვეულა,
სადაც უღაბნოს ქარივით დამარწის
სუნთქვა — პერგამის მთას მიღწეულა.

ზუნების სტიქიას თუ საუკუნეთა სიღრმეში ხალხთა ურთოვრთ რბევისა და აწიოყების ბოროტ ძალებს, ხანძარსა და სისხლისმღვრელ ომებს უნგრევათა ეს დიდებული ქმნილებანი კაცობრიობის გენიისა:

ყველა მიწისძვრა, ყველა ლაშქრობა
ამ საყურთხვეველს ემუქრებოდა,
როგორ მოასწრო სისხლმა აშრობა,
ხანძარი ხანძრით როგორ ქრებოდა.

და უეცრად შორეული ასოციაციების ძალით პოეტის ცნობიერებაში ცოცხლდება თავისი ქვეყნის გარდასულ საუკუნეთა ცხოვრების დრამატიზმით აღსავსე ეპიზოდები, როცა ასევე იწვოდა და ნადგურდებოდა ქართული ხალხის

შემოქმედებითი შრომის დიდებული ნაყოფი, როცა უცხოელი დამპყრობლები დაუნდობლად ძარცვავდნენ და იტაცებდნენ ანტიკური ეპოქის საქართველოს უთვალავ დოვლათსა და სიმდიდრეს:

ვანის მთა, ვანის ქალაქი იწეის მდიდარი, შტაციუ და უძლველი, ინგრევა ფუძე ცისა და მიწის, ღმერთების დიდი საფრთხეველი! იწეის კოლხეთი, იწეის წარსული, ის, რაც იმედად მე დავისახე — დაქვევულა და გამარცხელი, მიაქვთ ხავებით პერგამისაყენ!

ასე ერთიანდება პოეტის ფიქრთა სამყაროში ერთმანეთისაგან დაშორებული საუკუნეებისა და გეოგრაფიული სივრცეების განცდა.

კარლო კალაქისთან ერთად ჩვენ დამძული ინტერესით ვათვალიერებდით ანკარის ხეთურ მუზეუმს. ეს მუზეუმი, რამდენადაც ვიცი, უნაკადური უნდა იყოს მსოფლიოში. ჩვენთვის, ქართველ მოგზაურებისათვის იგი ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა თურქეთის ახლანდელს სატახტო ქალაქში — ანკარაში. ამ ქალაქში ცოტა რამ არის განსაკუთრებით საყურადღებო და დასამახსოვრებელი. შთაბეჭდილებას ახდენს ქველ ათათურქის ვეებრთეულა მფხოლუეში და მისი შემორჩაღტრი მუზეუმი, ზილა პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, ხეთური მუზეუმი:

ქეთა სიციცხლე და სიცილილი ვისაც არ სერია,— ამა, ხეთები! სადარბაზო ტვიფრი, წარწერა... დვას ლომი ლომთან ტალავარში, დვას ხარი ხართან, — წარმართი ჰამა გამახსენეს და გამახარდა!

პოეტი მთლიანად შთანთქმულია ამ შორეულ, პრეისტორიულ წინაპართა ვარგოცვაში. აქ უკვე მთლიანად წაშლილი და წაღეკილია ეპოქათა და სივრცეთა საზღვრები:

მცხეთის მთებშიდან, ზამილონის ვავლით, ხეთამდი — იმათ კვალს შრავალ ათასი წლის წინად ვხვდავდი.

მართლაც, რა საოცარი სიციხელით შეტყეველებს ანკარის ხეთური მუზეუმის იშვიათი ექსპონატები ქართველი ხალხის ნათესაობაზე თავის ამ შორეულ წინაპრებთან. რამდენი რამე გვსმენია და წავგიკითხავს მეცნიერული ლაპორტებში, მიხვედრებში, ვარაუდებში, არგუმენტებში ამ ურთიერაობის შესახებ, მაგრამ სულ სხვაა ამ მუზეუმში წარმომოხილი ცოცხალი შთაბეჭდილებანი:


ჩვენი ნაქერწი ჭინჭილები, ჩვენი კერეკი, ღრეობის შემდეგ ომის ცეცხლები, ვაზის მტვერებით მოხატული ღვინის ფილა-ღვინის და სიციცხლეს ცად აწვდილი რომ

ეტრფილა.

ყველაფერი აქ ჩვენი ეროვნული ციცილიზაციის შორეულ ფესვებს მოგვავიგონებს და ამიტომაც ასე ბუნებრივად ეღერს პოეტის სიტყვები:

ხეთამ რომ მცხეთა გამახსენოს, ანდა კახეთი, ხეთის, კოლხეთის და მესხეთის გადასახელი — ვასავებია წუში წუთიც ამ გახარების — ისე, ვით ქვაში მომწყვედული სუნთქვა ზარების...

პოემის მთავარი თემა მინდა „სხვა საქართველოა“ — თურქეთში მცხოვრები ქართველობა. ზემოდ უკვე იყო თქმული, რომ თურქეთში მოგზაურობისას ყოველ ნაბიჯზე ვხვდებოდით ქართველობას, სხვადასხვა პროფესიის, სოციალური და ქონებრივ მდგომარეობის ქართველებს. ბევრი მათგანი მექლისის დებუტატები არიან, ზოგი უმაღლეს სახელმწიფოებრივ თანამდებობებზე მუშაობს, ჩვენ ასეთ ქართველობას არ შევხვედრებოვართ. ჩვენ ვხვდებოდით უპირატესად გლეხებს, ხელოსნებს, წვრილ ეპქრებს — ერთი სიტყვით, მშრომელ ქართველებს. ისინი შამაღიანები არიან, სხელი და გვარიც გამოცვლილი აქვთ, მაგრამ იციან, რომ ქართველები არიან, ამაყობენ კიდევ თავიანთი ქართველობით, გულში უღვინით ეროვნულ გრძნობა. „მართალია, რწული სხვა ვაქვს, მაგრამ სისხლი და სული თქვენი ვაქვსო“. გვეუბნებოდნენ ისინი, მწეველ ვანიცილიან კიდევ, რომ საშობლოს (რომელსაც ისინი „მემლექეთს“ ეძახიან) საესებით მოწყვეტილი და დაშორებული არიან. მართლაც, მათ არავითარი წარმოდგენა არა აქვთ თანამედროვე საქართველოს ცხოვრებაზე, ისიც კი არ ვაუვიათ, რომ ჩვენ 1966 წელს რუსთაველს იუბილე გადავუხადეთ. აგრატესში შემთხვევით შეხვედრილმა ერთმა ქართველმა გვიამბო: წუხელ ბევრვებს მთელი დამე არ უძინიათ, თურქულ ვაზეთში წაიციხეს, რომ საქართველოში შიმშილობენო და ცხარედ ტირილდნენ. შამა, რაიმე შევავარგოთ და ვაუვგავანოთო, ისინი ხომ ჩვენი ძმები არიანო, ვხვეწებოდნენ თურმე ბაღლები, ჩვენ კარლო კალაქზე მივეთითეთ მას და ეუთხარით: „აო, შეხედეთ შიმშილიან გან როგორი გამხდრები და ვაშალტყავებული არიან ქართველები-თქო. შემოგვიჩოდნენ, რომ საქართველოდან არაფერი ესმით. როცა ტრაპუნდში ვცხოვრობდით, თქვენი რადიოს ხმა



მანქნ გვესმოდ, ახლა აქ, სტამბოლში, ისიც ვეღარ აღწევს ჩვენამდეო, — გვითხრა ერთმა ქართველმა და გვითხრა: — ცოტა ხმამაღლა დაუყვირო რადიოში — ეგებ გავიგონოთ რამეო, და თანაც დასძინა: მაშინაც კი, როცა თბილისიდან რადიო-გადაცემის მოსმენა მოგვეჩერებოდა, გვიძირს გვაგება — „ძალიან ცქერტად“ ლაპარაკობთო და გვითხრა, ცოტა დინჯად ილაპარაკეთ რადიოშიო.

უპირველესი სასიხარულო შთაბეჭდილება, რაც ჩვენ თურქეთში მივხვრებ ქართველებთან შეხვედრებისაგან მივიღეთ ის არის, რომ მათი დიდი უმრავლესობა ლაპარაკობს მშობლიურ ენაზე, ქართულ ენაზე, თან ლაზურ დიალექტზე. ქართულ სოფლებში წესად აქვთ, რომ ქალიშვილები მხოლოდ ქართველებს მიათხოვონ და რძალდაც ოჯახში ქართველი ქალი მოიყვანონ. სწორედ ამ გზით ინარჩუნებენ ისინი ქართულ ენას. უნდა აღინიშნოს, რომ მეზობელ სოფლებში მცხოვრები თურქები პატრივისციმით და სიუყარულით ეპყრობიან ქართველებს, ჩვენთან საუბარში დიდად აქებდნენ მათს ვაჟი-ოჰასს, პატრონებას, სტუმართმოყვარეობას, შრომის მოყვარეობას.

ყოველივე ეს ბაღებს შთაბეჭდილებას, რომ არსებობს „სხვა საქართველო“:

სხვა საქართველო სად არის — ამა, გახედვითაგორებს — ხან რომ თან მოგვევს გზადაგზა, ხან რომ სიშორით გაღონებს. ხედავ? ხეს ვაზი ეხვევა, დგას ოდა-სახლი, ნალია, და კერის პირად ბავშვების ქართულიც ჩაუმტარალია.

მართლაც, ბურსას მიდამოებში მოსახლე ქართველების სოფლები დიდად წააგავს საქართველოს, კერძოდ, აჭარის მთიანი რაიონების სოფლებს. ბევრ მათგანს სახელებიც ქართული აქვთ შერქმეული. ჩვენ ვეყავით სოფელ მაჭახელაში და იქ მისიელისთანავე ნამდვილად „სხვა საქართველო“ წარმოგვიდგა თვალიწინ:

არა, ძილშიაც არ გვიანტრია — მოულოდნელი თვალითაგებოდა: სოფელი გავხედეთ დილა-ადრინა, სოფელი თურქე მჭკარელა! შინ როცა სტუმრად მივვინაპირეთ, დიასახლისიც დაგვეხდა თავანით: გარს ეხვეოდა ჭკუფად ხატოქეს შთამომავლობა ოსმან თავადის.

ეს ხატოქე — „ცხრა შეილის დამშვენებული დედა. ამ სოფელში რვა და შეიდშვილიანი ოჯახი ჩვეულებრივი მოკლენაა. მშობლიურ ენასთან ერთად აქურ მოსახლეობას ქართული

გამომეტყველებაც, ეროვნული იერაც შეუჩინებელია. შეუძლებელია წრფელი და ალტაცების გარეშე უძვირო გვეხვედნენ საქეთრებით ამ მშვენიერ ახალგაზრდობას:

სწორედ მესამე საუკუნეა ენატრობ ამ ბიჭის სახეს დიდებულს, მორცხვად რომ თავი ჩაუდუნია დედის კალთაზე ხელჩაკიდებულს. სწორედ მესამე საუკუნეა ამ გოგონების მჭერას დაცემებ და საგანგებოდ ასე მჭონია, აქ დამხვებდრა ოსმან თავაქემ. ლამის მუხლებზე დაეყე მგზავრი, დაელოცო შინდა ჩემი გზა-კვალი, ჩემს გულს ხატიქემ აყარა ჟავრი — კვლავაც კერის წინ უდგას აქენი.

როგორც უკვე აღვნიშნე, „ფიქრები“ თურქეთში ჩვენი მოგზაურობის პოეტურ რუბორტაქს როდი წარმოადგენს. მასში პოეტი ისწრაფვის ამ მოგზაურობისას ხილული და განცდილი მხატვრულ ხარისხში იყუვანოს, განაზოგადოს, პოეტურად გაიზაროს, თავისი შემოქმედებითი ჩანაფიქრის შესაბამისად გარდაქმნას და გადაამუშაოს. ბურსის მახლობლად მდებარე ქართულ სოფლებში ჩვენი მოგზაურობისას იყო ერთი ასეთი დაუფიქარი ეპიზოდი: ერთ პატარა დაბაში ვიღებო და ანკარადან ბურსისკენ მიმავალ ავტობუსს ველოდებოდით. უეცრად 11-12 წლის ბიჭუნა მოვიხიხლოდა, მიმხიზველი გარეგნობის, ნამდვილი ქართული გამომეტყველების ბიჭუნა. მას ყური მოეკრე ჩვენი საუბრისათვის ვაგვო, რომ ქართველები ეიუავით და ალტაცებული მოგვეარდა: „გურჯები ხართ? მეც გურჯი ვარ“, — შეგვძახა მან და გვეხვეოდა, გვეაღერებოდა, გვეკონიდა. გვეპატოვა ათეურესტრანში, სადაც იგი მურქულის მრეცხავად მუშაობდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, გვეუხერხებოდა, რომ ამ პატარა ბიჭის დამატებით გვესარგებლა. მან მოგვიბოდიშა, რომ ქართულს კარგად ვერ ფლობდა. ნენაი მასწავლობდა ქართულს, მერამ, როცა ნენაი მომიკვდა, მას შემდეგ ქართულს არავინ მასწავლისო, — გულდაწყვეტით შემოგვიჩვილა ბიჭუნამ. ვიღრე ჩვენი ავტობუსი მოვიდოდა, იგი არ მოგვეცილებოდა, გვესაუბრებოდა, გვესიყვარებოდა, როცა სვიროს ქართული სიტყვის მოძებნა გავუძირებოდა, დახმარებისათვის თარჯიმანს მიმართავდა — ჩვენს თანამგზავრ ქართველს, რომელმაც თანახმად იცოდა ქართულიც და თურქულიც. როდესაც ავტობუსში ავდიოდით, უეცრად ამ ბიჭუნამ ყოველ ჩვენთაგანს თითო პატარა ქილა მაწონი შემოგვაჩენა ხელში, ყველანი სათითაოდ დაგვკაცო და ასე დაგვემშვიდობა გულის სიღრმედა შეგვძახა ამ მოულოდნელმა და უცნაურმა შეხვედ-



რამ მართლაც რა გრძნობაა ეს ეროვნული გრძნობა, რა ძალა აქვს მას, რატომ ღვივის იგი ამ პატარა პიქის უმანკო გულში, რომელსაც უფალით არ უნახავს თავისი სამშობლო, არც „მემღკეპთიანი“ მოსული არაიენ შეხვედრია და არც არაფერი წაუციოთხავს საქართველოს ისტორიისა, თუ დღევანდელი ცხოვრების შესახებ?! ამ ეპიზოდში თავისებური ანარეკლი პოევა კარლ კალაის პოემაში:

შეკრთები კაცი, იფიქრებ: მოჰქლას ამ აღმოჩენაში, —
„ცობდა სიტყვა მასწავლა სასიყვარულოდ ნენაში...“

ასეთია ცხოვრებისეული მასალის პოეტური ტრანსფორმაციის ხელოვნება.

გვიან ღამით ებრუნდებოდით მაჭახელიდან. მთელი სოფელი კინძღილებით, ფარნებით, სანთლებით მიგვაცილებდა დიდ მანძილზე. წვიმაღ წამოგვეწია, მასპინძლებს არ ვეთაობოდით, მაგრამ მეტი იქ დარჩენა აღარ შეიძლება. ამ დღევნაფარი შეხვედრის ფინალიც ღამის სიბნელეში გზის ვაგნების ეს ეპიზოდის ასახულია „ფიქრებში“:

თუმცა არ მომწონს თქვენი ფერ-წყალი, თქვენს ამ საღამოს არ ვემდურებო, —
ეხედავ არ ცვივა წყალს ნაებრწყალი, არ დაგვენათიან ელნათურებო...

თურქეთის ქართველობასთან ყოველი შეხვედრისას ბუნებრივად გვებადებოდა ოცნება და ნატურა, რომ ამ ხალხს სწორი ცოდნა და წარმოდგენა ქონდეს საქართველოზე, ქართველი ხალხის დღევანდელ ყოფა-ცხოვრებაზე, რომ ჩვენს თანამოქმედებს დაანახებ ჩვენი ხალხის გმირული შრომით აღორძინებული სამშობლო. სწორედ ეს ოცნებაა გამომავალი პოეტის დიპლომაში პასან კურტანამესთან:

ნეტავ განახა, როგორ დაიწყო ჩვენი ბრწყინვალე თასწლეული, —
ნეტავ განახა „აქარის წყალი“ განმანათლებელ შუქად ქვეულისი ნეტავ განახა მთების გულშეკრდი, სავსე ნარინფის ოქროს მედლებით, ნეტავ განახა, ჩვენს ახალ დღეებს თუ როგორ სჭედენ ჩვენი მშვედლები.

შეუძლებელია უცხოობაში მცბრებებ თანამოქმედებთან შეხვედრებს ქართველი საბჭოთა პატრიოტის გულში არ აღეძრას მღელვარე განცდები, სტრეილი მოქმედებისა, ცხოვრების ერთფეროვანი მდინარების შეცვლისა, „ამ მაჭახელადან იმ მაჭახელად“ სიტყვის გადაწეფენისა, ძმური ურთიერთგაგმირის დამყარებისა, ამ ოცნებით და მისწრაფებით არის შთაგონებული „ფიქრების“ ის სტრუქტურები, რომლებ-

შიც გადმოცემულია პოეტის საუბარი თურქეთის მაჭახელას სოფლის ანტიკურ მემკვიდრეებს:

ბასარიონ ბლენტი

მაშ კიდევ რამდენი სამასი წელი ვუცადოთ სვე-ბედი თუ რას გვიპირებს! სათიბზე აქ ყოველ წელს ელავს ცელი, სათიბი მაინც ბიბინებს, ბიბინებს... მაშ თავი არ დავდო? მაშ არ ველავდე? ცად ისე ხალსი რად აღმიტაცებს?! ამ მაჭახელადან იმ მაჭახელადღე სიტყვა რად გავუბი ჩემს სახლიაკებს!?

საბჭოთა ადამიანის ყოველი მაღალი ოცნება და მისწრაფება, მათი ხორცშესხმის პერსპექტივა დაკავშირებულია ახალი სამყაროს იმ უქრობ ნათელთან, რომელიც უპირველეს ყოვლისა, დიდი ლენინის უკედავ პიროვნებათა განსახიერებელი. ამიტომაც — „ფიქრების“ საუკეთესო სტრუქტურები სწორედ ვ. ი. ლენინის ყოვლისმძლე გენისადმი მიძღვნილია. ეს მით უფრო ბუნებრივად და კანონზომიერია, რომ პოეტის მოგზაურობა თურქეთში სწორედ აზრილის იმ დღეებს დაემთხვა, რომლებიც ვ. ი. ლენინის დამადების თარიღად არის შესული კაცობრიობის ისტორიაში, ხოლო თვით პოემა დიდი ლენინის დამადების 100 წლისთავის, საიუბილეო ვითარებაში იწერებოდა. ყოველ საბჭოთა ადამიანს შეუძლია სრული უფლებით გაიმეოროს ის სიტყვები, რომლებიც ვ. ი. ლენინის დიად პიროვნებასთან ყოველ ჩვენთაგანის განუყოფელი ერთიანობის აზრია განსახიერებელი:

მისი უქრობი ცეცხლი მეცა ვარ, მისი ნაებრწყლის მეათასედი! ვერც ერთ მწვერვალზე ისე ვერც ავალ, დღეს რომ არ მქონდეს რწმენა ასეთი. ჩვენი მარჯვენა ხალხის მომავალ ბრძოლისთვისაა გადაჩენილი... მე ვიცი მისი სუნთქვა რომა ვარ — ჩემი სიცოცხლით ცოცხლობს ლენინი!

ეს სტრუქტურები ქართული პოეტური ლენინიანის საუკეთესო მიღწევათა რიცხვს მიეკუთვნება. და ასეთივე მაღალი იდეური ელერის სიტყვებით მიმართავს პოეტი „ფიქრების“ დამამთავრებელ პასაჟში ჩვენი საბჭოთა სამშობლოს დედაქალაქს მოსკოვს, რომლისკენაც რწმენით, იმედით და სასოებით არის მიმართული ჩვენი ეპოქის ყოველი მოწინავე ადამიანის თვალი და გული:

მრავალ მილიონ გულთა დამტევი, და ვარსკვლავების დიდო ქალაქო, მრავალ უძილო ღამის გამთევო, კვლავაც გვაქვს შენთან საღაპარაკო. ჩვენი იმედი კვლავაც შენა ხარ, —

ჩვენი ეს სადმე თუ დაიბინდა,
ჩვენი სიცოცხლის გადაჩენა ხარ, —
და შენ მკლავებზე დაეყვით მინდა.

ლენინი, მოსკოვი, — ახალა, თავისუფალი
და დემოკრატიული მსოფლიოს, დედაშიწაზე
უფლაზე სამართლიანი და ჰუმანური წყობილე-
ბის გამარჯვების რწმენის განმსაზიარებელი ამ
სახელებით არის განათებული პოემაში გამოხა-
ტული რთული, თანაც სასიხარულო და თანაც
ნაღვლიანი ფიქრების საშუარო. ეს ამბულგე-
ბელი, გულის სიღრმეზე შემჭრელი პატ-
რიოტული სიმფონია მოაგრდება ისევ და ისევ
სამშობლოსადმი მიძღვნილი დედაშვილურა
სიყვარულისა და ერთგულების გამოთქმული
სტრიქონებით:

თორმეტი დღის და უფარსკვლავო თორმეტი
ღამის,
მეზღმოყურელი მოგზაური ბურსის,
პერგამის,
სტამბოლისა და სასულთანი კარის
მნახველი, —
ყოველთვის, როცა საოცნებო დროს ხელთ
ვბაყრობდი,
ჩემო სამშობლოვ, განუყურელა შენზე
ფიქრობდი,
შენა ხარ ჩემი სიხარული, ჩემი ნაღველი.

სიხარულისა და ნაღველის — ამ თითქოს
ურთიერთგამომრიცხველი გრძობებით ტოვებს
პოეტი თურქეთს. ასეთი წინააღმდეგობრივი
გრძობებით და განცდებით ეუფათ ჩვენც
მოკულნი, როცა ამ ქვეყანას ვეშვიდობებო-
დით. დიდი სიხარული იყო ჩვენთვის იმის
თვალნათლე ხილვა, რომ საღდაც არის „სხვა
საქართველო“, რომ ქვეყნად, საქართველოს
გარეთ ცხოვრობს ესოდენ მრავალრიცხოვანი
ქართველი მოსახლეობა, რომელსაც შენარჩუ-
ნებული აქვს მშობლიური ენა, ქართული იე-
რი და რაც მდავარაა, ეროვნული გრძნობაც.
პატრიოტული შეგნებაც. და ამასთანავე დიდ
ნაღველსა და დაუოკებელ უმეყოფილებას იწ-
ვეებს ეს გარემოება, რომ, ეს ქართველობა ასე-
თი ყოფ კედლით არის მოწყვდილი დედა-
სამშობლოს, რომ „სხვა საქართველო შორსაა,
შორსაა საქართველოდან“.

რადღენ კეთილშობილური მოვალეობა ეკის-
რება ჩვენს საზოგადოებრიობას, კერძოდ ქარ-
თველ ინტელიგენციას ჩვენ დაუცხრომლოთ
უნდა ვიზრუნოთ, ვიზაროთ და ვიღაწროთ
თურქეთის ქართველობასთან კავშირ-ურთიერ-
ობის გაღრმავებისა და განვითარებისათვის.
უფრო ხშირად უნდა მოეწყოს ქართველ მომ-
ღერალთა და მოცეკვავთა ანსამბლების გამო-
სვლები თურქეთში. (დღესაც ტბილ მოგონე-
ბად აქვს დაჩენილი თურქეთის ქართველობას

ნ. რამიშვილის და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით არსებული ანსამბლის შესრულებული თურქეთში. წელში ვაგიზარეთ, სწავლეთ, გვემაცა. ამ კონცერტებზე დასწრებისას, გვეუბნებოდნენ ისინი.) უნდა მივადლოთ ქართველ მწერლებს, კულტურის მოღვაწეთა ჯგუფების ხშირ მოგზაურობას თურქეთში. თუ საუკუნეების მანძილზე თურქეთის ქართველობამ შეინარჩუნა ეროვნული სახე და მშობლიური ენა, მით უფრო ჩვენს ნათელ საუკუნეში უფრო აქტიური და ინტენსიური მუშაობა უნდა წარმოებდეს ამ მიმართულებით. ჩვენ უნდა მივადლოთ იმას, რომ თურქეთის ქართველობასთან ჩვენ ისეთივე კავშირ-ურთიერთობა გვქონდეს, როგორც აქვს ჩვენს მომეგ საბჭოთა უკრაინის უცხოეთში მცხოვრებ უკრაინელ მოსახლეობასთან, როგორც აქვს ჩვენს მომეგ სომხეთის უცხოეთის ქვეყნებში გაფანტულ თანამემამულეებთან.

ჩვენი ოცნება და იდეალი ამ მხრივ ის არის, რომ თურქეთის ქართველობაზე აღწევდეს ქართული მწერლობის ხმა, ქართული კულტურის ნათელი, რომ ამ ქართველობას ხელთ ქონდეს ქართული სახელმძღვანელოები, და ეგებ ქართული სკოლაც, ქართული გაზეთიც. მე ღრმად მწამს, რომ ამ სურვილებში არაფერია ფანტასტიკური და შეუძლებელი. ამისათვის ისიც აუცილებელია, რომ ვაცხოველდეს ჩვენი კონტაქტები თურქეთის ინტელიგენციის პროგრესულ ფენებთან. ჩვენ თვალნათლე დაინახეთ, რომ არც ეს ყოფილა შეუძლებელი და მიუღწეველი. მართალია, თურქეთში ჩვენი ხანმოკლე ყოფნის განმავლობაში არ მოხერხდა თურქეთის კულტურის მოღვაწეებთან ოფიციალური საჯარო შეხვედრების გამართვა, მაგრამ სტამბოლში ჩასვლის პირველ დღიდანვე ჩვენ შედგა ვარსკოვული ვიყავით პროგრესული თურქი მწერლებისა და ხელოვნების მოღვაწეთა ყურადღებით და ნამდვილი მასპინძლობით. ისინი გვიძღვნიდნენ თავიანთ წიგნებს და სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა ალბომებს, გვიწვევდნენ თავის სპექტაკლებზე, გვეპატიებოდნენ ოჯახებშიც კი. ამ შეგობრული შეხვედრების დროს დაისახა კონკრეტული გეგმები ურთიერთ თარგმნისა და გამოცემის, პრაქტიკული მომზადება არის თურქეთში ქართული თეატრის, კერძოდ, რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლების შესახებ. ჩვენ უკვე ხელთა გვაქვს ამ გეგმათა ხორცშესხმის პირველი შედეგები. თურქულ პრესაში გამოქვეყნდა ქართველ თანამედროვე პოეტთა ლექსების თარგმანები, დაიბეჭდა წერტილები ქართული მწერლობისა და ხელოვნების საკითხებზე. საქართველოში უკვე გამოიცა თანამედროვე თურქი მწერლების რამოდენიმე წიგნი და ამ ინიციატივას საქმით ეხმარებიან ჩვენი მეგობარი მოწინავე თურქი მწერლები. ამას წი-

ნად თბილისში იმყოფებოდნენ თურქეთის თეატრალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლები ჩვენი თანამედროვე სასცენო ხელოვნების მიღწევათა გასაცნობად, თურქეთში ქართული თეატრის გასტროლების მოსაგვარებლად. ყოველივე ეს მიღწეულია მხოლოდ პირველი კონტაქტების მოსინჯვის, თურქეთში პირველი მოგზაურობის, და ისიც ტურისტული მოგზაურობის შედეგად. ცხადია, ბევრად ჭეტი და მნიშვნელოვანი მიღწევებია მოსალოდნელი და შესაძლებელი ჩვენი მხრივ უფრო აქტიური და თანამედვერული ღონისძიებების განხორციელების შედეგად.

აი, რაოდენ აქტუალურია და დიდი სადღესო საზოგადოებრივი მნიშვნელობის აზრებსა და ვარძობებს, მისწრაფებებსა და ოცნებებს აღძრავს ჩვენს ცნობიერებაში კარლო კალაძის ორი ლირიკული პოემა „მამა“ და „ფიჭვები“. ნამდვილი პოეზიის, ყოველგვარი ტეშირიტი ხელოვნების უპირველესი დანიშნულებაც ხომ

აღამიანის სფეროში აქტივისაცია, გამდიდრება და ამაღლებაა, აღამიანის შთაქმენის და განწყობა კეთილშობილური სიჭმენისა და მკვამედებისა და ბრძოლისათვის!.. კარლო კალაძის ორივე ამ პოემაში გამოსახული ცხოვრებისეული მასალა პოეტის ბიოგრაფიის, მისი სფეროში ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. აქედან წარმოდგება ამ ნაწარმოებთა დიდი მხატვრული სიმართლე, მასში განსახიერებულ გარძნობათა სიწრფელე და უშუალობა. აქედან წარმოდგება ამ პოემების ემოციური ძალა, შინაგანი ღრამატიზმი, აღამიანური სითბო და მომხიბვლელობა. ყოველივე ეს კი თავის მხრივ წარმოშობს პოეტური მეტყველების ფორმათა სიცხადეს და ბუნებრივობას, პოეტური ხელოვნების საშუალებათა ორგანიზლობას, ენის ცოცხალ ხატოვანებას.

„მამა“ და „ფიჭვები“ კარლო კალაძის საუკეთესო პოეტური ქმნილებებია, მთელი დღევანდელი ქართული პოეზიის ფრიალ მნიშვნელოვანი მონაპოვარია.



ამირანის და ანუ ქართული მითი ქალღმერთ იანაზე

დახედავს ამ სათურს მკითხველი და არ შეიძლება არ დაეჭვდეს: ჰყავდა კი ამირანს და? ვინ იცის! ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ ეპოსში არაფერია ნათქვამი. ის კი არა, მიუხედავად იმისა, რომ ბადრი და უსუბი ყოველ წუთში ძმობას ეფიცებოდნენ ამირანს, თქმულების ერთ-ერთ ვარიანტში პირდაპირ ამის საწინააღმდეგოა ნათქვამი:

„ცხრათა ფრინველთა მზარგაძელთა
ილგეთის ჰალა გაეცნა,
უქმოსა, უშამისმოსა
ამირანს თავი მოეკლა“.

უწმირ და უნათესავეო ანუ ღვთაება! ამირანიც ხომ ღვთაებაა — ქართველი ხალხისუკაცყასიაში მოსახლე მრავალი ტომის დიდი ღვთაება და სალოცავი.

ქართველი ხალხი განსაკუთრებით ამაყობს ხალხური ვენის ამ სწორბოვარი თქმულებით, ღვთაების დარღვიანის საგმობო საქმეებით. ქართველი კაცივით, ამირანიც ხომ პურადი და გულგამლულია ღმერთი, უწმირი და გულგამრღვიულია პირში.

ახვევ დიდი კვლი ვაგლო პრიმთემ! ბერძნულ მითოლოგიაში. როგორც ამირანი, პრომეთეც ღვთაებაა. კეთილი ღვთაება ძველი პელაგებისა ანუ ღვთაება იმ ხალხისა, რომელიც ჯერ კიდევ ბერძნების დასახლებამდე ცხოვრობდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, და რომელსაც, როგორც ჩანს, ბევრი სულიერი ძაფი აქვთმირებდა კავკასიის ხალხებთან, განსაკუთრებით კი კოლხურ-იმერიულ ტომებთან.

კარლ მაიქსი შენიშნავდა, რომ „პრომეთე

1 პრომეთე — ძველბერძნულად ნიშნავს „წინასწარ მჭერებს“.

არის ყველაზე უფრო კეთილშობილური წმინდანი და წამებული ფილოსოფიურ კალენდარშია“. ასევე შეიძლება ითქვას ამირანზეც. იგი უაღრესად კეთილი და ქველმოქმედი, ხალხის შედინერებისათვის თავდადებით მებრძოლი, განსაკუთრებით ტანჯული და წამებული გმირია. ამ მხრივ, მართლაც, რომ შეუდარებელია იგი.

მაგარამ არა! არის კიდევ ერთი მითური გმირი, რომელსაც ამირან-პრომეთეს მსგავსად, ღმერთების საწინელი რისხვა დაატყდა თავს და ენით გამოუთქმული წამების ქარცეცხლი გადაიტანა. ეს გახლავთ პირმშვენიერი ქალღმერთი იანა და სწორედ იმის გამო, რომ მან ესოდენ დიდი და გაუგონარი ტანჯვა-წამება გამოიარა, სრულიად სამართლიანი იქნება იგი ამირანის გვერდით დაეყენოთ და მის ჰემშიარტ დაუკლდარიოთ.

ამის გარდა, არის კიდევ სხვა საერთო მომენტებიც. პირველ რიგში კი ის, რომ იოც ამირანის თანამედროვეა და რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, წამებული ქალღმერთიც კავკასიელია, უფრო სწორად — საქართველოს მიწა-წყლის შვილია.

ცნობილია, რომ ძველ ბერძნულ გადმოცემებში მოცულობისა და გავრცელების მიხედვით თქმულებათა სამი ციკლი იქცევის ყურადღებას. ესენია: არგონავტების, თესესა და ტროას ციკლის თქმულებები. ამთგან ყველაზე უძველესია არგონავტების თქმულება, რომლის სამომქმედო ასპარეზი ძირითადად კოლხეთშია გაშლილი. როგორც პრომეთისორი აქავთ ურთმამე დასცენის, ეს თქმულება ბელაზურ წრეში აღმოცენებული ჩანს და ჩვენს წელთაღრიცხვამდე შეორე ათასწლეულის შეახანებშია შექმნილი.

სწორედ არგონავტების ციკლის მითვის უკავშირდება თქმულება პირმშვენიერი იოს შესახებაც. თავის მხრივ კი იოს თქმულება დაკავშირებულია

ბულია კავკასიასა და საბერძნეთში ფართოდ გავრცელებულ ამირან-პრომეთეს მითთან.

ოსს მითი ხალხური სიუჟეტის ერთ-ერთი ბრწყინვალე თვალმარგალიტია. იგი პარალელურად გავრცელებულია როგორც საქართველოში, ისე საბერძნეთში. მაგრამ სად ჩამოყალიბდა ეს მითი პირველად? ეს ძნელი და თავსატეხი კითხვებია, რომელიც, ჩვენი აზრით, შეიძლება საბოლოოდ მხოლოდ მეორე ასეთივე პარალელური თქმულების — ამირან-პრომეთეს თქმულების სადაურობის გამორკვევასთან ერთად გადაწყდეს. მაინც კი, სანამ ეს კითხვა გამოირკვეოდეს, უზჯობესია მითხველი ვაეცნოს იოს ბერძნულ და ქართულ პარალელურ მითებს. დაიწყოთ ბერძნული პარალელური მითით, რომელიც ვაღმოცემულია ოვიდიუსის პოემა „მეტამორფოზებში“. არსებობს იოს თქმულების ორი მოთხრობა, ორივე ოვიდიუსის პოემის მიხედვით შესრულებული. ერთი მათგანი ეყუთენის ძველი ბერძნული კულტურის გამოჩენილ ისტორიკოსს პროფესორ ნ. კენს, ხოლო მეორე — ბერძნული მითოლოგიის თვალსაზრისით პოპულარიზატორს ალ. მიქაბერიძეს.

ჯერ გავიხსენოთ ნ. კენის მიერ მოთხრობილ თქმულებას, რომელიც დაბეჭდილია 1957 წელს მოსკოვში გამოქვეყნებულ წიგნში: „ძველი საბერძნეთის ლეგენდები და მითები“. აი ეს მითი:

იო (ოვიდიუსის პოემის „მეტამორფოზების“ მიხედვით)

სწორედ შეხვედრია ჰერას წყენა თავისი ქმრისაგან — ზევსისაგან. ასე იყო მაინც. როცა ზევსმა მშვენიერი იო შეიყვარა. და იგი თავისი ცოლისაგან — ჰერასაგან რომ დაეფარა, ძროხად გადაქცია. მაგრამ ელვისმტყორცნებმა ამით იო მაინც ვერ იხსნა. ჰერამ დაინახა თოვლივით თეთრი მოქათვითი ძროხა და ზევსს მისწოხვა, რომ მისთვის ეჩუქებინა იგი. ზევსს არ შეეძლო ამხე უარი ეთქვა ჰერასათვის. როგორც კი ზელთ იგდო ჰერამ იო, მისაყვლად ასთავლა არგოსს ჩააბარა. წუხდა უბედური იო, არავისთვის არ შეეძლო გაეგნო თავისი ტანჯვა-წამების ამბავი, ძროხადქცეული მოყვებული იყო მტრველებს უწინარს. არგოსი, რომელმაც ძილი არ იცოდა, ფხიზლად დარაჯობდა იოს. ბედურულს არ შეეძლო დამალოდა მას. ზევსი ზედავდა უღანაშულო არსების ტანჯვა-წამებას, მოიხმო თავისი შეილი ჰერმესი და უბრძანა მოეტაცნა იო.

სწორედ გაჩნდა ჰერმესი იმ მთის მწვერვალზე, სადაც ასთავლა არგოსი იოს უღარაჯებდა. მან ტბითი ლაპარაკით დააძინა არგოსი. როგორც კი დაიხუჭა მისი ასი თვალი, ჰერმესმა მყის ამოიღო თავისი მოღუნული მახვილი და ერთი დაკვრით გააგდებინა არგოსს თავი. იო განთავისუფლდა, მაგრამ ამით ზევსმა მაინც ვერ იხსნა იგი ჰერას რისხვისაგან. მან თავის მტე-

ქეს საშინელი კრაზანა მოუვლინა. თავისი მსუბხავი ნესტარით კრაზანა ერთე-ქვეყნებამ; მტორში ერეკებოდა ტანჯვა-წამებისაგან; მტორშივე უბედურ იოს. ვერსად ვერ პოულობდა იგი თავშესაფარს. ცოფიანივით მიეჭინებოდა მისდევდა, ყოველ წუთს არუბოდა რა სხეულში თავის ნესტარს. კრაზანას ნესტარი, როგორც ცხელი რკინა, ისე წვადა იოს. სად არ ირბინა, რომელ ქვეყანაში არ მოხვდა იგი. ბოლოს, დიდი ხეტიალის შემდეგ, მიაღწია კლდეებს სკვირისაგან ქვეყანაში, უბედურს ჩრდილოეთში, რომელზეც მთავრებული იყო ტრინი პრომეთე. მან უწინასწარმეტყველა უბედურს, რომ ამ წამებისაგან მხოლოდ ეგვიპტეში დაიხსნიდა თავს.

განაგრძო გზა კრაზანასაგან დევნილმა იომ ბევრი ტანჯვა-წამება გადაიტანა, ბევრი საფრთხე შეხვდა მას, სანამ ეგვიპტეს მიაღწევდა. აქ, ერთხელეული ნილოსის ნაპირზე, დაუბრუნდა იოს ზევსმა თავისი წინანდელი სახე და შვა მან ვაფი ეპაფე. იგი იყო ეგვიპტის პირველი მეფე და გმირთა იმ დიდი თაობის მამამთავარი, რომელსაც თვით საბერძნეთის უდიდესი გმირი ჰერაკლე ეუთუთობდა.

ასეთია იოს თქმულება, მოთხრობილი ნ. კენის მიერ. ახლა გავიხსენოთ ალ. მიქაბერიძის მიერ მოთხრობილ ვერსიას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ვერსია, ნ. კენისაგან განსხვავებით, უფრო ვრცელიც არის და მხატვრულობის მხრდაც მალაღ ღონეზე დგას, მიუხედავად იმისა, რომ ალ. მიქაბერიძესაც იგივე წყარო აქვია — ოვიდიუსის პოემა „მეტამორფოზები“.

მეხე ინაქსის მშვენიერი ასული

არგოსელების მეფეს, მდინარის ღმერთს და ოკეანის ძეს ინაქეს ჰყავდა ასული, რომელსაც იო ვერძეა. მეფის ასულის სილამაზესა და სიმეწიერეს მთელი სახელმწიფოს მცხოვრებნი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველანი დიდ განცვიფრებასა და აღტაცებაში მოჰყავდა. მეფის ასულის ღვთაებრივი მშვენიერი სახე ყველას გულში ღრმად სწვდებოდა და წარმოუძლვლ შთაბეჭდილებას სტოვებდა. არგოსელთა ქალები და მამაკაცები ყვაფილებითა და თიგულებით უფენდნენ გზას მშვენიერ იოს და ყოველისშემძლე ქალ-ღმერთების მსგავსად პატრესა სტემდნენ, აქებდნენ და აღედებდნენ.

მშვენიერი იოს იშვიათი სილამაზე ღმერთების მამამთავარ ზევსს შეუმჩნეველი არ დარჩა. ყოველისშემძლე ქვეყნის მპყრობელს შეუყვარდა მეფე ინაქეს მშვენიერი ასული და დიდი პატრისცემითა და განსაკუთრებული ყურადღებით მპყრობოდა მას.

1 იოს ეს თქმულება ქართულად დაბეჭდილია 1949 წელს თბილისში გამოცემული კრებულის „ელინური მითები“ მეორე ნაწილში.



სამწუხაროდ, ამ ამბავმა ზევსის შეუღლის ეპიკოსს უტრამდე მიადგინა. ზევსმა თავისი საყვარელი ქალი მრისხანე პერას დევნისა და შევიწროვებისაგან რომ დაეხსნა, მშვენიერ თეთრ ძროხად გადააქცია.

პერა ქალღმერთმა ყოვლისშემძლე თავის შეუღლის სახლზე ეს მშვენიერი ძროხა მისთვის ერთქვინა. ოლიმპოს მბრძანებელი ზევსი, ოჯახური უსამოყენების თავიდან ასაცილებლად, იძულებული შეიქნა ეს მსხვერპლიც გაეღო.

პერამ მეუღლისაგან ნაქტარი მშვენიერი ძროხა მოსაღვლეად ისთავლა გოლიათ არგოსის მიხარა არგოსის ორი თვალი მუდამ დახუჭული ჰქონდა, ხოლო დანარჩენი თვალები კი განუწყვეტლავ ირგვლივ იცქირებოდნენ და ფიზიკურად დარაჯობდნენ პერა ქალღმერთის მიერ მიმართულ ძროხას.

არგოსი დღისით ძროხას ამოვებდა მინდორში და ფიზიკურად დარაჯობდა, ხოლო ღამ-ღამობით კისრზე ჯაჭვშებულს ბოსელში ამწყვდევდა.

მეფე ინაქსს საბრალო ასული, რომელსაც ძროხად გადაქცევის შემდეგაც ადამიანის ვინაობა კიდევ შერჩენიდა, ხის ფოთლებით და მწვანე ბალახ-ბუჩხანით იკვებებოდა, მღვრიე წყალს სვამდა და ხელ მიწაზე ეკინა.

საბრალო ქალს შესაძლებლობა არ ჰქონდა თავისი აუტანელი მწუხარება ვინმესთვის გაეზიარებინა. მას არ ჰქონდა ხელში, რომ თავისი შეუბრალებელი მცველისათვის გაეწვდინა დახმარების სათხოვნელად. საბრალოს არ შეეძლო ენა ამოეღო და თავისი მწუხარება ვინმესთვის შეეჩვილა. მეფის ასული საცოდავი ღალატის მავიჯრად მხოლოდ ზეუოდ და ამ ზეუოდის თვითონაც კი ეწინიდა.

ერთობლივ იგვ წავიდა მდინარის ნაპირას, სადაც წინათ, ვიდრე ეს უბედურება თუხს დაატყდებოდა, თამაშობდა, ცელქობდა, დახტობდა ერთობოდა. საბრალომ მდინარე წყალში დაინახა თავისი თავი, თავისი რქები და ერთიანად შეშფოთდა, თავისი თავის შეეშინდა.

საბრალო იო ვერ იცნეს ნაიადებმა, მისმა დებმა. საბრალო თავისი მშვენიერი ასული ვერ იცნო თვით მშობელმა მამამ ინაქსმ. საცოდავი იო ღმობიერის გამომტყველებით მოუხლოვდა თავის საყვარელ დებს, თავის საყვარელ მშობელ მამას. მოხუცი ინაქე მდინარის ნაპირას ბალახს წიქნიდა და ძროხას აღერებდა აწვდიდა. იო საყვარელ მშობელს ხელებს ულოკავდა და თვალთვან ცრემლების ღვარი ჩამოსდიოდა. საბრალო მეფის ასულს რომ ხმის ამოდება შესძლებოდა, იგი უცქვილია საყვარელ მამას გამოემცნაურებოდა და თავის აუტანელ მწუხარებას შეატყობინებდა. მაგრამ საბრალოს მტრუცვლების შესაძლებლობა არა ჰქონდა და ამიტომ გულში ღრმად იმარხებდა თავისი უსაზღვრო მწუხარებას.

მეფის საცოდავმა ასულმა ერთადერთი ილა

მოახებია, რომ მდინარის ნაპირას დეგროვილი სოლაზე ფეხით ჩამოხაზა თავისი მწუხარებები ვეზულ და ამრიგად გაავებინა მშობელს მწუხარება თავისი საშინელი უბედურება.

„ვაგლახ, მე უბედურსი“ — ხმაშალა წამოიყვარა საცოდავი ხმით მოხუცმა მშობელმა და ყელზე მაგრად შემოეხვია თავის საყვარელ ასულს. მაგრამ გულქვა და შეუბრალებელმა არგოსმა სასწრაფოდ ჩამოაშორა მშობელი მამა თავის საყვარელ ასულს და ძროხა დაუყოვნებლივ მომირებულ ადგილას წაიყვანა სახლახოდ. თვითონ არგოსი კი ჩამოყვდა მთის უბადლეს მწვერვალზე და ფიზიკურ თვალუფრს ადევნებდა მტერი არსიდან მიმარგოდა.

ყოვლისშემძლე ზევსმა ვერ მოითმინა თავისი საყვარელი იოს ამდენი ტანჯვა-მწუხარება და უბრძანა ფეხმალ პერმეს გოლიათი არგოსი მოეკლა და საცოდავი მეფის ასული სამუდამოდ გაეთავისუფლებინა. პერმესი ელვის სისწრაფით დაეშვა დედამიწაზე ყოვლისშემძლე ზევსის ბრძანების შესასრულებლად.

ღმერთების ერთგულმა შიკრიკმა, როგორც კი დედამიწაზე ჩამოეშვა, უშალ გაიხიდა ფრთებით შემოსილი ღვთაებრივი ფეხსაცმელი, იდო ზღულში თავისი კანქვეული კომბალი და სამწყვდოსო სალამურზე, სირინგზე, საუცხოო სიმღერების დაკვირთ ცხვრების ფარა და თბების ქოცი ასთავლა არგოსის მახლობლად მდებარე მთის კალთებისავეთ ვარჯია.

სალამურის ტუბილი ხმებით მოხიბლულმა არგოსმა მიიწია ღვთაებრივი მწყვდოსი მთის მალალ მწვერვალზე და შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ჩემო კეთილო მეგობარო! შენი სამწყვდოსო სირინგის ღვთაებრივი ხმა ყურში ტუბილად მეწვეთება და მივლს ჩემს არსებას ხიბლავს. მომიხალავდი და ჩამოყქ აა აქ, ამ კლდეზე, ჩემს მახლობლად, ხედავ, როგორი საუცხოო საძოვრებია ჩვენ წინ ვადაშლილი? აბა, თვალი ვადავლე, რამდენი გრილი და საამური ზერობები მოიპოვება ჩემს მახლობლად!“

პერმისი მოუხლოვდა მთის იმ მწვერვალს, სადაც არგოსი იქდა და მის გვერდით ჩამოყდა. მოელი დღის განმავლობაში პერმესი ზოგს რას მოუთხოვობდა არგოსს, ზოგს რას, და სალამურის ტუბილი ხმებს მოსმენით ცდლობდა იგი დაეძინებინა.

არგოსი ხან რომელ თვალს დახუჭავდა, ხან რომელს, მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის რამდენიმე თვალი მაინც ღიად ეჭირა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ცდილობდა ძილისათვის თავი არ მიეცა. არგოსს ძილი რომ არ მოერეოდა, იგი სხვადასხვა კითხვას ამდევდა თავის მოსაუბრეს და სხვათა შორის იმის შესახებაც შეეკითხა, თუ ვინ გამოიფონა სალამური...

ეტიკრმა პერმესმა უამბო სალამურის გამოკონების მშვენიერი თქმულება, რომელსაც იოს მოითან უშუალო კავშირი არა აქვს და ამიტომ იქ

გამოერთვებო. დანტერესებულ მკითხველს კი შეუძლია მის გაეცნოს ალ. მიქაბერიძის „ელინორ მთიებში“...

თავისი ამბის თხრობის დამთავრება ძლივს-ღა მოასწროს ჰემესმა, რომ არგოსმა ფიზიკური თვალში ერთიანად დახტეა და მისი უზარმაზარი სხეული ღრმა ძილმა მოიკეცა.

ცებერმა ჰერმესმა ისარგებლა ამ მოხერხებულ-ლი შემთხვევით, იძრო ბასრი ჰმალი და ელვის სისწრაფით მოაკეცაო თავი საზიზღარი გოლიათს. კისრიდან ამოვარდნილი შავი სისხლი ცის თვამუშავდნელ სივრცეს სწვდებოდა და ირგვლივ მთელ არემარეზე გაველ გუბებებს აყენებდა.

ამრიგად, მწუხარებისა და ტანჯვის შემდეგ, როგორც იქნა, გაათავისუფლდა მეფე ინაქეს მშვენიერი ასული იო.

მაგრამ ვანრისხეულმა ჰერამ არგოსის თვა-ლებით თავისი საყვარელი ფარშაენის კედი შემოკეცა და მოკაშკაშე ვარკვლავებით შეაშ-კო, საბრალო იოს კი ახალი მწუხარება და ტან-ჯვა მოუტანა. დაუცხრომელმა ქალღმერთმა ძროხაღმცველ ქალწულს მოუვლინა უზარმაზარი კრანაზა, რომელიც მწვავედ სჩხელტბდა თა-ვისი ნესტრით საცოდავ იოს და მთელ სხეულს უიარავებდა.

ტყვილებით ვაჟამებულმა იომ, რომელსაც მოუშორებლად თან სდევდა საზიზღარი კრანა-ზა, ვაწლავი იღირა, სვეითების ველური ქვეუ-ნები, მთელი კავასაჲ, ამორძალების მამა-თავისი ბოლო მოგულ საბრალო ქალის დაწს-რულეზული ტანჯვისა და მწუხარებისათვის.

დაღლილი და ღონეზიზღილი იო მუხლებში-ურეკით შევედრა თავის ახალ სამშობლოში დროლისშემდეგ ზევსს, რაჲა ღმერთების მამა-თავისი ბოლო მოგულ საბრალო ქალის დაწს-რულეზული ტანჯვისა და მწუხარებისათვის.

ზევსმა თავისი ღვთაებრივი მოხერხებულო-ზნა და განკრიახობით შესძლო მცირედად შა-ინე შეეწელებინა თავისი მეუღლის ჰერას მრის-ხანება და ქალწულ ქალს, მშვენიერ იოს, დაუ-ბრუნა თავისი პირვანდელი სახე.

იოს ტანიდან ბალანი სცივია, რქები თავს შო-რდება, თვალუბის ქუთათოვები უეფროვდება, სქელი ტუჩები ადამიანის ტუჩების სახეს იღებს და ფეხებზე ჩლიქები სცილდება. მშვენიერმა იომ თავისი პირვანდელი სახე მიიღო. მის სისა-რულს საზღვარი არა იქნეს. მაგრამ ხმის ამოღ-ბას იგი ვერ კიდევ ვერ ბედავს. საბრალო ქალი შიშობდა, რომ ადამიანის ხმის მავივრად პირუტ-ყვის ზმეილი არ დასხემებოდა. საცოდავი იო ვერხვის ფოთლოვით ცახტახტბდა და ხმის ამო-ღლებს ვერ ბედავდა.

მაგრამ დახეთ მშვენიერი იოს სისარულს, რა-ცა მან აღამიანტრად ხმა ამოიღო, რაჲა მისი წინანდელი ლამაზი და დახეწილი ხმა ყურში ტბილად ჩაეწვეთა.

მშვენიერ იოს ყოელისშემდეგ, ზევსსაგან შეეძინა ვაჟიშვილი ეპაფე, ტუჩქუთუც მუშველომ ეგვიპტეში დიდხანს და დიდხანს მუშველომ ქა-ლის სახედნიეროდ და საყეთოდღეოდ მშვენიერ იოს კი ეგვიპტელები აზიდა ქალღმერთის სახით ყოველთვის უხე მსხვერპლს სწირავდნენ და ყველგან და მარადის დიდი პატივისცემით იხ-სენიებდნენ.

გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა ალექსანდ-რე ქუთათელმა თარგმნა და 1948 წელს პრა-ფესორ ს. ყუბანიშვილის რედაქტორობით გა-მოსცა ესტლეს ტრაგედია „მიჯაქველი პარომე-თე“. ამ წიგნის შენიშვნებში მოკლედ, მაგრამ საინტერესოდ არის გადმოცემული ზოგიერთი მშინეტი იოს თქმულებიდან. კერძოდ, შენიშვნე-ბში ნათქვამია:

იო, რომელიც მითის მიხედვით ინაქეს ასუ-ლია, შეთვარდა ზევსს. რადგან მისი გუქვანი ცოლი — ჰერა მუდამ თვალუბის ადევნებდა თა-ვის ქმარს, ზევსმა ერთხელ სატრფიალო პაემანი იოს მდინარის პირას დაუნიშნა. ხოლო ჰერას რომ არ დაენახა ისინი, ნისლში ვახვი ის აღ-მოეცო. ჰერამ შინეც გუქვი აღოს და მდინარის ნა-პირთან მივიდა მაშინ, როდესაც ნისლი უავე იფანტებოდა, ზევსმა იგრანო ჰერას მიახლოვება და, თავისი დანაშაული რომ დაეფარა, იო თეთრ ძროხად გადააქცია და ჰერას უთხრა: აქ ლამაზი ძროხის ქცერით ეტებებოდიო. ჰერამაც თხოვა — ეს ძროხა მაჩუქრო. რომ დაესვა თავისი მუ-ტრექე იო, ჰერამ იგი ასთვალა არგოსს მიიბარა საშვევსოდ. ზევსმა არგოსი მოაკვლევინა და ამრიგად თეთრი ძროხა — იო გაათავისუფლა. მაშინ ჰერამ იოს მიუჩინა ერთ-ერთი გრინია ბუზაქალი სახით, რომელიც დასდევს და ნეს-ტრით ჩხვლტბს მას. ამით მთავრდება შენიშ-ვნების ტექსტი.

ასეთია ბერძნული მითის ვერსიება ძროხა-გ-ქვეული ღვთაებრივი იოს შესახებ. მაგრამ რო-გორც ირკვევა ეს დიდებული თქმულება გაე-რცელებული ყოფილა საქართველოშიც, ერთჲ-ოდ, სამეგრელოში. ამირანის მითთან ერთად იგი ძველი კავასიელების შემოქმედების ბრწყი-ნვალე ნიმუშს წარმოადგენს. ამის შესახებ სა-ინტერესო ცნობები მოგვაწოდა ლეჟლმოსილმა ჟურნალისტმა, კელტურის დამსახრებულმა მუშაკმა შალვა ჯიქიამ, რომელსაც თავის ყმა-წვილაცოვების არაერთხელ მოუხმენია სოფლის მოსუცებისაგან იოს ამღელვებელი მითი.

— მოხუცი მთხრობლები, რომლებიც იოს თქმულებას მიაშობდნენ, — გადმოცა შალვა ჯიქიამ, — ძალიან გულთბილად ლამარაკობდნენ ღვთისშვილის იოს შესახებ. ერთი მათგანი ივი-ნე ბეკოს ძე ბასილია, რომელიც ამ ოცდაათი წლის წინათ ვარდაიაცელა 99 წლის ასაკში, ამ თქმულების შესანიშნავი მცოდნე იყო. იგი ცრე-მლებს ვერ იყავებდა, რაჲა იოს გულშეშარავ ამბავს ყვებოდა და უსამართლოს უწოდებდა იმ

„მალა ღმერთს“, რომელმაც ვაჟაშა და დატა-
ნჯა კეთილი და აღამიანების მოამხვე ღვთის-
შვილი.

ივანე ბასილია, შალვა ჭიქიას გადმოცემით,
შესანიშნავად ასრულებდა თურმე იოსაძემ მიძ-
ღნილ ძველთაძველ სიმღერას, ხალხში ახლაც
გაიგონებთ ამ სიმღერას, რომლის სიტყვები
ასეთია:

იო, იო, ქუმორთო დიო;
ქომორთი, მარა ქობიერეს,
ქოღორი გამოითხოზინეს!

იო, იო, ჭერ მოხვედიო;
მოხვედი, მარა დაგინახეს,
მალეები გამოგადვენეს!

ჩვენ ვთხოვეთ შალვა ჭიქიას მოგგონებინა
ივანე ბასილიას შიერ ნაწებობი მითი. აი რა
გვიამბო მან:

კვალნი კალამკოტი ირუ შხახახა

იო უმწვენიერესი და უკეთილშობილესი
ღვთისშვილი იყო, რომელიც თავისი სილამაზი-
თა და გულკეთილობით ხიზლავდა ყველას. ხა-
ლხი სიყვარულით შესწერადა კეთილ ღმერთს
და თვითონაც ნეტარებად ღვთისშვილის კეთილ-
საქმეებით.

ერთხელ ზეარსმა — უფროსმა ღმერთმა თვა-
ლი დააღვა მზეთუნახავ იოს, არ მოასვენა, უვა-
ლან, სადაც კი გაივილიდა, ზედებოდა, სიყვა-
რულს ვფიცებოდა. იო სასტიკ უნარზე იყო —
შენ შეუღელ გუავს და მასთან იცხოვრეო. მაგ-
რამ ზეარსმა ბოლოს და ბოლოს კასტება მწვე-
ნიერი ქალწულებს წინააღმდეგობა...

როგორც ამ ქვეყნად არაფერი არ დაიმალება
და ყოველგვარი საიდუმლოება შალვა გამოჰღვა-
ნდება, ასევე შალვა გამოჰღვაენდა მალაღი ღმერ-
თისა და იოს ურთიერთობაც. მათი ამბავი შეი-
ტყო ზეარსონ შეუღელემ და სასტიკად ჰბია შე-
რი თავის ახალგაზრდა მოჭიშვიტზე — ძროხად
აქცია იგი და საშინელი მწერები — კეამარზია I,
დაჭია. უპირავე მწერი დაებნა ძროხადმცველ
იოს. მწერები მწირედ ჰკენდადენ საცრადვე
ქალ-ძროხას. იო ცდილობდა როგორმე მოეშო-
რებინა მტანჯველი მწერები. ამისათვის რა
ხერხს არ მომართავდა: ხან ცეცხლის ალს მიუ-
შვრდა უჯანალს, სადაც საშინელი მწერები
შეღებრალბულად კენდნენ, ხან მდინარეშო შე-
ცურდებოდა, რომ სხეულზე მტკმასნილი მწე-
რები მოეშორებინა, მაგრამ ამაოდ!

ბოლოს გადაწყვიტა, იქნებ ზღვის მლაშე წყა-
ლში მიშველოსო, და იქითვე გასწია. იო-ძრო-

ხამ გადასცურა შავი ზღვა, რამდენჯერმე გა-
დალახა დარღინელის სრუტე, მაგრამ *მარცხი*
მსმელი მწერები ამათაც ვერ *მარცხი*
არც ზღვის მლაშე წყალში უშველა, ტყვიანობი-
საგან გაყოფებულმა იომ ისევ თავის მშობლი-
ურ კალხეთს მიაშვრა და აქ ეხო-ეხო, კარდა-
კარ დარბოდა და ზეიულით შველას შესთხოვდა
ყველას.

ვინც არ იცოდა იოს ამბავი,ძროხა, მართლაც,
ცოფიანი ეგონა და ცდილობდა თავისი ეხოეუ-
რიდან გაედევნა. ამასათვის ხალხი ყოველგვარ
ზომას მიმართავდა. როგორცთბი ძალღუბსაც კი
მიუტყედნენ, რომ სოფლიდან გაედევნათ საში-
ში ცოფიანი ძროხა.

ამ თქმულებაში საკმაოდ საგრძნობია ლიტე-
რატურული გაღლენა. ამიტომ უმჯობესად ეცანი-
თ ახალგაზრდა პოეტი ქალისათვის მთვარისა ვერე-
სელდისათვის გვეთხოვა ზობის რაიონში წასუ-
ლაყო და იქ მკოდნე პირებისაგან ჩაეწერა იოს
თქმულება, თუკი ამის მსგავსი რამ ადვილზე
აღმოჩნდებოდა.

მართლაც, მთვარისა ვერესელიც 1967 წლის
შუა დეკემბერში ზობის რაიონის სოფელ ახალ-
ხიბულში ესტუმრა 75 წლის კოლმეურნეს ლადო
ბასილიას. მოხუცმა მოთბოდნია, იოს თქმულე-
ბა ახალგაზრდობაში გამოგონია უფროსებისაგან
და ახლა კარგად არ მახსოვსო. აი ის, რაც ლადო
ბასილიას მოავგონდა:

თამაშლება ირუ შხახახა

იო იყო ლამაზი გოგო. ეს გოგო ღმერთმა
ძროხად გადააქცია. ძროხას კუდის ძირში კეა-
მარზია შეუტყრა და მოსვენებას არ აძლევდა,
ძროხა გაოგანებული დარბოდა ერთი სოფლიდან
მეორე სოფელში, და მას ძაღლები დასდევდნენ
უფრო.

ეო იო, მოხვედი შენ?
მოხვედი, მაგრამ
უკვე შეგინაშეს,
ძაღლები დაგადვენეს.

ამისაგად, ისე როგორც ამირან-პაროშეთს მითი,
იოს მითიც პარალელური, ორეული თქმულებაა
იომელიც დამოუკიდებლად უნდა იყოს გაე-
რცელებული როგორც საქართველოში, ისე სა-
ბერძნეთში. ამ პარალელებს თუ დაეუბნებთ
ეტრესეულ და პულაზგურ დასახლებათა სა-
ხელწოდებების არსებულ პარალელებს კავკასი-
აში, კერძოდ, საქართველოში, შეიძლება, ფრიალ
საყურადღებო დასკვნამდე მივიდეთ.

ასეთი პარალელები კი უამრავია. ჭერ კიდევ
ცნობილია აფხაზმა მწერალმა დიმიტრი გულიამ
მოაქცია ამ პარალელებს ყურადღება. მან შეამჩ-
ნია, რომ თითქმის ერთიანად გამოითქმის აფხარ
დასახლებული ტუნტრის სახელწოდება აფხაზე-
თსა და აბსინიაში. მაგრამ ასეთი პარალელები

1 კეამარზია—მწერია ერთგვარი, რომელიც ში-
ნაურ პირუტყვის ემტრება. ქვემო იმერეთში მას
ბურზიას ეძახიან.

არსებობს არა მარტო აფხაზეთსა და აბსინიაში, არამედ ევგებტესა და საქართველოში, შვირე აზიასა და საქართველოში, პირინეის იბერიასა და საქართველოში.

დიდი ივანე ჭავჭავაძის თავის დროზე შეინიშნება, რომ მთელ საქართველოში გავრცელებულია მთავრის ღვთაების ევგებტური სახელი თითო თუ თერთო. სახელისწინაა, რომ სამეგრელოში ორშაბათს მთავრის ღვთაების დღე ანუ თეთაშა ჰქვია. აღსანიშნავია ისიც, რომ მთავრის ღვთაების სახელიდან მთელი რიგი ქართული სახელგაარებია წარმოებული: მაგალითად, თეთბერძე, თითიბაძე, თითისანი და სხვ. კერძოდ, სახელგაარი თითიბაძე მიგვანიშნებს, რომ მთავრის ღვთაების სახელი აფხაზეთშიც ყოფილა გავრცელებული. ამაზე მეტყველებს ამ სახელგაარის ავებულება: თითიბაძე — თით(ი)-ბა-ძე, სადაც თით — მთავრის ღვთაების სახელწოდებაა, ბა — სახელგაარის აფხაზეთი დაბოლოება.

შემდგომი კვლევა-ძიება, უგვიველია ბევრ საინტერესო პირაღელს აღმოაჩენს, რომელთაც უარესად დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართულ და მისი მონათესავე ტომების შორეული წარსულის შესწავლისათვის.

დოცენტ რ. გორდუნიანს თავის შრომაში «ევგოსური კულტურა ბრინჯაოს ხანაში» (თსუ „მეოცნობილელი“ 1968 წლის № 4-5) ამას თაობაზე მოჰყავს პროფესორ ს. ფერის შეხედულება. ს. ფერი აღიარებს ეტრუსკულ დასახლებათა სახელწოდებების პარალელების არსებობას კავკასიაში და აყენებს ამ მოვლენის ახსნის სამ შესაძლებლობას.

პირველი, შესაძლოა, საქმე შემთხვევით ანალოგიას ეხება; მეორე, ან ეტრუსკულიდან ხალხთა კავკასიაში გადსახლება; მესამე, ან კავკასიიდან ეტრუსკიაში, უფრო სწორად, ცენტრალურ იტალიაში გადასახლება. ამ სამ შესაძლებლობიდან თავად ს. ფერის ყველაზე უფრო მიზანშეწონილად უკანასკნელი მიიჩნია.

ზოგიერთი მეცნიერი, მათ შორის ს. კრეჩმერ, ნ. მარი და სხვები ფიქრობენ, რომ ეტრუსკები — იტალიის ეს უმჯელესი, წინაარსითიერი მოსახლეობა, პელაზგებთან ერთად, ერთიანი იბერიულ-კავკასიური ენების ოჯახის წევრები იყვნენ. ამ მეცნიერთა აზრით ამ ოჯახის ენები შორეულ წარსულში მოფენილი იყო ხმელთაშუა ზღვის აუზში და პირენეის ნახევარკუნძულამდე აღწევდა. ისინი პარტურს ნახევარკუნძულზე დასახლებულ იბერებსაც ენათა ამ ოჯახს აკუთვნებენ და მათ შთამომავლებად დღემდეაღლი ბასკები მიიჩნეა.

ეს პრობლემა დღესაც სადავო და საკამათოა, მაგრამ ჩვენთვის კი ეს მოსაზრება იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც მას მხარს უჭერს და ერთგვარ სიმტკიცეს მატებს საქართველოსა და სამხრეთში გავრცელებული ამირან-პრო-

მეთესა და იოს თქმულებათა პარალელები. ამ პარალელების არსებობა საეხებნურ მესამეხმელედ უნდა მივიჩნიოთ, თუკი დამტკიცდეს წარსულში ხმელთაშუა ზღვის აუზში მოსახლე ხალხთა ენობრივი ნათესაობა და სიახლოვე.

ვინა ამირან-პრომეთესა და იოს განსაკუთრებულ სიახლოვესა და ურთიერთობაზე არ მეტყველებს ბერძნული ტრადიციის მამამთავრის ესქილეს ტრადიციის „მიჰაქველი პრომეთე“ ტრადიციის იო რჩევას თხოვს პრომეთეს, თუ როგორ დაიხსნას თავი ჭალ-ღმერთ ჰერას დევნიდან.

პრომეთე გაქმეხულ იოს უწინასწარმეტყველებს, რომ იგი ხსნას ევგებტეში იპოვის, და ეუბნება:

მიხვალ ტბის ვიწრო კარიბჭესთან
კიმერიისა,
უნდა უწიშრად მეოტიის ვასკურა სრუტე
და ხალხს დარჩება ამ ვადასელის დიდება
მარად,

და შეაქმევენ მას შენ ვაჟო
„ბოსფორს“ — პრობის ფონს.
...მერმე მიხვალ შორეულ მხარეს,
მხიურ წყაროსთან მოხინაძრე შეეტუხა
ხალხთან.

მიხვალ იქ, სადაც მდინარე ვითილია.

მიყვეი აღმა მის ნაპირებს
წყალვარდნილამდე,
სად ეცემიან ბიბლოსის მითი ბებერ
ნილოსის
წყალნი წმინდანი, ტბილ-სასმელნი.
ამ გზით მაღწევე
ქველი ნილოსის სათავესთან სამკუთხედ
მიწას.

იქ არის, იო, შენთვის და შენ შევლიათვის
თქმულ
შორეულ დაბის დაფრენება და
სამყოფელა!

შემდეგ პრომეთე დასძენს, რომ იქ, ევგებტეში, ზევის იოს დაუბრუნებს ვონებას და მისგან ეყოლება ვაგი ევაფე, რომ სწორედ იოს შორეული შთამომავალი — მძლავრი, ძალუმი, მშვიდლოსანი სახელგანთქმული ჰერაკლე წამებისაგან გამოიხსნის თვით პრომეთეს.

თი ასე ახლოა ერთმანეთთან პრომეთე-ამირანისა და ნაყოფიერების პირმშვენიერი ღვთაების იოს სახეები.

პროფესორი მიხეილ ჩიქოვანი, რომელმაც დიდი მუშაობა გასწია ამირანის შესასწავლად და ამ თქმულების კვლევა მკვიდრ მეცნიერულ

1 ესქილე — „მიჰაქველი პრომეთე“, ა. ქუთათელის მიერ თარგმნილი ბერძნულიდან, თბილისი, სახელგამი, 1948 წ. გვ. 41—45.

სათუქველზე დააყენა, თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ნაშრომში — „ქართული ხალხური ეპოსი მიჯაჭვული ამირანის შესახებ“, გამოთქვამს მოსაზრებას, რომ პრომეთესა და ამირანის სახეები, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბდნენ, ერთმანეთთან დაკავშირებული პარალელური, ორგული სახეებია. ამირანი და პრომეთე — დასკენის იგი — ეს ერთმანეთის მსგავსი სახეები წარმოიშვა სხვადასხვა ადგილზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

ეს მოსაზრება, შეიძლება, სიტყვასიტყვით ვაიმეორით იოს შიშთან დაკავშირებითაც. ერთმანეთის მსგავსი ორი თქმულება იოს შესახებ წარმოიშვა სხვადასხვა ადგილზე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

მაგრამ როგორ შეიძლება ეს მომხდარიყო იქნებ ამის გამორკვევაში დაგვეხმაროს რ. გორდუხიანის მოსაზრება იმის შესახებ, რომ შორეულ წარსულში ეგეოსურ ტომთა დიდმა ნაწილმა მცირე აზიის დასავლეთით — იტალიისა და ხმელთაშუა ზღვის კუნძულებისაკენ იწყო გადასახლება. იგი აქვე დასძენს, რომ პ. კრენმერმა, თავის ერთ-ერთ უკანასკნელ სტატიაში, ამ გადასახლების კვლის აღმოჩენა სცადა კავკასიაშიც, კერძოდ, კოლხურ ტომებში. ამით, ვარაუდობს პ. კრენმერი, პეროდოტეს ცნობაც კოლხების წარმოშობის შესახებ შეიძლება ახლებურად იქნეს გააზრებული.

ვინ იცის, იქნებ ამიტომ ეძებდა კავკასიიდან გადახვეწილი იოც ხსნასა და შველას თავისი წინაბრების უძველეს საშობლოში!

ასეთ ვითარებაში უადრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამირან-პრომეთეს (დრ. კრ. ს. თქმუქ) ლებთა პარალელების არსებობას, მტლ. ს. ს. და კოლხური სამყაროს ზალხთა მითოლოგიაში.

განსაკუთრებით საყურადღებოა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის სიმონ ყაუჩიანიშვილის შეხედულება. თავის ნაშრომში — „რას გვიამბობენ ძველი ბერძენები საქართველოს შესახებ“ იგი განიხილავს პრომეთესა და ამირანის მითების ერთიდაიგივეობის საკითხს და მეტად საინტერესო დასკვნებს აკეთებს.

ჩვენი მეცნიერების დღევანდელი მიღწევები გვაძალბენ ისიც ვთქვათ, რომ ეს ძველი მოსახლეობა მერმონდელი საბერძნეთისა (ე. წ. წინა-ბერძნული მოსახლეობა) ენათესავება ქართველურ-კავკასიურ ტომებს. და პრომეთეს თქმულება, რომელიც ბერძენებში დარჩენილი უძველესი თქმულებათაგანია, მოუთხოვრდა სწორედ ახლადმოსული ბერძენების ბრძოლაზე წინაბერძნულ მოსახლეობასთან. აქედან ვასაგებია პრომეთეს მითისა და ამირანის თქმულების ნათესაობა ზოგიერთ ნაწილში.

და რაკი ასეა, მაშინ ვასაგებია, დავუმატებთ ჩვენ, ქალღმერთ იოს მითის ბერძნული და ქართული ვერსიების ნათესაობაც, შიშითიერთ-მსგავსება.

ტეშმარიტად კეთილი ქალღმერთი ყოფილა მშვენიერი იო! იოს მითის ქართული ვერსიების გულდასმით შეგროვება და მეცნიერულად შესწავლა ხელს შეუწყობს იმას, რომ სინათლის მძლავრი შუქი მოეფინოს ქართველი ხალხის შორეულ წარსულსა და მის წარმომავლობას.

პირო ნიშნინიძე

სატირა რევოლუციის სამსახურში

ესული საუცენის 80-იანი წლები აღინიშნა საქართველოს სატირული ჟურნალისტიკის დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბების ცდებით. პირველი ნაბიჯი კი ამ მხრივ გადიდა 1862 წელს. ილია ჭავჭავაძე, ახალი თაობის წევრთან ერთად, აიჩიებს გამოსცეს „საქართველოს მოამბე“ და დაეცეს თანამოაზრეებს, რაზედაც ი. პოლტარაკი პეტერბურგში კორილე ლორთქიფანიძეს სწერს ბარათს. აი, რას ეკითხვობთ ამ ბარათში: „...ამის გარდა, ახალი წლიდან ტფილისში მოსალოდნელია სატირული გაზეთის „მისხარას“ გამოცემა. გამოცემულია ვერ. ნარშალი თაგ. ა. ორბელიანი. რედაქტორის გამოცემა იქამდე ვერ შესძლებს“.

რა ბედი ეწია ამ მნიშვნელოვან საქმეს, ამის შესახებ ბევრად ნუაროვში არსად არაფერია მოხსენიებული. 1881 წელს კი ქუთაისელმა ანანურმა ილია ჭავჭავაძე გადამწვრიტა ქუთაისში პირველი ქართული სატირულ-იუმორისტული ჟურნალის „ხემაჩას“ გამოცემა, მაგრამ, როგორც საუცენო კომიტეტის წევრის შერქ შევრბოვის „განსაკუთრებული მოსაზრებიდან“ ირკვევა, საუცენო კომიტეტის გადამწვრიტოლებით ჭავჭავაძის უარი ეთქვა.

ასე ჩაეცდა ესტირტი ცდაც. ქართული სატირული ჟურნალური ორგანოს გამოცემის მთავარი და აღუქმეველი ბარიერი იყო ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა, რომელიც ისტორიის ამ მონაკვეთზე განსაკუთრებული სიმამართ ხასიათდება.

1880 წელს საქართველოს სატირული ჟურნალისტიკის ფეხბედიერი აღმოჩნდა. ამ წელს თბილისელმა სატირიკოსებმა ვიდევ ერთხელ შეუტრეს თავისუფალი ბეჭდვითი სიტყვის საპერსონილეს და, საქართველოს ჟურნალისტიკის ისტორიაში პირველად, შელევს ეს პირ-

ქეში ბასტიონი, დაიბადა ჟურნალი „ფლანგა“ — ჟოველკვირეული, ილუსტრირებული, მხატვრული, სატირულ-იუმორისტული ორგანო.

თბილისელმა ანანურმა ივანე პიტოვემა პირველმა შექმნა სატირული ჟურნალის გამოცემა. ვინ იყო ივანე პიტოვე, რა უპირატესობა ჰქონდა მას წინამორბედებთან, საქართველოს სატირული ჟურნალისტიკის სხვა თაოსნებთან? შეფინაცილის მთავარი სამმართველოს კანცელარიაში, გუბერნატორმა ათასი უკვეშეჭრდომილესი ფიცო მოსთხოვეს მს და, როგორც იქნა, წაეიდნენ ამ რისკზე... რაც არ უნდა იყოს, პიტოვე თბილისელი პირველი ვილდის ექპერი გაზღადა და მისგან მტრობას არ მოელოდნენ.

რატომღაც, პიტოვემა ჩქარა გადაწყვიტა მოეხსნა რედაქტორის ვალდებულება და პასუხისმგებლობა, იქნებ იმიტომ, რომ მისმა ჟურნალმა არ გაამართლა მეფის მოხელეთა მოლოდინი, იგი რადიკალურად განწყობილი აღმოჩნდა, აშკარად ოპოზიციური იერი დაჰკრავდა და მეფის თვითმპყრობელობას გუნდრუტს აჩუქებდა.

თმას ძველად მკვიტრ ძალს მიუჭირდნენ. რაც უფრო მეტ თმას ჩაატანდნენ მიცვალებულს, მით მეტი გამძლეობის უნარი ექმნებოდა მას, ვინაიდან თმის პატრონის ძალა გადადიოდა მიცვალებულის სხეულში და იცავდა ავი სულისაგან.

ხშირად დატარებამოთქმა საინტერესოა, აგრეთვე, საგმირო ამბების პატრიოტული ფუნქციითაც. ალ. ყაზბეგი „ელგუჯაში“ სვიმონის დატარებულს წესის აღწერით ზრდის ფართო მეთხველითა ინტერესს. თავის დროზე იონა მუწარბაძემ ვერ გაიგო ამ დატარებას მნიშვნელობა და წერდა: „როგორმე უნდა გადაეკეთდეს მოთხრობის ბოლო და შემოკლებულ იქნეს სვიმონ ჩოფიაშვილის ტარილი“.

მიცვალებულის სახელის უკუდავყოფასა და პატრიოტულსთან უნდა იყოს დაკავშირებული სოფლის გლოვა ირმოდ დღეს. ამ ხნას განმავლობაში სოფელი ერთდებოდა გარდაცვლილის ოჯახს, არავინ არ გადაბდიდა ქორწილს, არავინ ვაგიდოდა მინდორში სამუშაოდ და არა-

ვინ წაივლიდა სანადიროდ. ირმოდ ილია წემდვჯ კი, რომელსაც თოფის ტანსაცმელი ეტანოდა, კირისტელის უახლოეს ნათესავს იმ ვრის თოფს, მოაწყობს ნიშანში სროლას და ამის შემდეგ საქმის გაკეთება აღარც სირცხვილად ჩაითვლება. ამაზე ყაზბეგი შენიშნავს: „რომელ სოფელშიც მიცვალებული ყოფილა, სანამ იმის პატრონები „შესანდობარს“ არ დასდგამენ (ნიშანში სროლას არ გამართავენ), სოფელი გლოვობს და არც ერთი კაცი თოფს არ გაისკრის“, ანდა კიდევ:

„ახელ თოფის ხმა უნდა გაეტეხოთ, — დაწყვი ელგუჯამ.“

— დროა, შენი კენესამე! — უპასუხა მათიამ, მონადირენი დაღონდნენ და სოფელშიაც მზიარებულება აღარ გაისმის.“

შემოდგომით კი, როდესაც თიბვა და მკაწყებოდა, სოფლის მამაკაცები და ქალები იპარებებოდნენ გარდაცვლილის ოჯახში, იქვე დატარებდნენ მიცვალებულს, მამაკაცი მას შენდობას ეტოვდნენ და მერე ვაკოდოდნენ სქმზე, თუმცა ამ შემთხვევაშიც დაზარალებული ოჯახისადმი პატრიოტულს იმით გამოხატავდნენ, რომ ვერ მათ საქმეს გააკეთებდნენ. ხოლო შემდეგ — თავისას, ვინაიდან კირისტელაო წლამდე მიწის მუერნობას ზელს არ ჰქადებს. ეს წესი დღემდე ამ სახით არის ზევში დაცული.

სახალხო სასამართლოზე მომჩივარს შუა ადგილას გაიწვევდნენ. მომჩივარი ვალდებული იყო დაემოქა სასამართლოს წინაშე და ისე მიეთა ზევება. ასე იქცევა ნაწარმოების მიხედვით სვიმონ ჩოფიაშვილიც. ის ვაიდა წრეში, დაიჩოქა ცალ მუხლზე და დაიწყო თვისი საჩივრის წარმოთქმა, რომელშიაც გამოხატული იყო გავის სიყვდილის მიზეზი, ამტკუნებდა ელგუჯას და ითხოვდა გასამართლებას. ცხადია, სასამართლოში შიადლებულს ჰყავს დამცველი, რომელიც ლამაზაკობს ბრალდებულის დანაშაულზე, რომ იგი ამ დანაშაულში უბრალოა და სხე. აი, ჩვენს წინაშეა ელგუჯა, როგორც დამნაშავე, მასაც თავისი დამცველი ჰყავს, ნათესავეების სახით. ელგუჯას ნათესავებიე შევიდნენ შუა წრეში, დაიჩოქეს და დაიწყეს დამტკიცება, რომ ელგუჯას ზელით არ იყო მოკლული გავი და სისხლის მიზეზი ამ შემთხვევაში არ ეუთუნოდათ ჩოფიაშვილებს. მომჩივრისა და მოპასუხის სიტყვების მოსმენის შემდეგ სიტყვას ისევ თაქედომარე იღებდა — კების უხუცესი პიროვნება. იგი ყველას დაითხოვდა, სასამართლოს წევრებსაც კი და და დაიწყებდა ამის აწონ-დაწონას, რაც სასამართლოზე მოისმინა. ამის შემდეგ დაიპარებდნენ მომჩივარ-მოპასუხეთ თემის ყრილობის გადაწყვეტილების მოსამსენად. სანამ თემის მიერ გამოტანილი განაჩენი ხალხს გუქნობოდა, მანამ დაიფიცებდნენ ხატზე, რომ არ

გაეტეხათ თემის გადაწყვეტილება. ასეთი შემთხვევა გვაქვს სეიმონისა და ელგუქას საქმეთა გარჩევის დროს. დაფიცების დროს თემის უბუცხის აქეთ-იქით დადგებოდნენ ზოლზე დეკანოზები, ერთ ხელში ეკავათ მერდინის დროშა, რომელსაც ასხული ჰქონდა სხვადასხვა სიდიდის ხატები, ჭერები, ზარები და შეწირული ნივთები, მეორე ხელში — ვერცხლის ჯვარი. მარდინშივე გახვეული. ასეთი სურათის წინაშე უხდება ფიცის მიცემა გავის გვარეულობას. ყველანი რომ დამწვინდნენ, წერს ალ. ყაზბეგი, — ისევ უბუცხმა დაიწყო პირველი სიტყვა:

„მოდი, დაფიცეთ!

მომჩივრები მოვიდნენ, პირჯვარი დაიწერეს, მუხლი მოიყარეს და ხელი მოკიდეს დროშას... მომჩივრები კრალვით და მოწიწებით ემთხვევნენ დროშას და ჯვარს“.

ამის შემდეგ სიტყვა თავმჯდომარეს კი არ ეუბნენ, არამედ დეკანოზებს, რომელთაც ხელში ეკავათ დროშა, რაზედაც ხდებოდა დაფიცება.

ყაზბეგისეული რიტუალი დღესდღეობით ისევე სრულდება, როგორც ალ. ყაზბეგის დროს. ალ. ყაზბეგის შემოქმედების ორგანული ნაწილია ხალხური ტრადიცია — მოსისხლე მტერთა გასამართლება და შერიგება. ბუნებრივია, რომ შემთხვევით ან განზრახვით სისხლის დაღვრას, კაცის მოკვლას, გასამართლება და შერიგება უნდა მოჰყოლოდა.

„ელგუქამ“ მიხედვით ნაწარმოებების შთაჯარი გმირი — ელგუქა გამოდის გავის მველი. თუმცა ელგუქას მიერ გასართლილი ტყუია უშუალოდ მას არ მოხვედრია, ხოლო ვაჭა ზოფიკაშვილი იყო სახლსაკაცი სეიმონ ზოფიკაშვილისა. მთის საწესო ტრადიციის მიხედვით კი, სისხლის აღება ან მძას ევალებოდა, ან უხლოეს ნათესავს. სისხლის თემაზე, უდანიშვალად დამიანის დასქას თემი ერიდებოდა. ამიტომ ცდილობდნენ მოსისხლე გვარისა და ოჯახის შერიგებას.

ყაზბეგის „ელგუქას“ მიხედვითაც, ელგუქას და სეიმონის საგვარეულონი მოსისხლე მტრებად ითვლებოდნენ.

სასამართლო პროცესზე თემის უბუცხა ასრულებდა თავმჯდომარის მოვალეობას, ღანარჩუნები კი მას ემორჩილებოდნენ. აქვე იყვნენ მომჩივარნი გავის მხრიდან, მოწმენი და ბრალდებულნი — ელგუქას მხრიდან.

„ერთი მოხუცი — ამბობს ალ. ყაზბეგი — რომელსაც თავმჯდომარეობა ეტყობოდა, წამოღდა ფეხზე და წარმოსთქვა: „ღმერთო დიდებულო, ღმერთო! ზე-მითუღუთის ჭვარანგელოზნი! თქვენს წინაშე არის შეყრილი თემის ხალხი... თქვენ მოგვეციოთ ძალა და ჩაგვა-

გონეთ, რომ ჩვენი უგუნურობით უსამართლობა რაიმე არ მოვახდინოთ“

— და თუ ჩვენი გამოგონება უნდა მოხდეს, რომ მიდგომით სიტყვა დახარჯა, სწორე ჩვენება არ მოგვეცა, რაიმე დამალა, — თქვენი რისხვა გაყოლებს შელისა შელაშდვ“.

დეკანოზებს, ხელში ეკავა დროშა რაზედაც ხდებოდა დაფიცება. „ღმერთო დიდებულო! დაიწყო ერთმა დეკანოზმა: — ღმერთო! ივანე ნათლიცემელო, წვერის სპარს ანგელოზო, ზევის სამებაო, ღუდის ყოვლამინდო, ლომისა მთავარ-მოწამეო. შენი მადლი შეაწიე ამ ხალხსა.

— აბა ემთხვეთ ხატებს! გაათავეს დეკანოზებმა და დააქრიალეს ზარები. ხალხი, რომელიც აქამდე დამოქალი იღვა ეხლა წამოიშალა, ემთხვევენ დროშებს და ისევ დიქიერეს თავიანთი ადგილები“.

ამით შთაგრძობოდა ხატის წინაშე ფიცის დადება, მაგრამ არ მოაგრძობოდა სისხლის სამართლებ პროცესი. დასკვნითი სიტყვა უნდა წარმოეთქვა პროცესის თავმჯდომარეს. თავმჯდომარის მიერ წარმოთქმული სიტყვებო იყო განაწენი და შესასრულებლად ყველაათვის სავალდებულო გამოდით. „ელგუქას“ მიხედვით, განაწენი გამოდის უბუცხის, რომელიც ღანარაკობს: „ელგუქამ მართალია ქალი მოიტაცა და ამით სიტყვიელი მიაყენა ჩოფიკაშვილის სახლს, მაგრამ ძალადობა არ უხმარია. და ქალი თავის ნებით წაყოლია. გვირგვინდარია წინ და თავის სახლის პატარის დაცვისათვის შეხმობა ელგუქას და იმხაკ თავის ამხანაგებით თავიანთი თავის დასაცავად იარალი უხმარით, შედეგიც რამდენიმე კაცის სიყვილი ყოფილა. ელგუქას გავის ცხენი დაუტვრია. და ამ მიზეზით გადავარდნილა კლდეზე და დამსჭრათელა.

მერე რუსის ჯარებს დაუბოცნიათ ელგუქას ამხანაგებო, თვითონ ელგუქა მძიმედ დაუტვრიათ და ქალი წაუტრთმევიათ.

ჩვენ ჩვენი გონებით, ჩვენი ტუთით გავამართლებთ ეს ხალხი და გადაწყვიტებთ: გავის კლდეზედ გადავარდნა არ არის პირდაპირა ელგუქას ხელი სიყვილი, და სისხლა არ ეძიება ამისათვის. ამის სამაგიეროდ ელგუქას წამოერთვის მამული და მიეცეს სეიმონ ჩოფიკაშვილს... სეიმონმა თავის მხრივ გაიღოს ელგუქას საეკიმო. ელგუქას ნათესავობა, თემის კაცების დასწრებით, მივიღებ ზარითა და ღუდით გავის საფლავზე შესახვეწრად“.

ამ დროს მოხდა ელგუქას და სეიმონის შერიგება. ამ შერიგებისას სეიმონი დაემორჩილა თემის გადაწყვეტილებას: „ხმა ღუთისა და ხმა ერისა... ნება თქვენი აღსრულდეს“. ამ დროს ელგუქა სეიმონის ეზოში იყო და ელოდებოდა შეამთავლოთ, თუ რა ამბავს გამოიტანდნენ. სეიმონის ცოლსაც უნდა ეშვილა ელგუქა. მო-

ხელი ხალხი ელგუჯას წინ ქედობდოლები მიუძღოდნენ, რომ ელგუჯა სვიმონის სარეკელამდე მიეყვანათ, ხოლო ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო მათი შერიგება და ელგუჯას სვიმონის ცოლის მიერ შეილად აყვანა.

მთაში გაერეკლებულ ამ ხალხური წესის შესახებ ავტორი მოგვითხრობს, რომ: „ქედობიანი მოხუცები ელგუჯას სვიმონის სახლთან მიაცილებდნენ, დედაყაყებმა სვიმონის ცოლს ქეთევანს, გაუხსნეს საყინძე, ამოუღეს უბიდან ძაღვ და ელგუჯამ სამყერ კბილის დაჭერით წარმოსთქვა „შენ დედა და მე შვილი“ ამ სიტყვებს ხალხი სულაწინაბული ისმენდა და იწერდნენ პირყვარს, ევადრებოდნენ ღმერთს, რომ მშვიდობა ჩამოეგდო ორ მოსისხლე გვარს შორის. ელგუჯას სიტყვების შემდეგ „შენ დედა და მე შვილი“, რა თქმა უნდა, ქეთევანიც ვერ ღარჩებოდა მის მიმართ უგრძობობი, ამიტომ მან ხელი მოჰკიდა ელგუჯას და უთხრა:

— ელგუჯა! დღეის შემდეგ ჩემი შვილი ხარ, შენ ხარ სისხლი ჩემის სისხლისა და ზორცი ჩემის ზორცისა“, ამის შემდეგ ქეთევანმა მიიყვანა ელგუჯა სვიმონთან და უთხრა:

— ამა, მთმოყვანია შვილი და დამლოცე“.

სვიმონი მიმართავს მას: „ელგუჯა დღეის იქით შენა ხარ სისხლი ჩემის სისხლისა და ზორცი ჩემის ზორცისა, ვინც შენ გატყენს რაზუს, მე მატყენს, ვინც შენ დაგტყის, მე დამატყის“.

ესთი იყო მოსისხლე მტერთა შერიგების ის წესი, რომელიც აღ. ყაზბეგმა თავის ნაწარმოებში აღწერა. ვიტყვი, რომ ეს საწესო ტრადიცია ისევე ძველია ძველია, როგორც დანარჩენი წესები, რომლებიც აღ. ყაზბეგს აქვს აღწერილი თავის ნაწარმოებში, შეილად აყვანის ამ საწესო ტრადიციას ვხვდებით შიო არაგვისპირელის „გაზბარულ გულში“. მართალია, ამ რომანში სისხლის აღება არ არის, არც შერიგება, მაგრამ შეილად აყვანის სცენას შიო არაგვისპირელი ისევე წარმოგიდგენს. როგორც ა. ყაზბეგი. აქ მახარეს იყვანს შეილად ოქრომჭედელი, რომელიც უშვილოდ დაბერდა, მაგრამ შეილივთ გაიზარდა ობოლი მახარე. ოქრომჭედელი ხალხის თანდასწრებით აღებაებს, რომ მახარე მისი გაზრდილია და, ცოლთან შეთანხმების შემდეგ, სურს მისი შეილად აყვანა. ახ რას წერს შიო არაგვისპირელი:

— შეილი არა მყავს, — დაიწყო ამის შემდეგ ოქრომჭედელმა, — შეილივით ეზარდე მახარე და აი, მუზობლებო, თქვენ წინ გაზიარე: მახარე ჩემი შეილია და ნარგვიაც ჩემი აზრისა... ჯერ მაშინვე ეიშვილოთ, როდესაც უბედური შემთხვევით დედა გარდაეცვალა მახარეს. ახლა კი საჭაროდ ვაცხადებთ... ოქრომჭედელმა აკოცა მახარეს, ნარგვიამ მყერდი

გაიხსნა, მახარემ ძაღვს თავი პირში მიაღწია და შემდეგ ნარგვიამ გულში ჩამტყნა მუხრანის და აღერსით თათქოს თავის პატარა მჭედელებს უწევსო, ქონობი აუბურტყენა“!

შეილად აყვანის საწესო ტრადიცია, ჩანს, საერთო უოფილა, როგორც მთისათვის, ისე ბარისათვის, ამაზე მეტყველებს ის ცერემონია, რომელიც შეილად აყვანას ახლავს თან. აღ. ყაზბეგი საუკეთესოდ იცნობდა მთის ხალხურ წესებს და ამიტომ ისე ბუნებრივად ურთავს მას მოთხრობებში, რომ ნაწარმოებში არ იტვირთება და არც ზედმეტად გვეჩვენება სვიმონის პირადად ურთავდა ელგუჯა. აქ არ ჩანს მისი ნათესაების როლი. არც თვითონ სვიმონი ეძლია, რომ გავის საფლავზე მოსულათ პატივი ეცა თავის მიცალბებულათათვის. შესაძლებელია, ეს უკანასკნელი სცენა ორი მოსისხლე გვარის შერიგებისა, აღ. ყაზბეგს ზედმეტად, მდგომარეობის დანამძიმებლად მაიანდა და ამიტომ აუარა მას გვერდი და სულ სხვა გზით გვიჩვენა ელგუჯასა და სვიმონის შერიგების ამბავი.

სვიმონმა ელგუჯასთან თავის სადავო საქმე თემს გაარჩევინა. იგი სიტყვას შეუბრუნებლად დაემორჩილა თემის გადაწყვეტილებას და, თემისადე თხოვნით, შემოიბრუნა ელგუჯა. სვიმონი ჩვენს წინაშე კიდევ უფრო მაღლდება, როდესაც ელგუჯას შერიგების დროს ხალხს მიმართავს: „ხალხნო ჩემი საქმე თქვენ მოგანდევით, თქვენ გადასწყვეტით და მეც დაემორჩილით. გასსოვდეთ, რომ თემის სურვილი, — უფლის სურვილია. მე მომხდევით და ხალხის სურვილს თქვენც ასე აღასრულებთ. ამასვე ანდერძად დუფდებთ თქვენსა შეილებს.“

ღმის პირით ლაპარაკობს, უფლის მაღლმა! მე ძალა მქონდა და შემეძლო ათი ორასა კაცი ჩემის სურვილის აღსრულებისათვის, ორ ბატანსავით შემეწირა... შემეძლო ელგუჯას მზე გამეჭრო, ვცდილიყავ მევის დასჯას, მაგრამ თემმა მიბრძანა და იმის წინაშე მეც მუხლი მოვიდარე, ქედი მოვიხარე“.

ამ სიტყვებს ამბობს სვიმონი, რომლის ბრძანებასაც უხმოდ ემორჩილებოდა ხვევი, მაგრამ იგი მიიწევს დამცველია იმ საუკეთესო ტრადიციებისა, რომლებსაც თემში ხედავს. იგი მზალობით სულბარში ამბობს: „თემის კვალიყვეტილება ჩემთვის გაუტყებელია“. სვიმონი არ სარგებლობს თავისი დიდი თანამდებობით, რადგანაც იცის, რომ თემი ერთობაა, ერთობა კი „ძალა და ძალა კი ბედნიერება“.

თემის გაუტყებლობასა და ერთიანობაში ხედავდა სვიმონი თავის ხალხის ძალას და ამიტომ პატივს სცემდა თემის გადაწყვეტილებას.

1 შ. არაგვისპირელი, თხზ. სრული კრებული, ტ. II, გვ. 310.

თუმცა თემა მას კანონით მიანიჭა ელგუქას სახანა-სათობი, შხალო, როგორც ჩოფიკაშვილების ნაყიდი, სეიშონს დაეტოვებოდა, ხოლო ელგუქას მისი თხოვნის უგულებაც მისცა, მაგრამ სეიშონი ამ გადაწყვეტილებით არ არის ეკუთვნილი, მას არ მოსწონს დამანაშაუის ეკონომიურად და სულიერად განადგურება, მაშინ როდესაც საკუთარი დანაშაული შეგნებულა აქვს. ამევე შეგნებითა და კაცთმოყვარეობით მიმართავს იგი ელგუქას:

— ელგუქავ!... თემა მთლად შენი შამელი, სახნავი და სათობი, სამოგარითა და წყალითა, მთითა და ბარითა, სულ ერთიანად შე მარგუნა...

— ალაღ იყოს, როგორც შენი ღედის ქუძე! — ვატყუებთ უპასუხა ელგუქამ.

— ახა, ელგუქავ! რად მინდა? ჩემიც საკმარისი მაქვს, შენ რომ დამნაშავე იყო, შენის ბაღლებსა რაი ზრალია? იმათ უღუქმოდ ვერ გავდებებ, მაროალია, ჩემს მეცადარს უგულოდ ვერ დაეკარგავ... ჩემის დაკლებული ნიშნად დაგიგდებ... შენს სათობს, ხეთა შეა რა ვაქვს... თავდაც კარგად იცი, რომ მაგ მიწას მხოლოდ საბეღადა ჰქვიათ სათობი, თორემ იქ ღორღის არა შეტი არა მოიძოვება-რა და ღორღი კი ყველგან ბევრია, რომ ფასი რაიმე ჰქონდეს, ეგ სათობი აძლია და დანარჩენი კი ამ ხალხის დასწრებით და მოწმობით, შენთვის დამბრუნებია. ღმერთმა ალაღი ქნას შენზედ, ისე, როგორც შენი ღედის ქუძე!"

სეიშონი თემის და ხალხის ერთგული შეიქცა. იგი უარესად ეთილწმობილია, ელგუქას სამუდამო შემოსავალს არ ვაუწყებებს და მის უღანაშალო შეიღებს შვირს არ დატოვებს. მან იცის, რომ ადამიანისათვის მარტო იფრადიღო თავისუფლება, სსჯელის მოხსნა არაფერს არ ნიშნავს, თუ შეუწყვეტს საარსებო წყაროს. სწორედ ამ შეგნებით მან უარა თქვა იმ მიწებზე, რომლებიც თემა სისხლი სახალარის ფასად მისცა, თუმცა თავის მედრის საგეშოდ, როგორც თეითონ ამბობს, ღორღთან ადვილს იტოვებს, რომელიც სათობად იყო მიჩნეული.

აღ. ყაზბეგმა თავისი დიდი ჰუმანიზმი, სამართლიანობისა და სიკეთისათვის ბრძოლა ჩააქსოვა სეიშონის სახეში. ხალხმა სეიშონის სახით თავისი გულშემოკიდებარი, წინააღმართადიკების დამცველი იპოვნა და დაჰკარგა ტრადიცია. ამიტომ დასტორიდა მთელი ზეუ მითქმით და გოდებით მის დაჰარგვას.

აღ. ყაზბეგის შემოქმედებაში სრულყოფილად არის აღწერილი სისხლის აღების სათემო ტრადიცია. ვაიხსენოთ ელგუქას განცდები, მძანდაფიკების დახოცივის შემდეგ:

— როგორგი მომიკლეს, მარტია მომიკლეს. მე რაღად მინდა ცოცხალი თავი? — ვაპრბებო ელგუქამ და ვახატქიალა ებილბა.

— იმად, რომ სისხლი აიღო.
— მართლს ამბობს, მარტაულს! იმეორება იმეტომ გადამარჩინა, რომ იმეორე სისხლი შევიღო! და გეცოცხლები წმინდა გიორგო! რომ ამ ღმერთმა ცოცხალი გადამარჩინა, იმათ სისხლს არ შევარჩენ".

ელგუქა ვაგის ოჯახიდან მოიტაცებს ქალს. ვაგი ამას შემთხვევით შეიტყობს გზაში და ცდილობს ელგუქა, რომელმაც მის ოჯახს შეურაცხყოფა მიაყენა, სამავალითოდ დასაჯოს. იგი მოუწოდებს მარტიას, ჩადი ნაჩაღნიეთან და მოსთხოვე ჯარი ელგუქას დასაქურადო. მაგრამ მარტია, რომელიც მთის აღათ-წესებზე იყო აღზრდილი, შეუძლებლად მიიჩნდა უცხო ჯარის მოშველბა. იგი არწმუნებს ვაგის, რომ „მტრები შენი არიან შენი ეყენსამე, და სისხლი შენვე უნდა აიღო, ცხეები რაღად გინდა? მაგრამ იგი მაინც თავისას არ იშლის. ვაგის საქციელთ აღმფოთებელი მარტია იძულებულია მოიტოვოს ვაგის ბანაგი, შეუერთდეს ელგუქას და, გაქირვებამი მყოფთ, დახმარების ხელი გაეწოდოს. ამას უკარნახებს მამ აღმინებრი მორალი და ვაეკობა, მთის აღათ-წესები.

აღ. ყაზბეგის დადებითი გმირების საქციელი ყოველთვის ხალხის ინტერესებიდან გამომდინარეობს. ხალხის ტრადიციულ წესის დარღვევის გამო თემი წყვეტს საეთის და პირთვინება ვალდებულა დაემორჩილოს მას. თემის წევრები ამ მოვალეობის შესრულებას კისრულობენ, მაგრამ თემი რღვევას განიცდის ვარეშე ძალის შემოჭრის ნიადაგზე, ამიტომ აღ. ყაზბეგის დადებითი გმირების ბრძოლა ყოველთვის ამ უცხო ძალის წინააღმდეგ არის მიმართული. მავალითად, ელგუქას, როგორც პირთონებს, ვაგის წინააღმდეგ ბრძოლაში ვეცნობით. ელგუქას, რომელმაც ქალი მოიტაცა ვაგი ჩოფიკაშვილის ოჯახიდან და ამით შეურაცხყოფა მიაყენა მას, მთელი პასუხისმკებლობა ეკისრება საწყო ტრადიციების თანახმად. ელგუქას მხარეზეა ყველა მთელი. ისინი ყოველთვის მზად არიან დახმარების ხელი გაეწოდონ ელგუქას, რომელსაც მხარს უჭერს სეიშონიც. თუმცა ამ უკანასკნელს კანონით ვეალება სისხლის აღება, როგორც ვაგის უპასულოეს ნათესავს.

ელგუქას, კობას, იაგოს, გოჩას, ონიანს და სხვათა ზნეობრივი და სულიერი კულტურა ერთი და იგივეა ელგუქა აღ. ყაზბეგის სათაყვანებელი გმირია. „გამიშვით სხვაგან, იქნება იქვე სადმე შეგებდე ელგუქას. ამ კიდევ მის პარტოტიბა, აწმყო საუავლად-სატარღის წარმომადგენელთა“, წერდა მწერალი ი. მეუნარგია. „არ დაივიწყო, რომ სადაც შენი მამაპაპა ვარენილა და დამარხებულა, სადაც მათი ძელებია ჩაფლული, იმას გედავებოან და არ დაინებო“. გოჩას ამ სიტყვებში ღადადებს ყაზბეგის შემოქმედების დეოდაზრტი.

„მაკიზარებთან“

ათიოდე წლის წინ დაბეჭდილმა ალექსანდრე კალანდაძის წიგნმა „დღეები ბრესტის სიმაგრეში“ პირველ-ღე ვეამცხო ბრესტის გმირი ციხე-სიმაგრის ლეგენდარული დაცვის უკვდავ ეპოპე-ში ქართველი შეომკების თავდადების ამბავი. 1966 წელს ამას მოჰყვა ვრცელი დოკუმენტუ-რი რომანი „პიასტის ნამუხლარზე“ — ამაღლე-ვებელი ნაწარმოები ფაშისტურ საკონცენტრა-ციო ბანაკებსა და ციხეებზე, პოლონელი, რუსი, ქართველი, გერმანელი, ებრაელი იატაკქვეშელუ-ბისა და პარტიზანების რთულ და გმირულ ბრძოლაზე, — წიგნი, რომელშიც მხილველია პიტლურელთა მიერ მოგონილი რასობრივი თეო-რია და პრუსიული მილიტარიზმის საშიშარი ელუ. ახლახან კი „მერანმა“ გამოსცა ამავე ავტორის რომანი „მაკიზარებთან“, ასევე საყუ-რადღებო თხზულება, უწინააღმდეგე ყოვლისა, თეშისა და შასალის სიახლოე, დიდ სამამულო ომში ქართველების მამაცობისა და სმშობლო-სადმი უსაზღვრო ერთგულების ამსახველი ტენობი ფაქტებით.

1944 წლის ოტტომბერში ვაზეთმა „პრადაში“ (№ 238) გამოაქვეყნა საკლესის ვრცელი ინფორ-მაცია, რომელშიც ნათქვამია: „ტულუბის მო-სახლეობამ ტრეფმფალური შეხვედრა მოუწყო სამხრეთ საფრანგეთში მებრძოლ პირველ საბ-ჭოთა ბატალიონს. ალტაცებულმა ხალხმა ვა-არღვია დაცვის კორდონი, რათა გულში ჩაეყრა ეს გმირი ადამიანები, რომელთაც, მიუხედავად უმძიმესი გენსაცდელისა, არასოდეს აბ შეტყე-ვიათ სამშობლოსადმი რწმენა და უყანასკნელ ამოსუნთქვამდე ვაყაყეტრად იბრძოდნენ ფაშო-ზმეს გასანადგურებლად“.

მას შემდეგ შეითხვედი საუკუნე ვავიდა. მავ-რამ დღემდე ამოუხსნელი რჩებოდა, რომელ ბატალიონზე წერდა „პრადა“. ვინ იყვნენ ეს მამაცი ადამიანები და რა დამსახურება მოუძლო-დათ. მეორე მსოფლიო ომის ამ აქამდე საიდუმ-ლოებით მოცულ ეპიზოდზე მოგვეთხოვრობს თა-ვის რომანში მწერალი ალ. კალანდაძე, აღნიშ-ნული ბატალიონის ერთ-ერთი ორგანიზატორი

და პოლიტიკური კომისარი. მისი წიგნიდან პირველად ვგებულობთ, რომ ატლანტიკის ოყე-ანის ნაპირებსა, პირენეის მთებსა თუ ბრე-ტანში ვარეკოლ ქართველებს, 1942 წლიდან მოკიდებული, სისხლისმღვრელი აჯანყებები მოუწევიათ, საარაკო გმირობა ვამოუტენიათ საფრანგეთის პარტიზანულ ბრძოლაში და, მსხვილ რაზმებად ვაერთიანებულებს, აქტიური მონაწილეობა მიუღიათ კარმოს, ალბის, ვასტ-რის, ბორდოს, როდენის, ბრივის, მონტობანის, შარსელის, პარიზის და მრავალი სხვა ქალაქისა და დეპარტამენტის ვანთავისუფლებაში. რითაც ფრანგი ხალხის საყოველთაო აღიარება და სიყვარული მოუხვეჭიათ.

წიგნის ღირსება ის არის, რომ უხვეულო პირობებში მოხვედრილი ქართველი პარტიზა-ნების ბრძოლა ალ. კალანდაძეს ნაჩვენებები აქვს საფრანგეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მოვლენებთან, ევროპის ხალხთა ვამთავისუფლებელ მოძრაობასთან. საბჭოთა არმიის ძლევამოსილ წინსვლასთან, ომის საერ-თო მიმდინარეობასთან ორგანულ კავშირში. ბედის ტრიალით უცხო ქვეყანაში ვადატყორც-ნილი ქართველები და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხთა შვილები მალე მოულოდნელ საერთო ვნას ფრანგ, ეგვიპტელ, იტალიელ, ჩეხ, იუგოსლავ, პოლონელ პატრიოტებთან და ერთ მებრძოლ ოჯახად ვადაქცეულნი, მოსიყვარულე ძმებოვით ინაწილებენ მრისხანე ომის ტიარსა და სიხა-რულს. „მაკიზარებთან“ ვამსკვალელია საბრძო-ლო პრილეტარული ინტერნაციონალიზმის, იდეურ-კლასობრივი სოლიდარობის, ყველა ერის მშრომელთაღად ღრმა პატივისცემისა და მე-გობრობის სულიკეთებით, რომელსაც სა-ვაძველად უღვეს ვაწიხისმისაღმი უსაზღვრო სიძლევილი, სოციალისტური რვეოლუციის იდეებოთ შთავონებულ ხალხთა საერთო სწრაფ-ვა მეგობრობისა, სიყვარულისა და მშობისაცენ. . . ალ. კალანდაძის სამივე წიგნი დამაბული ინტერესით იკითხება და . პოპულარობით სარ-ვებლობს, როგორც ისტორიულ-დოკუმენტური, ისე მხატვრული სიმართლის წყალობით. მწერა-ლი, რომელიც ასახული ამბების უშუალო მო-ნაწილეა, მასალის ბრწყინვალე ცოდნით, მზერ-

ალექსანდრე კალანდაძე, „მაკიზარებთან“, მე-რანი, 1969.

ვალე პარტიოტული გრძნობითა და ენერგიული სტილით გვესაუბრება უცხო ქვეყნებზე, უცნობ მოვლენებსა, ფაქტებსა და აღმავლებზე, მაღალი პეზნენტობით წარმოგვისახავს ყველა ხალხის დაეცემულ ღრმის თვისებებებსა, დამოუკიდებლობასა და აღმავლური ღირსებისადაც. ავტორის ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩებოდა, რომ მითხველისათვის სრული სისაყსით და დამაჯერებლობით არ ენუნებინა საფრანგეთის, კერძოდ ომისდროინდელი საფრანგეთის ცხოვრების სინამდვილე, მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული კოლორიტი, მთელი თავისი მრავალფეროვნებითა და უშუალოთ; ან ენუნებინა ყოველგვ ეს საერთო ფონის, პეზნენტობის დამაძრის სახით. თვითველ დეტალსა, სიტუაციასა და ხასიათში იგრძნობა, რომ მწერალი კარგად იცნობს, განიცდის და სწეფება უცხო ხალხის ზეგვეულებებს, ტრადიციებს, მიდრეკილებებს, ქვეყნისა და ბუნების, დავილოებულთა მშველი დავიარების, კათანახიარებისა და ცხოვრებისეული სურათების სწორად აღდგენისა და გადმოცემის უნარით. რომანი აღსაყვად დროის, ადგილისა და ყოფის დამასაიათებელი დეტალებითა და მორალურ-ფსიქოლოგიური აქსესუარებით — ისტყიერის მასალით, მხატვრულ ქსოვილში მიხანსწრაფულად ჩართული ამონაწერებით სხვადასხვა დოკუმენტებიდან, განკარგულებებიდან და ბარათებიდან, რაც ნაწარმოების ერთიან ქარავს ქმნის. სინამდვილისადმი ასეთი უშუალო და თავისუფალი დამოკიდებულების გამო, მკვიზარებთან დაზღვეულია დოკუმენტური თხულებებისათვის ჩვეულებრივი ფორგრაფილოებისა და ემპირიულობისაგან. ავტობიოგრაფიული მასალა მხატვრული შთაგონების საბაზი და წყარო ხდება, რომლის საფუძველზე მწერლის წარმოსახვა განადიოხული მასალა ბრძოლის, სოციალური კონფლიქტებისა და აღმავლთა ურთიერთობის განზოგადებულ სურათს ქმნის. ნათლად წარმოგვიდგება საფრანგეთის მშრომელთა რთული პოლიტიკური ბრძოლა არა მარტო გერმანულ დამპყრობლებთან და პეტენის მოღალატურ ხროვასთან, არამედ თვით „წინააღმდეგობის მოძრაობის“ შიგნით, რეაქციულ სოციალურ ძალებთანაც, რამდენიც თავიანთ ეგოისტურ კლასობრივ ინტერესებს ეროვნული მტრისაგან განთავისუფლების საქმეზე მდლა აყენებდნენ და ვერაგულად ცდილობდნენ ძირი გამოოხარათ მასების რველციური გაქანებისათვის. მკაფიოდ გვისურათებს რა რუხისტანის ამ შინაგან წინააღმდეგობებსა და კონფლიქტებს, აკბატლისტური საყაროს სურსემშუთველ ატმოსფეროს, ოკუპანტთა ბრძანაროსულ თარეშს, ავტორი გვიჩვენებს, რომ საფრანგეთის სახალხო გამათავისუფლებელ მოძრაობას სათავეში ედგა კომუნისტური პარტია, რომანის გმირები: მასწავლებელი

ანგო, მემხატვები ვრანგე, პოლ ვენიე, ვლი-სალდე, ანტონიო კომუნისტური პარტიის დიადი სკეის, მუშათა კლასის ნათელი რველების უსაზღვროდ ერთველი აღმავლენის, კომუნისტური სიმამიეთა და იდეური სიმტკიცით, ისე ორგანიზატორული ნიჭით, ხალხის მასებთან სისლხორციული კავშირით, ბურჟუაზიული საფრანგეთის ქურუმებთან — რომანთან, ფორესტიანთან, კოლესთან ცხარე კლასობრივ ბრძოლაში, შესანიშნავად განასახიერებენ კომუნისტის შეუპოვრობას, პრინციპულობას, პოლიტიკურ-მორალურ სიწინდესა და კეთილშობილებას, ისინი დროულად ამხელენ კოლაბორაციონისტთა მუხანათურ გვეგებს, ჭერ, გერმანულ ოკუპანტებთან, შემდეგ ამერიკელ იმპერიალისტებთან მათ თანაშრომლობას.

ომის გამო, რომ ნაწარმოებში მძაფრად შეიგრძნობა ფრანგი ხალხის გმირული წარსული, მისი საამაურო რველციური ტრადიციები და თავისუფლებისმოყვარე ული, ანტიფაშისტური ბრძოლის საკაცობრიო მნიშვნელობა და „წინააღმდეგობის მოძრაობის“ სოციალურ-კლასობრივი ბუნება, მკვიზარების ბრძოლა ჩვენს სამქოთა ხალხის დეილ საქმელ გვესახება და სავსებით დამაჯერებელი ხდება უცხო მიწაზე ქართული პარტიზანების გმირობისა და თავდადების მიზეზები.

მწერალმა შეძლო, ომის ამბები ორგანულად დაეკავშირებინა ომის კონკრეტულ სინამდვილესთან, პირველ განცდისა და უშუალო ხილის გულწრფელობით გადმოცემა განგამითა და იმედებით აღსავსე წლების სუნთქვა, შთამბეჭდვად დაგახტა შორეული ქვეყნის სოციალური ცხოვრების კონტრასტები, მოვლენების განვითარების ტენდენცია და პერსპექტივა. იმ კომპონენტებიდან, რომლებიც რომანის დამაქრებლობას უზრუნველყოფენ, უმნიშვნელოაგნება დეტალებისა და ფაქტების სიუხვე, მათი მიზნობრივი შერჩევა, ბუნებრივი სიტუაციების შექმნის ლოკიცა, ფსიქოლოგიურად მართალი ეპიზოდები, უბრალო და თითქმის გულგრილი, საქმიანი თხრობა, აღწერის სიმართლე, სისრულე და სითამაზე, იფეთა ჭიდილისა და მიუყერაობულ ცხოვრებისეულ სურათებში დედააზრის გამოვლენა.

რომანის მეგრძოლი პერსონაჟები ჩვეულებრივი აღმავლები არიან, რომელთაც გამარჯვების სიხარულთან ერთად, არაერთხელ დამარცხების სიმწარეც განუცდიათ. ბეგრჯერ თუ მტრის მიერ დაეკავებულ ქალაქებში თავგანწირულად შეჭრილან, ზოგჯერ შიშით უშეშით და სასოწარწყვეთამდეც მისულან. ავტორის ჩანაფიქრი ნათელია: ისეთი სამართლიანი, სახალხო ომი, როგორც დღი სამამული ომი იყო, მასობრივ თავდადების მოთხოვნა, მაგრამ ყველა აღმავლნი ერთნაირად მამაყი როლი და ერთნაირი აღმავლური თვისებებით როდი არის დაჯილდოებულნი, მხოლოდ მართალი საქმე და მტკი-

ც იდური რწმენა უნერგავს მთელ ხალხს გმირულ სულს, აღფრთოვანებს თავდადებითადაც. ძალას ანიჭებს დათრგუნოს პიროვნული სისუსტე, შეებრძოლოს საკეთარ თავს და ერთგულად ემსახუროს საერთო მიზანს, რომლის გმირები მუდამ სძლევენ თავიანთ ადამიანურ სისუსტეს, საფრთხის წინაშე შიშს, და ვადაწყვეტ მომენტში ერთგულად და მამაკვლად ასრულებენ თავიანთ მხედრულ მოვალეობას. ასეთი შინაგანი ბრძოლა განსაკუთრებული დამაყრებლობით გვაგრძობინებს მოწინავე იდეის, სამშობლო პარტიოტიზმის გარდაქმნულ, დამაბნეველ ძალასა და ცხოველმყოფელობას. ეს თეოსოფიისა, რა თქმა უნდა, ფსიქოლოგიურად სწორი და მორალურ-პოლიტიკურად სასარგებლოა, მაგრამ მწერალი ყოველთვის ვერ იხებს სათანადო ზომიერებას.

რომანის პერსონაჟები — ქალები თუ მამაკაცები, ბრძოლას მონაწილენი თუ არამონაწილენი, სხვადასხვა პრაქტიკის, ეროვნების, სოციალური ფენისა თუ პოლიტიკური რწმენის ადამიანები, მოქმედებაში შემოდიან ერთმანეთთან საქმიანი ურთიერთობის კანონზომიერებით, სიუჟეტის განვითარების ლოგიკით, ინდივიდუალური ხასიათით, მეტყველებითა და ქცევით, მათ ეხედვით საბრძოლო იერიშებზე და სახალხო ზეიძებზე, უღრან ტყუებსა და პარიზის საღონებში, სახადრავო მარშის დროსა და დიპლომატიური საუბრის მომენტებში, სიუჟეტის განვითარებისა და იჯახტური იდილიის წიგნებში და ყველგან, მოქმედებასა, დიალოგსა თუ მსჯელობაში, ისინი ვითარების, ხასიათის, ქცევის სტიმულების შესაფერად ამქადაგებენ თავიანთ მორალურ-სულიერ თვისებებში. მწერალი მიმართავს ხასიათის როგორც განვითარების, ისე გახსნის ზერხს, მთელი რაი, მინის მინძილზე ჩვენს თვალწინ იწრთობიან და ყალიბდებიან: მოწინავე იდეის ერთგული გმირები (კომკავშირლები კრისტინა, ელუ), მემობოხე სულის, პიროვნების ღირსებისა და თავისუფლებისათვის გაუტეხელ მებრძოლებად, მამაც პარტიოტებად აქედნენ თავიანთ თავს ქართული პარტიზანები: ვანო ბეროშვილი, გერამ გამრჯელი, არჩილ რჩეულიშვილი, ნიკო სავანელი, სანდრო ანანიაშვილი და სხვ. ქართული გლეხების სიბრძნეს, კეთილშობილებას, გულწრფელებს და, ამავე დროს, ბოროტებისადმი შეურთიკვებლობას განსახიერებს მეომარი საბა თურმანი. მაგრამ ყველგან და ყოველთვის არსებობენ მანეთერი ადამიანები, ომი კი უღმრთველი სისასტიკით ამიშველებს პიროვნების მანეთერებას. თომა მაჰალაძე უშიშარი, სამშობლოს ერთგული პარტიზანი, მაგრამ ეროტიკული თავაშეხებლობით ჩრდილს აყენებს თავის რაზმს. ბაქია, ინტრიგანი, თვალთმაქცი, კარაიერისტი და ცოტა მისულელი ბაბანა თუბთუბაძე ბეჭეტურ უხერხულ მდგომარეობასა და საფრთხეში აგდებს თანამემამულეებს. მორალურ-პოლიტიკურად და სწავლულად სანაყარს, გუგუტიძესა და კაკაბაძეს მხოლოდ ზურგი შეუქცევიათ სამშობლოსათვის. აღკალანდაც განსაკუთრებით ეხერხება წერტილბურჯის, მოგილოსოფოსო-პოპოლიტიკაიო მუშანის ხასიათის გამოკვეთა, მისი უბადრუკი მორალის მხილება. ასეთი იყო გლეხელი „პიასტის ნამუხლარში“, ასეთები არიან მსიე ბლანში, ლანუაზი, მადამ მადლენი ახალ რომანში, ავტორმა არამყველებრივი სიმპათიით დაგვიხატა ესპანეთის სამოქალაქო ომის მონაწილე კომუნისტები (ანტონიო, არტურო, ფერნანდო, სტასკი) და საერთოდ დიდი ადგილი დაუთმო ესპანეთის მშრომელთა ანტიფაშისტური ბრძოლის ასახვას, მოწინაშეას იწვევს ესპანელი ქალიშვილის კრისტინას სიხე, მისი ფსიქოლოგიური პორტრეტი, სულიერი სიწმინდე. ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს კრისტინასა და ფრანსუას, კომისრისა და უბრალო ფრანგი გოგონას ივეტას სიუჟარულის დრამა, რომელიც, ერთი მხრივ, ომისა და სოციალური სინამდვილის, მეორე მხრივ, ხასიათთა კოლიზიის საფუძველზე ვითარდება. ღრმა დრამატიზმიოთა გამსჭვალული პუეილიში დაჭირა ქართული პარტიზანების დაწევის, ვანო ბეროშვილის მოწვევების, კრისტინას გატაცების, ვერასიმე იგნაციის დაწყის ეპიზოდები, თუმცა ამ უკანასკნელ სურათში ავტორი თავს ვერ აღწევს გაჭიანურებულ თეიონალიზს და ტრაგიკში ვახვიდებულ იანს.

მრავალპლანოვანი რომანი, რომელიც თითქმის მთელი მამინდელი ევროპის საზოგადოებრივ სინამდვილეს ასახავს, ლოგიკური კომპოზიციისა და ერთიანი სიუჟეტური ხაზის წყალობით, ზუსტი თანმიმდევრობით ვითარდება და დეტალები (ორიოდე გამოჩენის გარდა) კარგად არის შეხამებული მთლიან ამბავთან. ნაწარმოების შინაარსი, ავტორის ზედისა და განცდის ხასიათი ორგანულად ვერ იგუებს მალაფარდოვან გამოთქმებს, სტილისტურ საწყალებს, თეატრალიზმს, პათეტიკასა და მრავალსიტყვაობას. მწერლის მღელვარება და მრისხანება გადმოცემულია არა ეგზოტიკურ-პათეტიკური ლექსიკითა და საგანგებოდ ამაღლებულ ტონით, არამედ უბრალო, საქმიანი თხრობის საფუძველზე შესავფერი სიტუაციის შემზადებითა და მრავალმხრივი ჩაღრმავებით. წარსული ნაღვლიან სიხარულს იწვევს, — ნაოქამია რომანში, მოგონებებს, თუ ისინი გულწრფელია და ასახული სინამდვილე მეთოხველის ოცნებას ეხმონება, თან სდევს მსუბუქი სევდა. „მაკიხარებათან“, უბრეტენოი, თითქოს, განხრახ ვულგრილი, საქმიანი სტილით დაწერილი დოკუმენტური რომანი, საერთო შთაბეჭდილების მიხედვით, სწორად ასეთ ინტიმურ, მსუბუქი სევდით, გაშთავისუფლებული ბრძო-

ლის რომანტიკით შეფერადებულ პოეტურ ისტორიას წარმოადგენს.

მწერალი რევოლუციურ განვითარებაში, მთლიანობაში გეხატავს ომისდროინდელ და ომისშემდგომი პერიოდის საფრანგეთის სინამდვილეს. ომი დამთავრდა. გამარჯვების დღეს, 8 მაისს, მთხრობელი პარიზის მოზეიმე ქუჩებში ხვდება. აქ მას, და მსთან ერთად მეთხველს, სიამაყის გრანობა იპყრობს, რომ ვაუგონარი მასშტაბების ომში, რომელშიც პიტლერის ზოგვა მოსაზრებს უპირებდა ჩვენს სამშობლოს, საბჭოთა ხალხმა, არა თუ დაამარცხა ვერაგი მტერი, არამედ არჩხელი ავტორიტეტი მოიხოვია მთელ მსოფლიოში, ხალხთა საყოველთაო ნდობა და სიყვარული დაიშახურა. ავტორი ნათლად გვაგვრანობინებს მოზეიმე ხალხის იმედებსა და ოცნებას. მაგრამ მომდევნო თავებში მეთხველი რწმუნდება, რომ პიტლერელთა დამარცხების შემდეგაც ხალხის ბრძოლა არ წყდება, მკაფიოდ იგრანობა მისი გავრცელების აუცილებლობა, მიზეზები და პერსპექტივები. ოკუპანტებთან სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილში გამოწრთობილი ფრანგი ხალხის საუკეთესო შეილები — კომუნისტები ანყო, გრანინე, ედუ, ანტონიო ახალ, თავისებურ პირობებში განაგრანობენ თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მოღვაწეობას, კლასობრივი მტრის მი-

მართ ამ შეუბრუნებლობაში თვალნათლივ ვლინდება კაპობრიობის, მშრომელთა მომკვლეო ბედნიერების რწმენა, რაც საერთო საბჭოთა-პიტლერელ გლერას აძლევს ნაწარმოებს.

ანყო, გრანინე, ედუ, ანტონიო აქტიურ პარტიულ მუშაობას ახალბენ, ცხარე საარჩევნო ბრძოლის ორომტრიალიში ებმებიან. არტურო და კრისტიანა ფრანკოს მონობაში ვათანგულდ მშობლიური ესპანეთის ვასათავისუფლებლად მიეშურებიან. გამარჯვებულ საბჭოთა პარტიზანები სამშობლოში ბრუნდებიან, მშვიდობიან შრომასა და სწავლაზე ოცნებობენ. აქ ავტორს უნდა ეუსაუვედროთ, რომ ამ საერთოდ სათელ ფერტიზმს დისონანსი შეაქვს ივეტისთან მოულოდნელი გამოთხოვების ფინალურ სცენას.

ალ. კალანდაის „მკვიზრებთან“, რომელშიც, ისევე როგორც მისმა აღრინდელმა წიგნებმა, დელი სამამლო ომის ახალი საინტერესო ფერტილი გაღვაწიშალა და მსოფლიო ისტორიულ მოვლენებში ქართული აქტიური მონაწილეობის იშვიათი ამბები მოგვითხრო, როგორც თავისი შეგვცნებით და იდეურ-აღმშრდლებლობით მნიშვნელობით, ისე მხატვრული ღირსებით, საპატიო ადგილს იკავებს ამ თემაზე არსებულ ლიტერატურაში.

ელიზბარ მაისურაძე

ნაშრომი რომის ისტორიის პრინციპატის ხანის შესახებ

ძვ. წ. II საუკუნის უკანასკნელი შესამედინდან მოკოლებული რომის საზოგადოება ღრმა კრიზისს განიცდიდა. მონობის ფართოდ გავრცელებამ, ზშირმა საყარეო ომებმა ვაიოიწვიეს თავისთფალი მწარმოებლებს ფართო ფერებს გადატაცება. ხდებოდა მიწის საკუთრების კონცენტრაცია მონური შრომის საფუძველზე. შექმნილ ისტორიულ ვითარებაში ვაღატაკებულ მწარმოებლებს ესაზობოდათ შესაძლებლობა მსხვილ მწარმოებში ჩაბმისა, მათი ნაწილი ლემპნარილტარებდა იქცა. ისინი რომსა და იტალიის სხვა ქალაქებში ცხოვრობდნენ ძირაფადად სახელმწიფოსა და მდიდარი კერძო პირების ქველმოქმედების ზარცზე, ნაწილმა კი სხვა გზას მიმართა: დაიწყო ბრძოლა მსხვილი მონათმვლოებლებისა და მიწათმფლობელების წინააღმდეგ საკუთრების ხელახალი განაწილებისათვის. ეს ის მთავარი მატერიალური სტიმული იყო, რასაც სამოქალაქო ომების ღრთს მოპარობაში მოკავდა ხალხის ფართო მასები.

სოციალური ვითარების ასეთი ვართულეზა აისახა პოლიტიკურ წყობილებაშიც: სახელმწი-

ფო ორგანოები, რომლებიც საკმარისი იყო რომის ისტორიის უწინდელი პერიოდისათვის, ახლა ეუვეტერი აღარ აღმოჩნდა. სახალხო კრება, სენატი, მავისტრატები, აგრეთვე სახალხო ლაშქარი ვეღარ ახდენდნენ ახლო, ვართულეზული სოციალ-პოლიტიკური სინტეზის ნორმალურ ფუნქციონირებას. მით უმეტეს, რომ რომმა მრავალი ხალხი დაიპყრო, რომელთა მორჩილებაში მოყვანაც ახალ პრაბლემებს აყენებდა სახელმწიფოს წინაშე.

აღნიშნულმა მომენტებმა საფუძველი ჩაუყარა რომის რესპუბლიკის დაღუპვასა და მის მავეგო იმპერიის წარმოქმნას. სწორედ ამ სოციალურ-პოლიტიკურ ფონზე ვაიშალა დიდი ისტორიული პიროვნებების მოღვაწეობა.

თუმცა რომის საზოგადოების ისტორიის ამ პერიოდის შესწავლა აქტუალურია ისტორიო-გრაფიისათვის, დღემდე ქართულ ენაზე შიანიც ბრა გვემონდა ნაშრომი, სადაც ვაღმოკემული იქნებოდა იმპერიის წარმოქმნა და მისი ვანვითარების შემდეგი ევოლუცია. სწორედ აღნიშნული ხარვეზის შევსების ცდაა ამ კოტა ხნის წინათ ვაოკემული ლევან სანიკიძის წიგნი „რომის იმპერია“. (გერჯერობით ვაოკემულია

ლევან სანიკიძე, „რომის იმპერია“, თბუ, 1969.

ნაკვეთი, რომელიც პრინციპატს ეხება, მეორე ნაკვეთი დომინანტს მიეძღვნება).

ავტორი თბრობას იუღოს კეისრის სიკვდილიდან (გვ. წ. 44 წელი) იწყებს. რესპუბლიკალებს ეგონათ დიქტატორის მკვლელობის აქტით ააღორაინებდნენ რესპუბლიკას, მაგრამ როგორც სამართლიანად აღნიშნავს ლ. სანიკიძე, „მკვლელობის მეორე დღესვე ნათელი გახდა, რომ ბრეტუსისა და კასიუსის დონციპეტორ მახვილთა ჩხვლეტის მიცვალებულის პეტრეტით აღდგენა არ შეძლებიათ: მათი ასთაყვანო რესპუბლიკა“ უკვე დიდი ხნის მკვდარი იყო“ (გვ. 5).

რესპუბლიკა, როგორც სახელმწიფო ფორმა, ეიმეორება, დროშობული იყო. ისტორიული აუცილებლობა იყო მშართელობის მონარქიული ფორმა. ამიტომ საეკებით კანონმდებრად, ისტორიული პიროვნებები, რომლებიც შეუცნობლად მოქმედებდნენ როგორც მონარქები, იმარჯვებდნენ. ამდენად, ნათელია, თუ რატომ გაიმარჯვეს ანტონიუსმა და ოქტავიანემ რესპუბლიკურ იპოზიციანზე, ხოლო, ის, თუ რატომ გაიმარჯვა ოქტავიანემ ანტონიუსზე. შეიძლება ახსნილი იქნას პარველის უპირატესი პიროვნული თვისებებით.

ოქტავიანეს დიდი პოლიტიკური ნიჭი გამოაჩინდა იმაშიც, რომ არ მიითქმა დიქტატორის ან შეფის ტიტული — დიდი კეისრის მკვლელობა ვაკეული აღმოჩნდა მისთვის. ამით მან ანჯარიში გაუწია საზოგადოების ვარკვეულ ფენებში რესპუბლიკურ ტრადიციების არსებობას. მაგრამ ოქტავიანეს ხელისუფლება თავის უფლებამოსალებით არ ჩამოუვარდებოდა დიქტატორულ ან სამეფო ხელისუფლებას Imperium — უმაღლესი სამხედრო ძალაუფლება, ტრიბუნის, კონსულის, უმაღლესი ქირების ძალაუფლება, ცენზორის უფლებები ვეღაფერა ეს თავმოყრბლი იქნა ერთი კაცის ხელში. არსებობას განაგრძობდა სენატუსი — ფორმალურად სახელმწიფოს უმაღლესი ორგანო, სადაც მიიღებოდა კანონები. რა თქმა უნდა, კანონპროექტის წამოყენება და კანონად დამტკიცება იმპერატორზე იყო დამოკიდებული. სახალხო კრებები, მართალია, კიდევ იკრებებოდა, მაგრამ აქ მხოლოდ მაგისტრატებს ირჩევდნენ, წაიკ, აგრეთვე, ოქტავიანეს რეკომენდაციით, შენარჩუნებული იქნა სხვადასხვა სახის მაგისტრატურებიც.

ოქტავიანეს ასეთი დიდი ძალაუფლება ეწყარებოდა არმისა, რომლის შემადგენლობა ამ დროისათვის 250 ათასამდე კაცს აღწევდა. ეს უზარმაზარი რეპრესიული აპარატი უშუალოდ მიმართული იყო პროვინციების დასაზარავად. იტალიაში კი მოქალაქეთა ორგანიზაციის პარალელურად მოქმედებდა დიწყო პრეტორიანელთა გვარდიამ (10 000-მდე კაცი) ვალტაკებული თავისუფლების სპარტანობად.

ავგუსტუს პრინციპატის სახით საქმე გვაქვს

თავისებურ სახელმწიფო ფორმასთან, რომელიც საზოგადოების სპეციფიკური სტრუქტურული ლიტერური მდგომარეობით იყო წარმოქმნილი. პროვინციების ჩაგვრა, თვით იტალიის თავისუფალი მოქალაქეების შეგნით მკვთარი ღაპირისპირებულება საზოგადოებრივად გამოყოფდა სახელმწიფო ხელისუფლებას დიდი რეპრესიული აპარატით და ბიუროკრატით, შესაბამისად, უზარმაზარი გადასახადებით. რომის თავისუფალი საზოგადოების ფენებს შორის არ იყო ისეთი ძალა, რომელიც პოლიტიკური ძლიერებით აშკარად გამოირჩეოდა და კონტროლს გაუწევდა სახელმწიფო მანქანას. ამდენად უყანასკნელმა შეფარდებით დამოკიდებულება მოახოვა საზოგადოების მიმართ. მოხდა სახელმწიფოს „გაუცხოება“ საზოგადოებისაგან, ანტიკური დემოკრატის გადასვლა თავის დაპირისპირებულობაში, რაც შესანიშნავად ჰქონდა გაგებელი ფრ. ენგელსს.

თუ სახელმწიფოს სათავეში ასე თუ ისე დემოკრატიული პრინციპების მქონე პოლიტიკური მოღვაწე მოქცეულია, რომელიც ანჯარიშს გაუწევდა ხალხსა და სენატის ნებს, მაშინ საზოგადოების ცნობიერი ნაწილი მთელი სიღრმით ვერ აღიქვამდა არსებული სახელმწიფო ფორმის დესპოტიზმს. მაგრამ იმპერატორების — კალიგულას, ნერონის, ღომიციანეს და სხვათა ხელში რომის სახელმწიფოს იმპერიული ფორმა მთელი სიმძინებით ელენდებოდა.

სარეცენზიო წიგნში მოთხრობილია, თუ რა ხშირად ხდებოდა ქონების კონფისკაციები, პიროვნებათა სიკვდილით დასჯა, სენატის აბუჩად აგდება და სხვ. ამ დესპოტიზმსაგან უმაღლესი წოდებებიც კი არ ყოფილან დაზღვეული (სენატორებთა და მხედართა). მათი ბრძოლა (შეთქმულების ფორმით) აღამიანთა ვიწრო წრეს მოიცავდა და მარცხდებოდა ხოლმე. კიდევ მეტი: თვით იმპერატორებიც არ ყოფილან თავისუფალი არსებული სახელმწიფოებრივი ფორმის უვარგისობისაგან და მათი უმრავლესობა სიციცხლეს ბუნებრივი სიკვდილით როდი ამთავრებდა. სამხედრო ლეგიონები ათობით იყო იმპერიის სხვადასხვა ნაწილში. იტალიაშიც, როგორც უკვე ვთქვით, არსებობდა პრეტორიანელთა გვარდია. ისინი იწებდნენ გამოკლებს ოფიციალური იმპერატორების წინააღმდეგ, წამოაყენებდნენ ხოლმე თავიანთ კანდიდატებს და ეს მხოლოდ იმ მიზნით ხდებოდა, რომ ახალ იმპერატორს რაიმე მატერიალურა სარკებელი მიეცა მათთვის. ასე რას სულღა არ იყო სპორთა კაცს დიდი პოლიტიკური ნიჭი ჰქონოდა სახელმწიფოს სათავეში მოსახვედრად.

რასაკვირველია, იმპერატორთა ამ კალეიდონსკობური ცვლადობების ხანაში მოდიოდნენ უღაოდ ნიჭიერი იმპერატორებიც — ვესპასიანე, ტიტუს, ანტონინუსები, ვალიენი, პრობუსი და სხვა, მაგრამ საზოგადოებას ვერც ისინი

შეელოდნენ. რომის საზოგადოებასა და სახელმწიფოს ასეთი აგონია საუკუნეების განმავლობაში ვრძელდებოდა. სარეცენზიო წიგნში თხრობა დიოკლეტიანეს იმპერატორად გახდომამდე გრძელდება (ახ. წ. 284 წელ).

პოლიტიკური ისტორია, მათ შორის იმპერატორთა პორტრეტები, ავტორს კარგად ვაძმოუციო. შკოთხველს კარგი წარმოდგენა რჩება რომის საზოგადოების ევლტერულ ცხოვრებაზე, მით უფრო, რომ წიგნი კარგი ქართულ ენით არის დაწერილი.

კარგს ვერაფერს ვიტყვით სოციალურ-ეკონომიური პრობლემებისადმი მიძღვნილ ნაშრომში. ეს კი დასაძინია, რადგან ისტორიოგრაფიული გამოკვლევა უნდა იწერებოდეს აგრეთვე როგორც სოციოლოგიური, ეკონომიური ხასიათის ნაშრომი, სადაც ძალზე მცირე ადგილი აქვს დამომხილი წარმონაქვას, ფინტაზიას, მაგრამ ძალზე დიდი ანსტრაქტულ აზროვნებას.

აღსანიშნავია, რომ წიგნში უკიდურესად მცირე ადგილი აქვს დამომხილი რომის იმპერიის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებას I-II საუკუნეებში. ამას ეძღვნება პატარა თავი (VI) სულ 11 გვერდი (100-110); სადაც განხილულია წოდებრიობა, მონობა და კოლონატი, სქილანტი ცხოვრება და პრივილეგიები. ეს მამინ, როდესაც ნურონს მთელი 6 გვერდი ეძღვნება (50-55-ის ჩათვლით). ისტორიოგრაფიული აზროვნების დღევანდელ დონეზე ეს გაუმართლებელია თვით სხვადასხვა მიმდინარეობის ბერევაზიული ისტორიული შეცნიერების თვალსაზრისითაც კი. ამასთან, ეს პრობლემა წიგნის დასაწყისშივე უნდა გაშეკებულიყო. მხოლოდ ამის შემდეგ გახდებოდა ვსავგები რომის პოლიტიკური ისტორია.

ავტორს არაფერი აქვს ნათქვამი თვითონ რესპუბლიკის იმპერიით შეცვლის აუცილებლობის სოციალურ-ეკონომიურ საფუძველზე. ბერევაზიული ავტორებისაგან განსხვავებით, რომლებიც 193-284 წლებს კრიზისს რომის სახელმწიფოს დესპოტური ხასიათით, დეპოპულაციით, ფინანსური კრიზისით, არმიის თვითნებობით და სხვ. ხსნიან, ლევან სანიკიძე, აღნიშნულ მოვლენას, ისევე როგორც სხვა საბჭოთა ისტორიკოსები, წარმოებს მონათმფლობელური წესის კრიზისით ხსნიან. მაგრამ შეითხველ არ შეიძლება არ აღვჩინოთ კითხვა: რა იყო თვით წარმოების მონათმფლობელური წესის კრიზისის არსი? მონა არ იყო დანტერესებული წარმოებაში? მაგრამ ახ. წ. I საუკუნეიდან ვრცელდება კოლონატი, ე. ი. ხდებოდა მიწის ნაკვეთების გადაცემა, როგორც თავისუფალი გლეხებისათვის, ისე მონებისათვის შეწყდა მონათა მთავარი წყაროები? მით უკეთესი, მალე უნდა მოხდარიყო მონობის გაქრობა და კოლონატის ფართო გავრცელება. თუ მონური შრომის არაეფექტურობა აშკარად გამოჩნდა და იგი მონათმფლობელებმა დაიანახეს, მაშინ

საზოგადოების რომელი ფენები იყვნენ დანტერესებული მისი შენარჩუნებით? ვატყობი, როცა ასახულებს მონური შრომის ეფექტურობას, კოლუმელს ცნობილ ტრაქტატზე მიუთითებს (იხ. გვ. 104), მაგრამ იგივე კოლუმელს თავგამოდებულ მომხრესა, სახელდობრ, ექსპლოატაციის ამ ფორმისა და, არამე და არამე-კოლონატორისა, წიგნში ლაპარაკია მონათა ფენების გაქვრებაზე. მაგრამ წყაროები არსად შეტყვევებს ამას. რომის საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური პრობლემების ჩვენების დაწვრილებით აღარ შევიწრდებით ბევრ გურჯველობაზე უკანასკნელ წლებში ბევრი უბედურება უარყოფილია ზოგიერთი საბჭოთა მეცნიერის მიერ (ე. შტაერმანი, ს. უბრენკო, ე. კუხიშინი, ა. კოსტინი).

კარგი იქნებოდა, თუ სარეცენზიო წიგნის ავტორი ზოგიერთ დებულებას მაინც გადასინჯავდა აგრეთვე ზოგიერთი დასაუღუთელი ავტორის (ტ. ფრანკი, ა. კონსი, ი. ფოტი და სხვ.) ნაშრომებს საფუძველზე. (ზოგიერთი ამ საკითხის შესახებ დანტერესებულ შეითხველს მიუღუთითებ ჩვენს სტატებზე „ანტიკური სამუაროს დაცემის მიზეზის შესახებ“, მაცენე 1967, №1, „ანტიკური ეკონომიკის ხასიათის საკითხისათვის“, მაცენე 1970, №1 „ანტიკური სახელმწიფოს განვითარების შესახებ“, „საბჭოთა სპორტოლოგი“, 1969 წ. №6).

კარგი იქნებოდა, თუ სარეცენზიო წიგნის ავტორი აღრიანეს შესახებ წერს, მისი ძალაუფლება უპირველეს ყოვლისა, პრივილეგიულ არისტოკრატის ვერდნობოდა (გვ.81), მაშინ, როცა სინამდვილეში პრინციპატისა და, საერთოდ, იმპერიის მთავარი დასაყრდენი არჩია იყო, რაც რასაკვირველია, ავტორისათვის ცნობილია. გე-100 გვერდზე ლ. სანიკიძე წერს: „რომის საზოგადოების ძირითად ძალას იმპერიის ეპოქაში წარმოადგენს პლეზბა. იგი არის მთავარი მომხმარებელი რომში მიმავალი მსოფლიო ეკონომიური დოლოზისა“. სინამდვილეში არც რაოდენობით და, მით უმეტეს, არც წარმოებაში მისი როლით, პლეზბი არ ყოფილა საზოგადოებას ძირითადი ძალა. რაც შეეხება მის როლს მოხმარებაში, ე. ი. პრივილეგიების ჩაგვრაში, ეს ნიშანი ნაკლებად გვეჩმარება ამ საზოგადოებრივი ფენის ასეთ დასაბათილებაში. თავისუფალი საზოგადოება არ შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც მხოლოდ მონათმფლობელებისა და პლეზბის შემცველი: მათ შორის იყო დამოუკიდებელი მწარმოებელთა ფენა, რომელიც მონების არ შეეძლო ბილომდე მოესპო.

მარჯეს ავტელიუსის ფილოსოფიურ შეხედულებათა დასაბათიებისას ავტორი შენიშნავს: „რასაკვირველია, ასეთი ფილოსოფია, მჭადავებული რუტინისა, უმოძრაობისა, ამოკებისა, უმედობისა და „ნარეველობისა“ საყვებით უცხოდ უნდა დარჩენილიყო პრაქტიკული ცხო-

ერებისათვის“ (გვ 90). ჩვენი აზრით, ერთ-ერთი დიდი სტოკოსის შეხედულებების ასეთი დახასიათება არ არის ზუსტი. საკითხებს არ უნდა მივუდგეთ თანამედროვე პოზიციებიდან. იმდროინდელ სიტუაციაში რევოლუციურ მოძღვრებას არ შეეძლო ვარსება, მით უფრო ითქმის ეს პრაქტიკული ცხოვრებათა ფილოსოფი-აზე: იგი ისე დაბლა იდგა, რომ იდეოლოგიის უმაღლესი ფორმა — ფილოსოფია მისთვის ზედმეტი იყო. რაც შეეხება ინტელექტუალურ ელტას, იგი საზოგადოების ცხოვრებაზე ვერ ახდენდა გავლენას. ამ მკითარებლობიანი ელიტისათვის აღნიშნული ფილოსოფიური მოძღვრება საესებით „გონიერული“ იყო.

გვხვდება ზოგი სხვა სახის უზუსტობაც. წინასიტყვაობაში ავტორი რომის იმპერიის შე-სახებ წერს: „იგი ამთავრებს უმაღლესი ცივი-ლიზაციის ხანას“. ჩვენ არა გვგონია ლ. სანი-კიძე ამ ცივილიზაციაზე ისეთი დიდი წარმო-დგენისა იყოს, როგორცაც იყენებ ე. მაიერი, რ. პოლმანი. მ. რისტოვეცი, ა. ტოინბი და სხვები. შეითხველი სარეცენზიო წიგნიდან კარ-ვად ხედავს, თუ რა „უმაღლესი ცივილიზაცია“ წარმოადგენდა რომის იმპერია, თუ ამ გამოთქმაში იგულისხმება (და ეს ალბათ ასეა) რომის საზოგადოების უმაღლესობა კაცობრიობის დაბალ ფაზებთან შედარებით, მაშინ საკმაოდ არაფერია, ოღონდ საჭირო იყო გამოთქმის დაზუსტება.

მე-19 გვერდზე ლ. სანიკიძე წერს, რომ ახ. წ. 9 წელს გერმანელებთან ბრძოლაში რომაე-ლთაგან 50 000 კაცი განადგურდა. სინამდვილე-ში კი ეს ციფრი 15 000-ს უდრიდა. რომის უღ-

დესი ფილოსოფოსის — სენეკას მოღვაწეობას რომ ახასიათებს, უკანასკნელის ფილოსოფიურ შეხედულებებს ავტორი იქ კი არ განმარტავს, სადაც გადმოცემულია ფილოსოფია, არამედ იმ ქვეთავში, სადაც განხილულია ლიტერატურა. დასასრულს, ორიოდე სიტყვა ცალკეული სი-ტყუების ხმაურებაზე.

სიტყვა „პროტესტანტული“ (გვ. 14, 90, 102) მაგიერ ჩვენი აზრით, უკეთესი იქნებოდა „საპროტესტო“ ან „პროტესტული“. მე-15 გვერდზე ნახმარი „კანდიდატურის“ მაგიერ უნდა იყოს „კანდიდატი“, ხოლო 90-ე გვერდზე „კრიტიკითმის“ მაგიერ აჯობებდა „კრედო“. საეჭვოდ მიგვაჩნია „მომართვეურნობის“ ხმაურების მიზან-შეწონილობა „სოფლის მეურნეობის“ მაგიერ. უზერხულია გამოთქმები: „ფუციონის ტბის მელიორაცია“ (გვ. 48), „დაპყრობილი მონღო-ლი შრომა“ (103 გვ.) „საიარებო ეკონომიკა“ (104 გვ.), „ეთიკური ფილოსოფია“ (113 გვ.), „ფანტასმაგონიური“ (გვ. 155).

უფიჭრობით, ლ. სანიკიძის წიგნის გამოვლა ქართულ ენაზე, რომელიც ასე ღირბია ან-ტიკური ისტორიის პრობლემატიკისადმი მიძღვნილი ლიტერატურით, მისასაღმებელია. ნა-შრომი უეჭველად მოიგებდა, რომ მასში მეტი ადგილი ჰქონოდა დათმობილი სოციალ-ეკონო-მიური საკითხების გაშუქებას, რადგან ამ პრო-ბლემების გაახრება იძლევა მთელი ისტორიუ-ლი პროცესის გაგების საფუძველს და, ამასთანავე წიგნი, უპირველესად, განყოფილია სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის.

გუგამ უორანანაშვილი

მხოლოდ სურვილი რომ კმაროდეს...

პირველად ქართველმა ხალხმა იმერკა მზის სადიდებელი შიშინი — „ლილეო“. ქართველი ხალხი შესთხოვდა მზის სითბო გამოუმეტებან-ნა შემობლეთრი ზერებისა და იალაღებისათვის. მამაკ/ცნობისმოყვარე ადამიანებს ეწადათ ცა-მდე ამაღლებულიყვნენ. ისინი ელაციცებოდ-ნენ მზეს, მნათობის შეწყვდომას ლამობდნენ. მუცლმავარი მონადირენი მიუვალ ჭიუხებსა და წაყარნებზე გადიოდნენ, თვალშეუვლები სი-მალეები იტაცებდათ. ამ დროს ყველაფერი ევიწყებოდათ, სიმაღლეთა დამორჩილების ე-ნი ისე გამჭდარიყო მათს სხეულში.

„ლილეო“ დღესაც გრძელდება. მზისცენ-ლტოლვა არ შენელებულა. მთელი გასაქანი

სწორედ ზეენს დროში მიეცა სიმაღლეთა და-მორჩილებას, მწვერვალთა დაპყრობას.

უცნაურია მთა. ვერავინ შეიკნო იგი ბო-ლომდე, ცნობა უამრავი საიდუმლო შემოუნა-ხავს სიბოისმოყვარეთათვის, რთულია მისი ბუნება და კანონები. კიდევ უფრო ძნელია მთებთან ჭიდილი და, მეტადრე მთებზე, მწვერ-ვალთა დაპყრობებზე წერა:

სპორტული ფერწალისტები ამბობენ, თუ ნა-მდვილე გულმეტკეთარი ხარ, არ არის აუცა-ლებელი ცნობილი ფეხბურთელი იყო, რომ მე-რე რომელიმე მატჩის მსვლელობაზე ისაუბ-როო. მეტეალებად ეს გამოითქვაში ეხება სპორტის სხვა სახეობებსაც. ოღონდ არც ერთ შემთხვევაში — მთამსვლელობას, და ვისაც ოდ-ნავ მაინც მოეებება პროფესიული სინდისი, პასუხისმგებლობის გრწნობა, ერთდება მთათა დამპყრობებზე, „ციურ ადამიანებზე“ წერას.

ამათ დავითიშვილი „მთების ღეგენდა“, საბ-კოთა საქართველო, 1968.

და შესაძლოა სწორედ ეს არის მიზეზი და ალბათ ისიც, რომ თვითონ მოამსვლელები სიტყვატექნიკა, დარბაზული და დრეჩი ხაზობა, რომ საქართველოში — საბჭოთა აბინინაზიის სამშობლოში ასეთი ხელშეწყობა სიღარიბეა მოამსვლელური ლიტერატურისა. თუ არის ვიტყვით ერთი-ორ წიგნსა და რამდენიმე საგანზეთო ნაკვეთზე, ამ თემაზე შექმნილი ნაწარმოებები თითქმის არც მოკვეთილებია...

სწორედ ამ „შემშლელის“ დროს თითქმის სულზე მოუსწრო მოამსვლელობის გულშემოტყვიანთ (რომელთა რიცხვიც ამ ბოლო წლებში ერთიორად გაიზარდა) ასმათ დავითიშვილის „მოთების ლეგენდა“.

თავისთავად ფაქტი ამ წიგნის ბაზარზე გამოცდისა, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, რა თქმა უნდა, მისასაღებელია, მაგრამ ბაზარზე წიგნის გამოსვლა და ის, თუ რა მხატვრულ-შემქმნებითი ღირებულება აქვს ამ წიგნს, რამდენად საინტერესოდ არის იგი დაწერილი, სულ სხვადასხვა საქმეა.

მანაც როგორ წარმოგვიდგინა ასმათ დავითიშვილმა თავისი ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი, რამდენად ჩასწვდა მის სულიერ სამყაროს? რა გვითხრა ახალი მის შესახებ, რაც ჩვენ არ ვიცოდით დღემდე? და ბოლოს, როგორი იყო მისი პოზიცია თავისი გმირების შესახებაში?

სწორედ ამ თვალსაზრისით გვიანდა ვადავებდით „მოთების ლეგენდას“ და ორიოდე სიტყვა ეტყვიათ ამ ნაწარმოების ღირსება-ნაკლოვანების შესახებ.

წიგნი ეძღვნება ჩვენი დროის გამოჩენილი მოამსვლელის, „ქლდის ვეფხვად“ ცნობილი ადამიანის — მიხეილ ხერგიანის ცხოვრებას. ბავშვობიდან თითქმის საცოცხლის უქანასწელ წლებამდე, ყოველ შემთხვევაში წიგნს დიდო მასშტაბებში პრეტენზია აქვს, როგორც შინაარსობრივი, ისე მოცულობის თვალსაზრისითაც (წიგნის მოცულობა 7 სავეტროო თაბახამდეა).

ნაწარმოები იწყება 1964 წლის ავგუსტში ქართული მოამსვლელის მიერ ევრეთწოდებულ „უშის სარკის“ სარეკორდო დამორჩალების ეპიზოდით (ამ ასკლის შესახებ თბრობა ერთგვარ ფიქტივობივად ვასდევს ნაწარმოებს თავიდან ბოლომდე). წიგნის „მთავარ გმირს“ მიხეილ ხერგიანსა და მის ამხანაგებს ლეგენდის ექვდე ვეფხვივით ბანაჟი. მიხეილი განმარტობებულა და ღრმა ფიქრებს მოუცავს. იგი, მოთების სიღამაზით დატყვევებული „ამაოდ ეთებდა ამ ზღაბრული მიდამოსა და ვარსკვლავებით მოუხდელი ცის შეერთების ადგილს. ერთი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ კი შეუძღებოდა ვოლგოთას, რომელიც ბავშვობაში, ყრბობის და ჭაბუკობის ოცნებას აუსრულებდა... თუშეა განა ეს ოცნება იყო? ეს მისი სი-

ცოცხლის არსი იყო, ეს მთელი ცხოვრება იყო...“

არ ვიცი, ვათვითცნობიერებულა შეიძლებული რა გუნებაზე დადგება ამ სტრუქტურების წარმხებისას. შესაძლოა გვერდზე ვადავდო წიგნი და მეორედ აღარც მიბრუნებოდა მას, მაგრამ „მოთების ლეგენდა“ ზომ მიხეილ ხერგიანზეა დაწერილი, კაცურ კაცზე, მართლაც ლეგენდად ქცეულ ადამიანზე. ამიტომ რჩება ერთადერთი გზა: წამეითხველმა უნდა მოიკრიბოს ძალა, დიდი მოთმინებით ვაადვენოს თვალი სტრუქტურებს (მართლაცდა ვინ უწყის, იქნებ მოპაეულში ყველაფერი გამოსწორდეს!).

ამყრად თავი ვავანებოთ ვარულებს და დაწყებული საუბარი ვავაძტვლოთ. მამ ასე: საინტერესოა, როგორ უნდა ვათვოს მკითხველმა, რომ „ვოლგოთა ბავშვობისდროინდელ ოცნებებს ასრულებდა“ თურმე „ოცნება კი არ იყო“, არამედ „მისი სიცოცხლის არსი იყო, ეს მთელი მისი ცხოვრება იყო...“ წუთით დავიქმრდეთ იმაზე, მართლა კია შესაძლებელია უშმა ვინმესათვის „მთელი ცხოვრება იყოს?“, „სიცოცხლის არსი იყოს?“.

ცნობილია, რომ მიხეილი 1964 წლამდე და შემდეგვეც საბჭოთა კავშირისა თუ საზღვარგარეთის მრავალ რთულ მწვერვალზე ავიდა. რამდენად მართებული იქნებოდა ყველა მისი ახალი ასკლის წინ გვეშვობებინა „გამარჯვების პიკი მისი ცხოვრება იყო“, „ნათიანი მისი ცხოვრება იყო“. „ლენინის პიკი მისი ცხოვრება იყო“... ამასაც თავი ვავანებოთ, შეიძლება საერთოდ ადამიანისათვის, თუნდაც მოთების ისეთი მოტრფილვე კაცისათვის, როგორც მიხეილი იყო, უშმა მთელს ცხოვრებას წარმოადვენდეს? ანდა (თუ ავტორი ასე ფიქრობდა) რა დიდ ღირსებად უნდა ჩავთვოლოს ადამის ძეს მსგავსი ფანტაზიმი? მიხეილი ზომ, როგორც მას ყველა იცნობდა, (ავტორის შეხედულებათი საწინააღმდეგოდ) უპირველესად ჩვეულებრივი, მიწიერი ადამიანი იყო.

მე-მე, გვერდზე მწერალი ასეთ გულისამრუცებულ ამბავს გვაძენობს: „როგორ სძინავს, ჩემი პატარა ჩხუბლიანი დროა უკვე ღმერთო, წავა ახლა, რა ელის, როდეს ენახავ, დროა თორეც დაავიანდებდა. არა, ცოტა კიდევ ეპიონს. ჩემი პატარა ჩხუბლიანი!“

ნეტავ რას ხედავს სიზმარში რა უნდა ნახოს მოთების მეტი. მოთები ელანდება“.

შესაძლოა დედის მხრივ გამართლებული იყოს მსგავსი მელანქოლიური ფიქრები შეიძლება, მაგრამ ავტორი ზომ მამს ათქმევიანებს ამ სიტყვებს. ცნობილ მოამსვლელსა და მონადირეს, მრავალგანსაცდელვადატანელ ადამიან-ავტორს ერთ სიბრტყეზე ჰყავს წარმოსახული თავისი გმირები, იგი თითქმის ვეღარ განასხვავებს მათ სქესისა და ხასიათების მიხედვით,

ვევლანი ერთნაირად წუწუნებენ, ერთნაირად ოპარეენ და იღვრებიან ცრემლად. მაგრამ მთავარი მიზეზი აქ ის არის, რომ ჭერ კიდევ დიდლამაში მიხვილმა თურმე ძილშიაც „რა უნდა ნახოს მთების მტერი“.

22-ე გვერდზე მამა ბესარიონი გაბრაზებულ- ფიქრობს: „ხერგვიანს გზა დაებნა... ოჰ... მერე რა, რომ რვა წლისაა. არა, ხერგვიანს გზა არ უნდა დაებნეს“.

„ახლევ უნდა ვადაინვიოს ტრაბახს. როდის იყო ხერგვიანები ტრაბახობდნენ?...“ ევის დაემსგავსე ასეთი შშიშარა! არ ვიცი, არ ვიცი! ჩემი შვილი და ასეთი შშიშარა...“ (71 გვ.) — შენი ქვეყანი შეილი ახლა ვადაინია? ახლა დაიღუპება, როდესაც მთამსვლელობაში ტოლი არა ჰყავს? — ამბობს მამული“ (138 გვ.).

ამ მავალითების მოყვანით იმის თქმა გვიწევს, რომ წიგნში შეიმჩნევა ერთგვარი ტენდენცია. ავტორმა ცალმხრივად, განუყვებულად წარმოგვიდგინოს თავისი გმირი, მოსწყვიტოს იგი მიწასა და ვარემო სამყაროს.

წიგნის მეორე გვერდზე მიხეილი კვლავ უშბას მისხერგბია, ამ წუთში მან ირწმუნა, რომ „სულ რამდენიმე წუთში ექვსი ვაყვავილეგნად უნდა გქველიყო. მათი გმირობის ამბავი (ეს მიხეილის ფიქრებია შ. ს.), თაობიდან თაობაში უნდა გადასულიყო და ნამდვილი ვაყვავილის სახოში გამხდარიყო“.

რა თქმა უნდა, არაფერი სახარბილოა ღია კარის მტრევა — დავა იმაზე, რაზეც ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. სამწუხაროდ, ამ წიგნის გაცნობა თავიდანვე უკვე ნაშნავდა და „კარის დასაღწად“ შემზადდებს. მართლაც და, განა ვეატრება ვიმეც ასე უპასუხისმგებლად წერა არაყეთილშობურნეზეც კი, არა თუ საყვარელ ადამიანზე? სხვა საქმეა ფაქტებისა და დოკუმენტების, ფაქტოგრაფიკა, მაგრამ შეიძლება კონკრეტული პიროვნების, წარმოადგობასათვის კარგად ცნობილი ადამიანის ხაზათისა და შინაგანი ბუნების შეტარალება, უკუღმა ჩვენება? ეს ხომ ყველასი და ყველაფრის აბურჩად აგდებაა და სხვა არაფერი. ამა ერთი წუთით დავეფიქრდეთ, როგორ წარმოგვიადგინა დავითიშვილმა მთელი რაინდის საზე ამკრად? მიხეილი გუდალაბრებინებელი ფიქრობს — სუფ. რამდენიმე წუთში ლევენდალ უნდა ვიქცეოთ, თაობიდან თაობაში უნდა გადავიდეთო. ნამდვილი ვაყვავილის სახოში ვავხდეთო... ეს და მსგავსი ქვენა ფიქრობს ხომ მისი პიროვნების სურბატყყოფა და არა ვაყვავილი, თავმდაბლობი ბუნების ჩვენება და განდიდება? (გაპოლის რომ მიხეილს მხოლოდდა პატივმოყვარეობის გრძნობა ამოძრავებდა!) გავყუეთ ამ სტრაქონების აზრობრივ მხარეს. მათ ხომ ჭერ კიდევ მთელი დღის საგალო უღვეთ წინ უშბის სარკის მისადგომამდე? როგორც თავად ვიკავიით მოწმე. მათ მხოლოდ მეორე დღით დაიწყეს კვლის დაპყრობა. „სარკესთან“ კილი-

ლი კი როგორც ცნობილია 7 დღეს ვაგრძელდა. ე. ი. ამ მომენტიდან, როცა იყრქვენი უღვეთ უშბის წვერიდან ვაშვებულ შეშუნებს თან მიჰქონდა მათი უკვლევა, მათი გმირობა. ამ გამარჯვებამდე კი მათ 10 080 წუთი მიიწე აშორებდით, და არამდე და არამდე — „სულ რამდენიმე წუთი“, როგორც ეს ასმათ დავითიშვილს ჰგონია.

სამწუხაროდ, წიგნის ყოველი გვერდი მოჩუქრთმებულია დამახინჯებული „ერთობრივი სამკავლელობის მტერი“ არაფერი საყვარელი აზროვნება, შტამპურობა იქაც კი, სადაც ეს საშისრებება აცილებული უნდა ყოფილიყო თავიდან.

„გივი წერელიანი — მაღალი, გამხდარი ადამიანი, რომლისთვისაც მისწავლებლობისა და მთამსვლელობის მტერი არაფერი არსებობს“ — გვაცნობს ასმათ დავითიშვილი. (საინტერესოა, რას იტყვის ამაზე თვითონ გივი წერელიანი — ნუთუ მართლა არც ოჯახი აქვს, არც მეგობარ-ნათესავს და მტერ-მოყვარე ჰყავს?).

„ჭრმბერი ტანდაბალი, ჩასკენილი ვაყვავილა...“ უმცროსი მიხეილი მაღალი. მოქნილი, ლამაზი ვაყვავილა. „ჭოკია გუგავა ჩასკენილი მამაკაცია...“ და ასე შემდეგ...

ან განა შეიძლება დოკუმენტური მოთხრობაში ფანტასტიკის ხერხებითა და მეთოდებით ეინტელმდევანლოთ? — „ჩხუმილიანი ფრთხილად ადგამდა ნაბიჯებს. უინარი, დაქანება, მთები, მისალოდნელი სიძნელენი შვეული კლდის დაპურობისას — ყველაფერი ეს მისი სტიქია იყო“ — გვაცნობს ავტორი. ადარაფერი ვიტყვოდით, თეთრი რომ არ ვესოფილიყავით მთამსვლელობა მიერ ამ მონაკვეთის (ლევკონის ქედდან უშბის სარკის მისადგომამდე) დამლევის თვითმიხედვლი. არსად ამ გზაზე მთები, შვეული კლდეები არ გადააღობებიათ მათ. და მეორე შენიშვნა: ვინც ოდნე მინიცი იცნობს მთებსა და მყინვარებს, არამდე და არამდე ლაპის ბირღბუნდში არ ვაუღვება სიკვდილობუნელ მყინვართა გზას ქვათაცვენის შიშით, რომელიც თურმე მზის ამოსვლის წამსაა მისალოდნელი... ისე კი, მისიმაღლებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ კარგ ამინდშიც კი მთაში, და მეტადრე მაღალ მყინვარებში, თოვლის მსაა 4-ლიან გვიან იწყებს ლობას, ქვათაცვენა კი სწორედ შუადღის შემდეგ უფროა მისალოდნელი, და, შესამე: ამ მონაკვეთზე მთამსვლელებს არც კლდის პალოს გამოუენება დასპირეებით, როგორც ამას მე-11 გვერდზე გვაცნობს ავტორი.

როგორც უკვე დავინახეთ, დავითიშვილის მსჯელობა ელემენტარულ ქემარბიტებს მოკლებულია და სწორედ მყინვარებებით დაზარული და უიმედოა. აი, სადამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანი უცოდინარობამ და ყალბმა

თვითგატაცებამ — წერო იმანე, რაც არ გინახავს და არ იცო.

მალე უშმის დაპყრობის ეპიზოდი წყდება. ნაწარმოების ახალ თავში იწყება მიხეილის ბავშვობა, ვეცნობთ მიხეილის მშობლებს, დებს, ნათესავებს... მიხეილის მამა — ბესარიონი გაბრაზებულია — თურმე პატარა მიხეილი ფუნატივშივე ასულა და გზა დაბნევიდა. იგი ვიღაცებს ვაღურაზენიათ. ფუნატივები ერთ-ერთი მწიფლობიანი ზევია შესტაში. ამის წამოთხველს კი ალბათ გაეცნება კიდევ — აქ გზის დაბნევაზე ლაპარაკი ხომ საერთოდ არ შეიძლება. ბესარიონი საოცრად შეუწუხებელია ბუნებით. მარტო იგი კი არა, სხვებზე შე დღეში არიან ბუნებისაგან: „ოჰ, რამდენი ბუნია წელს! ნეტავ რამ ვადარიათ! (მე-14 გვ). „ოჰ, რა ცხელა, ღმერთო რა მოვივლიათ ამ ბუნებს! (მე-15 გვ.).

ეს სუბარკი 38-ე გვერდზე ისევ გრძელდება: — „თქვენთანაც ამდენი ბუნია?“ — „ჩვენთანაც ამდენი ბუნია...“

მთელი ამ ხნის მანძილზე უფლად გავგება-რიცა, თუ რად მტრობს ასე გულმოდგინებით ავტორი ბუნებს. მხოლოდ 44-ე გვერდზე ვიგებთ, რომ თურმე „ტუვილად კი არ უჩიოდნენ სენები ბუნებს. შეუძლებელი გახდა მათ მოძალატის გამკლავებოდნენ. მაგრამ ძალზე გვიან მიხედნენ, რომ ბუნების მოძალატე ავბუ-დითი სნეულების წინამორბედად მოეყვინათ...“

ქვეშარტივად გონებამახვილური მიგნება! ავტორის ეტყობა სამედიცინო დაკვირვების თავისებური, ორიგინალური მეთოდები აქვს. ბუნების მოძალატე თურმე მუცლის ტიფის გავრცელების მომასწავებელი ყოფილა (ტიფმა იმსხვერპლა მიხეილის დედა და და). მაგრამ ყველაფერს რომ შევეშვათ, რამდენად აუცილებელი იყო სამედიცინო ხასიათის ისტორიული ექსკურსი წარსტლში? იქნებ სჯობდა ეუციო მარჩიულობის ნაცვლად საქმეზე, მთავარზე ლაპარაკი?

161-ე გვერდზე ავტორი ახალ ამბავს გვაძენობს — თურმე, იტალიური და ფრანგული სიზღერების მსგავსად ქვემო სვანური და ხეცოს სვანური სიმღერებიც გვექონია. „ღი-აშ დარჯოლ“ კი, წარმოადგინეთ, ქვემო სვანური სიმღერა ყოფილა...

არაფრისმოქმელია, უკიდურესობამდე სენტრინენტალურია და მეღანკოლიურია დაეითიშვილის მიერ მიგნებული და შემოთავაზებული შედარებები: თურმე მიხერს „უნაბისფერი, მოგრძო თვლები ჰქონია“. ეს „უნაბისფერი, მოგრძო თვლები“ სხვადასხვა კონტაქტში თითქმის ყოველ გვერდზე გვხვდება და უზერხელ მდგომარეობაში აყენებს მკითხველს.

90-ე გვერდზე ხომ შედარებების მთელი „საბაღო“ გვხვდება:

„მალარი ქალიშვილის და ჩხუმლიანის მზერა ერთმანეთს შეხვდა.

ლალამში ასეთი ცაა! (ალბათ იმ მალალი გოგოს თვლების მსგავსი, მეტე) მტრულად ხზა-გარის?! ფერდობზეც ასეთე ქვეყნის! (ტყუარ) ლალამში მზე რომ მივაღურებთა მტრუყამებს ამ გოგოს თმის ფერი გახლება ხოლმე მტრუყა-მი. (ოკოშ! მ. ხ.).

ფუნსა ზურგზე დგას ასეთი ნაძვი—წარწერა, მალალი, მოხდენილი, ნაძვი კი არა ლერწამია. ლერწამივით მოქნილი და ნარნარა გოგონა...“ 92-ე გვერდზე ვკითხულობთ: „მზის სხივებში მოცურავე მტრუყამის ფერის თმა და იქვე: „მზის სხივებში აცურებული მტრუყამის ფერის თმა გაისწორა“.

და ისევე, როგორც მიხეილის „უნაბისფერა, მოგრძო თვლები“, „თუთრი კბილები“, „მტრუყამის ფერის თმა“ უსასრულოდ, გათთავებულად მჟორდება... ავტორი სარგებლობს, რომ „ქალადი არ წილდება“, როგორც ეს რომელიმე მწერალმა ციციკონმა თქვა. იგი არც თავისი გმირების ვაჟაკური ხასიათის დამკირებასა და მკითხველის მოთმინებას უფრთხილდება ისიც ავიწყდება, რომ არჩეული თემა უცხოა მისთვის. წიგნში მრავლად ვხვდებით მომამხრებელ კენესა-გოდებასა და ვაი-ვიშს, გულისამაწყებელ შინაგან მონოლოგებს:

„ოჰ, რა საშინელება! ვთავადებო თუ არა ოდესმე ეს ხაიბები...“ ნთუ ოდესმე მიღწევს მწერაკულს? მაიღწევს თუ არა? არა, სრულე-ბით არ დადილია... „ნთუ ისევ იწყება? არა, არ ეწინა... არ გათავდა, რამდენიმე დარჩა? მამის ზღვისფერი თვლები არასოდეს ყოფილა ასეთი!“

„ო-ოჰ! ფეხი აუცდა... გული გაჩერდა და ცხოვრება გათავდა...“ „ჩხუმლიან, ჩქარა, მამას დაუძახე, ვკედები, ჩხუმლიან, ეს მე ვარ, დედაშენი, ჩხუმლიან ბესარიონ...“

დიდმა ვალაქტიონმა თქვა: რომელიმე საგანზე თუ ვინდა ლექსი დამწერო, ყურ იმისი ბუნება და შინაგანი მუსიკა შეიცანიო. ასევეა აქაც... ის აზროვნების სტილი, დაეითიშვილია რომ შე-მოგვთავაზა ამ წიგნში, როგორც უკვე აღინიშნეთ, რომელიღაც უიღბლო რომანს უფრო მო-უხვდებოდა. ყველა ვინც, ასე თუ ისე იცნობს მთას, ვინც ოჩქერ პირველად გადასთვლა რომელიმე თუნდაც მკირე ვადასასვლელზე, გული აე-რევა ამდენი ოხერა-გოდებისაგან. მოამსვლე-ლობა მხოლოდ ოხერა-გოდება რომ იყოს, მა-შინ ვინ სულელი გაეკარებოდა მთას...

ხანდახან ავტორს, შესაძლოა შეუგნებლად, ისეთი უზერხელი ბრალდებები ვაგაპრება ხოლ-მე, რომ მწელი დასაყრებელია ირწმუნე მისი კეთილი განწყობილება თავისი გმირების მი-მართ.

53-ე გვერდზე იგი წერს, რომ ფაცუს (ყო-ლის) გარდაცვალებით დაწყებული ბესა-რიონს თურმე „დარდს მხოლოდ რამდენადმე

უქარებდა სხვათა დასაფლავებაზე სიარული...“

ზანგერიანზე ასეღისას თურმე ბესარიონი ყველაზე კარგად მიდიოდა: „არ ლამაზად მიდის მამა (მიხეილის ფიქრებია. მ. ხ.), რა მსუბუქად და თავისუფლად! ასე აღზინადის შინა-წილეთაგან არაგინ დადის, მართალია, ყველა ჩხემილიანეთი პირველად მონაწილეობს ასეღაში, მაგრამ ვეალია ხომ (სანდრო ვეალია, სპორტის ოსტატი. მ. ხ.) პირველად არ მონაწილეობს... მის სიარულს მამა ბესარიონისეული სიმსუბუქე და სიკობტავე აქვია...“

განა ეს ჰმატებს რაიმე ბესარიონის პიროვნებას? ანდა ეკადრება მიხეილს ასეთი ფიქრები? და, საერთოდ, რა საქირი იყო ძველი თაობის ამ შესანიშნავი მოქმედებების, დიდებულის სპორტსმენების დაძაბისპირება?

მაგრამ უმჯობესია ამბის მსვლელობას მივყავთ. მოაგრდება უშმაზე ასეღის ერთი დღის ეპიზოდი. იწყება მიხეილის ბავშვობის წლები. ბავშვობის წლებზე დავითიშვილი მეთერთმეტე გვერდიდან 81-ე გვერდამდე გვესაუბრება, ამასობაში მკითხველს ავიწყდება კიდევ, რომ მიხეილის ჭკუდი უშმის გზაზეა ვამდგარი. (ამ მომენტადან მდგომარეობა თითქოს სწორდება. უკვე სხვადასხვა ამბების თანამონაცემობა გარკვეული წესით მიმდინარეობს). ავტორი სულ ექვსჯერ უბრუნდება უშმის დაპყრობის ამბავს, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს დღეები მან იმდენად ერთფეროვნად დაგვიხატა, რომ აღნიშნული თავები მხოლოდ „დროს თუ ჰკლავს“. მაგალითად:

„ასეღის პირველი დღე — „ჩაქუნის მოკლე (როგორ შეიძლება მოკლე დარტყმა? მ. ხ.) ძლიერი, თანაბარი დარტყმები. პალოები, ბაქანი, თოყის კიბე... (81-ე გვ.).“

ასეღის მეორე დღე: „ჩაქუნის ხშირი, მოკლე და ძლიერი დარტყმები...“

მესამე დღე:

„ჩაქუნის მოკლე, ძლიერი დარტყმა... ისევ ჩაქუნი, პალო, კარბინი, დაცვა... მე-4 დღე:

„კვლე ზეითი კვლე ჩაქუნი, კვლე კარბინი, თოყი...“ და ასე შემდეგ...“

ეს ხომ ისეთივე უბრალო და გარკვეული ამბავია, იმის მტკიცებას რომ მოკვლე — შუბ აღმოსავლეთიდან ამოდისო, ანდა მდინარეები დაღმა მიედინებიანო. და თანაც ეს მარტივი ქეშმარიტება დაუპირუღებლოვ, ათჯერ და ათასჯერ იმეორა...“

არ შეიძლება დემილით აუაროს ცაქმა „შხის ასეღის ლეგენდას“. შხის ასეღი ბუნების მშვენიერებაში გაიტაცა და ლაღამში ამოყო თავი. აქ იგი შეუფერად პირმშვენიერ ჰაბუე მონადირეს შხის ასეღი ეუბნება მონადირეს, „არასოდეს შენისთანა ლამაზი ჰაბუე არ მინახავსო“ (აღბათ მატრიარქატის ხანა თუ იყო). ჰაბუეი დაინდა ამ ქათინაურზე: „მე ვარ ლამაზი?“ — ამ-

ბობს იგი კარგა დემილის შემდეგ. მათი გულუბრყვილო და გულისამრევი სარტყანო სარტყანო ხანს გრძელდება. ამასობაში ზრმ მშვენიერად ვის ღრუბლებიდან და თავის ასეღს ბიჭთან რომ ნახავს, საშინლად გაბრაზდება, ვზა-კვალს ატრევის ჰაბუეს და მოთბში გადაკარგავს, მერე ამასაც არ ატყარებს, ყინულად აქცევს. ამ ყინულის შთას კი თურმე სვანებმა უშმა უწოდეს. ასევე მკაცრად დასჯის შუბ თავის ასეღს, მასაც იგივე ხეცდრი ეწევა, რაც პირმშვენიერ ჰაბუეს — იგი თეთრულად გადაიქცევა. ლეგენდის ეს ვარიანტი, არა გვეგონია, ხალხის შექმნილი იყოს. ყოვლად წარმოუდგენელია ამდენი ბოროტება მიუწერათ სვანებს შხისათვის. არა გვეგონია მსგავსი ვერსია არსებობდეს მნათობის უღამაზესი საგალობლის — „ლილეოს“ ექვეყანაში...“

როცა დავითიშვილი კვლავ უბრუნდება ამ ლეგენდას, აღარც ამსოვს რომელია პირმშვენიერი სვანი ჰაბუეი ე. ი. უშმა და რომელი — შხის ასეღი — თეთრული. იმ ეპითეტებით, რომლებითაც შხის ასეღს აღწერდა, ავტორი ამჯერად უშმას (ე. ი. მონადირე ჰაბუეს) ამკობს. (შუბა. 31-ე და 87-ე გვერდები).

მკითხველს თვალში ხედება სვანური სიტყვების მეტისმეტი სიმრავლე. ვნახათ როგორ განმარტავს მათ დავითიშვილი.

თურმე „ჰიდვარი — ყველში შეხეილი მკადი“ ყოფილა და არა ყველმშვენილი მკადი (13 გვ.).

ობარი კი — „ხისაგან გაკეთებული ხის(?) კურკელი“ და არა უბრალოდ ოხარი.

ლეციირი (უნდა იყოს ლეციირი) კი „მოშველო ბალახი, რომლის ღერაც იშვევა“ და არა წართლბი.

ბალტყაანი (უნდა იყოს — ბალტყანი) თურმე „ხის ჯიშია, რომლისგანაც უწინ კოვხებსა და ჯამებს თლიდნენ“ — ნუთუ მართლა ასე გაუჭირდა ზემოხსენებული განმარტებების ავტორს მერყანის გამოცნობა ამ სვანურ „ბალტყაანის“ ნახვისას?

ისე გამოდის, თითქოს დავითიშვილის მიერ ჩამოთვლილი მცენარეულობა მხოლოდ სვანეთისათვის იყოს დამახასიათებელი და საქართველოს სხვა კუთხეებში არ მოგვეპოვებოდეს.

ასევე თვითმიზნურად და მომამზერებლად ჩამოთვლის იგი სვანეთის დიდ და მცირე მთათა სახელებს, მაინც რატომ მიიქცია ამ მთებზე ავტორის ყურადღება, ზენთვის გაუგებარი რჩება.

წიგნი ვაუშართავი ქართულით არის დაწერილი:

„ქერქემეზი აღარასოდეს აღარ მოეფერება ჩხემლიანს. მუდამ დაწყულულებულ შებლს(?) აღარ მოუსვთოვებს...“ (146-ე გვ.).

„ბასყი ფურტყებთან იქნება“ (მე-60 გვ.) ბას-

უი-მარწყვია, ფუტკრებთან რა უნდა მარწყვს!
„ხომ კარგად გამოიღებარ ქართულ ჭიდაობაში“.

„როგორ დამრგვალებოდა უნებისფერი მოგარბო თვალები“.

„ყოველთვის სადღაც მიისწრაფვით და სტრუქტურისამებრ მიგაჭვთ სიყვდილა ან სიციცხლუ“ (ღრუბლებს მიმართავს, 104-ე გვერდი).

„უშბის სარკე გორიზად გადმოჰყურებს გაბედულებს და თავიდანვე უკლავს ოცნებას“ (108-ე გვ.)

„თუმი ახლა ირკვევა რომ არც კლდოვანი ასკლები დაუდგენიათ პირველად ვერაშელებს“
როგორ შეიძლება „კლდოვანი ასკლების“ დაღგენა?

გეოგრაფიული გარემო, რომლის ცოცხა ავტორმანათვის აუცილებელია, ასმით დაეითიშეილისათვის, ეტყობა „ტერა ინკოგნიტა“.

„კლდის ძირში ღრმა და დიდმა ნაპრაღმა გადაგვიკეთა გზა. ნაპრალს ზვევიდან ყინულვარდნილი ეფარა“. — გვამცნობს ავტორი. მოდი და ვაერკვიე ახლა ამ აბსტრაქტში ყინულვარდნილი თუ ეფარა, ნაპრალი სადღა იყო? მაშინ ხომ ნაპრალი ყინულვარდნილს ქვეშ ყოფილა და არა კლდის ძირში. და თუ მართლა ეფარა, მაშინ, ნაპრალს კი არა, ყინულვარდნილს გადაუკეთავს მოამსველეებისათვის გზა. (120 გვ.)

„მთვალეურეთა პირველი გვეფი მწვერვალის ძირში უნდა ჩასულიყო და იქიდან დაეკურა ჩვენთან კავშირი რადიომიმდების საშუალებით. თვით ჩვენ რადიომიმდები არ გვკონდა, რადგან მოვერდიდეთ ზედმეტი ტვირთის ტარებას“.

ამის მერე მოლაშქარ ყვეფი სამი დღე იყო გზაში და, როგორც ავტორი გვეუბნება, „კარგად დაე იარა“. ოღონდ კავშირს, მწვერვალის ძირში დაბნაკებულ მთვალეურებთან ლაპარაკით(!) ამყარებდნენ. მოამსველეობის ელემენტარული წესების უტოლინარობა: ნუთუ მოიძებნება ადამიანი, რამელიც, როგორმე წარმოიდგენს, რომ სამი დღის საეაღზე თენდაც მთის პირობებში (ნუ დაგვაიწყებება, რომ „კარგად იარა“) შესაძლებელია ხმა მიაწვდინოს მეორე ადამიანს? მეორეც და, ვინ სულელე მორთავს ყვირილს მწვერვალებზე? განა ზვავისთვის ან თენდაც ქვეთაყვერისათვის ემეტება ვინმეს თავი? და თუ კი, რადიომიმდებით კავშირის დამყარებაზეა საუბარი, იგი ხომ მათთან არ წაუღიათ?

ავტორის მიერ მთის, მისი ბუნებისა და კონონების უტოლინარობის, მოყვლებიანადში ზერელე და უპასუხისმგებლო მიდგომის მაგალითები შორს წავივითყავდა...

საერთოდ წიგნი ისეთ მოაბეჭდილებას ახდენს, თითქმის ავტორის ცალკეული ადამიანების ჩანაწერები გადაუხედავად, გადაუმუშავებლად

შეკენძოს და ისე მოეწოდებინოს მკითხველისათვის. რაც მთავარია, წიგნში არაა მწვერვალის პოზიცია, დამოკიდებულება მიწისუბნებთან, სათქმელისადმი, არა ჩანს მწვერვალის პასუხისმგებლობა „კედელში ჩარტობილ ღერსმწებზე“. და საერთოდ მაინც რისი თქმა სერდა ავტორს? იმისი რომ „უზღებებს მოძალაბამ საშინელი სენი მოიტანა სენათში?“ და რომ „მიხეილს, აყენიდან“ მოყოლებული, სულ მთებისა და მწვერვალების სახელები ჩაუწოდა და იმითამ გაძვეა მოამსველეობის გზას? მაგრამ რით ავსხნათ მაშინ სენების განსაკუთრებული მიდრეკილება საერთოდ მთისადმი? [უკვლა სენას ხომ პროფესიონალი მოამსველე მოაბეული არ ეყოლება]. წიგნში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი სენათის თავისებურ ვარაუზზე. დაეითიშეილისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ სენებს ოდითგანვე უხებდოდა მთებთან ურთიერთობა, იმ უზარალო ავტოლებლობის გამო, რომ ისინი მთაში ზღვის დონიდან საშუალოდ 1600 მეტრზე დაიბადნენ. რომ სენათში ოდითგანვე არსებობს ნადირობის ელტი.

ჩვენი აზრით, სწორედ მონადირეობის ამ ელტში შეეწყო ზელი შემდგომში ადრეული საბჭოთა ალბინიზმის განვითარებას. უშბის ერთერთი პირველი დამყარობი გიო ნიკურინი ცნობილი მონადირე იყო. ალბინიტი კი მხოლოდ მერე გახდა, როცა ალბინიზმი სპორტის ერთერთ ოლიმპიურ სახეობად იქნა ცნობილი. ასევე იყვნენ ვაბრიელ, ბქენე, ბესარიონ ზერგიანები, ალმაკვილ კვიციანი, გოჭი ზურგბიანი, კიქვიო ჩართოლანი და სხვა უფროსი თაობის მოამსველები.

ავტორს უნდა გაეთვალისწინებინა აგრეთვე ის ვარაუთება, რომ სენათში, სხვადასხვა ვარაუთებათა გამო, ყოველწლიურად მოგზაურობდნენ და მოგზაურობენ დღესაც ჩრდილოეთ კავკასიაში. განა ცოცხა ეაყვაც შეწირვია კავკასიონის გადასასვლელებს ზამთარ-ზაფხულს? ასე რომ, სენათში თაობიდან თაობაში გადმოდიოდა მთისა და მწვერვალების სიყვარული, ერთგვარი მოკრძალება და პატივისცემა (განა სენებს არ ჰქონდათ წესკანონად, რომ მთაში ან სანადიროდ გასვლის წინა დღეებში შამაკაცი ქალს არ უნდა ვაყარებოდა?). შობლები ბავშვებს კარგ მონადირეებად ზრდიდნენ, საუკეთესო ჩვევებს უნერგავდნენ. ძველთაგან მომდინარე ესტაფეტა აღდესაც გრძელდება მთებისა და მწვერვალების სიყვარული ისევე გამჭარა მათში...

ეს წიგნი მიხეილ ზერგიანის, ცხოვრებას ეძღვნება, ყოველშემთხვევაში ავტორმა იგი ამ პრეტენზიით წარმოგვიდგინა. მაგრამ საკითხავია, განა მიხეილი ჩვენი რესპუბლიკის სახელით არ გამოდიოდა საკავშირო ასპარეზობა-

ზე? ვანა იალტის ცოცხებში მიხეილი საქართვე-
ლს ღირსებას არ იცავდა?

რატომ ერთ სიტყვაც არ არის ნათქვამი
ქართული ალბინიზმის ვანეთათრების საქმეში
მის ღვაწლზე.

როგორც ცნობილია, 1955 წელს ქართველი
მთაწველელების ჯგუფმა (იოსებ კახიანი, თე-
იმურაზ კუხიანიძის, ლევან აბულდიაშვილისა და
მიხეილ ზერგვიანის შემადგენლობით) დაიპყრო
„კომუნისმის პიკი“ ლარსში მყინვარიდან ახალი
გზით. ჯგუფის წევრებმა ოქროს მედლებაც
შოიპოვეს.

ხუთი წლის შემდეგ კი ქართველი მთაწველე-
ლები: ჯგუფის შემადგენელი (ხელმძღვანელი)
ილია გაბლიანი, თეიმურაზ კუხიანიძე, მიხეილ
ზერგვიანი (უმცროსი) მიხეილ ზერგვიანი (უმცრო-
სი, მათ თან ახლდათ კორილე კუხიანიძე) ელავ
ესტეშინენ შუა აზიას. ამჯერად ტიანშანში
მათ დაიპყრეს უსახელო მწვერვალი, რომელსაც
დღეი ქართველი მგოსნის ეკვა ფიშველას სა-
ხელი უწოდეს.

სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ამ დღეი მას-
ტაბის ექსპედიციების გერარდის ავლა როგორ
შეიძლებოდა.

წიგნში არაფერია ნათქვამი მიხეილის პედა-
გოგიურ საქმიანობაზე. იმაზე, თუ როგორ უყ-
ურადათ იგი თავის სამშობლოში, როგორ ამა-
ყობდა მისივე ქართველი ხალხი.

რა თქმა უნდა, ჩვენი ნათქვამი ისე არაფერ
უნდა გაიგოს, თითქოს ავტორს ყველაფერზე
წერა ვეალებოდეს, ჩვენ იმას ვამბობთ, რომ
იმ არაფრისმოქმელი ადგილების ნაცვლად,

რომლებიც წიგნში გვხვდება, უფრო საინტერესო
იქნებოდა ყურადღების გამახვილება მის
ხეილის ცხოვრებასთან უშუალოდ დაკავშირე-
ბულ საკითხებზე.

ავტორის ალბინიზმის, სპორტის ამ ვეაქცერ
სახეობაზე ბუნდოვანმა წარმოდგენებმა გამო-
უსწორებელი ზიანი მიყენა წიგნს. მართლაც
და, ოცენის ვადასადახვად „მარტო სურვილი
რომ კმაროდეს...“

მიხეილ ზერგვიანმა, თავმდაბლმა, შრომისმოყ-
ვარ და შამაცმა აღამაინა თვითონ შექმნა ლა-
მანი, იმ ქაოქათა მიყნარებებითა და მარად-
თოვლიანი მწვერვალებზეთი წმინდა, ზღოთენ-
მნელი ლეგენდა და კიდევაც რომ მოისურვოს
ენიმე, მისი ვაფერმერთალება ძალიანაც ვა-
უქირდება...

დასასრულ საყვედური უნდა მოვახსენოთ ამ
წიგნის გამოშვებებს. მათ სწორედ ისეთი დათ-
ვური სამსახური ვაუწიეს მის ავტორს, როგო-
რცე ამ უკანასკნელმა თავისი წიგნის გვირგვინი.
ვანა შეიძლებოდა წიგნის ამ სახით დასტამებო?
ნუთუ მის გამოშვებობის რედაქტორს სხვა
თუ არაფერი, ენობრივი და სტილისტური მხა-
რისათვის მარცხ ვერ უნდა მიეჭია ყურად-
ღება?

ან ჩვენზე დაეთითიშვილის „მთების ლეგენდის“
გულშემატკივრები თვალუქობანას რომ თამა-
შობდნენ, თავს ძველი ანდაზით იმშობდებდნენ.
„რაც მოვივა დაეთათა, ყველა შენი თათიოო!“

მირონ ხარზიანი

საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ისტორიიდან

ქართველ ხალხს მასობრივ-რევოლუციური და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლის მეტად
საბუნდოვანი ისტორია აქვს. საქართველოს
შრომელები ყოველთვის იდგნენ ყოფილი რუ-
სეთის იმპერიის შრომელთა გამათავისუფლე-
ბელი მოძრაობის აფინგარდში.

ცარიზმი და მემამულურ-ბურჟუაზიული წყო-
ბილება ერთნაირად საძულველი იყო როგორც
რუსი, ისე არარუსი ხალხებისათვის, ამიტომ
თავისუფლებისათვის ბრძოლაც ყოველთვის თა-
ნამეგობრობის დროშით მიმდინარეობდა.

ი. ბ. სტალინი მე-20 საუკუნის ვაიფრავზე
ქართული და რუსული სოციალ-დემოკრატიული
მოძრაობის მიზანთა ერთობლიობას რომ ეხე-

ბოდა, წერდა: „ქართველი სოციალ-დემოკრატი-
ული მოძრაობა არ წარმოადგენს კერძო, მარ-
ტო ქართულ მუშათა მოძრაობის საერთაო
პრაგმათ. ის ხელიხელადახვეულია მთელი
რუსეთის მოძრაობასთან და, მასთანადე, ექვე-
მდებარება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ
პარტიას“. (ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1. გვ. 6).

ქართველი ხალხის რევოლუციურ-გამათავი-
სებელი მოძრაობის მთელი ისტორია იმის
ნათელი ილუსტრაციაა, რომ ი. ბ. სტალინის ეს
სიტყვები სავსებით ვაერცელებს საგლეხო რე-
ფორმის შემდგომ წლებში საქართველოში გა-
შორის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრა-
ობის მიმართ. მართლაც, იმ რთულ და წინა-
აღმდეგობებში სავსე სოციალ-პოლიტიკურ ვი-
თარებში ქართველი ხალხის მოწინავე შეილებ-
მა უყოყმანოდ ვაიზარეს 60-70-80-იანი წლე-
ბის რუს რევოლუციონერთა საბრძოლო პრა-
ტიკა, ამასთან, იგი საქართველოს სოციალ-პო-

ი. ანთელავა, „საზოგადოებრივ-პოლიტიკური
მოძრაობისა და საზოგადოებრივი პარტის ისტო-
რიიდან საქართველოში“, „საბჭოთა საქართვე-
ლო“, 1967.

ლიტერერი ვითარების თავისებურებათა პრიზმით გაატარეს და ისე გაიანდეს ბრძოლა ერთ-ერთი და სოციალური წაგვრის უღლის დასახობად.

მკვლევარი სპეციალისტები ყოველთვის სერიოზულ ინტერესს იჩენდნენ რეფორმის შემდგომი საქართველოს გამათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. ქართულმა ისტორიოგრაფიამ და ლიტერატურათმცოდნეობამ დღემდე ამ მიმართებით საყურადღებო ნაბეჭები გადადგა, მაგრამ ის, რაც ვერცხუბუღია, საბჭოთა ისტორიული მეცნიერებისათვის წაყენებულ მოთხოვნებს ჯერ კიდევ ვერ ამაყოფილებს.

ქართველ მკითხველთა ფართო საზოგადოებრიობა და სპეციალისტები ამიტომაც დიდი მოწონებით შეხვდნენ პროფ. ირაკლი ანთელავას წიგნს, რომელშიც რეფორმის შემდგომი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის საკითხებია განხილული. ამ წიგნის გამოცემიდან განვიღობა დრომ დადასტურა, რომ მან საპატიო ადვოკატი დააკავა რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობისადმი მიძღვნილ, უკანასკნელ წლებში რუსულ და ქართულ ენებზე გამოხუთვნილ ისტორიულ-ფილოლოგიურ ლიტერატურაში.

სარეცენზიო წიგნი განმარტავებული ხასიათისაა. მასში მოღიანობაშია ვადმოცემული 60-80-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებისა და პოლიტიკური ბრძოლის ისტორია.

ნაშრომში ორი ძირითადი საკითხია განხილული. ესენია: თერგდალეულთა მსოფლმხედველობის კლასობრივი ისტორია, ბუნების ახსნა: 70-80-იანი წლების ქართული რევოლუციური აზრისა და რევოლუციური ბრძოლის განვითარების ისტორია.

თავის პოზიტიური აზრების ვადმოცემის პროცესში ავტორი ბევრ საინტერესო საპრქივო და შემუარულ მასალას იმოწმებს. ამ მასალათაგან ზოგიერთს ი ანთელავა პირველი იყენებს. მოსაწონია 80-იანი წლების საქართველოში „ზორიპერედელური“ მიმდინარეობის შესახებ საუბარი. ამასთან დაკავშირებით ვრცელად არის მიმოხილული გიორგი ზდანიოვის (მიაიშვილის), გრიგოლ ვოლსკის (უმეფარძის), ესტატე მუქდლიძის და სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა სტატები და პუბლიცისტური წერილები.

სარეცენზიო წიგნის ბოლო თავებში ვადმოცემულია გაზეთ „შრომისა“ და ეფრნალი „იმედის“ სოციალ-პოლიტიკური შეხედულებების, აგრეთვე კაპიტალიზმის პრობლემისა და სასოფლო თემისადმი ქართველი ხალხისთვის დაპირებული უფლებების საკითხები. ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ ხსენებული პერიოდული გამოცემების ირგვლივ შემოკრებილი ქართველი

ხალხისნები, ლიბერალები კი არა, რევოლუციონერები იყვნენ, რომ ისინი ხალხს-კარბიზმთან თანამშრომლობისაგან კი უნაშფოოდდნენ, არამედ — ბრძოლისაგან.

თუმცა სარეცენზიო წიგნის მიმხედვლობა დიდა მარქსიზმადმიელი პერიოდის საქართველოს რევოლუციურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის შესწავლის საქმეში, მის მიმართ მაინც ვაკვს ზოგიერთი პრინციპული შენიშვნა.

1. ჩვენი აზრით, სარეცენზიო წიგნში სწორად არ არის ახსნილი და ვაკვებული აღმავალი ბურჟუაზიული კლასის იდეოლოგიის მიმხედვლობა. მაგალითად: თერგდალეულების სოციალ-პოლიტიკური ბუნების შეფასებასთან დაკავშირებით სარეცენზიო წიგნის ავტორი, ვადმის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მათი აღიარების წინააღმდეგ, იგი იზიარებს ზოგიერთი ავტორის მიერ ადრე ვადმოქმულ შეხედვ მონაზრებას: „60-იანი წლების საქართველოში ეროვნული ბურჟუაზია არ არსებობდა... რომ უცხოელ კაპიტალისტებს... თუნდაც სომხური წარმოშობის ბურჟუაზიები, — ყველა ამ რეკვს, ვახვტრარაზრებს, რომზორუდებს, ზეიცვრებს, ბოზარჯიანებს და მირზოევებს, — თითქოს აწუხებდათ ქართველი ხალხის ეროვნული ტკივილები. პირდაპირ ვუღებზვილობაა, რომ 60-იანი წლების საქართველოში ვეჭებოთ რაღაც არარსებული „პროგრესული ბურჟუაზია“ (გვ. 39).

ეს თვალსაზრისი, კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარების პერიოდში წარმოშობილი ბურჟუაზიული იდეოლოგიის უმართებულო ვაკვებაა აქ საქმე ისეა წარმოდენილი, თითქოს, ის, ეინც იტყვის თერგდალეულები აღმავალი ბურჟუაზიის იდეოლოგები იყვნენო, ნიშნადეუილია კავკავაძის, აკაკი წერეთლის და სხვა გამოჩენილი ქართველ მამულიშვილთა ვადმოცხადებას ბოზარჯიანებისა და მირზოევების მსახერებად.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს არსოდეს არ უმტკიცებიათ, რომ ფეოდალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი კლასი — ბურჟუაზიის იდეოლოგია ცალკე აღებული კაპიტალისტინტერესთა დაცვას ნიშნადეს. როგორც ცნობილია, ბურჟუაზიული იდეოლოგია მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: ახალი ეკონომიური ფორმაციით ძველი ფეოდალური ურთიერთობის შეცვლის მოთხოვნა, ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის დროის ხელში აღება, ვანათლების, კულტურის, ხელოვნების და, საერთოდ ცივილიზაციის განვითარებისათვის ხელის შეწყობა, ფეოდალიზმის ბორკილებისაგან ვლგხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლა.

ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ განმანათლებლები, როგორც ევროპაში ისე რუსეთში, ბურჟუაზიის იდეოლოგიები იყვნენ, მაგრამ ამას სრულებითაც არ შეეშალა ზელი ვ. ი. ლენინისათვის რომ ისინი პროლეტარული პარტიის წინამორბედებად მიეჩნია. ვ. ი. ლენინი ახალათებდა რა განმანათლებელი სკაღდინის შეზედლებებს წერდა: „...სკაღდინი ბურჟუა... მაგრამ უნდა დაესაზნოთ, რომ ჩვენში ხშირად შეტად არასწორად, ვიწროდ, ანტიისტორიულად ესმით ეს სიტყვა, უყავშირებენ რა მას (ისტორიულ ეპოქათა განვსხვავებლად) უმცირესობის ინტერესთა ანგარებიან დაეკას“. (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2. გვ. 4. გვ. 628).

ვანა რა იქნებოდა ბურჟუაზიული დემოკრატიზმის არსის იმაზე ვიწრო, არასტორიული გაგება, რომ გამოჩენილი რუსი განმანათლებლები გერელონის, კრეპოლიმის, ბეტრო-როდალის, შორთხოვის და სხვა უცხოელი ან რუსი კაპიტალისტის ინტერესთა დამცველებად მიგაჩინა? მართალია, 60-იანი წლებისათვის, როგორც ავით ი. ანთელაევს სამართლიანად აღნიშნავს, საქართველოში ეროვნული კაპიტალიზმი მხოლოდ ჩინასაბ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ, ჰვენი აზრით, ამ გარემოებას სრულბითაც არ შეეძლო შეეშალა ზელი ჩვენში ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი და ყმა გლეხთა ინტერესების დამცველი მოწინავე ბურჟუაზიული იდეოლოგიის წარმოშობისა და გამოჩენილი ქართველი მრღაწეების — თეგდალეულების მიერ კალმით და საქმით მისი ჭადაგებისათვის. გლეხთა ინტერესების ისეთი დაცვა კი, რომელიც თერგდალეულთა იდეოლოგიის შინაარსს შეადგენდა სხვა არაფერია თუ არა იგივე აღმავალი ბურჟუაზიის იდეოლოგობა ანუ ბურჟუაზიული დემოკრატიზმა.

საქართველოში ბურჟუაზიული იდეოლოგიის პროგრესულობის ავტორისეული უარყოფის გამო წიგნში გაუგებარი და ბუნდოვანია თერგდალეულთა თვით ეროვნულ-გამათავისუფლებლური ბუნების ახსნაც. როგორც ცნობილია, ქართველი ერის ჩამოყალიბება და საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დაწყება ბატონყმობის გაუქმებისა და ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაჩენის პირდაპირი შედეგია.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება გვასწავლის, რომ ახალი იდეები ძველი ეკონომიური ფორმაციის ბატონობის პერიოდში შეიქმნება. რომ ახალი იდეები, ისინი მაშინვე იწყებენ უაქმებდმას ეკონომიურ ბაზისზე, აჩაყრებენ მის განვითარებას იმ მიმართებით, რომ საზოგადოებრივი ფორმაციის გაბატონებულ ფორმასა და მის შინაარსს შორის აუცილებელი შესაბამისობა დამყარდეს, თერგდალეულთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობაც, რომელიც თავისი შინაარსით ბურჟუაზიულ დემოკრატიული იყო, ჩნდება ჭერ კიდევ მაშინ, როდესაც საქართველოში ახალ კაპიტალისტურ კლასს ფეოდალიზმზე სრული გამარჯვება მოპოვებული არ ჰქონდა. მართალია ბურჟუაზია იმდროინდელ საქართველოში სუსტი, არარეალისტური იყო, მაგრამ მისი იდეოლოგია, რომელმაც ეროვნული ბრძოლის დროშა აღმართა, იმ ისტორიულ ვითარებაში სერიოზულ, პროგრესულ ძალას წარმოადგენდა.

2. სარეცენზიო წიგნს, თერგდალეულების სოციალური არსის შეფასებასთან დაკავშირებით, წითელი ზოლივით მიჰყვება იმის მტკიცება, რომ „გლეხობის იდეოლოგები“ აუცილებლად „რევოლუციონერ-დემოკრატიზად“ უნდა იქნან აღიარებული.

პროფ. ი. ანთელაევს სიტყვით რადგანაც თერგდალეულები იცავდნენ გლეხთა ინტერესებს, შეაკრად აკრიტიკებდნენ ბატონყმობას, მოითხოვდნენ „ყმების მიწით გათავისუფლებას და მათთვის ადამიანური უფლებების მინიჭებას“ (გვ. 23), ამიტომ „ექვემოტანლად“ რევოლუციონერი-დემოკრატიები იყვნენო. სარეცენზიო წიგნის ავტორი აქ მხედველობიდან უშვებს იმ გარემოებას, რომ გლეხური დემოკრატიზმი ფართო მცნებაა. ავტორი არ ანსხვავებს ერთ მანეთისაგან განმანათლებელთა გლეხურ დემოკრატიზმისა და რევოლუციონერ-დემოკრატიზმთა გლეხურ დემოკრატიზმს.

სარეცენზიო წიგნის ავტორის სიტყვით, თერგდალეულთა თხზულებებში „წამოყენებულია შეტად გაბედული აზრი გლეხების სრული და მიწით განთავისუფლების შესახებ (გვ. 24), რაც მას თერგდალეულების რევოლუციონერ დემოკრატიზად გამოცხადების უაქველ საფუძვლად მიანია.

დავას არ იწყვეს ის ფაქტი, რომ თერგდალე-

ულები, მართლაც მოითხოვდნენ ბატონყმობის გაუქმებას ისეთი რეფორმით, რომელიც საბოლოოდ მოსპობდა „ავსთათვისუფლებელ და გამათავისუფლებელ წოდებათა შორის ყოველგვარ შეხება შემოხლას და ყოფილ უმას უსასყიდლოდ მიცემულ მიწით უბრუნებელყოფდა“. მაგრამ გლეხთა ინტერესების ასეთი დამცველობა ხომ სხვა არაფერია თუ არა გამანათლებლობა ანუ იგივე ბურჟუაზიული დემოკრატიზმი. როგორც ცნობილია ვ. ი. ლენინი ახასიათებს რა გამანათლებლობას, როგორც აღმავალი ბურჟუაზიის იდეოლოგიას მის აუცილებელ დამახასიათებელ თვისებად თვლიდა: „მხურვალე მტრობა ბატონყმობისადმი და ყველა მისი გამოყვანებისადმი გკონომიურ, სოციალურ და იურიდიულ დარგში“, „ხალხის მასების უმთავრესად გლეხთა... ინტერესების დაცვა, იმის გულწრფელი რწმენა, რომ ბატონყმობის გაუქმებას და მისი ნაშთების მოსპობას საყოველთაო კეთილდღეობა მოჰყვებოდა და გულწრფელი სურვილი ამისათვის ზელიშეწყობისა“. (ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 2, გვ. 626-627).

ერთი სიტყვით, საერთოდ გამანათლებლები და მათ შორის თერგდალეულები გლეხთა ინტერესების დამცველები იყვნენ. ისინი ბატონყმობის მოსპობას ზევიდან რადიკალური რეფორმის გატარებით ცდილობდნენ. რაც შეეხება რევოლუციონერ დემოკრატებს, ისინიც გლეხთა ინტერესებს იცავდნენ, ამასთან ბატონყმობის მოსპობას მოითხოვდნენ არა რეფორმის გატარებით, არამედ გლეხური რევოლუციის გზით.

გლეხური დემოკრატიზმის ბუნების ასეთი ორგანიზაციების გარეშე უპიკველად მივალთ გამანათლებლობისა და რევოლუციური დემოკრატიზმის გაიგივებას. მიუხედავად იმისა, რომ სარეცენზიო წიგნის ავტორი სუბიექტურად ამის წინააღმდეგია, გლეხთა იდეოლოგიის შესახებ მისი მსჯელობიდან სუბიექტურად საწინააღმდეგო დასკვნა გამოდის.

3. საქართველოს პირობებში გამანათლებელთა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იდეოლოგიის უარყოფისა და თერგდალეულთა ჩერნიშევსკის უაიდის* გლეხურ დემოკრატებად გამოცხადების სურვილის შედეგად, სარეცენზიო წიგნის ავტორი თერგდალეულთა შეფასების საკითხში შეორე უკიდურესობამდეა მიხული. ავტორის ნებით თუ უნებლიეთ, ნაშრომში ფაქტიურად მიჩნეულნი არიან თერგდალეულთა მოღვაწე-

ობის ძირითადი მხარე. კერძოდ ის, რომ ფერდუდალეულები და მათი მედროშე ილია ჭავჭავაძე პირველ რიგში ქართველი ხალხის „ეროვნულ გამათავისუფლებელი ბრძოლის პოეტარული მოღვაწენი“ იყვნენ (გაზ. „პრავდა“, 1937, № 146).

პატრეცემულ მკვლევარს უნდა შეენიშნოთ, რომ ილია ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლნი არაყოფილან ჩერნიშევსკის, დობროლიბოვისა და სხვა რუს მოღვაწეთა „უაიდის“ რევოლუციონერი დემოკრატები. რომ ისინი სინამდვილეში სწორედ ისეთი თვითმყოფი „უაიდის“ მოღვაწენი იყვნენ, როგორც ცარიზმის კოლონიურ ულულქვეშ მგზინავ ქართველ ხალხს ესპირობებოდა.

ნ. ვ. ჩერნიშევსკისა და მის თანამებრძოლთა წინაშე ერთი მტერი იდგა. ეს იყო ბატონყმობა და ცარიზმი. ილია ჭავჭავაძისა და თერგდალეულთა წინაშე კი არაი მტერი — ცარიზმის კოლონიური დესპოტიზმი და ბატონყმობა. ამთან გან ქართველი ხალხისათვის, ისე როგორც კოლონიზებისა და სხვა ჩაგრული ხალხებისათვის, იმ ისტორიულ ეთარებაში ყველაზე მომავლინებელი კოლონილიზმი იყო. რადგანაც იგი ახშობდა ქართველი ხალხის ეროვნულ თვითმყოფობას, სშობდა მის ენას.

ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოკალმეებმააც თავიანთი საბრძოლო პრაგმატის პირველ პუნქტად სწორედ ეროვნული თავისუფლების მოპოვება დაისახეს და წამოაყენეს ლოზუნგი — „ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთვნოდეს“. გლეხთა ინტერესების დაცვაც ამ ძირითად ამოცანას დაუშორჩილეს. მათი თვალსაზრისით ბატონყმური ჩავერის მძიმე უღელი კიდევ მეტათ აბეჩავებდა ერის ბურჯს — გლეხობას, რის გამოც ითიშებოდა ეროვნული ძალები, ძნელდებოდა მათი კონსულტაცია, მაშასადამე რთულდებოდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის გამართვის საქმე.

4. სარეცენზიო წიგნის ავტორი აცხადებს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში საბოლოოდ გამოარჩევა მოსაზრებამ „თერგდალეულების ჩერნიშევსკისა და დობროლიბოვის უაიდის რევოლუციონერ-დემოკრატებად“ გამოცხადების შესახებ (გვ. 21). ასეთი დასკვნა ჩვენი აზრით, ნაჭარბეია. ქართულ ისტორიოგრაფიაში სრულებითაც არაა საბოლოოდ აღიარებული მოსაზრება თერგდალეულთა „რუს რევოლუციონერ-დემოკრატების უაიდის“ მოღვაწეებად გამოცხად-

დების შესახებ. სინამდვილეში გაიმარჯვა ძირითადად იმ თვალსაზრისში, რომ თერგდალეულნი ერთნაირად-გამათვისებლებელი ბრძოლის მედროშენი იყვნენ, ხოლო სოციალურ საკითხში კლასთა შერჩევების პოზიციებზე იდგნენ. ამ მავალთვლიც: „თერგდალეულებმა,—წერს ქართული ისტორიკოსთა შეფასებანი, განსვენებული აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი, — იმ დროის საქართველოს სპეციფიკურ პირობებში ვერ დაინახეს რევოლუციური გამოსავალი და კლასთა ბრძოლის ნაცვლად კლასთა შეთანხმება იქადაგეს“, რომ თერგდალეულები არ იდგნენ „რევოლუციონერ დემოკრატთა პოზიციებზე“, რომ მათ „ქართული ერის გადსაარჩენად კლასთა თანამშრომლობა იქადაგეს“ (ნ. ბერძენიშვილი, „ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მთავარი ხაზი“, 1964, გვ. 9—10).

ხოლო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ საშუალო სკოლის სახელმძღვანელოდ დამტკიცებულ, ახლანამ გამოცემულ „საქართველოს ისტორიაში“ რომლის ავტორია გამომჩენილი ქართველი ისტორიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ კორესპონდენტი, პროფ. შ. მესხია და დოც. ვ. გუჩუასთან ერთად, ვკითხულობთ: „ეპიკოსის რუსიფიკატორულ პოლიტიკას ქართველმა ხალხმა გამოაჯიხტელებული მოძრაობის გამოღერებით უსაშუალო.“

ამ პატრიოტული მოძრაობის შეთავრები იყვნენ თერგდალეულები...

„თერგდალეულთა ერთნაირი გაათვისებულების პროგრამა მკვიდროდ იყო დაყვანილი მათ სოციალურ პროგრამასთან. „თერგდალეულებში“ მისანი იყო ისეთი საზოგადოებრივი წყობილების დამყარება, სადაც ყველა ადამიანი ერთნაირად უფლებები ექნებოდა, სადაც არ იქნებოდა ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა.“

შავრამ ისინი, კლასთა ბრძოლისა და რევოლუციის მაგიერ, წოდებოდა შერჩევების თვალსაზრისზე იდგნენ“ („საქართველოს ისტორია“, 1969, გვ. 205—206).

ასეთია სინამდვილეში თერგდალეულთა შეფასების შესახებ დისკუსიის შედეგები და არა ისეთი, როგორსაც სარეცენზიო წიგნი გვათავაზობს.

5. რუსულ-ქართული ხალხსნერი მოძრაობის სოციალ-პოლიტიკური არსისა და ქართული ხალხსნერი მოძრაობის თავისებურებათა განმარტებისას სარეცენზიო წიგნის ავტორის მსჯელობა ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია (თავი III).

პირველ რიგში უნდა შევნიშნოთ, რომ ხალხსნობის სოციალ-პოლიტიკური ბუნების ახსნისას ავტორი მსჯელობს, საერთოდ ხალხსნობაზე და არა რევოლუციურ და ლიბერალურ ხალხსნობაზე ცალ-ცალკე, არ იძლევა ხალხსანთა ამ ორ თაობას შორის პრინციპულ სხვადა-

სხვაობათა არსებობის სურათს. ვ. ი. ლენინი ამის გაკეთებას იტყობებულ საქართველად-თვლიდა და როგორც ცნობილია, ვ. ი. ლენინმა, გამოდიოდა რა ყველა საზოგადოებრივი მოვლენის ისტორიულ ასპექტში შეფასებიდან, „მოგვეცინა რევოლუციური ხალხსნობის შინაგანი ევოლუციის ობიექტური მიზეზების ყოველმხრივი, მეცნიერული ახსნა... აჩვენა ის უფსკრული, რომელიც რევოლუციურ ხალხსნობას ლიბერალურისაგან მიიწინავდა“ (ზარე ჩვენია, — ზ. შ.) (ლენინი, როგორც ისტორიკოსი“, 1969, გვ. 69 რუსულ ენაზე).

მართალია, ნაშრომის 63-ე გვერდზე ავტორი გაკრით მოიხსენიებს რევოლუციური ხალხსნობისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ნიშანს — „ერთბაშად სოციალისტური ვადატობილების“ მოთხოვნას, შავრამ ხალხსანთა ორივე თაობის ბუნებას მინც მხოლოდ და მხოლოდ ცნობილი 3 ნიშნით ხსნის (კაპიტალიზმის აღიარება და ცემულობად, თემის იდეალიზაცია, საზოგადოებრივი კლასების ინტერესებთან ინტეგრაციისა და ქვეყნის იურიდიულ-პოლიტიკურ დაწესებულებათა კავშირის უარყოფა). ეს სამი ნიშანი სარეცენზიო წიგნში, რატომღაც პროკრუსტეს სარეცელადაა მიჩნეული. ხალხსნად (მათ შორის რევოლუციონერადაც) მხოლოდ ის მოღვაწეა აღიარებული, ვინც ზუსტად ამ ნიშნების ჩარჩოში თავსდება.

ავტორი, მართალია აღიარებს, რუსულთან შედარებით ქართული ხალხსნებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს, შავრამ ქართული ხალხსნობის საზომადაც აღნიშნულ სამ ნიშანს თვლის. ამის შედეგად ფაქტიურად თვითონვე უგულებელყოფს ქართული ხალხსნობის თავისებურებებს, მისი ძირითადი თავისებურება კი სწორედ იმაში მდგომარეობდა რომ იგა არ აიღიალებდა სასოფლო თემს. და არ უარყოფდა ბურჟუაზიული წარმოებისა და ცივილიზაციის პროგრესულობას. თვითონვე ი. ანთელაეა წერს, რომ ქართველი ხალხსნები „კაპიტალიზმის კრიტიკისა და თემის იდეალიზაციის საქმეში არ მისულან იმ უკიდურესობამდე რაც ასე დამახასიათებელი იყო მათი რუსი მასწავლებლებისათვის“ (გვ. 216).

მიუხედავად ამისა სემინარიელთა ფართული წრის ხელმძღვანელი დ. კეხელი რომელიც, სარეცენზიო წიგნის ავტორისავე სიტყვით ხალხს განიხილავდა როგორც „ბრბოს“ და მას „მკვეთრად უპირისპირებდა გმირებს“ (გვ. 58), მის მიერვე არ არის აღიარებული ხალხსნად, და სწორედ ამის გამო, რომ გაურკვეველი იყო „კაპიტალიზმისა და თემის პრობლემისადმი“ კეხელის დამოკიდებულება (გვ. 59).

6. კიდევ ერთი შენიშვნა ტერმინების — „ხალ-

ხოსნობისა“ და „საწესდებო სიკვლების“ თაობაზე.

სარეცენზიო წიგნში შერეულადაა ნახშირი ტერმინები: „ხალხოსნობა“ და „ნაროდნიკობა“. აქობებდა კი რომ ავტორს ერთ-ერთი ამ ტერმინითავე გამოეყენებინა.

ამათგან, ჩვენი აზრით, უპირატესობა ქართულ ტერმინ „ხალხოსნობას“ უნდა მიეცეს. სახელწოდება „ნაროდნიკობა“ თვით რუსეთში გაჩნდა 70-იანი წლების მეორე ნახევარში, როდესაც იქაც და საქართველოშიც ეს მოძრაობა თითქმის ერთნახევარი ათეული წელი მიმდინარეობდა. აქედან გამომდინარე, რატომ უნდა ეიხმართ ამ წინა წლების მოძრაობის აღმნიშვნელად „ნაროდნიკობა“ და არა „ხალხოსნობა“? თუ საქმე წმინდა ეროვნულ ტერმინშია ჩვენს ადრეულ ლიტერატურაში ასეთივე გვაქვს — „ტიტიათა მოტრფილენი“.

ასევე, წიგნში ხშირადაა ხმარებული ტერმინი „საწესდებო სიკვლი“, რაც რუსულად — „უსტავენია ვრამოტას“ პირდაპირი თარგმანია და ქარ-

თულად ვერ ასახავს დოკუმენტის შინაარსს. სინამდვილეში ამ დოკუმენტში ეწვერებოდა ყოფილ მებატონესა და გლეხს შორის გეროგების პირობები. ამიტომ ქართულად ეს ტერმინი უნდა ითარგმნოს „გარიგების სიკვლად“ ან „გარიგების წიგნად“ იგი ასევე კიდევ თარგმნილი რუსულ-ქართულ ლექსიკონში.

ასეთია ი. ანთელავას წიგნის დადებითი და ჩრდილოვანი მხარეები, ჩვენი შენიშვნები, ძირითადად სადისკუსიო საკითხებს მოიცავს, ამიტომ ისინი ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას არ ამცირებენ, პირაქით, ამაღლებენ კიდევ ეს შენიშვნები მიუთითებენ, რომ ავტორმა ისტორიული მეცნიერებისათვის საკვიპროტო არა ერთი საკითხი წამოაყენა და მათ მიმართ თავისი მოსაზრებანი გამოთქვა. საცვლელი პრობლემისაღმი ასეთი მიდგომა კი მეცნიერების განვითარების საფუძველია.

ზაბარია ზველიძე



8733/200
5260 80 333.

ИНДЕКС
76128
თავისებური
ზანაღირობის

«М Н А Т О Б И»

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ